MYTOPBOOK.ORG

სტეფანი მეიერი

ბინდი

ეძღვნება ჩემს დიდ დას, ემილის,

რომლის ენთუზიაზმის გარეშეც ეს ამბავი ალბათ ახლაც დაუმთავრებელი იქნებოდა.

მაგრამ ნაყოფი ხისა ცოდნისა კეთილისა და ბოროტისა

არ უნდა შეჭამო შენ

იმ დღეს როცა შენ შეჭამ მას

შენ უეჭველად მოკვდები

პროლოგი

ადრე სიკვდილზე სერიოზულად არასოდეს მიფიქრია, თუმცა ბოლო დროს ამის მიზეზი საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ მაშინაც კი როდესაც ასეთი აზრები თავში მომდიოდა ვერ წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდებოდა.

სუნთქვაშეკრული ვიდექი და სიხარულით მოელვარე თვალებში ვუყურებდი, დიდი დარბაზის ბოლოში მდგარ მაძებარს..

გაიღო საკუთარი სიცოცხლე სხვისთვის, მითუმეტეს საყვარელი ადამიანისთვის კარგი გზაა სიცოცხლის დასასრულებლად.

MYTOPBOOK.ORG

ვხვდებოდო რომ სწორედ ფორქსში ჩამოსვლით ჩავიგდე თავი საფრთხეში, მაგრამ ამას მაინც არ ვნანობდი, მიუხედავად სულისშემძვრელი შიშისა.

როდესაც ყველაზე სანუკვარი ოცნებები ახდენას იწყებს, ადრე თუ გვიან განგება მაინც გაზღვევინებს ამისთვის.

მაძებარმა ნაზად გამიღიმა და ნელა მომიახლოვდა.

თავი პირველი

პირველი შთაბეჭდილებები

დედამ ფანჯრებჩაწეული მანქანით მიმიყვანა აეროპორტში. ფენიქსში 25 გრადუსი სითბო იყო, ცა იდეალური, უღრუბლო ლურჯი. ჩემი საყვარელი ბლუზი მეცვა, უმკლავებო, თეთრი თასმებით; ეს ჩემი გამოსამშვიდობებელი ჟესტი იყო. თბილი ქურთუკი თან მეკავა ხელში.

ვაშინგტონის შტატის ჩრდილო-დასავლეთით ოლიმპიურ ნახევარკუნძულზე არსებობს პატარა ქალაქი ფორქსი, თითქმის მუდმივი ღრუბლების ქვეშ. ამ არათანმიმდევრულ ქალაქში უფრო ხშირად წვიმს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების სხვა რომელიმე ადგილზე. სწორად ამ ქალაქის და მის ბნელ, ყველგან მყოფ ჩრდილს გაექცა დედა და

MYTOPBOOK.ORG

მეც თან გამიყოლა, როცა სულ რამდენიმე თვის ვიყავი. სწორედ აქ მიწევდა ზაფხულში ერთი თვის გატარება ყოველ წელს, სანამ 14 წლის გავხდებოდი. მას შემდეგ კი აქედან ფეხი ამოვიკვეთე; ამის ნაცვლად, ბოლოს 3 ზაფხულის განმავლობაში, მამაჩემი, ჩარლი, ჩემთან ისვენებდა კალიფორნიაში 2-2 კვირით.

სწორედ ფორქსი იყო ის ქალაქი სადაც ახლა ჩემი ნებით გადავდიოდი საცხოვრებლად- გადაწყვეტილება, რომლიც უდიდესი ტანჯვის ფასად მივიღე. მე მძულდა ფორქსი.

სამაგიეროდ ფენიქსი მიყვარდა. მიყვარდა მზე და გულის გამაწყალებელი სიცხე. მიყვარდა მისი ხმაური და ცხოვრების ჩქარი ტემპი.

_ბელა,- მითხრა დედამ- უკვე მეათასედ- სანამ თვითმფრინავში ჩავჯდებოდი. -შენ ვალდებული არ ხარ წახვიდე.

დედა ძალიან მგავს, განსხვავება მხოლოდ მოკლე თმებსა და სიცილშია. გული შიშით შემეკუმშა როცა მის ფართო ბავშვურ თვალებს შევხედე. როგორ უნდა დამეტოვებინა ჩემი საყვარელი, მერყევი და თავქარიანი დედა თავისი თავის ანაბარა? მას რა თქმა უნდა ახლა ფილი ყავდა, ამიტომ გადასახადების საქმე მოგვარებული იქნებოდა, მაცივარშიც მუდმივად საჭმელი, საწვავი დედას მანქანაში და ამას გარდა მას ეყოლებოდა ადამიანი ვისაც დაურეკავდა თუ დაიკარგებოდა, მაგრამ მაინც....

_*მინდა* წასვლა, - ვიცრუე. ტყუილები არასდროს მეხერხებოდა, მაგრამ ამ ტყუილს ისეთი სიხშირით ვამბობდი ამ ბოლო დროს, რომ უკვე თითქმის დამაჯერებლად ჟღერდა.

_ჩარლის მოკითხვა გადაეცი.

_კარგი.

_მალე გნახავ,- დაიჟინა. -როგორც კი მოგინდება შეგიძლია მაშინვე დაბრუნდე სახლში- მეც მაშინვე დავბრუნდები როგორც კი დაგჭირდები.

მაგრამ ეს რომ მითხრა მის თვალებში მსხვერპლი დავინახე.

MYTOPBOOK.ORG

_ჩემზე ნუ ღელავ,- შევაგულიანე,-ყველაფერი დიდებულად იქნება. მიყვარხარ, დე.

წუთით მაგრად ჩამეხუტა, შემდეგ თვითმფრინავში ავედი, ის კი თვალს მიეფარა.

ფენიქსიდან სიეტლში გადაფრენას 4 საათი სჭირდება, კიდევ ერთი საათი პატარა თვითმფრინავით პორტ-ანჯელესში გადაფრენას უნდა, შემდეგ კი მანქანით ერთსაათიანი მგზავრობაა საჭირო ფორქსამდე. ფრენა დიდად არ მაწუხებდა, აი, ჩარლისთან ერთად მანქანაში მთელი საათის გატარებაზე კი ცოტა არ იყოს ვღელავდი.

ჩარლი მართლა მშვენივრად განეწყო ამ ყველაფრის მიმართ. გულწრფელად ნასიამოვნები ჩანდა, რომ მასთან პირველად გადავდიოდი საცხოვრებლად ამდენი ხნით. მან უკვე გამატარა რეგისტრაციაში ადგილობრივ საშუალო სკოლაში და აპირებდა მანქანის ყიდვაშიც დამხმარებოდა.

მაგრამ ის მაინც უეჭველად ვიცოდი, რომ ჩარლისთან ყოფნისას მაინც ვიგრძნობდი უხერხულობას. ვერცერთ ჩვენგანს ვერ უწოდებდით ენაწყლიანს, თანაც არ ვიცოდი რა შეიძლებოდა მეთქვა გულგრილობის გარეშე. ვიცოდი, რომ ის ჩემი გადაწყვეტილებით რბილად რომ ვთქვათ ცოტათი დაბნეული იყო__ დედაჩემისა არ იყოს, არც მე არ დამიმალია ოდესმე, რომ ფორქსი მეზიზღებოდა.

პორტ ანჯელესში რომ ჩავფრინდი წვიმდა. თუმცა ავის მომასწავებელ ნიშნად არ მიმიღია- ეს უბრალოდ გარდაუვალი იყო. მზეს უკვე დავემშვიდობე.

ჩარლი თავისი კრეისერით მელოდა. ესეც მოსალოდნელი იყო. ჩარლი პილიციის ოფიცერი სვონი იყო ფორქსის პატივცემული მოსახლეობისთვის. ჩემი პირველი მიზეზი რატომაც მინდოდა მანქანის ყიდვა, ჩემი მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, იყო ის, რომ არ მინდოდა ქალაქში სახურავზე მოციმციმე წითელ-ლურჯ შუქებიანი მანქანით მევლო. არაფერი აფერხებს მოძრაობას ისე როგორც პოლიციელი.

MYTOPBOOK.ORG

ჩარლი უხერხულად მომეხვია ცალი მხრით, როცა თვითმფრინავიდან ჩამოვბრომიკდი.

_მიხარია შენი ნახვა ბელს,- ღიმილით მითხრა, როცა ავტომატურად დამიჭირა და შემაკავა. -მაინცდამაინც არ შეცვლილხარ. რენე როგორაა?

_დედა კარგადაა, მეც მიხარია შენი ნახვა, მა, - ჩარლი ნებას არ მრთავდა სახელით მიმემართა.

მხოლოდ რამდენიმე ჩანთა მქონდა. ჩემი არიზონული ტანსაცმლის უმეტესობა შეუფერებელი იყო ვაშინგტონისთვის. დედაჩემმა და მე ამოვწურეთ ჩვენი სახსრები, რომ ზამთრის გარდერობი როგორმე შემევსო, თუმცა მაინც საკმაოდ ღარიბული იყო ის. ყველაფერი ადვილად მოთავსდა კრეისერის საბარგულში.

_მაგარი მანქანა ვიპოვე შენთვის, თან ნამდვილად იაფად!-გამომიცხადა, როცა უსაფრთხოების ღვედებს ვიკრავდით.

_რა მანქანაა?- დავეჭვდი, რადგან არ მომეწონა მისი სიტყვები „მაგარი მანქანა *შენთვის*“, მერჩივნა უბრალოდ ეთქვა „მაგარი მანქანაო“.

_პიკაპია, შევროლე.

_სად იშოვე?

_გახსოვს ბილი ბლექი ლა პუშიდან?- ლა პუში ინდიელების პაწაწინა ნაკრძალია სანაპიროზე.

_არა.

_ზაფხულში ჩვენთან ერთად თევზაობდა ხოლმე.- მიკარნახა ჩარლიმ.

ეგ უკვე ყველაფერს ხსნიდა, რატომ არ მახსოვდა იგი. ყოველთვის კარგად გამომდიოდა უსარგებლო ინფორმაციის დაბლოკვა.

_ახლა ის ინვალიდის ეტლში ზის.- გააგრძელა ჩარლიმ როცა არაფერი ვუპასუხე. -მანქანას ველარ ატარებს, ამიტომ შემომთავაზა, რომ იაფად მომყიდდა პიკაპს.

MYTOPBOOK.ORG

_რომელწლიანია?- მისი გამომეტყველების ცვლილებით მივხვდი, რომ ეს იყო კითხვა, რომელზეც იმედი ქონდა, რომ არ დავსვამდი.

_ძრავაზე ბევრი იწვალა ბილიმ- მხოლოდ რამდენიმე წლისაა, მართლა.

იმედი მქონდა მასე ცუდად არ მიცნობდა ჩარლი, რომ დაეჯერებინა ასე იოლად დავნებდებოდი. „როდის იყიდა პიკაპი ბილიმ?“

_მგონი 1984-ში.

_ახალი იყიდა?

_ისა, არა. ახალი ადრეულ სამოციან წლებში იყო- დიდი დიდი გვიან ორმოცდაათიანებში.- გაუბედავად აღიარა.

_ჩარ..მამა, მანქანებზე არაფერი არ ვიცი. რამე რომ გაუფუჭდეს ვერ შევაკეთებ, ხელოსნისთვის კი ფული არ მაქვს...

_ბელა, ნაწილები კარგად მუშაობს. ასეთებს უკვე აღარც აკეთებენ.

ნაწილები... ჩემთვის გავიფიქრე... ბოლოსდაბოლოს ზედმეტსახელად ხომ მაინც ივარგებს.

_მაინც რამდენად იაფია ეგ იაფი?- ყველაფრის მიუხედავად, ეს ის ნაწილი იყო, რომელზეც კომპრომისზე ვერ წავიდოდი.

_ძვირფასო, შენთვის იმგვარად იაფი, რომ მე უკვე გიყიდე. აქ გადმოსვლის აღსანიშნავ საჩუქრად.- ჩარლიმ გვერდულად გამომხედა იმედიანი გამომეტყველებით.

ოჰოო. უფასოდ.

_არ იყო საჭირო,მამა. ჩემით ვაპირებდი მანქანის ყიდვას.

_არც მაგის წინააღმდეგი ვიქნებოდი. უბრალოდ მინდა აქ ბედნიერი იყო.- ამას რომ ამბობდა გზას უყურებდა. ჩარლის დიდად არ უყვარდა ემოციების ხმამაღლა გამოხატვა. მისი ეს თვისება მემკვიდრეობით მივიღე. მეც პირდაპირ ვიყურებოდი როცა ვუპასუხე.

MYTOPBOOK.ORG

_ძალიან მაგარია, მადლობ. ამას ნამდვილად დაგიფასებ.- საჭირო არ იყო დამემატებინა, რომ ბედნიერი ვყოფილიყავი ფორქსში- შეუძლებელი იყო. ჩემთან ერთად რატომ უნდა დატანჯულიყო. თანაც ნაჩუქარ პიკაპს კბილი... თუ ძრავა არ გაესინჯება.

_არაფრის,- წაიბურტყუნა ჩემი მადლობებით შეცბუნებულმა.

რამდენიმე კომენტარი ამინდზე გავცვალეთ, რომელიც ნესტიანი იყო და მეტისმეტად „ფართო“ თემა იყო სასაუბროდ. დანარჩენ დროს კი წყნარად ვიყურებოდით ფანჯრებში.

რა თქმა უნდა ლამაზ იყო აქაურობა, ამას ვერ უარვყოფ. ყველაფერი მწვანე იყო: ხეები, ხავსით დაფარული მისი ტანი, ტოტებზე ფარდაგებივით ჩამოფარებული ბალდახინი, გვიმრით დაფარული მიწა. ფოთლებს შორის ჰაერიც კი მწვანე მეჩვენებოდა.

მეტისმეტი სიმწვანე იყო- უცხო პლანეტას გავდა.

ბოლოსდაბოლოს მივაღწიეთ ჩარლის სახლს. ის ისევ იმ პატარა ორ საძინებლიან სახლში ცხოვრობდა, რომელიც დედასთან ერთად მათი ქორწინების შემდეგ რამდენიმე დღეში იყიდა. მათი ქორწინება ფაქტიურად სწორედ იმ დღეებისგან შედგებოდა. იქ, იმ სახლის წინ, რომელიც არასდროს შეცვლილა, ეყენა ჩემი ახალი- უფრო სწორად ჩემთვის ახალი- პიკაპი. გახუნებული წითელი ფერის იყო დიდი, მომრგვალებული გვერდებით და ამოზნექილი კაბინით. ჩემდა დიდად გასაოცრად, მე ის შემიყვარდა. არ ვიცოდი, საერთოდ გაივლიდა თუ არა, მაგრამ მასში ადვილად წარმოვიდგენდი ჩემს თავს. ამას დამატებული რკინის მყარი კონსტრუქცია, რომელიც არასდროს ზიანდება- ასეთებს ავარიის შემდეგ თუ დაინახავთ გაუკაწრავს, უცხოური მანქანების ნამსხვრევებში.

_ვაა, მამა, მომწონს! მადლობ!- ახლა ჩემი ხვალინდელი შემაძრწუნებელი დღე, ბევრად ნაკლებად საშინელი იქნებოდა. არ მომიწევდა არჩევანის წინაშე დადგომა ორი მილის წვიმაში ფეხით სკოლაში წასვლასა და ოფიცერის კრეისერით მგზავრობაზე დათანხმებას შორის.

MYTOPBOOK.ORG

_მიხარია, რომ მოგწონს,- ჩახლეჩილი ხმით თქვა ჩარლიმ, ისევ დაბნეული ჩანდა.

ჩემი ნივთები ერთ ასვლაზე ავიტანეთ მაღლა. მე დასავლეთის საძინებელი მერგო, რომელიც წინა ეზოს გადაჰყურებდა. ოთახი ჩემთვის კარგად ნაცნობი იყო; ის დაბადებიდან მე მეკუთვნოდა. ხის იატაკი, ღია ცისფერი კედლები, მაღალი ჭერი, გაყვითლებულ არშიიანი ფარდები ფანჯრებზე- ეს ყველაფერი ჩემი ბავშვობის ნაწილი იყო. ერთადერთი ცვლილება რაც ჩარლიმ ამ ოთახში განახორციელა, იყო ბავშვის საწოლი ჩვეულებრივით შეცვალა და საწერი მაგიდა დაამატა, მას შემდეგ რაც წამოვიზარდე. მაგიდაზე ახლა ნახმარი კომპიუტერი იდო, მოდემისთვის განკუთვნილი ტელეფონის სადენი იატაკზე იყო დასტეპლერებული უახლოეს სატელეფონო აპარატამდე. ეს დედაჩემის მოთხოვნა იყო, რომ ადვილად გვეკონტაქტა. ჩემი ბავშვობის დროინდელი სარწეველა სავარძელი ისევ კუთხეში იდგა.

კიბის თავში ერთადერთი პატარა სააბაზანო იყო, რომლის ჩარლისთან გაზიარებაც მომიწევდა. ვცდილობდი ამაზე ბევრი არ მეფიქრა.

ჩარლის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება ისაა, რომ თავს არ მოგაბეზრებს. მარტო დამტოვა, რომ მშვიდად ამოვბარგებულიყავი და დავლაგებულიყავი, ასეთი გმირობები დედაჩემს ნამდვილად არ შეეძლო. მარტო ყოფნა კარგი იყო, რადგან იძულებული არ ვიყავი ყალბად გამეღიმა და კმაყოფილი გამომეტყველება მიმეღო; შვებას ვგრძნობდი, როცა მოღუშული მივჩერებოდი თავსხმა წვიმას და რამდენიმე ცრემლის წვეთს გაქცევის ნებას ვაძლევდი. თუმცა ნამდვილი ტირილის გაგრძელების ხასიათზე არ ვიყავი. ამას ძილისწინისთვის შემოვინახავ, როცა მომავალ დილაზე ფიქრი მომიწევს.

ფორქსის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა შემაშინებლად უდრის მხოლოდ 357- ამიერიდან 358 მოსწავლეს. იქ, საიდანაც ჩამოვედი, მხოლოდ დაბალ კლასში სწავლობდა 700ზე მეტი მოსწავლე. აქ ყველა ბავშვი ერთად გაიზარდა- ალბათ მათმა ბებია-ბაბუებმაც ერთად აიდგეს ფეხი.

MYTOPBOOK.ORG

მე აქ ალბათ ახალი გოგონა ვიქნები, დიდი ქალაქიდან, ცნობისმოყვარეობის ობიექტი, უცნაურობა.

შეიძლება ტიპიურ ფენიქსელ გოგოებს რომ ვგვანებოდი, ეს ჩემს უპირატესობად მექცია. მაგრამ გარეგნულად, ვერცერთ ადგილს ვერ ვერგები. *უნდა* ვყოფილიყავი გარუჯული, სპორტული, ქერა- ფრენბურთის მოთამაშე ან გულშემატკივართა გუნდის კაპიტანი- ეს ყველაფერი ხომ მზიან მხარეში ცხოვრებას შეესაბამება.

ამის ნაცვლად, სპილოსძვლისფერკანიანი, ყავისფერი თვალები და არაჟღალთმიანიც კი ვიყავი მუდმივი მზიანი ამინდის მიუხედავად. ყოველთვის გამხდარი ვიყავი, თუმცა რაღაცნაირად ნაზი, აშკარად არაათლეტური; საჭირო კოორდინაციის უნარი მაკლდა რომ საკუთარი თავი არ დამემცირებინა სპორტის თამაშის დროს და ჩემი თავი და ჩემთან ახლოს მდგომიც არ დამეშავებინა.

როცა ტანსაცმლის ძველ ფიჭვის კარადაში შელაგებას მოვრჩი, სააბაზანოს ნივთებიანი ჩანთა ავიღე და საერთო სააბაზანოში შევედი, რომ მთელი დღის მგზავრობის შემდეგ თავი მომეწესრიგებინა. სარკეში საკუთარ სახეს ვუყურებდი და თან აბურდულ, ნესტიან თმას ვივარცხნიდი. შეიძლება სინათლის ბრალი იყო, მაგრამ უკვე გაყვითლებული, ავადმყოფური შესახედაობა მქონდა. შეიძლებოდა ლამაზი კანი მქონოდა- რადგან ძალიან ნათელი იყო, თითქმის გამჭვირვალე- მაგრამ ყველაფერი ფერზე იყო დამოკიდებული. აქ ფერი საერთოდ არ მქონდა.

ჩემს ფერმიხდილ ანარეკლს რომ ვუყურებდი, იძულებული გავხდი ჩემს თავს გამოვტყდომოდი, რომ თავს ვიტყუებდი. საქმე მხოლოდ ის არ იყო, რომ ფიზიკურად ვერასდროს მოვერგებოდი ფორქსს, თუ ჩემი ადგილი სამათასიან სკოლაში ვერ ვიპოვე, რა შანსი მქონდა აქ?

ჩემი ასაკის ბავშვებს კარგად ვერ ვეწყობოდი. შეიძლება უფრო მართალი ის იყო, რომ ვერანაირი ასაკის ხალხს ვერ ვეწყობოდი. დედაჩემთანაც კი, რომელთანაც მთელი პლანეტის მცხოვრებლებს შორის ყველაზე ახლოს ვიყავი, არასდროს მქონია ჰარმონიული ურთიერთობა, ის არასდროს იყო ზუსტად ჩემს ტალღაზე მომართული. ზოგჯერ მიკვირდა, მეც იგივეს ვხედავდი თუ არა რასაც სხვები. იქნებ ჩემს ტვინში რაღაც ისე ვერ იყო.

MYTOPBOOK.ORG

თუმცა მიზეზს რა მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი შედეგი იყო. ხვალინდელი დღე კი უბრალოდ დასაწყისი იქნებოდა.

ღამე კარგად არ მეძინა, გულიანი ტირილის შემდეგაც კი. მუდმივ წვიმის *შხაპუნს* და ქარის ქროლას სახურავზე ვერა და ვერ ვეგუებოდი. საბანი თავზე წავიფარე, ამას მოგვიანებით ბალიშიც დავუმატე. მაგრამ შუაღამემდე მაინც ვერ დავიძინე, სანამ ბოლოსდაბოლოს წვიმამ შედარებით წყნარად არ დაიწყო ცრა.

სქელი ნისლი იყო ერთადერთი რამ რაც დილას ჩემი ფანჯრის მიღმა დავინახე და ვიგრძენი როგორ დამიარა კლაუსტროფობიის შეტევამ სხეულში. აქ ცას ვერასდროს ნახავდი; გალიასავით იყო.

საუზმობა ჩარლისთან ერთად წყნარი მოვლენა იყო. მან წარმატება მისურვა სკოლაში. მადლობა კი გადავუხადე, მაგრამ ვიცოდი ტყუილად ჰქონდა ამ წარმატების იმედი. იღბალი და მე მაინცდამაინც დიდი მეგობრები ვერ ვიყავით. ჩარლი პირველი წავიდა პოლიციის შტაბში, რომელიც მისი ცოლიც იყო და ოჯახიც. მისი წასვლის შემდეგ კვადრატული ფორმის ძველ, მუხის მაგიდასთან ერთ-ერთ შეუფერებელ სკამზე ჩამოვჯექი, და მისი მუქი პანელებით მორთულკედლებიანი, კაშკაშა ყვითელ სათავსოებიანი და თეთრი ლინოლეუმის იატაკიანი სამზარეულოს თვალიერება დავიწყე. არაფერი შეცვლილა. დედაჩემმა კარადები 18 წლის წინ ყვითლად შეღება, როცა ცდილობდა რომ სახლში მზის სინათლე შემოეტანა. მომიჯნავე ცხვირსახოცის ზომის ოთახში პატარა ბუხარი და მასზე სურათების მწკრივი იდგა. პირველი ქორწილის სურათი იყო, ჩარლი და დედაჩემი ლას ვეგასში, შემდეგ სურათზე ჩვენ სამნი, ჩემი დაბადების შემდეგ დამხმარე მედდის მიერ გადაღებული, ამას მოჰყვებოდა ჩემი სკოლის სურათების სერია გასულ წლამდე. მათი თვალიერება არ მსიამოვნებდა- ვნახოთ რა გამომივა, როცა ჩარლის ვთხოვ სადმე სხვაგან დაალაგოს, ყოველ შემთხვევაში სანამ აქ ვცხოვრობ.

შეუძლებელი იყო ყოფილიყავი ამ სახლში და ვერ მიმხვდარიყავი, რომ ჩარლის დედაჩემი არასდროს დავიწყებია. ამის შეგრძნებამ უხერხულობაში ჩამაგდო.

MYTOPBOOK.ORG

არ მინდოდა სკოლაში ძალიან ადრე მივსულიყავი, მაგრამ სახლში გაჩერებაც აღარ შემეძლო. ქურთუკი ჩავიცვი, რომელიც ვირუსებისგან, ბაქტერიებისგან და ტოქსინებისგან დამცავ სკაფანდრს უფრო წააგავდა და წვიმაში გავაბოტე.

ჯერ მხოლოდ ცრიდა, ასე რომ სანამ უცბად ავიღებდი გასაღებს მუდმივი სამალავიდან, კარის ზემოთ შვერილიდან და კარს დავკეტავდი არ დავსველებულვარ. ჩემი ახალი წყალგაუმტარი ჩექმების ჭყაპუნი ნერვებს მიშლიდა. სიარულის დროს ქვიშის ჩვეულებრივი ხრაშუნი მენატრებოდა. ძალიან კი მინდოდა გავჩერებულიყავი და კიდევ ერთხელ აღვფრთოვანებულიყავი ჩემი პიკაპით, მაგრამ ძალიან ვჩქარობდი ნისლიან ნესტს გავქცეოდი, რომელიც ჩემს თავზემოთ ტრიალებდა და კაპიუშონის ქვეშ ეკვროდა ჩემს თმას.

პიკაპში სასიამოვნო სიმშრალე იყო. ბილის ან ჩარლის აშკარად დაესუფთავებინა ის, მაგრამ მუქი ფერის ნაჭერგადაკრულ სავარძლებს მაინც ასდიოდა თამბაქოს, ბენზინისა და პიტნის ოდნავ შესამჩნევი სუნი. ძრავა სწრაფად დაიქოქა, ჩემდა სანუგეშოდ, თუმცა ხმამაღლა, ღრიალით გამოცოცხლდა და ნელ-ნელა უფრო აუწია ხმას. ასეთ ძველ პიკაპს რომ აუცილებლად უნდა ჰქონოდა ნაკლი, სავალდებულოც კი იყო. ანტიკვარული რადიო მუშაობდა, ამას კი ნამდვილად არ ველოდი.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არასოდეს მენახა მისი მოძებნა ძალიან ადვილი აღმოჩნდა. როგორც ბევრ ქალაქში, სკოლა ავტოსტრადის უკან აღმოჩნდა. ქუჩების უმეტესობა ფორქსს არმოსავლეთ–დასავლეთით კვეთდა და ანბანის ასოებით იყო აღნიშნული. ასე რომ სკოლა აღმოსავლეთის ქუჩა „ბ: ს და სპარტან–ავენიუს გადაკვეთაზე იყო. რატომღაც ქუჩის სახელი „ აღმოსავლეთის ქუჩა „ ბ“ სასაცილოდ მომეჩვენა, და ჩავიხითხითე. ხოო!.. ნერვები მღალატობს.

სკოლა არაფრით იყო გამორჩეული – ის მუქი წითელი აგურით აშენებული რამდენიმე შენობისაგან შედგებოდა და მხოლოდ აბრა მიგვანიშნებდა მის დანიშნულებას – „ფორქსის საშუალო სკოლა“. მის გარშემო იმდენი ხე და ბუჩქი იზრდებოდა, რომ თავდაპირველად მაშინვე ვერ შევძელი მათი ჭეშმარიტი ზომების განსაზღვრა. „სადაა აქ სკოლის

MYTOPBOOK.ORG

სულისკვეთება?“– სევდით გავიფიქრე – “სადაა მაღალი ღობე და მეტალოდეტექტორები შესასვლელებში?“

მანქანა პირველივე კორპუსთან გავაჩერე, რომლის კარებზეც ეწერა „ადმინისტრაცია“. სადგომზე არცერთი მანქანა არ იდგა, ასე რომ დღე არც თუ ისე იმედიანად დაიწო. მაგრამ აქეთ–იქით ხეტიალს ჯობია შევიდე და ცხრილი ავიღო. გადმოვედი თბილი სალონიდან, გავუყევი ქვის გზას, კარებზე დავაკაკუნე, ღრმად ჩვისუნთქე და შევედი.

ადმინისტრაციის კორპუსი ძალიან თბილი და ნათელი იყო, რასაც ნამდვილად არ მოველოდი. კანცელარიის პატარა კაბინეტიც საკმაოდ კომფორტული აღმოჩნდა: დასაკეცი სავარძლები სტუმრებისათვის, ძირს ხალიჩა, კედლებზე დიდი რაოდენობით პლაკატები, განცხადებები და მოწიკწიკე საათი. ათზე მეტი მცენარე დავითვალე პლასტმასის ქოთნებში, თითქოს ქუჩაში საკმარისი სიმწვანე არ იყოს! არცთუ ისე მაღალი დახლი, რომელზეც დიდი რაოდენობით ფერადი საქაღალდეები ელაგა ოთახს ორ ნაწილად ყოფდა. დახლის მიღმა სამი მაგიდა იდგა, ერთ–ერთთან კი სათვალეებიანი, დიდი წითური ქალი იჯდა. უცნობს ჯინსი და ბორდოსფერი მაისური ეცვა, მის დანახვისთანავე თავი სიცივეს მიუჩვეველ სამხრეთელად ვიგრძენი.

ქალმა შემომხედა.

–რით შემიძლია დაგეხმაროთ?– მკითხა ადმინისტრატორმა. როგორც ჩანს ქალი უცხოების დანახვას მიჩვეული არ იყო.

–იზაბელა სვონი– გავეცანი მე და ქალმა თავი დამიქნია. როგორც ჩანს აქ აშკარა ცნობისმოყვარეობით მელოდნენ: პოლიციის შეფის და მისი თავქარიანი მეუღლის შვილი მშობლიურ ქალაქში ბრუნდება!

–რათქმა უნდა!–წამიყვირა ქალმა და სასწრაფოდ შეუდგა დოკუმეტების ქექვას.– აი თქვენი ცხრილი და სკოლის რუქა–როგორც იქნა მითხრა მან, და დახლზე რამდენიმე ფურცელი დამიდო.

MYTOPBOOK.ORG

ადმინისტრატორმა ჩამომითვალა საგნები რომლებიც უნდა მესწავლა და ამიხსნა როგორ უნდა მიმეგნო საჭირო კლასებისა და ლაბორატორიებისათვის, შემდეგ მომაწოდა ანკეტა, რომელიც დღის ბოლომდე მასწავლებლების ხელმოწერებით უნდა დამებრუნებინა .

–იმედია, ფორქსში უოფნა მოგეწონება!– გრძნობით მითხრა ქალმა.

შევეცადე ღიმილი თავაზიანი და გულწრფელი გამომსვლოდა.

როდესაც სადგომზე გამოვედი, თავისუფალი ადგილი თითქმის აღარ იყო. პირველ გაკვეთილამდე სულ ცოტა დრო მრჩებოდა და გადავწყვიტე სკოლის ტერიტორიისათვის გვერდი ამეარა. გამიხარდა რომ მოსწავლეების უმეტესობას ჩემსავით ძველი მანქანები ყავდათ. ფენიქსში ღარიბ რაიონში ვცხოვრობდი, რომელიც ბედის ირონიით ახალ პრესტიჟულ უბანს ესაზღვრებოდა, ამიტომ სკოლის სადგომზე ახალი მერსედესის ან პორშეს დანახვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აქ კი ყველაზე კარგ მანქანად მბზინავი „ვოლვო“ ჩანდა, რომელიც ძალიან გამოირჩეოდა საერთო ფონიდან. მანქანა ყველაზე ნაკლებად შესამჩნევ ადგილზე გავაჩერე, რომ ძრავის ღმუილს ზედმეტი ყურადღება არ მიექცია. მაქანაში ვიჯექი და სკოლის რუქას ვუყურებდი, ვცდილობდი რაც შეიძლება მეტი რამ დამემახსოვრებინა. არანაირი სურვილი არ მქონდა რუქაში ცხვირჩარგულს მევლო სკოლაში. მგონი ყველაფერი მზადაა. ჩანთა ჩავალაგე,მხარზე მოვიკიდე და ისევ ღრმად ჩვისუნთქე. „ყველაფერი კარგად იქნება– ვიმეორებდი და საკუთარი თავის არ მჯეროდა,– არავინ არ შემჭამს“ ხმაურიანად ამოვისუნთქე და პიკაპიდან გადმოვედი.

საყელო ავწიე, კაპიუშონი წარბებამდე ჩამოვიფხატე და შევეცადე მოსწავლეების ხმაურიან ნაკადს შევრეოდი. აქ ჩემი შავი ქურთუკი თვალშისაცემი არ იყო, რაც ძალიან მახარებდა.

სწრაფად ვიპოვე კაფეტერია და მის უკან კი კორპუსი #3, რომელსაც უზარმაზარი შავი სამიანი ეწერა კვადრატულ, თეთრ ფონზე. სულ ოთხი კარი მოჩანდა , ასე რომ საჭირო კარის მოძებნა არ გამიჭირდა. მუხლები

MYTOPBOOK.ORG

სულ უფრო და უფრო მიკანკალებდა, თითისწვრებზე შევყევი კლასში ორ ფიგურას ჯინსის პლაშებში.

რა პატარა კლასებია ამ სკოლაში! ჩემამდე შესულებმა სველი პლაშები გაიხადეს და საკიდზე დაკიდეს, მეც მათ მივბძე. ეს ორი ფიგურა გოგოები აღმოჩნდნენ– ფერმკრთალი ქერა და შავგვრემანი. მშვენიერია ჩემი კანის ფერი აქ ნამდვილად არავის გააოცებს.

ანკეტა ხელმოსაწერად მასწავლებელს მივაწოდე, რომელსაც მაგიდაზე მდგარი პატარა დაფიდან თუ ვიმსჯელებდით მისტერ მეისონი ერქვა. მეისონმა ჩემი გვარი წაიკითხა თუ არა გამომცდელად შემომხედა, და მშინვე ყურებამდე გავწითლდი. ბოლო მერხზე მომიწია დაჯდომა, ეს კარგი იყო რადგან ნაკლები თვალი მომაშტერდებოდა, მაგრამ ჩემს ახალ თანაკლასელებს არც ამან შეუშალა ხელი, მე კი თავი მოვიჩვენე თითქოს წიგნების სიას ვკითხულობდი. სიაში ავტორების ჩვეუებრივი კრებული იყო: ბრონტე, შექსპირი, ჩოსერი, ფოლკნერი. სიიდან თითქმის ყველა წიგნი მქონდა წაკითხული და შვება ვიგრძენიმ მაგრამ იმედიც გამიცრუვდა. ნეტა დედა თუ დამთანხმდება ჩემი ძველი დავალებები გამომიგზავნოს, თუ მეტყვის რომ ასე მოქცევა არ არ შეიძლება. ცალი ყურით ვუსმენდი, მასწავლებლის მონოტორულ საუბარ, თან გონებაში მიზეზებს ვალაგებდი, რომლებითაც შევძლებდი დედაჩემის დარწმუნებას.

როგორც იქნა ზარი დაირეკა, რომლსაც უჩვეულო მოგუდული ხმა ქონდა. მაღალი გამონაყარიანი ბიჭი მომიახლვდა, რომელსაც აშკარად დალაპარაკება სურდა.

–შენ ხომ იზაბელა სვონი ხარ?–ფართო ღიმილით მკითხა მან.

–ბელა– დავუზუსტე მე. ვინც კი სამი მეტრის რადიუსში იდგა ყველა რვეულებით ხელში გაშეშდა.

–რა საგანი გაქვს ამის შემდეგ?–დაინტერესდა ბიჭი , მე კი ჩანთაში ჩაძვრომა მომიწია ცხრილის სანახავად.

MYTOPBOOK.ORG

–პოლიტოლოგია , ბატონ ჯეფერსონთან მეექვსე კორპუსში–არ ვიცოდი საით გამეხედა–ირგვლივ ყველგან ცნობისმოყვარეობით მოცომციმე თვალები იყო.

–მე მეოთხე კორპუსში მივდივარდა შემიძლია გაგაცილო!

ღმერთო ჩემო, ამას როგორც ჩანს ადვილად თავს ვერ დავაღწევ...

–მართლა, მე ერიკი მქვია

–მადლობ – ჩავიბუტბუტე.

ქურთუკები ჩავიცვით და წვიმაში გავედით, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერებულიყო. რატომღაც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უკან ვიღაცა კვალდაკვალ მოგვყვებოდა და გვისმენდა. იმედია პარანოია არ მემართება!

–ჩვენი ქალაქი ფენიქსს საერთოდ არ ჰგავს არა?–მკითხა ერიკმა.

–ნამდვილად.

–ალბათ იქ თითქმის არ წვიმს.

–არა როგორ არა , რამდენჯერმე წელიწადში.

–ვერც კი წარმომიდგენია უწვიმობა– გაოცებულმა წამოიძახა ბიჭმა.

– მზე ანათებს– ავუხსენი მე.

–რაღაც ძალიან გარუჯული არ ხარ– შენიშნა ერიკმა.

–დედა ალბინოსი მყავს.

ბიჭმა ყურადღებით შემომხედა და ამოისუნთქა. როგორც ჩანს წვიმა და იუმორის გრძნობა ერთად ვერ თანხმდებიან. რა საშინელებაა, ნუთუ რამდენიმე თვეში მეც დამავიწყდება რა არის სარკაზმი.

ერიკმა კარმადე მიმაცილა, ალბათ ეშინოდა არ დავკარგულიყავი.

MYTOPBOOK.ORG

–აბა კარგად–დამემშვიდობა როდესაც კარი შევაღე–იმედი მაქვს ხშირად გნახავ ხოლმე.– ენთუზიაზმით მითხრა ბიჭმა!

მე გამახნევებლად გავუღიმე და შევედი.

დილა ჩვეულებრივ მიდიოდა. ტრიგონომეტრიის მასწავლებელმა, მისტერ ბარნერმა, რომელიც თავიდანვე არ მომეწონა, მაიძულა მთელი კლასის წინაშე მომეყოლა ჩემს შესახებ. გავწითლდი, ჩუმად ვლაპარაკობდი, სიტყვები მერეოდა, დასაჯდომად რომ წავედი წავბორძიკდი და ლამის წავიქეცი.

ორი გაკვეთილის შემდეგ თანდათან დავიწყე სახელების დამახსოვრება. ყველა კლასში იყო რამდენიმე გამბედავი ბავშვი, რომლებიც მოდიოდნენ,მეცნობოდნენ და მეკითხებოდნენ მომწონდა თუ არა ფორქსი. მე ვცდილობდი რაც შეიძლება თავაზიანი ვყოფილიყავი და ტყუილს ტყუილზე ვამბობდი. სამაგიეროდ რუქა საერთოდ არ დამჭირდა.

ერთ გოგონასთან ერთად ტრიგონომეტრიაზე და ესპანურზე ვიჯექი, შემდეგ კი ერთად წავედით ლანჩზე. ჩემი ახალი ნაცნობი მინიატურული იყო, ათი სანტიმეტრით მაინც ჩემზე დაბალი, მაგრამ მუქი კულულები ამ განსხვავებას შეუმჩნეველს ხდიდა. მისი სახელი ვერ დავიმახსოვრე და დაბნეული ვუღიმოდი და თავს ვუქნევდი, მაშინ როდესაც ის გაუჩერებალდ ლაპარაკობდა მასწავლებლებზე და გაკვეთილებზე.

მის მეგობრებთან ერთად დავსხედით მაგიდასთან. ყველას სახელი მაშინვე დამავიწყდა, მით უმეტეს რომ დანარჩენები ხუჭუჭა დაქალთან შედარებით ძალიან მორცხვები აღმოჩნდნენ.

ერიკმა დარბაზის მეორე ბოლოდან ხელი დამიქნია.

სწორედ მაშინ, ლანჩის დროს, ახალ ნაცნობებთან ლაპარაკისას დავინახე ისინი პირველად.

ხუთნი იყვნენ და დარბაზის ყველაზე მოშორებულ კუთხეში ისხდნენ, არ ლაპარაკობდნენ და არ ჭამდნენ, მიუხედავად იმისა რომ ყველა მათგანს წინ საჭმლით სავსე ლანგარი ედო. ისინი ვერ მამჩნევდნენ, ასე რომ შემეძლო ჩუმად მეთვალთვალა მათთვის და არ შემშინებოდა რომ

MYTOPBOOK.ORG

ცნობისმოყვარე მზერას წავაწყდებოდი. ჩემი ყურადღება ნამდვილად არ იყო გამწვეული მათი მხრიდან უყურადღებობით . ძალიან განსხვავებულები იყვნენ! სამი ბიჭიდან ერთი–დიდი, დაკუნთული, როგორც შტანგისტი, მუქი ხვეული თმით. მეორე– ქერა, მაღალი მაგრამ ისეთივე დაკუნთული. მეამე–მაღალი, უწესრიგო **ბრინჯაოსფერი** ხვეული თმით. ის თავის მეგობრებზე პატარ ჩანდა, რომლებიც სტუდენტებს და მასწავლებლებსაც კი გავდნენ.

გოგონებიც განსხვავებულები ტიპები იყვნენ. ერთი მაღალი, გამხდარი, გრძელი ოქროსფერი თმით და ფოტომოდელის ფიგურით. ზუსტად ასეთი გოგოები არიან ხოლმე ხშირად ჟურნალების გარეკანზე. მასთან შედარებით დანარჩენი გოგოები სასადილოში საძაგელ ჭუკებს გავდნენ. მეორე მინიატურული გოგონა იყო შავი აწეწილი თმით, რომელიც ძალიან გავდა ელფს.

და მაინც, მათ მაინც რაღაც საერთო ჰქონდათ—— ისინი მკვდარივით ფერმკრთალნი იყვნენ, ფერმკრთალნი ნებისმიერ ამ მზეს მონატრებულ ქალაქის მცხოვრებლებზე. ჩემზე ფერმკრთალებიც კი, მე ხომ უკვე მეორე თაობის ალბინოსი ვიყავი. თმების განსხვავებული შეფერილობის მიუხედავად, ხუთივეს თითქმის შავი თვალები ჰქონდათ და მათ ქვეშ მუქი რგოლები, თითქოს რამოდენიმე ღამეა არ უძინიათ. დიდებული სახის ნაკვთები ჰქონდათ , როგორც მეფეების პროფილი უძველეს მონეტებზე.

მაგრამ ესეც არ იყო იმის მიზეზი, რომ თვალს ვერ ვწყვიტავდი ამ უცნაურ ხუთეულს.

მე მათ ვუყურებდი, იმიტომ რომ ცხოვრებაში არაფერი მინახავს უფრო მშვენიერი, ვიდრე მათი სახეები, განსხვავებული და ამავდროულად მსგავსები. სკოლაში, შტატისგარე პატარა ქალაქში ასეთებს ვერ შეხვდები—— მხოლოდ ჟურნალის ყდებზე და ჰოლანდიელი ოსტატების ტილოებზე. ძნელი სათქმელია ვინ იყო ყველაძე ლამაზი, სკულპტურის ქერათმიანი გოგონა თუ ბიჭი ბრინჯაოსფერი თმებით.

ისინი სადღაც შორს იყურებოდნენ, ვერც ერთმანეთს ამჩნევდნენ და ვერც დანარჩენ მოსწავლეებს. აი გოგონა რომელიც ელფს გავს წამოდგა ,

MYTOPBOOK.ORG

აიღო ლანგარი , ხელუხლებელი დესერტით , სავსე კოკაკოლის ჭიქით და წავიდა გასასვლელისკენ მანეკენის გრაციოზული ნაბიჯებით. მოჯადოებული ვუყურებდი, შავ თმიანმა გოგომ როგორ გადააგდო ლანჩი, რომელსაც არც კი მიჰკარებია და გრაციოზულად განარნარდა სასადილოდან. თავს ძალა დავატანე და დავუგდე ყური თუ რაზე ლაპარაკობდნენ ჩემს მაგიდასთან.

–იქ ვინ ზის?– ვკითხე ხუჭუჭა გოგოს, თან ვცდილობდი გამეხსენებინა მისი სახელი. მან მიიხედა, რომ დაენახა ვინ მყავდა მხედველობაში, თუმცა ჩემი აღტაცებული ხმის მიხედვით ალბათ ყველაფერს მიხვდა. სწორედ ამ დროს ბიჭმა ბრონზისფერი თმით თავი აწია, ჯერ ჩემს ნაცნობს შეხედა, შემდეგ კი მე. **სწორედ იმ წამს ბრინჯაოსფერთმიანმა ბიჭმა თავი ასწია და ჯერ ჩემს ნაცნობს შეხედა, მერე მე. წამიერ გამოხედვაში ერთი წვეთი ინტერესიც კი არ იყო. მან მაშინვე გაიხედა, იმაზე უფრო სწრაფადაც კი სანამ მე** მოვასწრებდი .

გოგოებმა სულელურად ჩაიფხუკუნეს.

–ესენი ედვარდ და ემეტ კალენები არიან, ასევე როზალი და ჯასპერ ჰეილები, მინიატურული შავთმიანი გოგონა , რომელიც წავიდა ელის კალენია. ისინი ყველანი ერთად ცხოვრობენ, ექიმ კალენის ოჯახში– ჩურჩულით თქვა ხუჭუჭა გოგონამ.

მე ჩუმად შევხედე ყველაზე ახლაგაზრდას ამ უცნაურ კამპანიაში, ის გონებაგაფანტული უყურებდა საჭმლიან ლანგარს. მისი თხელი გრძელი თითები საჭმლის პატარა ნაჭრებს აქუცმაცებდა. გამოკვეთილი ტუჩები თითქმის შეუმჩნევლად მოძრაობდნენ, რაც იმას ნიშნავდა რომ ბიჭი მათ რაღაცას ეუბნებოდა, თუმცა მისი ნათესავები ისევ სადღაც შორს იყურებიან. უცნაური სახელები აქვთ, ასეთ სახელებს დიდიხანია უკვე აღარ არქმევენ! თუმცა ვინ იცის, იქნებ ფორქსში ძველი სახელებია მოდაში! როგორც იქნა ჩემი ხუჭუჭა ნაცნობის სახელი გავიხსენე. ჯესიკა! აი ეს ნამდვილად შესაფერისი სახელია ჩამი თანატოლისათვის. ფენიქსში ჩვენთან ყველა კლასში იყო ორი–სამი ჯესიკა მაინც.

–რა უცნაურად გამოიყურებიან...–წავიჩურჩულე მე. როდის აქეთაა ვიძახი იმას რასაც ვფიქობ?

MYTOPBOOK.ORG

–ნამდვილად– ნერვიულად ჩაეცინა ჯესიკას.–ისინი ყოველთვის ერთად არიან, ვგულისხმობ ემეტს და როზალის , ჯასპერს და ელისს თან ერთად ცხოვრობენ!– ეს ყველაფერი განკიცხვით იყო ნათქვამი. ალბათ მათ ამ პატარა ქალაქის ყველა მობინდრე ჭორავს ამ ოჯახს. თუმცა ვაღიარებ, რომ ასეთ ლამაზ ოჯახზე ფენიქსშიც კი ივლიდა ჭორები.

–კალენები რომლები არიან?–ვიკითხე მე– რაღაც ძალიან არ გვანან ერთმანეთს.

–რა თქმა უნდა არ გვანან! ისინი ხომ ნაშვილები არიან! ექიმი კალენი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა– ოცდაათზე ცოტა მეტის. ჰეილები ტყუპები არიან, კალენებმა ისინი აღსაზრდელად აიყვანეს..

–აღსაზრდელად ზედმეტად დიდები არ არიან?

—ახლა კი,მაგრამ —ჯასპერი და როზალი 18 წლისები არიან, ისინი ათი წელია რაც მისის კალენთან ცხოვრობრენ, ის მათი დეიდა, თუ რაღაც შორეული ნათესავია.

–ყოჩაღ მისის კალენ! ნაშვილებ ბავშვებს უვლის, თვითონ კი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა!

–ხო რავიცი–ცივად დამეთანხმა ჯესიკა, რატომღაც ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ჯესიკას ექიმი კალენი და მისი ცოლი არ უყვარდა. იქიდან გამომდინარე , როგორც ის მათ ნაშვილებ შვილებს უყურებს, საქმე ელემენტარულ შურთან გვაქვს.

– მემგონი მისის კალენი უნაყოფოა...–თქვა ჯესიკამ

გოგონას ვუსმენდი და თან უცნაურ ოთხეულს ვუყურებდი, რომლებიც აპათიურად ათვალიერებდნენ კედლებს.

–დიდიხანია რაც ფორქსში ცხოვრობენ?–ვიკითხე , თან მიკვირდა , როგორ არ მყავდა ისინი ადრე ნანახი, როცა ზაფხულში ჩამოვდიოდი.

–არა– ისეთი ტონთ მითხრა ჯესიკამ თითქოს ეს აშკარა იყო.–ორი წლის წინ გადმოვიდნენ ალიასკიდან.

MYTOPBOOK.ORG

უცებ სინანულისა და შვების მოზღვავება ვიგრძენი. სინანული იმიტომ რომ, მიუხედავად მათი სილამაზისა, ისინი აქ ყოველთვის უცხოები იქნებიან. ეს კი იმას ნიშნავს რომ მე ერთადერთი სიახლე არ ვარ სკოლაში და საბედნიეროდ არც ყველაზე პოპულარული.

დაინტრიგებული , ვაგრძელებდი მათ თვალიერებას. ყველაზე ახალგაზრდა ბიჭიმა, რომელიც ნამდვილად კალენი იყო, ისევ შემომხედა. ამჯერად ინტერესით მიყურებდა, და როდესაც თვალს ვარიდებდი , მის მუქ თვალებში, რაღაც იმედგაცრუების მსგავსი დავინახე.

–მოწითალოთმიან ბიჭს რა ქვია?–ვიკითხე მე, თან ჩუმად ვუყურებდი მის ლამაზ სახეს. ის ჯერ კიდევ მიყურებდა, მაგრამამ სხვებისგან განსხვავებით ცნობისმოყვარეობას არ იჩენდა. საინტერესოა ასე ძალიან რამ გაუცრუა იმედი. ?

–ედვარდი. რა თქმა უნდა ის გადასარევია , მაგრამ შეგიძლია მასზე ტყუილად არ დაკარგო დრო. ეს ამაყი არავის არ ხვდება. როგორც ჩანს ჩვენი გოგოები მისთვის საკმარისად კარგები ვერ არიან,–აშკარა წყენით თქვა ჯესიკამ. ნუთუ კალენმა მისი თავიდან მოშორება მოასწრო?

ვეცადე სიცილი შემეკავებინა და ტუჩზე ვიკბინე და ისევ ედვარდს შევხედე. ის უკვე სხვაგან იყურებოდა, მაგრამ მის ლოყებზე ნაჩხვლეტები ჩანდა, თოთქოს ისიც იღიმებოდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ოთხივე ადგა. რა მოხდენიალდ მოძრაობენ! მაღალი დაკუნთულიც კი მოცეკვავის გრაციას ფლობდა. სამწუხაროა რომ მიდიან... ედვარდ კალენს არც კი მოუხედავს.

ჯესიკასთან და მის მეგობრებთან დიდხანს ვიჯექი და ლამის მომდევნო გაკვეთილზე დავაგვიანე. პორველ დღესვე უსიამოვნებები არ მჭირდება. ერთი ჩემი ახალი ნაცნობი , რომელსაც ანჯელა ერქვა, ბიოლოგიაზე მოდიოდა. გზაში თითქმის არც გვილაპარაკია–ძალიან მორცხვი გოგოა.

ჩვენ კლასში შევედით და ანჯელა უკანა მერხზე დაჯდა. სამწუხაროდ მის გვერძე უკვე სხვა იჯდა. მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილი იყო შუა

MYTOPBOOK.ORG

რიგში. აჩეჩილი ბრინჯაოსფერი თმები, მუქი თვალები– მე ედვარდ კალენთან უნდა დავმჯადრიყავი.

ანკეტა მასწავლებელს მივაწოდე და თან ედვარდს ჩუმად ვუყურებდი. როდესაც ჩავუარე მან გაყინული მზერა მესროლა. საიდან არის მასში ამდენი ბოროტება? მოულოდნელობით წავბორძიკდი და ლამის დავეცი, იქვე მჯდარმა გოგომ ჩაიხითხითა.

ახლოდან მისი ყავისფერი თვალები , ნახშირივით შავი აღმოჩნდა.

მისტერ ბანერმა ხელი მოაწერა ანკეტას და წიგნი მომცა, სხვა მასწავლებლებივით უაზრო კითხვები არ დაუსვამს. როგორც ჩანს ერთმანეთს გავუგებთ. რათქმა უნდა მან კალენთან დაჯდომა შემომთავაზა. თვალები ძირს დავხარე, მივედი მერხთან და მის გვერდით დავჯექი.

წიგნი წინ დავიდე და თვალის კუთხით დავინახე, რომ კალენი სკამს მერხის ბოლოსკენ აჩოჩებდა და თან იჭმუხნებოდა, თითქოს ცუდმა სუნმა შეაწუხა! დაბნეულმა თმას დავყნოსე, მას მწვანე ვაშლის სუნი ჰქონდა– ჩემის საყვარელი შამპუნის არომატი. ყველაფერი რიგზე მქონდა. თმები თვალებზე ჩამოვიფარე, რომელიც ფარდის როლს ასრულებდა ჩემსა და კალენს შორის. რას ვიზამთ მომიწევს მისტერ ბანერს მოვუსმინო.

სამწუხაროდ ლექცია მოლეკულურ ანატომიაზე იყო, რომელიც უკვე ნასწავლი მქონდა. მომიწია ხელმეორედ მოსმენა და ჩაწერა. თავი ვერ შევიკავე და ჩამოფარებული თმებიდან გავხედე ჩემს მეზობელს, რომელიც მთელი გაკვეთილი მერხის კუთხეში იჯდა და ცდილობდა რაც შეიძლება შორს ყოფილიყო ჩემგან. დავინახე რომ მარცხენა ხელით მუშტი შეეკრა, და ფერმკრთალი კანის ქვეშ კი ვენები მოუჩანდა. როგორც ჩანს წყნარი ბიჭების რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნება. პიჯაკის გრძელი სახელოები იდაყვებამდე ჰქონდა აკეცილი, დავინახე როგორ თამაშობდნენ მისი კუნთები. აღმოჩნდა რომ ედვარდი სუსტი მხოლოდ თავის უფროს ძმასთან შედარებით ჩანდა.

მეჩვენებოდა, რომ გაკვეთილი უსასრულოდ გაიწელა. საინტერესოა იმიტომ რომ ბოლოს წინა იყო , თუ იმიტომ რომ ველოდებოდი როდის გაიხსნებიდა საშინელი მუშტი? მაგრამ ვერ დაველოდე, კალენი თითქოს

MYTOPBOOK.ORG

მერხს შეეზარდა, რა ხდება? ნუთუ ყოველთვის ასე იქცევა? ალბათ ჯესიკა არც ისე აეაობიექტურია, რომ ამ ოჯახს ვერ იტანს. როგორც ჩანს აქ საქმე მხოლოდ შურში არ არის.

პრობლემა ჩემში როგორ უნდა იყოს, ედვარდი ხომ საერთოდ არ მიცნობს!

კიდევ ერთხელ შევხედე კალენს და მწარედ ვინანე. შავი თვალები ისეთი ზიზღით მიყურებდა რომ შევიბორკე. ამ დროს მივხვდი გამოთქმის მნიშვნელობას : „მოკლა მზერთ“

როგორც კი ზარი დაირეკა ედვარდი წამოხტა და კლასიდან გავარდა. აღმოჩნდა რომ ის მთელი თავით ჩემზე მაღალია.!

გაუნძრევლად ვიჯექი და ვუყურებდი როგორ გადიოდა კლასიდან. რატომ მექცევა ასე? რის გამო? საშინლად ვიყავი გაბრაზებული და ვცდილობდი ბრაზი ჩამეხშო, რადგან ჩემი გაბრაზება ყოველთვის ცრემლებით მთავრდება, პირველ დღეს სკოლაში ქვითინი კი ნამდვილად არ იყო საჭირო.

–იზაბელა სვონი ხარ ხომ?– გაისმა ხმა, მოვიხედე და სიმპათიური ბიჭი დავინახე, ქერა თმებით, რომელიც გელით ჰქონდა გაჩეჩილი. მისი მეგობრული ღიმილიდან გამომდინარე, მას ჩემი სუნი ნამდვილად არ აწუხებდა.

–ბელა– რბილად შევუსწორე მე.

–მე მაიკი მქვია.

–მიხარია შენი გაცნიობა მაიკ.

–გინდა შემდეგი კლასის მოძებნაში დაგეხმარები.

–ახლა ფიზკულტურა მაქვს და ვფიქრობ სპოტდარბაზს მეთვითონაც ვიპივი.

–მეც სპორტულ დარბაზში მივდივარ! – გახარებულმა წამოიძახა მაიკმა.

MYTOPBOOK.ORG

ალბათ ასეთ პატარა სკოლაში ასეთი დამთხვევები ხშირია.

ეზოში ერთად გავედით. ბიჭი გაუჩერებლად ლაპარაკობდა, მაგრამ მომაბეზრებელი არ ჩანდა.ის ფორქსში კალიფორნიიდან ჩამოვიდა ათი წლის წინ და მასაც ენატრებოდა მზე.

–რა კარგია რომ საერთო ინგლისური გვაქვს, ერთად დავსხდეთ. მგონი მაიკი ყველაზე სასიამოვნოა დღევანდელ ჩემ ნაცნობებში.

–ედვარდ კალენს რა უქენი?–სიცილით მკითხა მაიკმა როცა სპორტულ დარბაზში შევდიოდით– აშკარად მდგომარეობიდან იყო გამოსული.!

მე შევხტი. როგორც ჩანს არ მომეჩვენა და კალენი ყველასთან ასე არ იქცევა. რას ვიზამთ მომიწევს თავი გამოვიშტერო.

–კალენი ბიოლოგიაზე რო მიჯდა გვერდით ის ბიჭია?–გულგრილად ვიკითხე.

–კი–დამეთანხმა მაიკი– როგორც კი მის გვერდით დაჯექი, თითქოს მუცელი ასტკივდა.

–არ ვიცი– თავი გავაქნიე–ჩემთნ არ დაუჩივლია.

–ეგ ნამდვილად ავადმყოფია!–ახალი ნაცნობი ჩემს გვერდით მოაბოტებდა იმის ნაცვლად რომ კაცების გასახდელში წასულიყო.– სასწაული რომ მომხდარიყო და ჩემთან დაესვით, დროს ტყუოლად არ დავკარგავდი!

მისი გულწრფელი აღფრთოვანებისგან ცოტა უკეთ ვიგრძენი თავი.

მისტერ კლაპმა ფიზკულტურის მასწავლებელმა ფორმა შემირჩია, მაგრამ გამოცვლა არ დაუძალებია–პირველ დღეს შემეძლო მხოლოდ მეყურებინა. ფენიქსში ფიზკულტურა მაღალ კლასებში ნებაყოფლობითი იყო, აქ კი სავალდებულოა. ამაზე საშინელებას ვერც მოიფირებს კაცი.

ფრენბურთის ოთხ პარტიას ვუყურე და გამახსენდა რამდენი ტრამვა მივიღე და რამდენი მეგობარი დავკარგე ფრენბურთის თამაშით, და თავი ცუდათ ვიგრძენი.

MYTOPBOOK.ORG

როგორც იქნა ზარი დაირეკა. შვებით ამოვისუნთქე და ანკეტა კანცელარიაში წავიღე. წვიმას გადაეღო სამაგიეროდ ძლიერი, ცივი ქარი ქროდა. ქუდი კარგად დავიფარე , ხელები სახელოებში შევყავი და გავიქეცი.

როგორც კი შევედი ადმინისტრაციის თბილ კორპუსში მაშინვე შეშინებეულმა კარებისკენ გავიწიე. ადმინისტრაციის დახლთან ედვარდ კალენი იდგა. აჩეჩილი ბრონზიფერი თმები მაშინვე ვიცანი. მგონი ვერ გაიგო კარების დაჯახუნება. კედელს მივეყრდენი და სმენად გადავიქეცი.

დაბალი ძალიან სასიამოვნო ხმით კალენი ადმინისტრატორს ეკამათებოდა. უპრობლემოდ გავიგე რაც უნდოდა–მას უნდოდა ბიოლოგიის მეექვსე გაკვეთილი ნებისმიერ სხვა დღეზე გადაეტანა.

შეუძლებელია, ნუთუ ყველაფრის შუაში მართლა მე ვარ, არა ალბათ კლასში სანამ შევიდოდი რამე მოხდა. ცოტაა პრობლემები რომლებიც შეიძლება ბიჭს ქონდეს? არა მე რატომ უნდა ვეჯავრებოდე?

შემოსასვლელი კარები გაიღო და ქარმა დახლზე დალაგებული ფურცლები და ჩემი თმები ააფრიალა. პატარა გოგომ უჩუმრად გადასცა ადმინისტრატორს რაღაცა საქაღალდე და გავიდა. ედვარდ კალენი ნელა მოტრიალდა და ცივმა თვალებმა ისევ მესროლა ზიზღით სავსე მზერა. მისი გაბრაზებული სახეც კი ულამაზესი იყო. რაღაცა წამებით ცხოველური შიში ვიგრძენი– ამ ბიჭში არის რაღაცა ეშმაკისეული! ყოვლისმომცველი შიში გაქრა, მაგრამ კიდევ დიდხანს ვგრძნობდი თავს ცუდად.

–რას ვიზამთ ვერაფერს გავაწყობთ!– თქვა კალენმა დაბალი ხავერდოვანი ხმით–ყველაფერი ისე დარჩეს როგორც არის! მაპატიეთ რომ დრო წაგართვით.–ქუსლებზე შემოტრიალდა და უცებ გავიდა ქუჩაში.

აკანკალებული ფეხებით მივედი დახლთან და ადმინისტრატორს ანკეტა გადავეცი.

–როგორ ჩაიარა პირველმა დღემ?–მკითხა ქალმა

–ყველაფერი კარგადაა– ხმა მიკანკალებდა, ამიტომ პასუხი არადამაჯერებელი გამომივიდა.

MYTOPBOOK.ORG

როდესაც პიკაპთან მივედი, სადგომი თითქმის ცარიელი დამხვდა. მანქანაში სიმყუდროვე იყო. როგორც ჩანს ამ საშინელ ადგილას მანქანა იქნება ჩემი თავშესაფარი. საქარე მინას მივჩერებოდი და თან ვფიქრობი იმაზე რაც დღეს მოხდა,საკმაოდ მალე გავიყინე. ძრავა აღმუვლდა და აცრემლებული ჩარლისთან წავედი.

თავი მეორე

გადაშლილი წიგნი

მეორე დღე უკეთესი და უფრო მარტივი იყო.... და ამასთან უარესიც.

უკეთესი იმიტომ, რომ ჯერ არ წვიმდა, თუმცა ცა მუქი ნაცრიფერი ღრუბლებით იყო დაფარული. მარტივი იმიტომ რომ უკვე ვიცოდი სკოლაში რაც მელოდა. მაიკი ინგლისურზე ჩემს გვერდით იჯდა, შემდეგ კი ერიკის განრისხებული მზერის თანხლებით მომდევნო გაკვეთილზე გამაცილა. „იმედგაცრუებული ვიყავი“ გუშინდელთან შედარებით ისე აღარ მაშტერდებოდნენ. ლანჩზე მაიკთან, ერიკთან, ჯესიკასთან და კიდე რამდენიმე მოსწავლესთან ერთად მივედი. ურთიერთობები თანდათან ეწყობოდა.

უარესი იმიტომ, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი– ქარის ზუზუნში დაძინება ისევ გამჭირდა. ამასთან ერთად ტრიგონომეტრიაზე მისტერ ბარნერმა შეკითხვა დამისვა და არასწორად ვუპასუხე. ასევე მომიწია ფრენბურთის თამაში, ჩემი ჩაწოდებული ბურთი კი მოწინააღმდეგე გუნდის გოგოს თავში მოხვდა. ეს დღე უსაშნლესი **აღმოჩნდა**, მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ ედვარდ კალენი სკოლაში არ გამოჩენილა.

MYTOPBOOK.ORG

მთელი დილა აღელვებული ველოდი ლანჩს სადაც ცივ, ზიზღით სავსე მზერას შევხვდებოდი. ზოგჯერ მინდოდა კიდეც, რომ მივსულიყავი მასთან და მეკითხა რაში იყო საქმე. ღამე დიდი ტექსტიც მოვამზადე, მაგრამ თავს ტყუილად ვიტყუებ, არასდროს მეყოფა გამბედაობა კალენს პირველმა დაველაპარაკო!

მე და ჯესიკა სასადილოში შევედით. დარბაზს თვალი შემოვავლე, მისი უცნაური ნათესავები დავინახე, მაგრამ თითონ ედვარდი არსად ჩანდა.

ამ დროს მაიკი დაგვეწია და იმ მაგიდასთან წაგვიყვანა სადაც მისი მეგობრები ისხდნენ. ვცდილობდი მათი საუბრისთვის მომესმინა, მაგრამ სინამდვილეში მოუთმენლად ველოდებოდი ედვარდის გამოჩენას. იმედი მქონდა რომ შემოვიდოდა, ყურადღებსა არ მომაქცევდა და ჩემი ყველა ეჭვი გაიფანტებოდა. მაგრამ კალენი არ გამოჩენილა, მე კი თანდათან უფრო ვნერვიულობდი.

ბიოლოგიის გაკვეთილზე დამძიმებული გულით წავედი. მაიკი მაცილებდა და თან ოქროსფერი რეტრივერების თვისებებზე მელაპარაკებოდა. სუნთქვა შეკრულმა ხელი ვკარი კარებს– კალენი კლასში არ აღმოჩნდა და იმედგაცრუებული წავედი ჩემი ადგილისაკენ. მაიკი არცერთი ნაბიჯით არ მრჩებოდა და ზარის დარეკვამდე ზაფხულის არდადეგების გეგმებს მიზიარებდა. ნაღვლიანად გამიღიმა და თავის მერხისკენ წავიდა, სადაც მუქკანიან გოგონასთან იჯდა. სამწუხაროდ, მომიწევს მაიკს რამე მოვუხერხო! პატარა ქალაქში სიფრთხილეა საჭირო, მე განსაკითრებული ტაქტით არ გამოვირჩეოდი, მეგობრები კი თითქმის არ მყავდა.

მერხთან მარტო ჯდომა ძალიან მოხერხებულია. ყოველ შემთხვევაში ვცდილობდი ამაში თავი დამერწმუნებინა. თუმცა ძნელი აღმოჩნდა იმ აზრის იგნორირება რომ კალენი სკოლაში ჩემს გამო არ მოვიდა. გულუბრყვილობაა ჩემი მხრიდან იმაზე ფიქრი რომ , ამ უცხო ბიჭზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოვახდინე. რა სისულელეა!

როგორც იქნა ბოლო გაკვეთილი დამთავრდა. სასწრაფოდ გავიქეცი გასახდელში, სადაც ჯინსი და მუქი ლურჯი სვიტერი ჩავიცვი.

MYTOPBOOK.ORG

საბედნიეროდ მაიკს შეუმჩნევლად გავეპარე და გადავურჩი მის ლექციას რეტრივერებზე. ჩქარა გავედი სადგომზე, რადგან მინდოდა ჩემი ახალი ნაცნობებისთვის გამესწრო. არავისთან ლაპარაკის სურვილი არ მქონდა, მანქანაში ჩავჯექი და ჩანთის ქექვა დავიწყე, რომ მენახა ყველაფერი ადგილზე იყო თუ არა.

გუშინ საღამოს აღმოვაჩნე , რომ ჩარლიმ მხოლოდ კვერცხის შეწვა იცოდა. გადავწყვიტე ყოველდღე მომემზადებინა მისთვის საუზმე და ვახშამი. სახლში პროდუქტები თითქმის არ იყო. სია შევადგინე, ფული თუნუის ქილიდან ავიღე, რომელსაც ეწერა „საჭმლისთვის“ და სკოლის შემდეგ გადავწყვიტე სუპერმარკეტში შევსულიყავი.

გასაღები გადავატრიალე და მანქანა გამაყრუებელი ხმაურით დაიძრა. ყურადღება არ მიმიქცევია მოსწავლეებისათვის რომლებიც ყურებზე ხელებს იფარებდნენ ხმაურის გამო და დაველოდე ჩემ ჯერს სკოლის კარებში გასასვლელად. მანქანაში ვიჯექი და თავი ისე მეჭირა თითქოს ამ საშნელ ხმას სხვა მანქანა გამოსცემდა. ამ დროს დავინახე კალენები და ჰეილები, რომლებიც ახალ „ვოლვოში“ სხდებოდნენ. მათი ლამაზი სახეებით მოჯადოებულს, ადრე მათი ტანსაცმლისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და მხოლოდ ეხლა შევნიშნე, რომ უბრალოდ კი ეცვათ მაგრამ ემჩნეოდათ, რომ ტანსაცმელი ძვირფასი იყო, ალბათ რომელიმე საავტორო კოლექციიდან. ფული და სილამაზე–ეს უკვე ზედმეტია! ასე ხშირად ხდება ხოლმე და არც კალენები იყვნენ გამონაკლისები, თუმცა ასეთ პატარა ქალაქში ეს მათთვის არც ისე სახაებიელო უნდა ყოფილიყო.

საქმე მარტო ფორქსში არ არის, როგორც ჩანს კალენებს მოწონთ იზოლაციაში ყოფნა, რადგან ვერ წარმომიდგენია კარი, რომელიც მათი სილამაზის წინ დახურული იქნება.

როგორც ყველა, კალენებიც უყურებდნენ ჩემს პიკაპს. მე პირდაპირ ვიყურებოდი და შვებით ამოვისუნთქე, როცა სკოლის საზღვრებს გავცდი.

სუპერმარკეტი ახლოს აღმოჩნდა, სკოლიდან სამხრეთით სულ რამდენიმე ქუჩის შემდეგ. ფორქსისთვის საკმაოდ დიდი აღმოჩნდა და

MYTOPBOOK.ORG

თავი კარგად ვიგრძენი. შეგიძლია ათვარიელო რაც გინდა ისე, რომ წვიმის წვეთების ხმა არ გაწუხებდეს. ფენიქსშიც ყოველთვის მე ვყიდულობი პროდუქტებს , ამიტომ ყველაფერს მალე მივაგენი.

სახლში მისულმა პროდუქტები ჩემებურად დავალაგე, იმედია ჩარლი წინააღმდეგი არ იქნება. დიდი კარტოფილები ფოლგაში გავახვიე და აირღუმელში შევალაგე, ხორცს კი მარინადი მოვუმზადე.

შემდეგ მაღლა ავედი, სველი ტანსაცმელი გამოვიცვალე და ნოტიო თმები შევიკარი. სანამ გაკვეთილებს შეუდგებოდე ელექტონულ ფოსტას შევამოწმებ.

სამი ახალი შეტყობინება დამხვდა

„ბელა,

– მწერდა დედა–გთხოვ როგორც კი ჩახვალ მომწერე! როგორ ჩაფრინდი? იმედი მაქ წვიმა ჯერ არ მოგწყინდა. ძალიან მენატრები! ფლორიდისთვის ყველაფერი გავამზადე მაგრამ ვარდისფერ მაისური ვერაფრით ვერ ვიპოვე. ნეტა სად გაქრა? ფილმა მოგიკითხა.

გკოცნი დედა“

ამოვიოხრე და მეორე წერილი გავხსენი რომელიც დედას პირველიდან რვა საათის შემდეგ გამოეგზავნა.

„ბელა!

რატომ არ მპასუხობ?

დედა“

ბოლო, დღეს დილით იყო გამოგზავნილი.

„იზაბელა!

ექვსის ნახევრამდე თუ არ მომწერ პასუხს ჩარლის დავურეკავ“.

MYTOPBOOK.ORG

საათს დავხედე. ხუთის ნახევარია. დედაჩემი რომ ვიცი, ჯობია ვიჩქარო.

„დედა

დაწყნარდი, ახლავე ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ. გთხოვ ნაჩქარევად ნურაფერს გააკეთებ.

ბელა“.

როგორც კი პირველი წერილი გავაგზავნე, მაშინვე მეორეს წერას შევუდექი.

„დედა!

ყველაფერი კარგადაა. რათქმაუნდა წვიმს. სკოლას არაუშავს, უბრალოდ უკვე ნასწავლის გამეორება მიწევს. უკვე გავიცანი ბავშვები, მათთან ერთად დავდივარ ლანჩზე.

ვარდისფერი კოფთა ქიმწმენდაშია, პარასკევს უნდა გამოგეტანა.

წარმოგიდგენია? ჩარლიმ პიკაპი მიყიდა! ძალიან მომწონს, ძველია მაგრამ საიმედო, რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია.

მეც ძალიან მომენატრე. როგორც კი რამე ახალი იქნება მოგწერ. ნუ ნერვიულობ ყველაფერი კარგადაა!

გკოცნი ბელა“

ლიტერატურაში „ჭექაქუხილის უღელტეხილს“ გავდიოდით, გადავწყვიტე გადამეკითხა და ისე გავერთე, რომ ჩარლის მოსვლა ძლივს გავიგე. სასწრაფოდ დაბლა ჩავედი, კარტოფილი გამოვიღე.

–ბელა შენ ხარ?– დამიძახა მამამ ნაბიჯების ხმაზე.

ნეტა კიდე ვის ელოდებოდა?

–გამარჯობა მამა! კეთილი იყოს შენი დაბრუნება.

MYTOPBOOK.ORG

–მადლობა– იარაღი მოიხსნა , თან მიყურებდა როგორ ვტრიალები სამზარეულლოში. როგორც ვიცოდი ჩარლის სამსახურში არასდროს გამოუყენებია იარაღი, მაგრამ ფისტოლეტი ყოველთვის მზდყოფნაში ქონდა. ბავშვობაში როცა ჩამოვდიოდი მამა მას ტყვიებს აცლიდა და მალავდა. ახლა კი როგორც ჩანს მიაჩნია რომ საკმარისად დიდი ვარ იმისთვის, რომ შემთხვევით თავი მოვიკლა, და საკმარისად ჭკვიანი იმისთვის რომ ეს განზრახ გავაკეთო.

–ვახშმად რა გვაქვს?– ფრთხილად იკითხა ჩარლიმ. დედას ექსპერიმენტების ჩატარება უყვარდა, თუმცა მისი შედევრების ჭამა ხშირად უსაფრთხო არ იყო. როგორც ჩანს ჩარლის ეს 17 წლის შემდეგაც არ დავიწყბია.

–შემწვარი კარტოფილი და დაბეგვილი ხორცი– ვუპასუხე და შვებით ამოისუნთქა.

ალბათ მისთვის უხერხული იყი უსაქმოდ დგომა, ის სასტუმრო ოთახში გავიდა და ტელევიზორი ჩართო. სანამ ხორცი გამზადდებოდა, სალათი გავაკეთე და მაგიდა გავშალე. მორჩა, შემიძლია ჩარლის დავუძახო!

–მადის აღმძვრელი სუნია– შემაქო მან.

–მადლობ!

რამდენიმე წუთი ჩუმად ვჭამდით. სიჩუმე არც მე მაწუხებდა და არც ჩარლის. ვფიქრობ, შევეჩვევით ერთმანეთს.

–სკოლა როგორ მოგეწონა? ახალი მეგობრები გყავს?– მკითხა მამამ როცა სალათის ჭამას მორჩა.

–ესპანურზე და ტრიგონომეტრიაზე ჯესიკასთან ვზივარ, ლანჩზე ერთად დავდივართ. კიდე მაიკი მომეწონა , მაღალი ქერათმიანი. მასთან არ მოიწყენ! სხვა მოსწავლეებსაც არაუშავთ ერთის გარდა.

MYTOPBOOK.ORG

–მაღალი და ქერათმიანი ალბათ მაიკ ნიუტონია. კარგი ბიჭია, კარგი ოჯახი ჰყავს. მამამისს ფორქსში სპორტული მაღაზია აქვს. საქმეები კარგად მისდის.

–კალენებს იცნობ?– გაუბედავად ვკითხე.

–ექიმი კალენი და მისი ოჯახი? ექიმი შესანიშნავი კაცია.

–ვშიშობ მისი შვილები.... ე–ე... არც ისე პოპულარულები არიან . სკოლაშ ისინი არ უყვართ.

ჩემდა გასაოცრად ჩარლი გაბრაზდა.

–ასეც ვიცოდი!–ჩაიბურტყინა მან– ექიმი კალენი შესანიშნავი ქირურგია, შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერ კლინიკაში ემუშავა და იმაზე ასჯერ მეტი აიღო ვიდრე აქ იღებს. ჩვენ ძალიან გაგვიმათლა, რომ ის აქ ცხოვრობს, გავიმართლა რომ მისმა ცოლმა ჩვენ ქალაქში გადაწყვიტა ცხოვრება. ფორქსისთვის ის ნამდვილი განძია, მისი შვილიები კი ძალიან კარგად არიან აღზრდილები არიან. როცა კალენები ჩამოვიდნენ, მეგონა პრობლემები ექნებოდათ– ამდენი მოზარდი სახლში, ამასთან ექიმს არ დაუმალია, რომ ისინი ნაშვილები არიან. მისი შვილები იმ ახალგაზრდებზე მოწესრიგებულები აღმოჩნდნენ, რომელთა ოჯახებიც რამდენიმე თაობაა რაც აქ ცხოვრობს. რა თქმა უნდა ერთად არიან– ისინი ხომ ერთი ოჯახი არიან, მაგრამ კალენები დიდი ხანი არ არის რაც ქალაქში ჩამოვიდნენ, ადგილობრივებს კი საჭორაო თემა სჭირდებათ!

ვაღიარებ, ჩარლისგან ამდენი ლაპარაკი არასდროს მომისმენია. როგორც ჩანს მას არ მოსწონდა რასაც ქალაქში ლაპარაკობდნენ.

–კალენები საკმაოდ კარგები ჩანდნენ– დავუთმე ჩარლის– უბრალოდ სხვებისგან ცალკე არიან, ეს არის და ეს. უცნაურია ისინი ხომ ძალიან სიმპათიურები არიან.

–შენ ექიმი არ გინახავს!– გაეცინა მამას– კარგია, რომ ცოლი ყავს, მაგრამ მედდების უმრავლესობა მაინც გიჟდება მასზე...

MYTOPBOOK.ORG

ვახშამმა ჩუმად ჩაიარა, შემდეგ ჩარლი ალაგებაში მომეხმარა და ისევ ტელევიზორთან დაჯდა, მე კი ჭურჭლის რეცხვა დავიწყე. ხელით! მამა არ აღიარებდა ჭურჭლისარეცხ მანქანას.

ძალით ავედი მაღლა სადაც საშნაო დავალება მელოდებოდა მათემატიკაში. მგონი მამასაც არ უყვარს ზუსტი მეცნიერებები.

ღამე გასაოცრად წყნარი აღმოჩნდა და სწრაფად დამეძინა.

დანარჩენმა კვირამ მშვიდად ჩაიარა. სკოლას მივეჩვიე, პარასკევისთვის კი თითქმის ყველა მოსწავლეს ვცნობდი სახეზე. გოგოები ფიზკულტურაზე მეხმარებოდნენ, ბურთს მხოლოდ მაშინ მიგდებდნენ როცა მასწავლებელი გამოჩნდებოდა.

ედვარდ კალენი გაკვეთილებზე არ დადიოდა.

ყოველდღე ვუყურებდი მისი ნათესავები , მის გარეშე როგორ შემოდიოდნენ სასადილოში. მხოლოდ ამ დროს შემეძლო მოდუნება და ლაპარაკში მონაწილეობის მიღება. ძრითადად ლა–პუშში წასვლაზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც მაიკი მეგობრებთან ერთად , ორი კვირაში გეგმავდა. მეც დამპატიჟეს და ზრდილობის გამო დავთანხმდი. იმედია სანაპიროზე ცოტა სიმშრალე და სითბო მაინც იქნება.

პარასკევს ბიოლოგიაზე ვფიქრობდი , რომ მგონი ედვარდმა საბოლოოდ მიატოვა სკოლა. მასზე ფიქრი არ მინდოდა, მაგრამ თავიდან ვერ ვიცილებდი აზრს, რომ როგორღაც დაკავშირებული ვიყავი მის უცნაურ გაუჩინარებასთან.

პირველი შაბათ–კვირა მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე არ ყოფილა. ჩარლი მორიგე იყო, მე ვალაგებდი და საშინაო დავალებას ვაკეთებდი , დედას კი გამამხნევებელი წერილი მივწერე. შაბათს ადგილობრივ ბიბლიოთეკაში წავედი. ისეთი პატარა აღმოჩნდა , რომ არ ჩავეწერე. წიგნებისთვის მომიწევს ოლიმპიაში ან სიეტლში წასვლა.

MYTOPBOOK.ORG

როცა დავფიქრდი რამდენი ბენზინი დამჭირდებოდა ეს აზრი სულაც არ მომეწონა.

მთელი შაბათ–კვირა სუსტად წვიმდა და კარგად გამოვიძინე.

ორშაბათს სადგომზე ბევრ ნაცნობს შევხვდი. ყველა მეგობრულად მიღიმოდა და წარმატებულ დღეს მისურვებდა. დილა განსაკუთრებით ცივი იყო, მაგრამ სამაგიეროდ არ წვიმდა. ინგლისურზე როგორც ყოველთვის მაიკთან ერთად ვიჯექი და ტესტს ვწერდი „ჭექაქუხილის უღელტეხილზე“

აქაურობას სწრაფად მივეჩვიე და თავს კომფორტულად ვგრძნობდი.

როდესაც ეზოში გამოვედით ციდან თეთრი ფიფქები მოდიოდა და დიდი მხიარულება იყო. ნეტა რა უხარიათ? ვგრძნობდი სიცივისგან როგორ მიწითლდებოდა ცხვირი და ყურები.

–ვაუ!– დაიყვირა მაიკმა– თოვს!

დაბნეული ვუყურებდი ჰაერში მოლივლივე ფანტელებს, რომლითაც გზა ნელ ნელა იფარებოდა.

–ჰმმმ.. თოვლი– და ჩემი კარგი დღეც გაქრა.

–თოვლი არ გიყვარს?

–არა . თოვლი სიცივეს ნიშნავს. და საერთოდ თოვის პროცესი სულ სხვანაირად წარმომედგინა.

შენ რა არასდროს არ გინახავს თოვა?– უნდობლად მკითხა მაიკმა.

__როგორ არა მინახია–ვუპასუხე მე– ტელევიზორში.

ნიუტონს გაეცინა და თავი გააქნია. ამ დროს კი დიდი გუნდა მოხვდა კისერში. ჩვენ ორივემ აქეთ–იქით დავიწყეთ ყურება, ვცდილობდით გაგვერკვია ვინ ისროლა გუნდა. მე ერიკზე ვიეჭვე, რომლეიც სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა სპორტული დარბაზისკენ,

MYTOPBOOK.ORG

ცხრილით კი ტრიგონომეტრია ჰქონდა. როგორც ჩანს მაიკიც ასე ფიქრობდა, რადგან დაიხარა და გუნდა გააკეთა.

–ლანჩზე გნახავ კარგი?– ვუთხარი და თან წავედი– გუნდაობა ჩემი საქმე არაა.

მაიკმა თავი დამიქნია , თან ერიკისთვის არ მოუშორებია თვალი.

დღეს დილით ყველა მხოლოდ თოვლზე ლაპარაკობდა. ეს ხომ პირველი თოვლია... მე კი ჩუმად ვიჯექი. თოვლი რათქმა უნდა კარგია–მაგრამ სველი ფეხები ნამდვილად არა.

ესპანურის შემდეგ მე და ჯესიკა სირბილით წავედით სასადილოში. ჰაერში გუნდები ზუზუნებდნენ, თან დიდი საქაღალდე მეჭირა, რომ რომელიმე მათგანი არ მომხვედროდა. ჯესიკას არ ესმოდა, როგორ შეიძლება გძულდეს თოვლი, მაგრამ გუნდის სროლას ვერ მიბედავდა.

შესასვლელთან მაიკი დაგვეწია. თმებში გელი გაყინვოდა და ზღარბს გავდა. სანამ საჭმლის რიგში ვიდექით ის და ჯესიკა ხმამაღლა ლაპარაკობდნენ თოვლზე. მოწყენილმა მექანიკურად დარბაზის შორეულ კუთხეს გავხედე და თითქოს იატაკს შევეზარდე, მაგიდასთან ხუთნი ისხდნენ.

ჯესიკამ სახელოზე მომქაჩა.

–რას ელოდები?

თავი დავხარე, ყურები მიხურდა, თუმცა არ მქონდა მიზეზი, სინდისის ქენჯნა მეგრძნო. თავს ვახსენებდი რომ ცუდი არაფერი გამიკეთებია.

–რა მოუვიდა?– მაიკმა ჯესიკას ჰკითხა.

–არაფერი–ვუპასუხე მე–მადა დამეკარგა, მარტო სოდიან წყალს ავიღებ.

–ყველაფერი რიგზეა? –შეშინებულმა მკითხა ჯესიკამ.

MYTOPBOOK.ORG

–უბრალოდ თავბრუ დამეხვა–წავილუღლუღე და თან ფეხსაცმლის ცხვირებს დავყურებდი.

დაველოდე სანამ ჯეისკა და მაიკი საჭმელს აიღებდნენ და თვალების აუწევლად წავყევი მათ მაგიდასთან. სოდიანი წყალი მოვსვი... მაინცდამაინც მაშინ მუცელმა უცნაური ხმა გამოსცა. მაიკმა ისიც კი მკითხა კარგად ხარო? მე დავამშვიდე, მაგრამ ვიქრობდი ხომ არ გამეთამაშა ცუდათ ყოფნა, რომ ბიოლოგიიდან დავთხოვოდი.

აბსურდია, რატომ უნდა გავიქცე?

გადავწყვიტე ერთხელ კიდევ შემეხედა კალენებისთვის. თუ ედვარდი ისევ მბურღავს მზერით , მაშინ ბიოლოგიას გავაცდენ, როგორც უკანასკნელი, მხდალი.

თავის აუწევლად შევხედე ხუთეულს, დახრილი წამწამებიდან. არანაირი მბურღავი მზერა, გათამამებულმა მხრები გავშალე.

კალენები იცინოდნენ. ედვარდს, ემეტს და ჯასპერს თმები სველი ჰქონდათ დამდნარი თოვლისგან. ელისი და როზალი ცდიობდნენ მოშრებოდნენ ემეტს, რომელიც თავისი სველი თმებით წუწავდა მათ. ისინიც დანარჩენებივით ტკბებოდნენ თოვლით.

მაგრამ სიცილისა და კარგი ხასიათის გარდა მათში კიდე რაღაც იყო შეცვლილი, მაგრამ რა, ეს ვერ გამეგო. ედვარდს ყურადღებით შევხედე. დღეს ნაკლებად ფერმკრთალი იყო, რაც გუნდაობას დავაბრალე. თვალების ქვეშ შავი რგოლები თითქმის გაქრობოდა. არა ცვლილების მიზეზი არც სახის ფერია! მაშინ რაშა საქმე?

–ბელა ვის უყურებ?–უცბად გამაწყვეტინა ფიქრი ჯესიკამ.

ამ დროს მზერით შევეჩეხე კალენებიდან ყველაზე ახალგაზრდას და მაშინვე თვი დავხარე თმებს მიღმა დავიმალე. ჩვენი მზერა მხოლოდ ერთი წამით შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ შემეძლო დამეფიცა, რომ ამჯერად მის მზერაში არანაირი ზიზიღი არ ჩანდა.

–ედვარდ კალენი გიყურებს– წაიჩურჩულა ჯესიკამ

MYTOPBOOK.ORG

–იმედია არ ბრაზობს?–თავი ვერ შევიკავე და ვკითხე ჯესიკას

–არა–მიპასუხა გაკვირვებულმა– რაზე უნდა ბრაზობდეს?

–მე მგონი საშინლად არ მოვწონვარ– თვალთ დამიბნელდა და სახეზე ხელები ავიფარე.

–კალენებს არავინ არ მოსწონთ. ედვარდი კი ისევ შენ გიყურებს!

–გეყოფა აღარ შეხედო!–წავიჩურჩლე მე.

ჯესიკამ ჩაიხითხითა, მზერა მოაშორა, მე კი თავი ავწიე , მაგრამ გადამწყვეტი მოქმედებისთვის ჯერ მზად არ ვიყავი.

ამ დროს მაიკი მოვიდა, რომელიც გაკვეთილების შემდეგ მასიურ გუნდაობას გეგმავდა. რა თქმა უნდა ჩვენ მის მხარეზე უნდა გვებრძოლა.!

ჯესიკა სიხარულით დათანხმდა. როგროც ჩანდა ჯესიკას მაიკი მოწოსნდა, ასე რომ ყველა მის წამოწყებას მხარს უჭერდა. მე კი მოწყენილი ვფიქრობდი, რომ მომიწევდა ამ აურზაურს ბიბლიოთეკაში დავმალვოდი.

ლანჩის განმავლობაშ ფრთხილად ვიყავი და მხოლოდ ჩემს მაგიდას ვუყურებდი. გადავწყვიტე საკუთარი გადაწყვეტილებისათვის პატივი მეცა და რადგან კალენი გაბრაზებული არ მიყურებდა, ბიოლოგიაზე წავსულიყავი. იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი გაკვეთილი მის გვერდით უნდა ვმჯარყავი, მუცელი უცნაურ ხმებს გამოსცემდა.

მაიკთან ერთად არ მინდოდა კლასში წასვლა , რადგან ის მოგუნდავეების საყვარელი მიზანი იყო, მაგრამ გარეთ როცა გავედი მაიკი თითქმის ტიროდა. წვიმა წამოსულიყო და თოვლი ყინულის პატარ –პატარა კუნძულებად გადაექცია. გახარებულმა კაპიუშონი დავიფარე. კარგია ფიზკულტურის შემდეგ სახლში წავალ პირდაპირ.

მაიკი მთელი გზა ბუზღუნებდა მეოთხე კორპუსამდე.

MYTOPBOOK.ORG

კლასში შესულმა დავინახე , რომ ჩემს მერხთან არავინ იჯდა და შვებით ამოვისუნთქე. სველი ქურთუკი საკიდზე ჩამოვკიდე, ჩემს ადგილზე დავჯექი და ჩანთიდან წიგნები და ბლოკნოტი ამოვიღე. მისტერ ბანერი კლასში მიკროსკოპებს და შუშებს არიგებდა. გაკვეთილის დაწყებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა და კლასში მოსწავლეების ზუზუნი ისმოდა. ვცდილობდი კარისთვის არ შემეხედა და ფანქრით ზანტად ვხატავდი რვეულზე.

აი გაიჭრიალა სკამმა და ჩემს გვერდით ვიღაც დაჯდა. თავი ისე მეჭირა თითქოს ხატვით ვიყავი გართული.

–გამარჯობა–მითხრა დაბალმა, ხავერდოვანმა ხმამ.

ნუთუ კალენი მე მელაპარაკება?! გაკვირვებულმა თავი ავწიე. კალენი ისევ მერხის ნაპირში იჯდა მაგრამ მისი სკამი ჩემსკენ იყო მოტრიალებული. გაჩეჩილი ბრონზისფერი თმებიდან წყალი წვეთავდა, არადა ისე გამოიყურებოდა, თითქოს რამდენიმე წუთის წინ შამპუნის რეკლამაში იღებდნენ. ულამაზეს სახეზე მეგობრული ღიმილი თამაშობდა, მაგრამ მაინც ფრთხილი თვალებით მიყურებდა.

–მე ედვარდ კალენი ვარ– გააგრძელა მან– წინა კვირას შენი გაცნობა ვერ მოვახერხე. შენ კი ალბათ ბელა სვონი ხარ არა?

თავბრუ მეხვეოდა. იქნებ ყველაფერი მომეჩვენა? ედვარდი ხომ წარმოუდგენლად ზრდილობიანად იქცეოდა. როგორც ჩანს ჩემს პასუხს ელოდებოდა, მე კი ვერაფერი მოვიფიქრე.

–ჩემი სახელი ს-საიდან იცი?–ენა დამება.

ედვარდის ხმამ , ვერცხლის ზარის წკრიალი გამახსენა.

–შენი სახელი ყველამ იცის, მთელი ქალაქი მოუთმენლად ელოდა შენს ჩამოსვლას!

ედვარდი რათქმა უნდა დამცინის, მაგრამ მის სიტყვებში სიმართლეც არის.

MYTOPBOOK.ORG

–არა მე ვიგულისხმე ბელა რატომ დამიძახეთქო?– გავაგრძელე გამოკითხვა.

–იზაბელა გირჩევნია?– გაკვირვებულმა მკითხა.

–არა ბელა მირჩევნია, მაგრამ ჩარლი.... მამა ხალხში იზაბელას მეძახის ამიტომ თავიდან აქ ყველა მასე მეძახდა– ავუხსენი. თავი უკანასკნელ იდიოტად ვიგრძენი.

–გასაგებია–მიპასუხა მან.

საკუთარ სულელური მოქმედებით განაწყენებული შევტრიალდი.

საბედნიეროდ ამ დროს მისტერ ბანერმა გაკვეთილი დაიწყო. ვეცადე გონება მომეკრიბა და დღევანდელი ლაბორატორიულის დავალებისთვის მომესმინა. ყუთში ხახვის უჯრედები არეულად ელაგა. დავალებით კი გვერდით მჯდომთან ერთად მიტოზის ფაზების მიხედვით უნდა დამელაგებინა, წიგნების გამოყენების გარეშე. ოცი წუთის შემდეგ ბანერი შეამოწმებს როგორ გავართვით თავი დავალებას.

–შეგიძლიათ დაიწყოთ!–გვითხრა მან.

–პირველად ლედი,– მითხრა და თავისი გვერდული ლამაზი ღიმილით გამიღიმა. ისეთი ლამაზი იყო რომ იდიოტივით ვუყურებდი.

–თუ გინდა მე დავიწყებ–ღიმილის გარეშე მითხრა მან, ალბათ ცოტა სულელი ვეგონე.

–არა არა, ყველაფერი რიგზეა– ვუპასუხე გაწითლებულმა.

სიმართლე გითხრათ ვიტყუებოდი. ეს ლაბორატორული უკვე გაკეთებული მაონდა და ვიცოდი რაც უნდა მომეძებნა, წესით პობლემა არ უნდა შემქმნოდა. პირველი პრეპარატი ავიღე და, მიკროსკოპი ორმოცჯერ გადიდებაზე მოვმართე.

–პროფაზა!– ვთქვი ერთი შეხედვით.

MYTOPBOOK.ORG

–შეიძლება შევხედო?– მთხოვა ედვარდმა, როცა დაინახა რომ პრეპარატს მიკროსკოპიდან ვიღებდი. ცდილობდა შევეჩერებინე და ოდნავ შეეხო ჩემ ხელს. მისი თითები ისეთი გაყინული იყო, თითქოს მთელი დასვენება ყინვაში ეჭირა. მისი ცივი შეხებით ხელი ისე ამეწვა, თითქოს ჩვენს შორის ელექტრონულმა იმპულსმა გაიარა და ამიტომ ხელი სწრაფად გავწიე.

–მაპატიე– ჩაიბუტბუტა ედვარდმა და ხელი სწრაფად მომაშორა, მაგრამ მიკროსკოპში ჩახედვა არ გადაუფიქრებია.

ისევ გაოცებული ვუყურებდი სანამ პრეპარატს სინჯავდა.

–პროფაზა– დამეთანხმა ედვარდი და აკურატულად ჩაწერა ეს სიტყვა ცხრილის პირველ სვეტში. შემდეგ მეორე პრეპარატი ჩადო და შეხედა.

–ანაფაზა–თქვა და მაშინვე მეორე სვეტი შეავსო.

–შეიძლება?– დავინტერესდი მე. გაეღიმდა და მიკროსკოპი ჩემსკენ მოწია. მიკროსკოპში ჩავიხედე და იმედი გამიცრუვდა, ის მართლი იყო!

–მესამე პრეპარატი მომაწოდე– ვთხოვე და ხელი გავუწოდე.

ედვარდმა ფრთხილად მომაწოდა შუშა ისე რომ ჩემს ხელის გულს არ შეხებია.

ამჯერად ერთი წამიც არ დამჭირდა– ინტერფაზა!

კალენმა თხოვნა ვერ მოასწრო, ისე მივაწოდე მიკროსკოპი. მან თვალი შეავლო და შედეგი მესამე სვეტში ჩაწერა. მეც შემეძლო, მაგრამ ედვარდი ისე ლამაზად წერდა, რომ არ მინდოდა ცხრილი გამეფუჭებინა.

ყველაზე ადრე დავამთავრეთ. დავინახე როგორ წვალებოდა მაიკი. კიდევ ერთ მერხზე გამწარებულები წიგნს ფურცლავდნენ.

მთელი ძალებით ვცდილობდი არ მივშტერებოდი კალენს, მაგრამ წარუმატებლად ავიხედე და დავინახე, რომ ისიც მიყურებდა, მაგრამ

MYTOPBOOK.ORG

ისეთივე იმედგაცრუებული მზერით როგორც ადრე. ამ დროს მივხდი რაც იყო შეცვლილი მსში.

–ლინზები ატარებ?

–ლინზები? არა– ამ კითხვას აშკარად არ ელოდა.

–ამის წინ მომეჩვენა რომ თვალები სხვა ფერის გქონდა.

ედვარდმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და გაიხედა.

და მაინც, ფერი შეცვლილი ქონდა! კარგად მახსოვდა მისი უძიროდ შავი თავლები რომლებიც ზიზღით მიყურებდნენ. მაშინ ისიც კი ვიფიქრე, რომ ასეთი თვალები არ შეესაბამებოდა მის ფერმკრთალ კანს და ბრინჯაოსფერ თმებს. ახალ კი მისი თვალები ყავისფერი იყო, ოქროსფერი ტონით. ნუთუ ეს შესაძლებელია? ან მატყუებს და ლინზებს ხმარობს, ან ფორქსის წვიმები უკვე ჭკუიდან მშლის.

თავი დავხარე და დავინახე, რომ მას ისევ მუშტები შეეკრა.

ჩვენ მერხთან მისტერ ბანერი მოვიდა, აშკარად აღელვებული იმით, რომ არ ვმუშაობდით. დაინახა შევსებული ცხრილი და გაკვირვებულმა, პასუხების შემოწმება დაიწყო.

–ედვარდ, როგორც ჩანს არ ჩათვალე საჭიროდ რომ იზაბელასაც ემუშავა მიკროსკოპთან–უთხრა მასწავლებელმა.

–მას მოწონს ბელას რომ ეძახიან–შეუსწორა ედვარდმა–მე მხოლოდ ორი ფაზა გამოვიცანი ხუთიდან.

–ადრე გაგიკეთებია ეს ლაბორატორიული არა?– მიხვდა ბანერი.

–კი, მაგრამ მაშინ ხახვის ფესვი არ ყოფილა– გავუღიმე . ედვარდმა კი თავი დაუქნია თოთქოს ასეთ პასუხს ელოდებოდა.

–ფენიქსში გაძლიერებულ კურსზე იყავი? –მკითხა მისტერ ბანერმა

–დიახ– ვუპასუხე მე.

MYTOPBOOK.ORG

–კარგია თქვენ ორნი ლაბორატორიულის პარტნიორები რომ ხართ, ჩაიბუტბიტა მისტერ ბანერმა და თავისი მაგიდისკენ წავიდა.

–თოვლი არ გიყვარს არა?–მკითხა ედვარდმა. მომეჩვენა რომ თავს ძალას ატანდა ჩემთან საუბრისათვის. ალბათ სასადილოში ჩემი და ჯესიკას საუბარს მოუსმინა, ეხლა კი თავს მაჩვენებს!

–არც ისე

–სიცივეც არ მოგწონს– ეს შეკითხვა არ იყო, ედვარდმა უბრალოდ ფაქტს გაუსვა ხაზი.

–არც ნესტი– დავამატე მე.

–ალბათ ფორქსში ცხოვრება გიჭირს,– მითხრა ჩაფიქრებულმა.

–ვერც კი წარმოიდგენ ისე.

ჩემმა სიტყვებმა ძალიან გააკვირვა.

–აბა რატომ ჩამოხვედი?– კი არ მკითხა, პასუხი მომთხოვა მან.

–ძნელი ასახსნელია...

–შევეცდები გაგიგო.

დიდხანს ვიყავი ჩუმად, შემდეგ ვერ მოვითმინე და შევხედე... რაც დიდი შეცდომა იყო. მისმა ოქროსფერმა თვალებმა დამატყვევა და ისე დავიწყე ყველაფრის მოყოლა, თითქოს აღსარებაზე ვიყავი.

–დედა მეორედ გათხოვდა..

–შენ კი ამბობ ძნელიაო–რბილად და თანაგრძნობით მითხრა ედვარდმა–ეს როდის მოხდა?

–სექტემბერში– ნაღვლიანად ვუპასუხე.

–მამინაცვალს ვერ შეეწყვე?

MYTOPBOOK.ORG

–არა ფილი საყვარელია. დედასთვის კი ახალგაზრდაა, მაგრამ საყვარელია.

–მათთან რატომ არ დაჩი?

ვერ ვხვდებოდი რით იყო გამოწვეული მისი ინტერესი. ბიჭი ისე მიყურებდა თითქოს მართლა აინტერესებდა ჩემი მოსაწყენი ცხოვრება.

–ფილი ბევრს მოგზაურობს, ის პროფესიონალი ბეისბოლისტია.

–შენი მამინაცვალი ცნობილი ბეისბოლისტია?

–არამგონია მასზე რამე გაგეგოს. მისი გუნდი მეორე ლიგაში თამაშობს.

–და დედაშენმა აქ გამოგაგზავნა, რომ თვითონ ქმართან ერთად იმოგზაუროს?

–არა მე ჩემით წამოვედი.–კალენი შეიჭმუხნა.

–არ მესმის– გამოტყდა ის. თითქოს ეს ფაქტი ძალიან აღიზიანებდა.

მე ამოვისუნთქე. ნეტა რატომ მეკითხება, ან მე რატომ ვუყვები ყველაფერს.?

–ქორწილის შემდეგ დედა ჩემთან დარჩა და ფილი ძალიან ენატრებოდა... ამიტომ გადავწყვიტე ჩარლისთან გადმოსვლა.

–ეხლა კი შენ ხარ უბედური–დასკვნა გააკეთა მან.

–მერე რა?

–ეს უსამართლობაა– მხრები აიჩეჩა ედვარდმა და თან თავისი მომაჯადოებელი მზერით მბურღავდა.

მე გამეცინა.

–არ გაგიგია? ცხოვრება სამართლიანი არასდროს არ არის!

MYTOPBOOK.ORG

–რაღაც მაგის მსგავსი გამიგია– მშრალად მითხრა მან.

–ესაა მთელი ისტორია–ვუთხარი მე და თან მიკვირდა რატომ არ მაცილებდა თვალს.

ახლა მისი ოქროსფერი თვალები მაფასებდნენ.

–თავი კარგად გიჭირავს– შემაქო მან– მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ იმაზე მეტად იტანჯები ვიდრე ჩანს.

სახე შემეჭმუხნა და თავი ძლივს შევიკავე რომ მისთვის ენა არ გამომეყო ხუთი წლის გოგონასავით და შევტრიალდი.

–მართალი არ ვარ?

თავი ისე მოვიჩვენე თითქოს კითხვა არ გამიგია.

–დარწმუნებული ვარ ყველაფერი ზუსტად ასეა–გააგრძელა თვითკმაყოფილმა.

–რა შენი საქმეა?– გაღიზიანებულმა ვკითხე და თან მისტერ ბანერს შევხედე, რომელიც კლასში აქეთ–იქით დადიოდა.

–კარგი კითხვაა– ჩაიბურტყუნა ედვარდმა, თითქოს თავის თავს ეუბნებოდა.

ამოვიოხრე და დაბღვერილი დაფას დავუწყე ყურება.

–ჩემთან ლაპარაკი არ გინდა?–მკითხა გაკვირვებულმა.

თითქოს ტრანსში ვიყავი, ისევ შევხედე თვალებში... და ისევ სიმათლე ვუთხარი:

–არა შენ არაფერ შუაში ხარ. ჩემ თავზე ვბრაზდები. დედა ყოველთვის მეუბნებოდა რომ გადაშლილი წიგნივით ვარ. გამოდის რომ ის მართალი ყოფილა.

–პირიქით ძალიან ძნელად გკითხულობ–რატომღაც მომეჩვენა რომ კალენი გულახდილი იყო.

MYTOPBOOK.ORG

–ჩემი აზრით, ძალიან გამჭრიახი ხარ– შევნიშნე მე.

–ჩვეულებრივ კი,– გაეცინა ედვარდს და გამოაჩინა თანაბარი, ქათქათა თეთრი კბილები.

ამ დროს მისტერ ბანერმა რაღაცის ახსნა დაიწყო და შვებით ამოვისუნთქე. წარმოუდგენელია, მაგრამ ჩემი უაზრო, მოსაწყენი ცხოვრების შესახებ მოვუყევი, უცნაურ ლამაზმანს, რომელსაც არ ვიცოდი როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს მიმართ.! ედვარდი თითქოს ინტერესით მეკითხებოდა ყველაფერს, მაგრამ ეხლა შევამჩნიე, რომ ისევ გაწეულიყო და მისი ხელი ციებიანივით ჩაბღაუჭებოდა მერხის კიდეს.

ვცდილობდი მისტერ ბანერისთვის ყურადღებით მომესმინა. რომელიც პროექტორით მეტოზის ფაზებს გვაჩვენებდა, რომლებიც მიკროსკოპში ვნახეთ. თუმცა ჩემი ფიქრები უჯრედების დაყოფისგან , შორს დაფრინავდნენ.

ზარი დარეკილი არ იყო რომ ედვარდი , როგორც წინა გაკვეთილზე წამოხტა და სწრაფად გავარდა კლასიდან. მე კი როგორც წინა ორშაბათს ისევ , მოჯადოებულმა მის კვალს გავაყოლე თვალი.

მაიკი მოვიდა და ჩემი წიგნების ალაგება დაიწყო. ახლა თითონ გავდა კუდ მოქიცინე რეტრივერს!

–აი მესმის ლაბორატორიული ! ეს პრეპარატები ერთმანეთისგან არაფრით არ განსხვავდებოდნენ! გიმართლებს კალენთან რომ დაგსვეს.

–მე მეთვითონ გავაკეთე– მკვახედ ვუთხარი მაიკს , მაგრამ ვინანე– ფენიქსში უკვე გავლილი მქონდა ეს ლაბორატორიული.

–როგორც ჩანს კალენი დღეს შესანიშნავ ხასიათზეა– შენიშნა მაიკმა, როცა ქურთუკებს ვიცვამდით.

–ვერ გამიგია წინა ორშაბათს რა დაემართა.. –ვიკითხე ხელოვნური გულგრილობით.

MYTOPBOOK.ORG

ფიზკულტურაზე ყოფნა დღეს გამიადვილდა, მაიკის გუნდში ვიყავი და ის ნამდვილი რაინდივით, ორის მაგივრად თამაშობდა. ჩაწოდება მე მიწევდა და როგორც კი ბურთი ჩემ ხელში აღმოჩნდებოდა გუნდელები აქეთ–იქით გარბოდნენ.

გარეთ რომ გამოვედი ცივი წვიმა მოდიოდა. პიკაპთან მივირბინე, ძრავის საშინელი ხმისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაშინვე ღუმელი ჩავრთე და თმები გავიშალე, რომ სახლამდე გამშრობოდა.

გასასვლელად მომზადებულმა, აქეთ–იქით გავიხედე და დავინახე ედვარდ კალენის მუქი ფიგურა, რომელიც „ვოლვოსთან“ იდგა და თვალს არ მაშორებდა, მაშინვე მოვტრიალდი, მაგრამ ყურადღება გამეფანტა და ლამის ტოიოტა კოროლას დავეჯახე. საბედნიეროდ სწრაფად დავამუხრუჭე თორემ პიკაპი მას ჯართად გადააქცევდა. ჩემი ადგილიდან აკურატულად გამოვედი და როცა ვოლვოს ჩავუარე , თვალის კუთხით დვინახე, რომ კალენი იღიმებოდა.

თავი მესამე

ფენომენი

დილით რომ გავიღვიძე, მივხვდი, რომ რაღაც განსხვავებული იყო.

საქმე სინათლეში ყოფილა, ის ძველებურად მონაცრისფრო–მომწვანო, მაგრამ გაჭვირვალე იყო, ეს იმას ნიშნავდა რომ გარეთ არ წვიმდა.

სასწრაფოდ ავდექი და ფანჯარაში გავიხედე, მაგრამ იმედგაცრუებულმა ამოვიკვენესე.თოვლის თხელ ფენას დაეფარა მთელი

MYTOPBOOK.ORG

ეზო და გზები. მაგრამ ეს არ იყო ყველაზე ცუდი , უბედურება ის იყო რომ გუშინდელი წვიმის წვეთები ნაძვის ტოტებზე გაყინულიყო, ეზოს ბილიკი კი საციგურაო მოედანს დამსგავსებოდა.

საუზმეზე რომ ჩამოვედი ჩარლი წასული დამხვდა. მამა თავს არ მაწყენდა თავისი კამპანიით, მარტოობა ძნელი სულაც არ იყო, პირიქით ამით ვტკბებოდი კიდეც.

საჭმლის მომზდება დამეზარა და ბურბუშელას ფორთოხლის წვენი დავასხი. უცნაურია! გაკვეთილების დაწყებას მოუთმენლად ველოდი. და ეს სულაც არ იყო გამოწვეული ცოდნის მიღების ან ახალი მეგობრების შეძენის სურვილით. გულახდილი რომ ვიყო, ამის მიზეზი მხოლოდ ის არის რომ სულმოუთქმელად ველი ედვარდ კალენთან შეხვედრას, რაც ჩემი მხრიდან დიდი სისულელეა.

გუშინდლი ლაპარაკის შემდეგ სჯობს საერთოდ აღარ შემხვდეს. კალენს ბოლომდე მაინც ვერ ვენდობოდი. მაგალითად რატომ მითხრა ტყუილი ლინზებზე? კიდევ მისი არაკეთილგანწყობა მაშინებდა, რომელსაც ცივი ტალღებივით გამოსცემდა, ასევე მშინებდა ის, რომ მისი ულამაზესი სახის დანახვაზე, ქანდაკებასავით ვშეშდებოდი და არაფრის თქმა არ შემეძლო. კარგად ვხვდებოდი, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა, ამიტომ არც იყო საჭირო მასზე ფიქრი!

არავინ არ იცის რამდენი ძალისხმევა დამჭირდა ეზოს ბილიკის გასავლელად სანამ ჩემს პიკაპამდე მივაღწევდი. ფეხი გამიცურდა და მანქანის სარკეს რომ არ მოვჭიდებოდი ნამდვილად ცხვირ–პირს დავიმტვრევდი. აი დღეც მესმის!

გზაში ედვარდზე ფიქრისაგან თავი რომ დამეღწია, ერიკზე და მაიკზე დავიწყე ფიქრი, ასევე ვფიქრობდი აქაური ბიჭების დამოკიდებულებაზე ჩემს მიმართ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუსტად ისე გამოვიყურებოდი როგორც ფენიქსში. ამ ქალაქში ახალი ვიყავი და როგორც ჩანს აქაურ ბიჭებში ჩემი მოუხერხებლობა, ფენიქსელი ბიჭებისაგან განსხვავებით მღელვარებას იწვევდა და არა შეცოდებას. აქ ვიყავი გოგონა, რომელიც გამუდმებით ხიფათში ვარდებოდა, და დახმარება ესაჭიროებოდა...! ასე თუ ისე არ მომწონდა,

MYTOPBOOK.ORG

რომ მაიკი ერთგული ლეკვივით იქცეოდა, და ასევე არ მომწონდა მისი კონკურენცია ერიკთან. ვფიქრობ, ასე ყოფნას ჯობია საერთოდ არ გამჩნევდნენ.

გასაოცარია მაგრამ პიკაპი ყინულზე დაუბრკოლებლად მოძრაობდა. ნელა მივდიოდი, რადგან არ მინდოდა მთავარ ქუჩაზე, ავარიის მიზეზი გავმხადიყავი!

მხოლოდ სკოლის ეზოში მივხვდი რატომ გამიადვილდა ასე მანქანის ტარება. საბურავზე რაღაცა ვერცხლისფერმა გაიბრჭყვინა, საბარგულზე ჩმოკიდებული დავიხარე და დავინახე რომ საბურავებზე უსაფრთხოების ჯაჭვები იყო გაკეთებული. ალბათ ჩარლი ძალიან ადრე ადგა, რომ ყველაფერი მოესწრო. მისმა უსიტყვო მზრუნველობამ, ძალიან ამაღელვა, რადგან ამას მიჩვეული არ ვიყავი.

მანქანასთან ვიდექი და ვცდილობდი, მღელვარებისაგან თვალზე მომდგარი ცრემლები შემეკავებინა, როდესაც უცნაური ხმა გავიგე.

მუხრუჭების ავისმომასწავებელი ხრჭიალის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან, სულ უფრო და უფრო ხმამაღალი ხდებოდა, მე შეძრწუნებულმა ავწიე თავი.

მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა, არა ისე როგორც კინოში, შენელებული კადრით, მაგრამ ადრენალინის მოზღვავების გამო ყველაფერს დეტალებში აღვიქვავდი.

შევნიშნე ედვარდ კალენი , რომელიც ჩემგან ოთხი მანქანის მოშორებით იდგა და თავზარდაცემული მიყურებდა. მის სახეს გამოკვეთილად ვხედავდი სახეების ზღვაში, რომელზეც შიში და სასოწარკვეთილება იყო გაყინული. მაგრამ ამ დროს უფრო მნიშვნელოვანი მუქი ლურჯი, კონტროლდაკარგული ფურგონი იყო, რომელიც ბზრიალით მოცურავდა სადგომზე. საშინელი სისწრაფით უახლოვდებოდა პიკაპს, რომლის წინაც მე ვიდექი. ღმერთო ჩემო! თალის დახახამებასაც ვერ მოვასწრებ!

MYTOPBOOK.ORG

რაღაცამ მანამდე წამაქცია, ვიდრე ღრჭიალს გავიგებდი, რომლითაც ფურგონი პიკაპის საბარგულს დაეჯახა. თავი ასფალტს დავარტყი და ვიგრძენი რაღაც ძლიერი და ცივი როგორ მაკრავდა მიწაზე. ასაფლტზე იმ ჰონდის უკან ვიწექი, რომელიც პიკაპის გვერდზე იდგა. მეტი ვერაფერის შემჩნევა მოვასწარი რადგან ფურგონი , რომელიც პიკაპს დაეჯახა რამდენჯერმე დაბზრიალდა და ისევ ჩემსკენ მოცურავდა.

როცა ჩუმი ლანძღვის ხმა გავიგე მივხვდი, რომ მანქანიშ ქვეშ მარტო არ ვიყავი, ხმადაბალი ხავერდოვანი ხმა კი მაშნვე ვიცანი. თეთრი ძლიერი ხელები გადამეფარა, და ფურგონისგან დამიცვა, რომელიც რამდენიმე სანტიმეტრში გაჩერდა ჩემს სახესთან. ხელებმა ფურგონის გვერდი შეჭეჭყა, შემდეგ კი პროპელერივით სწრაფად ამუშავდნენ, რამდენიმე წამში კი როგორც სათამაშო მხარზე გადამიკიდა და ამ ადგილს მომაცილა. გაისმა შეჯახების და შუშის მსხვრევის ხმა, და დავინახე, რომ ფურგნი ზუსტად იქ გაჩერდა სადაც რამდენიმე წამის წინ ჩემი ფეხები იყო.

ერთი წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი ისტერიული ყვირილისა და ტირილის ხმები გავიგე. რამდენიმე ადამიანი ჩემს სახელს ყვიროდა, მაგრამ საერთო პანიკაში გავგე ედვარდის დაბალი შეშინებული ხმა.

–ბელა კარგად ხარ?

–კარგად ვარ–ვთქვი და შევეცადე წამოვმჯდარიყავი. მაგრამ ვერ შევძელი რადგან ედვარდს გვერდზე ვყავდი მიკრული და მიჭერდა.

–ფრთხილად!– მითხრა მან, როცა ვცადე თავი გამენთავისუფლებინა– თავი ძლიერად დაარტყი.

მხოლოდ ახლა შევნიშნე მფეთქავი ტკივილი მარცხენა ყურის ზემოთ.

–უი–გაკვირვებულმა შევძახე.

–ასეც ვიცოდი!–როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს მის ხმაში თავშეკავებული სიცილი ისმოდა.

MYTOPBOOK.ORG

–როგორ, როგორ..–შევეცადე აზრები მომეკრიბა– ასე სწრაფად როგორ აღმოჩნდი ჩემს გვერდით?

–შენს გვერდზე ვიდექი ბელა– მითხრა სერიოზული ხმით.

ისევ შევეცადე წამოჯდომა. ამჯერად გამიშვა თავისი მკლავებიდან და ისე მომშორდა ,რამდენადაც ამის საშუალებას ვიწრო სივრცე აძლევდა. როცა მის შეშნებულ, უცოდველ სახეს და მომაჯადოებელ ოქროსფერ თვალებს შევხედე ისევ ავღფრთვანდი მისი სილამაზით. რას ვთხოვდი მას? ამ დროს მოსწავლეები და მასწავლებელები მოცვივდნენ და ერთმანეთს რაღაცას უყვიროდნენ, შემდეგ მე და ედვარდს დაგვყვიროდნენ თავზე. აი საგჟეთი!

–არ გაინძრეთ!– გვიბრძანა ვიღაცა კაცმა.

–ტაილერი მანქანიდან გადმოიყვანეთ– დაიყვირა მეორემ.

ამ აურზაურში შევეცადე ავმდგარიყავი, მაგრამ ედვარდმა ცივი ხელით მხარი დამიჭირა.

–სჯობს ცოტა ხანს გაუნძრევლად იყო–რბილად მითხრა მან.

–მცივა–დავიჩივლე , ედვარდმა ჩაიხითხითა და თავი უკეთ ვიგრძენი.

–არა შენ შენს მანქანასთან იდექი– გამახსენდა მოულოდნელად, სიცილი მაშინვე შეწყვიტა.

–ასე არ იყო!–მტკიცედ მიპასუხა მან

–მე ყველაფერი დავინახე!

ჩვენს გარშემო ქაოსი სუფევდა. კაცები ტაილერის განთავისუფლებას ცდილობდნენ. მე კი კამათს ვაგრძელებდი.საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ვცდილობდი ედვარდი გამომეტეხა.

MYTOPBOOK.ORG

–ბელა მე შენს გვერდით ვიდექი, შემდეგ კი წაგაქციე–ნელა და სერიოზულად თქვა ედვარდმა. უცნაური თვალები ისე მბურღავდნენ, თითქოს რაიმე მნიშვნელოვანის შთაგონება სურდათ.

–არა– გავჯიუტდი მე.

–ბელა გთხოვ!

–რატომ?–არ ვუთმობდი.

–მომენდე–მევედრებოდა ედვარდი, და მივხვდი, რომ მეტს ვეღარ შევეწინააღმდეგებოდი, მის ხავერდოვან ხმას.

–მპირდები რომ მერე ყველაფერს ამიხსნი?

–რათქმა უნდა!– გაღიზიანებულმა უხეშად მითხრა.

–რათქმა უნდა–უსუსური ბრაზით გავიმეორე მე.

ექვსმა სანიტარმა და ორმა მასწავლებელმა– მისტერ ვარნერმა და მისტერ კლაპმა– ძლივს გადაადგილეს ფურგონი და საკაცეები მოიტანეს. ედვარდმა გამოაცხადა, რომ თავისით შეძლებდა წამოსვლას, მე შევეცადე მისთვის მიმებაძა. მაგრამ ვიღაცას ექიმებისთვის ეთქვა რომ თავი დავარტყი და შესაძლოა ტვინის შერყევა მქონდა. მინდოდა მიწა გამსკდომოდა, როდესაც კისერზე კორსეტი გამიკეთეს. თითქოს მთელი სკოლა იმის საყურებლად იყო მოსული როგორ მაწვენდნენ სასწრაფოს მანქანაში. ედვარდი კი წინა სკამზე დასვეს.განა ეს სამართლიანია?

მანქანამ დაძვრაც ვერ მოასწრო, როდესაც პოლიცია მოვიდა რომელსაც უფროსი სვონი მოუძღვოდა.

–ბელა!–შეშინებულმა დაიყვირა ჩარლიმ, როდესაც საკაცეზე დამინახა.

–ყველაფერი კარგადაა ჩარ..მამა–ამოვიოხრე მე–საშიში არაფერია.

MYTOPBOOK.ORG

ჩარლიმ ექიმების და სანიტრების გამოკითხვა დაიწყო. მე კი დრო ვიხელთე და შევეცადე ახსნა მომეძებნა ჩემი ჩვენებებისთვის რომლებიც თავში მიტრიალებდა.

სანიტარებმა საკაცით ამწიეს და ჰონდის ბამპერზე დავინახე შეჭეჭყილი ადგილი, რომელიც მოყვანილობით ედვარდის მახარს გავდა. თითქოს ის მანქანას ისეთი ძალით მიყუდებოდა, რომ მანქანის რკინის ჩარჩოზე ღრმა კვალი დაეტოვებინა...

აი მისი ოჯახი...ისინი ყველაფერს შორიდან უყურებდნენ. მათ სახეზე აღიბეჭდა მრისხანება, გაკიცხვა, მაგრამ არცერთის სახეზე შიში არ ყოფილა!

ალბათ ამ ყველაფერს ლოგიკური ახსნა ექნება. რათქმაუნდა იმის გამოკლებით რომ ჭკუიდან შევიშალე!

სასწრაფოს მანქნა , პოლიციის ესკორტით მივიდა ქალაქის ცენტრალურ საავადმყიფოსთან.

ძალიან შემრცხვა, როდესაც უკანასკნელი იდიოტივით, საკაცით გადმომიყვანეს სასწრაფოს მანქანიდან. მით უმეტეს რომ ედვარდი გრაციოზულად გადმოვიდა მანქანიდან და შინაურივით შევიდა სავადმყოფოს შენობაში, თითქოს ყოველდღე აქ იყო.

მიმღებში შემიყვანეს–ეს იყო გრძელი ოთახი, რამდენიმე საწოლით, როლებსაც ნახევრადგამჭვირვალე ფარდები ჰქონდა. მედდამ წნევა გამიზომდა და თერმომეტრი ჩამიდო პირში. ფარდების გაწევა არავის მოსვლია აზრად, გაბრაზებულმა გადავწყვიტე, რომ კორსეტი მომეხსნა. მედდის გასვლისთანავე მოვიხსენი კორსეტი და საწოლის ქვეშ შევაგდე.

რამდენიმე წუთში მეორე საკაცით ვიღაც მოიყვანეს. ეს ტაილერ კროული იყო, დასისხლიანებული სახვევით თავზე. საშინლად გამოიყურებოდა, მაგრამ აღელვებული მე მიყურებდა.

–ბელა, მე ძალიან დამნაშავე ვარ!..

MYTOPBOOK.ORG

–მე კარგად ვარ ტაილერ, შენ?

სანამ ვლაპარაკობდით, მედდები სახვევს ხსნიდნენ და დავინახე მისი ჭრილობები შუბლზე და მარცხენა ლოყაზე.

–მე მეგონა მოგკლავდი!–დაიწყო კროულიმ–ძალიან ჩქარა მოვდიოდი და ფურგონი მოცურდა...–ის დაიჭყანა როდესაც მედდამ ჭრილობებს მობანვა დაუწყო.

–ნუ ნერვიულობ მე არაფრი არ მომსვლია.!

–როგორ მოცილდი მანქანას ასე სწრაფად? პიკაპთან იდექი, წამის შემდეგ კი გაქრი.

–მე ედვარდი დამეხმარა.

–ვინ?–ტაილერი ყურებს არ უჯერებდა.

–ედვარდ კალენი გვერდზე მედგა–არასდროს მეხერხებოდა მოტყუება და ამჯერადაც არადამაჯერებლად გაიჟღერა ჩემმა სიტყვებმა.

–კალენი? ის არ შემიმჩნევია. ვაუ სიჩქარეც მასეთი უნდა! როგორაა?

–მგონი კარგად, მაგრამ ისიც საავადმყოფოშია.

მე ხომ შეშლილი არ ვარ, და არც ჰალუცინაციები არ მაწუხებს. როგორ მოხდა ყველაფერი? როგორც ჩანს პასუხს ვერ ვიპოვი.

თავზე რენტგენი გადამიღეს. მედდებს ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი კარგად მქონდა და ასეც აღმოჩნდა, შერყევაც კი არ მქონდა. მაგრამ ექიმის გასინჯვის გარეშე მაინც არ გამიშვეს. ასე რომ მიმღებში გავიჭედე, ნეტა ტაილერი მაინც შეწყვეტდეს ბოდიშების მოხდას!... ასჯერ მაინც ვუთხარი, რომ ყველაფერი კარგად მქონდა , მაგრამ ის მაინც აგრძელებდა მობოდიშებას, რითაც თავსაც იწუხებდა და მეც. ბოლოს თვალები დავხუჭე და იგნორირება გავუკეთე. ტაილერის მონანიება სადღაც შორიდან მესმოდა.

MYTOPBOOK.ORG

–ბელას სძინავს?–იკითხა დაბალმა ხავერდოვანმა ხმამ და მე მაშნვე თვალები გავახილე.

–ჩემს საწოლთან ედვარდი იდგა და კმაყიფილი იღიმებოდა. მინდოდა მეჩვენებინა , ჩემი გაბრაზება, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მასზე გაბრაზება შეუძლებელი იყო.

–ედვარდ მე ძალიან ვწუხვარ...–დაიწყო ტაილერმა.

ედვარდმა ხელით ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო.

–არ არის სისხლი, არ არის დანაშაული–თქვა მან და თავისი ქათქათა კბილებო გამოაჩინა. ედვარდი ტაილერის საწოლზე ისე დაჯდა, რომ მე მიყურებდა.

–რა დიაგნოზია?–მკითხა მან.

–ყველაფერი რიგზე მაქვს, მაგრამ ჯერ არ მიშვებენ!–შევჩივლე –შენ რატომ არ გიღებენ ანალიზებს?

–მთელი საქმე პირად ურთიერთობებშია!–გაიცინა ედვარდმა.

ამ დროს მიმღებში ექიმი შემოვიდა, მის დანახვაძე ყბა ჩამომივარდა. ექიმი ახალგაზრდა, ქერათმიანი და ნებისმიერ მანეკენზე ლამაზი იყო , რომელიც ოდესმე მენახა, მიუხედავად იმისა რომ ძალიან ფერმკრთალი იყო და თვალებთან მიქი რგოლები ჰქონდა.

–აბა მისს სვონ, როგორ გრძნობთ თავს?–მკითხა ექიმმა კალენმა.

ღმერთო, მისი ხმა ედვაერდის ხმაზეც კი უფრო ლამაზი იყო.

–ყველაფერი კარგადაა–მგონი უკვე მეათასედ ვთქვი ეს ფრაზა.

მან ჩემ საწოლთან რენტგენის დაფა აანთო.

–რენტგენი აჩვენებს რომ ყველაფერი კარგადაა–თქვა მან–თავი არ გტკივა? ედვარდმა მითხრა რომ ძლიერად დაგირტყამს.

MYTOPBOOK.ORG

–ყველაფერი რიგზეა–ვთქვი და უმცროს კალენს მკაცრი მზერა ვესროლე.

ექიმის ცივი თითები ყურადღებთ სინჯავდნენ ჩემს თავს, როდესაც მარცხენა საფეთქელს შეეხო დავიჭყანე.

–გტკივა?

–არა–ვუპასუხე. უარესებიც მქონია.

ფხუკუნის ხმა გავიგე, თავი ავწიე და დავინახე, რომ ედვარდი ღიმილით მიყურებდა, სიბრაზისაგან თვალები დამივიწროვდა.

–მამათქვენი მიმღებთან გელოდებათ. სახლში წადით და თუ თავბრუსხვევას იგრძნობთ ან მხედველობა გაგიუარესდათ საწრაფოდ უკან დაბრუნდით.

–გაკვეთილებზე დაბრუნება შემიძლია?–ვიკითხე მე. სრული ბედნიერებისთვის ისღა მაკლადა, რომ ჩარლის მოევლო ჩემთვის.!

–დღეს უმჯობესია დაისვენოთ– მირჩია ექიმმა.

–ის დაბრუნდება სკოლაში? – დავვინტერესდი და ედვარდს შევხედე.

–ვიღაცამ კარგი ამბავი ხომ უნდა გააგებინოს სკოლას–კმაყოფილებით თქვა უმცროსმა კალენმა.

–თუმცა –ჩაერია ექიმი–მთელი სკოლა აქაა შეკრებილი.

–ო არა!–ამოვიკვნესე და სახეზე ხელები ავიფარე.

–თუ გინდათ აქ დარჩით–ყოყმანით შემომთავაზა ექიმმა კალენმა.

–არა–არა!–შეშინებულმა წამოვიყვირე და მაშინვე ფეხზე წამოვხტი. როგორც ჩანს ვიჩქარე, წონასწორობა დავკარგე და ექიმს მკლავებში ჩავუვარდი, მან მხოლოდ თავი გააქნია.

–საშიში არაფერია– სასწრაფოდ ვთქვი. ხომ არ მოვუყვებოდი, რომ წონასწორობასთან ისედაც საერთოდ მაქვს პრობლემები!

MYTOPBOOK.ORG

–ტეილენოლი დალიეთ–მირჩია ექიმმა და ფრთხილად დამაყენა ფეხზე.

–თავი თითქმის არ მტკივა–ვჯიუტობდი მე.

–თქვენ ძალიან გაგიმართლათ–გაეღიმე ექიმს და ხელი მოაწერა ჩემი გაწერის საბუთს.

–გამიმართლა რომ ედვარდი გვერდით მედგა– შევუსწორე მე და მრავალმნიშვნელოვნად შევხედე ჩემს მხსნელს.

–ა დიახ რათქმაუნდა,–დამეთანხმა ექიმი და თან რაღაც საბუთებს უყურებდა. შემდეგ ტაილერთან მივიდა.

–თქვენ კი ახალგაზრდავ, მოგიწევთ აქ დარჩენა– უთხრა მან ტაილერს და თან თავის დათვალიერება დაუწყო.

როგორც კი ექიმი შებრუნდა, მაშინვე ედვარდთან მივედი.

–ერთი წუთით გცალია?–ხმადაბლა ვუჩურჩლე მე.

მან უკან დაიხია და ჯიუტად მოკუმა პირი.

–მამა გელოდება–გამოსცრა ედვარდმა.

მე ექიმს და ტაილერს შევხედე.

–მარტო მინდა პირისპირ დაგელაპარაკო, თუ წინააღმდეგი არ ხარ.– არ დავუთმე მე.

ედვარდი შეიჭმუხნა, შემდეგ მიმღებიდან გავიდა და სწრაფად გააბიჯა გრძელ დერეფანში. გავიქეცი, რომ არ ჩამოვრჩენოდი. როდესაც შევუხვიეთ ჩიხში აღმოვჩნდით, და ედვარდი ჩემსკენ შეოტრიალდა.

–რა გინდა?–მკითხა გაღიზიანებულმა.

–შენ დამპირდი, რომ ამიხსნიდი როგორ მოხდა ყველაფერი– შევახსენე მე, მაგრამ ისე თავდაჯერებით ვერა როგორც ვგეგმავდი. მისი მოულოდნელი მტრობა მაშინებდა.

MYTOPBOOK.ORG

–სიკვდილს გადაგარჩინე, შენ კი კიდევ პრეტენზიები გაქვს! შენი არაფერი მმართებს!

ყოყმანით ვუხარი–შენ ხომ დამპირდი!

–ბელა შენ თავი დაარტყი, და ვერ ხვდები რაებს ლაპარაკობ!–უხეშად მითხრა ედვარდმა.

–თავი ძალიან კარგად მაქვს!

–რა გინდა ჩემგან ბელა?–მის ხმაში მრისხანება გაისმა.

–სიმართლის გაგება!–გაბედლად ვუპასუხე მე.–მინდა ვიცოდე რის გამო მოვატყუე მამაშენი.

–შენი აზრით რა მოხდა?

ჩემი ვერსიის სათქმელად ერთი წუთი დამჭირდა:

–მშვენივრად მახსოვს, რომ ჩემს გვერდით არ იყავი, ტაილერსაც არ დაუნახიხარ, ამიტომ ნუ მეუბნები რომ ამნეზია მაქვს! ფურგონს ორივე უნდა გავეჭყლიტეთ, მაგრამ შენ ის გააჩერე, ამასთან ისეთი ძალით, რომ ფურგონის კარებს შენი ხელები დაეტყო, ჰონდას კი მხრის კონტურები. შენ ერთი ნაკაწრიც კი არ გაქვს... და კიდე ფურგონს შეეძლო ჩემთვის ფეხები გაესრისა, მაგრამ შენ მხოლოდ კი არ გააჩერე მაღლაც ასწიე...

გავჩუმდი რადგან მივხვდი, რომ ჩემი მონათხრობი გიჟის ნაბოდვარს გავდა. იმედგაცრუებისაგან თვალებზე ცრემლები მომდაგა და პირი მოვკუმე, რომ ტირილი არ დამეწყო.

ედვარდი უნდობლად მიყურებდა.

–ფიქრობ, რომ ფურგონი ავწიე?–დამაჯერებელი ტონით მითხრა, მაგრამ ამან ეჭვები უფრო გამიძლიერა, როგორც ჩანს მსახიობობა კარგად შეეძლო.

თანხმობის ნიშნად თვი დავუქნიე.

MYTOPBOOK.ORG

–შენ მონაყოლს არავინ დაიჯერებს–დამცინავად მითხრა მან.

–სხვებისთვის მოყოლას არც ვაპირებ,–ყველა სიტყვა ნელა, გარკვევით წარმოვთქვი , რათა ბრაზი შემეკავებინა.

–მაშინ რა მნიშვნელობა აქვს?–გაკვირვებულმა მკითხა მან.

–ჩემთვის აქვს–მტკიცედ ვუთხარი– არ მიყვარს როცა ვიტყუები, და მინდა ვიცოდე რისი გულისთვის ვაკეთებ ამას.

–ნუთუ ძნელია უბრალოდ მადლობა გადამიხადო და ყველაფერი დაივიწყო?– მკითხა დაღლილმა.

–მადლობ! –ვთქვი გაბრაზებულმა.

–არ დაწყნარდები არა?

–რათქმა უნდა არა!

–ვშიშობ დიდი იმედგაცრუება გელის.

გაბრაზებულები ვუყურებდით ერთმანეთს. პირველმა დავწყე ლაპარაკი, რადგან მისი ულამაზესი ფერმკრთალი სახისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჩემს ძალებს აღემატებოდა.

–შენთვის რაღა მნიშვნელობა აქვს?–ცივად ვკითხე მე.

–არ ვიცი–ხმადაბალ მითხრა მან და მომეჩვენა რომ გულნატკენი იყო.

შემდეგ აღარაფერი უთქვამს შეტრიალდა და წავიდა.

ისეთი გაბრაზებული ვიყავი, რომ რამდენიმე წუთი ადგილიდან ვერ დავიძერი, შემდეგ ნელა უკან გავუყევი დერეფანს.

როგორც ჩანს ჩემზე და ტეილორზე მთელი სკოლა ღელავდა, რადგან მოსაცდელში უამრავი აღელვებული ხალხი დამხვდა. ჩარლი ჩემსკენ დამოვარდა, მაგრამ ჩემის სახის გამომეტყველებით შეშინებული, ორ ნაბიჯში გაჩერდა.

MYTOPBOOK.ORG

–ყველაფერი კარგად მაქვს–პირქუშად ვუპასუხე მე. მრისხანებისგან ჯერ კიდევ მაკანკალებდა და ლაპარაკის სურვილი საერთოდ არ მქონდა.

–ექიმმა რა თქვა?

–რომ ყველაფერი რიგზე მაქვს და შემიძლია სახლში წავიდე– ამოვიოხრე და დავინახე ხალხში როგორ მოიკვლევდნენ გზას მაიკი, ჯესიკა და ერიკი –ჩქარა წავედით!

ჩარლიმ ხელი მომხვია მხრებზე და გასავლელისაკენ წამიყვანა. მეგობრებს მორცხვად დავუქნიე ხელი და დავანახე რომ სანერვიულო არაფერი არ იყო. მხოლოდ მაშინ მომეშვა როდესაც პატრულის მანქანაში ჩავსხედით.

ჩუმად მივდიოდით. იმდენად ვიყავი ჩაძირული ჩემს ფიქრებში, რომ ჩარლის ვერც კი ვამჩნევდი. ედვარდის ასეთმა თავდაცვითმა ქცევამ, ჩემი ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა.

ჩარლი მაშინ დამელაპარაკა, როდესაც სახლში მივედით.

–ბელა ... რენეს უნდა დაურეკო–დამნაშავესავით მითხრა მან.

–დედას დაურეკე?– წამოვიძახე შეძრწუნებულმა .

–მაპატიე.

მანქანიდან გადმოვედი და კარები ხმაურიანად დავხურე.

დედა ისტერიკაში იყო. სანამ დამიჯერებდა ოცდათჯერ მაინც გავუმეორე რომ ყველაფერი კარგად მქონდა. რენე მევედრებოდა, რომ ფენიქსში დავბრუნებუილიყავი, იმაზე კი საერთოდ არ ფიქრობდა, რომ სახლში არავინ იყო. მისი თხოვნები საერთოდ არ მაღელვებდა, მე მხოლოდ ედვარდზე და მის საიდუმლოზე ვფიქრობდი. რა სულელი ვარ, რა სულელი! ფორქსიდან წასვლის სურვილიც კი დავკარგე, ამას ვინ იფიქრებდა!

MYTOPBOOK.ORG

ასეთ სიტუაციაში ყველაზე ჭკვიანური თავის მომძინარება იყო. ჩარლი ცალი თვალით მითვალთვალებდა სატუმრო ოთახიდან, რაც ნერვებზე ძალიან მოქმედებდა.

აბაზანაში შევედი და სამი ტაბლეტი ტაილენოლი დავლიე.

თავი მეოთხე

დაპატიჟება

იმ ღამით პირველად მესიზმრა ედვარდ კალენი. უკუნი სიბნელე იყო, სინათლის ერათადერთ წყაროს კი მისი კანი წარმოადგენდა. ედვარდის სახე არ დამინახავს, მხოლოდ მის ზურგს ვხედავდი, რადგან ის ჩემგან მიდიოდა და სიბნელეში მტოვებდა. სწრაფად გავრბოდი მაგრამ ვერ ვეწეოდი, ხმამაღლა ვეძახდი, მაგრამ ის მაინც არ ჩერდებოდა. შეშინებულს და განერვიულებულს გამეღვიძა შუა ღამით და შემდეგ დიდხანს ვერ ვიძინებდი. ამის შემდეგ ედვარდი თითქმის ყოველ ღამე მესიზმრებოდა, მაგრამ სადღაც შორს იყო და ვერ ვეწეოდი.

უბედური შემთხვევიდან ერთი თვის შემდეგ ძალიან რთული პერიოდი იყო, დაძაბულობით და ნერვიულობით აღსავსე.

ჩემდა საუბედუროდ ერთი კვირა სკოლაში ყველაზე პოპულარული ადამიანი გავხდი. ტაილერ კროული ყველგან თან დამყვებოდა, მთხოვდა მეპატიებინა მისთვის და დახმარებას მთავაზობდა. ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ყველაზე მეტად იმ დღის დავიწყება მინდოდა, მით უმეტეს რომ არაფერი სეროზული არ მომსვლია. მაგრამ ტაილერისგან თავის დაღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა.! დასვენებებზე უკან დამდევდა, ლანჩზე კი ჩვენ მაგიდასთან იჯდა. იმის ახსნა არ არის საჭირო რომ ერიკი და მაიკი არც ისე

MYTOPBOOK.ORG

მეგობრულად იყვნენ მის მიმართ განწყობილები, მე კი თავს კიდევ ერთი თაყვანისმცემელი დამატყდა, რომელიც ნამდვილად არ მჭირდებოდა.

რატომღაც ედვარდზე არავინ ლაპარაკობდა, თუმცა ხშირად ვიმეორებდი, რომ მან გადამარჩნა, გადამეფარა რომ დავეცვი ფურგონისაგან, რომელიც სწრაფად გვიახლოვდებოდა და ამით თითონ ლამის დაშავდა. ჯესიკა, მაიკი და ერიკი ამტკიცებდნენ, რომ ედვარდი მხოლოდ მაშინ დაინახეს, როდესაც „ჰონდა“ გადაადგილეს.

მას არავინ დაყვებოდა და არ სთხოვდა მოეყოლა როგორ მოხდა ყველაფერი; როგორც ყოველთვის თავს არიდებდნენ. კალენები და ჰეილები ისევ იმ მაგიდასთან ისხდნენ, არ ჭამდნენ, მხოლოდ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ედვარდი ჩემსკენ აღარ იყურებოდა.

ბიოლოგიაზე მერხის ნაპირში იჯდა, ჩემგან ისე შორს რამდენადაც ამის საშუალებას მერხი აძლევდა და საერთოდ არ მამჩნევდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ხელები მუშტებად იკვრებოდა, ისე ძლიერ რომ მისი კანი კიდევ უფრო თეთრი ჩანდა, ვფიქრობი მართლა ისეთი გულმავიწყი და აუღელვებელი იყო როგორიც ჩანდა თუ არა?

მგონი ნანობდა, რომ გადამარჩნდა, მხოლოდ ეს ახსნა შემეძლო მომეძებნა ამ სიტუაციისათვის.

ძალიან მინდოდა მასთან დალაპარაკება და ავარიიდან მეორე დღესვე ვცადე ამის გაკეთება. ბოლოს საავადმყოფოს მიმღების დერეფანში ვილაპარაკეთ და თითქმის ვიჩხუბეთ. ვბრაზობდი იმის გამო რომ არ უნდოდა სიმართლის მოყოლა , მიუხედავად იმისა რომ შეთანხმების პირობებს ზედმიწევნით ვიცავდი. ბოლოს და ბოლოს მან სიკვდილს გადამარჩინა. როგორ? ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს! მეორე დღეს ბრაზი უსაზღვრო მადლიერებაში გადამეზარდა.

როდესაც ბიოლოგიაზე შევედი, ედვარდი უკვე მერხთან იჯდა და უაზროდ იყურებოდა წინ. მის გვერდით დავჯექი და ველოდებოდი რომ ჩემსკენ მოტრიალდებოდა, მაგრამ მას არც კი შევუმჩნევივარ.

MYTOPBOOK.ORG

–გამარჯობა ედვარდ– ვუთხარი თავაზიანად, რათა მეჩვენებინა რომ მის მიმართ მეგობრულად ვიყავი განწყობილი.

ჩემსკენ შემოტრიალდა, ისე რომ მზერით არც კი შევხვედრივარ, თავი დამიქნია და ისევ გაიხედა.

ეს იყო ბოლო საუბარი, მას შემდეგ სიტყვაც არ მითქვამს, თუმცა ყოველდღე ერთ მერხღთან ვისხედით. ჩემ გრძნობებს ვერ ვეწინააღმდეგებოდი და სასადილოში ან მანქანების სადგომზე შორიდან მაინც ვუყურებდი. ვხედავდი, მისი ოქროსფერი თვალები დღითი–დღე როგორ მუქდებოდა. კლასში კი იმდენივე ყურადღებას ვიჩენდი მის მმიმართ, რამდენსაც ის ჩემს მიმართ. ამის გამო თავს უბედურად ვგრძნობდი, ამასთან არც სიზმრები მაძლევდნენ მოსვენებას...

მიუხედავად გამამხნევებელი შეტყობინებებისა, რენე მიხვდა რომ რაღაც რიგზე არ იყო და რამდენჯერმე აღელვებულმა დამირეკა. ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ცუდი ხასიათი ამინდის ბრალი იყო.

სამაგიეროდ მაიკი იყო კარგ ხასიათზე. მან შვებით ამოისუნთქა, როდესაც მიხვდა რომ ჩემს ლაბორატორის პარტნიორთან ავარიის შემდეგ არც ისე კარგი ურთიერთობა მქონდა. ახლა უფრო თავდაჯერებულად გრძნობდა თავს და ბიოლოგიის დაწყებამდე გვერდით მიჯდებოდა და დიდხანს ვსაუბრობდით, ედვარდს კი ყურადღებას არ ვაქცევდით.

ავარიის შემდეგ თოვლი არ მოსულა, რის გამოც მაიკი ძალიან ნერვიულობდა, რადგან გუნდაობა ვერ მოახერხა. მხოლოდ ის ახარებდა, რომ მალე პლაჟზე სასეირნოდ უნდა წავსულიყავით. თავსხმა წვიმები მთელი კვირა გაგრძელდა.

მარტის პირველ ორშაბათს ჯესიკამ დამირეკა. აღმოჩნდა რომ ტრადიციულად მალე ბალი უნდა გამართულლიყო, რომელზეც გოგოები ბიჭებს ეპატიჟებოდნენ და აინტერესებდა შეეძლო თუ არა მაიკთან ერთად წასვლა.

MYTOPBOOK.ORG

–წინააღმდეგი ხო არ ხარ? ნუთუ შენ არ აპირებდი მის დაპატიჟებას?–გაოცდა ის როდესაც ვუთხარი, რომ არანაირი პრობლემა არ იყო.

–არა ჯესს, მე არ მოვდივარ– დავამშვიდე. ცეკვები ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა.

–იქ კარად გავერთობით–უგულოდ მარწმუნებდა ჯესიკა. როგორც ჩანს ჩემი მოულოდნელი პოპულარობა, იმაზე კიდევ უფრო ნაკლებად მოწონდა ვიდრე მე.

–მაიკთან კარგი დროის გატარებას გისურვებ!– გამახნევებლად ვუთხარი და ყურმილი დავუკიდე.

შემდეგ დღეს ტრიგონომეტრიაზე და აესპანურზე ჯესიკა საეჭვოდ და ჩუმად იქცეოდა. დასვენებებზე აშკარად გამირბოდა, იმის სურვილი კი ნამდვილად არ მქონდა მეკითხა რა მოხდა. თუ ნიუტონმა უარი უთხრა, მაინც არ გამოტყდება.

ჩემი ეჭვები გამართლდა როდესაც ლანჩის დროს ჯესიკა მაიკის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა და ერიკთან დაიწყო საუბარი.

მაიკი ჩუმად მიმაცილებდა ბიოლოგიის კლასამდე და მისი მოღუშული სახე ცუდ ნიშნად მომეჩვენა, მაგრამ მხოლოდ მაშინ დამელაპარაკა, როდესაც ჩემს ადგილზე დავჯექი. როგორც ყოველთვის ედვარდის გამო თავს უხერხულად ვგრძნობდი.

–წარმოგიდგენია?– დაიწყო მაიკმა–ჯესიკა ცეკვებზე მეპატიჟება.

–შესანიშნავია!–გახარებულმა წამოვიძახე.–დროს კარგად გაატარებთ.

–ხო მაგრამ...–გაჩერდა ჩემი სიხარულით დაბნეული– მე ვითხარი რომ მოვიფიქრებ.

–რატომ?–ვკითხე მკაცრად, გულში კი მიხაროდა, რომ ჯესიკასთვის კატეგორიული უარი ჯერ არ ჰქონდა ნათქვამი.

მაიკს თავი არ აუწევია, გაწითლდა, შევხედე და შემეცოდა.

MYTOPBOOK.ORG

–მე იმედი მქონდა, რომ შენ დამპატიჟებდი–ძლივს გასაგონად მითხრა მან.

დიდი ხნით გავჩუმდი, საკუთარი თვი მეზიზღებიდა იმის გამო, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. მაგრამ ამ დროს თვალის კუთხით შევამჩნიე, რომ ედვარდი რეფლექსურად, რამდენიმე სანტიმეტრით ჩემსკენ მოტრიალდა.

–მაიკ ჯესიკას უნდა დათანხმდე– ვუთხარი მკაცრად.

–შენ უკვე დაპატიჟე ვინმე?–საინტერესოა თუ დაინახა ედვარდმა როგორ ესროლა ნიუტონმა მზერა?

–არა ცეკვებზე საერთოდ არ მოვდივარ– სასწრაფოდ დავარწმუნე მე.

–კი მაგრამ რატომ?–ახსნა მომთხვა მაიკმა. იმაზე ლაპარაკი ნამდვილად არ მსურდა რომ ბეჰემოტივით ვცეკვავ, ამიტომ ახალი გეგმა მოვიფიქრე.

–სიეტლში მივდივარ.

ქალაქიდან გასლა მართლა მჭირდებოდა, ხოდა რატომაც არა სიეტლში ამ შაბათს?

–ნუთუ არ შეიძლება სხვა დღეს წახვიდე?– მაიკი შეეცადა გადამეფიქრებინა.

–სამწუხაროდ არა,–ვუთხარი მე,–და გთხოვ ჯესიკა არ ალოდინო, არ გამოვა ლამაზად.

–მართალი ხარ,– მითხრა და მოწყენილი თავისი ადგილისკენ წავიდა.

სახეზე ხელები ავიფარე და ქუთუთოებზე თითები დავიჭირე თითქოს ვცდილობდი ჩემგან დანაშაულის და შეცოდების გრძნობები გამომედევნა. მისტერ ბანერმა გაკვეთილი დაიწო და თვალების გახელა მომიწია.

MYTOPBOOK.ORG

ედვარდი ისევ მიყურებდა, ინტერესით და იმედგაცრუებით, როგორც ადრე. შევხედე დარწმუნებულმა, რომ მაშინვე გაიხედავდა. არაფერი მსგავსი, ის ისევ გამომცდელად მიყურებდა. ღმერთო, რა ლამაზია! ხელები ამიკანკალდა.

–მისტერ კალენ?– თქვა მასწავლებელმა, ედვარდს იმ პასუხს სთხოვდა კითხვაზე, რომელიც მე არ გამიგია.

–კრებსის ციკლი–უპასუხა ედვარდმა და უხალისოდ გადაიტანა მზერა მისტერ ბანერზე.

როგორც კი უმშვენიერესი თვალების ტყვეობას დავაღწიე თავი წიგნს დავუწყე ყურება. საკუთარ თავს ვერ ვენდობოდი ამიტომ სახეზე თმა ჩამოვიფარე. არ შეიძლება გრძნობებს ავყვე, მიუხედავად იმისა რომ პირველად რამდენიმე კვირს შემდეგ ედვარდმა შემომხედა. არ უნდა მივცე ნება ის გამიკეთოს რაც უნდა. ეს სასაცილოა, საცოდაობაა და... საშიშია.

დანარჩენი გაკვეთილი ვცდილობდი ედვარდისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ რადგან ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა შევეცადე ჩემი ქურდული მზერები შესამჩნევი არ ყოფილიყო. როგორც კი ზარი დაირეკა შვტრიალდი და ჩანთის ჩალაგება დავიწყე, იმ „იმედით„ რომ ედვარდი, როგორც ყოველთვის სწრაფად წავიდოდა შემდეგ გაკვეთილზე.

–ბელა?–ღმერთო ეს ხმა ჩემთვის ამდენს რატომ ნიშნავს, მე ხომ მას სულ ცოტა ხანია რაც ვიცნობ!

ნელა, თითქოს ამის სურვილი არ მქონდა შემოვტრიალდი. მრცხვენია ვაღიარო, რომ მშვენიერი სახე როგორც მაგნიტი ისე მიზიდავდა. დარწმუნებული ვარ ფრთხილი სახის გამომეტყველება მქონდა, მაგრამ ედვარდი რას გრძნობდა ნამდვილად არ ვიცოდი. რატომ არის ჩუმად?

–შენ რა ისვე მელაპარაკები?–ვკითხე ნერვიულად, თუმცა გადავწყვიტე თავი ხელში ამეყვანა.

MYTOPBOOK.ORG

მკვეთრად გამოკვეთილი ტუჩები შეტოკდა, ედვარდი ცდილობდა ღიმილი შეეკავებინა.

–მთლად მასე არა....

ცოტა რომ დავწყნარებულიყავი, თვალები დავხუჭე და ჩვისუნთქე.

–მაშინ რა გინდა?– თვალგაუხელლად ვკითხე. საოცარია მგარამ ასე უფრო იოლი აღმოჩნდა საკუთარი აზრების გაკონტროლება.

–მაპატიე–გულწრფელად მითხრა მან.– ვიცი რომ უხეშად ვიქცევი, მაგრამ ასე უკეთესია.

საბოლოოდ გადავწყვიტე მისთვის შემეხედა. მისი სახე ძალიან სერიოზული იყო.

–ვერ ვხვდები რაზე მელაპარაკები.

–ჯობია მე და შენ არ ვიმეგობროთ–ამიხსნა მან,–დამიჯერე.

ჩემი თვალები ეჭვით დავიწროვდნენ,–ერთხელ უკვე ვენდე.

–ვწუხვარ, რომ ეს ადრე ვერ მოიფიქრე ,–ვუკბინე მე– მაშინ სანანებლად არ გექნებოდა საქმე .

–სნანებლად?–როგორც ჩანს ამ სიტყვამ და ჩემმა მკაცრმა ტონმა დააბნია, რას უნდა ვნანობდე?

–მანქანამ რომ არ გადამიარა.– ედვარდი გაურკვევლობისგნ გაშეშდა, როდესაც ლაპარკი დაიწყო, მომეჩვენა, რომ ენას ძლივს იმორჩილებდა.

–შენ ფიქრობ, ვანანობ, რომ სიკვდილს გადაგარჩინე?

–კი არ ვფიქრობ, ვიცი!

–არაფერიც არ იცი!–გაბრაზდა ედვარდი.

სწრაფად შემოვტრიალდი, რომ თავი შემეკავებინა და ყველაფერი არ მეთქვა მისთვის. წიგნები შევაგროვე და კლასიდან სწრაფად გავედი.

MYTOPBOOK.ORG

მინდოდა ოთახიდან დრამატულად გავსულიყავი, მაგრამ რათქმა უნდა ზღურბლს ფეხი წამოვკარი და წიგნები დამებნა. მთელი წუთი ვფიქრობდი დამეტოვებინა წიგნები თუ ამეკრიფა და ბოლოს და ბოლოს საღ აზრს დავუჯერე. ჩავისუნთქე და დავიხარე წიგნებთან, მაგრამ ედვადმა დამასწრო, მოხერხებულად შეაგროვა წიგნები და მკაცრი სახით მომაწოდა.

–მადლობა– ცივად ვუთხარი მე. თვალები დაუვიწროვდა

–არაფრის–მიპასუხა მან.

სწრაფად გავსწორდი, ამაყად გავიშალე მხრებში და სპორტდარბაზში ისე შევედი უკან არც მომიხედავს.

ფიზკულტურამ საშინლად ჩაიარა. მარტში კალათბურთი დავიწყეთ და ჩემი გუნდელები ბურთს თითქმის არ მანდობდნენ. სამაგიეროდ ხშირად ვეცემოდი და ჩემთან ერთად ვინმესაც ვაქცევდი. დღეს ჩემს შესაძლებლობებს გადავაჭარბე და ედვარდზე ფიქრში, ყოველ წუთს ვეცემოდი.

ზარი დაირეკა და როგორც ყოველთვის შვება ვიგრძენი. სადგომისკენ გავრბოდი, არავისთან ლაპარაკის სურვილი არ მქონდა. ავარიაში ჩემი პიკაპი რათმქაუნდა თითქმის არ დაშავებულა, მხოლოდ გვერდითა შუქების გამოცვლა და საბარგულის შეღებვა დასჭირდა. ტაილერის მანქანა კი მისმა მშობლებმა ნაწილებად გაყიდეს.

გული ლამის გამისკდა, როდესაც ჩემ პიკაპთან მუქი ფიგურა დავინახე. ეს რათქმა უნდა ერიკი იყო. ესღა მაკლდა!

–გამარჯობა ერიკ!

–გამარჯობა ბელა!

–რა მოხდა?–ვკითხე და თან პიკაპის კარების გაღება დავიწყე. მისი ხმის კანკალს თავიდან ყურადღება არ მივაქციე, ამიტომ შემდეგი წინადადება მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის.

MYTOPBOOK.ORG

–ვიფიქრე... იქნებ ჩემთან ერთად წამოხვალ ცეკვებზე?– მისი ხმა კიდევ უფრო აკანკალდა.

–მე მეგონა რომ გოგოები ეპატიჟებიან ბიჭებს–მთელი ძალით შევეცადე თავაზიანი ვყოფილიყავი.

–ნამდვილად მასეა. მორცხვად მიპასუხა ერიკმა.

საბედნიეროდ მოვახერხე თვის ხელში აყვანა.

–დაპატიჟებისთვის გმადლობ, –ვუთხარი ღიმილით, –მაგრამ შაბათს სიეტლში მივდივარ.

–რა გაეწყობა–ამოიოხრა ერიკმა–სხვა დროისთვის იყოს.

–აუცილებლად, –დავეთანხმე გახარებული, მაგრამ მაშინვე ენაზე ვიკბინე. იმედია ჩემს დაპირებას ერიკი პირდაპირ არ მიიღებს.

ის სკოლსკენ წაბორიალდა, მე კი ჩუმი სიცილის ხმა გავიგე. გვერძე ედვარდ კალენმა ჩამიარა. პირდაპირ იყურებოდა და გარშემო არავის ამჩნევდა. მანქანაში ჩავჯექი, კარები მოვიჯახუნე, გასაღები გადავატრიალე და ფრთხილად დავიწყე ჩემი ადგილიდან გამოსვლა. ედვარდი ვირტუოზულად გამოვიდა სადგომიდან, გამასწრო, ჩემს წინ დადგა და გაჩერდა, როგორჩ ჩანს თავის ოჯახს ელოდებოდა – შესანიშნავი ოთხეული სწორედ ამდროს გამოვიდა სასადილოდან. საშინლად მინდოდა მისი ახალ „ვოლვოს“ დავჯახებოდი, მაგრამ გარშემო ბევრი თვითმხილველი იყო. უკანა ხედვის სარკეში ჩავიხედე და დავინახე რომ, მანქანების რიგი იდგა. ზუსტად ჩემს უკან კი ტაილერ კროული იყო თავისი ახალი „ნისანით“ და გამარჯობის ნიშნად ხელს მიქნევდა. ასეთ მდგომარეობაში არ მინდოდა მასთან ურთიერთობა.

ვიჯექი და ვოლვოს ვუყურებდი, როდესაც ფანჯარაზე ვიღაცამ დამიკაკუნა. თავი მივატრიალე და ტაილერი დავინახე, ინსტინქტურად ისევ სარკეში ჩავიხედე და დავინახე ნისანი, რომელიც ისევ დაქოქილი იყი. მომიწია მგზავრის მხარეზე ფანჯრის ჩაწევა.

MYTOPBOOK.ORG

–მაპატიე ტაილერ– დავიყვირე გაღიზიანებულმა , კალენს ვერ გავასწარი. მე არაფერ შუაში არ ვარ ამხელა საცობი რომ შეიქმნა.

–დავინახე, უბრალოდ რადგან აქ გავიჭედეთ მინდოდა რაღაც მეთხოვა,– ჩაეცინა კროულის.

ო არა! ოღონდ ეს არა!...

–ცეკვებზე არ დამპატიჟებ?–აუღელვებლად მკითხა მან.

–ტაილერ ქალაქში არ ვიქნები, – ვუთხარი უხეშად. მაგრამ ის ხომ დამნაშავე არ იყო, რომ მანამდე მაიკმა და ერიკმა მოთმინება დამაკარგვინეს.

–ხო მაიკმა მითხრა, –გამომიტყდა ტაილერი.

–აბა რატომ...

–ვიფიქრე, რომ უბრალოდ თავიდან მოიცილე–მხრები აიჩეჩა ტაილერმა.

ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეა.

–ვწუხვარ ტაილერ, –მთელი ძალით ვცდილობდი გაბრაზება დამემალა, –მაგრამ ქალაქიდან, მართლა გავდივარ.

–ეგ არაუშავს წინ გამოსაშვები საღამოც გვაქვს.

სანამ ხმის ამოღება მოვასწარი, ტაილერი უკვე თავის მანქანასთან იყო. ვგრძნობდი, რომ სახე გაბრაზებული მქონდა. ფანჯარაში გავიხედე და დავინახე ელისი, როზალი, ემეტი და ჯასპერი, როგორ სხდებოდნენ მანქანაში. მისი უკანა ხედვის სარკეში დავინახე, რომ ედვარდი მე მიყურებდა და გულიანად იცინოდა, თითქოს ყველა სიტყვა გაეგო, რაც ტაილერმა მითხრა. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ პედალზე ფეხი არ დამეჭირა და დავჯახებოდი, მის მგზავრებს არაფერი მოუვიდოდათ, სამაგიეროდ მანქანის და ედვარდის ხასიათის გაფუჭებას შევძლებდი. გასაღები გადავატრიალე, მაგრამ კალენები უკვე ჩამსხდარიყვნენ

MYTOPBOOK.ORG

მანქანაში და ედვარდმა მანქანა გააქროლა. სახლში ნელა წავედი, თან მთელი გზა ვბურტყუნებდი.

სახლში მისულმა გადავწყვიტე ქათამი მომემზადებინა მექსიკურად, მართალია მალე ვერ გავაკეთებდი, მაგრამ ყურადღებას გადავიტანდი. ბოსტნეული სუნელებით უკვე თითქმის მზად იყო, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ყურმილის აღება მეზარებოდა, რადგან ეს ან ჩარლი, ან დედა იყო.

ტელეფონზე გახარებული ჯესიკა აღმოჩნდა. მაიკს სკოლის შემდეგ გაეჩერებინა და მისი მიპატიჟება მიეღო. მთელი გულით მივულოცე. ჯესიკა ჩქარობდა, რადგან ანჯელასთვის და ლორენისთვის უნდა დაერეკა და თავისი სიხარული გაეზიარებინა. შევთავაზე, რომ ანჯელას ერიკი დაეპატიჟებინა, ლორენს კი, რომელიც არასდროს არ მამჩნევდა სასადილოში,–ტაილერი. ჯესიკას ძალიან მოეწონა ეს აზრი. ახლა როცა ის მაიკთან ერთად მიდიოდა ცეკვებზე, უკვე გულით წუხდა რომ მე ვერ მივდიოდი. მომიწია მისთვის სიეტლზე მომეყოლა.

ყურმილი დავკიდე და თავით საჭმლის მომზდებაში გადავეშვი. ქათამი კვადრტებად უნდა დამეჭრა ისე რომ ხელი არ გამეჭრა. თავბრუ მეხვეოდა იმის გამო რაც დღეს ედვარდმა მითხრა. რატომ ჯობს რომ არ ვიმეგობროთ?

გული შემეკუმშა–როდესაც მივხვდი რატომ მითხრა ასეთი სიტყვები. ალბათ მიხვდა როგორ ძლიერ ვიყავი მისით გატაცებული, ის კი საერთოდ არ იყო ჩემით დაინტერესებული, ამიტომ ამჯობინებდა რომ თავი ჩემგან შორს დაეჭირა.

მე მას საერთოდ არ ვაინტერესებ... თვალებზე ცრემლი მომადგა–ეს დაგვიანებული რეაქცია იყო ხახვზე. მე არ ვიყავი საინტერესო, ის კი სრულყოფილი, იდუმალი, ლამაზი, ჭკვიანი, მიხვედრილი იყო და ამასთან ფურგონის ერთი ხელით გაჩერება შეეძლო.

რა ვქნა! თავს დავანებებ! ერთი წელი როგორმე გავძლებ ამ ჯურღმულში, შემდეგ კი ჩრდილო დასავლეთის ან ჰავაის, რომელიმე უნივერსიტეტი სტიპენდიას შემომთავაზებს და აქედან წავალ. ქათამს

MYTOPBOOK.ORG

აირღუმელში ვდებდი და თან ვოცნებობდი მზეზე, პალმებზე და ოქროსფერ პლაჟზე.

ჩარლიმ ზღურბლზევე იგრძნო ქათმის არომატი და ეჭვით მიყურებდა. ალბათ აქ ახლომახლო არსად არ იყო მექსიკური რესტორანი. მაგრამ მამა გამბედავი აღჩნდა და გასინჯა. როგორც ჩანს მოეწონა. სასაცილო იყო იმის ყურება, თანდათან როგორ მანდობდა სამზარეულოს.

–მამა? – დავუძახე როდიესაც ჭამას მორჩა.

–გისმენ ბელა–

–შაბათს სიეტლში მინდა წასვლა მთელი დღით, კარგი?–ნებართვის თხოვნა არ მინდოდა, მაგრამ ასე უფრო თავაზიანად გამოვიდოდა.

–რისთვის?–მკითხა გაკვირებულმა, თითქოს ფორქსზე უკეთესი ქვეყანაზე არაფერი არსებობდა.

–წიგნები მინდა, აქაურ ბიბლიოთეკაში თითქმის არაფერი არ არის. კიდევ ტანსაცმელსაც დავათვალიერებ.

ჩარლის მეშვეობით მანქანის ყიდვა არ დამჭირდა, ამიტომ ფინანსური მდგომარება კარგი მქონდა, თუმცა საწვავში ბევრი ფული მეხარჯებოდა.

–პიკაპი, ბევრს წვავს,–მითხრა ჩარლიმ, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხა.

–ვიცი! საწვავისთვის მომიწევს გაჩერება მონტესანოში, ოლიმპიაში და ტაკომაში.

–მარტო ჩახვალ?–მკითხა და ვერ მივხვდი ცდილობდა გაეგო მეგობარ ბიჭთან ერათდ მივდიოდი თუ არა, თუ უბრალოდ ღელავდა ჩემზე.

–მარტო.

MYTOPBOOK.ORG

–სიეტლი დიდი ქალაქია შეიძლება დაიკარგო.–მითხრა ჩარლიმ.

–მამა ფენიქსი ხუთჯერ დიდია, მაგრამ არ დავკარგულვარ და ამასთან რუკებში კარგად ვერკვევი.–ამოვიოხრე მე.

–გინდა შენთან ერთად წამოვალ?

შევეცადე მღელვარება დამემალა.

–მამა მაღაზიებში უნდა ვიარო და მოიწყენ.!

–კარგი მაშინ მარტო წადი.–როგორც ჩანს, ის აზრი, რომ მაღაზიებში მოუწევდა სიარული არ მოეწონა.

–მადლობა! –გავუღიმე მე.

–ცეკვებზე ჩამოსვლას მოასწრებ?

ჰმმ! რა საშინელებაა მხოლოდ ისეთ პატარა ქალაქებში როგორიც ფორქსია, მამებმა იციან როდის არის სკოლაში ცეკვები.

.

–მამა მე არ ვცეკვავ!–უნდა გამიგოს, ბოლოს და ბოლოს დედას ნამდვილად არ ვგავარ ასეთ მოუხერხებლობაში.

– კარგი-კარგი,–მიპასუხა ჩარლიმ სასწრაფოდ.

მეორე დღეს ვერცხლიფერი ვოლვოსგან, რაც შეიძლება შორს გავაჩერე მანქანა. არ მინდოდა სურვილებს ავყოლოდი და შემდეგ კალენებისთვის ახალი მანქანა მეყიდა. ჩანთა მხარზე გადავიკიდე და გაბედულად წავედი სკოლისკენ წვიმაში. თითქოს განგებ გასაღები დამივარდა და გუბეში ჩავარდა, დავიხარე მის ასაღებად, მაგრამ ვიღაც ძალიან მოხერხებულმა დამასწრო. გავსწორდი და დავინახე ედვარდი, რომელიც ჩემი პიკაპის საბარგულს მიყუდებოდა.

–როგორ აკეთებ ამას?–ვკითხე გაღიზიანებულმა.

–რას ვაკეთებ? –გამიმეორა კითხვა, თან გასაღები გამომიწოდა.

MYTOPBOOK.ORG

–მოულოდნელად, თითქოს არსაიდან გაჩენას.

–ბელა მე დამწშავე არ ვარ რომ ასეთი უყურადღებო ხარ! –მისი ხავერდოვანი ხმა როგორც ყოველთვის ხმადაბალი იყო.

დაბღვერილი ვუყურებდი უსაზღვროდ ლამაზ სახეს. დღეს ედვარდის თვალები ნათელი ფერის იყო, ოქროსფერ–თაფლიფერი.

–გუშინ საცობი რატომ მოაწყვე? –მკაცრად ვკითხე, –როგორც მახსოვს ჩემი იგნორირება გადაწყვიტე და არა მდგომარეობიდან გამოყვანა.

–ტაილერის გულისთვის, შანსი ხომ მასაც სჭირდებოდა–გაეცინა ედვარდს.

–შენ...–მრისხანებისგან სუნთქვას ვერ ვახერხებდი და თან სალანძღავ სიტყვებს ვეძებდი. შიგნით მრისხანებისგან ყველაფერი მეწვოდა.

–და საერთოდ, იგნორირებას სულაც არ გიკეთებ, –გააგრძელა მან.

–მაშინ გამოდის იმის დასრულებას ცდილობ რაც ტაილერის მანქანას არ გამოუვიდა.

მისი თვალები სიბრაზისგან გამუქდა და ტუჩები მოკუმა.

–ბელა მაპატიე მაგრამ სისულელეებს ლაპარაკობ!–მითხრა დაბალი ცივი ხმით.

ხელები ამექვა ისე მინდოდა მისთვის სილის გაწვნა! რა მემართება? ძალადობისთვის არასოდეს მიმიმართია, ყოველშემთხვევაში დღევანდელ დღემდე. დემონსტრაციულად შემოვტრიალდი და გზა გავაგრძელე.

–დამიცადე! –ხმადაბლა დამიძახა ედვარდმა, მე კი გზას ვაგრძელებდი და თან გუბეებში მოუხერხებლად ვაბიჯებდი. ედვარდი ყოველგვარი სიძნელის გარეშე დამეწია.

–მაპატიე, ძალიან უხეში ვიყავი, ტაილერთან დაკავშირებით ყველაფერი ისეა როგორც გითხარი, გთხოვ არ გამიბრაზდე.

MYTOPBOOK.ORG

–თავს რატომ არ მანებებ?–შევეკითხე ცივი ხმით.

–მინდა რაღაცა გკითხო, მაგრამ პირის გაღების საშუალებასაც არ მაძლევ,–გაეცინა ედვარდს, როგორც ჩანს იუმორის გრძნობა ისევ დაუბრუნდა.

–შენ რა პიროვნების გაორება გაქვს?

–მოდი ერთმანეს შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ!

–კარგი მითხარი რა გინდა–ამოვიოხრე მე.

–შემდეგ შაბათს, ცეკვების დღეს...

–შენ რა დამცინი?– დამთავრების საშუალება არ მივეცი, და სახე დამისველდა როდეაც მოვტრიალდი და შევეცადე მისი გამომეტყველება დამენახა.

–დამათავრებინებ?–თავაზიანად მითხრა მან, მაგრამ ისევ მეგონა რომ დამცინოდა.

ტუჩზე ვიკბინე და ხელები შევატყუპე, რომ რამე ნაჩქარევი ქმედებები არ ჩამედინა.

–გავიგე მაგ დღეს სიეტლში მიდიხარ. შეიძლება წაგიყვანო?

მსგავსს არაფერს ველოდი!

–რა?– იდიოტივით ვკითხე, ვერ ვხვდებოდი რა უნდოდა.

–შეიძლება რომ სიეტლში წაგიყვანო?

–ვინ წამიყვანს? –ვერ ვხვდებოდი.

–მე რათქმაუნდა,– გამომეორა ედვარდმა თან ყველა ბგერა გამოკვეთილად წარმოთქვა, თითქოს დაუნს ელაპარაკებოდა.

–რატომ?

MYTOPBOOK.ORG

–დიდი ხანია სიეტლში ვაპირებ წასვლას, ამასთან არამგონია შენმა პიკაპმა ასეთ გზას გაუძლოს.

–დიდი მადლობა ზრუნვისთვის, მაგრამ ჩემი მანქანით ძალიან კმაყოფილი ვარ,– ისევ გავაგრძელე გზა, მაგრამ იმდენად ვიყავი გაოცებული, რომ გაბრაზებას ვეღარ გამოვხატავდი.

–ძალიან კარგი თუ კმაყოფილი ხარ, მაგრამ რამდენჯერ მოგიწევს საწვავისთვის გაჩერება?–ისევ მომდევდა ედვარდი.

–ვერ ვხდები ეგ შენ რატომ გაწუხებს,–ირონიულად ვკითხე, შევეცადე ლამაზი, მდიდარი ბიჭი გამებრაზებინა.

–ძნელად მოსაპოვებელი რესურსების უაზროდ არ ფლანგვა ყველას საქმეა,–მოჩვენებითი სერიოზლობით მიპასუხა ედვარდმა.

–კარგი რა ედვარდ!–მისი სახელი როგორც კი ვთქვი, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ამის გამო თავი მეჯავრებოდა.–ვერ ვხდები, მე მეგონა ჩემთან მეგობრობა არ გინდოდა.

–მე გითხარი უმჯობესია თუ არ ვიმეგობრებთ და არა ის რომ შენთან მეგობრობა არ მინდა.

–დიდი მადლობა ახლა ყველაფერი გასაგებია!–სარკაზმით გადავუხადე მადლობა.

ახლა მივხვდი რომ გაჩერებული ვიყავი. სასადილოს სახურავის ქვეშ აღმოვჩდით და წვიმა ხელს აღარ მიშლიდა მისთვის სახეში შემეხედა, მაგრამ ეს საერთოდ არ დამეხმარა ნათლად აზროვნებაში.

–შენთვის უფრო უსაფრთხო იქნება თუ ჩემი მეგობარი არ იქნები, მაგრამ დავიღალე შენგან შორს ყოფნით და თავის მოჩვენებით თოთქოს გრძნობები არ გამაჩნია, ბელა! –ბოლო სიტყვა ისეთი ვნებით თქვა ლამის გული გამიჩერდა და სულ დამავიწყდა როგორ უნდა მესუნთქა.

–წამოხვალ ჩემთან ერთად სიეტლში?– ისევ მკითხა ედვარდმა.

MYTOPBOOK.ORG

ლაპარაკის უნარი ჯერ არ დამბრუნებოდა, ამიტომ მხოლოდ თავი დავუქნიე.

შვებით გამიღიმა და შემდეგ მისი სახე ისევ სერიოზული გახდა.

–და მაინც ჯობია ჩემგან თავი შორს დაიჭირო–გამაფრთხილა მან,– ბიოლოგიაზე შევხვდებით!

ედვარდი სწრაფად შეტრიალდა და ისევ მანქანების სადგომისკენ წავიდა.

თავი მეხუთე

სიხლის ჯგუფი

ინგლისურის გაკვეთილზე ნახევრადგათიშული შევედი, თავიდან ვერც კი მივხვდი, რომ გაკვეთილი უკვე დაწყებულიყო.

–დიდი მადლობა, რომ პატივი დაგვდეთ თქვენი მობრძანებით მისს სვონ,–საყვედურით მითხრა მისტერ მეისონმა.

გავწითლდი და სასწრაფოდ ჩემი ადგილისკენ წავედი.

მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს მივხვდი, რომ მაიკი ჩემს გვერდით არ იჯდა. სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, მაგრამ გაკვეთილის ბოლოს კარებთან ერიკი და მაიკი დამხვდნენ, ასე რომ ყველაფერი არც ისე

MYTOPBOOK.ORG

ცუდად იყო. მაიკი გზაში აღფრთოვანებული ლაპარაკობდა შაბათ-კვირას მოსალოდნელ ამინდზე. პროგნოზის მიხედვით წვიმები უნდა შემწყდარიყო და მაიკი სავარაუდოდ შეძლებდა პლაჟზე წასვლას. მე ყველანაირად ვცდილობდი ჩემი გუშინდელი დანაშაული გამომესყიდა და ამიტომ ვუთხარი, რომ მნიშვნელობა არ ქონდა წვიმა იქნებოდა თუ არა მაინც არ დათბებოდა, ამითომ წვიმა წასვლაში ხელს არ შეგვიშლიდა.

დანარჩენი დილა ბინდში გახვეულიყო. ვერ ვიჯერებდი, რომ ედვარდის ნათქვამი და მზერა რომლითაც ის მიყურებდა მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი არ იყო. იქნებ ეს სიზმარია, რომელიც რეალობაში ავურიე. ეს უფრო გავდა სინამდვილეს, ვიდრე ის, რომ ედვარდი ნამდვილად დაინტერესდა ჩემით.

მოუთმენლობასა და შიშს ვგრძნობდი როდესაც ჯესიკასთან და დანარჩენებთან ერთად სასადილოში შევედი. მინდოდა მისი სახე დამენახა და მიმხვდარიყავი, რომ ედვარდი ისევ ისეთი ცივი და უინტერესო იყო, როგორიც მთელი ამ ხნის განმავლობაში. ან იქნებ სასწაული მოხდა და სინამდვილეში იყო ყველაფერი ამ დილით. ჯესიკა გაუჩერებლად ლაპარაკობდა თავის გეგმებზე ცეკვებთან დაკავშირებით, ლორენმა და ანჯელამ ერიკი და ტაილერი დაპატიჟეს და მოუთმენლად ელოდნენ შაბათს. გარშემო ვერავინ ამჩნევდა ჩემს გონებაგაფანტულობას.

საშინელი იმედგაცრუება ვიგრძენი, როდესაც მის მაგიდას გავხედე. მისი ნათესავები მაგიდასხდან ისხდნენ, მაგრამ თვითონ არსად ჩანდა. ნუთუ სახლში წავიდა?

სრულიად განადგურებული დავდექი რიგში ჯესიკასთან ერთად. მადა დამეკარგა და მხოლოდ ლიმონათი ავიღე. მინდოდა სადმე კუთხეში დავმჯდარიყავი და სევდას მივცემოდი.

–ედვარდ კალენი შენ გიყურებს,–ჯესიკას ხმა სადღაც შორიდან გავიგე, მისი სახელის ხსენებამ კი გონებაზე მომიყვანა.–საინტერესოა! რატომ ზის დღეს მარტო?

MYTOPBOOK.ORG

თავი სწრაფად ავწიე, თვალი ჯესიკას მზერას გავაყოლე და დავინახე ედვარდი, რომელიც სასადილოს ბოლოში იჯდა მაგიდასთან, თავისი იდუმალი ღიმილით იღიმოდა და მიყურებდა, როგორც კი ჩემი მზერა დაიჭირა ხელი დამიქნია და თავისთან მიმიპატიჟა. სუნთქვა შეკრული ვუყურებდი ამ სასწაულს. ჩემი გაოცებული სახის დანახვაზე ედვარდმა თვალი ჩამიკრა.

–ის რა, შენ გეძახის?– მკითხა ძრწოლით ჯესიკამ.

–ალბათ ბიოლოგიის საშინაო დავალება არ დაუწერია,–შევეცადე დამეწყნარებინა ჯესიკა,–წავალ ვნახავ რა უნდა.

ედარდისკენ წავედი, ზურგით კი ჯესიკას გაოცებულ მზერას ვგრძნობდი.

მის მაგიდასთან მივედი და დაბნეული გავჩერდი.

–ჩემთან ხომ არ დაჯდებოდი?– მკითხა ღიმილით.

ავტომატურად დავჯექი, თან ედვარდს გაოცებული ვუყურებდი, რომელიც ისევ იღიმებოდა. ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთი სილამაზე შეიძლება სინამდვილეში არსებულიყო. მეშინოდა რომ უცებ ნისლივით გაქრებოდა და გამეღვიძებოდა.

როგორც ჩანს ელოდებოდა რომ რამეს ვეტყოდი.

–უცნაურია,–როგორც იქნა მოვახერხე და ვთქვი.

–ხოოო... – ცოტა ხნის პაუზის შემდეგ სწრაფად გააგრძელა– გადავწყვიტე რადგან მაინც ჯოჯოხეთში უნდა მოვხვდე, მაშინ ამას სრულყოფილად გავაკეთებ.

ველოდებოდი რომ რამეს იტყოდა, რაც შემაძლებინებდა მისი ნათქვამის აზრის გაგებას.

–ვერ ვხვდები რას გულისხმობ?–ვუთხარი მე.

MYTOPBOOK.ORG

–ვიცი, –მითხრა და გამიღიმა, შემდეგ თემა შეცვალა– მგონი შენი მეგობრები გაბრაზებულები არიან ჩემზე, შენი თავი რომ მოვპარე.

–როგორმე გადაიტანენ, –ზურგზე კი მათ მზერებს ვგრძნობდი.

–არც კი იფიქრონ, რომ შენ თავს უკან დავუბრუნებ, –პირქუშად მითხრა ედვარდმა.

მე მხოლოდ ამოვიოხრე.

–რაღაც შეშინებული ჩანხარ,– გაეცინა ედვარდს.

–სულაც არა, –დავიწყე მე, მაგრამ ხმა ამიკანკალდა,–უფრო გაკვირვებული... რამ გამოიწვია ეს ყველაფერი?

–ხომ გითხარი. დავიღალე შენგან შორს ყოფნით, და უბრალოდ დავნებდი. –ის ისევ იღიმებოდა, მაგრამ მისი ოქროსფერი თვალები სერიოზული იყო.

–დანებდი?–გავიმეორე გაკვირვებულმა.

– ხო, თავს აღარ შევზღუდავ, ამის მერე იმას გავაკეთებ რაც მინდა და მოხდეს ის რაც მოსახდენია, –მისი ღიმილი გაქრა და ხმაში სევდა შეერია.

–ისევ დამაბნიე.

მისი იდუმალი ღიმილი ისევ გამოჩნდა მის სახეზე.

–როდესაც შენთან ერთად ვარ, საჭიროზე ბევრს ვლაპარაკობ, ეს კი პრობლემაა.

–ნუ დარდობ, მაინც ვერაფერს ვიგებ –ვუპასუხე მე.

–იმედებს სწორედ მაგაზე ვამყარებ.

–ანუ გასაგებ ენაზე, რომ ვთქვათ ახლა მე და შენ მეგობრები ვართ?

MYTOPBOOK.ORG

–მეგობრები?... – მითხრა ჩაფიქრებულმა.

–თუ არა?..! ..– წავილუღლუღე მე.

ჩაიცინა ,– შეგვიძლია ვცადოთ, მაგრამ კიდევ გაფრთხილებ, რომ შენთვის არც ისე შესაფერისი მეგობარი ვარ, –სიცილის მიუხედავად მისი გაფრთხილება სერიოზული იყო.

–ეგ უკვე ბევრჯერ მითხარი, – მიუხედავად იმისა, რომ მუცელში გამაჟჟოლა ხმა მაინც დინჯი მქონდა.

–ხო მაგრამ შენ არ მისმენ. მე ისევ ველოდები როდის დამიჯერებ. თუ ჭკვიანი ხარ მაშინ თავს მომარიდებ.

–როგორც ვიცი უკვე წარმოდგენა შეგექმნა ჩემი ინტელექტუალური შესაძლებლობის შესახებ, –თვალები დამიწვრილდა.

ედვარდმა დაბნეულად გაიღიმა.

–ანუ თუ ჭკვიანი არ ვარ... ეს იმას ნიშნავს, რომ ვიმეგობრებთ?– გავაგრძელე უცნაური დიალოგი.

–ასე გამოდის.

დაბნეული ვუყურებდი ჩემ ხელებს, რომელებსაც ლიმონათის ბოთლს ვუჭერდი და არ ვიცოდი ახლა რა უნდა გამეკეთებინა.

–რაზე ფიქრობ?–მკითხა ინტერესით.

შევხედე მის ღრმა ოქროსფერ თვალებს და მოჯადოებულმა, როგორც ყოვეთვის ისევ სიმართლე ვუთხარი.

–ვცდილობ გავიგო ვინ ხარ.

მისი სახე დაიძაბა მაგრამ მაინც იღიმებოდა.

–რამე გაარკვიე?–მკითხა მან.

–ბევრი ვერაფერი–ვუპასუხე მე.

MYTOPBOOK.ORG

–რამე თეორია არ გაქვა?– ჩაიცინა მან.

გავწითლდი. მთელი თვე ბრუს ვეინზე და პიტერ პარკერზე ვფიქრობდი, მაგრამ ამას ვერ ვეტყოდი.

–არ მეტყვი?–მკითხა, თავი გვერძე გადაწია და გაიღიმა.

–არა, ვერ გეტყვი, –გავაქნიე თავი

–ეს ძალიან მტანჯველია ჩემთვის!

–საერთოდ არა, –არ დავეთანხმე და თვალები მოვჭუტე.– ვერ ვიგებ რატომ არის მტანჯველი ის, რომ ვიღაცას არ უნდა გითხრას რას ფიქრობს? მაშინ როდესაც ეს ვიღაცა გამუდმებით ისეთ მინიშნებებს გაძლევს, რომ შემდეგ ამ მინიშნებებზე ფიქრით მთელი ღამე ვერ იძინებ.

ედვარდი მოიღუშა.

–უფრო მეტიც, –გავაგრძელე მე,–ეს ვიღაცა გასაოცარ, აუხსნელ ქმედებებს სჩადის. ერთ დღეს სიკვდილისგან გადაგარჩენს, ძალიან საეჭვო გარემოებაში, მეორე დღეს კი შენი დანახვაც არ უნდა და არ სურს აგიხსნას რა მოხდა, თუმცა ამას დაგპირდა –ესეც საერთოდ არ არის მტანჯველი!

–აი ტემპერამენტი მესმის!

–არა უბრალოდ ორმაგი სტანდარტები არ მიყვარს.

ერთმანეთს სერიოზული სახეებით ვუყურებდით.

ჩემს უკან გაიხედა და გაიცინა.

–რა?

–შენი “ბოიფრენდი“, ფიქრობს , რომ თავი მოგაწყინე და ვერ გადაუწყვეტია მოვიდეს თუ არა, – ისევ გაიცინა.

MYTOPBOOK.ORG

–არ ვიცი ვის გულისხმობ, –გაყინული ხმით ვუთხარი მე, –მაგრამ გარწმუნებ ცდები.

–საერთოდ არა. გახსოვს? გითხარი რომ ადამიანების უმრავლესობას გადაშლილი წიგნივით ვკიტხულობ.

–ჩემ გარდა რა თქმა უნდა!

–ასეა! შენ გარდა, –შემომხედა ჩაფიქრებულმა, –და მაინტერესებს რატომ ხდება ასე.

მისი გამომცდელი მზერისთვის თავი რომ მაერიდებინა, ლიმონათი გავხსენი, მოვსვი და თავი მოვიჩვენე თითქოს მაგიდას ვუყურებდი.

–არ გშია?– მკითხა მზრუნველად.

–არა, – ხომ არ ვეტყოდი, რომ გაუგებრობისგან მუცელში მაჟრჟოლებდა.

–შენ? –ვკითხე და ცარიელ მაგიდას შევხედე.

–არა, არ მშია,– მისი გამომეტყველება ვერ გავიგე, ისეთი სახე ქონდა, თოთქოს რაღაცა პირადი ხუმრობა გაახსენდა.

–შეიძლება რაღაც გთხოვო? –ვკითხე ყოყმანის შემდეგ.

ცოტათი აღელვებული მომეჩვენა.

–გააჩნია რას მთხოვ.

–ბევრს არაფერს, –დავარწმუნე მე.

მისმენდა ფრთხილად მაგრამ ინტერესით.

–უბრალოდ მაინტერესებს...შეგიძლია წინასწარ გამაფრთხილო როდესაც გადაწყვეტ, რომ იგნორირება გამიკეთო, უბრალოდ მომზადებული რომ ვიყო. ბოთლს ვუყურებდი და თითით ლიმონათის თავსახურს ვატრიალებდი.

MYTOPBOOK.ORG

–სამართლიანად ჟღერს,–მიპასუხა მან. როდესაც შევხედე ტუჩები მოკუმული ქონდა და ცდილობდა სიცილი შეეკავეინდა.

–მადლობ.

–სამაგიეროდ კიდევ ერთი პასუხი უნდა გთხოვო,–მითხრა მან.

–მხოლოდ ერთი.

–ერთი თეორია მაინც მითხარი.

–უუფს...მხოლოდ ეგ ერთი არა.

–შენ არანაირი შეზღუდვა არ დაგიწესებია, უბრალოდ მითხარი მხოლოდ ერთიო,– შემახსენა მან.

–შენ კი შეთანხმება დაარღვიე,–შევახსენე მე.

–მხოლოდ ერთი თეორია. გპირდები არ გავიცინებ.

–გაცინებით ნამდვილად გაიცინებ,– ამაში დარწმუნებული ვიყავი.

ედვარდმა თვალები მოჭუტა და ვედრებით შემომხედა დაბლა დაშვებული წარბების ქვემოდან.

–გთხოვ,–მითხრა და ჩამსკენ გადმოიხარა.

ჩუმად ვიყავი, თითქმის დავნებდი მის სურვილს. ღმერთო! რაებს მიკეთებს?

–ერთი პატარა თეორია... გთხოვ.–ისევ ვედრებით მიყურებდა.

–რადიოაქტიურმა ობობამ გიკბინა?– ან ჰიპნოზს მიკეთებს, ან მე ვარ უნებისყოფო.

–არც ისე კრეატიულია,–დამცინა მან.

–სულ ეს არის, რაც ვიფიქრე,–ვუთხარი წყენით.

–ცოტათი ახლოსაც კი არ ხარ–მითხრა მან.

MYTOPBOOK.ORG

–ობობები არა?

–არა.

–არც რადიოაქტიურობა?

–არცერთი.

–ჯანდაბა, –ვთქვი მე.

–საქმე არც კრიპტონიტებშია, –ჩაიპხუკუნა ისევ.

–შენ არ უნდა გაგეცინა, გახსოვს?

შეეცადა სერიოზული სახე მიეღო.

–დროთა განმავლობაში მაინც გავარკვევ. –გავაფრთხილე მე.

–არ არის სჭირო, ნუ ეცდები,–ის ისევ სერიოზული იყო.

–იმიტომ, რომ.....?

–იქნებ სუპერგმირი სულაც არ ვარ? იქნებ ბოროტი ვარ? –გაიღიმა მაგრამ მისი თვალები პირქუში იყო.

–ააა, ვხდები, –ვუთხარი თიქოს მისი ნათქვამით ყველაფერი ნათელი გახდა.

–მართლა? –მკითხა და ისეთი დაძაბული იყო თითქოს შემთხვევით რაღაც ზედმეტი წამოსცდა ჩემთან.

–შენ საშიში ხარ?– და უცებ მივხვდი რომ ის მართალი იყო. საშიში იყო. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობდა ამის თქმას.

შემომხედა, მისი მისი თვალები სავსე იყოტანჯვით, რომელსაც შესაფერისი განსაზღვრება ვერ მოვუძებნე.

–მაგრამ ცუდი არა, –გავაგრძელე მე,–ვერ დავიჯერებ, რომ შენ ცუდი ხარ.

MYTOPBOOK.ORG

–ცდები,– მითხრა ძლივს გასაგინად. შემდეგ მაგიდას შეხედა, ბოთლის თავსახური აიღო და ხელში დაუწყო ტრიალი. ვუყურებდი და ვფიქრობდი, რატომ არ მეშინოდა მისი, რადგან ის მართალი იყო რასაც ამბობდა, –ეს აშკარა იყო. შეშინების მაგივრად მონუსხული ვყავი მისით, და ასე ვგრძნობი თავს, ყოველთვის როდესაც მის გვერდით ვიყავი.

მდუმარება მანამდე გაგრძელდა, სანამ მივხვდი, რომ სასადლიო უკვე თითქმის ცარიელი იყო.

წამოვხტი და დვიყვირე

–დავაგვიანეთ!

–დღეს მე არ მოვდივარ ბიოლოგიაზე, –მითხრა ედვარდმა, თან თავსახურს სწრაფად ატრიალებდა ხელში.

–რატომ?–გავიკვირვე მე.

–ხანდახან გაცდენა სასარგებლოა,–გამიღიმა მან, მაგრამ ჩანდა რომ ნერვიულობდა.

–მე წავედი, –ვუთხარი, –დამატებითი გაკვეთილების დანიშვნა გაცდენის გამო ნამდვილად არ მინდოდა.

–კარგი, მოგვიანებით გნახავ, –მითხრა ისე რომ ბოთლის თავსახურისთვის თვალი არ მოუშორებია.

ვყოყმანობდი, წავსულიყავი თუ არა, მაგრამ ზარმა დარეკა და მაშინვე გავიქეცი და უკანასკნელი მზერით შევნიშნე, რომ ედვარდი სანტიმეტრითაც კი არ განძრეულიყო, ისევ ისე იჯდა მაგიდასთან.

კლასისკენ გავრბოდი. თავში აზრები ბოთლის თავსახურზე სწრაფად ტრიალებდნენ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი მივიღე, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტი ახალი კითხვა გამიჩნდა. კარგი მხოლოდ ის იყო, რომ წვიმამ, როგორც იქნა გადაიღო.

MYTOPBOOK.ORG

გამიმართლა და მისტერ ბანერს კლასში შესვლა დავასწარი. ჩემი მერხისკენ მიმავალი ვგრძნობდი როგორ მიყურებდნენ ანჯელა და მაიკი. მაიკი ნაწყენი ჩანდა, ანჟელა კი–გაკვირვებული.

მისტერ ბანერი კლასში შემოვიდა და სიჩუმისკენ მოგვიწოდა. ხელში პატარა ყუთები ეჭირა. ყუთები მაიკის მაგიდაზე დაალაგა და დაავალა, რომ მოსწავლეებისთვის დაერიგებინა.

–კარგით ბავშვებო, ახლა მინდა რომ ყველამ გახსნას ყუთი და ამოიღოს ის რაც მასში დევს,–თქვა მან, შემდეგ ჯიბიდან რეზინის ხელთათმანები ამოიღო და ჩაიცვა.–პირველი ინდიკატორების ბარათი უნდა იყოს.–თქვა და დაგვანახა თეთრი ბარათი რომელზეც ოთხი კვადრატი იყო გამოხატული.–მეორე უნდა იყოს ოთხ პირიანი აპლიკატორი–და ბოლოს სტელირული მიკროლანცეტი.–მან ამოიღო ლურჯი პაკეტი და გახსნა. ჩემგან მეტალის ბასრი პირი არ ჩანდა,მაგრამ ჟრუანტელმა დამიარა და მუცელი შემეკუმშა.

–ახლა სათითაოდ მოვალ თქვენთან და ბარათებზე, წყალს დაგიწვეთებთ, ამიტომ სანამ თქვენთან არ მოვალ არაფერი არ დაიწყოთ. ისევ მაიკის მაგიდიდან დაიწო და ფრთხილად დააწვეთა თითო წვეთი ბარათზე აღნიშნულ კვადრატებზე.

–ამის შემდეგ ლანცეტი თითზე უნდა იჩხვლიტოთ...–მან მაიკის ხელი აიღო და სწრაფად უჩხვლიტა შუა თითზე. ო არა! შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა.

–აპლიკატორის ოთხივე პირზე დააწვეთეთ სისლი... – მასწავლებელი მაიკის თითს მანამ უჭერდა ელს, სანამ სისხლი არ წამოუვიდა. ნერწყვი კრუნჩხიანივით გადავყლაპე და ვიგრძენი, რომ გული მერეოდა.

–შემდეგ აპლიკატორი ბარათს დაადეთ... –დაამთავრა, შემდეგ სისხლიანი ბარათი ასწია და ყველას გვაჩვენა, მე თვალები დავხუჭე და შევეცადე მასწავლებლის ხმა გამეგო, მაგრამ ყურები მიწუოდა.

MYTOPBOOK.ORG

–შემდეგ კვირას წითელი ჯვარი მოდის სკოლაში , დონორული სისხლის შესაგროვებლად და ვიფიქრე კარგი იქნებოდა, თუ ყველას გეცოდინებოდათ თქვენი სისხლის ჯგუფი,–თქვა ამაყად მისტერ ბანერმა.–ვინც ჯერ არ ხართ თვრამეტის, მშობლების თანხმობა დაგჭირდებათ, ფორმები ჩემს მაგიდაზეა.

ბანერი ნელა მოძრაობდა კლასში და ბარათებს წყლის წვეთებს აწვეთებდა. თავი ცივ მაგიდას დავადე, ძალიან ცუდად ვიყავი. ჩემს გარშემო თანაკლასელების საყვედურები და წამოძახილები მესმოდა, რადგან ყველა თითებს იჩხვლეტდა. ვცდილობდი პირით ნელა მესუნთქა.

–ბელა კარგად ხარ?–ჩემთან ახლოს გაისმა მისტერ ბანერის შეწუხებული ხმა.

–მე უკვე ვიცი ჩემი სისხლის ჯგუფი მისტერ ბანერ.–სუსტი ხმით ვუთხარი, ისე რომ თავი არ ამიწევია.

–თვბრუ ხომ არ გეხვევა?

–დიახ.–წავიჩურჩულე მე. რა მინდოდა რისთვის მოვდიოდი ბიოლოგიაზე!

–ვინ გააცილებს ბელას მედპუნქტამდე?–ხმამაღლა იკითხა მისტერ ბანერმა.

რათქმა უნდა ინიციატივა მაიკმა გამოიჩინა.

–შენით მიხვალ? –მკითხა მისტერ ბანერმა.

–დიახ სერ,–ხმადაბლა ვუთხარი,–ოღონდაც აქედან გამიშვით და თუ საჭირო გახდა მედპუნქტამდე ცოცვით მივალ.

მაიკმა მზრუნველად მომხვია ხელი წელზე, ჩემი ხელი კი თავის მხარზე დაიდო.

როდესაც სასადილოს მივუახლოვდით და მივხვდი, რომ მისტერ ბანერი ვეღარ გვხედავდა, მაიკს ვთხოვე გაჩერებულიყო.

MYTOPBOOK.ORG

–ცოტახანს აქ დავჯდები კარგი? –შევევედრე მე.

მაიკმა ფრთხილად დამსვა.

–რაც არ უნდა მოხდეს ხელი ჯიბიდან არ ამოიღო! –გავაფრთხილე მაიკი. როგორმე თავის ტკივილი, რომ გამეჩერებინა ბარდიულზე დავწექი, თავი ცივ ბეტონს დავადე და თვალები დავხუჭე, ამან ცოტათი მიშველა.

–ღმერთო! სულ მწვანე ხარ ბელა–მითხრა მაიკმა ნევიულად.

–ბელა? –განსხვავებულმა ხმამ დამიძახა შორიდან.

ოღონდ ეს არა! იმედია ეს საშინლად ნაცნობი ხმა მხოლოდ მომეჩვენა.

–რა მოხდა? ცუდად არის? –არ მომჩვენებია...თვალები მაგრად დავხუჭე და ვნატრობდი, რომ მომვკდარიყავი, ან უბრალლოდ გული არ მრეოდა.

–ლამის გონება დაკარგა, არ ვიცი რა მოხდა, თავისი თითისთვის არც კი უჩხვლეტია, –აკანკალებული ხმით უპასუხა მაიკმა.

–ბელა! –ედვარდის ხმა ჩემთან სულ ახლოს ისმოდა, ახლა უფრო წყნარი იყო, –ბელა გესმის ჩემი?

–არა,–დავიკვნესე მე, –წადი აქედან!

ედვარდს გაეცინა.

– მედპუნქტში მიმყავდა, მაგრამ მეტზე აღარ გამომყვა, –უთხრა მაიკმა გაღიზიანებული ხმით.

–მე თვითონ წავიყვან, –ედვარდის ხმაში ისევ ისმოდა სიცილი, –შენ შეგიძლია კლასში დაბრუნდე.

–არა, –გააპროტესტა მაიკმა,–ეს მე უნდა გავაკეთო.

MYTOPBOOK.ORG

უცებ ჰაერში აღმოვჩნდი და შეშინებულმა თვალები გავახილე. ედვარდს ხელში ისე ავეყვანე თითქოს ბუმბული ეჭირა.

–დამსვი,–ღმერთო გთხოვ, ოღონდ ეხლა არ ამერიოს გული. მაგრამ ედვარდი გზას აგრძელებდა.

– ეიი..!–დაიყვირა მაიკმა, რომელიც უკვე ათი ნაბიჯით მაინც ჩამოგვრჩებოდა. ედვარდმა ყურადღება არ მიაქცია.

–საშინლად გამოიყურები,–გაეცინა მას.

–დამსვი,–ისევ ვთხოვე. მოძრაობა საშინლად ცუდათ მხდიდა. მისი სხეულისგან მოშორებით ვეჭირე, ისე რომ მთელი ჩემი წონა მხოლოდ მის ხელებზე მოდიოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ისე მიდიოდა, თითქოს არაფერი.

–ესეიგი სისხლის დანახვაზე ცუდათ ხდები?–მკითხა მან, როგორც ჩანს ეს ფაქტი ამხიარულებდა.

მე არაფერი მითქვამს. თვალები მაგრად მქონდა დახუჭული, პირი მოკუმული და მთელი ძალით ვებრძდი გულის რევას.

–და თანაც სხვისი სიხლის დანახვაზე,–გააგრძელა ედვარდმა.

არ ვიცი კარების გაღება როგორ მოახერხა, მაგრამ უეცარ სითბოზე მივხვდი, რომ უკვე შენობაში ვიყავი.

–ღმერთო ჩემო!–წამოძახა ქალის ხმამ.

–ბიოლოგიის გაკვეთილზე გული წაუვიდა–აუხსნა ედვარდმა.

თვალები გავახილე. მედპუნქტში ვიყავით. ედვარდი დახლთან ბოლთას სცემდა თან ხელში ვეჭირე... მისის კოუპმა, ახალგაზრდა წითურმა მედდამ, საპროცედუროს კარები გააღო, ჭაღარა მედდა კი აღფრთოვანებული უყურებდა ედვარდს, რომელმაც ყოველგვარი სიძნელეების გარეშე გამატარა მთელი დერეფანი და ფრთხილად დამაწვინა საწოლზე რომელსაც თეთრი ზეწარი ქონდა გადაკრული.

MYTOPBOOK.ORG

შემდეგ მომშორდა და კედელთან დადგა, ისე შორს როგორც შეეძლო, მისი თვალები მღელვარებისგან ბრწყინავდა.

–ცოტა თავბრუ ეხვევა,– უხსნიდა ედვარდი მედდას,–ბიოლოგიაზე სისხლის ჯგუფს იგებდნენ და ცუდად გახდა.

მედდამ თავი გააქნია,–ყოველთვის ვიღაც ხდება ცუდად, –თქვა მან.

–ცოტა ხანს იწექი ძვირფასო და მალე გადაგივლის.

–ვიცი–ვუპასუხე მედდას. თავს შედარებით უკეთ ვგრძნობდი.

–ასე ხშირად გემართება? –მკითხა მან.

–ზოგჯერ, –ავღნიშნე მე. ედვარდმა ჩაახველა რომ სიცილი დაემალა.

–შეგიძლიათ გაკვეთილზე დაბრუნდეთ–უთხრა მედდამ ედვარდს.

–მითხრეს რომ მასთან ერთად დავრჩენილიყავი,–უთხრა ედვარდმა ისე დამაჯერებლად, რომ მართალია მედდამ მხრები აიჩეჩა, მაგრამ არ შეწინააღმდეგებია.

–წავალ და ყინულს მოგიტან თავზე დასადებად ძვირფასო,–მითხრა მედდამ და ოთახიდან გავიდა.

–მართალი იყავი,–ამოვიკვნესე მე და თვალები დავხუჭე.

–მართალი ხშირად ვარ, –მაგრამ ამ შემთხვევაში რასთან დაკავშიებით ვარ მართალი ვერ მიგიხვდი.

–გაცდენა ხანდახან სასარგებლოა, –შევახსენე მე.

–თავიდან ძალიან შემაშნე ეზოში რომ დაგინახე,– მითხრა მან პაუზის შემდეგ. ისეთი ტონი ჰქონდა თითქოს დამარცხებას აღიარებდა. –მეგონა ნიუტონს შენი სხეული ტყეში დასამალად მიჰქონდა.

–ჰა ჰაა, –საცოდავად გამეცინა. თვალები დახუჭული მქონდა, მაგრამ თანდათან თავს სულ უფრო კარგად ვგრძნობდი.

MYTOPBOOK.ORG

–სერიოზულად! მკვდარსაც კი უკეთესი ფერი აქვს. ვემზდებოდი, რომ შენი მკვლელობისთვის შური მეძია.

–საწყალი მაიკი,–დარწმუნებული ვარ ახლა გიჟადაა ქცეული.

–მთელი გულით ვძულვარ,–გამამხნევებლად მითხრა ედვარდმა.

–შეუძლებელია ეგ იცოდე,–ვუთხარი მე. მაგრამ შემდეგ დავფიქრდი იქნებ შეეძლო.

–სახეზე ეწერა ყველაფერი.

–საიდან დამინახე? მეგონა სკოლაში აღარ იყავი.–ახლა თავს უკვე კარგად ვგრძნობდი. ალბათ ნაჭამი რომ ვყოფილიყავი უფრო სწრაფად გამოვკეთდებოდი, მაგრამ ერთის მხრივ უკეთესიც კი იყო, რომ მუცელი ცარიელი მქონდა.

–მანქანაში ვიჯექი და მუსიკას ვუსმენდი,–მისი მხრიდან ასეთმა ნორმალურმა პასუხმა გამაკვირვა.

კარების ხმა გავიგე და თვალები გავახილე, რომ მედდა დამენახა.

–აი აიღე ძვირფასო,–მითხრა მან და ყინულები მომაწოდა,–უკეთ გამოიყურები.

–უკვე კარგად ვარ,–ვუპასუხე და წამოვდექი, მხოლოდ ყურები მიწუოდა ცოტა, მწვანე კედლები კი თავის ადგილზე იდგა.

ის შეეცადა ისევ დავეწვინე, მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და მისის კუპმა შემოყო თავი.

–კიდევ ერთი გვყავს–თქვა მან.

საწოლიდან გადმოვედი, რადგან მეორე ინვალიდისთვის დამეთმო, კომპრესი კი მედდას მივეცი–აი აიღეთ, აღარ მჭირდება.

მაიკმა ქოშინით შემოიყვანა ლიი სტივენსონი, კიდევ ერთი ბიჭი ბიოლოგიის კლასიდან.

MYTOPBOOK.ORG

მე და ედვარდი კედელს მივეყუდეთ, რომ მათთვის გზა დაგვეთმო.

–ო არა!–ჩაიბუტბუტა ედვარდმა– ბელა ჯობს ოთახიდან გახვიდე.

ედვარდს დაბნეულმა შევხედე.

–დამიჯერე–გადი.

კარები დავიჩირე და გავედი, ვგრძნობდი, რომ ედვარდიც უკან მომყვებოდა.

–ნუთუ უსიტყვოდ დამიჯერე–გაოცებულმა მითხრა ედვარდმა.

–უბრალოდ სისხლის სუნი ვიგრძენი,–ვუპასუხე და თან სახე ამემრიზა,–ლიი სხვების ყურებით არ გამხდარა ცუდად.

–ადამიანები სისხლის სუნს ვერ გრძნობენ,–შემეწინააღმდეგა ედვარდი.

–მე შემიძლია,–სწორედ ეგ მხდის ცუდათ. სისხლს ჟანგის... მარილის სუნი აქვს.

ედვარდი გაოცებული მომაშტერდა.

–რა იყო?–დავინტერესდი მე.

–არა, არაფერი.

მისაღებში მაიკი გამოვიდა და ხან ედვარდს უყურებდა ხან მე. როგორც ჩანს ედვარდი მართალი იყო. ედვარდს ზიზღით უყურებდა მე კი დაღვრემილი.

–უკეთ გამოიყურები,–მითხრა მან.

–ხელი ჯიბიდან არ ამოიღო,–ისევ გავაფრთხილე მე.

–სისხლი აღარ მომდის–ჩაიბურტყუნა მან–კლასში არ დაბრუნდები?

MYTOPBOOK.ORG

–ხუმრობ? რისთვის წამოვიდე? ხუთ წუთში ისევ უკან რომ დავბრუნდე?

–ხო არ ღირს... შაბათ–კვირას ხომ მოდიხარ?.. პლაჟზე? – და მან ისევ ესროლა მზერა ედვარდს, რომელიც ქანდაკებასავით უემოციოდ იდგა დახლთან.

შევეცადე რაც შეიძლება მეგობრულად მეპასუხა, –რა თქმა უნდა, მე ხომ დაგპირდით.

–ათზე მამაჩემის მაღაზიასთან ვიკრიბებით. მაიკმა ისევ შეხედა ედვარდს, ალბათ ცდილობდა ზედმეტი ინფორმაცია არ გაეცა. მოძრაობებზე ემჩნეოდა რომ ედვარდის დანახვა იქ სულაც არ უნდოდა.

–იქ ვიქნები, –დავპირდი მე.

–ფიზკულტურაზე გნახავ, –მითხრა და კარებისკენ წავიდა.

–კარგი, –ვუთხარი მე. გასვლის წინ კიდევ ერთხელ შემომხედა გაბუტული სახით, და დამძიმებული მხრებით გააგრძელა გზა.

–ფიზკულტურა,–ჩავიბურტყუნე მე.

–მაგას მე მივხედავ, –არ შემიმჩნევია როგორ მომიახლოვდა ედვარდი, რომელმაც ეს სიტყვები მიჩურჩულა. –წადი სკამზე დაჯექი და ავადმყოფური, ფერმკრთალი სახე მიიღე. –მითხრა მან.

ეს ძნელი არ იყო რადგან ისედაც ფერმკრთალი ვარ. ჭრაჭუნა სკამზე დავჯექი, თავი კედელს მივადე და თვალები დავხუჭე.

გავიგე როგორ ლაპარაკობდა ედვარდი დახლთან.

–მის კოუპ?

–გისმენთ

MYTOPBOOK.ORG

–ბელას შემდეგი გაკვეთილი ფიზკულტურა აქვს, მაგრამ თავს კარგად ვერ გრძნობს. ვაპირებ სახლში წავიყვანო და იქნებ გაკვიდან გააეთილიდან თავისუფლოთ? მისი ხმა დამდნარ თაფლს გავდა, მხოლოდ წარმოვიდგინე ამ წუთას როგორი მომაჯადოებელი თვალები ჰქონდა.

–როგორც მივხვდი გათავისუფლება შენც გჭირდება, არა?– თავაზიანად შესთავაზა მისის კოუპმა.

–არა მადლობა, მაგრამ მე ფილოსოფია მაქვს მისის გოუფთან.

–მაშინ ყველაფერი კარგადაა, –უპასუხა მედდამ, – ბელა უკეთ ხარ?

თავი სუსტად დავუქნიე თან ვცდილობდი ზედმეტი არ მომსვლოდა.

–სიარული შეგიძლია? თუ ისევ ხელში აგიყვანო? –მკითხა ედვარდმა ირონიული სახით.

–წამოვალ.

ნელა ავდექი, თავს უკვე კარგად ვგრძნობდი. ყალბი ღიმილით კარები გამოაღო. გარეთ წვიმდა, მესიამოვნა წვიმის წვეთები რომელიც ოფლიან სახეზე მეცემოდა.

–გმადლობ, –ვუთხარი ედვარდს რომელიც ჩემს შემდეგ გამოვიდა,– ფიზკულტურის გაცდენისთვის კი ღირდა ცუდად გახდომა.

–არაფრის, –მიპასუხა ედვარდმა, რომელიც სწრაფად მიდიოდა სადგომისკენ.

–წამოხვალ შაბათს ჩვენთან ერთად? –ვკითხე მას , მაგრამ ვერ წარმომედგინა სხვა ბავშვებთან ერთად მანქანაში, ის უბრალოდ სხვა სამყაროს ეკუთვნოდა. მაგრამ მაინც იმედი მქონდა, რომ წასვლის ენთუზიაზმს გამოჩენდა.

–სად მიდიხართ?– მკითხა უინტერესოდ.

MYTOPBOOK.ORG

–ლა-პუშში, პლაჟზე, –მისი თვალები წარმოუდგენლად დავიწროვდა, შემდეგ ღიმილით შემომხედა და მითრა,–მე არავის დავუპატიჟებივარ.

–ეს ესაა მე თვითონ დაგპატიჟე, –ამოვიოხრე.

–მოდი მე და შენ მაიკს ამ კვირაში კიდევ ერთხელ ნუ გავაბრაზებთ, ხომ არ გინდა რომ მდგომარეობიდან გამოიყვანო?–მისი თვალები სიამოვნებისგან ბრწყინავდა.

–მაიკ-შმაიკი –წავიბურტყუნე მე. გამოთქმა „მე და შენ“ იმაზე მეტად მომეწონა ვიდრე საჭირო ოყო.

სადგომთან უკვე ახლოს ვიყავით და მე ჩემი მანქანისკენ გავუხვიე, მაგრამ რაღაცამ დამიჭირა და უკან მიმატრიალა.

–სად მიდიხარ?–მკითხა მან, თან ჩემი ჟაკეტი მუჭით ეჭირა.

დავიბენი.

–სახლში..?

–ვერ გაიგე? დავპირდი რომ სახლში უსაფრთხოთ მიგიყვან, ფიქრობ შენს მდგომარეობაში მარტოს გაგიშვებ, თანაც მანქანით?–მითხრა მან აღშფოთებით.

–რა მდგომარეობაში? ჩემს მანქანას რა ვუყო მერე? –ისევ შევეწინააღმდეგე.

–ელისი მოგიყვანს სკოლის შემდეგ, –მიპასუხა მან და თავისი მანქანისკენ წამიყვანა ჟაკეტით.

–გამიშვი,–მკაცრად მოვითხოვე მე, მაგრამ ედვარდს ყურადღება არ მოუქცევია. ვოლვოსთან მივედით, ედვარდმა ხელი გამიშვა და წინა კარებთან მიმაჩოჩა.

–რა უცერემონიო ხარ.

MYTOPBOOK.ORG

–კარები ღიაა, –მიპასუხა ედვარდმა. თითონ კი მძღოლის მხარისკენ წავიდა.

–თავისუფლად შემიძლია ჩემით წავიდე!– ჯიუტად ვიდექი კარებთან. წვიმა გაძლიერდა, მე კი კაპიუშონი არ დამიფარებია და თმები სულ სველი მქონდა.

შუშა ჩამოწია, ჩემსკენ გადმოიხარა და მითხრა,–ბელა დაჯექი!

არაფერი მიპასუხია. ვიდექი და ჩემთვის ვფიქრობდი მივასწრებდი თუ არა ჩემს მანქანამდე, მაგრამ მივხვდი, არანაირი შანსი არ მქონდა.

–დაგიჭერ და უკან მოგიყვან,– მითხრა ედვარდმა, რომელმაც ჩემი გეგმები გამოიცნო.

სველ კატას ვგავდი, ფეხებიც სულ სველი მქონდა.

–სულაც არ არის საჭირო,–ჩავიბურტყუნე მე.

მანქანაში ჩავჯექი. ედვარდმა მანქანა დაძრა, ღუმელი ჩართო და მუსიკას ჩაუწია. ვაპირებდი მისთვის ხმა არ გამეცა, მაგრამ ნაცნობი მელოდია გავიგე და ცნობისმოყვარეობამ ჩემ გეგმებს აჯობა.

–კლარა დე ლუნა? –ვკითხე გაკვირვებულმა.

–დებიუსი იცი? –მანაც ვერ დამალა გაკვირვება.

–კარგად არა. –დედაჩემი კლასიკურ მუსიკას ხშირად უკრავს, და მე მხოლოდ ჩემი საყვარელი ნაწარმოებები ვიცი.

–ეს ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ნაწარმოებია,–მითხრა მან და თან ფანჯარაში ჩაფიქრებული იყურებოდა.

ნაცრიფერ ტყავის სავარძელში კოფორტულად ვიჯექი და ნაცნობ სასიამოვნო მელოდიას ვუსმენდი.

MYTOPBOOK.ORG

ძალიან სწრაფად მივდიოდით, მაგრამ მანქანა საოცრად თანაბრად დადიოდა, მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი სისწრაფის შემჩნევა თუ ფანჯარაში გაიხედებოდი.

–დედაშენი როგორია? –მკითხა მან მოულოდნელად.

შევხედე და დავინახე, რომ დაინტერესებული თვალებით მიყურებდა.

–ძალიან ვგავარ, მაგრამ ის უფრო ლამაზია, –ვთქვი მე. მან წარბები აწია. – ხასიათით ჩარლის ვგავარ, დედა კი უფრო კონტაქტურია და ჩემზე გამბედავი. არის უყურადღებო და ექსცენტრიული, საშინელი მზარეულია. დედა ჩემი საუკეთესო მეგობარია. –შემდეგ გავჩუმდი საშინშელი სევდა მომაწვა.

–რამდენი წლის ხარ ბელა? –მის ხმაში იმედგაცრუება ისმოდა, არ ვიცი რატომ. მან მანქანა გააჩერა და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სახლთან ვიყავით. ისე მაგრად წვიმდა რომ სახლის დანახვა ვერ შევძელი. ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს მანქანა წყლის ქვეშ მოქცეულიყო.

–ჩვიდმეტის ვარ,–ვუპასუხე ცოტათი დაბნეულმა.

–ჩვიდმეტისას არ გავხარ.

ეს ისეთი სერიოზული ხმით მითხრა, რომ გამეცინა.

–რა იყო?–მკითხა ისევ.

–დედაჩმი ყოვეთვის მეუბნებოდა, რომ ოცდათხუთმეტის დავიბადე და ყოველ წელს თანდათან უფრო ვუახლოდები საშუალო ასაკს. – გამეცინა და შემდეგ გავაგრძელე– რა ვქნათ ვიღაც ხომ უნდა იყოს ზრდასრული სახლში, –შემდეგ გავჩუმდი და დავამატე,–ისე არც შენ გავხარ სკოლის მოსწავლეს.

სახე შეეცვალა და თემა შეცვალა.

–დედაშენი ფილს რატომ გაყვა ცოლად?

MYTOPBOOK.ORG

გავვოცდი, რადგან სახელი ახსოვდა, რომელიც ორი თვის წინ მხლოდ ერთხელ ვახსენე. პასუხის გასაცემად ცოტა ხანი დამჭირდა.

–დედაჩემი... ის თავისი ასაკისთვის ძალიან ახალგაზრდაა. ფილთან თავს კიდევ უფრო ახალგაზრდად გრძნობს. დედა გიჟდება ფილზე,– თავი გავაქნიე, სინამდვილეში ვერ ვიგებდი ამ გაგიჟების მიზეზს.

–შენ ამართლებ მათ ქორწილს?

–ამას რა აზრი აქვს? მე მინდა რომ დედა ბედნიერი იყოს... როგორც ჩანს ფილი ისაა ვინც მას სჭირდება.

–დიდსულოვანი საქციელია შენი მხრიდან.... მაინტერესებს– მითხრა და ჩაფიქრდა.

–რა?

–საინტერესოა ისიც ასე გაგიგებდა? ვინც არ უნდა ყოფილიყო შენი არჩევანი? –ეს ცოტა მოულოდნელი იყო, მისი თვალები ჩემსას ეძებდა.

–ალ-ალბათ კი, მაგრამ ის მშობელია და, და განსხვავედბული დამოკიდებულება აქვს.

– მაშინ არვინ საშიში არა?–ჩაეცინა ედვარდს.

– საშიშში რას გულისხმობ? დიდი რაოდენობით პირსინგებს და ტატუებს?

–ეს ერთ-ერთია, ალბათ.

–შენ რას გულისხმობდი?

ჩემ კითხვას ყურადღება არ მიაქცია და ახლი დამისვა,–შენი აზრით მე შეიძლება ვიყო საშიში? –ერთი წარბი აწია და გაიცინა.

ვფიქრობდი სიმართლე ჯობდა თუ ტყუილი, შემდეგ ვუპასუხე, –თუ მოინდომებდი...ალბათ კი.

MYTOPBOOK.ORG

–ახლა ჩემი გეშინია?–მისი სახიდან ღიმილი გაქრა და დასერიოზულდა.

–არა,– სწრაფად ვუპასუხე და დაღიმილი ისევ დაუბრუნდა მის ლამაზ სახეს.

–შენ არ მომიყვები შენ ოჯახზე არაფერს? მგონი შენი ისტორია ჩემზე ბევრად საინტერესო უნდა იყოს,–ვკითხე მე.

–რა გაინტერესებს?–მკითხა ფრთხილი ხმით.

–კალენებმა გიშვილეს?

–კი.

ერთი წუთით შევყოყმანდი

–შენს მშობლებს რა მოუვიდათ?

–დიდი ხნის წინ გარდაიცვალნენ,–სხვათაშორის მითხრა მან.

–ძალიან ვწუხვარ,–ჩავიბუტბუტე მე.

–ისინი კარგად არც მახსოვს. კარლაილი და ესმი უკვე დიდიხანია რაც ჩემი მშობლები არიან.

–და შენ ისინი გიყვარს,– ეს კითხვა არ იყო, ისე ლაპარაკობდა მათზე, რომ ეს უბრალოდ აშკარა აიყო.

–ასეა,–გაიცინა,–მათზე კარგი ადამიანები ვერც კი წარმომიდგენია.

–ძალიან გაგიმართლა.

–ვიცი.

–შენი და და ძმა?

მან საათს შეხედა.

MYTOPBOOK.ORG

–ჩემი და და ძმა, ჯასპერი და როზალი, ძალიან გაბრაზდებიან თუ წვიმაში დგანან და მელოდებიან.

–მაპატიე, სულ დამავიწყდა, რომ უნდა წახვიდე,–მანქანიდან გადმოსვლა არ მინდოდა.

–და შენ ალბათ გინდა, რომ მანქანა ჩარლი სვონის მოსვლამდე მოგიყვანო, რომ მისთვის ბიოლოგიის შესახებ არ მოგიწიოს მოყოლა, არა? –შემომხედა მან.

–ფორქსში საიდუმლოები არ არსებობს, ალბათ უკვე გაიგო.,– ამოვიოხრე მე.

მან გაიცინა, მის სიცილში სევდა იგრძნობოდა.

–პლაჟზე კარგად გაერთე.. კარგ ამინდს გისურვებ გასარუჯად.– შემდეგ კი წვიმას გახედა.

–ხვალ გნახავ?

–ვერა, მე და ემეტი დასვენებას ადრე ვიწყებთ.

–რას აპირებთ?– მეგობარს ხომ შეეძლო ასეთი კითხვის დასმა? იმედი მქონდა რომ იმედგაცრუება ჩემ ხმაში ძალიან შესამჩნევი არ იყო.

–მთებში მივდივართ სალაშქროდ პინერიდან ჩრდილოეთით გოუთ როქზე.

გამახსენდა ჩარლის ნათქვამი, რომ კალენები ხშირად დადიოდნენ სალაშქროდ.

–მაშინ კარგად გაერთეთ,–შევეცადე ენთუზიაზმით მეთქვა, მაგრამ არა მგონია რომ გამომივიდა, მისი ტუჩების კიდეებზე ღიმილი თამაშობდა.

MYTOPBOOK.ORG

– ჩემთვის რაღაცას გააკეთებ ამ შაბათ–კვირას? –ჩემსკენ მოტრიალდა და პირაპირ თვალებში მიყურებდა თავისი მომაჯადოებელი ოქროსფერი გამოხედვით.

თავი დავუქნიე.

–არ გეწყინოს მაგრამ იმ ადამიანების, რიცხვს ეკუთვნი, რომლებიც მაგნიტივით იზიდავენ საფრთხეს, ამიტომ... გთხოვ ეცადე ოკეანეში არ ჩავარდე, ან რამე არ დაგეჯახოს, კარგი?– მითხრა და თავისი გვერდული ღიმილით გამიღიმა.

თანდათან გონებაზე მოვდიოდი, თან გაშტერებული ვუყურებდი.

–ვეცდები, –ვუთხარი, კარი გავაღე და მანქანიდან გადმოვხტი წვიმაში. კარები გადამეტებულად მივაჯახუნე.

ედვარდი ისევ იღიმებოდა, როდესაც მანქანა დაძრა.

თავი მეექვსე

საშიში ისტორიები

ვიჯექი ჩემს ოთახში და ვცდილობდი როგორმე გონება მომეკრიბა „მაკბეტის“ მესამე აქტზე, მაგრამ სინამდვილეში სმენად ვიყავი ქცეული, იმ იმედით რომ იქნებ ჩემი პიკაპის ძრავის ღმუილი გამეგო, მაგრამ სრულიად ტყუილად, რადგან გარეთ ძლიერ წვიმდა.

პარასკევს ძალიან არ მინდოდა სკოლაში წასვლამაშინ რადგან ჩემი ცუდი მოლოდინები სრულიად გამართლდა. ყველა ხომ ჩემს

MYTOPBOOK.ORG

გუშინდელ გულის წასვლაზე ლაპარაკობდა. ყველაზე დიდ სიამოვნებას ამისგან ჯესიკა იღებდა. სასიხარულოდ, მაიკს ეყო ნებისყოფა რომ არაფერი არ ეთქვა გუშინდელი ედვარდის ჩარევაზე.

კითხვები ჯესიკას ამის გარეშეც ეყოფოდა

–ესეიგი რატომ დაგიძახა კალენმა?– მკითხა მან ტრიგონომეტრიაზე
–არ ვიცი – გულწრფელად ვუპასუხე მე – მან არც კი ამიხსნა
–შენ ისეთი შესახედავი იყავი! ... თქვა მან
–როგორი?
– მე მესმის შენი! ის ხომ არასოდეს არ მჯდარა არავისთან მისი ნათესავების გარდა! არის მიზეზი რის გამოც შეიძლება თავი დაკარგო.
–კი გეთანხმები.

ჯესიკა გაღიზიანებული ეთამაშებოდა შავ კულულებს, იმ იმედით, რომ რაიმე ისეთს ვეტყოდი რაც საჭორაო თემა გახდებოდა.

მთელი პარასეკვი ჩემ თავზე ვბრაზდებოდი: რადგან კარგად ვიცოდი რომ ედვარდი დღეს არ იქნებოდა, მაგრამ მაინც ველოდი. მაიკთან და ჯესიკასთან ერთად სასდილოში შემოსვლისთანავე ედვარდის მაგიდას შევხედე, მაგრამ როდესაც გამახსენდა რომ მას მხოლოდ ორშაბათს ვნახავდი ხასიათი უფრო გამიფუჭდა.

ჩვენს მაგიდასთან ბჭობდნენ მომავალ მგზავრობაზე, მაიკი კარგ ხასიათზე იყო რადგან მეტეოროლოგები ხვალ კარგ ამინდს წინასწარმეტყველებდნენ. მე უფრო პესიმისტურად ვიყავი განწყობილი – ჯერ ვნახავ და მერე დავიჯერებ. მართალია დღეს უფრო თბილოდა ტემპერატურა 15 გრადუსამდე გაიზარდა. რავიცი იქნებ მგაზვრობა არც ისე ცუდი იყოს?

ლანჩის დროს შევამჩნიე ლორენის არამეგობრული მზერა, რომლის აზრიც მხოლოდ მაშინ გავიგე როდესაც ერთად გამოვდიოდით სასადილოდან, კვალდაკვალ მივყვებოდი მას და თითქმის მის მოვერცხლისფრო თმებს ვეხებოდი.

MYTOPBOOK.ORG

–არ მესმის ბელა რატომ ზის ჩვენთან და არა კალენებთან – დამცინავად თქვა ლორენმა ჩემი სახელი.

არასოდეს შემიმჩნევია მისი უხეში ხმა, რატომ ბრაზდება ჩემზე? გასაყოფი ჩვენ არც არაფერი გვაქვს.

იმ საღამოს ჩარლი ინტერესით მეკითხებოდა ლა-პუშში გამგზავრებაზე, ალბათ თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რომ მე მთელი უქმეები სახლში მარტო ჯდომა მიწევდა. თუმცაღა მისი ჩვევები უკვე დიდიხანია ჩამოყალიბდა და მათი შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო. რათქმა უნდა მან იცოდა იმათი სახელები ვინც ხვალ ჩემთან ერთად მოდიოდა, იცნობდა მათ მშობლებს და ბებია ბაბუებსაც კი, და მათ ღირსეულ ადამიანებად თვლიდა. საინტერესოა გაამართლებდა თუ არა ის ჩემს მგზავრობას სიეტლში ედვარდ კალენთან ერთად რათქმა უნდა ამაზე ლაპარაკს არც ვაპირებდი

–მამა, იცი რაიმე რენიეს მთებიდან სამხრეთით მდებარე კლდეებზე?

–კი და რა იყო?

–ბავშვები ჩვენი სკოლიდან იქ ლაშქრობაზე წავიდნენ.
–არ არის საუკეთესო ადგილი ლაშქრობისთვის, –აღნიშნა ჩარლიმ –ბევრი დათვია. იქ ხშირად სანადიროდ დადიან.
–გასაგებია – წავიბურტყუნე, – ესეიგი რაღაც ამერია

შაბათს მინდოდა ცოტა დიდხანს დამეძინა მაგრამ მზის ნათელი სხივები მიშლიდა ხელს, რომელიც ფანჯრიდან შემოდიოდა. თვალებს არ დავუჯერე და ფანჯარას მივვარდი, კი ნამდვილად მზეა, ჰორიზონტს გარშემო ღრუბლები ეკრა მაგრამ გარშემო ცა ლურჯი იყო.

მაღაზია „ნიუტონების ოლიმპიური ნივთები“ მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთით. მაღაზია ადრე უკვე ნანახი მქონდა, მაგრამ შიგნით არასოდროს არ შევსულვარ, რადგან დიდად არ მიზიდავდა აქტიური დასვენება სუფთა ჰაერზე.

გაჩერებაზე დავინახე მაიკის შევროლე და ტაილერის ნისანი. ერიკიც ადგილზე იყო ორ ბიჭთან ერთად ჩვენი კლასიდან, რომლებსაც

MYTOPBOOK.ORG

როგორც მახსოვს ბენი და კონერი ერქვათ, ჯესიც მოვიდა ანჯელასთან და ლორენთან ერთად, მათთან ერთად კიდევ სამი გოგონა. ერთ-ერთმა გოგონამ გამომხედა მე და რაღაც ჩასჩურჩულა ლორენს. მან გაიქნია თავი და ეჭვით შემომხედა.

დიახ, საუკეთესო დღე მელის !

–მოხვედი! – სიხარულით დაიყვირა მაიკმა,– ხომ ვთქვი რომ კარგი დღე იქნება.
–მე ხომ დაგპირდი რომ მოვიდოდი
–ესეიგი, ლის და სამანტას ველოდებით... თუ რათქმაუნდა შენ არავინ დაგიპატიჟებია,– ფრთხილად თქვა მაიკმა
–არა, –უშიშრად მოვიტყუე მე, რადგან არ მეშინოდა იმის რომ სიცრუეში გამომიჭერდნენ, და იქნებ მოხდეს სასწაული და ედვარდი გამოჩნდეს? ამის გულისთვის მზადაც კი ვიყავი რომ ნიუტონის თვალში მატყუარად გამოვჩენილიყავი

მაიკმა შვებით ამოისუნთქა

–ჩემი მანქანით წამოხვალ თუ ლის ფურგონით?
–რათქმაუნდა შენი მანქანით.

მაიკმა კმაყოფილად გაიღიმა არ იყო რთული მისი გახარება

–მაშინ ჩემი შტურმანი იქნები.

ვეცადე ჩემი მოწყენილობა დამემალა, რთული იყო ერთდროულად მაიკის და ჯესიკას გულის მოგება, ჯესიკა უკვე ორივეს ეჭვის თვალით გვიყურებდა.

თუმცაღა ყველაფერი საუკეთესოდ მოეწყო, ლიმ კიდევ ორი ბიჭი მოიყვანა და ფურგონში ადგილი აღარ იყო, ამიტომ ჯესიკა შევროლეში ჩავსვი ჩემსა და მაიკს შორის, მაიკს ეს არ ესიამოვნა მაგრამ ჯესი გახარებული იყო.

ფორქსიდან ლა-პუშამდე 50 მილი იყო. რა კარგია რომ ფანჯარასთან დავჯექი! შევროლეში ცხრა ადამიანისთვის სივიწროვე იყო, ამიტომ გავაღე ფანჯარა და სახე მზის სხივებს მიუშვირე.

MYTOPBOOK.ORG

როდესაც ჩარლის ვსტუმრობდი, ხშირად მოვდიოდით ლა–პუშში და ამიტომ კარგად ვიცნობდი გრძელ, პირველ სანაპიროს, რომელსაც ნახევარმთვარის ფორმა ჰქონდა.

ხედი ულამაზესი იყო, შავი ტალღები, რომლებიც მზიან ამინდში შავად ბრჭყვიალებდნენ თეთრი ქაფის ქუდებით ამოდიდოდნენ ქვიან სანაპიროზე, ამ ყურის წყლები მოფენილი იყო წიწვოვანი კლდოვანი კუნძულებით. ქვიშა ცოტა იყო სანაპიროზე, წყალთან ძალიან ახლოს დანარჩენი სანაპირო კი ქვებით იყო დაფარული. შორიდან ეს ქვები ერთი ფერის ჩანდა მაგრამ ახლოდან ისინი სხვადასხვა ფერის იყვნენ. სანაპიროზე წლისგან გამორიყული და ზღვის მარილისგან გათეთრებული ხეები ეგდო.

ნიავს იოდის სუნი ჰქონდა. ყანჩები ტალღებს დასტრიალებდნენ, ხოლო მაღლა ცაში ერთი არწივი დაფრინავდა. ღრუბლების რაოდენობამ იმატა, უფრო მუქი ფერი მიიღეს, ჭექა-ქუხილი ამინდის და ჩვენი ხასიათების გაფუჭებას აპირება მაგრამ პატარა ნაზ ცისფერ კუნძულზე მზე მაინც ანათებდა და ჩვენს გულებში იმედს ტოვებდა, მანქანიდან გადმოვედით და მაიკმა რომელიც აქ ბევრჯერ ყოფილა, მიგვიყვანა ფიჭვის ტოტებისგან ანთებულ კოცონთან, ამ ყველაფრიდან გამომდინარე ჩანდა, რომ ადგილობრივ მაცხოვრებლებს უყვარდათ აქ პიკნიკზე მოსვლა, ერიკმა და ბიჭმა რომელსაც მგონი ბენი ერქვა მოაგროვეს მშრალი ტოტები და ისინი კონუსისებურად დააწყვეს ნახშირის ძველ ნარჩენებზე

–ოდესმე გინახია დაცურებული მორები? მკითხა მაიკმა.

მე ვიჯექი კრემისფრამდე გათეთრებულ ფიჭვზე, გვერდზე ხითხითისგან გამოცოცხლებული გოგოები მეჯდნენ, მაიკი კოცონთან დაიხარა და ცეხლი წაუკიდა პატარა ტოტს რომელიც რაღაცით წააგავდა სანთებელას.

–არა, –ვუპასუხე მე და ვუყურებდი როგორ დებდა პატარა ანთებულ ტოტს კონუსისებურად დაწყობილ ტოტებს შორის.

MYTOPBOOK.ORG

–მაშინ ძალიან დაგაინტერესებს, –შეხედე ფერებს, –და მეორე ტოტს წაუკიდა ცეცხლი და პირველის გვერდით დადო. მშრალ ბუჩქნარს ცეცხლი უცებ წაეკიდა

–ალი ცისფერია,– ვთქვი გაოცებულმა.

–ეს მარილის გამოა, მაგარია არა? მაიკმა კიდევ ერთი ტოტი დაანთო და გვერდზე მომიჯდა, სასიხარულოდ მის გვერდზე უცებ ჯესი გაჩნდა და რაღაცას განუწყვეტლივ ლაპარაკობდა.

მე ჩუმად ვიჯექი და ვუყურებდი როგორ სკდებოდა ცისფერ–მწვანე ალში ტოტები და როგორ ადიოდა მათი ნაპერწკლები ცაში. საათნახევრიანი ლაპარაკის შემდეგ ბიჭებმა გადაწყვიტეს გამოეკვლიათ ადგილობრივი წყლები, მინდოდა თუ არა მანთთან ერთად წასვლა არ ვიცოდი. ერთმხრივ, ბავშობაში მიყვარდა მეჩხერ წყლებში თამაში, როდესაც ჩარლის ვსტუმრობდი ყოველთვის სულმოუთმენლად ველოდი როდის წავიდოდით სანაპიროზე, მეორემხრივ კი რამოდენიმეჯერ ჩავარდნილვარ ღრმა ლურჯ ორმოებში რაც სიკვდილამდე მაშინებდა, მახსოვს ჩარლი ამის შემდეგ ჩემს დაწყნარებას დიდხანს უნდებოდა, თან ედვარდმაც მთხოვა რომ ოკეანეში არ ჩავვარდნილვიყავი,

გადაწყვეტილების მიღებაში ლორენი დამეხმარა. ფეხით სიარული მას არ უნდოდა,–რათქმაუნდა ასეთი ქუსლებით ტყეში ვერ ივლი! ანჯელამ და კიდევ რამოდენიმე გოგომ გადაწყვიტეს მასთან ერთად დარჩენა მათი დაცვა კი ტაილერს და ერიკს დაავალეს, მე სწრაფად წამოვდექი და მაიკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როდესაც შევუერთდი მათ, ვინც წყლების გაოსაკვლევად მიდიოდა.

შორს წასვლა არ მოგვიწია მაგრამ როდესაც მაღალმა ხეებმა მზის შუქი დაფარეს, არ მომეწონა. გაფანტული მწვანე შუქი ცუდად შეეფერებოდა ჩემი თანამგზავრების სიცილს და უაზრო ხუმრობებს. აუჩქარებლად მივდიოდი, ფრთხილად გადავდიოდი ხის ამოშვერილ ფესვებზე და მალე ჩამოვრჩი. მალე გამოვედით ტყის ნაპირზე და დავინახეთ ქვიანი სანაპირო. დაიწყო მიქცევა დაპატარა ნაკადულები სწრაფად მიედინებოდნენ ზღვისკენ, დაბლობებში წარმოიქმნა პატარა ნიშები სადაც ცხოვრება დუღდა. კარგად მახსოვდა ჩემი ძველი თავგადასავლები და ძალიან ფრთხილად ვიქცეოდი, ხოლო ჩემი

MYTOPBOOK.ORG

თანამგზავრები მხიარულობდნენ და კლდიდან კლდეზე დახტოდნენ, მე დავჯექი მსხვილ, შესახედავად მყარ ქვაზე რომელიც ყველაზე დიდი წყალთან ახლოს იყო და დაკვირვება დავიწყე იმაზე, თუ რა ხდებოდა ლურჯ წყალში, უხილავი დინება აქეთ–იქით არხევდა ბზინვარე, ნახევრადგამჭირვალე ანემონებს, ქვიან ფსკერზე კიბორჩხალები დაცოცავდნენ, ნათელ, მწვანე წყალმცენარეებს შორის დაცურავდა პატარა შავი გველთევზა თეთრი ზოლით ზურგზე... ბუნებრივი აკვარიუმის ცხოვრებამ ჩამითრია, მაგრამ წამითაც არ ვივიწყებდი ედვარდს, ვფიქრობდი იმაზე თუ სად იყო და რას იტყოდა ახლა ჩემს გვერდით რომ ყოფილიყო. როგორც იქნა ბიჭებს მოშივდათ, უხალისოდ ავდექი და მათ გავყევი. ამჯერად მე უფრო ჩქარა ვმოძრაობდი და ამიტომ რამდენჯერმე წავიქეცი, ხელი გავიჩხაპნე და ჯინსებიც გავიჭუჭყიანე, მაგრამ საქმე შეიძლება უარესადაც ყოფილიყო. როდესაც დავბრუნდით პირველ სანაპიროზე სტუმრები დაგხვდნენ , მათი კანის და თმის ფერის მიხედვით ჩანდა რომ ისინი რეზერვაციიდან იყვნენ. ლორენმა თავის დაქალებთან ერთად უკვე დაიწყო საჭმლის დარიგება და ბიჭები ისე ეცნენ თითქოს ერთი კვირა უჭმელები იყვნენ. ამ დროს ერიკმა სტუმრებს ყველა კოცონთან მჯდომი წარუდგინა. მე და ანჯელა ყველაზე ბოლოს მოვედით და როდესაც ერიკმა ჩვენი სახელები წარმოსთქვა ერთ-ერთმა ინდიელმა ინტერესით შემომხედა. მაიკმა სენდვიჩი და კოლა მოგვიტანა, ხოლო ყველაზე დიდმა სტუმრებიდან თავისი თავი და მისი 7 თანამგზავრი წარმოგვიდგინა. მე მხოლოდ ერთი გოგონას და ბიჭის სახელი დავიმახსოვრე გოგოს ჯესიკა ერქვა, ხოლო ბიჭს რომელსაც მოვეწონე ჯეიკობი.

რა სასიამოვნოა ანჯელსათან ერთად ჯდომა, რომელიც ჯესიკასგან განსხვავებით არ იტანჯება ჰიპერურთიერთობით, ჩვენ წყნარად ვჭამდით და ვფიქრობდით ჩვენთვის, მე ვფიქრობდი იმაზე თუ რა უცნაურად ეწყობოდა ჩემი ცხოვრება ფორქსში, ხანდახან დრო ჩქარა მირბის და მოვლენები ბუნდოვან ლაქებად რჩებიან, ხანდახან კი გაჩერებულები დგანან და ყოველი სიტყვა ან მოქმედება მკაფიოდ იბეჭდება გონებაში, რასთან არის ეს დაკავშრებული? მიხვედრა არც თუ ისე ძნელია და ზუსტად ეს მაწუხებდა. სადილისთვის ცა მაინც

MYTOPBOOK.ORG

დაიფარა ღრუბლით, ტალღები უცებ გამუქდნენ, ხეებისგან კი შავი ბოროტი ჩრდილები მიცოცავდნენ. სენდვიჩების ჭამის შემდეგ ბავშვების კამპანია რამოდენიმე პატარა ნაწილად გაიყო. ზოგი წყალთან მიდიოდა გზაზე, ზოგი კლდეებზე ხტებოდა, ზოგმა გადაწვყვიტა ისევ წასულიყო წყლების სანახავად. მაიკმა რათქმაუნდა ჯესიკასთან ერთად რეზერვაციაში მაღაზიაში შესვლა გადაწყვიტა. მათ ინდიელებიდან ვიღაც გაყვა, ზოგი კი წყლების სანახავად წავიდა, თითქმის ყველა მიმოიფანტა მხოლოდ მე დავრჩი კოცონთან. სადღაც ახლოს ტაილერი ლორენთან და სამ ბიჭთან ერთად უსმენდნენ მუსიკას, მათ შორის ყველაზე უფროსი— ჯეიკობიც იყო. ბოლო წამს ანჯელამ გადაწყვიტა რომ წყლების სანახავად წასულიყო და მისი ადგილი ჯეიკობმა დაიკავა, შესახედავად ბიჭი 14–15 წლის ჩანდა. შავი ბზინავი თმებით, გლუვი მოწითალო კანით და სახის ნაკვთებით ის მომავალში ლამაზი ბიჭი იქნება, მაგრამ როდესაც პირი გააღო ხასიათი მაშინვე გამიფუჭდა.

–შენ ხომ იზაბელა სვონი ხარ? – მისმა კითხვამ სკოლაში ყოფნის პირველი დღე გამახსენა.

–ბელა, – ამოსუნთქვით ვუპასუხე მე

–მე ჯეიკობ ბლექი ვარ,– ბიჭმა ხელი გამომიშვირა – შენ პიკაპი იყიდე მამაჩემისგან

–ოჰ, კი, – მე შვებით ჩამოვართვი ხელი– შენ ხომ ბილის შვილი ხარ! როგორ ვერ გაგიხსენე აქამდე!

–მე ოჯახში ყველაზე უმცროსი ვარ. ჩემი დები შენ ნამდვილად გემახსოვრება.

–რეიჩელი და რებეკა!

ჩარლი და ბილი ხშირად დადიოდნენ სათევზაოდ, ჩვენ კი ერთად გვტოვებდნენ სათამაშოდ. საკმაოდ მორცხვები ვიყავით იმისთვის, რომ დაქალები გავმხდარიყავით,

ხოლო 11 წლისას მე უკვე ისე ვიქცეოდი თითქოს ქალაქელი ვყოფილიყავი.

–ისინი აქ არიან? ვკითხე და ვუყურებდი გოგოებს რომელებიც უკვე მიდიოდნენ, ნეტავ ვიცნობ თუ არა ძველ ნაცნობებს?

MYTOPBOOK.ORG

–არა, – გაიქნია თავი ჯეიკობმა– რეიჩელმა ვაშინგტონის უნივერსიტეტში ჩააბარა, ხოლო რებეკა სერფერს გაყვა ცოლად და ეხლა ჰავაიზე ცხოვრობს.

–გათხოვდა? განსაცვიფრებელია! – წამოვიყვირე მე, დები ხომ ჩემზე მხოლოდ ერთი წლით დიდები იყვნენ.

–როგორ მოგწონს პიკაპი? – დაინტერესდა ჯეიკობი

–მაგარია! მანქანა–მხეცი!

–კი, მითუმეტეს ძრავა! – გაიცინა ბლეკმა – მე ისე გამიხარდა როდესაც ჩარლიმ იყიდა პიკაპი! მამა არ მაძლევდა უფლებას ჩემი მანქანა, ამეწყო სანამ პიკაპი გვყავდა!

–ღმუის როგორც მხეცი – ისევ გავიხუმრე მე – მაგრამ ძალიან საიმედოა.

–მაგ მონსტრს ტანკიც კი ვერ გაჭყლეტს,– თქვა ჯეიკმა

–შენ მანქანებს აწყობ? – გაოცებულმა ვკითხე

–კი თავისუფალ დროს, შემთხვევით ხომ არ იცი სად ვიშოვო ცილინდრული ბლოკი 1984 წლის ფოლცვაგენისთვის? იკითხა ჯეიკმა სასიამოვნო ხმით

–შემთხვევით არვიცი,– გავუღიმე მე – თუ გავიგებ აუცილებლად შეგატყობინებ!

შეიძლება ჩაითვალოს რომ მე ვერკვევი ცილინდრებში! მაგრამ ბიჭი ძალიან სასიამოვნო ადამიანია!

ჯეიკობმა ისე გაიცინა რომ გამოაჩინა თავისი თეთრი, თანაბარი კბილები! ის ძალიან დიდი ინტერესით მათვალიერებდა და ჩანს რომ ეს მხოლოდ მე არ შემიმჩნევია.

–შენ იცნობ ბელას ჯეიკობ? – გესლიანად დაინტერესდა ლორენი

–შეიძლება ითქვას რომ ჩვენ ბავშობიდან ვიცნობთ ერთმანეთს– უპასუხა ბლეკმა დამაბრმავებელი ღიმილით

–რა საყვარლობაა, – ჩაიქიქილა ლორენმა და თვალის გუგები დაუვიწრროვდა, – ბელა მე და ტაილერი ზუსტად ახლა ვწუხდით იმაზე, რომ კალენები დღეს ჩვენთან ერთად არ წამოვიდნენ, რატომ არავინ არ დაპატიჟა? მას სახეზე მოჩვენებითი გაოცება დაეტყო.

–შენ დოქტორ კალენის ოჯახს გულისხმობ? – ჩაერია უფროსი ბიჭი რაც ლორენს არ ესიამოვნა, ბიჭი კაცს უფრო გავდა ვიდრე მოზარდს და ხმაც კაცის ჰქონდა.

–კი, შენ მათ იცნობ? – გულგრილად იკითხა ლორენმა.

MYTOPBOOK.ORG

–კალენები აქ არ დადიან,– შეაწყვეტინა ბიჭმა ისე, რომ თითქოს ლორენის კითხვა არც გაუგია.

ტაილერმა გადაწყვიტა, როგორმე გოგონას ყურედრება მიექცია და ჰკითხა თუ რომელ დისკს მოუსმენდა. ლორენი იმედგაცრუებული იყო.

მე გაკვირვებულმა შევხედე ბიჭს მაგრამ, შებრუნდა და მაღალ ნაძვებს დაუწყო თვალიერება.

„კალენები აქ არ დადიან“ მან ისეთი ტონით თქვა თითქოს კალენებს აქ მოსვლა ეკრძალებოდათ.

–რა იყო ფორქს ჭკუიდან გადაყავხარ? – შეწყვიტა ჩემი ფიქრები ჯეიკობმა
–რბილად არის ნათქვამი, – ბიჭმა გაგებით გამიღიმა

მე ისევ იმ ფრაზაზე ვფიქრობდი, როდესაც ერთი იდეა მომივიდა. ვიმედოვნებ რომ ახალგაზრდა ჯეიკობი არ არის განებივრებული ქალების ყურადღებით და ვერ მიხვდება რომ ჩემი ფლირტი თეთრი ძაფით არის შეკერილი.

–გინდა სანაპიროზე გავისეირნოთ? –შევთავაზე და წამწამების ქვეშიდან ამოვხედე.

ბიჭი მომზადებული წამოხტა ფეხზე,– ეფექტი უფრო უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

სანამ სანაპიროს მიუყვებოდით ღრუბლები უფრო გაშავდა და ტემპერატურაც საგრძნობლად დაეცა.

–რამდენი წლის ხარ? თექვსმეტის? – ვეკითხებოდი და იდიოტივით ვახამხამები წამწამებს როგორც გოგოები სერიალებიდან?!!!
–თითქმის თხუთმეტის,– წარმოსთქვა ჩემი ყურადღებით მოცულმა
–მართლა ? – განცვიფრება გამოვხატე,– უფრო დიდის შეხედულება გაქვს
–უბრალოდ ჩემი ასაკისთვის ძალიან მაღალი ვარ,– ამიხსნა ჯეიკობა.

MYTOPBOOK.ORG

–ხშირად ხარ ხოლმე ფორქსში? – ცბიერად ვკითხე, იმ იმედით რომ დადებით პასუხს მივიღებდი

–არც ისე, – მოწყენილად თქვა ჯეიკობმა, – აი ავაწყობ ფოლცსვაგენს და ხშირად ვივილი ხოლმე, – რათქმაუნდა მას შემდეგ რაც მართვის მოწმობას ავიღებ.

–და ვინ არის ის ბიჭი, ლორენს რომ ელაპარაკებოდა? ის ჩვენი კამპანიისთვის ძალიან დიდია, – მე სპეციალურად გავუსვი ხაზი სიტყვას, „ჩვენი“ რათა ჯეიკობი მიხვედრილიყო რომ ახალგაზრდებს ვანიჭებდი უპირატესობას.

–მას სემი ჰქვია, 19 წლისაა.

–და რას ამბობდა ის ექიმის ოჯახის შესახებ?– სხვათაშორის ვიკითხე მე.

–კალენების შესახებ? მათ აკრძალული აქვთ ჩვენს რეზერვაციაში მოსვლა. დაუჯერებლად წარმოთქვა ჯეიკობმა და ჩემი საშინელი მოლოდინები გაამართლა

–და რატომ?

–საერთოდ, არ შეიძლება რომ ამის შესახებ მოგიყვე– წარმოსთქვა ტუჩების კვნეტით.

–კარგი რა, არავის არ ვეტყვი, – და რაც შეიძელბა მომხიბვლელად გავუღიმე.

ჩანს ჩემი ისრები მიზანში მოხვდა, ჯეიკობმა მარცხენა წარბი მოხარა და მისი ხმა უფრო მოგუდულად გაისმა.

–გიყვარს საშიში ისტორიები? – მკითხა ბოროტად.

–ძალიან! –წამოვიყვირე მე. სანამ მარიონეტივით მყავდა,

ჯეიკობი მივიდა წყალთან დაგდებულ ხესთან რომლის ტოტებიც ობობას მაგონებდა, და ტოტებს შორის ჩამოჯდა. მე კი იქვე მოჭრილი ხის ნარჩენზე დავჯექი. ახალგაზრდა ინდიელს ტუჩებზე ღიმილი თამაშობდა: ალბათ ფიქრობდა როგორ მოეყოლა უკეთესად ჩემთვის ეს ისტორია. მე ცოცხალი ინტერესი გამოვხატე.

–გაგიგია ისტორია კვილეტების მდინარის შესახებ, ჩვენი წინაპრები მის ნაპირებზე ცხოვრობდნენ... – დაიწყო ჩაფიქრებულმა.

– საერთოდ, არა, – ვაღიარე მე

–ლეგენდები ძალიან ბევრია, ისინი იუწყებიან იმაზე თუ როგორ გადაარჩინეს თავიანთი ტომი ხალხმა რომლებიც თავს კვილეტებს ეძახდნენ. მოქცევის დროს მათ მაღალი ფიჭვებისგან ააშენეს კანოე,

MYTOPBOOK.ORG

ისე როგორც ნოემ რათა გადაერჩინათ თავიანთი თავი და ბავშვები – მოგრეხილად გაიღიმა ჯაიკობს,– სხვა ლეგენდები ამბობენ იმაზე რომ ჩვენ თითქოს მგლებისგან წარმოვიშვით, ჩვენი ტომი აქამდე მგლებს ძმებად ითვლებიან და მგლის მოკვლა დანაშაულია, ასევე არის ისტორია „თეთრებზე“ – ცოტათი ხმამაღლა წარმოსთქვა და მე გავიგე რომ ის არ ლაპარაკობდა უბრალოდ ევროპული რასის წარმომადგენლებზე

–თეთრებზე?– ხელახლა ვკითხე, ახლა უკვე ძალიან დიდი ინტერესით

–ხო მათ კიდევ „ცივებს“ ეძახიან. ზოგიერთი ისტორია მათზე ძველია ზოგიერთი ახლახან გაჩდა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ჩემი პაპის პაპა იყო „მგელი'', მან თეთრებს აუკრძალა ჩვენს მიწაზე გამოჩენა, ის ტომის ბელადიც იყო როგორც მამაჩემი, როგორც ხედავ თეთრები მგლების ერთადერთი მტრები არიან, არა ნამდვილი მგლების არამედ მათ რომლებიც ადამიანებად იქცევიან, როგორც ჩვენი წინაპრები, თქვენ მათ მაქციებს ეძახით.

–მაგციებს მტრები ჰყავთ?

–მხოლოდ ერთი.

ჯეიკობს თვალებში იმ იმედით ვუყურებდი, რომ მას ჩემი მოუთმელობა არ აოცებდა.

–როგორც ხედავ, – გააგრძელა მან, – თეთრები ჩვენი თავდაპირველი მტები იყვნენ. მაგრამ ისინი რომლებიც ჩემი პაიპისპაპის დროს მოვიდნენ სულ სხვანაირები იყვნენ თავიანთი წინამორბედებისგან განსხვავებით არ ნადირობდნენ და შესახედავად საშიშროებას არ წარმოადგენდნენ, მაშინ ჩემმა პაპის პაპამ მათთან მშვიდობა დაამყარა, თუ ისინი ჩვენს ტერიტორიაზე არ შემოიჭრებოდნენ, ჩვენ მათ საიდუმლოს ადამიანებს არ გავუმხელდით.

–თუ ისინი საშიშროებას არ წარმოადგენდნენ მაშინ მათთან გარიგების დადება რა საჭირო იყო, – შეცბუნებულმა ვკითხე ჯეიკობს, რათა მიმეხვედრებინა, რომ მის მონაყოლს სიტყვა სიტყვით ვისმენდი

–იცხოვრო თეთრებს შორის ძალიან რთულია, ცივილიზებულებიც რომ იყვნენ, რადგან ყოველ წუთს უნდა ელოდე მათგან საშიშროებას მოშივდებათ და ატეხავენ ბუნტს

–რა ნიშნავს იყვენენ ცივილიზებულები?

–ისინი ამტკიცებდნენ რომ ადამიანებზე არ ნადირობდნენ და თითქოს შეეძლოთ მხოლოდ ცხოველის სისხლით დაკმაყოფილებულიყვნენ

MYTOPBOOK.ORG

–და კალენები აქ რა შუაში არიან, ისინი რა გვანან შენი პაპის პაპის დროინდელ თეთრებს?
–კი ზუსტად ისინი არინ ის თეთრები.

ალბათ შესახედავად შეშინებული ვიყავი რადგან როდესაც ჯეიკობმა შემომხედა კმაყოფილებით გაიღიმა და გაგრძელება გადაწყვიტა

–ეხლა თეთრები ორჯერ მეტნი გახდნენ, ხოლო დანარჩენები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ, მათ მთავარს კარლაილს ჩემი პაპის პაპაც კი იცნობდა ისინი აქ ადამიანების გამოჩენამდე მოვიდნენ.
–კი მაგრამ ვინ არიან? ვიკითხე შეცბუნებულმა,– ვინ არიან თეთრები?

ბიჭმა ბოროტად გაიღიმა.

–სისხლისმსმელები,– გაყინული ხმით თქვა მან,– შენი ადამიანები მათ ვამპირებ ეძახიან.

ცოტათი აზრზე რომ მოვსულიყავი ტალღებზე გაჩენილ თეთრ ქუდებს ვუყურებდი

–შენ ხორკლიანი კანი გაქვს! – მხიარულად თქვა ჯეიკობმა.
–გასაოცარი ისტორია იყო, – გაფანტულად შევაქე მე ისე, რომ თვალიც არ მომიშორებია წლიდან.
–ჩემი აზრით უხეშად ჟღერს! გასაოცარი არაა რომ მამა მოყოლის უფლებას არ მაძლევს.
–ნუ წუხხარ მე შენ არ გაგცემ.
–მგონი ამ წუთას დავაღვიე წესები, – ნერვულად გაიცინა ბიჭმა.
–ვფიცავარ რომ ამ ისტორიას საფლავში ჩავიყოლებ, – დავპირდი და იმწუთასვე ჟრუანტელმა დამიარა.
–მთავარია ჩარლის არ უთხრა! ის ისე ბრაზდებოდა მამაზე როდესაც ჩვენმა ხალხმა ექიმ კარლაილთან მკურნალობაზე უარი თქვა.
–არ ვეტყვი, გპირდები
–რა ეხლა უკვე ცრუმორწმუნე ველურებად გვთვლი? თითქოსდა ხუმრობით იკითხა მან, მაგრამ მას ხმაში დაძაბულობა ეტყობოდა
–არა, უფრო კარგ მთხრობელად გთვლი ხორკლიანი კანი ჯერ არ გამქრალა, – ვთქვი და თან ხელი ვაჩვენე.
–მაგარია! გაიღიმა ბიჭუნამ.

MYTOPBOOK.ORG

ჩიტმა შეიფრთხიალა და როდესაც თავები ერთდროულად ავწიეთ დავინახეთ მაიკი და ჯესიკა რომლებიც ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდებონენ.

–აი თურმე სად ხარ ბელა,– შვებით წამოიყვირა მაიკმა, თან ხელს მიქნევდა.
–ეს შენი ბოიფრენდია? – იკითხა ეჭვიანობით შეშინებულმა ჯეიკმა, ხოოო ახალგაზრდა ბლექი ძალიან გამჭრიახია!
–არა, რათქმაუნდა, – წავიჩურჩულე მე, დიდად მადლობელი ბლექის, გადავწყვიტე რომ რამით მესიამოვნებინა მისთვის და ისე მოვტრიალდი რომ მაიკს ზურგი შევაქციე და ჯეიკს თვალი ჩავუკარი, გამიღიმა ჩემი ფლირტისგან თავბრუდახვეულმა.
–როდის ავიღებ მართვის მოწმობას... დაიწყო მან.
–ჩამოდი ჩემთან ფოქსში, შევივლით სადმე, – საშინლად ვიტყუებოდი, რადგან ვიცოდი მანამდე წავიდოდი ფორქსიდან ფენიქსში სანამ ჯეიკობს 16 წელი შეუსრულდებოდა.

მაიკი ჯესიკასთან ერთად სულ იქვე იდგნენ. მაიკმა თავის ლურჯი თვალებით შემაფასებელი მზერით სეხედა ჯეიკს , ო ღმერთო ჩემო ის ხომ ტელეგრაფის ბოძზეც ეჭვიანობს!

–სად იყავი? ბრაზით მკითხა, თუმცაღა პასუხი კარგად ჩანდა.
–ჯეიკობი ადგილობრივ ლეგენდებს მიყვებოდა,– ვუპასუხე მე,– ძალიან საინტერესო იყო.
–ხო,– მაიკი დაწყნარდა, მიხვდა რომ ჩვენ ნამდვილად მხოლოდ მეგობრები ვიყავით,– მგონი ჩვენი წასვლის დროა წვიმას იწყებს.
–მზად ვარ წასასვლელად,– განვაცხადე და ფეხზე წამოვდექი.
–კარგი იყო შენი ნახვა – თქვა ჯეკმა, ისე რომ მაიკი გაეჯავრებინა
–ჩემთვისაც, – გამოვეხმაურე მე, –მომავალში როდესაც ჩარლი ბილისთან მოსვლას გადაწყვეტს ვეტყვი რომ წამომიყვანოს.
–მაგარია! – თქვა ბლეკმა

კაპიუშონი გავიკეთე და მანქანისკენ წავედი , ფრთხილად ვაბიჯებდი ხის გამოწეულ ფესვებზე. უკვე წვეთავდა პირველი წვეთები, როდესაც მანქანასთან მივედით უკვე ყველანი ისხდნენ, მე უკანა სკამზე დავჯექი ტაილერსა და ანჯელას შორის, ანჯელა ფანჯარაში უყურებდა ამინდს, ხოლო ტაილერი ლორენთან ლაპარაკით იყო გართული

MYTOPBOOK.ORG

ამიტომ გადავწყვიტე თავი უკან გადამეწია, თვალები დამეხუჭა და არაფერზე მეფიქრა.

თავი მეშვიდე

კოშმარი

საშინაო დავალება დავამთავრე ,მაგრამ ჭამაზე უარი ვთქვი. ტელევიზორში იმ კალათბურთის მატჩს აჩვენებდნენ, რომელსაც ასე ელოდებოდა ჩარლი! მე არაფერი მესმოდა კალათბურთის, ამიტომ მიხაროდა რომ ჩარლი არ მთხოვდა მასთან ერთად მეყურებინა..

აღმოვჩნდი თუ არა ჩემს ოთახში კარი ჩავკეტე. მაგიდასთან მივედი, ავიღე ძველი ყურთსასმენები და ჩავრთე პლეიერი. ბოლო შობას ფილმა მაჩუქა შესანისნავი დისკი– ჩემი საყვარელი ჯგუფის სიმღერების კრებულით, თუმცა ჩემი აზრით ამ ალბომში ბევრია დასარტყამი ინსტრუმენტები. მე დავიცვი ყურთსასმენები, დავვარდი საწოლზე და პლეიერს მაქსიმალურად ავუწიე. ყურები ამტკივდა ,მაგრამ კბილების კრეჭითა და დახუჭული თვალებით ვითმენდი. კონცენტრირება მუსიკაზე გავაკეთე და შევეცადე ტექსტი გამერკვია. დისკის ორჯერ მოსმენით ყველა ტექსტი დავიზეპირე, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს ალბომი უფრო და უფრო მომწონდა. ალბათ კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას ფილს.

ბოლოს და ბოლოს ჩემსას მივაღწიე. გამაყრუებელი მუსიკა, ფიქრის საშუალებას არ მაძლევდა, სწორედ ამიტომ ვიყრუებდი თავს, დისკს ისევ და ისევ ვუსმენდი, ვმღეროდი სოლისტთან ერთად და უკვე დაუძლურებულმა ყურთსასმენები მოვიხსენი და დავიძინე.

სიზმარმა უცნობ ადგილას წამიყვანა–ტყე უცნაურად ნათელი და ლურჯი იყო, თუმცა ჩემი ტვინის რაღაც ნაწილი ხვდებოდა რომ მეძინა, შორიდან მომესმა ოკეანის ტალღების ხმაური, რომლებიც კლდეებს ეხეთქებოდნენ. თუ ვიპოვი ოკეანეს— ვიპოვი მზესაც.

MYTOPBOOK.ORG

წყლის ხმას მივყევი , მაგრამ უცებ არც კი ვიცი საიდან, გაჩნდა ჯეიკობ ბლექი, რომელმაც უკან ტყისკენ წამიყვანა.

–ჯეიკობ რა მოხდა?–ვკითხე მე.

შიშისაგან გათეთრებული სახით ბიჭს ისევ ტყისკენ მივყავდი. ვცდილობდი შევწინაღმდეგებოდი. არ მინდოდა ისევ იმ სიბნელეში დაბრუნება!

–გაიქეცი ბელა, გაიქეცი! – შეშინებული ჩურჩულებდა ბლექი.

–აქ მოდი აქ!.. –მაიკის ხმა სადღაც ხეებიდან ისმოდა, მხოლოდ თვითონ არ ჩანდა.

–რატომ?–გავიფიქრე მე და დავეხსენი ჯეიკობს.

მაგრამ მან თვითონ გამიშვა ხელი და მიწაზე დავარდა. ღმერთო! ის ციებიანივით კანკალებს!

–ჯეიკობ! -დავუყვირე მე, ოღონდ უკვე გვიან იყო, -მიწაზე უკვე წითური მგელი იწვა შავი თვალებით. ცხოველი იქით იყურებოდა სადაც ოკეანე უნდა ყოფილიყო. მერე კი შემოტრიალდა, დაიხრიალა და თავისი ეშვებიც გამოაჩინა.

–გაიქეცი ბელა გაიქეცი!–ისევ შემომესმა მაიკის ხმა, მაგრამ არც კი გამიხედავს.უცებ თეთრი სინათლე ვიგრძენი ოკეანის მხრიდან,რომელიც მიახლოვდებოდა.

ხეებიდან ედვარდ კალენი გამოვიდა, ის არამიწიერ შუქს ასხივებდა, მისი თვალები კი საშიშად გამოიყურებოდნენ. მან ხელები გამომიწოდა, უნდოდა მისკენ წავსულიყავი. ჩემს ფეხებთან მჯდომმა მგელმა ყრუდ დაიხრიალა.

მე ედვარდისკენ გადავდგი ნაბიჯი, მან გამიღიმა და ეშვები გამოაჩინა.

–მენდე...

MYTOPBOOK.ORG

მგელი ყოველ წამს მზად იყო თავს დასხმოდა ვამპირს.

–არა! –დავიყვირე მე... და გამეღვიძა. პლეიერი ხმაურუთ დავარდა ხის იატაკზე.

ოთახში შუქი ენთო მე კი გაუხდელი ვიწექი დაულაგებელ საწოლზე. მაგიდაზე მდგომ საათს გავხედე,–დილის ექვსის ნახევარი იყო.

გაოცებულმა, ფეხსაცმელები მოვისროლე და მუცელზე გადავბრუნდი. არა, როგორც ჩანს დღეს დაძინება აღარ გამომივა. ისევ დავწექი ზურგზე და შევეცადე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფს გამეძრო ჯინსი. ახლა აკრული თმა მაღიზიანებდა, თმისაბნევი მოვიშორე და თმები ჩამოვიშალე. შემდეგ სახე ბალიშში დავმალე.

უსარგებლოა. გონებაში მაინც მოდიოდა ის აზრები,რომლების გაგდებას მთელი ძალით ვცდილობდი.

ისე უცებ წამოვჯექი, რომ სისხლი მომაწვა. რადგანაც ვერ ვახერხებ დავიწყებას, მაშინ შევეცდები გავექცე უსიამოვნო აზრებს. წავალ, დუშს მივიღებ!

დავამთავრე თუარა დუშის მიღება, ისევ შებრუნება მომინდა. თმების შრობით ჩემს ოთახში დავბრუნდი. ვერ გავიგე ჩარლის ისევ ძინავს თუ უკვე წავიდა. ფანჯარაში გავიხედე. პატრულის მანქანა არ ჩანდა. ე.ი. ისევ სათევზაოდაა წასული.

ჩავიცვი ჩემი სპორტული ტანსაცმელი, უსიამოვნო პროცესის მოახლოვება კიდევ რომ გამეწელა საწოლი გავასწორე. მაგიდასთან მივედი და კომპიუტერი ჩავრთე.

ფორქსში ინტერნეტით სარგებლობა მხოლოდ ნერვების უაზრო ხარჯვაა. ჩემი მოდემი ძალიან ნელა მუშაობს. ასე რომ ჯერ მის ინტერნეტთან დაკავშირებას დაველოდე. მანამდე თაფლის ბურბუშელას შევექცეოდი. ვჭამდი ძალიან ნელა, თითქოს ბურბუშელას დიდხანს ღეჭვა სჭირდებოდეს. დავამთავრე, მაგრამ ფეხებმა უარი თქვეს ოთახში დაბრუნებაზე.

MYTOPBOOK.ORG

ბოლოს და ბოლოს თავს დავძლიე, ოთახში შესულმა ჯერ პლეიერი ავიღე იატაკიდან. ყურთსასმენები ყუთში შევინახე. ვიფიქრე ცუდი არ იქნება კარგი მუსიკის მოსმენა,—ჩავრთე დისკი და ხმას მინიმუმამდე დავუწიე.

მძიმედ ამოვისუნთქე და კომპიუტერისაკენ შევტრიალდი . რათქმაუნდა ეკრანი დაფარული იყო რეკლამების განცხადებებით, მომიწია მათი ჩაკეცვა. ბოლოს შევედი ჩემს საყვარელ „მძებნელში“ და დავწერე ერთადერთი სიტყვა

„ვამპირი“

რეზულტატის მოლოდინში ჩუმად ვნერვიულობდი. შედეგად შემომთავაზეს რამდენიმე ათასი საიტი. პირველ გვერდზე იყო ნებისმიერი ინფორმაცია ფილმებზე, ტელე–შოუებზე, კომპიუტერულ თამაშებზე და გვთავაზობდნენ სპეციალურ კოსმეტიკასაც კი გოთებისთვის.

საინტერესო საიტი “ ა-დან ჰ-მდე“ რატომღაც მესამე გვერდზე განეთავსებინათ. მოუთმენლად ველოდი ბოლოს და ბოლოს როდის ჩაიტვირთებოდა. აი მთავარი გვერდიც, როგორც იქნა! არავითარი გაფორმება,—თეთრ ფონზე შავი წარწერები. ჩანდა ორი ციტატა:

„ ბნელ სამყაროში, რომელიშიც დემონები და მოჩვენებები ცხოვრობენ, არავინაა იმათზე საშიში და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყის მომხიბვლელი, როგორც ვამპირები. ისინი არ იქცევიან არც დემონებად და არც მოჩვენებებად, მაგრამ ფლობენ ისეთივე ეშმაკურ და ჯადოქრულ ძალას.“

„ თუ კი ამ სამყაროში რაიმეზე მოიპოვება საკმარისი რაოდენობა დამამტკიცებელი საბუთებისა ეს ვამპირიზმზეა. არსებობს ხელწერილები ცობილი ადამიანების, ექიმების, მღვდლებისა და მოსამართლეების, რომლებიც მათ არსებობას ამტკიცებდნენ—მეტი დამამტკიცებელი საბუთი არც გვჭირდება. თუნდაც ასე იყოს, მაგრამ მაჩვენეთ თუნდაც ერთი ადამიანი რომელსაც სჯერა ვამპირების არსებობის!“ რუსო“

MYTOPBOOK.ORG

ქვემოთ ანბანის მიხედვით დალაგებული იყო აბზაცები მთელი მსოფლიოს ვამპირთა ისტორიებზე. პირველად შევედი ფილიპინელი ვამპირის დანაგის ისტორიაზე— თითქოს ის უხსოვარი დროიდან დასახლებულა ტაროს კუნძულზე და მშვიდობიანად ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით, სანამ არ მოხდა საშინელება: ახალგაზრდა ქალმა შემთხვევით ნემსი თითზე იჩხვლიტა, ნაჩხვლეტის დამუშავებისას დანაგს ისე მოეწონა მისი სისხლი, რომ მან ის უკანასკნელ წვეთამდე ამოწოვა.

ყურადღებით ვკითხულობდი ისტორიებს და ვცდილობდი მათში სიმართლის მაგვარის პოვნას. ამ ისტორიებში ვამპირის როლს ლამაზი ქალები ასრულებდნენ, მსხვერპლისას კი პატარა ბავშვები. ვამპირები აღმოჩნდნენ მიზეზნი ბავშვთა ხშირი დაღუპვისა და მამაკაცთა უნდობლობისა ქალებისადმი. თითქმის ყველა ისტორიაში იყო პრაქტიკული რჩევები როგორ დავასაფლაოთ ვამპირი, რომ მისმა აფორიაქებულმა სულმა მოისვენოს. არც ისე გავდა იმას რაც ფილმებში მენახა: როგორც გაირკვა არსებობს ორი ვამპირთა სახეობა,–პოლონური უპირები და ებრაული ესტრები, რომლებიც სისხლის დასალევად ხოცავდნენ ადამიანებს.

განსაკუთრებით სამმა სახეობამ დამაინტერესა: რუმინელი ვარაკოლაკები, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ძალითა და უკვდავებით, ისინი ღებულობდნენ ულამაზეს ჭაბუკთა სახეს; სლოვენელი ნელაპსები, რომელთაც შეეძლოთ შუაღამისას მუსრი გაევლოთ მთელი სოფლისათვის; და სტრეგონელი ბენეფიცები ანუ იტალიელი ვამპირები.

უკანასკნელს მოყვებოდა ერთადერთი წინადადება-,, სტრეგონელი ბენეფიცები მიეკუთვნებიან ერთადერთ სახეობას, რომლებიც გადასულნი არიან ნათელ ძალებში და ემტერებიან სხვა დანარჩენ ვამპირებს.“

რამოდენა შვება ვიგრძენი ამის წაკითხვისას! ე.ი. არსებობენ კეთილი ვამპირებიც!

MYTOPBOOK.ORG

კითხვისას ვცდილობდი გამეანალიზებინა ყველაფერი, ვცდილობდი მეპოვა ის რასაც თვთონ ვამჩნევდი: სიჩქრე, ძალა, სილამაზე, ნათელი კანი, თვალის ფერის ცვლილების უნარი, პლუს ამას რაც ჯეიკობისგან გავიგე: სისხლისმსმელები, მაქციების მტრები, სხეულის დაბალი ტემპერატურა, უკვდავება. მაგრამ არა, ამდაგვარი ვერაფერი ვერ ვიპოვე.

კიდევ ერთი წინააღმდეგობა არსებობდა: ვამპირებს არ შეუძლიათ დღისით გარეთ გამოსვლა,ამ დროს მათ ძინავთ კუბოებში, ღამით კი სანადიროდ გამოდიან.

გაბრაზებულმა პირდაპირ გამოვრთე კომპიუტერი. სიბრაზე და დაურწმუნებლობა ერთმანეთში მერეოდა. რა სიგიჟეა! ვზივარ კომპიუტერთან და ვეძებ ინფორმაციას ვამპირებზე! კი მაგრამ რა მჭირს? ალბათ ყველაფერში ეს საძაგელი ქალაქია დამნაშავე!

სადღაც უნდა წავიდე! სინამდვილეში ყველაზე ახლო, სადაც მე მინდოდა წასვლა აქედან სამი დღე-ღამის სასიარულო იყო. მაგრამ მაინც, ფეხზე ჩავიცვი, დავეშვი კიბეებზე, მოვიხვიე მოსაცმელი და გარეთ გავედი,—არც კი ვიცოდი სად მივდიოდი.

ცა მუქი ღრუბლებით დაფარულიყო, მაგრამ ჯერ არ წვიმდა. პიკაპზე არც კი შემიხედავს ისე გავუყევი ჩარლის ეზოს და ტყისკენ წავედი. საკმაოდ მალე სახლი და გზა გაქრნენ მხედველობიდან, ფოთლებზე მიმავალს მხოლოდ შევარდენთა კივილი და საკუთარი ფეხის ხმა მესმოდა .

ტყეში ძლივს შესამჩნევი ბილიკი იკვეთებოდა, თორემ ვერც გავბედავდი ასე ღრმად იქ შესვლას. ცუდი ორიენტირების უნარი მაქვს, ამიტომ შემიძლია ნაცნობ ქალაქშიც კი ამებნეს გზა. ბილიკს უფრო და უფრო ღრმად შევყავდი ტყეში. ვცდილობდი გამომეცნო ხეების სახელწოდებები, მაგრამ მხოლოდ იმათი გავიხსენე, რომლებზეც როდესღაც ჩარლი მიყვებოდა. ზოგი ხე ისე იყო შეჭმული პარაზიტებისაგან, რომ მათთან მიახლოვებაც კი შემეშინდა.

MYTOPBOOK.ORG

საკუთარ სიბრაზისა და უძლურების შეგრძნებას ბილიკისკენ—ტყის სიღრმეში მივყავდი, მაგრამ მალე დავწყნარდი და მივხვდი, რომ წინ წასვლას აზრი აღარ ქონდა. რამდენიმე ცივი წვეთი დამეცა საყელოზე, ვერ მივხვდი წვიმას იწყებდა თუ უკვე გადაიღო, წყალი კი ფოთლებიდან წვეთდა. დავინახე მოჭრილი ხე, რომელზეც ქურთუკი დავაფინე, დავჯექი და თავი იქვე მდგომ ფიჭვს მივაყრდენი.

არ ღირდა აქ მოსვლა, მაგრამ სხვაგან სადღა უნდა წავიდე? ტყე ისეთი ბნელი იყო, ძალიან გავდა ჩემს გუშინდელ კოშმარს, ისე რომ ვერაფრით დავწყნარდი. ჩემი ნაბიჯებიც მიჩუმდა და მკვდარმა სიჩუმემ დაისადგურა . ჩიტებმა შეწყვიტეს სიმღერა. წვეთებმა უფრო ხშირად დაიწყესდაცემა,—ეს იმას ნიშნავდა რომ წვიმა დაიწყო. დამჯდარმა შევამჩნიე, რომ გორაკის იქით არფერი ჩანდა. გამოდის ვინმე რომ მოვიდეს სამ ნაბიჯშიც კი ვერ დამინახავს.

აქ, ხეების გარემოცვაში უფრო ადვილი იყო იმ აბსურდის დაჯერება რაც ინტერნეტიდან გავიგე. ტყე ათასწლეულების მანძილზე არ იცვლებოდა, და ყველა მითი და ლეგენდა უფრო რეალურად მეჩვენებოდა ამ მწვანე ბინდში, ვიდრე ნათელ ოთახში.

დიდი ძალისხმევით მოვახდინე კონცენტრირება ორ კითხვაზე, რომლებიც მაღელვებდნენ ყველაზე მეტად.

ჯერ ერთი შეიძლება შეესაბამებოდეს სიმართლეს ის რაც ჯეიკობმა მოყვა კალენებზე? რათქმაუნდა ლოგიკურად გამოიყურებოდა გამოკვეთილი პასუხი. იფიქრო ასეთ რამეზე სისულელეა და უფრო მეტიც სირცხვილია, ისეთი ფსიქიკურად ნორმალური გოგონასთვის როგორსაც საკუთარ თავს ვთვლიდი. მაგრამ მაშინ სად არის სიმართლე? ხომ უნდა არსებობდეს რაციონალური პასუხი იმაზე, რომ მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ!

ისევ და ისევ ვალაგებდი საკუთარ აზრებს: უდიდესი ძალა და სიჩქარე, თვალის ფერი, რომელიც შავიდან ოქროსფერამდე იცვლება, არამიწიერი სილამაზე, ფერმკრთალი, ცივი კანი. და ყველაზე უცნაური: კალენები არასოდეს ჭამენ, მოძრაობენ საოცარი გრაციით. და ედვარდი როგორ ლაპარაკობს! ასეთი გამომეტყველება და ფრაზები

MYTOPBOOK.ORG

დამახასიათებელია მხოლოდ გასული საუკუნის ინგლისური რომანებისათვის და არა თანამედროვე ამერიკელი თინეიჯერისთვის! იმ დღეს როცა ჩვენი სისხლის ჯგუფს ვარკვევდით, გაკვეთილი გაცდინა. შაბათისთვის ჩვენთან ერთად გასეირნებაზე მხოლოდ მაშინ თქვა უარი, როცა გაიგო სად მივდიოდით. როგორც ჩანს მისთვის ცნობილია რას ფიქრობენ გარშემომყოფნი... ჩემს გარდა. მან თვითონ გამაფრთხილა რომ ჩემთვის საფრთხეს წარმოადგენს და უკეთესია თუ მასთან არ ვიმეგობრებ... ნუთუ კალენები—ვამპირები არიან? არ ვიცი. მაგრამ აბა ვინ არიან ისინი? შეიძლება „თეთრები“ არიან , როგორც ჯეიკობი ამბობს, ან სუპერმენები, როგორც პიტერ პარკერი, მაგრამ ფაქტია რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან.

ესეიგი პასუხი ჩემს კითხვაზეა—„ შეიძლება“

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა. რა უნდა ვქნა თუ ეს სიმართლეა?

თუკი ერვარდი ვამპირია (ვცდილობდი არ ჩავკვირვებოდი ამ სიტყვის მნიშვნელობას) მაშინ რა უნდა ვქნა? ვერავის ვერ ვთხოვ რჩევას, ალბათ ყველა არანორმალურად ჩამთვლის.

არის მხოლოდ ორი გამოსავალი. პირველი—მივყვე მის რჩევას, ვიყო ჭკვიანი, თავი მისგან შორს დავიჭირო, თავი მოვიჩვენო რომ ჩვენს შორის ყრუ მინის კედელია და ვთხოვო თავი დამანებოს.

ამ ვარინტის მოფიქრებისას საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. არა ასეთ გამოცდას მე ვერ ავიტან, სხვა რამის მოფიქრება მომიწევს მაგრამ რის? ბოლოს და ბოლოს თუკი ის ბოროტია, ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია. ტაილერის ფურგონი ალბათ ბრტყელ მასად გადამაქცევდა, რომ არა ედვარდის რეაქცია. შეიძლება მან თავისდა უნებურად გადამარჩინა, მაგრამ თუკი არსება თავისდა-უნებურად იცავს სხვის სიცოცხლეს, ის არ შეიძლება იყოს ბოროტი.

მძიმე ფიქრებისგან თავბრუ დამეხვა.

MYTOPBOOK.ORG

ერთი რამ კი ზუსტად ვიცოდი: ის ბნელი ედვარდი სიზმარში, წარმოიშვა ჯეიკობის მონაყოლით და არა საკუთარი ქვეცნობიერით. სინამდვილეში შავი თვალებისა და გრძელი ეშვების გამო კი არ ვყვიროდი, არამედ მეშინოდა არფერი დამართნოდა მას, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის!

ნელ-ნელა ჩემს ცნობიერებაში პასუხი ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს მე არჩევანი არა მაქვს— საბოლოოდ ვარ დაბმული. ახლა მივხვდი, რომ ჩემი საშინელი საიდუმლოთი ვეღარსად წავალ. როდესაც ვფიქრობდი მასზე, მის ხმაზე, ჰიპნოზისმომგვრელ თვალებზე, მის გრაციოზულ სიარულის მანერაზე, არაფრის სურვილი აღარ მქონდა გარდა მის გვერდით ყოფნისა. თუნდაც... არა მე აღარ ვიფიქრებ ამაზე. ყოველი შემთხვევისთვის არა აქ, ბნელ ნაძვებსა და ფიჭვებს შორის. არა ახლა, როცა წვიმის წვეთები მიწას კაკუნით ეცემიან, როგორც ჩუმი ნაბიჯები, მძიმე ღრუბლებისგან კი ისე ბნელა, როგორც ღამით...

შემკრთალი უცებ წამოვჯექი, იმის შიშით რომ თითქოს წვიმა ბილიკს წაშლიდა. საბედნიეროდ არსად წასულა, მან გამიკვლია გზა ტყის სველ ლაბირინთებში. მთელი ძალით გავრბოდი, კაპიუშონი სახეზე მქონდა ჩამოფხატული. ღმერთო, რა შორს შემოვსულვარ!.. იმედია სწორი მიმართულებით მივდივარ! მაგრამ სანამ შეშინებას მოვასწრებდი, მანამდე გამოჩნდა ტოტებს შორის სინათლე და მოაღწია მანქანების ხმაურმა. აი ბოლოს და ბოლოს ჩარლის ეზოც...

სახლში თორმეტისთვის დავბრუნდი, უცბად ავირბინე ოთახში და სუფთა ჯინსი და სვიტერი გადავიცვი. დანარჩენი დღის დაგეგმვა არც ისე რთული აღმოჩნდა, ოთხშაბათისთვის უნდა დამეწერა თხზულება „მაკბეტის'' რომანზე. თავით გადავეშვი სამუშაოში. ვტკბებოდი სიწყნარით, რომელიც ხუთშაბათის შემდეგ არ მიგვრძნია.

ხშირად ვგრძნობდი ამდაგვარ რამეს— გადაწყვეტილებას ადვილად ვერასოდეს ვიღებდი, მაგრამ არჩევანის გაკეთებისას უდიდეს შვებას ვგრძნობდი. მაგრამ ხანდახან საშინელ სასოწარკვეთილებასაც, მაგალითად როცა გადავწყვიტე ფორკსში გადმოვსულიყავი. თუმცა გაურკვევლობაში ცხოვრებას ისევ ასე ჯობია.

MYTOPBOOK.ORG

ოღონდაც ეს გადაწყვეტილება მოვიდა თავისთავად, ყოველგვარი წვალების გარეშე. უცნაურია და საშიშიც!

დღის მეორე ნახევარი ნაყოფიერი გამოდგა—რვა საათამდე თხზულებაც დავამთავრე. ჩარლიც კმაყოფილი დაბრუნდა—საკმაო თევზი დაუჭერია. სიეტლში როცა წავალ, აუცილებლად ვიყიდი კულინარიულ წიგნს თევზების მომზადებაზე. ამის გაფიქრებაზე ზურგზე ჟრუანტელმა დამიარა, ისე როგორც ჯეიკობთან საუბრის დროს. საოცარია მაგრამ არვითარ შიშს არ განვიცდიდი.

იმ ღამით სიზმრების გარეშე მეძინა, იმდენად ვიყავი დაღლილი. მეორე დილა მზის შუქით განათებული დამხვდა, ეს უკვე მეორე მზიანი დღეა რაც ფორკსში ჩამოვედი. ფანჯარაში გავიხედე და ლურჯი ცა დამხვდა, ქათქათა ღრუბლის ნაფლეთები კი ვერაფრით მოასწავებდნენ წვიმას. ფანჯარა გავაღე და სიამოვნებთ ჩავისუნთქე თბილი, მშრალი ჰაერი. როგორც იქნა სისხლი ამიმოძრავდა!

ქვემოთ დავეშვი, ჩარლის უკვე დაემთავრებინა საუზმე. მას ჩემი განწყობა არ გამოპარვია.

—შესანიშნავი დღეა!—თქვა მამამ.

—საოცარი!—ღიმილით დავეთანხმე მე.

ჩარლიმ გაიღიმა და მისმა თაფლისფერმა თვალებმა გაიბრწყინეს, ახლა გახდა გასაგები თუ რატომ გადაწყვიტა მან დედასთან ადრეულ ასაკში შეუღლება. მამას უკვე კარგად ვიცნობდი, ასე რომ ის უკვე შორს იყო რომანტიზმისა და ყავისფერი თმებისაგან, მაგრამ ღირდა მხოლოდ ერთხელ გაეღიმა და ვხედავდი ბიჭს, რომელიც მზად იყო შეყვარებულთან ერთად გაპარულიყი ცხრამეტი წლის ასაკში.

საუზმობისას დავაკვირდი, როგორ ცეკვავდნენ მზის სხივებში მტვრის პაწია ნაწილაკები. ჩარლი დამემშვიდობა. სახლიდან გასვლისას კი კარებთან შევჩერდი, —წავიღო თუარა მოსაცმელი? მაგარამ არ ღირს ბედთან თამაში, ასე რომ მხარზე მოვიგდე და მზით გაჩახჩახებულ ქუჩაში გავედი.

MYTOPBOOK.ORG

სკოლაში მისულთა შორის ერთ-ერთი პირველი ვიყავი. პიკაპი გაჩერებაზე დავტოვე, მე კი იქვე სკოლასთან ჩამოვჯექი. სკამი ნოტიო იყო და მოსაცმელი დავიფინე, გამიხარდა რომ უარი არ ვთქვი მის წამოღებაზე. საშინაო დავალება შესრულებულია,— პირადი ცხოვრების ამოცანების ზუსტ ამოხსნაში კი ისე ვიყავი დარწმუნებული როგორც ტრიგონომეტრიისაში... ჩაფიქრებულმა რვეული ამოვიღე და მხოლოდ ცოტახნის შემდეგ აღმოვაჩინე რომ დამიხატავს ხუთი წყვილი შავი თვალი.. სასწრაფოდ მომიწია მათი საშლელით წაშლა.

—ბელა!—შორიდან მომესმა ვიღაცის ხმა. ალბათ მაიკია. სანამ მე ვიჯექი და ვოცნებობდი, სკოლის ეზო ბავშვებით შევსებულა. უმეტესობას მაისურები ეცვათ, მიუხედავად იმისა რომ გრადუს ცელსიუსი თხუთმეტს არ სცილდებოდა. ხელის ქნევით ჩემკენ მაიკი მოდიოდა, გრძელი ხაკისფერი შორტი და ლურჯი მაისური ეცვა.

— გამარჯობა მაიკ!—პასუხად დავუქნიე ხელი მეც. ასეთ დილას ძალიან მინდოდა კეთილი ვოფილიყავი.

მაიკი გვერდით მომიჯდა, ისე იყო გახარებული ჩემი ნახვით რომ უცებ მადლიერება ვიგრძენი მის მიმართ.

—არასოდეს შემიმჩნევია, რომ შენს თმებს მიწითალო ელვარებაც აქვს,— ჩაფიქრებულმა თქვა და პატარა კულული დაიჭირა, რომელიც მსუბუქმა ნიავმა ამითამაშა.

—მხოლოდ მზეზე.— უხერხულობა ვიგრძენი როცა მან ყურთან თმა გამისწორა.

—კარგი დღეა არა?

—შესანიშნავი!—დავეთანხმე მე.

—რას აკეთებდი გუშინ?—მბრძანებლურად მკითხა მან.

—თხზულებას ვწერდი...

MYTOPBOOK.ORG

—მისმინე ეგ ხომ ხუთშაბას უნდა მივიტანოთ, ასე არ არის?—მან თეატრალულად დაიკაკუნა შუბლზე.

—უფრო სწორად ოთხშაბათს.

—ოთხშაბათს? ა ხო.. და რაზე წერ?

—იმაზე, შეიძლება თუარა შექსპირს ცოლთმოძულე ვუწოდოთ.

მან ისე შემომხედა თითქოს სუახილურ ენაზე დავიწყე ლაპარაკი. ალბათ გადაფიქრება მომიწევს,— მოიწყინა მან,— დღეს შენი დაპატიჟება მინდოდა...

—ო!— ისევ უსიამოვნო შეგრძნება. რატომ ვგრძნობ თავს ყოველთვის უხერხულად მაიკთან ერთად?

—გავიაროთ, სადმე ვისადილოთ და მერე დავჯდები თხზულებაზე. —ფართო ღიმილით შემოთავაზა მან.

—მაიკ...—ატანა არ მაქვს როცა უხერხულში მაყენებენ,—არ მგონია რომ ეს კარგი იდეაა!

—რატომ?

—იცი...შენ თუ ვინმესთან იჭორავებ იმაზე რასაც ახლა გეტყვი, მომიწევს თვალში ჩაგარტყა,—გავამუქე მე,— ეს ხომ გულს გაუტეხავს ჯესიკას?!

—ჯესიკას?—მკითხა გაკვირვებულმა , აშკარად არ დაფიქრებულა ამ ვარიანტზე.

—ღმერთო! შენ რა ბრმა ხარ?

—ხო...—ძლივს წარმოთქვა მან, მე კი ვისარგებლე მომენტით და ფეხზე წამოვხტი.

—გაკვეთილზე ვარ წასასვლელი, თორე კიდე დავიგვიანებ.

MYTOPBOOK.ORG

—ზუსტად, —თქვა გაბრწყინებულმა და ისიც ადგა. ნომერ 3 კორპუსამდე ჩუმად მივდიოდით.

ტრიგონომეტრიაზე ჯესიკა სიხარულისგან ბრწყინავდა. ის ანჯელასა და ლორენთან ერთად აპირებდა პორტ-ანჯელესში წასვლას საღამოს კაბებისთვის. მან მეც შემომთავაზა წასვლა, —არც კი ვიცოდი რა მეპასუხა. ფორქსისგან თავის დაღწვა დაქალებდან ერთად ძლიან კარგია, მაგრამ იქ ხომ ლორენიც მოდის... ყოველი შემთხვევისთვის ჯერ ჩარლის უნდა ვთხოვო ნებართვა.

ესპანურზე ჯესიკა მთელი გაკვეთილი ცეკვებზე ლაპარაკობდა, ასე რომ ვერაფერი მოვისმინე, არც შესვენებაზე მოისვენა და არც ლანჩზე. ოღონდაც მე უკვე დაყრუებული ვიყავი ჩემი ფიქრებით და მისი მოსმენა აღარ შემეძლო. საოცრად მინდოდა არა მარტო მისი არამედ დანარჩენი კალენების ნახვაც, რომ დავრწმუნებულიყავი საკუთარ თავში. როგორც კი ზღურბლს გადავაბიჯე, ვიგრძენი ცივი შიში, რომელმაც საშინლად მომიჭირა გულზე. ვაითუ მათ წაიკითხონ ჩემ აზრები? და უფრო უარესი— ედვარდმა აღარ ისურვოს ჩემთან დაჯდომა?

ჩვევის გამო კალენების მაგიდისკენ გავიხედე, მაგრამ მუცელში უსიამოვნო გძნობამ დამიარა, მათი მაგიდა ცარიელი იყო. ჯერ კიდევ იმედით მიმოვიხედე ირგვლივ, იქნებ ცალკე ზის და მე მელოდება? მაგრამ თავისუფალი ადგილი თითქმის არ დარჩა, ედვარდი და მისი ოჯახი კი არსად ჩანდა. ეს დღე უკვე აღარაფრად ითვლება, შავმა სასოწარკვეთილებამ მომიცვა. ძლივს-ძლივობით ვადგამდი ნაბიჯებს, უკვე ჯესიკას თავს აღარც ვაჩვენებდი, თითქოს ვუსმენდი.

ესპანურზე შეგვაყოვნეს, ამიტომ ყველაზე ბოლოები ვიყავით ლანჩზე. თითქოს არც შემიმჩნევია მაიკის მაგიდასთან ცარიელი ადგილი, ანჯელას გვერდით დავჯექი. აი ნიუტონმა ჯესიკას სკამი, გამოუწია რომ დამჯდარიყო, ისიც სიამოვნებით დახტა. წარმოვიდგინე ამის მერე რამდენ ხანს ილაპარაკებდა მაიკის ჯენტლმენობაზე!

MYTOPBOOK.ORG

ანჟელა რაღაცას მეკითხებოდა თხზულებაზე მე კი ვცდილობდი მეპასუხა. არადა ვგრძნობდი გული როგორ მეფლითებოდა ტკივილისგან. მეგობარმა ისევ მთხოვა მათთან ერთად წასვლა, ამჯერად დავთანხმდი—იქნებ გულს გადავაყოლო..

შავი სასოწარკვეთილების შორის, რომელმაც მთლიანდ მომიცვა ჯერ კიდევ ჩანდა იმედის პატარა სხივი, რომელიც მაშინვე ჩაქრა როცა ბიოლოგიაზე მისულს ცარიელი მერხი დამხვდა.

დღე საშინლად გაიწელა. ფიზკულტურაზე აგვიხსნეს ბადმინტონის თამაშის წესები. ესეიგი მომიწევს ახალი გამოცდა! მაგრამ კარგია რომ დღეს უნდა ვიჯდე და არა ვბორიალობდე კალათბურთის თამაშისას.

სახლში მალე მინდოდა მისვლა, რომ კარგად მეტირა, სანამ წასასვლელად გამომივლიდნენ, მაგრამ გავაღე თუარა კარები, ჯესიკამ დარეკა: შოპინგი გაუქმებულია. მაიკმა სადილზე დაპატიჟა! როგორც იქნა ყველაფერი გაიგო! შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ ვიშიშობ, რომ ჩემს ხმაში არ ისმოდა საკმარისი სიხარული და აღფრთოვანება. ჯესიკამ მითხრა, რომ პორტ-ანჯელესში ხვალ წავიდოდით.

ეხლა რა ვაკეთო? თევზი დაახლოებით თხუთმეტი წუთი და მზადაა, სალათი კი გუშინ მოგვრჩა. გადავწყვიტე მემეცადინა, მაგრამ ელექტრონულ ფოსტაში უამრავი წერილი აღმოვაჩინე, ისინი დედასგან იყო, რომელთა ტონი უფრო და უფრო იწევდა თითოეული წერილის შემდეგ. მე კი მოკლედ მივწერე:

,, დედა! მაპატიე რომ დიდი ხანია არ მომიწერია. მეგობრებთან ერთად პლაჟზე ვიყავი, კვირას კი თხზულებას ვწერდი. დღეს ფოკსში სინათლე და მზეა. ვიცი-ვიცი, მე თვითონაც გაოცებული ვარ! უფრო მეტს ვსეირნობ რომ ვიტამინი A მივიღო. გკოცნი. ბელა“

იქნებ რამე წამეკითხა? თან არც ისე ბევრი წიგნი წამომიღია, ყველაზე დიდი ჯეინ ოსტინის ნაწარმოებების კრებული იყო. ავიღე წიგნი და უკან ეზოში გავედი, თან ძველი პლედი წავიღე. ჩარლის

MYTOPBOOK.ORG

ეზო ძალიან პატარა და კვადრატის ფორმის იყო, რამდენიც არ უნდა ენათებინა მზეს ის მაინც ყოველთვის ნოტიოდ რჩებოდა. პლედი ორად მოვკეცე და წამოვწექი, გადავშალე წიგნი, უნდა ამერჩია რომანი რომელიც თავდავიწყებაში მომისროლიდა. ყველაზე მეტად „სიამაყე და გაფრთხილება“ და „გრძნობა და მგრძნობიარობა“ მომეწონა. მესამე თავამდე მივედი, როცა გამახსენდა რომ მთავარ გმირს ედვარდი ერქვა. დაბნეულმა „მენსფილდ-პარკი“გადავშალე იქაც მთავარ გმირს ედმუნდი ერქვა, ეს კი ერთი და იგივეა. საოცარია—მეთვრამეტე საუკუნეში ამ სახელის გარდა სხვა არ არსებობდა?

წიგნი მოვისროლე და ზურგზე დავწექი, — ვეცადე არაფერზე მეფიქრა და დავმტკბარიყავი მზს სხივებით, რომლებიც კანზე მეალერსებოდნენ. ქარით მონაქროლი თმები სახეზე მეთმაშებოდნენ, ისინი ავიკარი, თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, თუ როგორ ცურაობდნენ მზის სხივებში ჩემი ღაწვები, ცხვირი,თვალები, ყელი, მხრები. ეხლა მე ვდნებოდი როგორც ირისის კანფეტი...

და უცებ ხმა შემომესმა წინა ეზოს მხრიდან. წამოვჯექი და მხოლოდ ახლა მივხვდი რომ მზე ჩასულა. გამოდის საათნახევარია უკვე მძინავს, საშინლად დაბნეულმა გავიგე რომ ეზოში ვიღაც იყო.

— ჩარლი?— დაბალ ხმაზე დავიძახე მე, წამის შემდეგ კი გავიგონე მისი მანქანის კარის ხმა.

საკუთარ თავზე გაბრაზებულმა, ფეხზე წამოვდექი, ავიღე წიგნი და ნოტიო პლედი. შემოსასვლელში ჩარლი დამხვდა— გამახსენდა რომ თევზი არ მომიმზადებია.

—მაპატიე მამა, ვახშამი ჯერ მზად არ არის, ეზოში ჩამეძინა.

—არაუშავს,—დამაწყნარა მან.— ისედაც მინდოდა ბეისბოლის მატჩის ყურება.

MYTOPBOOK.ORG

როგორც კი ჩარლი ტელევიზორს მიუჯდა, შევვარდი სამზარეულოში, პლედი სარეცხ მანქანაში შევაგდე. გადმოვიღე თევზის ფილე და ტაფაზე ზეთი დავასხი. კარგია რომ მამამ თევზი პატარა ნაჭრებად დაჭრა, —ისინი ძალიან მალე იწვებოდნენ.

ვახშმის შემდეგ არ ვიცოდი უსაქმურობისგან რა მეკეთებინა, ამიტომ ტელევიზორს მივუჯექი. ჩარლიმ თავისი ბეისბოლის მატჩი ჩემი გულისთვის გაწირა და რაღაც უაზრო სერიალზე გადართო. კმაყოფლი იყო იმით, რომ ჩვენ ერთად ვიჯექით ტელევიზორთან, მე კი მიხაროდა რომ შევძელი მესიამოვნებინა მისთვის.

—მამა,— დავიწყე მე რეკლამის დროს,—ანჯელა და ჯესიკა ხვალ პორტ-ანჯელესში აპირებენ წასვლას. მათ უნდათ საღამოს კაბების არჩევა და მთხოვენ მათთან ერთად წავიდე. შეიძლება?

—ჯესკა სტენლი?—მკაცრად ჩამეკითხა მან.

—კი, და ანჯელა ვებერი, —ამოვისუნთქე მე.

—ხო მგრამ შენ ხომ არ მიდიხარ ცეკვებზე?

—მათ უნდათ რომ დავეხმარო კაბის არჩევაში...იცი მეგობრული რჩევა და კონსტრუქტიული კრიტიკა არასოდესაა ცუდი.

ქალისთვის ამდენი რამის ახსნა არ მომიწევდა!

—კარგი,—მითხრა ჩარლიმ, რომელსაც სულ არ აინტერესებდა ქალური საოცრებები.—ხო მაგრამ ზეგ ხომ სკოლა გაქვს?—მკაცრი ტონით დაამატა მან.

—ჩვენ წავალთ გაკვეთილების შემდეგ და შევეცდებით რაც შეიძლება მალე დავბრუნდეთ. ხომ შეძლებ უჩემოდ ისადილო?

—ბელზ მე ჩემთვის ვამზადებდი სადილს მთელი ჩვიდმეტი წელი!—შემახსენა მამამ.

MYTOPBOOK.ORG

—არვიცი როგორ გადარჩი —ჩავიბუტბუტე მე და მერე ხმამაღლა დავამატე:—სენდვიჩებს გავაკეთებ და მაცივარში დაგიტოვებ კარგი?

ჩარლიმ კმაყოფილმა დამიქნია თავი.

მეორე დილაც საკმაოდ ნათელი იყო. კარგ ხასიათზე გავიღვიძე და მეორე მზიანი დღის ხათრით მუქი ლურჯი ბლუზი ჩავიცვი, სამკუთხედი გულით, რომელსაც ფენიქსში ყველზე ცივ ამინდში—შუა ზამთარში ვიცმევდი.

სკოლაში ზუსტად ზარს მივუსწარი. სადგომთან ვტრიალებდი და ვეძებდი თავისუფალ ადგილს. ახლა რომ უცებ ვერცხლისფერი „ვოლვო“ დავინახო! მაგრამ ის არ ჩანდა... ძლივს ვიპოვე ადგილი ბოლო რიგში და გავიქეცი ინგლისურზე. სულში კი კატები მკაწრავდნენ.

როგორც გუშინ, დღესაც იმედი სუსტ ენძელასავით მეზრდებოდა გულში მანამ სანამ ბუფეტში მათი ცარიელი მაგიდა არ დავინახე და ბიოლოგიაზე —ცარიელი მერხი.

საყიდლებზე წასვლის გეგმა ძალაში დარჩა, ოღონდ ლორენმა გადაიფიქრა. ჩემთვის უკეთესი! თან აუცილებლად მჭირდება აქედან წასვლა, ისედაც ყოველ წამს ვიხედები ირგვლივ იმის იმედით, რომ დავინახავ ჩემთვის ძვირფას სახეს. შევეცდები ვიყო მხიარული და მეგობრებს ხასიათი არ გავუფუჭო. ისედაც არ მაწყენდა გარდერობის განახლება. ის რომ სიეტლში მარტო მომიწევდა წასვლა, ფიქრიც არ მსურდა. არა, ედვარდს თუ გეგმები შეეცვლება აუცილებლად გამაგებინებს.

გაკვეთილების შემდეგ ჯესიკა ჩემთან წამოვიდა, მე კი პიკაპი ჩარლის ეზოში დავტოვე. შევირბინე სახლში, გავისწორე თმები, ჩარლის წერილი დავუტოვე რომ სენდვიჩები მაცივარშია. საფულე სკოლის ჩანთიდან ელეგანტურ ჩანთაში გადავიტანე.

MYTOPBOOK.ORG

შემდეგ კი ჯესიკას ძველი „ფორდით“ ანჯელასაც გავუარეთ. როდესაც აღმოჩნდა, რომ ფორქსს გავცილდით, სხეულის ყველა უჯრედით მოვეშვი.

თავი მერვე

პორტ-ანჯელესი

ჯესი მანქანას ჩარლიზე ჩქარა ატარებდა, ამიტომ ოთხისთვის უკვე პორტ-ანჯელესში ვიყავით. დიდი ხანია არსად გამისეირნია მეგობრებთან ერთად, ამიტომ დამავიწყდა კიდეც ეს როგორ ხდება. მე და ანჯელა როკს ვუსმენდით, ჯესიკა კი როგორც ყოველთვის ბიჭებზე და ჩვენს კამპანიაზე საუბრობდა. სადილმა მაიკთან ერთად მშვენივრად ჩაიარა, ასე რომ ის უკვე ფიქრობდა რომ შაბათისთვის საქმე პირველ კოცნამდეც მივიდოდა. მე ჩუმად მეღიმებოდა და მიხაროდა, რომ მაიკმა ეს მოახერხა. ანჯელასაც ძალიან უხაროდა ცეკვების მოახლოვება, მიუხედავად იმისა რომ ერიკი განსაკუთრებით არ იყო მისით დაინტერესებული.

ჯესმა დაიწყო იმაზე თუ როგორი ტიპი მამაკაცები მოსწონს, აქ კი ჩავერიე და ვიკითხე, კონკრეტულად რის ყიდვას აპირებდნენ. ანჯელამ უდიდესი მადლიერებით შემომხედა.

პორტ-ანჯელესი ნამდვილი მექა იყო ტურისტებისთვის—ბევრად მომხიბვლელი და ლამაზი. გოგონები შესანიშნავად ორიენტირებდნენ ქალაქში და დროსაც უაზროდ არ ხარჯავდნენ. ჯესიკამ უცებ მიაგნო უზარმაზარ მაღაზიას.

თუ კი მოსაწვევ ბილეთებს დავუჯერებდით, ისინი ცეკვებზე ნახევრად ფორმალურ ტუალეტებში უნდა გამოცხადებულიყვნენ, არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცოდით ეს რას ნიშნავდა. ჯესიკამ და ანჯელამ უარი თქვეს დაეჯერებინათ, რომ მე არასოდეს არ ვყფილვარ ცეკვებზე.

—ნუთუ შეყვარებული არასოდეს გყოლია?—გაოცებით მკითხა ჯესიკამ, მაღაზიაში შესვლისას.

—ჰო ეგრეა.—შევეცადე დამეჯერებინა ის. ხომ არ ვეტყოდი ცეკვა არ ვიცითქო!— არასდროს არავის შევხვედრივარ, თუმცა ხო ვყოფილვარ „ნახევარ-პაემანზეც “

MYTOPBOOK.ORG

— ეგ რაღაა?—ინტერესით იკითხა ანჯელამ.

—ეს მაშინ როცა ერთი ბიჭი და ორი გოგო ხვდება. მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ რომელი ჩვენგანი მოვწონდით იმ ბიჭს,—გამეცინა იმის გახსენებაზე, თუ როგორ წავედით მე და ლესლი კინოში დევიდ ფოლლეტთან ერთად.

—და რატომ აღარ დადიხარ პაემნებზე?— აგრძელებდა ჩაძიებას ჯესიკა.

—არავინ არ მპატიჟებს—გულახდილად ვუპასუხე. მაგრამ ჩემს მეგობარს ვერ მოატყუებ!

—შენ აქ დაგპატიჟეს, მაგრამ უარი თქვი.

ჩვენ ახალგაზრდულ სექციაში ვიყავით და საღამოს კაბებს ვეძებდით.

—ყველას უთხრა უარი ტაილერის გარდა—შეუსწორა ანჯელამ.

—რაზე ამბობ?!—შიშით ვიკითხე.

—ტაილერი ყველას უყვება რომ ცეკვებზე შენთან ერთად მიდის.—გამომცდელად შემომხედა ჯესიკამ.

—ტაილერმა როგორ თქვა?

—ხომ გითხარი იტყუება-თქო,—ჩაილაპარაკა ანჯელამ.

მე ვდუმდი, მაგრამ ვგრძნობდი როგორ მერეოდა სიბრაზე. ბოლოს და ბოლოს მივაგენით კაბების სექციას. ესეიგი სხვა რამეზე საუბრის დროც მოვიდა.

—მაგიტომაც ვერ გიტანს ლორანი,—ჩაიხითხითა ჯესიკამ, თან აბრეშუმის კაბას ათვალიერებდა.

— კარგი იქნებოდა ტაილერზე ჩემი პიკაპით გადამეარა, ნეტა მაშინ თუ გაჩუმდება?

—ალბათ—გაეცინა ჯესს.

მართალია ბევრი კაბა არ იყო, მაგრამ თითოეულმა ხუთი-ექვსი წაიღო გასახდელში. მე კი კომფორტულ სავარძელში მოვთავსდი, სარკეებს შორის. ვცდილობდი როგორმე სიბრაზე ჩამეცხრო.

MYTOPBOOK.ORG

ჯესმა ორი კაბა აირჩია: ერთი შავი, გრძელი და მეორე ლურჯი, მუხლამდე, ღრმა მკერდით. მე ლურჯი ვურჩიე—კარგი იქნება, თვალი ფერს გამოკვეთავს. ანჯელამ კი წელზე ამოჭრილი კრემსიფერი კაბა აარჩია,რომელიც ძალიან უხდებოდა მის ყავისფერ თმებს. მე მათ მივულოცე იღბლიანი არჩევანი და დანარჩენი კაბების ადგილზე და დაწყობაში დავეხმარე.

ამის შემდეგ ფეხსაცმელზე და აქსესუარბზე გავიარეთ. ისინი იზომავდნენ, მე კი რჩევას ვაძლევდი. მე თვითონ არფერი ამირჩევია, თუმცა ახალი ფეხსაცმელი არ მაწყენდა, მაგრამ ტაილერის გამო კარგი განწყობა დავკარგე.

—ანჯელა,— ვუთხარ მეგობარს, ის ვარდიფერ ფეხსაცმელს იზომავდა მაღალ ქუსლზე. ერიკი საკმაოდ მაღალი იყო, ამტიმ ანჯის უხაროდა, რომ შეეძლო მაღლები ჩაეცვა. ჯესიკა ბიჟუტერიისთვის გაიქცა, ასე რომ ჩვენ მარტონი დავრჩით.

—ხო?—თავის ფეხებს დახედა.

—შესანიშნავად გამოიყურებიან—დავიწყე მე შორიდან.

—ალბათ ავიღებ, მართალია ისინი მხოლოდ ახალ კაბას უხდებიან.

—რათქმაუნდა აიღე, ისინი ხომ ფასდაკლებითაა!—წამოვიყვირე მე.

გაიღიმა და თავი დაახურა უფრო პრაქტიკულ თეთრ ფეხსაცმელს.

—ანჯელა... —ისევ დავიწყე.—მითხარი კალენები ხშირად აცდენენ ასე სკოლას?

შევეცადე რაც შეიძლება გულგრილად მეკითხა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

—კი, კარგ ამინდში ისინი ყოველთვის გადიან ოჯახთან ერთად ბუნებაში, როგორც ჩანს მათ მოსწონთ აქტიური დასვენება.—ხმადაბლა მითხრა მეგობარმა, მას ერთი კითხვაც კი არ დაუსვამს და ჯესიკა? ალბათ არ მომასვენებდა სანამ არ გაიგებდა, რით არის გამოწვეული ჩემი ინტერესი!

—გასაგებია.

მეტი, ვერაფრის გარკვევა მოვასწარი, რადგან ჯესი დაბრუნდა რომელმაც შეარჩია მთის ბროლის კომპლექტი, რომელიც მის ვერცხლისფერ ფეხსაცმელს მოუხდებოდა .

MYTOPBOOK.ORG

ამის შემდეგ გადავწყვიტეთ გვესადილა პატარა იტალიურ რესტორანში, მაგრამ საყიდლებმა იმაზე ნაკლები დრო წაიღეს ვიდრე ვფიქრობდით. მათ ნაყიდი მანქანაში ჩააწყვეს, შემდეგ კი გასეირნება გადაწყვიტეს. რადგანაც წიგნის მაღაზიაში მინდოდა შემევლო, შევთანხმდით რომ ერთ საათში რესტორანში შევხვდებოდით. მათ წამოყოლა შემომთავაზეს, მაგრმ ვუთხარი რომ არ ღირდა. ისინი მანქანისკენ გაეშურნენ, მე კი უახლოესი მაღაზიისკენ წავედი.

მაღაზია მალე ვიპოვე. მაგრამ ის არ აღმოჩნდა რასაც ვეძებდი. ვიტრინებში რაღაც სუვენირები ეწყო. წიგნები თილისმებზე და ამგვარ რამეებზე იყო, ამიტომ აღარც შევსულვარ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დავინახე ორმოცდაათწლამდე ქალი,გრძელი თეთრი თმებითა და შავი მოსასხამით. მან გამიღიმა, მე კი უცბად გავშორდი. ხომ უნდა იყოს ერთი ნორმალური მაღაზია მაინც!

მე დავდიოდი ქუჩებში, ირგვლივ კი დიდად არ ვიხედებოდი. იმის იმედით რომ ცენტრს მივაგნებდი. გავყევი მანქანების დიდ ნაკადს. შავი მღელვარება შემომაწვა. ვცდილობდი მასზე არ მეფიქრა, თანც ანჯელამ ხომ მითხრა... საშინელი იმედგაცრუება, ვცდილობდი დამევიწყებინა შაბათის გეგმები. მაგრამ, როცა მანქანებს შორის დავინახავდი ვერცხლისფერ „ოლვოს " საკუთარ თავს ვეღაღაფერს ვუხერხებდი და ვფიქრობდი, ვფიქრობდი, ვფიქრობდი... ჯანდაბას ვამპირები,მე მასზე ვგჟიდები!

მივდიოდი სამხრეთ მიმართულებით მაღაზიებისკენ, მაგრამ აღმოჩნდა რომ იქ რემონტი მიმდინარეობდა, მეორე კი სულაც ცარიელი იყო. მეგობრებთან შეხვედრამდე, ჯერ კიდევ დიდი დროა, ამიტომ ჯობს დავალაგო ჩემი აზრები და თავი ხელში ავიყვანო! თმები მექანიკურად გავისწორე, ამოვისუნთქე და კუთხეში შევუხვიე.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ არასწორად მივდივარ. მანქანები შემცირდნენ–თითქმის ყველანი ჩრდილოეთისკენ მოძრაობდნენ. მაღაზიების მაგივრად კი საწყობები გამოჩნდნენ.გადავწყვიტე აღმოსავლეთით შევბრუნებულიყავი და მეპოვა ქუჩა, რომელიც ცენტრისკენ წამიყვანდა.

გზაში ოთხი ახალგაზრდა შემხვდა. ტანზე ზედმეტად არფორმალურად ეცვათ იმისთვის რომ ოფისიდან წამოსულები ყოფილიყვნენ და ზედმეტად ბინძურები, რომ ტურისტები ყოფილიყვნენ. ბიჭები ხმამაღლა იცინოდნენ და ერთმანეთს ხელს კრავდნენ. მე კედელს ავეკარი მათ რომ ვერ შევემჩნიე და შემდეგ ჩქარა გავეცალე იქაურობას.

MYTOPBOOK.ORG

—ეი შენ!—დამიძახა ერთ-ერთმა.

ირგვლივ სხვა არვინ იყო, გამოდის მე მეძახიან. დაბნეულმა ავწიე თვალები, ორნი გვერდით მომყვებოდნენ, ორნიც—მოშორებით. ყველაზე ახლოს, ოც წლამდე, ბინძურ მაისურიანი და დახეულ ჯინსებიანი ბიჭი იყო. ის ჩემკენ მოდიოდა.

—გამარჯობა!—ვთქვი მე მექანიკურად, და იქვე კუთხაში შევუხვიე, უკან ბოროტი ხითხითი მომესმა.

—მოიცადე!— დამიძახა ისევ ერთ-ერთმა, მაგრამ მე თავდახრილი მივდიოდი.

ასე რომ, მე აღმოვჩნდი პორტ-ანჯელესის რაიონში, რომელსაც ტურისტებს ნამდვილად არ ათვალიერებიებენ ხოლმე. დასავლეთით უკვე მზე ჩასულიყო, ქურთუკი მანქანაში დამრჩა და რომ გავმთბარიყავი ხელები მკერდზე გადავიჯვარედინე. ცა უკვე მუქდებოდა.

შეშინებულმა მიმოვიხედე და ორი ბიჭი დავინახე, რომლებიც ხუთი მეტრით იყვნენ დაშორებულები ჩემგან.

ბიჭები წეღანდელი კამპანიიდან იყვნენ. ფეხს ავუჩქარე , კანკალმა ამიტანა, მაგრამ მივხვდი რომ აქ სიცივე არაფერ შუაში იყო. ჩანთა ისე გადავიკიდე რომ არ მოეპარათ. გაზის პატარა ბალონი, სხვა ჩანთაში დამრჩა, რას ვიფიქრებდი ასე თუ დამჭირდებოდა. თან არც ისე ბევრი ფული მაქვს, დაახლოებით ოცდახუთი დოლარი, ხომ არ ჯობს „შემთხვევით " დამივარდეს ჩანთა და გზა გავაგრძელო, მაგრამ რაღაც მკარნახობდა, რომ მათ ფული სულაც არ უნდოდათ.

მთლიანად სმენად გადავიქეცი, ბიჭები უკვე არც იცინოდნენ და არც ხმაურობდნენ— „ღრმად ისუნთქე!—საკუთარ თავს ვაწყნარებდი—შეიძლება შენ სულ არ მოგყვებიან! " ჩქარა მივდიოდი,და ძლივს ვითმენდი არ გავქცეულიყავი. რამდენიმე მეტრში მარჯვნივ შეიძლება მოვუხვიო. იქვე ლურჯმა მანქანამ გამოიარა, მინოდა გამეჩერებინა და წაყვანა მეთხოვა მძღოლისთვის, მაგრამ ბოლი წამს გადავიფიქრე. იქნებ მე არ მომყვებიან?

კუთხეს რომ მივუახლოვდი აღმოჩნდა— ეს ჩიხი იყო. მე კი ისეთი სახე მივიღე თითქოს სულაც არ გამკვირვებია.შემდეგ მოსახვევში ქუჩა მთავრდებოდა.ბოლო სახლთან „აგური " ეკიდა—რაც იმას ნიშნავს რომ პერპენდიკულარულ ქუჩაზე მოძრაობა აკრძალულია. გადავწყვიტე ჩქარა მევლო ან გავქცეულიყავი. მით უმეტეს რომ ისინი ცოტათი ჩამომრჩნენ, თუმცა ყოველთვის შეეძლოთ დამწეოდნენ. იმისიც შემეშინდა, რომ თუ გავიქცევი

MYTOPBOOK.ORG

აუცილებლად წამოვკრავ რაღაცას ფეხს და წავიქცევი. კი, ბიჭები მართლაც ჩამომრჩნენ. საბოლოოდ დასაწყნარებლად გადავწყვიტე მიმეხედა. აჰა ჩვენს შორის უკვე ათი მეტრია—შვებით ამოვისუნთქე.

ნუთუ ვერასოდეს ვიპოვი მოსახვევს? წყნარად მივდიოდი, იმის იმედით რომ უკვე ისინი აღარ მომყვებიან. ალბათ მიხვდნენ, რომ შემაშინეს და ახლა ამაზე, ძალიან წუხან.

ორმა მანქანამ გამოიარა, ალბათ უფრო ცოცხალ ადგილისკენ მივდივარ. იქნებ ვინმე შემხვდეს და მიმასწავლოს გზა ნავმისადგომისკენ.

მე გახარებული შემოვტრიალდი კუთხისკენ... და გავშეშდი. სანამ თვალი მიმიწვდებოდა ბეტონის მაღალი კედელი ჩანდა. სადღაც შორს ორი გზაჯვარედინის იქით ჩანდა გაახჩახჩახებული ლამპიონები, მოძრაობდნენ მანქანები და სერნობდნენ გამვლელები. არა, იქამდე მე ვეღარ მივაღწევ, რადგან წინ გალავანი მეღობებოდა, რომელიც მეგობრულად და ფართოდ იღრიჯებოდა.

ასფალტზე ფეხები მიმეყინა, ყველაფერი გავიგე, ისინი კი არ მომზდევდნენ—მახეში გამაბეს.

ერთი წამით შევჩერდი, მაგრამ ის საუკუნედ მომეჩვენა. უცებ შემოვტრიალდი და საპირისპირო მხარეს გავეშურე, თუმცა ვიცოდი რომ ამას აზრი აღარ ქონდა.

ნაბიჯების ხმა უფრო მკვეთრად მომესმა.

—აი სად ყოფილხართ!—დაიძახა ერთ-ერთმა. შევხტი, მაგრამ მივხვდი რომ მე არ მომმართავდა.

—ხო,— თქვა მეორემ—მომიწია ცოტა გასეირნება.

ჩემსა და მათ შორის მანძილი თანდათან მოკლდებოდა. მაღალი ხმა მაქვს, უნდა მეყვირა, მაგრამ ყელი გამიშრა. ალბათ ყვირილის მაგივრად ხრიალი ამომივა ყელიდან. ჩანთა მხარზე გადავიკიდე, რომ ან მათთვის მიმეცა, ანდა თავდაცვისთვის გამომეყენებინა. ამ დროს ერთ-ერთი ჩემკენ წამოვიდა.

—არ მომიახლოვდე!—დავიყვირე მე.

MYTOPBOOK.ORG

—ნუ იქნები აგრესიული, პატარავ.—ჩაისისინა მან. დანარჩენები კი საზიზღრად ხითხითებდნენ.

შევეცადე თავი ხელში ამეყვანა და გამეხსენებინა რაიმე თავდაცვიდან. ესეიგი, შეიძლება ჩაარტყა მუშტი ცხვირში ან თვალში, ან თუნდაც კლასიკური—ამოარტყა ერთ ადგილას. მაგრამ ტვინი მეუბნებოდა რომ ამოდენა ბიჭს ვერ მოვერეოდი, ლაპარაკი ზედმეტია უკვე დანარჩენებზე. „ძალა მოიკრიბე "—ვუბრძანე საკუთარ თავს, ვცდილობდი არ დავნებებოდი პანიკას. არა, ასე უბრალოდ არ დავნებდები! ნერწყვი გადავყლაპე, რომ დამეყვირა რაც შეიძლება ხმამაღლა.

უეცრად დამაბრმავებლად აინთო ფარები, მანქანამ მოუხვია და კინაღამ შეასკდა ჯიუტ გალავანს. მე ხიდისკენ გადავხტი. ამ მანქანას არაფრის გულისთვის არ გამოვტოვებ თვალთახედვიდან! ვერცხლისფერი „ვოლვო " თვითონ გაჩერდა, კარები კი ჩემგან ორი ნაბიჯის მოშორებით გაიღო.

—დაჯექი!—მითხრა გაბრაზებულმა ხმამ.

უცნაურია, მაგრამ როგორც კი წინა სავარძელზე დავჯექი და კარი მოვხურე, შიშმა მაშინვე გამიარა. არა, სიმშვიდის ტალღა უფრო ადრე ჩამეღვარა სხეულში—როცა მისი ხმა გავიგონე. მანქანაში ბნელოდა, ამიტომ ძლივს გავარჩიე ნაცნობი სახე. „ვოლვომ " ფეხით მოსიარულეები შეაშინა და მკვეთრი მოძრაობით ყურეში შეუხვია.

—ღვედი შეიკარი!—მითხრა მან, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მთელი ძალით ვუჭერდი ხელებს სავარძელს. მე მაშინვე შევიკარი — ღვედის ხმა ძლიერად გაისმა სიბნელეში. ჩვენ მივქროდით წინ ისე რომ საგზაო ნიშნებს არ ვაქცევდით ყურადღებას.

თავს ისე კარგად ვგრძნობდი, რომ იმაზე ფიქრი, თუ სად მივდიოდით სულ არ მაწუხებდა. ვუყურებდი ედვარდს უდიდესი შვებით, მაგრამ საქმე მარტო საოცარ გადარჩენაში არ იყო. მისი სახის ყურებით თანდათან უფრო მშვიდდებოდი. უცებ კი შევამჩნიე რომ სახე სიბრაზით ქონდა დაფარული.

—მიბრაზდები?—ვკითხე მე, და გამიკვირდა რა მკაცრად ჟღერს ჩემი ხმა.

—არა—წყენით მიპასუხა მან.

MYTOPBOOK.ORG

მე ასე ვიჯექი და ვაკვირდებიდი მის სახესა და თვალებს, სანამ მანქანა არ გაჩერდა. გარეთ ბნელოდა, ამიტომ გზის პირას ამოსული ხეების სილუეტები გარდა არაფერი ჩანდა. ესეიგი უკვე ქალაქში აღარ ვართ.

—ბელლა,—წყნრად წარმოთქვა ედვარდმა.

—ხო?—ჩავიხრიალე მე.

—ხომ კარგად ხარ?—ის ისევ ცდილობდა არ შემოეხედა, მაგრამ სახეზე მაინც ეტყობოდა, როგორი გაბრაზებულიც იყო.

—კი.

— ძალიან გთხოვ, რაიმე მომიყევი!

—რა ვქნა?—კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

—უბრალოდ ისაუბრე რამე მხიარულზე, სანამ დავწყნარდები—ამიხსნა და დახუჭა თვალები. რის გამო მიბრაზდება ასე?

— ხო,—მე თავს ვიმტვრევდი რამე სასაცილო სისულელე რომ მომეფიქრებინა— ხვალ დილით ტაილერ კროულის ახალ „ნისანს " უნდა გადავუარო.

—რა?—უკმაყოფილოდ მკითხა მან.

—მან ყველასთან იყბედა, რომ ჩემთან ერთად მიდის ცეკვებზე. ვიფიქრე ცოტათი თუ დავეჯახები მის მანქანას, მიხვდებოდა რომ არ მსიამოვნებს. იმედი მაქვს რომ ლორენსაც აღარ შევეხიზღები, როცა გაიგებს რომ ტაილერმა თავი გამანება. არა „ნისანი " ნატეხების გროვად უნდა ვაქციო, მაშინ კი ზუსტად ვიცი აღარ დამპატიჟებს.

— მეც გავიგონე მაგაზე რომ ჭორაობს კროული.—ახლა უკვე წყნარად მითხრა მან.

—გაიგონე?—ვიგრძენი როგორ მერეოდა ბრაზი.—იქნებ ყოველი შემთხვევისთვის გვერდი მაინც მიმეჭეჭყა?

ედვარდმა მძიმედ ამოისუნთქა.

—თუ გინდა შეგიძლია მიყვირო—შევთავაზე მე.

MYTOPBOOK.ORG

—და რატომ უნდა გიყვირო?—მკითხა მან, ისე რომ თვალი საქარე მინისთვის არ მოუცილებია.

—არვიცი. იქნებ უკეთ გახდე.

თავში ათასი კითხვა მიტრიალებდა,მაგრამ ჯობს დროებით გვერდზე გადავდო ისინი—დაველოდო სანამ ედვარდს ბრაზი გაუვლის.

—ჰმმმმ, კარგი რისთვის უნდა გიყვირო? ნუთუ ისევ ირონიით მელაპარაკები?

—რავიცი,—ფრთხილად დავიწყე მე— უნდა დავრჩენილიყავი ჯესიკასთან და ანჯელასთან, ან ყურადღებით უნდა დავკვირვებოდი სად მივდიოდი. და კიდევ ღირდა თან გაზის პატარა ბალონი წამეღო!

— ზუსტად!— როგორც შემომხედა, მისი თვალები დაწყნარებულიყო და ზედმეტადაც კი ანათებდა სიბნელეში.

—ჯერ კიდევ ბრაზობ?

—მე შენზე სულაც არ ვბრაზობ.

—აბა რაშია საქმე?

—ხანდახან ძალიან გამოვდივარ მდგომარეობიდან—ედვარდი ფანჯარაში იყურებოდა—მაგრამ ესეც ვერ მაიძულებს ვინადირო... —მან აღარ დაამთავრა და შებრუნდა, ისევ თავის რისხვას ებრძოდა—ყოველი შემთხვევისთვის მინდა საკუთარი თავი ამაში დავაჯერო.

—ხო,—სრულიად უადგილოდ ვთქვი მე. ჩამოვარდა სიჩუმე. საათს დავხედე—შვიდის ნახევარი.

—ანჯელა და ჯესიკა ინერვიულებენ, ჩვენ უნდა შევხვედრილიყავით.

ედვარდმა სიტყვის უთქმელად აამუშავა ძრავა და უკან ქალაქში დავბრუნდით. რამდენიმე წამში სანაპიროსთან აღმოვჩნდით. ავტო-პარკი გადაჭედილი იყო მაგრამ კალენი პატარა ადგილასაც კოხტად მოთავსდა.

ფანჯარაში გავიხედე და დავინახე აბრა «LA BELLA ITALIAA» .თან ზუსტად მაშინ გამოდიოდნენ ჯესი და ანჯი რესტორნიდან.

MYTOPBOOK.ORG

—როგორ...—დავიწყე მე, მაგრამ ედვარდი მაშინვე გაქრა—ის მანქანიდან გადავიდა—სად მიდიხარ?

— ვახშამზე გპატიჟებ—გამიღიმა და კარი გამომიღო. მე სასწრაფოდ შევიხსენი ღვედი და გადმოვედი მანქანიდან.

—შეაჩერე ჯესიკა და ანჯელა, სანამ ეს მე თვითონ გამიკეთებია,— მითხრა მან.

—ჯესს! ანჯი!—დავიყვირე მე და დავუქნიე ხელი.

გოგონები ჩემსკენ გამოიქცნენ, მაგრამ როცა დაინახეს ჩემს გვერდით ვინ იდგა, შოკის მაგივრად შვება დაეტყოთ სახეზე. ორივენი ჩვენგან ნახევარ მეტრში გაშეშდნენ.

—სად იყავი?—შემომიტია ჯესიკამ.

—გზა ამებნა,—დაბნეულად ვუპასუხე—მერე კი ედვარდს შევხვდი.

—წინააღმდეგი ხომ არ იქნებით რომ შემოგიერთდეთ?–რბილი ხმით წარმოთქვა ედვარდმა.

მეგობრების მონუსხულ სახეებს რომ შევხედე მივხვდი რომ, ადრე არასოდეს განუცდიათ მისი მოჯადოვების ზემოქმედება.

—კი,რათქმაუნდა!—წაიტიტინა ჯესიკამ.

—ისე კი ჩვენ უკვე ვჭამეთ ბელა, სანამ შენ გიცდიდით—აღიარა ანჯელამ— გვაპატიე!

—ყველაფერი რიგზეა, მშიერი არ ვარ—მხრები ავიჩეჩე მე.

—მე მგონი, უნდა ჭამო —ჩუმად, მაგრამ გამოკვეთილად თქვა ედვადმა. შემდეგ ჯესიკას შეხედა და ცოტათი ხმამაღლა უთხრა:—წინააღმდეგი ხომ არა ხარ ბელა თვითონ წავიყვანო სახლში? მაშინ შენ და ანჯელას აღარ მოგიწევდათ ლოდინი.

—ალბათ ასე უკეთესი იქნება...—ტუჩზე იკბნა მან, თან სახეში მიყურებდა, უნდოდა გამოეცნი მინდოდა თუარა დარჩენა.

ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი იამასთან, ვინც უკვე არაერთხელ გადამარჩინა სიკვდილს, ასე რომ ჯესიკას ჩუმად თანხმობა ვანიშნე.

—მაშინ კარგი—თქვა ანჯიმ,რომელიც საოცრად ტაქტიანი იყო—ხვალ შევხვდებით!

MYTOPBOOK.ORG

მან ხელი წაავლო ჯესიკას და მანქანისკენ წაიყვანა, რომელიც იქვე მოჩანდა. მე მათ კვალს გავყურბდი, რომ დავრწმუნებულიყავი,—მეგობრები მშვიდობით ჩასხდნენ „ფორდში “. ჯესმა დამშვიდობების ნიშნად ხელი დამიქნია, წარმომიდგენია რა დღეშია ცნობისმოყვარეობისგან. მანქანა მოსახვევში გაუჩინარდა—მხოლოდ მაშინ გადავწყვიტე ედვარდისკენ შებრუნება.

—მართლა არ მშია,—ვთქვი და ყურადღებით დავაკვირდი მის სახეს.

—პატივი დამდე— მითხრა მან არააპელაციური ტონით და კარი გააღო.

საწინააღმდეგო არფერი მქონდა, ამიტომ მშვიდად შევედი რესტორანში.

სტუმარი ბევრი არ იყო—ტურისტული სეზონი ჯერ არ დაწყებულა. ახალგაზრდა იტალიელი დიასახლისი ედვარდს დაუფარავი ინტერესით უყურებდა. ეს სულაც არ მომეწონა, მით უმეტეს რომ ახალგაზრდა ქალი ბევრად უფრო ლამაზი იყო ჩემზე.

—სუფრა ორისთვის?— ტკბილად იკითხა ქალმა. მან წამით შემომხედა და დაწყნარდა, როცა დაინახა რომ ლამაზმანობამდე ჯერ ბევრი მაკლია, და ედვარდს ხელი არ აქვს ჩაკიდებული ჩემზე. მან აიღო მენიუ და დარბაზის ცენტრში ოთხკაციან მაგიდისკენ გაგვიძღვა.

მე დაჯდომას ვაპირებდი მაგრამ ედვარდმა თავი გააქნია.

— და არ შეიძლება რამე უფრო განმარტოვებული ადგილი?—მან უკვე მოასწრო მისი მოჯადოვება. ნუთუ ქალი უარს ეტყვის?

—რათქმაუნდა,—გაკვირვებით წარმოთქვა იტალიელმა და მიგვიყვანა კუთხში პატარა მაგიდასთან,—მოგწონთ?

—შესანიშნავია—დამაბრმავებლად გაიღიმა მან.

—კარგი,—თავი დააქნია ქალმა — მოეწყვეთ — მან გახარებულმა შემოგვხედა და მსუბუქი ნაბიჯებით წავიდა სამზარეულოსკენ.

—ადამიანებს ასე არ უნდა მოექცე, — ვუთხარი მე — ეს უსამართლობაა.

—მოვექცე როგორ? — ვერ გაიგო მან.

— დააბრმაო და დაატყვევო,— საწყალი ქალი ალბათ სურვილისგან იხრჩობა.

MYTOPBOOK.ORG

ედვარდი შეიშმუშნა

—კარგი ერთი,—გამოვაცხადე მე— თითქოს არ იცოდე როგორ შთაბეჭდილებას ახდენ!

— მე ვაბრმავებ ხალხს?

— და შენ აქამდე არ შეგიმჩნევია? გგონია ყველა ასე ადვილად აღწევს თავისას როგორც შენ?

— შენც გაბრბმავებ და გატყვევებ?— მან იგნორირება გაუკეთა ჩემს კითხვას.

— ხდება ხოლმე,— გამოვტყდი მე, ისე რომ შევეცადე მისთვის არ შემეხედა.

ამ დროს ოფიციანტი მოვიდა, რომელიც დაუფარავი ინტერესით გვიყურებდა. ეჭვგარეშეა დიასახლისმა უკვე მოასწრო მოეყოლა მისთვის, თუ როგორი ლამაზია ახალგაზრდა ბიჭი, და გოგონა არ მოტყუებულა. მან ტკბილად გაიღიმა და თმები გადაიყარა მხრებიდან.

— გამარჯობა მე ემბერი მქვია, მოგიტანოთ რაიმე დასალევად?

არ გამომრჩენია ის რომ, იგი მხოლოდ ედვარდს მიმართავდა.

ედვარდმა შემომხედა.

— მე კოლა.

—მაშინ ორი კოლა.

—ერთ წუთში,— გაიღიმა გოგონამ, მაგრამ ედვარდს ის არც კი შეუმჩნევია.

— შენ რა?— ვკითხე მე როგორც კი ოფიციანტი წავიდა.

— თავს როგორ გრძნობ?— დაინტერესდა ის დაძაბული ხმით.

— შესანიშნავად,— რატომ ნერვიულობს ასე?—— იქნებ გცივა, გეშინია ან თავბრუ გეხვევა?

— უნდა მეხვეოდეს?— ედვარდმა ჩაიცინა.

—რავიცი, ნებისმიერი გოგონა შოკში იქნებოდა იმისგან რაც მოხდა.

— ვშიშობ ასეთ რამეს, ჩემგან ვერ დაინახავ. ზედმეტად ხშირად მხდება სხვადასხვა თავგადასავლები.

MYTOPBOOK.ORG

— ყოველი შემთხვევისთვის უფრო წყნარად ვიქნები თუკი შეჭამ.

ოფიციანტმა კოლები და პურის ორცხობილებით სავსე კალათა მოიტანა.

— მზად ხართ შეუკვეთოთ?— შეეკითხა ედვარდს და ზურგი შემაქცია.

—ბელლა?

გოგონამ ძალით შემომხედა.

—ჰმმმ... სოკოს როვიული. — დავასახლე კერძი, რომელიც პირველად მომხვდა თვალში.

— და თქვენ?— ალერსით იკითხა გოგონამ.

— გმადლობ, არ მშია,— თავაზიანად გაიღიმა ედვარდმა. როგორ არ შია?!

— გამაგებინეთ თუკი გადაიფიქრებთ, — კეკლუცად გაიღიმა მან, მაგრამ ედვარდს ზედაც არ შეუხედავს, ამიტომ გოგონა აშკარად ნაწყენი წავიდა.

—დალიე კოლა!— მიბრძანა მან.

ერთი ყლუპი მოვსვი და მერე მივხვდი რომ თურმე ყელი მაქვს გამშრალი წყურვილისაგან, ასე რომ მაშინვე დავცალე ჭიქა. ედვარდმა თავისი გამომიწია.

— გმადლობ, —ვუთხარი მე და გამაჟრჟოლა, ვიგრძენი როგორ ჩავიდა ცივი სითხე სხეულში.

— შეგცივდა?

— არაფერია, კოლას გამო გამჟრჟოლა, — ოდნავი კანკალით ვუთხარი მე.

— შენი ქურთუკი სად არის?

— ღმერთო, ჯესიკას მანქანაში დამრჩა!

ედვარდმა გაიძრო პიჯაკი. როგორ ვერ მივაქციე ყურადღება აქამდე მის ტანსაცმელს? მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ხაკისფერი ტყავის პიჯაკის შიგნით სპილოს ძვლისფერი ზედა ეცვა, რომელიც მომხიბვლელად ეფინა მკერდზე.

MYTOPBOOK.ORG

მან მომაწოდა პიჯაკი.

— გმადლობ,— ისევ ვთქვი მე და ხელი სახელოებში გავუყარე. ტყავი ძალიან ცივი ღმოჩნდა, ჩემი ქურთუკებიც ასეთი იყო ხოლმე, როცა ღამით გარეთ მრჩებოდა. სამაგიეროდ როგორი სუნი ასდიოდა! მე ღრმად ჩავისუნთქე, რომ გამეგო რისი სუნი იყო. პარფიუმი ნამდვილად არ არის! სახელოები ძალიან გრძელი აღმოჩნდა, ამიტომ გადავიკეცე.

— მკვდარივითა ხარ გაფითრებული — მითხრა ედვარდმა და ორცხობილებიანი კალათა გამომიწოდა.

— ყველაფერი რიგზეა და არაფრის არ მეშინია!

— მერე? ნებისმიერი ნორმალური ადამიანი შენს ადგილას ცუდად იქნებოდა, შენ კი რაღაც უცნაური ხარ!— მისი თვალები ასეთი ნათელი არასოდეს მინახავს, ისინი ყვითელი ქვიშის ფერი იყვნენ— როგორც კალიფორნიის პლაჟზე.

— მე მშვიდად ვარ , როცა ჩემს გვერდით ხარ.— ის მოიღუშა და თავი გადააქნია.

— ყველაფერი უფრო რთულადაა, ვიდრე მეგონა.

მისთვის თვალი არ მომიცილებია, ისე ავიღე პურის ორცხობილა .

—როცა კარგ ხასიათზე ხარ, ნათელი თვალები გაქვს,— მინდოდა მძიმე ფიქრებისგან გამომეყვანა.

— რა? —მკითხა გაოცებულმა.

— ხოლო როცა ისინი შავია, შენთან მოახლოვება არც ღირს... ეს ასეთი თეორიაა.

— კიდევ არის? —— ოქროსფერი თვალები დაწვრილდნენ.

— მმმ..—მე მოვკბიჩე ორცხობილა, თითქოს სულ არ მაინტერესებს რაზე ამბობს.

— იმედია ამჯერად უფრო საინტერესო მოიფიქრე რამე, თუ ისევ კომიქსებს კითხულობ? — მან გაიღიმა, მაგრამ თვალები დაძაბული ქონდა.

—არა ამჯერად ინფორმაცია სხვა წყაროსგან მივიღე —სხვათაშორის ვუთხარი მე.

— და რა გაიგე?

MYTOPBOOK.ORG

აქ კი ემბერმა როვიულები მოიტანა. საუბრისას ერთმანეთისკენ ვიყავით გადახრილები, მისი გამოჩენისას კი გავსწორდით. გოგონამ თეფში წინ დამიდო და მაშინვე ედვარდისკენ შებრუნდა.

—არ მოგიფიქრებიათ? — იმედით იკითხა მან— შემიძლია რამეთი დაგეხმაროთ?

—არა გმადლობთ! ისე, კიდევ ორი კოლა მოიტანეთ,— ლამაზი თეთრი ხელით ცარიელ ჭიქებზე ანიშნა.

— რათქმაუნდა!— გაუხარდა გოგონას და მაშინვე სამზარეულოში გაქრა.

— აბა, რა თეორიაა? — მკითხა ედვადმა.

— მანქანაში გეტყვი.თუ კი რათქმაუნდა...— ენა დამება.

— იქნება რაღაც წინაპირობები?

— მაქვს კითხვები...

— ნუთუ?

გოგნა მოვიდა, დადგა კოლა და მაშინვე წავიდა. მე უცებ დავლიე.

— რატომ ჩამოდი პორტ-ანჯელესში? — მგონი უწყინარი კითხვა დავსვი.

ედვარდმა ხელები გადაიჯვარედინა და მაგიდას მიაშტერდა. მან ჩუმად გამომხედა, მის თვალებში ღიმილი ჩანდა.

— შემდეგი კითხვა,— ჩაეღიმა მას.

— შენ არ მიპასუხე! — გავიბღვირე მე

— შემდეგი!

გაგრძელების სურვილი დამეკარგა, ამიტომ ავიღე ჩანგალი— როვიული გემრიელი აღმოჩნდა.

— ხო, კარგი —გადავყლაპე კოლა და გავაგრძელე— დავუშვათ, სუფთა ჰიპოთეთიკურად, რომ ვიღაცას შეუძლია აზრების წაკითხვა , იშვიათი გამონაკლისის გარდა.

MYTOPBOOK.ORG

— მხოლოდ ერთადერთის— შემისწორა მან— ჰიპოთეთიკური!

—კარგი თუნდაც ერთადერთის —მომეწონა რომ ედვარდიც ჩაერია, ასე რომ წყნარად გავაგრძელე–- ეს როგორ გამოდის? რით აიხსნება ეს გამონაკლისი? როგორ შეუძლია ამ ვიღაცას იპოვოს ადამიანი საჭირო დროს, საჭირო ადგილას?

— ჰიპოთეთიკურად? — გააგრძელა ედვარდმა.

— რეალურად, პრაქტიკულად.

— მაგრამ თუ ეს ვიღაც...

— მოდი ზოგადად მას დავარქვათ ჯო,— შევთავაზე მე.

__ კარგი. და ეს ჯო იმდენად ყურადღებიანია რომ ყოველთვის ყველგან ასწრებს. — ედვარდმა თვალები გადაატრიალა

— ასეთ პატარა ქალაქში მხოლოდ შენ ვარდები საფრთხეში. ალბათ მალე ფორქსის ბოლო ათი წლის კრიმინალურ სტატისტიკას გააფუჭებ!

—მოდი ნუ გადავალთ პირადულზე— გაყინული ტონით ვუთხარი მე.

ედვარდს გაეცინა.

— ხო კარგი. და მოდი მაშინ შენ ჯეინი დაგარქვათ.

— როგორ მიხვდი რომ აქ ვიყავი? — ვეღარ მოვითმინე და ისევ შევუტიე მე.

ის ყოყმანობდა, თითქოს ფიქრობდა, ღირდა თუარა ეთქვა ჩემთვის სიმართლე.

— მომისმინე, შეგიძლია მენდო.. — დავიჩურჩულე მე.

— არც კი ვიცი მაქვს თუარა არჩევანი, — მისი ხმა ჩურჩულში გადაიზარდა — მე ვცდებოდი, შენ ბევრად უფრო დაკვირვებული ხარ, ვიდრე მეგონა.

— მე კი მეგონა, რომ შენ არასოდეს ცდებოდი!

MYTOPBOOK.ORG

—ადრე ასეც იყო, — თავი გადააქნია ედვარდმა — მაგრამ მე მარტო ამაში არ შევმცდარვარ. შენ ყველა უსიამოვნებას საკუთარი თავისკენ იზიდავ. თუ კი ათი მილის რადიუსში რამე საფრთხეა, აუცილებლად მიიზიდავ.

— შენ შენ თავსაც საფრთხედ მიიჩნევ?

— რათქმაუნდა!— მისი სახე უცებ ცივი და არაფრის მეტყველი გახადა.

მე ისევ გადავიხარე, ყურადრება არ მიმიქცევია მისი რეაქციისთვის ისე შევეხე თითის წვერებით მის ხელს, რომელიც ისეთივე ცივი და მყარი იყო როგორც ქვა.

— გმადლობ რომ უკვე მეორედ გადაარჩინე ჩემი სიცოცხლე. მშვენიერი სახის გამომეტყველება ცოტათი შერბილდა.

— მოდი, მესამე აღარ გვინდა კარგი?

მოვიღუშე, მაგრამ თავი დავუქნიე. ედვარდმა უცებ გაწია ხელი.

— მე ჯესიკას „ფორდს " თან გავყევი პორტ-ანჯელეში — აღიარა მან, — აქამდე არასოდეს მიცდია სხვისი სიცოცხლის გდარჩენა, ეს კი უფრო რთულია ვიდრე მე მივიჩნევდი. ალბათ საქმე შენშია. ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში ნაკლები უსიამოვნება ხდება.

თავისთავდ უხერხულობა უნდა მეგრძნო რომ ის მე მითვალთვალებდა, მაგრამ პირიქით— ამის გაგება ძალიან მესიამოვნა! ტუჩები ჩემდა უნებურად მეღიმებოდნენ.

—და შენ არ ფიქრობ რომ, იმ დღეს სიკვდილი მეწერა ტაილერის ფურგონის ქვეშ და რომ შენ ღმეთის როლი შეასრულე, რომელმაც ჩემი ბედი შეცვალა... — ვკითხე ჩაფიქრებულმა.

— მიჭირს მიჩვევა, — ძლივს გასაგონად თქვა ედვარდმა, მე კი გაკვირვებით შევხედე. — მე შენს ბედში იმ წამიდან ჩავერიე, როცა პირველად დაგინახე.

ამ სიტყვებმა იმ დღეს დამაბრუნა, როდესაც არც კი ვიცი რატომ, ედვარდი მთელი სიძულვილით მიყურებდა. მაგრამ ეს სევდა და წუხილი მალევე გაქრა, ის სიხარულმა და სიმშვიდემ შეცვალა,—რომელსაც მე მასთან ყოფნის დროს განვიცდიდი. როცა ედვარდმა შემომხედა ჩემს თვალებში აღარ იყო შიში .

MYTOPBOOK.ORG

—გახსოვს?— ჩუმად მკითხა მან.

— კი, — წყნარად ვუპასუხე მე.

— მაგრამ რადგანაც ახლა შენ აქ ხარ, გამოდის ეს არ გაგაჩერებს.

— ხო, აქ მე შენი წყალობით ვარ. როგორ მიპოვე?

მე ვიმედოვნებდი, რომ ედვარდი მიპასუხებდა. ის ისე მიყურებდა თითქოს ფიქრობდა ღირს თუარა გულახდილობა.

— ჭამე, მე მოგიყვები.

მე მაშინვე ავიღე ჩანგალი და სწრაფად დავიწყე ჭამა.

— შენი თვალ–თვალი ადვილი საქმე ნამდვილად არაა, საერთოდ ხალხს ადვილად ვაგნებ მათი აზრების მიხედვით.— მან მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა

— მე ჯესიკას აზრებს ვკლითხულობდი, მაგრამ გამომრჩა ის მომენტი როცა თქვენ დაშორდით. მეგობრებთან რომ ვერ გნახე, წიგნების მაღაზიისკენ გავეშურე. იქ შენ არ შესულხარ, — მაშინ მივხვდი რომ გზა აგებნა. მთელ ქალაქში ვიტრიალე, ხალხის აზრებს ვკითხულობდი, იმის იმედით რომ რაიმეს გავიგებდი შენზე. რაიმე კონკრეტული მიზეზით სანერვიულოდ არ მქონდა, მაგრამ რაღაცის გამო თავი კარგად ვერ ვიგრძენი...— ედვარდი უცებ გაჩუმდა, თვალი უსასრულობას გაუშტერა, — მე ისევ დავდიოდი ქუჩებში და ვისმენდი. მზე რომ ჩავიდა ფეხით გადავწყვიტე სიარული. და შემდეგ...— და სახე სიბრაზით დაეფარა, მას მოუწია თავის ხელში აყვანა.

— მერე?— დავიჩურჩულე მე.

— მე წავიკითხე მათი აზრები, — ყრუდ დაიხრიალა მან, ზედა ტუჩი აწია და წინა კბილები გამოაჩინა.— და გავიგე, რა უნდოდათ შენთვის გაეკეთებინათ,— ის დაიხარა მაგიდისკენ და სახე ხელებში დამალა, — მისი მოძრაობა ისეთი სწრაფი იყო, რომ უცებ შემეშინდა.

— წარმოდგენაც არ გაქვს, როგორ გამიჭირდა მათი... ცოცხლად დატოვება. —შემეძლო ჯესიკასთან და ანჯელასთან ერთად გამეშვი მაგრამ, შემეშინდა, რომ ისევ დავიწყებდი მათ ძებნას.

MYTOPBOOK.ORG

აზრები შეშინებული ჩიტებივით დამეფანტა. დაღლილმა სკამის ზურგს მივეყრდენი, ედვარდი კი ქანდაკებასავით გაშეშებულიყო.

ბოლოს მან გამომცდელად შემომხედა.

— შენ აღარ ჭამ.

— მაპატიე, მეტი აღარ შემიძლია.

— ხომ კარგად ხარ?

განა „კარგად ყოფნა " შეეფერება ამ სიტუაციას?

— შოკი არ განმიცდია!

— მზად ხარ, წავიდეთ?

— რათქმაუნდა !

რა მაგარია! კიდევ ერთი საათი მარტო ვიქნებით! რამდენი რამე გვაქვს სათქმელი !

იმ წამსვე ჩვენთან ოფიციანტი მოვიდა, შეიძლება მოგვისმინა კიდეც.

— რამე ხომ არ გინდათ? — კითხა მან ედვარდს.

— მადლობთ, ანგარიში თუ შეიძლება.

თხოვნამ უცებ გაიჟღერა, გოგონამ კი გაოცებისგან პირი გააღო.

— ხო, რათქმაუნდა! —მან , ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

ედვარდმა დახედა ანგარიშს და დაუბრუნა ოფიციანტს ის წინასწარ გამზადებულ ფულთან ერთად.

— ხურდა არ მინდა,—თქვა მან და ადგა, ის მოლოდინით მიყურებდა.

— შესანიშნავ საღამოს გისურვებთ,— უთხრა გოგონამ. ედვარდმა მადლობა გადაუხადა, ისე რომ ზედაც არ შეუხედავს. კინაღამ გადავიხარხარე.

— მე უნდა გადამეხადა, შენ კოლაც კი არ დაგილევია!

MYTOPBOOK.ORG

მან ისეთი სახე მიიღო თითქოს არ გაუგონია ნათქვამი. ელეგანტურად გააღო ჩემს წინ კარები, მაგრამ ხელი მაინც არ ჩაუკიდია. რომ გამახსენდა ჯესიკასა და მაიკის მომავალი კოცნა, მძიმედ ამოვისუნთქე. მან კითხვით სავსე თვალებით შემომხედა, მე კი უკვე მერეამდენედ გამიხარდა, რომ ის ჩემს აზრებს ვერ კითხულობდა.

ერთ წუთში უკვე მანქანის წინა სავარძელზე ვიჯექი, ედვარდმა კარი მომიხურა და ჩემს გვერდით აღმოჩნდა. ღმერთო, ის ისე მოძრაობს როგორც მოცეკვავე!

ძრავა ამუშავდა და, წავედით. გარეთ საგრძნობლად აცივდა, ესე იგი კარგ ამინდს გამოვემშვიდობე. მე ძალიან მყუდროდ ვგრძნობდი თავს ტყავის პიჯაკში, მისი პატრონის უჩუმრად კი მისი სურნელებით ვტკბებოდი.

—ახლა კი შენი ჯერია!— მრავალმნიშვნელოვნად მითხრა ედვარდმა.

თავიMმეცხრე

ვარაუდი

_შეიძლება კიდევ ერთი რაღაც გკითხო?-ვითხოვე როცა ედვარდი მეტისმეტი სისწრაფით დაუყვა წყნარ ქუჩას. არ ჩანდა რომ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას აქცევდა გზას.

მან ამოიოხრა.

_მხოლოდ ერთი- დამეთანხმა ის. მისი ტუჩები ერთმანეთს ფრთხილ ხაზად შეუერთდა.

_კარგი... შენ მითხარი,რომ იცოდი წიგნის მაღაზიაში არ შევსულვარ და რომ სამხრეთით წავედი. უბრალოდ გამიკვირდა, ეს როგორღა გაიგე.

გვერდზე გაიხედა, ცდილობდა პასუხი მოესაზრებინა.

_მეგონა ორჭოფობის ეტაპი უკვე გავიარეთ- ამოვიბუზღუნე.

თითქმის გაიღიმა.

MYTOPBOOK.ORG

_კარგი, მაშინ შენს სუნს მოვყვებოდი- მან გზას გახედა, დრო მომცა,რომ სახის ბუნებრივი მდგომარეობა აღმედგინა. არ შემეძლო მეფიქრა ამის მისაღებ პასუხზე, მაგრამ მე ის ფრთხილად გადავდე მომავალი მეცადინეობისთვის. ვეცადე ყურადღება მომეკრიბა. არ ვიყავი მზად, რომ ეფიქრა თითქოს მორჩა პასუხების გაცემას, ახლა ის ბოლოსდაბოლოს მიხსნიდა რაღაცეებს.

_და კიდევ ერთი, შენ არ გიპასუხია ჩემს ერთ-ერთ პირველ შეკითხვაზე...-შევეცადე კიდევ ერთი პასუხი გამომეტყუა.

უკმაყოფილოდ გადმომხედა.

_რომელ შეკითხვაზე არ გიპასუხე?

_როგორ ახერხებ აზრების წაკითხვას? ნებისმიერი ადამიანის აზრის წაკითხვა შეგიძლია, სადაც არ უნდა იყოს ის? როგორ აკეთებ ამას? შენი ოჯახის დანარჩენ წევრებსაც შეუძლიათ... ? -სულელად ვგრძნობდი თავს, ვეკითხებოდი რადგან გამერკვია რომ მართლა მომიწევდა ამის დაჯერება.

_ეს მგონი ერთ კითხვაზე მეტია- დააზუსტა მან. ხელები გადავჭდე ერთმანეთზე და ედვარდს მივაშტერდი, ველოდებოდი.

_ მე არ შემიძლია ყველას ფიქრის წაკითხვა ყველგან. საკმაოდ ახლოს უნდა ვიყო. თუ უფრო ახლობელია ვინმეს... „ხმა “, ბევრად შორს შემიძლია მისი გაგონება. მაგრამ ესეც მხოლოდ რამდენიმე მილზე. -ჩაფიქრებული გაჩუმდა. -ეს ცოტათი გავს იყო უზარმაზარ დერეფანში სადაც უამრავი ხალხია და ყველა ერთდროულად ლაპარაკობს. ეს უბრალოდ ყაყანია- ხმების გუგუნი უკანა პლანზე. სანამ ყურადღებას ერთ რომელიმე ხმაზე არ გადავიტან, შემდეგ კი რას ფიქრობენ ნათელია.

_უმეტესწილად, მათ ყურადღებას არ ვაქცევ- ასე რომ არ ვიქცეოდე, ძალიან დამაბნეველ სიტუაციაში ვიქნებოდი. თან უფრო ადვილია *ნორმალურივით* გამოიყურებოდე- წარბები შეჭმუხნა როცა სიტყვა „ნორმალურივით “ თქვა.- როცა სპეციალურად პასუხობ მის ფიქრებს უფრო, ვიდრე მის სიტყვებს.

_რატომ გგონია რომ ჩემი ფიქრები არ გესმის? -ვკითხე ცნობისმოყვარედ.

MYTOPBOOK.ORG

მან შემომხედა, ამოუცნობი მზერა ჰქონდა.

_არ ვიცი- ჩაიბუტბუტა მან- ერთადერთი რასაც ვფიქრობ ისაა,რომ შენი ტვინი დანარჩენებისგან განსხვავებულად მუშაობს. თითქოს შენი ფიქრები AMAM სიხშირეზეა და მე კი მხოლოდ FM_ს ვიჭერ. -გაიკრიჭა, ერთობოდა.

_ჩემი ტვინი სწორად არ მუშაობს? არანორმალური ვარ? -ამ სიტყვებმა იმაზე მეტად გამაღიზიანეს ვიდრე წესით უნდა გავეღიზიანებინე- ალბათ იმიტომ, რომ მისი ვარაუდი დროული იყო. ყოველთვის მეპარებოდა ეჭვი ამაში და იმან შემაცბუნა რომ ჩემი ეჭვები დამიდასტურეს.

_მე მესმის ხმები გონებაში და შენ ღელავ რომ *შენ* ხარ არანორმალური? -გაიცინა მან- ნუ ღელავ, ეს უბრალოდ ვარაუდია. -სახე ისევ გაუსწორდა- რომელიც ისევ შენთან გვაბრუნებს.

ამოვიოხრე. რითი დავიწყო?

_თავის არიდების ეტაპს ხომ გავცდით?- შემახსენა მან რბილად.

პირველად გამოვიხედე მისი სახისგან, ისე მოხდა რომ სპიდომეტრს შევავლე მზერა.

_ჯანდაბა!- დავიყვირე - ცოტა შეანელე.

_რა მოხდა?- შეშინებული ჩანდა, მაგრამ მანქანას სიჩქარე არ შეუნელებია.

_საათში 100 მილით მიდიხარ!- ჯერ ისევ ვყვიროდი. შიშით გავიხედე ფანჯრის მიღმა, მაგრამ მეტისმეტად ბნელოდა ბევრის დასანახად. მხოლოდ გზის გრძელი მონაკვეთი ჩანდა მანქანის შუქფარების ლურჯ სინათლეზე. ტყეები გზის ორივე მხარეს შავ კედელს გავდა- ისევე მყარი ჩანდა როგორც ფოლადი კედელი თუ ამ სიჩქარით შევცვლიდით მიმართულებას.

_დამშვიდდი, ბელა- თვალები შეარხია, ისევ არ შეუნელებია სვლა.

_გინდა დავიღუპოთ? - პასუხი მოვთხოვე.

_არაფერს დავეჯახებით

ვეცადე დამეწყნარებინა ხმა.

_ასე რატომ ჩქარობ?

MYTOPBOOK.ORG

_მე ყოველთვის ასე ვატარებ-შემობრუნდა რომ მრუდედ გაეღიმა ჩემთვის.

_გზას უყურე!

_ავარიაში არასდროს მოვყოლილვარ, ბელა- ამის საფრთხეც კი არასდროს ყოფილა. -ის გაიკრიჭა და შუბლზე მიიკაკუნა ხელი.- რადარი მაქ ჩაშენებული.

_ძალიან სასაცილოა- გავვანჩხლდი- ჩარლი პოლიციელია, დაგავიწყდა? საგზაო წესების პატივისცემით ვარ აღზრდილი. გარდა ამისა, ვოლვო ხის ვარჯს რომ შემოახვიო შენ ალბათ ადგომას და სიარულსაც კი შეძლებ.

_ალბათ- დამეთანხმა, მოკლე ძლიერი სიცილით. - მაგრამ შენ ვერ შეძლებ ამას. -ამოიოხრა მან და მე შვებით ვუყურებდი როგორ დაეშვა ისარი თანდანთანობით 80ზე. -ბედნიერი ხარ?

_თითქმის სრულიად.

_ვერ ვიტან მანქანის ნელა ტარებას- ჩაიბუტბუტა.

_ეს ნელია?

_ჩემ სტილზე მანქანის მართვაში, საუბარი გვეყოფა-მოკლედ თქვა მან- მე ისევ ველოდები შენს ბოლო თეორიას.

ტუჩზე ვიკბინე. ზემოდან დამყურებდა. მისი ტკბილი თვალები მოულოდნელად თვინიერი ჩანდა.

_არ გავიცინებ- შემპირდა.

_მაგაზე უფრო მეტად მეშინია,რომ გამიბრაზდები

_ასე ცუდი ვარაუდია?

_საკმაოდ

ის მელოდებოდა. მე ჩემ ხელებს დავყურებდი, ამიტომ ვერ ვხედავდი მის გამომეტყველებას.

_მიდი, დაიწყე- მშვიდი ხმა ჰქონდა.

_არ ვიცი რით დავიწყო, - ვაღიარე.

MYTOPBOOK.ORG

_თავიდან დაიწყე... ხომ თქვი რომ ეს შენ არ მოგიგონია?

_მე არ მომიგონია

_აბა, რით დაიწყო ეგ ყველაფერი- წიგნით? ფილმით? - ის.

_არა, შაბათს, პლაჟზე დაიწყო ყველაფერი. -გავრისკე და თვალი შევავლე სახეზე. საგონებელში ჩავარდნილივით გამოიყურებოდა.

_იქ ოჯახის ძველ მეგობარს- ჯეიკობ ბლექს შევხვდი შემთხვევით. -გავაგრძელე მე- მამამისი და ჩარლი ჩემი ბავშვობიდან მეგობრობენ.

ის ისევ შეცბუნებული ჩანდა.

_მამამისი ქვილეთების ერთ-ერთი ბელადია. -ფრთხილად ვუყურებდი. მისი შეცბუნებული გამომეტყველება ადგილზე იყო გაყინული. -ჩვენ სასეირნოდ წავედით, -ამბავში ჩემი გეგმები სადაც იყო ნახსენები შევასწორე- ის რამდენიმე ძველ ლეგენდაზე მიყვებოდა- მგონი ცდილობდა შევეშინებინე. მან მომიყვა ლეგენდა ...-ვყოყმანობდი.

_გააგრძელე- მითხრა მან.

_ლეგენდა ვამპირებზე- გავაცნობიერე, რომ ვჩურჩულებდი. სახეში ველარ ვუყურებდი. მაგრამ დავინახე თითები კრუნჩხვით როგორ მოუჭირა საჭეს.

_და შენც მაშინვე ჩემზე გაიფიქრე?

_არა. მან... შენი ოჯახი ახსენა

ის ჩუმად იყო, გზას გაჰყურებდა.

უცებ ავღელდი, ჯეიკობზე ვღელავდი.

_მას ეგონა, რომ ეს სულელური ცრურწმენა იყო.- დავამტე სწრაფად- არ მოელოდა, რომ ამაზე ამდენს ვიფიქრებდი.-ეს საკმარისი საბუთი არ ჩანდა. უნდა მეღიარებინა. - ჩემი ბრალი იყო, ვაიძულე მოეყოლა.

_რატომ?

MYTOPBOOK.ORG

_ლორენმა რაღაც თქვა შენზე- ჩემი გაღიზიანება უნდოდა. და ერთმა უფროსმა ბიჭმა ტომიდან, თქვა რომ შენი ოჯახი ნაკრძალში არ დადის, ოღონდ ეს ისე ჟღერდა თითქოს სხვა რამეს გულისხმობდა. ამიტომ ჯეიკობი დავიმარტოხელე და გამოვტყუე რაღაცეები.- ვაღიარე, თან თავს ვიქნევდი.

შემაშინა თავისი სიცილით. ავხედე. იცინოდა, მაგრამ მძვინვარე თვალები ჰქონდა. წინ იყურებოდა.

_როგორ გამოსტყუე?- მკითხა.

_ ფლირტი ვცადე- იმაზე უკეთესად იმოქმედა, ვიდრე მეგონა. -ურწმუნოებამ გაიჟღერა ჩემს ხმაში ეს რომ გამახსენდა.

_მაგარი სანახავი იქნებოდა- ბნელად ჩაიხითხითა.- და შენ მე მაბრალებდი ხალხის მოხიბლვას- საცოდავი ჯეიკობ ბლექი.

გავწითლდი და ღამეს გავხედე ფანჯარაში.

_მერე რა ქენი?- მკითხა წუთის შემდეგ.

_რაღაც კვლევა ჩავატარე ინტერნეტში,

_და ამან დაგარწმუნა?- მისი ხმა ოდნავ დაინტერესებული ჩანდა, მაგრამ ხელები მაგრად ჰქონდა ჩაბღაუჭებული საჭისთვის.

_არა. ჯეიკობის ნაამბობის შესაბამისი არაფერი იყო. უმეტესობა ნამდვილი სისულელე იყო. მერე კი... -გავჩერდი

_რა?

_გადავწყვიტე, რომ ამას მნიშვნელობა არ ქონდა.

_*მნიშვნელობა* არ ქონდა? - მისმა ტონმა მაიძულა ამეხედა- როგორც იქნა დავამსხვრიე მისი პროფესიონალურად შეთხზული ნიღაბი. ურწმუნო სახე ჰქონდა, სიბრაზის ნაკვალევით, რომელმაც შემაშინა.

_არა.-ვთქვი რბილად- ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა რა ხარ.

MYTOPBOOK.ORG

ძლიერი, დამცინავი ტონი გაისმა მის ხმაში.

_არ განაღვლებს თუ მე ურჩხული ვარ? თუ ადამიანი არ ვარ?

_არა

ჩუმად იყო, ისევ სულ პირდაპირ იყურებოდა. უფერული და ცივი სახე ჰქონდა.

_გაბრაზებული ხარ- ამოვიოხრე- არაფერი არ უნდა მეთქვა.

_არა, -თქვა მან მაგრამ ხმაც სახესავით ცივი ჰქონდა- აჯობებს ვიცოდე რას ფიქრობ- იმის მიუხედავად თუ რასაც შენ ფიქრობ არანორმალურია.

_ესეიგი ისევ ვცდები?-გამოვიწვიე.

_ეს ის არ არის რასაც მოველოდი. „მნიშვნელობა არ აქვს! "-ციტირება გააკეთა, კბილები გაახრჭიალა.

_ესეიგი მართალი ვარ?- მძიმედ ამოვისუნთქე.

_ამას აქვს *მნიშვნელობა?*

_არანაირად,- გავჩერდი- უბრალოდ ცნობისმოყვარეობაა. -ჩემმა ხმამ როგორც იქნა ჩვეულად გაიჟღერა.

ის უცებ დამმორჩილდა.

_რა გაინტერესებს?

_რამდენი წლის ხარ?

_17ის-მიპასუხა სწრაფად.

_რამდენი ხანია 17 წლის ხარ?

ტუჩი შეუტოკდა როცა გზას გახედა.

MYTOPBOOK.ORG

_უკვე დიდი ხანია,-აღიარა ბოლოს.

_კარგი, -გავიღიმე, მსიამოვნებდა რომ ისევ გულწრფელი იყო ჩემთან. ფხიზელი თვალით ჩამომხედა, იმაზე ფხიზელი თვალით ვიდრე მანამდე, როცა ღელავდა, რომ შოკში ჩავვარდებოდი. უფრო ფართოდ გავუღიმე გამამხნევებლად და მან წარბები შეჭმუხნა.

_არ დამცინო- მაგრამ დღე როგორ გამოდიხარ გარეთ?

მან გაიცინა.

_მითია.

_მზე რომ წვავს?

_მითია.

_კუბოებში ძილი?

_მითია- რამდენიმე წუთი ყოყმანობდა, განსაკუთრებული ტონი მიეცა მის ხმას- ძილი არ შემიძლია

მისი ნათქვამის გასაანალიზებლად წუთი დამჭირდა.

_სულ არ გძინავს?

_არასდროს. -თქვა მან. გაურკვევლობასთან მიახლოებული ხმა ჰქონდა. შემობრუნდა, რომ ნაღვლიანი გამომეტყველებით შეეხედა. მისი ოქროსფერი თვალები ჩემსას შეხვდა და ფიქრის უნარი დავკარგე. მანამ ვუყურებდი თვალებში სანამ არ გაიხედა.

_შენ ჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა არ დაგისვამს. -ამჯერად მტკიცე ხმა ჰქონდა და როცა ისევ შემომხედა ცივი თვალები ჰქონდა.

თვალები დავახამხამე, ჯერ ისევ გაოცებულმა.

_რომელი კითხვა არ დამისვამს?

MYTOPBOOK.ORG

_ჩემი დიეტა არ გაინტერესებს? -სარკასტულად მკითხა

_ა -ჩავიბრტყუნე- ეს შეკითხვა.

_ჰო, ეგ შეკითხვა- ცივი ხმა ჰქონდა- არ გინდა იცოდე ვსვამ თუ არა სისხლს?

თავი ავარიდე.

_ჯეიკობმა მითხრა ამაზე რაღაც.

_რა გითხრა?- მკითხა აშკარად.

_მან თქვა რომ თქვენ... არ ნადირობთ ადამიანებზე. თქვა, რომ შენი ოჯახი არ აპირებს ზიანი მიაყენოს ადამიანებს, რადგან მხოლოდ ცხოველებზე ნადირობთ.

_მან თქვა რომ სახიფათოები არ ვართ?- სკეპტიკური ხმა ჰქონდა.

_ზუსტად მასე არ უთქვამს. მან თქვა,რომ თქვენ *არ გინდათ* იყოთ სახიფათონი. მაგრამ ქვილეთებს მაინც არ უნდათ,რომ მათ მიწაზე იყოთ, ყოველი შემთხვევისთვის.

ის წინ იყურებოდა, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყოდით გზას უყურებდა თუ არა.

_აბა, მართალი იყო? იმაში რომ ხალხზე არ ნადირობთ?-შევეცადე რაც შეიძლებოდა მშვიდი ხმა შემენარჩუნებინა.

_ქვილეთებს კარგი მახსოვრობა აქვთ-დაიჩურჩულა მან.

მისი პასუხი დადასტურებად მივიღე.

_მაგრამ თავდაჯერებული ნუ გახდები-გამაფრთხილა- ქვილეთები მართლები არიან, როცა ჩვენგან შორს იჭერენ თავს. ჯერ კიდევ სახიფათოები ვართ.

_ვერ გავიგე

_ჩვენ ვცდილობთ- ნელა მიხსნიდა- ჩვეულებრივ კარგად ვახერხებთ ამას, მაგრამ ზოგჯერ შეცდომებს ვუშვებთ. მე, მაგალითად, ჩემს თავს ვაძლევ ნებას შენთან მარტო დავრჩე.

_ეს შეცდომაა?- სევდა გავიგონე ჩემს ხმაში, მაგრამ არ ვიცოდი ეს მანაც გაიგონა, თუ არა.

MYTOPBOOK.ORG

_თანაც ძალიან სახიფათო- ჩაიბუტბუტა.

შემდეგ ორივენი გავჩუმდით. მანქანის შუქფარებს ვუყურებდი გზას როგორ ამრუდებდა. ისინი ძალიან სწრაფად მოძრაობდნენ. ნამდვილს კი არა ვიდეო თამაშს უფრო გავდა. გაცნობიერებული მქონდა რომ დრო სწრაფად გარბოდა,როგორც შავი გზა ჩვენს ქვემოთ და მე საზიზღრად მეშინოდა, რომ აღარასდროს მექნებოდა შანსი კიდევ ერთხელ ვყოფილიყავი მასთან ასე გახსნილად, ზღუდეები ჩვენს შორის დაიმსხვრა. მან სიტყვა გადამიკრა ბოლოსკენ, ეს აზრი ავისხლიტე. არც ერთი იმ წუთის დაკარგვაც არ მინდოდა, რომელსაც მასთან ერთად ვატარებდი.

_კიდევ მითხარი რამე- ვთხოვე სასოწარკვეთილად, არ მაღელვებდა რას მეტყოდა, ოღონდ კი მისი ხმა ისევ გამეგო.

მან სწრაფად შემომხედა, ძალიან გააოცა ჩემი ტონის ცვლილებამ.

_კიდევ რა გინდა რომ იცოდე?

_მითხარი, რატომ ნადირობ ადამიანების ნაცვლად ცხოველებზე?- შევთავაზე, ჩემს ხმაში ისევ გაიწკრიალა სასოწარკვეთილებამ. მაშინღა გავაცნობიერე რომ თვალები სველი მქონდა და დარდს ვებრძოდი, რომელიც ცდილობდა დავეძლიე.

_არ *მინდა* ურჩხული ვიყო- ძალიან დაბალ ხმაზე თქვა.

_მაგრამ ცხოველები არ არის საკმარისი?

ის გაჩერდა.

_რა თქმა უნდა დარწმუნებული ვერ ვიქნები, მაგრამ ამას ვადარებ ტოფუთი და სოიოს რძით ცხოვრებას. ჩვენთავს ვეგეტარიანელებს ვეძახით, ჩვენი პატარა საშინაო ხუმრობაა. ეს ბოლომდე არ გვინაყრებს შიმშილს- უფრო სწორად წყურვილს. მაგრამ საკმარის ძალას გვინარჩუნებს, რომ თავი შევიკავოთ. დროის უმეტეს ნაწილში. -მისი ხმა ავისმომასწავლებელი გახდა.-ზოგჯერ თავის შეკავება განსაკუთრებულად რთულია.

_სწორედ ახლაა განსაკუთრებულად რთული შენთვის?- ვკითხე.

მან ამოიოხრა.

MYTOPBOOK.ORG

_ჰო

_მაგრამ, ახლა ხომ არ გშია?- ვთქვი თავდაჯერებულად- კი არ ვიკითხე განვაცხადე.

_რატომ გგონია, რომ არ მშია?

_შენი თვალები გამო. ხომ გითხარი, ამაზე რაღაც ვარაუდი მაქვს. შევამჩნიე, რომ ხალხი- განსაკუთრებით კაცები- უფრო მეტად ფიცხები არიან როცა შიათ.

მან ჩაიცინა.

_დაკვირვებული ხარ, არა?

არ მიპასუხია. უბრალოდ მის სიცილს ვუსმენდი, მახსოვრობაში ვიწერდი.

_ამ შაბათ-კვირას ემეტთან ერთად სანადიროდ იყავი?-ვკითხე როცა ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

_ჰო-გაჩერდა, ალბათ ისევ ფიქრობდა კიდევ ეთქვა რამე თუ არა- წასვლა არ მინდოდა,მაგრამ ასე იყო საჭირო. ცოტა უფრო ადვილია შენს სიახლოვეს ყოფნა, როცა არ მწყურია.

_რატომ არ გინდოდა წასვლა?

_როცა შენგან შორს ვარ... მოუსვენარი ვხდები- თვინიერი, მაგრამ ძლიერი თვალები ჰქონდა, და ისე ვგრძნობდი თითქოს როცა შემომხედავდა ძვლები მირბილდებოდა. - არ ვხუმრობდი როცა გითხარი რომ გეცადა არ ჩავარდნილიყავი ოკეანეში ან მანქანას არ გაეჭყლიტე გასულ ხუთშაბათს. მთელი შაბათ-კვირა დაბნეული ვიყავი, შენზე ვნერვიულობდი. და იმის შემდეგ რაც დღეს მოხდა, გაოცებული ვარ რომ მოახერხე მთელი შაბათ-კვირა უვნებელი ყოფილიყავი.-მან თავი გააქნია, მერე კი თითქოს რაღაც გაახსენდა- შეიძლება ვერც მოახერხე.

_რა?

_შენი ხელები- შემახსენა მან. ხელისგულებზე დავიხედე, თითქმის განკურნებული ანაფხეკები ხელის ქუსლებზე. მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

_ წავიქეცი - ამოვიხვნეშე.

MYTOPBOOK.ORG

_მეც სწორედ ეგ გავიფიქრე- ტუჩები კუთხეებში დაეგრიხა. - ვვარაუდობდი, რომ შენს ადგილზე, უარესად მოხდებოდა- და ეს შესაძლებლობა მაწამებდა სანამ წასული ვიყავი. 3 დღე ძალიან გრძლად მომეჩვენა. ემეტის ნერვებზე ვთამაშობდი. -სევდიანად გამიღიმა.

_3 დღე? დღეს არ დაბრუნდი?

_არა, ორშაბათს დავბრუნდით

_მაშინ სკოლაში რატომ არ მოხვედით არცერთი?- მოვიშალე, როცა გავიფიქრე მისი არყოფნის გამო რამდენი იმედგაცრუება მოვითმინე.

_შენ მკითხე მზე მაზიანებდა თუ არა,და არ მაზიანებს, მაგრამ მზის შუქზე გასვლა მაინც არ შემიძლია- ყოველი შემთხვევისთვის, რომ არავინ დამინახოს.

_რატომ?

_ოდესმე გაჩვენებ- შემპირდა.

  რამდენიმე წუთი ამაზე ვფიქრობდი.

_უნდა დაგერეკა- გადავწყვიტე

  ის დაბნეული ჩანდა.

_მაგრამ მე ვიცოდი რომ უსაფრთხოდ იყავი.

_მაგრამ *მე* არ ვიცოდი *შენ* სად იყავი. მე__ ვყოყმანობდი თვალებიდან ცრემლი ჩამომეწვეთა.

_რა?-მისი ხავერდოვანი ხმა მაიძულებდა მეპასუხა.

_მე არ მომეწონა ეს. რომ ვერ გხედავდი. მეც მოუსვენარი ვხდები. -გავწითლდი ამას ხმამაღლა რომ ვამბობდი.

  ის ჩუმად იყო. თვალე შევავლე, შეშფოთებულმა და დავინახე რომ ნატანჯი გამომეტყველება ჰქონდა.

_აჰ,- ხმადაბლა ამოიკვნესა- არასწორია

  მისი პასუხი ვერ გავიგე.

MYTOPBOOK.ORG

_რაც მე ვთქვი?

_ვერ ხედავ, ბელა? ერთია ჩემი თავი გავისაცოდავო და მეორეა შენ იყო ასე ჩათრეული ამ ყველაფერში. -მისი ნატანჯი თვალები გზისკენ შებრუნდა. ის მეტისმეტად სწრაფად ლაპარაკობდა საიმისოდ, რომ მე გამეგო. -იმის გაგონება არ მინდა, რომ ასე გრძნობდი თავს. -ხმადაბლა ლაპარაკობდა მაგრამ დაჟინებული ხმა ჰქონდა. მისი სიტყვები გულში მჭრიდა- ეს არის არასწორი. ეს არ არის უსაფრთხოთ. მე სახიფათო ვარ, ბელა- გთხოვ გაიგე ეს.

_არა- ძალიან ვეცადე გაბუტულ ბავშვს არ დავმგვანებოდი.

_მე სერიოზულად გელაპარაკები-ამოიღრინა.

_ისევე როგორც მე. ხომ გითხარი, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს რა ხარ. უკვე ძალიან გვიანია.

მისი ხმა გამოიბერტყა, დაბალი და უხეში ხმა ჰქონდა.

_მაგას ნურასდროს იტყვი.

ტუჩზე ვიკბინე და მიხაროდა რომ მან არ იცოდა როგორ მტკიოდა. გზას გავხედე. უკვე ახლოს უნდა ვყოფილიყავით, ძალიან სწრაფად ატარებდა.

_რაზე ფიქრობ?- ისევ მგრძნობიარე ხმა ჰქონდა. უბრალოდ თავი გავაქნიე, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ლაპარაკი შემეძლო. ვგრძნობდი რომ სახეზე მომშტერებოდა, მაგრამ მე ჯიუტად ვიყურებოდი წინ.

_ტირიხარ?- შეძრწუნებული ხმა ჰქონდა. გაცნობიერებული არ მქონდა, რომ ნესტი ჩემს თვალებზე ნელ-ნელა ივსებოდა კიდემდე. სწრაფად გავისვი ხელი ლოყაზე, გამცემი ცრემლები ადგილზე იყვნენ, მღალატობდნენ.

_არა,-ვთქვი, მაგრამ გაბზარული ხმა მქონდა.

დავინახე მარჯვენა ხელი როგორ წამოიღო ჩემსკენ, შუა გზაზე გააჩერა და უკან დააბრუნა ნელა საჭეზე.

_მაპატიე- მისი ხმა სინანულში იწვოდა. ვიცოდი, იმ სიტყვებისთვის არ მიხდიდა ბოდიშს რომელმაც გული მატკინა.

სიბნელე ჩამოწვა ჩვენს შორის სიჩუმეში.

MYTOPBOOK.ORG

_მითხარი... - მოითხოვა რამდენიმე წუთში. გავიგონე როგორ ინდომებდა უფრო უდარდელი ხმა ჰქონოდა.

_გისმენ

_რას ფიქრობდი ცოტა ხნის წინ, სანამ მე შემოვუხვევდი კუთხეში? შენი გამომეტყველება ვერ გავიგე- შეშინებულს არ გავდი, ჩანდა რომ რაღაცაზე ყურადღების მოკრებას ძალიან ცდილობდი.

_ვიხსენებდი როგორ უნდა გააუვნებელყო თავდამსხმელი-ხომ ხვდები, თავ-დაცვის საშუალებები. ვაპირებდი ცხვირი ჩამემტვრია- მოზღვავებული ზიზღით ვფიქრობდი შავ-თმიან კაცზე.

_მათთან შებრძოლებას აპირებდი? -ამან ააღელვა- გაქცევაზე არ გიფიქრია?

_ხშირად ვეცემი როცა დავბრივარ- ვაღიარე.

_დახმარებისთვის ყვირილზე რას იტყვი?

_მაგ ნაწილზე გადავდიოდი ზუსტად.

თავი გააქნია.

_მართალი იყავი- ნამდვილად ბედს ვებრძოლები როცა შენს გადარჩენას ვცდილობ.

ამოვიოხრე. სვლას ანელებდა, ფორქსის საზღვრებში შევდიოდით. ამას 20 წუთზე ნაკლები დრო დასჭირდა.

_ხვალ გნახავ?- მოვითხოვე პასუხი.

_კი- მეც მაქვს ესე დავალებად- გაიღიმა მან- ლანჩზე ადგილს დაგიკავებ.

სულელური იყო, იმის შემდეგ, რაც იმ ღამეს გადაგვხდა, ამ პატარა დაპირებამ როგორ გაუგზავნა თრთოლვა ჩემს მუცელს და ლაპარაკის უნარი წამართვა.

ჩარლის სახლის წინ ვიყავით. შუქი ენთო, ჩემი პიკაპი ადგილზე იყო, ყველაფერი უკიდურესად ჩვეულებრივად ჩანდა . თითქოს სიზმრიდან გამოვედი. მან მანქანა გააჩერა, მაგრამ არ გავნძრეულვარ.

MYTOPBOOK.ORG

_*მპირდები* რომ ხვალ მოხვალ სკოლაში?

_გპირდები

ავწონ-დავწონე, მერე თავი დავუქნიე. მისი ქურთუკი ჩამოვიქაჩე, ერთი მოქნევით გავიხადე.

_შეგიძლია დაიტოვო- ხვალისთვის არ გაქვს ქურთუკი-შემახსენა.

მე დავუბრუნე.

_არ მინდა რომ ჩარლისთვის ასახსნელი მქონდეს რამე.

_ა, კარგი- გამიცინა.

ვყოყმანობდი, ხელი კარის სახელურზე მედო, მინდოდა ეს წუთი გამეხანგრძლივებინა.

_ბელა?- მკითხა მან განსხვავებული ტონით- სერიოზულად, მაგრამ ცოტა ყოყმანით.

_გისმენ? - მეტისმეტი ენთუზიაზმით მივბრუნდი მისკენ.

_შეგიძლია რაღაცას დამპირდე?

_კი- ვთქვი და დაუყოვნებლივ ვინანე ჩემი უპირობო თანხმობა. რა უნდა მექნა თუ მეტყოდა რომ მისგან შორს დამეჭირა თავი? ამ შემთხვევაში დაპირებას ვერ ავასრულებდი.

_ტყეში მარტო ნუ წახვალ

უშინაარსო შეცბუნებით მივაჩერდი.

_რატომ?

მან წარბები შეჭმუხნა და მჭიდროდ ქონდა თვალები როცა ჩემს გვერდით ფანჯარას გახედა.

_ყოველთვის ყველაზე სახიფათო არსება არ ვარ. მოდი, ჯერ-ჯერობით ამაზე შევჩერდეთ.

ოდნავ შევკრთი მის ხმაში უცაბედ სიცივეზე. მაგრამ გულზე მომეშვა. ეს ყოველ შემთხვევაში ადვილი დაპირება იყო პატიოსნად შესასრულებლად.

_როგორც იტყვი

MYTOPBOOK.ORG

_ხვალ გნახავ- ამოიოხრა და მივხვდი რომ წასვლა უნდოდა.

_მაშინ ხვალამდე- უხალისოდ გავაღე კარები.

_ბელა?-მოვბრუნდი, ის ჩემსკენ იყო გადმოხრილი, მისი ფერმკრთალი, გაცისკროვნებული სახე რამდენიმე დიუმზე იყო ჩემი სახისგან. გული გამიჩერდა.

_ძილინებისა- მითხრა მან. მისი სუნთქვა სახეზე მომელამუნა, მომაჯადოვა. იგივე მწვავე სუნი ჰქონდა, რაც მის ქურთუკს, მაგრამ უფრო თავმოყრილი სახით. თვალები დავახამხამე, სრულიად გაოცებულმა. ის უკან გაიწია.

ვერ ვინძრეოდი სანამ ჩემმა ტვინმა ფიქრები როგორღაც თვითონვე არ გაფანტა. შემდეგ მოუქნელად გადმოვაბიჯე მანქანიდან, კარის ჩარჩოს დავეყრდენი. მეგონა მის ხითხითს გავიგონებდი, მაგრამ ხმა ჩემთვის ძალიან ჩუმი იყო რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი.

იცდიდა სანამ სახლის წინა კართან მივბორძიკდი და შემდეგ გავიგონე ძრავის ხმა. შემოვბრუნდი რომ დამენახა ვერცხლისფერი მანქანა როგორ გაუჩინარდა ქუჩის კუთხეში. მერეღა მივხვდი, რომ ძალიან ციოდა.

მექანიკურად მივაგენი გასაღებს, კარი გავაღე და შიგნით შევაბიჯე.

ჩარლიმ სასტუმრო ოთახიდან დამიძახა:

_ბელა?

_ჰო, მამა, მე ვარ.-შევედი რომ მენახა. ბეისბოლს უყურებდა.

_ადრე დაბრუნდი

_მართლა?- გაკვირვებული ვიყავი.

_ჯერ 8აც არ არის.- მითხრა მან- კარგად გაერთეთ?

_კი, კარგად გავერთე. -ჩემი ტვინი ბრუნავდა, როცა ვეცადე გამეხსენებინა ყველაფერი რაც გოგოებს უკავშირდებოდა გეგმაში. -ორივემ შეარჩია კაბა.

_კარგად ხარ?

MYTOPBOOK.ORG

_უბრალოდ დავიღალე. ბევრი ვიარე

_იქნებ წამოწოლილიყავი? -მზრუნველი ხმა ჰქონდა. დამაინტერესა როგორი გამომეტყველება მქონდა.

_ჯერ ჯესიკას დავურეკავ

_მასთან ერთად არ იყავი?

_კი, მაგრამ ქურთუკი მის მანქანაში დამრჩა. მინდა დავრწმუნდე რომ ხვალ სკოლაში მომიტანს.

_კარგი, მაგრამ ჯერ აცადე სახლში მისვლა.

_მართალი ხარ- დავეთანხმე.

სამზარეულოში შევედი და დაქანცული დავენარცხე სკამზე. ახლა ნამდვილად ვგრძნობდი თავბრუსხვევას. მაინტერესებდა ამ ყველაფრის მერე შოკში ჩავვარდებოდი თუ არა. გამაგრდი, ვუთხარი ჩემ თავს.

ტელეფონმა უცებ დარეკა და შემაშინა. ყურმილი ავიღე.

_გისმენთ? -სუნთქვაშეკრულმა ვიკითხე.

_ბელა?

_ჯესიკა, ზუსტად ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას

_უკვე სახლში ხარ?- შვებამორეული და... გაკვირვებული ხმა ჰქონდა.

_კი. ჩემი ქურთუკი შენს მანქანაში დამრჩა- შეგიძლია ხვალ წამომიღო?

_კარგი. მაგრამ მანამდე მომიყევი რა მოხდა!- მოითხოვა მან.

_ხვალ მოგიყვები, ტრიგონომეტრიაზე, კარგი?

სწრაფად მიხვდა ის.

_ა, მამაშენია მანდ?

MYTOPBOOK.ORG

_ჰო!

_კარგი, ხვალ დაგელაპარაკები. კარგად!- მის ხმაში მოუთმენლობა გავიგონე.

_კარგად ჯეს!

კიბეებზე ნელა ავედი, მძიმე გაშტერებამ დამიბნელა გონება. ვმოძრაობდი დასაწოლად რომ მოვმზადებულიყავი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი რას ვაკეთებდი. ეს ასე არ იყო სანამ შხაპს ვიღებდი- წყალი ძალიან ცხელი იყო, კანს მწვავდა- როცა გავაცნობიერე რომ ვიყინებოდი. რამდენიმე წამი ძლიერად მაჟრჟოლებდა, სანამ ორთქლის ნაკადმა ბოლოსდაბოლოს არ შეძლო ჩემი შეუდრეკელი კუნთების მოდუნება.

წავიფორხილე, უსაფრთხოდ გავეხვიე პირსახოცში, შევეცადე წყლის სითბო შემენარჩუნებინა,რომ ჩემი მტკივნეული კანკალი არ დაბრუნებულიყო. სწრაფად გამოვეწყვე საწოლისთვის და ჩემი საბნის ქვეშ შევცოცდი, ბურთივით მოვიხარე, ჩემ თავს ვეხუტებოდი რომ სითბო შემენარჩუნებინა. რამდენიმე პატარა თრთოლვამ ამაცახცახა.

ჩემი გონება ისევ თავბრუდამხვევად ბორგავდა, სავსე იყო სურათებით, რომლებსაც ვერ ვგებულობდი ან ვიბძროდი რომ ჩამეხშო. თავიდან ნათლად არაფერი ჩანდა, მაგრამ როცა თანდათანობით მივუახლოვდი ქვეცნობიერებას, რამდენიმე უეჭველი ფაქტი ცხადი გახდა.

სამ რამეში სრულიად დარწმუნებული ვიყავი. პირველი, ედვარდი ვამპირი იყო. მეორე, მის რაღაც ნაწილს- და მე არ ვიცოდი რამდენად ძლიერი აღმოჩნდებოდა ეს ნაწილი- ჩემი სისხლი სწყუროდა. და მესამე, მე უპირობოდ და სამუდამოდ შემიყვარდა ის.

თავი მეათე

შეკითხვები

MYTOPBOOK.ORG

დილას რთული იყო ჩემი თავის რაღაც ნაწილის გადარწმუნება, რომელსაც სჯეროდა რომ გასული საღამო სიზმარი იყო. ლოგიკა ჩემს მხარეს არ იყო, ან შეიძლება ნეიტრალობას ინარჩუნებდა. იმ აზრს ვებღაუჭებოდი, რომ რაღაცეების წარმოდგენა არ შემეძლო- მაგალითად მისი სუნის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემით ასეთი რაღაც ვერ დამესიზმრებოდა.

ნისლი და სიბნელე იყო ფანჯრის მიღმა, სრულიად იდეალური ამინდი. მიზეზი აღარ ექნებოდა რომ სკოლაში არ მოსულიყო. ჩემს თბილ ტანსაცმელში გამოვეწყვე, მახსოვდა რომ ქურთუკი არ მქონდა. რაც უფრო ამტკიცებდა რომ ჩემი მოგონება ნამდვილი იყო.

დაბლა რომ ჩავედი ჩარლი ისევ წასული დამხვდა- იმაზე მეტად ვაგვიანებდი ვიდრე მეგონა. გრანოლას ფილა სამ ლუკმაში გადავსანსლე, რძე პირდაპირ მუყაოს კოლოფიდან დავაყოლე და სწრაფად გავედი გარეთ. იმ იმედით, რომ წვიმა მანამდე არ დაიწყებოდა სანამ ჯესიკას ვიპოვიდი.

არაჩვეულებრივად ნისლიანი დღე იყო; ჰაერი მისით იყო გაკვამლული. ყინულოვნად ვგრძნობდი ნისლს სადაც მეხებოდა კანზე სახესა და ყელზე. ვერ მოვიცდიდი სანამ დათბებოდა, რომ ჩემი პიკაპით წავსულიყავი. ისეთი სქელი ნისლი იყო, რომ რამდენიმე ნაბიჯიღა რომ დამრჩა გზაზე გასასვლელად, მხოლოდ მაშინ დავინახე რომ იქ მანქანა იდგა: ვერცხლისფერი მანქანა. ჩემმა გულმა ბრაგვანი მოადინა, მერე არითმიულად დაიწყო ცემა, ბოლოს კი ორმაგი სიჩქარით.

არ დამინახია საიდან მოვიდა, მაგრამ ის უცებ გაჩნდა და კარები გამიღო.

_არ გინდა დღეს ჩემთან ერთად წამოხვიდე სკოლაში?-მკითხა მან, თან ჩემი ჯერ კიდევ გაოცებული გამომეტყველებით ერთობოდა. სიმტკიცე გაისმა მის ხმაში. ის არჩევანის საშუალებას მაძლევდა- ნებას მრთავდა, რომ თუნდაც უარი მეთქვა და მე ვიცოდი რომ მის გარკვეულ ნაწილს ამის იმედი ჰქონდა. სულ ტყუილად.

_სიამოვნებით. მადლობ.- ვთქვი,შევეცადე მშვიდი ხმა შემენარჩუნებინა. როგორც კი თბილ მანქანაში შევაბიჯე, შევამჩნიე მგზავრის სკამის საზურგეზე გადაკიდებული მისი მოწითალო-მოყავისფრო ქურთუკი. კარი ჩემს უკან დაიხურა და შესაძლებელზე სწრაფად უკვე ჩემს გვერდით იჯდა.

MYTOPBOOK.ORG

_ქურთუკი წამოგიღე. არ მინდა გაცივდე ან სხვა რამე დაგემართოს. -მზრუნველი ხმა ჰქონდა. შევამჩნიე, რომ თვითონ არ ეცვა ქურთუკი,უბრალოდ თხელი ნაქსოვი ნაცრისფერი გულამოჭრილი მაისური გრძელი მკლავებით. ისევ, ქსოვილი მიკრული იყო მის იდეალურად დაკუნთულ გულ-მკერდზე. დიდი ძალისხმევა დასჭირდა რომ მისი სხეულიდან სახეზე გადამეტანა ყურადღება.

_არც მასეთი ფაქიზი ვარ- ვთქვი, მაგრამ ქურთუკი მაინც გადავიფარე კალთაზე და მკლავები მის გრძელ სახელოებში შევყავი, მაინტერესებდა მისი სუნი ისეთივე სასიამოვნო იქნებოდა თუ არა. უკეთესი იყო.

_ნუთუ?- შემეწინააღმდეგა ისეთი დაბალი ხმით, რომ ეჭვი შემეპარა უნდოდა თუ არა რომ გამეგო.

ნისლში გახვეულ ქუჩებზე მივდიოდით, უმეტესად დიდი სიჩქარით, მოუქნელად ვგრძნობდით თავს. ყოველ შემთხვევაში მე ვგრძნობდი. გასულ ღამეს ყველა კედელი დაიმსხვრა ჩვენს შორის...თითქმის ყველა. არ ვიცოდი დღესაც ისეთივე გულწრფელები ვიქნებოდით თუ არა. ამან ენა დამიბორკა. ველოდებოდი ის როდის მეტყოდა რამეს.

შემობრუნდა რომ დაეცინა ჩემთვის.

_აბა, დღეს არ არის 20-20 შეკითხვა?

_ჩემი კითხვები გაღიზიანებს?- ვუთხარი, გულზე მომეშვა რომ რაღაც მითხრა.

_არც იმდენად, რამდენადაც შენი რეაქციები- ისე ჩანდა თითქოს ხუმრობდა, მაგრამ დარწმუნებული ვერ ვიქნებოდი. წარბები შევჭმუხნე.

_ცუდად ვრეაგირებ?

_არა, პრობლემაც ესაა. ისე გულგრილად იღებ ყველაფერს- ეს არაბუნებრივია. ეს ყველაფერი კი ინტერესში მაგდებს, სინამდვილეში რას ფიქრობ.

_ყოველთვის იმას გეუბნები რასაც ვფიქრობ.

_ოღონდ შესწორებულს

_არც ისე

MYTOPBOOK.ORG

_საკმარისად იმისთვის რომ გადარეულივით მატარო.

_აღარ მინდა მაგის გაგონება- ჩავიბუტბუტე თითქმის ჩურჩულით. როგორც კი სიტყვები ჩემს ტუჩებს მოსწყდა მაშინვე ვინანე. ტკივილი ჩემს ხმაში ძალიან მოკრძალებული იყო. მარტო იმის იმედიღა თუ მექნებოდა, რომ მან ეს ვერ შეამჩნია.

მან არაფერი მიპასუხა და დამაინტერესა ხასიათი ხომ არ გავუფუჭემეთქი. გაურკვეველი სახე ჰქონდა, როცა სკოლის სადგომზე მივედით. რაღაც აზრი დაგვიანებით მესტუმრა.

_შენი ოჯახის დანარჩენი წევრები სად არიან?- ვკითხე- უფრო გახარებულმა, რომ მასთან მარტო ვიყავი, მაგრამ მახსოვდა რომ, როგორც წესი მისი მანქანა სავსე იყო ხოლმე.

_როზალის მანქანით წამოვიდნენ- მხრები აიჩეჩა, როცა წითელი პრიალა კაბრიოლეტის გვერდით დააყენა მანქანა- არაჩვეულებრივია, არა?

_მმ, ვაუ- ამოვისუნთქე- თუ *ეს მანქანა* ჰყავს, შენი მანქანით რატომ დადის?

_როგორც ვთქვი, ეს მეტისმეტად განსაკუთრებულია. ჩვენ კი გვინდა ხალხში გავერიოთ.

_რაც ნამდვილად არ გამოგდით- გავიცინე და თავი გავაქნიე როცა მანქანიდან გადმოვედით. აღარ მაგვიანდებოდა; მისი გადარეული ტარების გამო სასწავლო დღის დაწყებამდე კიდევ დიდი დრო მქონდა. -მაშინ დღეს რატომ წამოვიდა როზალი თავისი მანქანით თუ თქვენი ძველებური წესი უფრო კონსპირაციულია?

_არ შეგიმჩნევია? ახლა *ყველა* წესს და კანონს ვამსხვრევ.- ის მანქანის წინ შემხვდა. ჩემს გვერდით ძალიან ახლოს მოაბიჯებდა, როცა სკოლის შენობაში შევდიოდით. მინდოდა ჩვენ შორის არსებული ის პატარა მანძილიც დამეფარა, მიმეღწია და შევხებოდი, მაგრამ მეშინოდა, რომ მას ეს არ მოეწონებოდა.

_საერთოდ რატომ გყავთ ასეთი მანქანები?- ხმამაღლა გამოვხატე ჩემი გაოცება- თუ განცალკევებას ცდილობთ.

_კომპენსაციაა-ეშმაკური ღიმილით აღიარა- ყველას ძალიან სწრაფად ტარება გვიყვარს.

_ხალხია- ჩავიჩურჩულე ჩასუნთქვისას.

MYTOPBOOK.ORG

კაფეტერიის სახურავის შვერილის შეფარებულში ჯესიკა იცდიდა. მთელი ყურადღება თავისი მუწუკების გამოშვებაზე ქონდა გადატანილი. მკლავზე კი, მადლობა ღმერთს, ჩემი ქურთუკი ჰქონდა გადაკიდული.

_გამარჯობა ჯესიკა- ვთქვი როცა რამდენიმე ნაბიჯითღა ვიყავით დაშორებულები- მადლობ, რომ არ დაგავიწყდა. -სიტყვის უთქმელოდან გამომიწოდა ქურთუკი.

_დილა მშვიდობისა, ჯესიკა!- თქვა ედვარდმა ზრდილობიანად. მისი ბრალი არ ყოფილა რომ ასეთი დაუძლეველი ხმა ჰქონდა. არც ის რაც მის თვალებში იყო შეთვისებული.

_ისა...გამარჯობა- გაფართოებული თვალები ჩემზე გადმოიტანა, ცდილობდა არეული ფიქრებისთვის თავი მოეყარა- მგონი, ტრიგონომეტრიაზე გნახავ- მრავალმნიშვნელოვანი მზერით გადმომხედა, რომელიც ამოოხვრით აღვკვეთე. რა ჯანდაბა უნდა მეთქვა მისთვის?

_ჰო, მოგვიანებით გნახავ

ის წავიდა, ორჯერ გაჩერდა რომ მხარეს ზემოდან ჩვენ შევეთვალიერებინეთ.

_მისთვის რის თქმას აპირებდი?- ჩამირაკრაკა ედვარდმა

_ეი, მე მეგონა ჩემი აზრების წაკითხვა არ შეგეძლო!- ავსისინდი

_არც შემიძლია-მითხრა მან, გაოცებულმა. შემდეგ კი მიხვდა რატომ ვუთხარი და თვალები გაუნათდა- სამაგიეროდ მისი აზრების წაკითხვა შემიძლია- საკლასო ოთახში ჩაგისაფრდება.

ამოვიკვნესე, როცა მისი ქურთუკი ჩამოვიქაჩე და გავუწოდე, მის ნაცვლად ჩემი ჩავიცვი.მან თავისი მკლავზე გადაიკიდა.

_აბა, რის თქმას აპირებდი მისთვის?

_ცოტათი დამეხმარე- ვითხოვე- რა უნდა რომ იცოდეს?

თავი გააქნია და ბოროტად გაიკრიჭა.

_ეს სამართლიანი არ იქნება

_არა, არ მიზიარებ რაც იცი- აი *რა არის* უსამართლობა.

MYTOPBOOK.ORG

რამდენიმე წუთი ფიქრობდა სანამ მივაბიჯებდით. ჩემი პირველი გაკვეთილის საკლასო ოთახის კართან გარეთ გავჩერდით.

_აინტერესებს საიდუმლო პაემანი გვქონდა თუ არა. და კიდევ აინტერესებს ჩემს მიმართ რას გრძნობ- ბოლოსდაბოლოს ამოღერღა.

_ესეც ასე! რა უნდა ვუთხრა? -ვეცადე უმანკო გამომეტყველება შემენარჩუნებინა. ხალხი გვერდს გვივლიდა რომ კლასში შესულიყვნენ, ალბათ გვიყურებდნენ, მაგრამ ძლივს ვამჩნევდი მათ.

_ჰმმმმ- გაჩუმდა რომ დაეჭირა გზააბნეული თმის კულული, რომელიც ჩემი კისრისკენ გარბოდა და თავის ადგილზე დააბრუნა. ჩემმა გულმა ზეაქტიურად დაიწყო ცემა. -გთავაზობ რომ პირველზე დაეთანხმო... თუ წინააღმდეგი არ იქნები-ეს სხვა ახსნა-განმარტებებზე ადვილია.

_არ ვარ წინააღმდეგი-მისუსტებული ხმით ვთქვი.

_რაც შეეხება მის მეორე შეკითხვას... მეთვითონაც სიამოვნებით მოვისმენ მაგ კითხვაზე პასუხს- პირის ერთი მხარე ჩემს საყვარელ ცერა ღიმილით აიქაჩა- შესაბამისად სწრაფად ვერ ამოვისუნთქე რომ ამ შენიშვნაზე მეპასუხა. ის შებრუნდა და წავიდა.

_ლანჩზე გნახავ-მხარს ზემოდან მომძახა. სამი ადამიანი, რომელიც კარში შედიოდა გაჩერდა, რომ ჩემთვის შემოეხედა.

კლასში სწრაფად შევედი, სახეაწითლებული და გაღიზიანებული. თაღლითს გავდა. ახლა უფრო მეტადაც კი ვღელავდი იმაზე რა უნდა მეთქვა ჯესიკასთვის. ჩემს ჩვეულ ადგილზე დავჯექი, ძირს დავაბრეხვე ჩემი ჩანთა უარესად გაღიზიანებულმა.

_დილა მშვიდობისა, ბელა!- მითხრა მაიკმა გვერდიდან. ავიხედე, რომ დამენახა მისი უცნაური, უარყოფილი სახის გამომეტყველება. - როგორ მოგეწონა პორტ ანჯელესი?

_ძალიან - ვერაფერი მოვიფიქრე ისეთი, რომ პატიოსნად მეთქვა სიმართლე-დიდებული იყო- ენის ბორძიკით დავასრულე- ჯესიკამ ძალიან საყვარელი კაბა იყიდა.

_ორშაბათის საღამოზე ხომ არაფერი უთქვია?- მკითხა, მისი თვალები ანათებდნენ. გამეღიმა რომ საუბარმა ასეთი მიმართულება მიიღო.

MYTOPBOOK.ORG

_თქვა, რომ ძალიან კარგად გაატარა დრო.

_მართლა?- ენთუზიაზმით ჩამეკითხა.

_ნამდვილად.

შემდეგ მისტერ მეისონმა წესრიგისკენ მოგვიწოდა და გვთხოვა ჩვენ-ჩვენი ნაშრომებისთვის მიგვეხედა. ინგლისურის და მთავრობის გაკვეთილებმა ბუნდოვნად ჩაიარა, რადგან ვნერვიულობდი როგორ ამეხსნა რაღაცეები ჯესიკასთვის და ვიტანჯებოდი ედვარდი მართლა მოისმენდა რას ვიტყოდი, ჯესიკას ფიქრების საშუალებით თუ არა. რამდენად მოუქნელი იყო მისი ეს პატარა ნიჭი- როცა ის სიკვდილისგან არ მიცავდა.

ნისლი თითქმის მთლიანად გაიფანტა 2 საათისთვის, მაგრამ დღე ისევ ბნელი იყო დაბალი, შეკუმშული ღრუბლების გამო. მე ცას შევღიმე.

ედვარდი მართალი იყო, რა თქმა უნდა. როცა ტრიგონომეტრიაზე შევედი, ჯესიკა უკანა რიგში იჯდა, თავის გვერდით სკამზე მეპატიჟებოდა. უხალისოდ წავედი მისკენ, რომ გვერდით მივჯდომოდი, ვცდილობდი დამერწმუნებინა ჩემი თავი, რომ აჯობებდა რაც შეიძლება მალე მომეშორებინა თავიდან ეს საქმე.

_ყველაფერი მომიყევი! -მანამ მიბრძანა სანამ დავჯდებოდი

_რა გაინტერესებს?- შევეცადე დამეზუსტებინა

_რა მოხდა გასულ ღამეს?

_მასთან ერთად ვივახშმე, მერე კი სახლში მიმიყვანა

მომაშტერდა, სახე სკეპტიკურ გამომეტყველებას გაეშეშებინა.

_ისე სწრაფად როგორ მიხვედი სახლში?

_შეშლილივით ატარებს მანქანას, ეს შემაძრწუნებელი იყო! - იმედი მქონდა რომ ედვარდი ამას გაიგებდა.

_ეს პაემანი იყო- შენ მას შეუთანხმდი,რომ იქ შეხვდებოდი?

ამაზე არ მიფიქრია

MYTOPBOOK.ORG

_არა- *ძალიან* გამიკვირდა იქ რომ ვნახე.

ტუჩები იმედგაცრუებით აეპრიხა, როცა ჩემს ხმაში აშკარა გულწრფელობამ გაიჟღერა.

_მაგრამ მან დღეს სკოლაში მოგიყვანა?-ჩამეძია.

_ჰო- ესეც ძალიან გამიკვირდა. მან გუშინ ღამით შეამჩნია, რომ ქურთუკი არ მქონდა- ავუხსენი.

_ესიგი კიდევ შეხვდებით?

_მან შემომთავაზა, რომ სიეტლში წამიყვანს შაბათს, რადგან ის ფიქრობს, რომ სათამაშო პიკაპი არ შეეფერება ასეთ მოგზაურობას, ეს ითვლება?

_კი- მან თავი დამიქნია.

_მაშინ, კი, კიდევ შევხვდებით.

_ო-ჰ-ო -სამ მარცვლად გაწელა- ედვარდ კალენი.

_ვიცი- დავეთანხმე. „ოჰო " ეს ის სიტყვა არ იყო, რასაც მე ვფიქრობდი.

_მოიცა!-მისი ხელები ჰაერში აფრინდა, ხელისგულები ჩემსკენ, თითქოს საგზაო მოძრაობას აჩერებდა- მან გაკოცა?

_არა- ჩავიბუტბუტე- არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა

იმედგაცრუებული ჩანდა. დარწმუნებული ვიყავი- მეც ასევე.

_ფიქრობ რომ შაბათს... ?- წარბები აქაჩა.

_ეჭვი მეპარება- უკმაყოფილება ჩემს ხმაში უბადრუკად შევნიღბე.

_რაზე ილაპარაკეთ? -ჩურჩულით გამომკითხა ახალი ინფორმაცია. გაკვეთილი დაიწყო, მაგრამ მისტერ ვარნერი დიდ ყურადღებას არ იჩენდა ჩვენდამი და მარტო მე და ჯესიკა არ ვიყავით მოყაყანეთა შორის.

MYTOPBOOK.ORG

_რავიცი ჯეს, ბევრ რამეზე- ვუჩურჩულე- ცოტა ინგლისურის ესეზეც ვილაპარაკეთ.- ძალიან ძალიან ცოტა. მგონი ედვარდმა წამიერად ახსენა ეს. _გთხოვ,ბელა- შემეხვეწა- წვრილმანები მომიყევი

_კარგი...რაღაცას მოგიყვებიი. უნდა გენახა მიმტანი როგორ ეპრანჭებოდა- ეს უკვე მეტისმეტი იყო. მაგრამ ედვარდი მას საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას.- ნება მივეცი ედვარდს დამტკბარიყო იმაზე ფიქრით, რომ ამით ძალიან მასიამოვნა.

_ეს კარგის ნიშანია-თავი დამიქნია- ლამაზი იყო ის მიმტანი?

_ძალიან- თან ალბათ 19 ან 20 წლის.

_მით უკეთესი. მგონი მართლა მოსწონხარ ედვარდს.

_მეც მასე *ვფიქრობ,* მაგრამ ძნელი სათქმელია. ის, ხომ ყოველთვის ასეთი იდუმალია- მის სასარგებლოდ წამოვისროლე ბოლო ფრაზა, ამოვიხვნეშე.

_არვიცი როგორ მამაცი უნდა იყო, რომ მისთან მარტო დარჩე- ამოისუნთქა მან.

_რატომ?- შოკში ვიყავი, მაგრამ ჯესიკამ ჩემი რეაქცია ვერ გაიგო.

_ის ხომ ასეთი... დამაშინებელია. მე პირადად, სათქმელს თავს ვერ მოვუყრიდი.- ისეთი სახე მიიღო, ალბათ იმდღევანდელ დილას ან გასულ ღამეს იხსენებდა, როცა ედვარდმა დაუძლეველი ძალით გაუყარა თვალი თვალში ჯესიკას.

_მეც ვიბნევი, როცა მის გარემოცვაში ვარ- ვაღიარე.

_ჰო, *ის* ხომ დაუჯერებლად ბრწყინვალეა. -ჯესიკამ მხრები აიჩეჩა, როცა ბზარები ამოავსო, რომელიც ალბათ თავის წიგნში თვითონვე გააკეთა.

_ამაზე გაცილებით ბევრად უცნაურია ედვარდი.

_ჰოო? რაში გამოიხატება მისი უცნაურობა?

ვისურვებდი ამ კითხვაზე თავის არიდების საშუალება მქონოდა. მითუმეტეს,რომ იმედი მქონდა ედვარდი ხუმრობდა მოსმენაზე.

MYTOPBOOK.ORG

_სიმართლე გითხრა ვერ აგიხსნი... ბევრად უფრო დაუჯერებელია სახის მიღმა. -ვამპირი, რომელსაც უნდა კარგი იყოს- რომელიც წინდაუკან დარბის, რომ ადამიანების სიცოცხლე გადაარჩინოს, ვერ იქნება ურჩხული... ოთახის წინ, სიღრმეს მივაშტერდი.

_ეს შესაძლებელია? -ხითხითებდა ჯესიკა.

ყურადღება არ მივაქციე მის ამ რეაქციას და თავი მოვაჩვენე ვითომ მისტერ ვარნერს ვუსმენდი.

_ესეიგი ედვარდი მოგწონს?- თავის დანებებას არ აპირებდა

_ჰო- მოკლედ ვთქვი.

_მინდოდა მეკითხა, *მართლა* მოგწონს? -დაიჟინა.

_ჰო- ვთქვი ისევ, თან გავწითლდი. იმედი მქონდა ეს წვრილმანი მისი ფიქრების სიაში არ აღირიცხებოდა.

ჯესიკას ერთმარცვლიანი პასუხებიც აკმაყოფილებდა.

_როგორ მოგწონს?

_ძალიან.- გადავუჩურჩულე- უფრო მეტად ვიდრე მას მოვწონვარ. მაგრამ არ ვიცი ამ საქმეს რა ეშველება. -ამოვიოხრე, ერთი გაწითლება მეორეში აირია.

შემდეგ კი, საბედნიეროდ, მისტერ ვარნერმა საპასუხოდ გამოიძახა ჯესიკა.

ჯესიკას აღარ მიეცა საშუალება ამ თემაზე ელაპარაკა გაკვეთილის განმავლობაში და როგორც კი ზარი დაირეკა ყურადღება სხვა თემაზე გადავატანინე.

_ინგლისურზე მაიკმა მკითხა რამე ხომ არ გითქვია ორშაბათის საღამოზე.- ვუთხარი მას.

_ხუმრობ?! მერე შენ რა უპასუხე?- ღრმად ამოისუნთქა, ყურადღება უკვე სრულიად გადატანილი იყო.

_ ვუთხარი,რომ შენ თქვი კარგად გავერთეო- ნასიამოვნები ჩანდა.

_მითხარი ზუსტად რა გითხრა და შენი ზუსტი პასუხი!

MYTOPBOOK.ORG

გზის დანარჩენი ნაწილი გადამჭრელი წინადადების აგებულების ახსნაში გავლიეთ, და ესპანურის გაკვეთილის უმეტესი ნაწილი მაიკის სახის გამომეტყველების დაწვრილებით აღწერაში. უფრო გამიადვილდებოდა მაიკის სახის გამომეტყველების დახატვა, იმაზე რომ არ მენერვიულა,რომ სასაუბრო თემა ისევ ჩემზე გადმოვიდოდა.

შემდეგ ლანჩის ზარი დაირეკა. როგორც კი წამოვხტი სკამიდან, უხეშად ჩავტენე წიგნები ჩანთაში, ჩემი ამაღლებული განწყობა ენიშნა ჯესიკას.

_დღეს ჩვენთან ერთად არ დაჯდები, ხომ ასეა?- მიხვდა ის.

_არამგონია.- დარწმუნებული ვერ ვიქნებოდი, რომ ისევ მოუხერხებლად არ გაქრებოდა.

მაგრამ ესპანურის კლასის კარს მიღმა, კედელზე მიყრდნობილი- უფრო ბერძენი ღმერთის მსგავსი ვიდრე სხვა დანარჩენის- ედვარდი მე მელოდებოდა. ჯესიკამ თვალი შეავლო, თვალები დაახამხამა და გავიდა.

_მოგვიანებით გნახავ, ბელა- მისი ხმა სავსე იყო ქვეტექსტებით. ტელეფონზე ზარს გამორთვა მომიწევდა.

_გამარჯობა- კმაყოფილი და ამავდროულად გაღიზიანებული ხმა ჰქონდა. ის ყველაფერს ისმენდა, ეს აშკარა იყო.

_გამარჯობა

სხვაზე არაფრის თქმაზე არ შემეძლო ფიქრი, არც ის ლაპარაკობდა-ვივარაუდე,რომ დროს ზოგავდა- ასე, რომ ჩუმად მივდიოდით კაფეტერიისკენ. ედვარდის გვერდით სიარული გადატვირთულ ლანჩის დროის ციებ-ცხელებაში ამ სკოლაში ჩემს პირველ დღეს გავდა; ყველა მე მიყურებდა.

მწკირივისკენ გამიძღვა, ისევ არაფერი უთქვია, მაგრამ რამდენიმე წუთში ერთხელ გადმომხედავდა ხოლმე, მისი გამომეტყველება საზრიანი იყო. ჩანდა, რომ გაღიზიანებამ დაძლია კმაყოფილება მისი სახეზე. ქურთუკის ელვა შესაკრავს ნერვიულად ვაწვალებდი.

დახლთან მივიდა და ლანგარი საჭმლით აავსო.

_რას აკეთებ?- შევედავე- ეს ყველაფერი ჩემთვის მოგაქვს?

მან თავი გააქნია, თან წინ მიიწევდა, რომ ფული გადაეხადა.

MYTOPBOOK.ORG

_ნახევარი ჩემთვისაა, რა თქმა უნდა

ცალი წარბი ავწიე.

ისევ იქით წავიდა სადაც ერთხელ ერთად ვიჯექით. გრძელი მაგიდის მეორე ბოლოდან უფროსკლასელები გაოცებულები მოგვაშტერდნენ, როცა ერთმანეთის პირდაპირ დავსხედით. ედვარდმა ეს არ შეიმჩნია.

_აიღე რაც გინდა- თქვა მან და ლანგარი ჩემკენ გამოაჩოჩა.

_მაინტერესებს, -ვთქვი, როცა ლანგრიდან ვაშლი ავიღე, და ხელში ვატრიალებდი- რას იზამ თუ ვინმე გაიძულებს საჭმლის ჭამას?

_შენ ყოველთვის რაღაც გაინტერესებს. -სახე დაემანჭა, თავი გააქნია. შემომხედა, თვალში თვალს მიყრიდა, როცა ლანგრიდან პიცის ნაჭერი აიღო განზრახ ჩაკბიჩა ერთი ლუკმა, სწრაფად დაღეჭა, და შემდეგ გადაყლაპა. გაფართოებული თვალებით ვუყურებდი.

_თუ ვინმე ტალახის შეჭმას გაიძულებს, შეძლებ ამის გაკეთებას, ხომ ასეა?- შემწყნარებლურად მკითხა.

ცხვირი შევჭმუხნე.

_ერთხელ შევჭამე... იძულებით- ვაღიარე- არც ისე ცუდი იყო.

მან გაიცინა.

_სულაც არ მიკვირს- რაღაცამ ჩემს მხარს ზემოთ მისი ყურადღება მიიპყრო.

_ჯესიკა ყველაფერს აანალიზებს რასაც მე ვაკეთებ- მოგვიანებით შენთან განიხილავს ამ ყველაფერს. - მან დანარჩენი პიცა ჩემსკენ გამოწია. ჯესიკას ხსენებამ მისი ყოფილი გაღიზიანება დააბრუნა მის სახეზე.

ვაშლი ადგილზე დავაბრუნე და პიცის ნაჭერი ავიღე, თვალს ვარიდებდი ედვარდს, ვიცოდი სადაცაა დაიწყებდა.

_ესეიგი მიმტანი ლამაზი იყო, არა?- სხვათაშორის მკითხა.

_მართლა არ შეგიმჩნევია?

MYTOPBOOK.ORG

_არა, ყურადღება არ მიმიქცევია. ისედაც ბევრი საფიქრალი მქონდა.

_საცოდავი გოგო- ამჯერად საკუთარ თავს ნება მივეცი დიდსულოვანი ვყოფილიყავი.

_რაღაცამ რაც ჯესიკას უთხარი... გამაღიზიანა- მან უარი თქვა დაბნეულობაზე. მშრალი ხმა ჰქონდა და ამომხედა წამწამებს ქვემოდან თავისი შეწუხებული თვალებით.

_არ მიკვირს, რომ რაღაც ისეთი გაიგონე რაც არ მოგეწონა. ალბათ იცი მოყურადეებზე რას ამბობენ ხოლმე- შევახსენე.

_ხომ გაგაფრთხილე, რომ მოგისმენდით.

_მე კი გაგაფრთხილე, რომ ყველაფერ იმის გაგება არ მოგინდებოდა რასაც მე ვფიქრობ.

_გამაფრთხილე- დამეთანხმა, მაგრამ ჯერ კიდევ უხეში ხმა ჰქონდა. - ამის მიუხედავად სრულიად მართალი მაინც არ ხარ. მინდა ყველაფერი ვიცოდე რასაც ფიქრობ- ყველაფერი. უბრალოდ მინდა, რომ... რაღაცეებს მასე არ ფიქრობდე.

მოვიღუშე.

_ეგ სულ სხვა საქმეა.

_მაგრამ ეს ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არ არის.

_მაშინ რა? - ამ დროს მაგიდის მოპირდაპირე გვერდებიდან ერთმანეთისკენ გადახრილები ვიყავით.მას თავისი დიდი თეთრი ხელები ნიკაპის ქვეშ გადაეჭდო ერთმანეთზე. მე წინ ვიყავი გადახრილი, მარჯვენა ხელი ყელზე მქონდა მოხვეული. ჩემი თავისთვის დამჭირდა შეხსენება, რომ ხალხით გადაჭედილ კაფეტერიაში ვისხედით და ალბათ რამდენიმე ცნობისმოყვარე თვალიც ჩვენსკენ იყო მოპყრობილი. ძალიან ადვილი იყო ჩვენს საიდუმლოში თავით გადაშვება, ცოტა დაძაბული ბუყბუყით.

_მართლა გჯერა, რომ შენ მეტად მოგწონვარ ვიდრე მე?- ჩამოარაკრაკა მან. ჩემსკენ ახლოს გადმოიხარა როცა ეს მითხრა, მისმა მუქმა ოქროსფერმა თვალებმა განმგმირა.

ვეცადე გამეხსენებინა როგორ ამომესუნთქა. მისთვის თვალის არიდება დამჭირდა ამისთვის.

_ისევ იგივეს აკეთებ- ჩავიბუტბუტე

MYTOPBOOK.ORG

თვალები გაოცებისგან გაუფართოვდა

_რა?

_თვალს მჭრი მომხიბლველობით- ვაღიარე, ვეცადე ყურადღება მის ზურგს უკან ყურებაზე გადამეტანა.

_ა- წარბები შეჭმუხნა.

_შენი ბრალი არაა- ამოვიოხრე- ამას ვეღარაფერს უშველი

_ჩემ კითხვაზე პასუხის გაცემას არ აპირებ?

დაბლა დავიხედე.

_კი

_კი, პასუხის გაცემას აპირებ, თუ კი, შენ მართლა მასე ფიქრობ?- ისევ გაღიზიანებული იყო.

_კი, მე მართლა ასე ვფიქრობ.- ისევ მაგიდის ქვეშ ვიყურებოდი. ჩემი თვალები ლინოლიუმზე დახატულ ხის მარცვლებს უთვალთვალებდა. სიჩუმე ჩამოწვა. მე ჯიუტად ვამბობდი უარს ამჯერადაც მე დამერღვია პირველს ეს სიჩუმე, მაგრად ვებრძოდი ცდუნებას თვალი შემევლო მისი გამომეტყველებისთვის.

ბოლოსდაბოლოს მან დაილაპარაკა, ხავერდოვანი რბილი ხმა ჰქონდა.

_ შენ ცდები

ამოვიხედე რომ დამენახა როგორ თვინიერი მზერა ჰქონდა.

_შენ ეს ზუსტად ვერ გეცოდინება- ჩურჩულით შევეწინააღმდეგე. ეჭვით გავაქნიე თავი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გული მის სიტყვებზე პულსირებდა და ასე საზიზღრად მინდოდა მათთვის დამეჯერებინა.

_რატომ ფიქრობ ასე? - მისი წყლიანი ტოპაზის თვალები, გამჭოლად ანათებდნენ-მეჩვენებოდა, რომ ამაოდ ცდილობდნენ, ჩემი გონებიდან სიმართლე პირდაპირ გადმოექაჩათ.

ისევ სახეზე შევხედე, ვიბრძოდი რომ მის ჯიბრზე ნათლად მეფიქრა, მომეფიქრებინა რამე ისეთი რითაც ავხსნიდი რატომ ვფიქრობდი ასე. სიტყვებს ვეძებდი საამისოდ, მას

MYTOPBOOK.ORG

მოუთმენლობა დაეტყო. გუნება გავუფუჭე ჩემი სიჩუმით, შევატყვე იღუშებოდა. ყელიდან ავიღე ხელი და ერთი თითი ავწიე.

_მოდი, დავფიქრდეთ- დავიჟინე. გამომეტყველება გადაეწმინდა, ახლა კმაყოფილი ჩანდა რადგან მისთვის პასუხის გაცემას ვგეგმავდი. ხელი მაგიდაზე დავდე, მარცხენა ხელი ისე გავწიე, რომ ჩემი ხელისგულები ერთმანეთზე ყოფილიყო გადაჭდობილი. ჩემს ხელებს ჩავაშტერდი, მოვუჭერდი და გავუშვებდი თითებს, როცა ბოლოსდაბოლოს დავილაპარაკე.

_აშკარა ფაქტების გარდა, ზოგჯერ...- შევყოყმანდი- მე რა თქმა უნდა დარწმუნებული ვერ ვიქნები- მე ხომ აზრების კითხვა არ შემიძლია- მაგრამ მგონია, რომ ცდილობ მითხრა მშვიდობით, მაშინ როცა სულ სხვა რამეს ამბობ. - ეს საუკეთესო სიტყვები იყო რომელიც მომაფიქრდა იმ ტანჯვის გრძნობის გამოასახატავად, რომელიც ხშირად მეუფლებოდა.

_მიხვედრილი ხარ- დაიჩურჩულა მან და მე ისევ გავიგონე მასში ტანჯვა, როცა ჩემი შიში დაადასტურა.-მიუხედავად ამისა, სწორედ მაგიტომ ცდები.-დაიწყო მან ახსნა, მაგრამ თვალები დაუვიწროვდა- რას გულისხმობდი „აშკარა ფაქტებში "?

_შემომხედე- ვუთხარი თუმცა, არც იყო საჭირო რადგან ის ისედაც მე მიყურებდა- მე სრულიად ჩვეულებრივი ვარ- თუ არ ჩავთვლით უარყოფით რაღაცეებს, ვთქვათ როგორიცაა სიკვდილთან-მიახლოებული გამოცდილებები და ისეთი მოუქნელი ვარ, თითქმის უუნარო. და შემდეგ შენ თავს შეხედე- ხელი მისკენ და მისი გამაოგნებელი სრულყოფილებისკენ გავიქნიე.

ერთ წუთს წარბი გაბრაზებით შეეჭმუხნა, შემდეგ ხელი მოისვა როცა მისმა თვალებმა ჩვეული გამოხედვა დაიბრუნეს.

_იცი, შენ თავს სათანადოდ არ ახასიათებ. ვაღიარებ, რომ მართალი თქვი სიკვდილთან დაკავშირებულ უარყოფით მახასიათებლებზე.- ბოროტად ჩაიქირქილა- მაგრამ შენ არ იცი ამ სკოლის ყველა მამრობითი სქესის ადამიანი რას ფიქრობდა შენზე პირველ დღეს.

განცვიფრებულმა დავახამხამე თვალები

_არ მჯერა...- ჩავიბუტბუტე ჩემთვის.

_დამიჯერე, ამ ერთხელ მაინც,- ჩვეულებრივი ნამდვილად არ ხარ.

MYTOPBOOK.ORG

გაოცება უფრო ძლიერი იყო ვიდრე სიამოვნება როცა ვხედავდი რა გამომეტყველებით მეუბნებოდა ამას. სასწრაფოდ შევახსენე ჩემი პირველადი არგუმენტი.

_ მაგრამ მე არ ვცდილობ დამშვიდობებას. -შევნიშნე

_ ვერ ამჩნევ? აი, რა ამტკიცებს ჩემს სიმართლეს. თუ მე დამშვიდობება შემიძლია ეს ნიშნავს, რომ მე უფრო მეტად ვღელავ შენზე. -თავი გააქნია, ჩანდა რომ თავის ფიქრს ებრძოდა- თუ დაშორება აუცილებელია, ჩემს თავს მივაყენებ ტანჯვას,რომ ტანჯვისგან დაგიცვა, შენს სიცოცხლეს საფრთხე არ შევუქმნა.

თვალი თვალში გავუყარე.

_შენ გგონია მე არ ვიზამდი მაგას?

_შენ არასოდეს გახდები იძულებული არჩევანი გააკეთო.

უეცრად, გაურკვეველი განწყობა ისევ შეეცვალა; ცელქმა, გამანადგურებელმა ღიმილმა ხელახლა მოაწესრიგა მისი ნაკვთები.

_რა თქმა უნდა შენი დაცვა სრულ-დროიან საქმიანობას გავს, რომელიც მუდმივად მოითხოვს ჩემს მეთვალყურეობას.

_დღეს არავის დაუპირებია ჩემთვის რაიმეს დაშავება -შევახსენე, თან მადლიერი ვიყავი რომ საუბარი ოფრო მსუბუქ თემაზე გადავიდა. აღარ მინდოდა მასთან კიდევ მელაპარაკა დამშვიდობებებზე. თუ მაინც აუცილებელი იქნებოდა ეს, ვიფიქრე, რომ სპეციალურად ჩავიგდებდი თავს საფრთხეში რომ მასთან ახლოს ვყოფილიყავი... სანამ მისი მახვილი თვალი ამ ფიქრებს სახეზე შემატყობდა მანამდე განვდევნე ისინი. aმ აზრმა ნამდვილად გასაჭირში ჩამაგდო.

_ჯერ- დაამატა მან.

_ჯერ- დავეთანხმე მე. უნდა დამესაბუთებინა, მაგრამ ახლა მინდოდა მოსალოდნელი კატასტროფებისთვის მზად ყოფილიყო.

_კიდევ მაქვს შენთან შეკითხვა- ისევ შემთხვევითი სახე ჰქონდა.

_გისმენ.

MYTOPBOOK.ORG

_მართლა აუცილებლად უნდა წახვიდე სიეტლში, თუ უბრალოდ საბაბი იყო, რომ შენი თაყვანისმცემლებისთვის უარის თქმა აგეცილებინა თავიდან?

მოგონებები წამომიტივტივდა.

_იცი, ჯერ კიდევ არ მიპატიებია შენთვის ტაილერთან დაკავშირებული ამბავი.-გავაფრთხილე- შენი ბრალია, რომ ახლა თავს იტყუებს თითქოს მასთან ერთად მივდივარ გამოსაშვებ საღამოზე.

_კარგი რა, მას უჩემოდაც მიეცემოდა შემთხვევა, რომ შენ დაეპატიჟებინე- მე უბრალოდ მინდოდა ამ დროს შენი სახე მენახა. -ჩაიხითხითა. უფრო მეტად გავბრაზდებოდი ასე მომხიბლველად რომ არ გაეცინა. -მე რომ დამეპატიჟე, *მეც* უარს მეტყოდი?-მკითხა თან ისევ თავისთვის იცინოდა.

_ალბათ არა- ვაღიარე-მაგრამ მერე გავაუქმებდი ჩემს თანხმობას- ან ცრუ ავადმყოფობას ან დაჭიმულ კოჭს მოვიმიზეზებდი.

საგონებელში ჩავარდა.

_რატომ?

მწუხარედ გავაქნიე თავი.

_მგონი არასდროს გინახივარ სპორტდარბაზში, მაგრამ იმედი მაქვს მაინც მიხვდები.

_გინდა განაცხადო, რომ არ შეგიძლია სიბრტყეზე, მყარ ზედაპირზე ისე სიარული რომ რამე საფრთხეს არ გადაეყარო?

_აშკარად.

_ეს პრობლემა არ იქნებოდა- ძალიან თავდაჯერებულმა თქვა- მთავარია ვინ ხელმძღვანელობს- დაინახა, რომ შეწინააღმდეგებას ვაპირებდი და გამაჩერა- მაგრამ მაინც არ მიპასუხე- გადაწყვეტილი გაქვს სიეტლში წასვლა თუ არ ხარ წინააღმდეგი, რომ სხვა რამე გავაკეთოთ?

როცა შევამჩნიე რომ მის წინადადებაში აღნიშნული იყო „ჩვენ “,დანარჩენს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

MYTOPBOOK.ORG

_ალტერნატივებისთვის მზად ვარ- დავუშვი-მაგრამ მოწყალება მოიღე, რაღაც უნდა გთხოვო.

ფრთხილი გამომეტყველება ქონდა, როგორც ყოველთვის როცა დაუმთავრებელ კითხვებს ვსვამდი.

_გისმენ

_შეიძლება მე ვატარო?-წარბები შეიჭმუხნა

_რატომ?

_ნუ, უმეტესწილად იმიტომ, რომ როცა ჩარლის ვუთხარი რომ სიეტლში მივდიოდი, მან თავისმხრივ მკითხა მარტო მივდიოდი თუ არა და იმ დროისთვის ასეც იყო. კიდევ რომ ეკითხა ალბათ არ მოვატყუებდი, მაგრამ არამგონია კიდევ მკითხოს, და პიკაპის სახლში დატოვება სალაპარაკო თემის უაზროდ წამოჭრა იქნება. და კიდევ იმიტომ, რომ შენი ტარება მაშინებს.

თვალები შეარხია.

_რაც მე მეხება წესით ყველაფერი უნდა გაშინებდეს, შენ კი ჩემ ტარებაზე ღელავ. -ზიზღით გააქნია თავი, მაგრამ მისი თვალები მალევე გახდა სერიოზული- არ გინდა რომ მამაშენს უთხრა დღეს ჩემთან ერთად რომ გაატარებ?- მის კითხვაში ქვეტექსტები იყო, რომელიც მე ვერ გავიგე.

_ჩარლი ბუზს სპილოდ აქცევს- ამაში დარწმუნებული ვიყავი- ასეა თუ ისე სად მივდივართ?

_კარგი ამინდი იქნება, ამიტომ საზოგადოების თვალისგან შორს მომიწევს ყოფნა... და თუ გინდა ამ დროს შეგიძლია ჩემთან იყო. -ის ისევ მიტოვებდა არჩევანის საშუალებას.

_და მაჩვენებ რა გემართება მზესთან დაკავშირებით?- ვკითხე უცნობების გარეშე ყოფნის იდეით აღფრთოვანებულმა.

_ჰო-გაიღიმა და გაჩერდა- მაგრამ შენ თუ არ გინდა... ჩემთან მარტო დარჩენა, ისევ გირჩევ რომ მარტო ნუ წახვალ სიეტლში. მაძრწოლებს იმაზე ფიქრი, რომ ამხელა ზომის ქალაქში რამდენ უბედურებას შეიძლება გადაეყარო.

გავღიზიანდი.

MYTOPBOOK.ORG

_ფენიქსი სიეტლზე სამჯერ დიდია- ჯერ მარტო მოსახლეობით. ფიზიკური ზომით კი__

_მაგრამ იმ დროს აშკარად- შემაწყვეტინა- არ ეჩხეებოდი ამდენ უბედურებას ფენიქსში. ამიტომ მირჩევნია ჩემთან ახლოს იყო- მის თვალებში ისევ ბჟუტავდა უსამართლობა.

მე არ შემეძლო არგუმენტების მოყვანა ან თვალებით დასაბუთება, ეს მაინც სადავო საკითხი იყო.

_თუ ასეა, შენთან მარტო დარჩენის წინააღმდეგი არ ვარ.

_ვიცი- ჩაფიქრებულმა ამოიოხრა- მაგრამ ჩარლის მაინც უნდა უთხრა.

_რატომ უნდა გავაკეთო ეს?

უცებ მძვინვარე თვალები გაუხდა.

_რომ რაიმე პატარა მიზეზი მაინც მქონდეს რომ სახლში დაგაბრუნო

ნერწყვი ხარბად გადავყლაპე, მაგრამ 1 წუთის ფიქრის შემდეგ, ჩემს გადაწყვეტილებაში უკვე დარწმუნებული ვიყავი.

_ შემთხვევას არ გავუშვებ ხელიდან

გაბრაზებულმა ამოიოხრა და განზე გაიხედა.

_მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ-შევთავაზე.

_რაზე გინდა რომ ვილაპარაკოთ? - მკითხა. ჯერ კიდევ გაღიზიანებული იყო.

მიმოვიხედე, დავრწმუნდი, რომ არავინ გვისმენდა. თვალი რომ მოვავლე ოთახს, მისი დის, ელისის მზერა დავიჭირე, მე მიყურებდა. დანარჩენი კალენები ედვარდს უყურებდნენ. სასწაფოდ მოვაცილე მათ მზერა და დავსვი პირველივე შეკითხვა რომელიც თავში აზრად მომივიდა.

_რატომ იყავი გოუთ როკის მიდამოებში ამ შაბათ-კვირას...სანადიროდ? ჩარლიმ თქვა რომ დათვების გამო ეს არც ისე კარგი ადგილია ექსკურსიებისთვის.

ისე შემომხედა თითქოს რაღაც ძალიან აშკარა გამოვტოვე.

MYTOPBOOK.ORG

_დათვებიც?- მძიმედ ამოვისუნთქე, მან თავდაჯერებულად გაიღიმა- იცი, დათვებზე ნადირობის სეზონი ჯერ არ დაწყებულა- მკაცრად დავამატე, რომ ჩემი შეძრწუნება დამემალა.

_თუ ყურადღებით წაიკითხავ შეამჩნევ, რომ კანონები მხოლოდ იარაღით ნადირობას ეხება- მაცნობა.

ჩემს სახეს სიამოვნებით უყურებდა, რომელიც ნელა გამოესახა სახეზე.

_დათვები?- ძნელად გავიმეორე.

_გრიზლი ყველაზე მეტად უყვარს ემეტს- ისევ იმპროვიზირებული ხმა ჰქონდა, მაგრამ მისი თვალები ყურადღებით შეისწავლიდნენ ჩემს რეაქციას. შევეცადე თავი ხელში ამეყვანა.

_ჰმმმ -ვთქვი და პიცის კიდევ ერთი ნაჭერი ავიღე, რომ დაბლა დასახედად მიზეზი მქონოდა. ნელა დავღეჭე და შემდეგ ამოუხედავად მოვსვი კოკა-კოლას დიდი ყლუპი.

_აბა?- ვთქვი რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა საბოლოოდ წავაწყდი მის ამჯერად-აღელვებულ მზერას- შენ რა გიყვარს ყველაზე მეტად?

წარბი აწია და მისი ტუჩის კუთხეები უკმაყოფილოდ დაეშვა.

_პუმა.

_აა, - ვთქვი ზრდილობიანი დაუინტერესებელი ტონით, ისევ ჩემს სასმელს დავხედე.

_რა თქმა უნდა- თქვა, ჩემი ტონი მისაზე აისახა- დიდ სიფრთხილეს ვიჩენთ რომ წინდაუხედავ ნადირობაში არ გამოგვიჭირონ. ვცდილობთ ისეთ ადგილებში ვინადიროთ სადაც დიდი რაოდენობით მტაცებლები ბინადრობენ- სადამდეც გვჭირდება იქამდე ვდენით მათ. ირემი და ცხენირემი აქ ყოველთვის ბევრია და მათზეც ვნადირობთ, მაგრამ რა არის ამაში სახალისო?- გამოჯავრებით გამიღიმა.

_მართლაცდა- ამოვიბუტბუტე პიცის კიდევ ერთი ლუკმიდან.

_ადრეული გაზაფხული ემეტის საყვარელ დათვზე ნადირობის სეზონია- სწორედ იმ დროს გამოდიან ზამთრის ძილიდან და ამიტომ უფრო მეტად გაღიზიანებულები არიან ვიდრე სხვა დროს. -გაეღიმა ძველი ხუმრობის გახსენებაზე.

_გაღიზიანებულ გრიზლიზე სახალისო რა არის? ჰაჰ! -თავის დაქნევით დავეთანხმე.

MYTOPBOOK.ORG

თავის ქნევით ახითხითდა.

_გთხოვ მითხარი სინამდვილეში რას ფიქრობ.

_ვცდილობ წარმოვიდგინო, მაგრამ არ შემიძლია-ვაღიარე- იარაღის გარეშე როგორ ნადირობთ?

_ოო, ჩვენ გვაქვს იარაღი-წამით გამოანათა თავისი ნათელი კბილები მუქარის გამომხატველ ღიმილში. დროზე შევიკავე თავი სანამ გამაკანკალებდა.- მაგრამ არა ისეთი, რომელიც ნადირობის კანონების წერის დროს გაითვალისწინეს. თუ ნანახი გაქვს ტელევიზორში დათვის თავდასხმა, მაშინ შეგიძლია ცხადად წარმოიდგინო ემეტის ნადირობა.

ამჯერად ვეღარ შევიკავე კანკალი, რომელმაც ხერხემალში დამიარა. მზერით სწრაფად გავკვეთე კაფეტერია ემეტისკენ, მადლობელი ვიყავი, რომ ის ჩემსკენ არ იყურებოდა. კუნთის მსხვილი რგოლები,რომლებიც მკლავებზე და სხეულზე ჰქონდა შემოხვეული, ახლა როგორღაც უფრო საშიშად გამოიყურებოდა.

ედვარდმა ჩემს მზერას გააყოლა თვალი და ჩაიხითხითა. მას შევხედე ნირწამხდარმა.

_შენც დათვს გავხარ?- ვკითხე ხმადაბლა.

_უფრო მეტად პუმას, როგორც მეუბნებიან- მსუბუქად თქვა- ალბათ ჩვენი უპირატესობები მიანიშნებს ამაზე.

შევეცადე გამეღიმა.

_ალბათ - გავიმეორე, მაგრამ ჩემი გონება სავსე იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო სურათებით რომელთა შეერთებაც მე არ შემეძლო- ესეც ისეთი რამაა რაც აუცილებლად უნდა ვნახო?

_არავითარ შემთხვევაში!- სახე ჩვეულებრივზე მეტად გაუთეთრდა, და თვალები უცებ მძვინვარე გაუხდა. უკან გადავიხარე, შეცბუნებული და - არასდროს ვაღიარებდი მასთან- მისი რეაქციით შეშინებული. ისიც უკან გადაიხარა, თან მკერდისკენ მოხარა მხრები.

_ჩემთვის მეტისმეტად საშიში იქნება?- ვკითხე როცა ჩემი ხმის დამორჩილება შევძელი.

_ასე რომ ყოფილიყო ამაღამ წაგიყვანდი მაგის სანახავად- გამჭოლი ხმით თქვა- შიშის ჯანსაღი დოზა ნამდვილად მოგიხდებოდა. ამაზე სასარგებლო ვერაფერი იქნება შენთვის.

MYTOPBOOK.ORG

_მაშინ რატომ არ მაჩვენებ?- ჩავაცივდი, შევეცადე ყურადღება არ მიმექცია მისი გაბრაზებული გამომეტყველებისთვის.

კარგა ხანს დაჟინებით მიყურებდა.

_მოგვიანებით გეტყვი- თქვა მან ბოლოს. ერთი მოქნილი მოძრაობა და უკვე ფეხზე იდგა- ვაგვიანებთ

გარშემო მიმოვიხედე, გამიკვირდა როცა მივხვდი რომ ის მართალი იყო და კაფეტერია თითქმის ცარიელი იყო. როცა მასთან ერთად ვიყავი დრო და ადგილი ისეთი არეული ბუნდოვანება იყო, რომ სრულიად დავიკარგე ორივეს ნაკვალევში. წამოვხტი,სკამის საზურგეზე გადაკიდებულ ჩემს ჩანთას მოვავლე ხელი.

_მოგვიანებით იყოს- დავეთანხმე. არ დამავიწყდება.

AA

თავი მეთერთმეტე

სირთულეები

ყველა ჩვენ გვიყურებდა როცა ერთად მივაბიჯებდით ბიოლოგიის კაბინეტში მერხისკენ. შევამჩნიე, რომ მას აღარ გაუწევია სკამი მაგიდის

MYTOPBOOK.ORG

კუთხისკენ რომ რაც შეიძლება შორს დამჯდარიყო ჩემგან. პირიქით, საკმაოდ ახლოს დაჯდა ჩემს გვერდით, ჩვენი მკლავები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს.

შემდეგ მისტერ ბანერი შემოვიდა ოთახში-ეს კაცი რა საუცხოოდ შეარჩევს ხოლმე დროს- ბორბლებზე შემდგარ ლითონის ჩარჩოს მოაგორებდა, რომელიც საკმაოდ მძიმედ გამოიყურებოდა. ძველი ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი იყო. ფილმის დღე- ეს მთელი კლასისთვის ხელშესახები ფაქტი იყო. კასეტა უღიმღამო მაგნიტოფონში ჩატენა და კედლისკენ წავიდა რომ სინათლეები ჩაექრო.

შემდეგ კი, როგორც კი დაბნელდა ოთახში, მივხვდი, რომ ედვარდი ჩემგან ერთ დიუმზე ახლოს იჯდა. გაბრუებული ვიყავი მოულოდნელი იმპულსებით რომლებიც ჩემში მიედინებოდა, გაოცებული, რომ შესაძლებელი იყო უფრო მეტად შემეგნო ის ვიდრე უკვე მყავდა შეგნებული. შეშლილმა იმპულსმა, რომ მიმეღწია და შევხებოდი, რომ მხოლოდ ერთხელ სიბნელეში ხელი გადამესვა მის სრულყოფილ სახეზე თითქმის წამლეკა. მკლავები მჭიდროდ გადავიჯვარედინე მკერდზე, ხელები მუშტებად მიმრგვალდებოდა. თავს ვკარგავდი.

შესავალი ტიტრები დაიწყო, რომელიც წარწერებით ანათებდა ოთახს. მათ ყველა განათებაზე თვალები ედვარდისკენ მეპარებოდა. სულელურად გავიღიმე, როცა მივხვდი, რომ ისიც ჩემსავით იქცეოდა, ხელები მკლავებს ქვემოდან ემუშტებოდა, თვალებიც ზუსტად გვერდულად მიტოლდებოდა. მანაც გამიღიმა, მისი თვალები როგორღაც სიბნელეშიც კი ბჟუტავდა. სხვა მხარეს გავიხედე სანამ სუნთქვა გამიხშირდებოდა. სრულიად სასაცილო იყო, ის ფაქტი რომ ამის გამო თავბრუსხვევას ვგრძნობდი.

ერთი საათი თითქოს გაიწელა. ყურადღება ვერაფრით გადამქონდა ფილმზე- ისიც კი არ ვიცოდი რა თემაზე იყო. წარუმატებლად ვცდილობდი მოდუნებას, მაგრამ ელექტრული დინება, რომელიც როგორღაც მისი სხეულიდან მოედინებოდა, არ სუსტდებოდა. შემთხვევით მივეცი ჩემ თავს ნება მზერა მეტყორცნა ამ დინების

MYTOPBOOK.ORG

მიმართულებით, მაგრამ არც ის ჩანდა მოდუნებული. არც შეხების დაუძლეველი სურვილი აპირებდა დანებებას, უვნებლად მივისრისე ნეკნებზე მუშტები, თან თითები მტკიოდა ამ ძალისხმევისგან.

შვებით ამოვისუნთქე როცა მისტერ ბანერმა გაკვეთილის ბოლოს ისევ აანთო სინათლეები და მკლავები წინ გამოვჭიმე და გახევებული თითები მოვხარე. ედვარდმა ჩაიცინა ჩემს გვერდით.

–საინტერესო იყო- ჩაიბუტბუტა. ბნელი ხმა და ფრთხილი თვალები ჰქონდა.

– მმმ...-სულ ეს იყო რისი თქმაც შევძელი.

–წავიდეთ?- მკითხა მან, მოქნილად წამოდგა.

კინაღამ ამოვიკვნესე. სპორტ-დარბაზში წასვლის დრო იყო. ფრთხილად ავდექი, წონასწორობაზე ვღელავდი, რომელიც ალბათ ჩვენს შორის არსებული დაძაბულობით დარღვეული იქნებოდა.

მან ჩემი შემდეგი გაკვეთილის კლასთან უხმოდ მიმაცილა და კართან გაჩერდა. შემოვბრუნდი რომ დავმშვიდობებოდი. მისმა სახემ გამაოცა- მოღუშული გამომეტყველება ჰქონდა, თითქმის ნატანჯი და ისე მძვინვარედ ლამაზი, რომ მტანჯველი სურვილი რომ შევხებოდი ისევ განმიახლდა. ჩემი დამშვიდობება ყელში გამეჩხირა.

ხელი აწია, ყოყმანობდა, წინააღმდეგობა ბობოქრობდა მის თვალებში და შემდეგ სწრაფად ჩამომისვა ღაწვებზე თითის წვერები. კანი როგორც ყოველთვის გაყინული ჰქონდა, მაგრამ კვალი რომელიც მისმა თითებმა დატოვა ჩემს კანზე ამაღელვებლად ცხელი იყო- თითქოს ვიწვოდი, მაგრამ მისგან ჯერ-ჯერობით არ ვგრძნობდი ტკივილს.

უსიტყვოდ შებრუნდა და სწრაფად გაიარა.

სპორტ-დარბაზში შევედი, თავბრუდახვეული და მერყევი. გასახდელისკენ გავწიე, თავს ტრანსის მსგავს მდგომარეობაში ვგრძნობდი როცა ტანსაცმელს ვიცვლიდი, მხოლოდ გაურკვევლად ვხვდებოდი, რომ ჩემს გარშემო სხვა ხალხიც იყო. ჯერ კიდევ

MYTOPBOOK.ORG

სრულიად არ ვიყავი რეალობაში დაბრუნებული ჩოგანი რომ ავიღე. მძიმე არ იყო, თუმცა არასაიმედო ჩემს ხელში. დავინახე რამდენიმე ბავშვმა ფარულად რომ გადმომხედა. მწვრთნელმა ტაშის კვრით გვანიშნა რომ წყვილებად დავჯგუფებულიყავით.

საბედნიეროდ, მაიკს სიმამაცის ნაკვალევი ჯერ კიდევ შემორჩენოდა; მოვიდა რომ ჩემს გვერდით დამდგარიყო.

–გინდა შენი მეწყვილე ვიყო?

–მადლობ, მაიკ, მაგრამ ხომ იცი შენთვისვე აჯობებს თუ ასე არ მოვიქცევით- მობოდიშებით დავჭყანე სახე.

–მაგაზე ნუ იდარდებ. როგორმე გაგიმკლავდები- გამიკრიჭა. ზოგჯერ ისეთი საყვარელი იყო მაიკი.

ყველაფერი არც ისე კარგად წავიდა. როგორღაც ვახერხებდი ერთი მოქნევით თავშიც მომერტყა ჩოგანი და მაიკის მხარიც გამენგრია. საათის დარჩენილი ნაწილი კორტის უკანა კუთხესთან გავატარე, ჩოგანი ზურგსუკან მეჭირა უსაფრთხოდ. მიუხედავად იმისა,რომ მაიკი მე დამიპირისპირეს, ის მაინც კარგად თამაშობდა; 4დან 3 გეიმი მოიგო ცალხელამ. მეხუთე მოუმზადებელი ჩაწოდება გამიკეთა როცა ბოლოსდაბოლოს მწვრთნელმა სასტვენში ჩაბერა გაკვეთილის ბოლოს.

–ესეიგი, -თქვა როცა კორტიდან გამოვდიოდით.

–რა?

–შენ და კალენი არა?- მეამბოხური ტონით მკითხა. ჩემი წინა გრძნობა რომ მაიკი საყვარელი იყო გაქრა.

–ეს შენი საქმე არ არის, მაიკ, -გავაფრთხილე, შინაგანად ვწყევლიდი ჯესიკას პირდაპირ ჰადესის ცეცხლოვანი ორმოებით.

–არ მომწონს ეს ყველაფერი,-მაინც ჩაიბუტბუტა.

–არც ხარ ვალდებული მოგწონდეს, -სწრაფად ვუპასუხე.

MYTOPBOOK.ORG

–ისე გიყურებს... თითქოს საჭმელი იყო- გააგრძელა მან, ჩემი პასუხისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ისტერიამ დამახრჩო,რომელიც იმუქრებოდა რომ აფეთქდებოდა, მაგრამ პატარა ჩახითხითებამ მაიძულა *გავცლოდი* ჩემი ძალისხმევის მიუხედავად. ის დაჟინებით მიყურებდა. ხელი დავუქნიე და გასახდელში გასვლით ვუშველე თავს.

სწრაფად გამოვიცვალე, რაღაც პეპლებზე ძლიერი მიბრახუნებდა უგუნურად მუცლის კედლებზე, ჩემი მოსაზრება მაიკთან ერთად შორეულ მეხსიერებაში იყო. მაინტერესებდა ედვარდი მელოდებოდა, თუ მის მანქანასთან უნდა შევხვედროდი. მისი ოჯახიც იქ რომ ყოფილიყო? ნამდვილი ძრწოლის ტალღა ვიგრძენი. მიხვდებოდნენ რომ ყველაფერი ვიცოდი? მივხვდებოდი რომ ისინი მიხვდნენ რომ ყველაფერი ვიცოდი, თუ არა?

ამ დროს სპორტ-დარბაზიდან გამოვაბიჯე, უკვე გადავწყვიტე, რომ პირდაპირ სახლში წავიდოდი მანქანის სადგომისკენ გახედვის გარეშე. მაგრამ ჩემი ღელვა უსაფუძვლო იყო. ედვარდი მელოდებოდა, განსაცვიფრებელი სახე ამჯერად მშვიდი იყო. მასთან რომ მივედი სიმსუბუქის განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა.

–გამარჯობა,- უზარმაზარი ღიმილით ვთქვი.

–გამარჯობა,- მისი საპასუხო ღიმილი ბრწყინვალე იყო- რა ხდებოდა სპორტ-დარბაზში?

თითქოს სახე დამიპატარავდა.

–ყველაფერი მშვენივრად იყო- მოვიტყუე

–ნუთუ?-არადამაჯერებლად მკითხა. მისი თვალები უმნიშვნელოდ გადაადგილდა ფოკუსიდან, ჩემს მხარსზემოთ იყურებოდა და ვიწროვდებოდა. უკან მივიხედე და მიმავალი მაიკის ზურგი დავინახე.

–რა?- ჩავაცივდი

MYTOPBOOK.ORG

მისი მზერა ისევ ჩემ თვალებზე გადმოსრიალდა, თვალები ისევ დავიწროებული ჰქონდა.

–ნიუტონი ჩემ ნერვებზე თამაშობს

–ისევ გვისმენდი?-საშინლად აღშფოთებული ვიყავი. ჩემი უეცარი კარგი იუმორის ნაკვალევი გაქრა.

–თავი როგორ გაქვს?- მიამიტად მკითხა.

–წარმოუდგენელი ვინმე ხარ!- შევბრუნდი და მანქანის სადგომის საერთო მიმართულებით გავაბოტე, თუმცა ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი იქ წასვლა.

ადვილად დამეწია.

–შენ ხომ მითხარი რომ სპორტ-დარბაზში როგორი ხარ არ მაქვს ნანახი,- ხოდა ძალიან დამაინტერესა. - არც ისე მომნანიებელი ადამიანის ხმა ჰქონდა, ამიტომ ყურადღება არ მივაქციე.

ჩუმად მივდიოდით მისი მანქანისკენ- მძვინვარე, შეცბუნებული დუმილი იყო ჩემის მხრიდან. მაგრამ მანქანამდე რამდენიმე ნაბიჯში გაჩერება მომიწია- ბიჭების ბრბო მას შემოხვეოდა გარშემო.

შემდეგ მივხვდი, რომ სინამდვილეში ვოლვოს კი არა როზალის წითელ კაბრიოლეტს ეხვეოდნენ, თვალებში უეჭველი შური იგრძნობოდა მანქანის პატრონის მიმართ. არავის მიუქცევია ყურადღება ედვარდისთვის, რომელიც მათ შორის გასხლტა, რომ თავისი მანქანის კარი გაეღო. სწრაფად შევძვერი მგზავრის ადგილზე ედვარდის მანქანაში, ისევ არავის მოუქცევია ყურადღება.

–განსაკუთრებული,- ჩაიბუტბუტა.

–რა მანქანაა?-ვკითხე.

– An M3-ია

MYTOPBOOK.ORG

–მოდელი არ მიკითხია, მარკაზე გკითხე

– BMW-ა.-თვალები შეარხია, მე არ მიყურებდა, ცდილობდა ისე დაეხია უკან მანქანა, რომ კაბრიოლეტის მოყვარულები არ გაეტანა.

თავი დავუქნიე- ამ მარკის მანქანების შესახებ მსმენოდა.

–ისევ გაბრაზებული ხარ?- მკითხა ფრთხილად, როცა მანქანა გამოიყვანა.

–ნამდვილად.

მან ამოიოხრა.

–თუ ბოდიშს მოგიხდი მაპატიებ?

–შეიძლება...თუ მოინანიებ. *და* შემპირდები, რომ აღარ გაიმეორებ ამას. -დავიჟინე.

თვალები უცებ დაუვიწროვდა.

–და იმაზე რას იტყვი, თუ მოვინანიებ *და* დაგთანხმდები იმაზე, რომ შაბათს შენ ატარო მანქანა? -ჩემ პირობებს დაუპირისპირდა.

განვიხილე მისი წინადადება და გადავწყვიტე, რომ ალბათ ამაზე კარგ შემოთავაზებას ვერ მივიღებდი.

–კარგი,- დავეთანხმე.

–მაშინ, მაპატიე რომ ხასიათი გაგიფუჭე.-რამდენიმე გაჯანჯლებული წუთის განმავლობაში მისი თვალები გულწრფელობაში იწვოდა- მომაკვდინებლად თამაშობდა ჩემი გულისცემის რიტმზე,-შემდეგ კი მხიარულად შებრუნდა- და კიდევ, შენს სახლთან ვიქნები შაბათის ნათელ და ადრიან დილას.

–მმ...ეს საქმეს გამიფუჭებს ჩარლისთან, აუხსნელ სიტუაციაში თუ აღმოაჩენს ვოლვოს, შენობასთან მისასვლელ გზაზე.

მისი ღიმილი ამჯერად რბილი იყო.

MYTOPBOOK.ORG

–მანქანის მოყვანას არც ვაპირებდი

–მაშინ როგორ...

მან შემაწყვეტინა

–ამაზე ნუ იღელვებ. დილას იქ ვიქნები, მანქანის გარეშე.

გავატარე. უფრო გადაუდებელი კითხვები მქონდა.

–"მოგვიანებით" არ მოვიდა ჯერ?- ვკითხე მნიშვნელოვნად.

წარბები შეიჭმუხნა.

–მგონი კი

სანამ ველოდებოდი რას მეტყოდა ზრდილობიანი გამომეტყველება შევინარჩუნე.

მან მანქანა გააჩერა. ამოვიხედე, გავვოცდი-ჩვენ რა თქმა უნდა უკვე ჩარლის სახლთან ვიყავით, ჩემი პიკაპის უკან. უფრო ადვილი იყო მასთან ერთად მგზავრობა, თუ ამოვიხედავდი და ის უკვე დასრულებული იყო. როცა ისევ მას შევხედე, მიყურებდა, თვალით მზომავდა.

–და ისევ გაინტერესებს რატომ არ უნდა ნახო როგორ ვნადირობ?- საზეიმო ხმა ჰქონდა, მაგრამ ვიფიქრე რომ მის თვალების სიღრმეში იუმორის ნაკვალევი დავინახე.

–რავიცი,- შევეცადე ამეხსნა- უმთავრესად შენმა რეაქციამ გამაკვირვა.

–შეგაშინე?- დიახ, მის ხმაში მართლაც იგრძნობოდა იუმორი.

–არა -მოვიტყუე. მაგრამ მიმიხვდა.

–ბოდიშს გიხდი, რომ შეგაშინე- შეუპოვრობა გამოიჩინა უმნიშვნელო ღიმილით, მაგრამ გაღიზიანების ყოველგვარი გამოვლინება გაქრა. - უბრალოდ ძნელი წარმოსადგენია იყო იქ იმ დროს...როცა ჩვენ ვნადირობთ- ყბები დაუმჭიდროვდა

MYTOPBOOK.ORG

–ცუდი იქნებოდა?

კბილებში გამოსცრა:

–უკიდურესად.

–იმიტომ, რომ... ?

ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და საქარე მინის მიღმა სქელ, მოძრავ ღრუბლებს გახედა, რომელიც თითქმის ჩამოწვა დედამიწაზე.

–როცა ვნადირობთ- ნელა ლაპარაკობდა, უხალისოდ- ჩვენს თავს მთლიანად ჩვენს შეგრძნებებს ვანდობთ... ჩვენი აზრების უმართავად. განსაკუთრებით ჩვენს ყნოსვას. ამიტომ, თუ შენ სადმე ახლოს იქნები, როცა საკუთარი თავის გაკონტროლებას შევწყვეტ... -მან თავი გააქნია, ისევ დაღვრემილად მიშტერებოდა მძიმე ღრუბლებს.

ჩემი გამომეტყველება მტკიცედ დავიმორჩილე, მოველოდი, რომ სწრაფად გამოიელვებდა მისი თვალები რომ შეეფასებინა ჩემი რეაქცია, რომელიც მის ნათქვამს მალე მოყვებოდა. ჩემი სახე არაფერს გამოხატავდა.

ჩვენ თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს, სიჩუმე გაღრმავდა- და შეიცვალა. ელექტრულმა იმპულსებმა, რომლებიც შუადღეს ვიგრძენი, ჰაერის დატვირთვა დაიწყო, როცა შეუბრალებლად მიყურებდა თვალებში. სანამ თავბრუ დამეხვეოდა მივხვდი, რომ არ ვსუნთქავდი. სანამ დამხრჩვალივით ამოვისუნთქებდი და ამით სიჩუმეს დავარღვევდი, მან თვალები დახუჭა.

–ბელა, მგონი აჯობებს ახლა სახლში შეხვიდე.-ამჯერად უხეში ხმა ჰქონდა, თვალები ისევ ღრუბლებზე ჰქონდა მიპყრობილი.

კარი გავაღე, დიდი ამონასუნთქი რომელიც მანქანაში აფეთქდა გონების გაწმენდაში დამეხმარა. მეშინოდა რომ ამ თავბრუდახვეულ მდგომარეობაში წავიბორძიკებდი ფეხზე ადგომისას, ფრთხილად გადავაბიჯე მანქანიდან და ზურგსუკან კარი უკანმოუხედავად მოვიხურე. ავტომატური ფანჯრის ჩამოწევის ხმამ შემომაბრუნა.

MYTOPBOOK.ORG

–ა, ბელა?-დამიძახა მან, გამოსწორებული ხმა ჰქონდა. ღია ფანჯრისკენ გადმოიხარა ტუჩებზე ათამაშებული გრძნობის დამკარგველი ღიმილით.

–გისმენ?

–ხვალ ჩემი ჯერია

–რაშია შენი ჯერი?

უფრო ფართოდ გაიღიმა, გამოანათა თავისი ციმციმა კბილები.

–კითხვების დასმაში.

შემდეგ კი გაქრა, ქუჩაში გააქროლა მანქანა და მანამდე გაუჩინარდა ქუჩის კუთხეში, სანამ მე ფიქრებს მოვუყრიდი თავს. გამეღიმა სახლში შესვლისას. ნათელი იყო რომ სხვა თუ არაფერი, ხვალ ჩემს ნახვას მაინც გეგმავდა.

ღამით ედვარდმა გაიბრწყინა ჩემს სიზმრებში, როგორც ყოველთვის. თუმცა ჩემი ქვეცნობიერების კლიმატი შეიცვალა. აფორიაქებული იყო იმავე ელექტროობით რითაც დატვირთული იყო შუადღე, და ვბორგავდი და ვტრიალებდი მოუსვენრად, ხშირ-ხშირად მეღვიძებოდა. ადრიანი დილის საათები იქნებოდა, როცა საბოლოოდ ჩავეშვი დაქანცულ, უსიზმრო ძილში.

რომ გავიღვიძე ისევ დაღლილად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ამასთან მომართულიც ვიყავი. ყავისფერი მაღალ ყელიანი სვიტერი და გარდაუვალი ჯინსი ჩავიცვი, თან ვოხრავდი როცა მაისურსა და შორტებზე ვოცნებობდი. საუზმე როგორც ყოველთვის, წყნარი მოვლენა იყო. ჩარლიმ კვერცხი შეიწვა თავისთვის; მე ჯამი ბურღული მქონდა. მაინტერესებდა ხომ არ დაავიწყდა ჩემი შაბათის გეგმები. მან ამ ჩემს დაუსმელ შეკითხვაზე მიპასუხა როცა ადგა, რომ თეფში სარეცხ ნიჟარაში ჩაედო.

–რაც შეეხება ამ შაბათს....-დაიწყო მან, როცა სამზარეულო გადაკვეთა და ონკანთან გაჩერდა.

MYTOPBOOK.ORG

თავი დავხარე.

–ჰო, მამა?

–ისევ აპირებ სიეტლში წასვლას?-მკითხა მან.

–ასე ვგეგმავ,- დავიმანჭე, ვოცნებობდი რომ საკითხზე საუბარი აღარ გაეგრძელებინა,რომ ფრთხილი ნახევარ-სიმართლეების შეთხზვა აღარ დამჭირვებოდა.

მან ჭურჭლის თხევადი საპონი დააწვეთა თეფშზე და ჯაგრისით მოუსვა.

–და დარწმუნებული ხარ რომ ცეკვების დრომდე ჩამოსვლას ვერ მოასწრებ?

–ცეკვებზე არ მივდივარ, მამა,- მრისხანედ გადავხედე.

–არავინ დაგპატიჟა?- მკითხა, თან ცდილობდა თავისი ინტერესი მთელი ყურადღების თეფშის წყალში გავლებაზე გადატანით დაემალა.

განზე გავაბიჯე, გაღიზიანებული ვიყავი.

–გოგოები პატიჟებენ ბიჭებს.

–აა- შეიჭმუხნა, თან თავის თეფშს ამშრალებდა.

თანავუგრძნობდი მას. ალბათ ძნელი უნდა ყოფილიყო მამობა; ცხოვრება შიშში, რომ შენი ქალიშვილი იმ ბიჭთან ივლის პაემნებზე რომელიც მოსწონს, მაგრამ ასევე ინერვიულებ თუ ასე არ მოიქცევა. რა საშინელება იქნებოდა, ვფიქრობდი თან შევკრთი, ჩარლიმ რომ იცოდეს რა *მომწონს.*

შემდეგ ჩარლი წავიდა, დამშვიდობების ნიშნად ხელი დამიქნია, მე მაღლა ავედი, რომ კბილები გამეხეხა და წიგნები შემეგროვებინა. როცა გავიგონე რომ კრეისერი წავიდა, რამდენიმე წუთის მოცდა შევძელი რომ ფანჯრიდან არ გამეხედა. ვერცხლისფერი მანქანა უკვე სახლთან იყო, ჩარლის ნიშანთან, სახლთან მოსასვლელ გზაზე. კიბეები

MYTOPBOOK.ORG

ჩავირბინე და წინა კარში გავედი, მაინტერესებდა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს უცნაური რუტინა. თუმცა მე მისი დასრულება არასდროს მენდომებოდა.

მანქანასთან მიცდიდა, არ იმჩნევდა რომ მიყურებდა სანამ ჩემს ზურგსუკან კარს მოვიხურავდი, მოსაწყენი გასაღებით ჩაკეტვის პროცესის გარეშე.

მანქანასთან მივედი, მორიდებულად გავჩერდი სანამ კარს გავაღებდი და შიგნით შევაბიჯებდი. მშვიდად იღიმებოდა, როგორც ყოველთვის აუტანლად სრულყოფილი და მშვენიერი.

–დილა მშვიდობისა!-ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. -დღეს როგორ გრძნობ თავს?- მისი თვალები ჩემ სახეზე დახეტიალობდნენ, თითქოს მისი კითხვა უბრალო თავაზიანობაზე მეტი იყო.

–კარგად, მადლობ.- კარგად როგორც ყოველთვის- ბევრად უფრო კარგად-როცა მასთან ახლოს ვიყავი.

მისი მზერა ჩემი თვალების ქვეშ წრეებზე შეჩერდა.

–დაღლილი ჩანხარ.

–ვერ გამოვიძინე- ვაღიარე. და მაშინვე შემოვიხვიე თმა მხარზე,რომ როგორმე დამეფარა ის.

–ვერც მე- გაჯავრდა, თან ძრავა აამუშავა. ნელ-ნელა ვეჩვეოდი ძრავის წყნარ კრუტუნს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი პიკაპის ღრიალი შემაშინებდა, როცა ისევ მომიწევდა ჩემი მანქანით სიარული.

გამეცინა.

–მგონი მართალი ხარ. მაგრამ ვფიქრობ შენზე ოდნავ მეტი მაინც მეძინა.

–მაგაში მართალი ხარ.

–აბა რას აკეთებდი გასულ ღამეს?-ვკითხე.

MYTOPBOOK.ORG

მან ჩაიცინა.

–არავითარ შემთხვევაში. დღეს მე გისვამ კითხვებს.

–უი, ხო. მართალი ხარ. აბა რა გაინტერესებს? -შუბლი შემეჭმუხნა. ვერ წარმომედგინა, რომ ჩემში რაღაც ისეთი იყო რაც მას დააინტერესებდა.

–ყველაზე მეტად რა ფერი მოგწონს ?-სერიოზული სახე ჰქონდა.

თვალები დავახამხამე.

–ყოველდღე სხვადასხვა.

–დღეს რა ფერი მოგწონს? -ისევ საზეიმო ხმა ჰქონდა.

–ალბათ ყავისფერი.- ვზრუნავდი რომ ჩემი განწყობა ტანსაცმლის ფერს შესაბამებოდა.

წაიფრუტუნა, სერიოზული გამომეტყველება გაქრა.

–ყავისფერი?- მკითხა სკეპტიკურად.

–აბა რა. ყავისფერი თბილია. პირდაპირ ვგიჟდები ისე *მენატრება* ყავისფერი. აქ ყველაფერი რაც ყავისფერი უნდა იყოს- ხის ტანი, კლდეები, ტალახი- აქ საფლობი სიმწვანითაა დაფარული. -დავიჩივლე.

მოხიბლული ჩანდა ჩემი პატარა გამოსვლით. რამდენიმე წუთი ჩემს პასუხს განიხილავდა, თან თვალებში მიყურებდა.

–მართალი ხარ.- გადაწყვიტა ბოლოს, ისევ სერიოზული სახე ჰქონდა. -ყავისფერი თბილია. -სწრაფად მომიახლოვდა,მაგრამ როგორღაც ჯერ ისევ ყოყმანობდა, რომ გადაეყარა ჩემი თმები ჩემს მხარსუკან.

ამ დროისთვის უკვე სკოლასთან ვიყავით. ჩემსკენ შემობრუნდა როცა სადგომზე გააჩერა მანქანა.

–რა სიმღერებია გიწერია ახლა CD პლეიერში? -მკითხა, თან ისეთი პირქუში სახე ჰქონდა თითქოს მკვლელს სთხოვდა აღსარების თქმას.

MYTOPBOOK.ORG

მივხვდი, რომ სიმღერები პლეიერიდან რომელიც ფილმა მაჩუქა არასდროს შემიცვლია. როცა მუსიკალური ბენდის სახელი ვუთხარი, მრუდედ გაიღიმა, განსაკუთრებული გამომეტყველება ჰქონდა თვალებში. თითი მიაჭირა განყოფილებას მისი პლეიერის ქვეშ, გამოიღო ერთ-ერთი ოცდაათიდან თუ იმ დისკებიდან, რომლებიც პატარა ადგილზე იყვნენ ჩატენილები, და გამომიწოდა.

–ესაა?- ცალი წარბი აქაჩა.

იგივე CD იყო. ნაცნობი გარეკანი თავაუწევლად დავათვალიერე.

ასე გაგრძელდა მთელი დღე. სანამ ინგლისურამდე მიმაცილებდა, როცა ესპანურის შემდეგ დამხვდა, მთელი ლანჩის განმავლობაში, შეუბრალებლად მისვამდა შეკითხვებს ჩემი არსებობის ძალიან უმნიშვნელო წვრილმანებზე. ფილმები რომლებიც ყველაზე მეტად მიყვარდა და მეზიზღებოდა, რამდენიმე ადგილზე სადაც ნამყოფი ვიყავი და უამრავ ადგილზე სად მოხვედრაც მინდოდა, და წიგნებზე - გაუთავებლად წიგნებზე.

არ მახსოვს ბოლოს ამდენი როდის ვილაპარაკე. უმეტესწილად თავდაჯერებულად ვგრძნობდი თავს, ალბათ თავიც მოვაბეზრე. მაგრამ მისი სრულიად ცნობისმოყვარე სახე და დაუსრულებელი კითხვების ზღვა მაიძულებდა გამეგრძელებინა საკუთარ თავზე ლაპარაკი. მისი კითხვების უმეტესობა მარტივი იყო, მაგრამ რამდენიმემ ჩემი ოდნავ გაწითლებაც გამოიწვია. მაგრამ რამდენჯერაც წამოვწითლდი ამას კითხვების ახალი რაუნდი მოჰყვა.

მაგალითად როცა მკითხა ჩემს საყვარელ ძვირფას თვალზე, და მე დაუფიქრებლად წამოვაყრანტალე რომ ეს იყო ტოპაზი. ამის მერე ის ისეთი სიჩქარით გამოტყორცნიდა კითხვებს რომ ისე ვიგრძენი თავი თითქოს ფსიქიატრთან გავდიოდი ტესტირებას, სადაც პასუხობ პირველივე სიტყვას, რომელიც თავში აზრად მოგივა. დარწმუნებული ვიყავი ის ნებისმიერ გონებრივ სიას მიყვებოდა გაწითლების გარდა. მე კი იმიტომ გავწითლდი რომ ბოლო დრომდე ჩემი საყვარელი ძვირფასი თვალი ძოწი იყო. ეს კი შეუძლებელი იყო, მაშინ როცა მის

MYTOPBOOK.ORG

ტოპაზისნაირ თვალებს ვუყურებდი, არ გამისხენებია რატომ შევიცვალე აზრი. მაგრამ არ მოისვენა სანამ არ ვაღიარე რამ შემაცბუნა.

–მითხარი- ბოლოსდაბოლოს მიბრძანა როცა დამაჯერებლობამ მარცხი განიცადა- მარცხი განიცადა რადგან თვალი ავარიდე მის სახეს.

–იმიტომ, რომ მაგ ფერის თვალები გაქვს დღეს- ამოვიოხრე, დავნებდი, ჩემ ხელებს დავყურებდი და თმას უსაქმურად ვათამაშებდი. -ორი კვირის წინ რომ გეკითხა ალბათ ონიქსს გეტყოდი. - ზედმეტი არასაჭირო ინფორმაცია გავეცი ჩემი უნებისყოფო გულწრფელობის გამო და ვღელავდი რომ ეს უცნაურ სიბრაზეს გამოიწვევდა, რომელიც ყოველთვის უჩნდებოდა როცა ვატყობინებდი და მეტისმეტად ნათლად ვააშკარავებდი, როგორ ვიყავი მისით შეპყრობილი.

მაგრამ პაუზა ხანმოკლე აღმოჩნდა.

–რომელი ყვავილი გიყვარს?- ამოისროლა.

შვებით ამოვისუნთქე და ფსიქონალიზის ჩატარება გავაგრძელე.

ბიოლოგიაზეც იგივე განმეორდა. ედვარდი მისტერ ბანერის შემოსვლამდე აგრძელებდა დაკითხვას,ის ისევ ფილმების საჩვენებელ დაფას მოათრევდა. როგორც კი მიუახლოვდა მასწავლებელი გამომრთველს შუქის ჩასაქრობად, შევამჩნიე ედვარდმა როგორ გაასრიალა სკამი უმნიშვნელოდ შორს ჩემგან. თუმცა არც ამან იმოქმედა. როგორც კი ოთახში ჩამობნელდა, იგივე ელექტრულმა ნაპერწკლებმა, იმავე ლტოლვამ, რომ გამიწვდინა ხელი მოკლე მანძილზე ჩვენს შორის და შევხებოდი მის ცივ კანს, გუშინდელივით შემომიტია.

მაგიდისკენ გადავიხარე, მოხრილ მკლავებზე დავეყრდენი ნიკაპით, მათში ჩამალული თითებით ვეჭიდებოდი მაგიდის ზედაპირს, თან თავს ვებრძოდი რომ უგულვებელმეყო უგუნური სურვილი, რომელმაც სიმშვიდე დამირღვია. მისთვის არ შემიხედია, მეშინოდა, რომ თუ დავინახავდი,რომ ის მიყურებდა, თავის გაკონტროლება უფრო გამიჭირდებოდა. გულწრფელად ვცდილობდი ფილმისთვის მეყურებინა,

MYTOPBOOK.ORG

მაგრამ ერთი საათის შემდეგ წარმოდგენა არ მქონდა რას ვუყურე. ისევ შვებით ამოვისუნთქე, როცა მისტერ ბანერმა შუქი აანთო, როგორც იქნა მზერა შევავლე ედვარდს, მიყურებდა, გაორებული თვალები ჰქონდა.

ჩუმად წამოდგა და მშვიდად დადგა, მე მიცდიდა. გუშინდელივით ჩუმად მივაბიჯებდით სპორტ-დარბაზისკენ. და ისევ, გუშინდელივით, უსიტყვოდ შემეხო სახეზე- ამჯერად ცივი ხელის ზურგით, ჩამომისვა ხელი საფეთქლიდან ყბამდე- სანამ შებრუნდებოდა და წავიდოდა.

გაკვეთილმა სწრაფად ჩაიარა სანამ მაიკის ერთ-კაციან ბადბიქტონის თამაშს ვუყურებდი. მაიკი დღეს არ დამლაპარაკებია, შეიძლება ჩემი არაფრისგამომხატველი გამომეტყველების პასუხად ან ჯერ ისევ გაბრაზებული იყო ჩვენი გუშინდელი კინკლაობის შემდეგ. სადღაც, გონების კუნჭულში თავს ცუდად ვგრძნობდი ამის გამო. მაგრამ მასზე ვერაფრით გადამქონდა ყურადღება.

შემდეგ, სწრაფად გამოვიცვალე, უცნაური სიმსუბუქით დაავადებულმა, ვიცოდი რაც უფრო სწრაფად ვიმოძრავებდი, მით უფრო მალე ვიქნებოდი ედვარდთან ერთად. დაძაბულობამ ჩვეულებრივზე ტლანქი გამხადა, მაგრამ საბოლოოდ გამოვდევნე ის, იგივე თავისუფლება ვიგრძენი როცა დავინახე რომ ის ისევ იქ იდგა, ფართო ღიმილი ავტომატურად გამეშალა სახეზე. გამიღიმა სანამ ლანჩის დროს კიდევ ერთ ჯვარედინ-გამოცდაზე გადავიდოდით.

ამჯერად სხვანაირი კითხვები ჰქონდა, თუმცა არა ძველებურად იოლად საპასუხო. მას აინტერესებდა სახლში რა მენატრებოდა, ისეთი რაღაცეებზე ჩამაცივდებოდა ხოლმე რაც მისთვის ნაცნობი არ იყო. ჩარლის სახლის წინ რამდენიმე საათი ვისხედით, სანამ ცა არ ჩამუქდა და წვიმა უცაბედ წარღვნად არ დაგვატყდა თავს.

ვცდილობდი შეუძლებელი რაღაცეები ამეხსნა, მაგალითად როგორი სუნი ჰქონდა კუპრს- მწარე, ოდნავ ფისის მსგავსი, მაგრამ მაინც სასიამოვნო; ჭრიჭინობელების მაღალი, გამაყრუებელი ხმა ივლისში, ხეების შეფოთლილი სიმწირე, ცის სწორი ზომა, წაშლილი მოთეთრო-მოცისფრო ფერი ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე, რომელსაც ძლივს

MYTOPBOOK.ORG

წყვეტს ალისფერი ვულკანური კლდეებით დაფარული დაბალი მთები. ყველაზე ძნელი ასახსნელი ის იყო რატომ იყო ეს ყველაფერი ასე ლამაზი ჩემთვის- დამოწმებული სილამაზე, რომელიც არ არის დამოკიდებული სიმეჩხრეზე, ეკლიანი მცენარეულობა, რომელიც ხშირად გამოიყურება ნახევრად მკვდარივით, რომელზეც დამოკიდებულია მიწის ფორმა, იშვიათი გორაკები მდელოებზე კლდოვან ბორცვებს შორის და საშუალება, რომლითაც ისინი მზის შუქზე არსებობას განაგრძობდნენ. აღმოვაჩინე, რომ როცა მისთვის ამ ყველაფრის ახსნას ვცდილობდი ხელებსაც ვიშველიებდი.

მისი წყნარი, კვლევითი შეკითხვები მაიძულებდა თავისუფლად, თავდავიწყებით მელაპარაკა ქარიშხლის მქრქალ შუქზე. თან მაცბუნებდა რომ მარტო მე ვლაპარაკობდი. ბოლოს, როცა ჩემი არეულ-დარეული ოთახის დაწვრილებით აღწერა დავამთავრე, ახალი საპასუხო შეკითხვის დასმის ნაცვლად გაჩუმდა.

–მორჩი? -შვებით ვკითხე.

–არაფერი მაგდაგვარი- მამაშენი მოდის.

–ჩარლი!- უცებ გამახსენდა მისი არსებობა, და ამოვიოხრე. წვიმისგან ჩამობნელებულ ცას ავხედე, მაგრამ დიდი ვერაფერი ინფორმაცია მომაწოდა.- ძალიან გვიანია?- ხმამაღლა დავინტერესდი, თან საათს შევავლე თვალი. დრომ გამაკვირვა- ჩარლი წესით ახლა უნდა წამოსულიყო სამსახურიდან.

–ბინდია...- ჩაიბუტბუტა ედვარდმა, თან დასავლეთის ჰორიზონტს უყურებდა, რომელიც ღრუბლებისგან იყო ჩამობნელებული. ჩაფიქრებული ხმა ჰქონდა, როგორც ჩანს მისი გონება სადღაც შორს დაფრინავდა. შევხედე, ის საქარე მინის მიღმა რაღაცას მიშტერებოდა, მაგრამ ვერ ხედავდა.

ჯერ ისევ მას ვუყურებდი, როცა უცებ მზერა ისევ ჩემზე გადმოიტანა.

MYTOPBOOK.ORG

–ეს ჩვენთვის დღის ყველაზე უსაფრთხო დროა- თქვა მან, ამით მან ჩემს თვალებში ამოკითხულ დაუსმელ შეკითხვას უპასუხა. -ყველაზე იოლი დრო. მაგრამ ამავდროულად ყველაზე სევდიანიც, რადგან ეს არის... კიდევ ერთი დღის დასასრული და ღამის დაბრუნება. ღამე წინასწარმეტყველია, არა? -ნაღვლიანად გაიღიმა.

–მე მიყვარს ღამე. ოღონდ სიბნელის გარეშე, ჩვენ კი ვარსკვლავებს ვერ ვხედავთ- წარბები შევიჭმუხნე- მაგრამ არ მიყვარს ისეთი ღამე, რომელსაც ასე ხშირად ხედავ შენ აქ.

გაიცინა და განწყობა მკვეთრად გამოუკეთდა.

–ჩარლი რამდენიმე წუთში აქ გაჩნდება. ასე, რომ თუ არ გინდა უთხრა, რომ შაბათს ჩემთან ერთად იქნები... - ცალი წარბი აქაჩა.

–არაა, მადლობ- წიგნები შევაგროვე, ვიგრძენი რომ ამდენი ჯდომისგან გახევებული ვიყავი -ესეიგი ხვალ ჩემი ჯერია, არა?

–არაფერიც! - ვითომდა შეურაცხყოფილი სახე მიიღო- ხომ გითხარი რომ ჯერ არ დამიმთავრებია?

–მეტი რაღა უნდა მკითხო?

–ხვალ გაიგებ- მანქანას მოუარა, რომ ჩემთვის გაეღო მანქანის კარი, მისმა უცაბედმა სიახლოვემ გულისცემა გიჟურად გამიხშირა.

მაგრამ ხელი სახელურზე გაუხევდა.

–ეს არც ისე კარგია.-ჩაიბუტბუტა.

–რა არის?- გამიკვირდა როცა დავინახე, რომ ყბები მაგრად მიეჭირა ერთმანეთზე და აღელვებული თვალები ჰქონდა.

სულ ერთი წამით შემავლო თვალი.

–კიდევ ერთი სირთულე- თქვა პირქუშად.

MYTOPBOOK.ORG

სწრაფად გამოაღო კარი ერთადერთი სწრაფი მოძრაობით, შემდეგ თითქმის თავდახრილმა გაიწია ჩემგან მოშორებით.

წვიმაში მანქანის ფარების შუქის გაელვებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, მუქი ფერის მანქანამ ბორდიურთან შეაჩერა, გაგვიპირდაპირდა.

–ჩარლი კუთხეში უხვევს- გამაფრთხილა, სხვა ტრანსპორტის ძებნაში გახედა თავსხმა წვიმას.

მაშინვე გადმოვხტი მანქანიდან, ჩემი შეცბუნების და ცნობისმოყვარეობის მიუხედავად. წვიმა უფრო ხმამაღალი გახდა, როცა ჩემი ქურთუკიდან გამოვიჭყიტე.

ვეცადე სხვა მანქანის წინა სალონში მჯდომი გამერჩია ვინ იყო, მაგრამ საამისოდ მეტისმეტად ბნელოდა. ახალი მანქანის ფარების დამაბრმავებელი სინათლით განათებულ ედვარდს ვხედავდი; ის ისევ პირდაპირ იყურებოდა, ისეთ რაღაცას თუ ვიღაცას მიშტერებოდა, რომელსაც მე ვერ ვხედავდი. მისი გამომეტყველება ნირწამხდრობის და გამომწვევობის უცნაურ ნარევს გამოხატავდა.

შემდეგ მან ძრავა აამუშავა, საბურავებმა გალუმპული ტროტუარის პირდაპირ გაიწუილა. რამდენიმე წამში ვოლვო მხედველობის არიდან გაქრა.

–გამარჯობა, ბელა- დამიძახა ნაცნობმა, მშრალმა ხმამ პატარა შავი მანქანის მძღოლის მხირდან.

–ჯეიკობ? - ვკითხე, ცერად გავხედე წვიმაში. მხოლოდ ამის შემდეგ შემოუხვია ჩარლის კრეისერმა, მისმა შუქმა გაანათა ჩემს წინ გაჩერებული მანქანაში მსხდომნი.

ჯეიკობს უკვე მოესწრო მანქანიდან გადმოხტომა, მისი ფართო ღიმილის დანახვა სიბნელეშიც კი თავისუფლად იყო შესაძლებელი. მგზავრის სავარძელზე ბევრად უფრო დიდი კაცი იჯდა, ჩასხმული კაცი ადვილად დასამახსოვრებელი სახით- სახე რომელიც გაიბადრა, ლოყები მხრებამდე გაეწელა, ძველი ტყავის ქურთუკივით მოწითალო-

MYTOPBOOK.ORG

მოყავისფრო ნაკეცები გაუჩნდა კანზე. და გასაოცრად ნაცნობი თვალები, შავი თვალები, რომლებიც ერთდროულად ძალიან ახალგაზრდაც და ძალიან ანტიკურიც ჩანდა ფართო სახისთვის, რომელზეც განლაგებულნი იყვნენ. ეს იყო ჯეიკობის მამა, ბილი ბლექი. მე ის მაშინვე ვიცანი, მიუხედავად იმისა, რომ 5 წელზე მეტი ნანახი არ მყავდა, ბოლოს როცა მისი სახელის კინაღამ მიეცა დავიწყებას, ჩარლიმ ახსენა ჩემი ფორქსში ჩამოსვლის პირველივე დღეს. ის მე მიყურებდა, ყურადღებით მაკვირდებოდა სახეზე, ამიტომ საცდელი ღიმილი ვტყორცნე მას. ფართო თვალები ჰქონდა, თითქოს შოკისგან ან შიშისგან, ნესტოები გაუფართოვდა. ჩემი ღიმილი გახუნდა.

ედვარდმა თქვა, რომ ეს კიდევ ერთი სირთულე იყო.

ბილი ისევ მე მიყურებდა, ძლიერი აღელვებული თვალებით. შინაგანად ამოვიღმუვლე. ბილი ასე იოლად იცნობდა ედვარდს? მართლა სჯეროდა მას არარეალური ლეგენდების რომლებსაც მისი ვაჟიშვილი დასცინოდა?

პასუხი ნათლად ჩანდა მის თვალებში. დიახ. დიახ, მას სჯეროდა.

თავი მეთორმეტე

წონასწორობა

– „ბილი!“- როგორც კი მანქანიდან გადმოვიდა, მაშინვე დაიძახა ჩარლიმ.

MYTOPBOOK.ORG

სახლისკენ შევბრუნდი, თავს ვუკრავდი ჯეიკობს, თან შესასვლელში ვდურთე თავი. გავიგონე ჩემს ზურგსუკან ხმამაღლა რომ ესალმებოდა ჩარლი მათ.

– „ვაპირებ თავი მოგაჩვენო ვითომ ვერ დაგინახე საჭესთან, ჯეიკ“- თქვა მან გამკილავად.

–“ნაკრძალის საშვები ადრიანად მივიღეთ“- თქვა ჯეიკობმა სანამ კარებს გავაღებდი და და შესასვლელის შუქს ავანთებდი.

–“ჰო, რა თქმა უნდა“- გაიცინა ჩარლიმ.

–“როგორმე მე თვითონ მოვახერხებ“- ამდენი წლის შემდეგაც ადვილად ვიცანი ბილის მჟღერი ხმა. ამ ხმის გამო თავი უფრო პატარად, ბავშვად ვიგრძენი.

სახლში შევედი, კარი ღია დავტოვე ჩემს ზურგს უკან და სინათლეები ავანთე სანამ ჩემს ქურთუკს ჩამოვკიდებდი საკიდზე. შემდეგ კარებში ჩავდექი, აღელვებული ვუყურებდი ჩარლის და ჯეიკობს, რომლებიც ბილის ეხმარებოდნენ მანქანიდან გადმოსვლაში და ინვალიდის სავარძელში ჩაჯდომაში.

გზა დავუთმე, როცა სამივე მათგანი შიგნით მოიჩქაროდა, წვიმას გაურბოდნენ.

–“ნამდვილად გამაოცეთ“- ამბობდა ჩარლი.

–“კარგა ხანია მოვდივართ“- უპასუხა ბილიმ- „და იმედია ცუდ დროს არ მოვსულვართ“ - შავი თვალები ისევ მე შემომანათა, გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა.

– „არა, მშვენიერი დრო შეარჩიეთ. იმედი მაქვს მატჩამდე დარჩებით.“

ჯეიკობი გაიკრიჭა.

– „მგონი ზუსტად მაგიტომ ჩამოვედით- ჩვენი ტელევიზორი გასულ კვირას გატყდა.”

MYTOPBOOK.ORG

ბილი თავის ვაჟს დაუპირისპირდა.

– „ამას გარდა რა თქმა უნდა ჯეიკობს ძალიან უნდოდა ბელას კიდევ ერთხელ ნახვა“- დაამატა მან. ჯეიკობი მოიღუშა და თავი დახარა სანამ მე სინდისის ქენჯნას ვებრძოდი. ალბათ ზედმეტად დამაჯერებელი ვიყავი პლაჟზე.

– „გშიათ?“ -ვკითხე, თან სამზარეულოსკენ შევბრუნდი. საშინლად მინდოდა გავქცეოდი ბილის ეჭვიან მზერას.

– „არა, ზუსტად წამოსვლის წინ ვჭამეთ“- მიპასუხა ჯეიკობმა.

– „შენ, ჩარლი?“- მხარს ზემოთ დავიძახე და კუთხეში შეხვევით ვუშველე თავს.

– „რა თქმა უნდა“- მიპასუხა, მისი ხმა წინა ოთახის და ტელევიზორის მიმართულებით გადაადგილდებოდა. გავიგონე, ბილის სავარძელიც მას მიჰყვა.

გრილით შემწვარი ყველის სენდვიჩები ტაფაზე იყო, მას პამიდორს ვაჭრიდი, როცა ვიგრძენი რომ ჩემს უკან ვიღაც იყო.

– „აბა, როგორ მიდის საქმეები?“-მკითხა ჯეიკობმა.

– „მშვენივირად“ -გამეღიმა. მისი ენთუზიაზმისთვის წინააღმდეგობის გაწევა რთული იყო. – „შენთან რა ხდება? მანქანის აწყობას მორჩი?’

– „არა“- წარბები შეჭმუხნა-„ჯერ ისევ ვერ ვიშოვე ნაწილები. ეს მანქანა ვითხოვეთ“- ცერა თითით წინა ეზოს მიმართულებით მიმითითა.

– „მაპატიე. არ მინახავს არავითარი... რას ეძებდი?“

– „ძრავის ცილინდრს“-გაიკრიჭა- „პიკაპს რამე მოუვიდა?“- დაამატა მან უცებ.

– „არა“

– „ა, ისე დამაინტერესა, იმიტომ რომ მაგით არ დადიხარ“

MYTOPBOOK.ORG

ტაფას ჩავხედე, სენდვიჩი ამოვაბრუნე.

– „მეგობრის მანქანით დავდივარ“

– „მაგარი მანქანა იყო“- მოხიბლული ხმა ჰქონდა- „მაგრამ მძღოლი ვერ ვიცანი. მეგონა აქაური ბავშვების უმეტესობას ვიცნობდი.“

დამთმობად დავუქნიე, თავი არ ამიწევია ისე დავაგდე სენდვიჩი.

– „მგონი მამაჩემი იცნობდა საიდანღაც“

– „ჯეიკობ, შეგიძლია თეფშები მომაწოდო? ჭურჭლის კარადაშია ნიჟარის თავზე.“

– „ახლავე“

თეფშები ჩუმად აიღო. იმედი მქონდა რომ დაუვარდებოდა.

– „ჰოდა, ვინ იყო ის?“- 2 თეფში ჩემს გვერდით დახლზე დადო.

მარცხგანცდილივით ამოვიოხრე.

– „ედვარდ კალენი.“

ჩემდა გასაკვირად მან გაიცინა. ავხედე. ცოტათი შეცბუნებული ჩანდა.

– „ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია“- თქვა მან- „მაინტერესებდა მამაჩემი ასე უცნაურად რატომ იქცეოდა“

– „სწორია.“- გავაბრიყვე მიამიტი გამომეტყველებით- „მამაშენს არ მოსწონს კალენები.“

– „ცრუმორწმუნე ბერიკაცი“,- ჩასუნთქვისას ამოიბუტბუტა.

– „როგორ ფიქრობ ის რამეს ეტყვის ამაზე ჩარლის?“- ძალაუნებურად წამომცდა, სიტყვები დაბალი სიჩქარით მოქროდნენ.

MYTOPBOOK.ORG

ჯეიკობი რამდენიმე წუთი უხმოდ მიყურებდა, მე კი ვერაფრით ავხსენი მისი შავი თვალების გამომეტყველება.

– „მეეჭვება“-მიპასუხა ბოლოს.- „მგონი ჩარლიმ წინა ჯერზეც მშვენივრად გალანძღა. მას შემდეგ კარგა ხანს არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს-მგონი ამ საღამოს შერიგდნენ. არა მგონია მამამ ეს საკითხი ისევ წამოჭრას“

–აა- ვთქვი, შევეცადე გულგრილი ხმა მქონოდა.

როცა საჭმელი ჩარლის მივუტანე, წინა ოთახში დავრჩი, თან თავს ვაჩვენებდი ჯეიკობს ვითომ ძალიან მაინტერესებდა მატჩი, ის კი გაუთავებლად მელაყბებოდა. სინამდვილეში კი კაცების საუბარს ვუსმენდი, ვაკვირდებოდი ბილის ყველა ნიშანს რომლითაც მას ჩემი გაცემა შეეძლო და ვცდილობდი მომეფიქრებინა მისი შეჩერების გზები, თუ ის ედვარდზე ლაპარაკს დაიწყებდა.

გრძელი ღამე იყო. ბევრი საშინაო დავალება მქონდა შეუსრულებელი, მაგრამ ბილის და ჩარლისთან მარტო დატოვება მეშინოდა. ბოლოს, როგორც იქნა თამაში დამთავრდა.

– „შენ და შენი მეგობრები ისევ მალე ჩამოხვალთ პლაჟზე?“- მკითხა ჯეიკობმა, როცა მამამისი ზღურბლის კიდეზე გადაიყვანა.

– „არამგონია“- მოკლედ ვუპასუხე.

– „კარგად გავერთეთ, ჩარლი“- თქვა ბილიმ.

– „შემდეგ თამაშზეც ჩამოდით“-წააქეზა ჩარლიმ.

– „რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა“- თქვა ბილიმ- „ჩამოვალთ. მშვიდობიან ღამეს გისურვებთ“-მისი მზერა ჩემ თვალებზე გადმოსრიალდა, და მისი ღიმილი სადღაც გაქრა- „ შენ კი თავს გაუფრთხილდი, ბელა“- დაამატა მან სერიოზულად.

– „მადლობ“-ჩავიბუტბუტე და თვალი ავარიდე.

MYTOPBOOK.ORG

კიბეებისკენ წავედი, სანამ ჩარლი მათ შესასვლელიდან უქნევდა ხელს.

– „მოიცა, ბელა“- მითხრა მან.

თავი დავხარე. ნუთუ ბილის რამე წამოსცდა სანამ მათ სასტუმრო ოთახში შევუერთდებოდი?

მაგრამ ჩარლი მშვიდად იყო, ჯერ კიდევ იკრიჭებოდა მოულოდნელი სტუმრობით გახარებული.

– „ამ საღამოს შენთან დალაპარაკების შემთხვევა არ მომეცა. როგორ ჩაიარა დღემ?“

– „კარგად“- ცალი ფეხით პირველ კიბეზე შემდგარი ვყოყმანობდი, ისეთ წვრილმანს ვეძებდი გონებაში რომლის მისთვის გაზიარებაც უსაფრთხო იქნებოდა- „ჩემმა ბადმინქტონის გუნდმა ოთხივე თამაში მოიგო“

– „ოჰო. არ ვიცოდი ბადმინქტონის თამაში თუ იცოდი“

– „ეე...სიმართლე რომ გითხრა არც ვიცი. სამაგიეროდ ჩემი მეწყვილე მართლა მაგრად თამაშობს“- ვაღიარე.

– „ვინ არის შენი მეწყვილე?“- დაინტერესდა.

– „მმ... მაიკ ნიუტონი“- უხალისოდ ვაცნობე.

– „აა, ხო– ადრე მითხარი, რომ ნიუტონების ბიჭთან მეგობრობდი“- თავი აწია-„მშვნიერი ოჯახია“- რამდენიმე წამით ჩაფიქრდა- „ რატომ არ დაპატიჟებ მაგ ბიჭს ამ შაბათ-კვირას ცეკვებზე?“

–“მამა!“- ამოვიკვნესე- „ ის ჩემს მეგობარ ჯესიკას ხვდება. გარდა ამისა, ხომ იცი რომ ვერ ვცეკვავ“

– „ა, ჰო.“- ჩაიბუტბუტა. შემდეგ მობოდიშებით გამიღიმა. –„ როგორც ვხედავ, კარგი იქნება თუ სიეტლში წახვალ შაბათს... მე განყოფილების ბიჭებთან ერთად ვგეგმავ სათევზაოდ წასვლას. თბილი ამინდი იქნება.

MYTOPBOOK.ORG

მაგრამ თუ გინდა რომ შენი მოგზაურობა გადადო სანამ თანამგზავრი გამოგიჩნდება, სახლში დავრჩები. ვიცი რომ ისედაც ხშირად გტოვებ სახლში მარტო.“

– „მამა, შენ ყველაფერს სწორად აკეთებ“- გავიღიმე, იმედია ძალიან არ შემტყობია, რომ გულზე მომეშვა. – „ მარტო ყოფნის წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ-ამაში ძალიან გგავარ შენ“-თვალი ჩავუკარი, მან კი თვალებ-დაკლაკნილი ღიმილით გამიღიმა.

  იმ ღამეს უკეთესად მეძინა, სიზმრებისთვის ძალიან გადაღლილი ვიყავი. მარგალიტისფერ ნაცრისფერ დილას რომ გავიღვიძე კარგ ხასიათზე ვიყავი. დაძაბული საღამო ბილისთან და ჯეიკობთან ერთად ახლა სრულიად უვნებელი ჩანდა. გადავწყვიტე რომ მომხდარი სულაც დამევიწყებინა. ჩემი თავი სტვენაში გამოვიჭირე, როცა თმის წინა ნაწილი უკან გადამქონდა შესაკრავად და მოგვიანებითაც როცა კიბეებზე ჩავხტოდი. ეს არც ჩარლის გამოპარვია.

–“დღეს მხიარული ხარ“- საუზმის დროს მაცნობა.

  მხრები ავიჩეჩე.

–“დღეს პარასკევია“

  ძალიან ვჩქარობდი, რომ ჩარლის წასვლისთანავე მეც მზად ვყოფილიყავი წასასვლელად. ჩანთა ჩალაგებული მქონდა, ფეხსაცმელიც მეცვა, კბილები გახეხილი მქონდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კარისკენ გავქროლდი, როგორც კი ჩარლი მხედველობის არიდან გაქრა, ედვარდი მაინც უფრო სწრაფი იყო. თავის მბზინავ მანქანასთან მიცდიდა, ფანჯრები ჩაწეული იყო, ძრავა გამორთული.

  ამჯერად არ მიყოყმანია, სწრაფად შევძვერი მგზავრის მხარეს, რომ უფრო მალე მენახა მისი სახე. თავისი მრუდე ღიმილით გამიკრიჭა, სუნთქვა და გულისცემა გამიჩერა. ვერ წარმომედგინა როგორ უნდა ყოფილიყო ანგელოზი მასზე ბრწყინვალე. იმჟამინდელზე უკეთესს მას ვერაფერი გახდიდა.

MYTOPBOOK.ORG

– „როგორ გეძინა?“- მკითხა. მაინტერესებდა, საერთოდ თუ წარმოედგინა როგორი მავედრებელი ხმა ჰქონდა.

– „მშვენივრად. შენ როგორი ღამე გქონდა?“

– „სასიამოვნო“- კმაყოფილი ღიმილით დამაჯილდოვა; ისეთი გრძნობა დამეუფლა თითქოს რაღაც საშინაო ხუმრობას ვერ მივხვდი.

– „შეიძლება გკითხო რას აკეთებდი?“-ვკითხე.

– „არა.“- გაიკრიჭა- „დღევანდელი დღეც *ჩემია*“

დღეს ხალხზე მეკითხებოდა: უმეტესწილად რენეზე, მის საყვარელ საქმიანობებზე, რას ვაკეთებდით ხოლმე თავისუფალ დროს ერთად. და ერთადერთ ბებიაზე, რომელსაც ვიცნობდი, ჩემს რამდენიმე სკოლის მეგობარზე- შემაცბუნა როცა ბიჭებზე მკითხა, რომლებთანაც პაემნებზე დავდიოდი. შვება მომგვარა იმის გახსენებამ, რომ ნამდვილი პაემანი არავისთან მქონია, ასე ეს დეტალური საუბარი დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა. ჯესიკასა და ანჯელასავით გაოცებული ჩანდა ჩემი რომანტიკული თავგადასავლების ნაკლებობით.

– „ანუ არავის ხვდებოდი?“- ისეთი სერიოზული ხმით მკითხა, რომ დამაინტერესა რაზე ფიქრობდა.

უხალისოდ გულწრფელი ვიყავი.

– „ ფენიქსში არა“

მაგრად მოკუმა ტუჩები.

ამ დროს უკვე კაფეტერიაში ვიყავით. დღე მიიჩქაროდა იმ ბუნდოვანებაში, რომელიც სწრაფად ხდებოდა რუტინა.

ვისარგებლე მისი წუთიერი პაუზით და დახვეული ღვეზელი ჩავკბიჩე.

– „დღეს შენი მარტო გაშვება მომიწევს“,-სასხვათაშორისოდ მაცნობა,სანამ მე ვღეჭავდი.

MYTOPBOOK.ORG

– „რატომ?“-ჩავეკითხე.

– „ლანჩის შემდეგით ელისთან ერთად მივდივარ“

– „აა“ -თვალები დავახამხამე თავგზააბნეულმა და იმედგაცრუებულმა.- „არაუშავს, არც ფეხითაა შორი“.

მოუსვენრად შემიჭმუხნა წარბები.

– „არ ვაპირებ სახლში ფეხით წასვლა გაიძულო. წავალთ, მანქანას მოგიყვანთ და აქ დაგიტოვებთ.“

– „გასაღები თან არ მაქვს“ -ამოვიოხრე- „ მართლა არ ვარ ფეხით წასვლის წინააღმდეგი.“-ერთადერთი რისი წინააღმდეგიც ვიყავი ამ თემაზე ლაპარაკით მასთან გატარებული დროის ხარჯვა იყო.

მან თავი გააქნია.

– „შენი პიკაპი აქ იქნება, გასაღებიც ადგილზე დაგხვდება- თუ არ გეშინია რომ ვინმე მოიპარავს“- თავის ფიქრზე გაიცინა.

– „კარგი“- დავთანხმდი და უკმაყოფილოდ შევარხიე ტუჩები. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ გასაღები სამრეცხაო ოთახში ტანსაცმლის გროვის ქვეშ დაგდებული იმ ჯინსის ჯიბეში იდო, რომელიც ოთხშაბათს მეცვა. ჩემს სახლში რომც შეეღწია თუ რავიცი რასაც გეგმავდა, ის მაინც ვერ იპოვიდა ჩემ გასაღებს. როგორც ჩანდა, მანაც იგრძნო გამოწვევა ჩემს თანხმობაში. გამიღიმა, ზედმეტად თავდაჯერებულმა.

– „აბა, სად მიდიხართ?“- რაც შემეძლო სასხვათაშორისოდ ვკითხე.

– „სანადიროდ“-ულმობლად მიპასუხა-„ თუ ხვალ შენთან ერთად მარტო უნდა ვიყო, რაც შეიძლება მეტი სიფრთხილის ზომა უნდა მივიღო.“- სახე დაღვრემილი... და დანაშაულზე წასწრებულივით გაუხდა- „ მაგრამ ხომ იცი, რომ ყოველთვის შეგიძლია ჩემთან მარტო დარჩენაზე უარის თქმა“

MYTOPBOOK.ORG

თავი დავხარე, მისი თვალების დამაჯერებელი სიძლიერის მეშინოდა. უარს ვამბობდი საკუთარი თავის დაჯერებაზე რომ მისი მეშინოდა, მნიშვნელობა არ ქონდა, რამდენად სახიფათო შეიძლებოდა ყოფილიყო ეს. ამას *მნიშვნელობა არ აქვს,* გავიმეორე გონებაში.

– „არა“- ისევ მას შევავლე თვალი- „არ შემიძლია“

– „შეიძლება მართალიც ხარ“-ცივად ჩაიბუტბუტა. დავინახე თვალის ფერი როგორ გაუმუქდა.

თემა შევცვალე.

– „ხვალ რა დროს გნახავ?“-ვკითხე, უკვე დათრგუნული იმაზე ფიქრით, რომ სადაცაა დამტოვებდა.

– „ეს დამოკიდებულია... ხვალ ხომ შაბათია, არ გინდა გამოიძინო? - შემომთავაზა.

– „არა“- მეტისმეტად სწრაფად ვუპასუხე. ძლივს შეიკავა ღიმილი.

– „ მაშინ ჩვეულ დროს.“ - გადაწყვიტა ბოლოს.- „ჩარლი სახლში იქნება?“

– „არა, ხვალ სათევზაოდ მიდის“-გამოვაბრწყინე ჩემი მოგონება, რომელიც ასე კარგად ეწყობოდა ჩვენს გეგმას.

უცებ მკვეთრი ხმა გაუხდა.

– „და თუ სახლში არ დაბრუნდები, რას იფიქრებს?“

– „წარმოდგენა არ მაქვს“- გრილად ვუპასუხე- „მან იცის, რომ სარეცხის გარეცხვას ვაპირებ. შეიძლება იფიქროს რომ სარეცხ მანქანაში ჩავვარდი“

მოღუშულმა შემომხედა და მეც მოღუშულმა შევხედე. მისი გაბრაზება ჩემსაზე ბევრად უფრო შთამბეჭდავი იყო.

MYTOPBOOK.ORG

– „ამაღამ რაზე ნადირობთ?“ -ვკითხე, როცა დავრწმუნდი, რომ თვალების ჭიდილი წავაგე.

– „რასაც პარკში ვნახავთ იმაზე. შორს არ მივდივართ.“- განცვიფრებული ჩანდა ჩემი გულგრილობით საიდუმლო რეალობებზე ცნობის მიღებისას.

– „ელისთან ერთად რატომ მიდიხარ?“- დამაინტერესა.

– „ჩვენ ყველაზე უკეთ გვესმის ერთმანეთის“- წარბები შეჭმუხნა როცა ეს თქვა.

– „და დანარჩენები?“- მოკრძალებულად ვკითხე. –„როგორები არიან?“

წამით შეეჭმუხნა წარბები.

– „უნდობლები უმეტესობა“.

სწრაფად მოათვალიერა თავისი ოჯახი ჩემს ზურგს უკან. ერთად მსხდომნი სხვადასხვა მიმართულებით იყურებოდნენ, ზუსტად ისე, როგორც მაშინ როცა პირველად ვნახე ისინი. ოღონდ ისინი ამჯერად ოთხნი იყვნენ; მათი ლამაზი, ვერცხლისფერ-თმიანი ძმა ჩემს პირდაპირ იჯდა, ოქროსფერი, შეწუხებული თვალები ჰქონდა.

– „მათ არ მოვწონვარ“- მივხვდი მე.

– „სულაც არაა ასე“- არ დამეთანხმა, მაგრამ მეტისმეტად მიამიტი თვალები ჰქონდა.- „უბრალოდ არ ესმით რატომ ვერ გტოვებ მარტო“

სახე დამემანჭა.

– „ვერც მე ვხვდები, თუ მასეა.“

ედვარდმა ნელა გააქნია თავი, თვალები ჭერისკენ აღაპყრო სანამ ისევ ჩემს მზერას არ შეეფეთა.

MYTOPBOOK.ORG

– „ხომ გითხარი, შენს თავს საერთოდ არ აფასებ ისე როგორც საჭიროა. ჩემს არცერთ ნაცნობს არ გავხარ, ვისაც აქამდე ვიცნობდი. შენ მე დამატყვევე.“

შევხედე, დარწმუნებული ვიყავი ამჯერად მე გამცინა.

როცა ჩემი გამომეტყველება გაშიფრა გაიღიმა.

– „ისეთივე უპირატესობები გაქვს რაც მე.“-ჩაიბუტბუტა მან, თან ფრთხილად შეეხო თავის შუბლს- „ადამიანის ბუნებას საშუალოზე კარგად ვფლობ. ხალხის მოქმედებების განსაზღვრა ადვილია. მაგრამ შენ... არასდროს აკეთებ იმას რასაც შენგან მოველი. ყოველთვის მაოცებ შენი რეაქციით.“

თვალი ავარიდე, ისევ მის ოჯახს გავხედე შეცბუნებულმა და მისი პასუხით დაუკმაყოფილებელმა. მისმა სიტყვებმა თავი სამეცნიერო ექსპერიმენტის საგნად მაგრძნობინა. მინდოდა ჩემი თავისთვის მაგრად დამეცინა სხვა რაიმეს მოლოდინის გამო.

– „ჩემი გრძნობების ეს ნაწილი ადვილი ასახსნელია“- გააგრძელა მან. მის მზერას ვგრძნობდი ჩემს სახეზე, მაგრამ მე ჯერ არ შემეძლო მისთვის თვალის გასწორება, მეშინოდა, რომ ჩემ თვალებში წყენას წაიკითხავდა.- „მაგრამ არის კიდევ ერთი ნაწილი... მაგრამ მისი სიტყვებში ჩატევა არც ისე ადვილია––“

ისევ კალენებს ვუყურებდი სანამ ამას იტყოდა. უცებ როზალი, მისი ქერა და სუნთქვისშემკვრელი და შემობრუნდა, რომ ჩემთვის შემოეხედა. არა, რომ შემოეხედა კი არა- რომ შემოენათებინა შავი, ცივი თვალები. მინდოდა გამეხედა, მაგრამ მისმა მზერამ შემაკავა სანამ ედვარდმა წინადადება არ გაწყვიტა და ბრაზიანი ხმით არ ამოიღმუვლა ხმადაბლა. ეს თითქმის სისინი იყო.

როზალიმ თავი მიაბრუნდა და მე შვება მომგვარა ამან, რომ განვთავისუფლდი. ისევ ედვარდს შევხედე, მივხვდი, რომ მან ჩემს თვალებში გაფართოებული შეცბუნება და შიში დაინახა.

სახე დაუმჭიდროვდა როცა ახსნა დაიწყო.

MYTOPBOOK.ORG

– „მაპატიე. ის უბრალოდ ღელავს. ხომ ხვდები... მარტო ჩემთვის კი არ იქნება სახიფათო თუ, ასე სახალხოდ ერთად გატარებული ამდენი დროის შემდეგ...“ -დაბლა დაიხედა.

– „თუ?“

– „თუ ეს დამთავრდება... ცუდად“- როგორც მაშინ, პორტ ანჯელესში ისე ჩარგო თავი ხელებში. მისი ტანჯვა აშკარა იყო; ძალიან მინდოდა მისი ნუგეშისცემა, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა როგორ უნდა გამეკეთებინა ეს. უნებლიედ გავიწვდინე ხელი; თუმცა მაშინვე მაგიდაზე დავდე, მეშინოდა რომ ჩემი შეხება პირიქით გააუარესებდა სიტუაციას. ნელა გავაცნობიერე, რომ მის სიტყვებს უნდა შევეშინებინე. ველოდებოდი როდის მოვიდოდა ეს შიში, მაგრამ ერთადერთი რასაც ვგრძნობდი იყო ტკვილი, რომ ის იტანჯებოდა.

და გულის დაწყვეტას- გულის დაწყვეტას, რომ როზალიმ შეაწყვეტინა იმის თქმა რასაც ამბობდა. არ ვიცოდი როგორ წამომეწყო საუბარი ისევ ამ თემაზე.

ვეცადე ჩვეულებრივი ხმით დამელაპარაკა.

– „ახლა უნდა წახვიდე?“

– „ჰო“- სახე წამოწია; რამდენიმე წამი სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, შემდეგ განწყობა შეეცვალა და გაიღიმა. – „მგონი ასე აჯობებს. 15 წუთი კიდევ უნდა გავუძლოთ იმ უვარგისი ფილმის ყურებას- ამას ველარ ავიტან.“

წამოვდექი. ელისი- მისი მოკლე, უკიდურესად შავი თმა წამახული რკალების უწესრიგობით შემოხვეოდა მის კოხტა, ელფურ სახეს- ის ედვარდის მხარსუკან იდგა. მოქნილი, მსუბუქი აღნაგობა ჰქონდა, სრულ სიმშვიდეშიც კი ძალიან მოხდენილი იყო.

ისე მიესალმა მას ედვარდი ჩემთვის თვალი არ მოუცილებია.

– „ელის“.

MYTOPBOOK.ORG

– „ედვარდ“- უპასუხა მან, მისი მაღალი სოპრანოც ისეთივე მიმზიდველი იყო როგორიც ედვარდის ხმა.

– „ელის, ეს ბელაა- ბელა, ეს ელისია“. -მოღრეცილი ღიმილით გაგვაცნო ედვარდმა ერთმანეთი, ხელებიც მოიშველია.

– „გამარჯობა, ბელა“-მისი ბრწყინვალე ობსიდიანის თვალები არაფერს გამოხატავდა, სამაგიეროდ მეგობრული ღიმილით მიყურებდა- „მიხარია რომ როგორც იქნა გაგიცანი“

ედვარდმა მოქუფრული მზერა შეანათა მას.

– „მზად ხარ?“-ჰკითხა მან ედვარდს.

– „თითქმის. მანქანასთან მოვალ“- გულცივი ხმა ჰქონდა ედვარდს.

აღარაფერი უთქვამს ისე გაბრუნდა; ისე ნარნარად მიდიოდა, ისე ტალღოვნად რომ შურის სიმწვავე ვიგრძენი.

– „უნდა გითხრა „კარგად გაერთე“ მეთქი თუ ეს ზედმეტი თავაზიანობა იქნება?“-მივუბრუნდი და ვკითხე.

– „არა, „კარგად გაერთე“ ყველა სიტუაციას უხდება“-გაიკრიჭა.

– „მაშინ კარგად გაერთე“-ვეცადე გულწრფელი ხმა მქონოდა. რა თქმა უნდა არ ვამასხარავებდი.

– „ვეცდები“- ისევ იღიმებოდა- „შენ კი გთხოვ, ეცადე არაფერი მოგივიდეს“.

– „უსაფრთხოდ ვიყო ფორქსში—— რა გამოწვევაა“

– „გამოწვევად ჩათვალე“- ყბები გაუმაგრდა-„დამპირდი“

– „გპირდები, რომ ვეცდები არაფერი მომივიდეს“- ჩამოვურაკრაკე- „ამაღამ სარეცხს დავრეცხავ- ეს ხიფათით სავსე იქნება.“

– „სარეცხ მანქანაში არ ჩავარდე“ - დამცინა.

MYTOPBOOK.ORG

– „ყველანაირად ვეცდები“

შემდეგ ის ადგა, მეც წამოვდექი.

– „ხვალამდე“- ამოვიოხრე.

– „დიდ დროდ გეჩვენება არა?“- ჩაფიქრდა.

პირქუშად დავუქნიე თავი.

– „ხვალ მოვალ“- დამპირდა და თავისი ცერა ღიმილით გამიღიმა. მაგიდის ზემოთ გადმოიწვდინა ხელი რომ სულ ოდნავ შემხებოდა ისევ ღაწვზე. შემდეგ შებრუნდა და წავიდა. მანამ ვუყურებდი როგორ მიდიოდა, სანამ თვალთახედვის არიდან არ გაქრა.

მტკივნეულმა ცდუნებამ შემიპყრო, რომ დღის დანარჩენი ნაწილი გამომეტოვებინა. სულ ცოტა სპორტ-დარბაზი მაინც, მაგრამ გამაფრთხილებელმა ინსტიქტმა შემაჩერა. ვიცოდი, რომ თუ ახლა გავქრებოდი მაიკი და დანარჩენები დაასკვნიდნენ, რომ ედვარდთან ერთად ვიყავი. ედვარდი კი სახალხოდ ჩვენს ერთად გატარებულ დროზე იღელვებდა... თუ ცუდად წავიდოდა საქმე. უარი ვთქვი ბოლო მოსაზრებას შევხიზნებოდი, ამის ნაცვლად მთელი ყურადღება ისეთი რაღაცეების გაკეთებაზე გადავიტანე, რაც მისთვის უფრო უსაფრთხო იქნებოდა.

ინტუიციით ვგრძნობდი- დარწმუნებული ვარ ისიც- რომ ხვალინდელი დღე გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა. ჩვენი ურთიერთობა დანის წვერის წონასწორობასავით ვეღარ გაგრძელდებოდა. შეიძლებოდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდნილიყავით, ეს სრულიად დამოკიდებული იყო მის გადაწყვეტილებებსა თუ ინსტიქტებზე. მე უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება, რომელიც მანამდე მივიღე, სანამ შეგნებულად გავაკეთებდი არჩევანს, და მე ველოდებოდი მენახა ამას რა მოყვებოდა. რადგან ჩემთვის არაფერი იყო უფრო შემაძრწუნებელი, უფრო აუტანელი ვიდრე მისთვის პირის შებრუნებაზე ფიქრი. ეს შეუძლებლად მიმაჩნდა.

MYTOPBOOK.ORG

კლასში შევედი, დამჯერ გოგონად ვგრძნობდი თავს. სიმართლე, რომ ვთქვა არც კი ვიცი რა ხდებოდა ბიოლოგიაზე; ჩემი გონება მეტისმეტად იყო დაკავებული იმაზე ფიქრებით, თუ რა მოხდებოდა ხვალ. სპორტ-დარბაზში მაიკი ისევ დამელაპარაკა; სიეტლში კარგი დროის გატარება მისურვა. ფრთხილად ავუხსენი, რომ სიეტლთან დაკავშირებული ჩემი გეგმები ჩემი პიკაპის გამო გავაუქმე.

– „ცეკვებზე კალენთან ერთად მოდიხარ?“- მკითხა უცებ პირქუშად.

– „არა, ცეკვებზე საერთოდ არ მოვიდვარ“

– „აბა რას აპირებ?“- ძალიან დაინტერესებული ხმით მკითხა.

ჩემი ხასიათი მაიძულებდა სიმართლე მეთქვა, მაგრამ წარბშეუხრელად ვიცრუე.

– „უნდა ვრეცხო, შემდეგ კი ტრიგონომეტრიის ტესტზე ვიმეცადინო, თორე ჩავიჭრები.“

– „კალენი დაგეხმარება მეცადინეობაში?“

– „*ედვარდი*“- ხაზი გავუსვი მის სახელს- „არ დამეხმარება მეცადინეობაში. ამ შაბათ-კვირას სადღაც მიდის“- გაოცებულმა შევამჩნიე, რომ ეს ტყუილები ჩვეულებრივზე კარგად გამომივიდა.

– „აა“- თავი აწია- „ხომ იცი, ჩვენს ჯგუფთან ერთად ცეკვებზე წამოსვლა მაინც შეგიძლია- მაგარი იქნებოდა. ყველანი გეცეკვებით“- შემპირდა.

ჯესიკას სახის წარმოდგენაზე ჩემი ტონი საჭიროზე მკვეთრი გახდა.

– „მაიკ, ცეკვებზე *არ* მოვდივარ, გასაგებია?“

– „კარგი“- ისევ მოიღუშა-„უბრალოდ შემოგთავაზე“

როცა სასკოლო დღე როგორც იქნა დამთავრდა, ენთუზიაზმის გარეშე გავემართე სადგომისკენ. სახლში ფეხით წასვლის დიდი სურვილი არ მქონია, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა როგორ

MYTOPBOOK.ORG

მოახერხებდა ედვარდი ჩემი პიკაპის მოყვანას. შემდეგ კი, ისევ დავიწყე იმაზე ფიქრი რომ მისთვის შეუძლებელი არაფერი იყო. ახლანდელმა ფაქტმა კიდევ ერთხელ გაამყარა ეს მოსაზრება- ჩემი პიკაპი ზუსტად იმ ადგილზე ეყენა სადაც დილას ედვარდმა თავისი ვოლვო დააყენა. ურწმუნოდ გავაქნიე თავი, როცა დაუკეტავი კარები გავაღე და გასაღები თავის ადგილზე დავინახე.

ჩემს სავარძელზე თეთრი ქაღალდის ნაგლეჯი გაკეცილი იდო. სანამ გავხსნიდი მანქანაში ჩავჯექი და კარი მოვიხურე. თავისი მოხდენილი ხელწერით ორი სიტყვა დაეწერა.

თავს გაუფრთხილდი

პიკაპის ღრიალმა ცხოვრებისეულად შემაშინა. ჩემ თავზე გამეცინა.

სახლში რომ მივედი სახელური დაკეტილი იყო, არც საკეტი იყო ღია, ზუსტად ისე დამხვდა როგორც დილას დავტოვე. შიგნით პირდაპირ სამრეცხაოსკენ გავემართე, ჯინსის ჯიბეები შევამოწმე. ცარიელი იყო. შეიძლება მე თვითონ ჩამოვკიდე გასაღები, გავიფიქრე ამ ყველაფრის მერე, თან თავი გავაქნიე.

იმავე ინსტიქტს მივყევი, რომელმაც მიკარნახა, რომ მაიკი მომეტყუებინა და ჯესიკას დავურეკე, იმ მიზეზით, რომ ცეკვებზე წარმატება მესურვებინა. როცა მანაც მისურვა წარმატება ედვართან გატარებულ დღესთან დაკავშირებით, ვუთხარი რომ ჩვენი გეგმები გაუქმდა. მესამე პირის ხარისხში მყოფი დამკვირვებლის პირობაზე ზედმეტად იმედგაცრუებული იყო. ამის შემდეგ სწრაფად დავემშვიდობე.

ჩარლი სადილზე გონებაგაფანტული იყო, მგონი სამუშაოსთან დაკავშირებით რაღაცაზე ღელავდა, ან შეიძლება ბეისბოლის მატჩთან დაკავშირებით ან შეიძლება უბრალოდ ლაზანიას ჭამით იყო ნასიამოვნები- ძნელი იყო ჩარლის გამომეტყველებით რაიმეს ზუსტად გაგება.

– „იცი, მამა...“- დავიწყე, მისი ჩაფიქრებულობა დავამსხვრიე.

MYTOPBOOK.ORG

– „რა მოხდა, ბელ?“

– „მგონი სიეტლთან დაკავშირებით მართალი იყავი. ალბათ აჯობებს მოვიცადო სანამ ჯესიკა ან სხვა ვინმე ჩემთან ერთად წამოსვლას შეძლებს“

– „ა“- თქვა გაოცებულმა- „ა, კარგი. და გინდა რომ სახლში დავრჩე?“

– „არა, მამა, გეგმებს ნუ შეცვლი. მილიონი რამ მაქვს გასაკეთებელი... საშინაო დავალება, სარეცხი... ბიბლიოთეკასა და სასურსათო მაღაზიაშიც წასასვლელი ვარ. მთელი დღე შინ და გარეთ უნდა ვირბინო... შენი წადი, გაერთე.“

– „დარწმუნებული ხარ რომ არ გინდა დავრჩე?“

– „სრულიად, მამა. ამას გარდა, საყინულე თევზისთვის ძალიან ცუდად ყინავს- ჩვენ კი 2 თუ სამი წლის მარაგი გვაქვს.“

– „შენთად ერთად ცხოვრება ადვილია,ბელა“- გაიღიმა.

– „შემიძლია მეც იგივე ვთქვა შენზე“- ვთქვი და გავიცინე. ჩემი სიცილის ხმა სუსტად გაისმა, მაგრამ მგონი მას არ შეუმჩნევია სისუსტე. იმდენად დამნაშავედ ვიგრძენი თავი მისი მოეტყუების გამო, რომ თითქმის მივიღე ედვარდი რჩევა, რომ მეთქვა სად ვიქნებოდი. თითქმის.

სადილის შემდეგ, ტანსაცმელი დავკეცე და შემდეგი გროვა გადავაადგილე საშრობში. სამწუხაროდ, ეს ისეთი სახის საქმიანობა იყო, რომელიც მხოლოდ ხელებს აკავებდა, ჩემს გონებას კი მეტისმეტად ბევრი თავისუფალი დრო მიეცა, გონება აღარ მემორჩილებოდა. ვმერყეობდი იმდენად ძლიერ წინათგრძნობას, რომელიც თითქმის ტკივილამდე იყო მიახლოებული და ვერაგულ შიშს შორის, რომელიც ჩემს გადაწყვეტილებას მოყვა. ჩემი თავისთვის შეხსენება დამჭირდა, რომ არჩევანი მეთვითონ გავაკეთე და რომ უკან დახევას აღარ ვაპირებდი. საჭიროზე ხშირად ვიღებდი ჯიბიდან ფურცელს, რომ მის მიერ დაწერილი 2 სიტყვა კარგად შემესრუტა. მას უნდა რომ უსაფრთხოდ ვიყო, ვუმეორებდი ჩემთავს ისევ და ისევ. ისე

MYTOPBOOK.ORG

უნდა ჩავეჭიდო რწმენას, რომ ბოლოს მასთან ერთად წასვლის სურვილმა გაიმარჯვოს სხვა გრძნობებზე. და რა იყო ჩემი მეორე არჩევანი- მისი ჩემი ცხოვრებიდან ამოჭრა? ეს აუტანელი იქნებოდა ჩემთვის. გარდა ამისა, მას შემდეგ რაც ფორქსში გადმოვედი ჩანდა თითქოს ჩემი ცხოვრება მის შესახებ იყო.

მაგრამ პაწაწინა ხმა ჩემ გონებაში ღელავდა, აინტერესებდა ძალიან *ეტკინებოდა*... თუ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა.

შვებით ამოვისუნთქე როცა ძილის დრო მოვიდა. ვიცოდი რომ ძილისთვის ძალიან დაძაბული ვიყავი, ამიტომ ისეთი რაღაც გავაკეთე რაც მანამდე არასდროს მიქნია. სპეციალურად მივიღე არასაჭირო ცივი წამალი-ისეთი რომ 8 საათით გამაბრუა. ნორმალურად ვერც მოვინელე, რომ ჩემ თავს ასე მოვექეცი, მაგრამ ხვალინდელი დღე ისედაც რთული იქნებოდა, ყველაფერს დამატებული უძილობისგან ამოშტერებულიც რომ არ ვყოფილიყავი. სანამ ველოდებოდი როდის იმოქმედებდა საძილე აბები, სუფთა და უცნაურად დახვეული თმები გავიშრე, დავფუსფუსებდი იმ ტანსაცმლის ძიებაში რაც ხვალ უნდა ჩამეცვა. როცა ყველაფერი მოვამზადე ხვალისთვის, ბოლოსდაბოლოს ჩავწექი საწოლში. ზეუცნაურად ვგრძნობდი თავს; ვერაფრით მოვისვენე. ავდექი და ჩემი დისკებით სავსე ფეხსაცმელების ყუთში ჩავძვერი სანამ ჩოპინის ნოქტიურნების კოლექცია არ ვიპოვე. პლეიერში წყნარად ჩავდე და ისევ დავწექი, მთელი ყურადღება ჩემი სხეულის თითოეული ნაწილის მოდუნებაზე გადავიტანე. ამ მცდელობის დროს, როგორღაც აბებმა მოქმედება დაიწყო და მეც გახარებულმა ჩავყვინთე ქვეცნობიერებაში.

დილას ადრე გამეღვიძა, ხმაურიანი და უსიზმრო ძილი ჩემი უფასო ტრანკვილიზატორის დამსახურება იყო. სამაგიეროდ თავს დასვენებულად ვგრძნობდი, დაღამებამდე და მის შემდეგ რომ მქონდა იმავე ჭლექიან სიგიჟეში ჩავვარდი. სწრაფად ჩავიცვი, სვიტერის საყელო გადავიკეცე, ვაწრიალებდი დათრიმლულ კოფთას სანამ ჯინსის ზემოთ გადავიცვი. ფანჯარასთან მივიპარე და ჩქარა გავიხედე, ჩარლი უკვე წასული იყო. თხელ, ბამბის მსგავს ღრუბლებს დაეფარათ ცა. მივხვდი რომ მალე მოიწმინდებოდა.

MYTOPBOOK.ORG

საჭმლის გემო არ გამიგია ისე ვისაუზმე, ჭურჭელიც სწრაფად გავრეცხე როცა ჭამას მოვრჩი. ისევ გავიჭყიტე ფანჯრიდან, მაგრამ გარეთ არაფერი შეცვლილა. ის იყო კბილების გახეხვას მოვრჩი და დაბლა ჩასვლას ვაპირებდი, რომ ხმადაბალმა კაკუნმა ჩემი გული ნეკნების გალიას მიანარცხა.

კარისკენ გავფრინდი; პატარა გასაჭირი დამიდგა კარის საკეტის გაღებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბოლოს გამოვაღე კარი, იქ კი ის იდგა. ყოველგვარი დარდი გაქრა, როგორც კი მის სახეს შევხედე, სიმშვიდემ დაიკავა მისი ადგილი. შვებით ამოვისუნთქე- გუშინდელი შიში სულელურად მომეჩვენა ახლა როცა მასთან ერთად ვიყავი.

თავდაპირველად მას არ გაუღიმია- პირქუში სახე ჰქონდა. მაგრამ გამომეტყველება გაუნათდა როცა დამინახა და გაიცინა.

– „დილა მშვიდობისა“- ჩაიცინა.

– „რა მოხდა?“- დავიხედე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი რამე მნიშვნელოვანის ჩაცმა ხომ არ დამავიწყდა, მაგალითად ფეხსაცმლის ან შარვლის.

– „შევეფერებით ერთმანეთს“- ისევ გაიცინა. მასაც გრძელი დათრიმლული სვიტერი ეცვა,თეთრი გადაკეცილი საყელოთი და ლურჯი ჯინსები. ფაქტიურად ერთი და იგივე სტილის და ფერის ტანისამოსი გვეცვა, მეც გავუცინე, სინანულის შემოტევის ტკივილს ვმალავდი- რატომ უნდა გამოიყურებოდეს ის პოდიუმის მოდელივით როცა მე არ შემიძლია იგივე?

სანამ ის პიკაპისკენ მიდიოდა მე კარები ჩავკეტე. მგზავრის მხარის კართან მიცდიდა, განაწამები გამომეტყველებით, რომლის გაგებაც არც ისე რთული იყო.

– „ჩვენ ხომ შევთანხმდით“- გაბღენძილად შევახსენე, მძღოლის მხარეს შევძვერი მანქანაში, და გადავიხარე რომ მისთვის გამეღო კარი.

– „საით მივდივართ?“- ვკითხე.

MYTOPBOOK.ORG

– „უსაფრთხოების ღვედი შეიკარი––უკვე ნერვები მეშლება“

გამომწვევად შევხედე როცა მისი ნათქვამი შევასრულე.

– „საით?“- ამოოხვრით გავიმეორე.

– „ჩრდილოეთით“- გასცა ბრძანება მან.

გასაოცრად რთული იყო გზისთვის ყურადღების მიქცევა,როცა მის მზერას ვგრძნობდი სახეზე. ეს იმით ავანაზღაურე რომ ჩვეულებრივზე ფრთხილად ვატარებდი ჯერ ისევ მძინარე ქალაქში.

– „შებინდებამდე არ აპირებ ფორქსიდან გასვლას?“

– „ეს პიკაპი შენს მანქანას ბაბუად ერგება- ამიტომ პატივი ეცი“- შევეპასუხე.

სულ მალე ქალაქის საზღვრებს გავცდით, მისი უარყოფის მიუხედავად. ხშირმა ბუჩქნარმა და სიმწვანეში ჩაფლულმა მაგისტრალებმა გაზონების და სახლების ადგილი დაიკავა.

– „მარჯვნივ შეუხვეიე“- მიმასწავლა როცა ის იყო უნდა მეკითხა. სიტყვის უთქმელად დავემორჩილე.

– „ახლა ტროტუარის დამთავრებამდე იარე“

მის ხმაში ღიმილი გავიგონე, მაგრამ გზაზე სიარულით ძალიან შეშინებული ვიყავი, საიმისოდ რომ შემეხედა და დავრწმუნებულიყავი რომ ნამდვილად იცინოდა.

– „და ტროტუარის ბოლოს რა არის?“- დავინტერესდი.

– „ბილიკი“

– „ფეხით უნდა ვიხეტიალოთ?“- მადლობა ღმერთს ტენისის ბოტასები მეცვა.

– „რამე პრობლემაა?“-ისეთი ხმა ჰქონდა თითქოს ამას მოელოდა.

MYTOPBOOK.ORG

– „არა“- ვეცადე ტყუილი თავდაჯერებულად გამომსვლოდა. მაგრამ თუ ის ფიქრობს, რომ ჩემი პიკაპი ნელია...

– „ნუ ღელავ, ბილიკი მხოლოდ 5 მილის სიგრძისაა, ჩვენ კი არსად გვეჩქარება...“

5 მილი. არაფერი ვუპასუხე, რომ ჩემს ხმაში გაბზარული პანიკა არ შეენიშნა. 5 მილზე მოღალატე ფესვები და მოშიშვლებული ქვები, რომლებიც ეცდებოდნენ კოჭები მეღრძო ან სხვაგვარად გავეუვნებელყვე. ეს შეურაცმყოფელი იქნებოდა.

სიჩუმეში ვატარებდი მანქანას სანამ მომავალ საშინელებას ვჭვრეტდი.

– „რაზე ფიქრობ?“- რამდენიმე წუთში მოუთმენლად მკითხა.

– „უბრალოდ მაინტერესებს სად მივდივართ“- ისევ მოვიტყუე.

– „ეს ის ადგილია სად სიარულიც მიყვარს, როცა კარგი ამინდია“- ორივემ გავხედეთ ფანჯრიდან შეთხელებულ ღრუბლებს როცა მან ეს თქვა.

– „ჩარლიმ თქვა, რომ დღეს თბილი დღე იქნება“

– „და შენ უთხარი ჩარლის რასაც აპირებდი დღეისთვის?“- მკითხა.

– „არა“

– „ჯესიკა ფიქრობს რომ სიეტლში ერთად მივდივართ?“- ამ იდეით აღფრთოვანებული ჩანდა.

– „რა, ვუთხარი რომ გამიუქმე ეს გეგმა- რაც ნამდვილად სიმართლეა“

– „არავინ იცის რომ ჩემთან ერთად ხარ?“- ამჯერად გაბრაზებული ხმა ჰქონდა.

– „ეს დამოკიდებულია... მგონი შენ ელისს უთხარი ხომ ასეა?“

– „აჯობებდა სხვებსაც სცოდნოდათ“- მოკლედ მოჭრა.

MYTOPBOOK.ORG

თავი მოვაჩვენე ვითომ არაფერი გამიგონია.

– „ფორქსმა იმდენად დაგთრგუნა, რომ მომაკვდინებელი გაგხადა?“- პასუხი მომთხოვა, როცა მის ნათქვამს ყურადღება არ მივაქციე.

– „ხომ მითხარი, რომ პრობლემებს შეგიქმნიდა... ჩვენი სახალხოდ ერთად ყოფნა.“- შევახსენე.

– „და შენ ღელავდი რომ *მე* შემექმნებოდა პრობლემები- *თუ შენ არ დაბრუნდებოდი* სახლში?“ -ჯერ კიდევ გაბრაზებული ხმა ჰქონდა, და გესლიანად სარკასტულიც.

თავი დავუქნიე, მზერით ისევ გზას გავყურებდი.

რაღაც ჩაიბუტბუტა ჩასუნთქვის დროს, ისე სწრაფად, რომ ვერც ვერაფერი გავიგე.

სანამ მანქანით მივდიოდით მეტი აღარაფერი გვითქვია. უკმაყოფილების გამძვინვარებულ ტალღებს ვგრძნობდი, რომლებიც მისგან მოედინებოდა, მე კი ვერაფერი მოვიფიქრე რომ მეთქვა.

შემდეგ კი გზა დასრულდა, გავაჩერე საცალფეხო ბილიკთან, რომელიც პატარა ხის ნიშანთან იყო. ვიწრო გზის პირზე გავაჩერი მანქანა და გადმოვაბიჯე, მეშინოდა, რადგან ის ჯერ კიდევ გაბრაზებული იყო ჩემზე, მე მანქანას აღარ ვატარებდი და მიზეზი აღარ მქონდა რომ ბოდიშის მოხდით მიზნით არ შემეხედა მისთვის. უკვე თბილოდა, უფრო მეტად თბილოდა, ვიდრე მას შემდეგ რაც ფორქსში ჩამოვედი, ღრუბლებს ქვემოთ თითქმის სულისშემხუთველი სითბო იყო. სვიტერი გავიხადე და წელზე შემოვიკარი, მიხაროდა, რომ მსუბუქი, უმკლაო პერანგი მეცვა- მითუმეტეს რომ წინ 5 მილიან ბილიკზე ხეტიალი მელოდა.

გავიგონე მისი კარი მიჯახუნდა, მოვხედე და დავინახე მასაც გაეხადა სვიტერი, ჩემგან შორს იდგა, პიკაპის გვერდით უვნებელ ტყეში.

MYTOPBOOK.ORG

– „აქეთ წამოდი“- თქვა და მხარზემოდან გამომხედა, ჯერ ისევ გაღიზიანებული მზერა ჰქონდა. ბნელი ტყისკენ მიიწევდა.

– „ ბილიკი?“- პანიკა ნათლად გაისმა ჩემს ხმაში როცა პიკაპს მოვუარე რომ დავწეოდი.

– „მე გითხარი რომ გზის ბოლოს იყო ბილიკი და არა ის რომ ბილიკს გავყვებოდით“

– „ბილიკს არ გავყვებით?“-სასოწარკვეთილად ვთქვი.

– „ნებას არ მოგცემ დაიკარგო“- დამცინავი ღიმილით მომიბრუნდა. ქოშინი ჩავახშე. მოკლემკლავიანი, თეთრი პერანგი შეხსნილი ჰქონდა,ისე რომ მისი ყელის გლუვი თეთრი კანი შეუჩერებლად მიუყვებოდა გულ-მკერდის მარმარილოს კონტურებს, მისი სრულყოფილი დაკუნთული სხეული აღარ იმალებოდა შემნიღბავი ტანსაცმლის მიღმა. სასოწარკვეთილების დარტყმით განგმირულმა გავაცნობიერე, რომ ის მეტისმეტად იდეალური იყო. შეუძლებელი იყო, რომ მისი ღმერთის მსგავსი ქმნილება ჩემთვის არსებულიყო.

ჩემი ნაწამები გამომეტყველებით გაოგნებული მომაჩერდა.

– „სახლში დაბრუნება გინდა?“- წყნარად მითხრა, ჩემი ტკივილისგან ბევრად განსხვავებულმა ტკივილმა გაჟღინთა მისი ხმა.

– „არა“- წინ მივიწევდი, სანამ მის გვერდით ახლოს არ დავდექი, იმით აღელვებულმა რომ არცერთი წამი არ დამეკარგა რა დროც არ უნდა ვყოფილიყავი მასთან ერთად.

– „რა მოხდა?“- ლმობიერი ხმა ჰქონდა.

– „არც ისე კარგი მოხეტიალე ვარ“- გონებაჩლუნგივით ვუპასუხე- „მოგიწევს ძალიან მომთმენი იყო“

– „შემიძლია ვიყო მომთმენი- თუ ძალიან მოვინდომებ“- გაიღიმა, მზერა გამისწორა რომ ჩემი უცაბედი, ამოუხსნელი დარდისგან გამოეკეთებინა ხასიათი.

MYTOPBOOK.ORG

ვეცადე ღიმილითვე მეპასუხა, მაგრამ არადამაჯერებელი გამომივიდა. ის ყურადღებით დამაკვირდა სახეზე.

– „სახლში დაგაბრუნებ“- შემპირდა. დარწმუნებული არ ვიყავი ეს უპირობო დაპირება იყო, თუ სასწრაფო გამგზავრებას ითვალისწინებდა. ვიცოდი, ეგონა რომ შიშმა გამიფუჭა ხასიათი, და მე მადლიერი ვიყავი, რომ ვიყავი ერთადერთი ადამიანი ვისი აზრების გაგებაც მას არ შეეძლო.

– „თუ გინდა რომ 5 მილი ჯუნგლებში მზის ჩასვლამდე გამატარო, გირჩევნია დროზე გამიძღვე“-მჟავედ ვთქვი. შემომიბღვირა, იბრძოდა ჩემი ტონი და გამომეტყველება ამოეცნო.

რამდენიმე წამში შემეშვა და ტყის სიღრმისკენ გამიძღვა.

არც ისე რთული აღმოჩნდა ტყეში ხეტიალი, როგორც ვშიშობდი. უმეტესად სწორი გზა იყო, ედვარდი იჭერდა ნოტიო გვიმრებს და ხავსის ქსელებს ჩემგან განზე. როცა მისმა სწორმა ბილიკმა წაქცეულ ხეებამდე ან რიყის ქვებამდე მიგვიყვანდა, მეხმარებოდა, იდაყვებით მწევდა და დაუყოვნებლივ მათავისუფლებდა საიდანაც კი სიარული შემეძლო. მის ცივ შეხებას ჩემს კანზე არცერთხელ ჩაუვლია ჩემი გულის მერყევად გაბრაგუნების გარეშე. ორჯერ, როცა ასე მოხდა, მის სახეს წავაწყდი და დავრწმუნდი, რომ მან ეს როგორღაც გაიგონა.

ვცდილობდი რაც შეიძლება მომერიდებინა მზერა მისი სრულყოფილებისთვის, მაგრამ ხშირ-ხშირად ვაპარებდი მისკენ მზერას. ასეთ დროს მისი სილამაზე ყოველთვის განმგმირავდა სევდით.

უმეტესწილად უხმოდ მივდიოდით. შემთხვევით მისვამდა ალალბედზე შეკითხვებს, რომელზე პასუხის გასული ორი დღიანი დაკითხვის განმავლობაში არ ქონდა მიღებული. ჩემ დაბადების დღეებზე მეკითხებოდა, დაწყებითი სკოლის მასწავლებლებზე, შინაურ ცხოველებზე, რომლებიც ბავშვობაში მყავდა- და მომიწია მეღიარებინა, რომ ზედიზედ 3 თევზის მკვლელობის შემდეგ სრულიად ავიღე ხელი შინაურ ცხოველებზე. მან ამაზე გაიცინა, უფრო ხმამაღლა, ვიდრე აქამდე მსმენოდა- ზარის მსგავსი ექო მოგვიბრუნდა ცარიელი ტყიდან.

MYTOPBOOK.ORG

სახეტიალოდ მთელი დილა დამჭირდა, მაგრამ მას მოუთმენლობის არცერთი ნიშანი არ გამოუმჟღავნებია. ტყე ანტიკური ხეების უსაზღვრო ლაბირინთში ვრცელდებოდა, მე კი ნერვიულობა დავიწყე რომ უკან გამოსასვლელ გზას ვეღარასდროს ვიპოვიდით. ის ჩინებული იყო სიმშვიდეში, კომფორტულად გრძნობდა თავს მწვანე ლაბირინთში, არასდროს იმჩნევდა, რომ მიმართულებასთან დაკავშირებით რამე ეეჭვებოდა.

რამდენიმე საათის შემდეგ, სინათლემ გარდაქმნილი ბალდახინი გაფილტრა, ბნელმა ზეთისხილისფერმა ტონი უფრო ნათელ ნეფრიტად გადაიქცა. მზიანი დღე გახდა, როგორც მან იწინასწარმეტყველა. პირველად, მას შემდეგ რაც ტყეში შემოვედით, მღელვარების თრთოლა ვიგრძენი- რომელიც სწრაფად გადაიზარდა მოუთმენლობაში.

– „ჯერ არ მივედით ადგილზე?“-გავცინე, თავი მოვაჩვენე ვითომ მოღუშული ვიყავი.

– „თითქმის“- გაეღიმა ჩემი განწყობის ცვლილებაზე. –„წინ სინათლეს ხედავ?“

ხშირ ტყეს ჩავაშტერდი.

– „უნდა ვხედავდე?“

თავდაჯერებულად ჩაიცინა.

– „შეიძლება *შენი* თვალებისთვის ოდნავ შორსაა.“

– „დროა ოკულისტს ვესტუმრო“- ჩავიბუტბუტე. მისი თავდაჯერებული ღიმილი უფრო გამოიკვეთა.

მაგრამ შემდეგ, რამდენიმე ასეული იარდის გავლის მერე, ნამდვილად ვხედავდი ნათებას წინ ხეებსშორის, ნათება მწვანის ნაცვლად ყვითელი იყო. ნაბიჯებს ვზომავდი, ჩემი აღფრთოვანება ყოველ ნაბიჯზე იზრდებოდა. ნება მომცა წინ მე მევლო, თვითონ უხმაუროდ მომყვებოდა.

MYTOPBOOK.ORG

სინათლის მორევის კიდეს მივაღწიე და გვიმრის ბოლო ფოჩებში გავაბიჯე, ყველაზე საყვარელ ადგილას, რომელიც ოდესმე მენახა. პატარა მდელო იყო, იდეალურად მრგვალი და იისფერი, ყვითელი და ნაზი თეთრი ველური ყვავილებით სავსე. სადღაც შორიახლოს, ნაკადულის ბუყბუყა მუსიკა ისმოდა. მზე შუბისტარზე იყო, წრეს კრავდა მზის სხივების ნათებასთან ერთად. ნელა მივდიოდი, მორიდებულად ბალახს, მოქანავე ყვავილებსა და თბილ, მოოქროვილ ჰაერს შორის. ნახევრად შემოვბრუნდი, მინდოდა ჩემი განცდები გამეზიარებინა მისთვის, მაგრამ ის ჩემს უკან არ იდგა იქ სადაც მეგონა. გარშემო მიმოვიხედე, უცაბედი განგაშით ვეძებდი მას. ბოლოს როგორც იქნა შევნიშნე ის, ჯერ ისევ ბალდახინის ქვეშ მუქ ჩრდილში იდგა მდელოს კიდესთან, ფრთხილი მზერით მიყურებდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამახსენდა მდელოს როგორი სილამაზე ამოტივტივდა ჩემი გონებიდან- მზე და ედვარდის საიდუმლო, რომლის ახსნასაც ის დღეისთვის დამპირდა.

მისკენ გადავდგი ნაბიჯი, თვალები ცნობისმოყვარეობით ამენთო. მას კი ფრთხილი, უხალისო თვალები ჰქონდა. გამამხნევებლად გავუღიმე და ხელის ქნევით ვანიშნე გამოსულიყო, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი მისკენ. ხელი გამაფრთხილებლად აწია, და მე შევყოყმანდი, ქუსლებზე შევქანდი.

ედვარდმა ღრმად ჩაისუნთქა, შემდეგ კი შუადღის მზის კაშკაშა სინათლეში გამოაბიჯა.

თავი მეცამეტე

აღსარება

MYTOPBOOK.ORG

მზის შუქზე ის უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ვერაფრით შევეჩვიე, მიუხედევად იმისა, რომ რამდენიმე საათია, რაც ასეთს ვუყურებდი. ფერმკრთალი სახე,—გუშინდელი ნადირობის შემდეგ ოდნავ ფერდადებული, ისე გამიყურებოდა, თითქოს მილიონობით ბრილიანტით იყო შექმნილი. ედვარდი ქანდაკებასავით იწვა ბალახზე, გახსნილი პიჯაკიდან კი გამოქანდაკებული მკერდი და მბრწყინავი მხრები მოუჩანდა. მისი ლევენდერისფერი ქუთუთოები ნახევრად დახურული ქონდა ,თუმცა რათქმაუნდა არ ეძინა. მეგონა, რომ ჩემს წინაშე იწვა ადამიანთათვის უცნობი ქვა, რომელიც გლუვი იყო როგორც მარმარილო და მბრწყინავი როგორც ბროლი.

მისი ტუჩები ისე სწრაფად მოძრაობდნენ, მეგონა კანკალებდნენ, როცა ვკითხე მითხრა რომ ის მღეროდა, მაგრამ ზედმეტად ჩუმად და მისი მოსმენა არ შემეძლო.

როგორ მიხაროდა მზე! მეც სიამოვნებით დავწვებოდი მის გვერდით და გავითბობდი სახეს და სხეულს, მაგრამ დავჯექი და ნიკაპი მუხლებში დავმალე ისე, რომ ედვარდისთვის თვალი არ მომიცილებია. მსუბუქი ქარი არხევდა ჩემს თმებსა და მის ირგვლივ ამოსულ ბალახებს.

ეს ულამაზესი მდელოც კი ვერ შეედრებოდა მის დიდებულებას.

დაუჯერებელია— უცებ შემეშინდა, რომ ის მირაჟივით გაქრებოდა, იმდენად ლამაზი იყო რეალური სამყაროსთვის... მე გადავიხარე და ფრთხილად შევეხე მის მოციმციმე ხელს. მისი კანი გლუვი და ცივი იყო, როგორც ქვა. როდესაც ისევ შევხედე, გაეხილა თვალები და მიყურებდა. გუშინდელი ნადირობის შემდეგ, თვალები გადამდნარი შაქრის ფერი ჰქონდა, მათში უზომო სითბო და სინათლე ჩაღვრილიყო. ტუჩის კუთხეებიდან ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დავინახე.

— ხომ არ შეგაშინე? — მის რბილ ხმაში ხუმრობა შევნიშე.

— უფრო მეტად არა ვიდრე ყოველთვის.

MYTOPBOOK.ORG

მან უფრო ფართოდ გაიღიმა და ქათქათა კბილებმა მზეზე გაიბრწყინეს.

შევირხიე, ახლა უკვე მთელი ხელით დავიწყე მის წინამხარზე ხელის შემოტარება. ხელი მიკანკალებდა, ვიცოდი რომ მან ეს შეამჩნია.

— წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

— არა, რათქმაუნდა.—— თქვა მან თვალგაუხელად,— წარმოდგენაც არ გაქვს ეს როგორი შეგრძნებაა.

მივყევი ლურჯ ვენებს, იდაყვის ნაკეცამდე. მეორე ხელით მინდოდა ხელისგულის გადმოტრიალება, თუმცა ვიცოდი მისი დახმარების გარეშე ამას ვერ გავაკეთებდი, მაგრამ როცა გაიგო რაც მინდოდა, ისე ჩქარა გადმოატრიალა— შიშისგან შევხტი, თითები მის მხარზე წამით გამიშეშდა.

— მაპატიე, — დაიჩურჩულა ედვარდმა, მე ავხედე მის ოქროსფერ თვალებს — შენთან ისეთი ადვილია ვიყო ისეთი როგორიც ვარ...

როგორი მომთმენი იყო, როცა მე მის ხელს ვეთამაშებოდი! ხელი თვალებთან ახლოსაც კი მივიტანე, რომ დავრწმუნებულიყავი კანზე ბრილიანტის პატარა ნაწილაკები ნამდვილად არ ჰქონდა მიმაგრებული.

— რაზე ფიქრობ?... რა უცნაურია— არ გესმოდეს სხვისი ფიქრები.

— სამაგიეროდ იცი დანარჩენები რას ფიქრობენ, — გავუღიმე მე.

— ეს ყოველთვის კარგი არ არის —ნუთუ მის ხმაში სინანული იყო? — მაგრამ შენ მაინც არ მიპასუხე.

— ვფიქრობ გამოვიცნო შენ რაზე ფიქრობ.

MYTOPBOOK.ORG

— კიდევ?

— ვოცნებობ რომ სინამდვილე იყო, ეს დღე არ დამთავრდეს და არ მეშინოდეს..

— არ მინდა რომ გეშინოდეს! — დაიჩურჩულა ედვარდმა, – – სამწუხაროა, მას არ შეუძლია მითხრას, რომ საშიში არაფერია.

— მაგრამ შიში ზუსტად ის არ არის რასაც მე ვგრძნობ...

ის უცებ წამოიწია, მისი ბერძნული ღმერთის სახე მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით იყო ჩემგან. მე შემეძლო გავწეულიყავი და ასეც უნდა მოვქცეულიყავი ალბათ, მაგრამ განძრევის უნარი წამერთვა. — ვეფხვის თვალებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მომაქციეს.

— აბა რისი გეშინია?— ჩურჩულით მკითხა მან.

მე პასუხის გაცემაც ვერ მოვახერხე. სახეზე მის გრილ სუნთქვას ვგრძნობდი. მისი არომატისგან დავმუნჯდი. ეს სურნელი ამქვეყნად არაფერს გავდა. თავი დაბლა დავხარე და ძლივს ნერწყვი გადავყლაპე.

მან ხელი გამომართვა და წამოდგა, ნაძვებისკენ წავიდა, ჩემგან ათი მეტრის მოშორებით. მისი თვალები ჩამუქდნენ და დაჟინებით მიყურებდნენ.

ვიგრძენი, რომ სახეზე ტკივილი და იმედგაცრუება დამეხატა, ცარიელი ხელები გამიშეშდა.

— მაპატიე ედვარდ, —ჩუმად წარმოვთქვი მე. ვიცოდი რომ ის მაინც გაიგონებდა.

— მოიცადე, —თქვა მან. მე კი გავშეშდი, ვერ გადამეწყვიტა გავნძრეულიყავი თუ არა.

MYTOPBOOK.ORG

ათი გრძელი წამის მანძილზე ის ნელ- ნელა მომიახლოვდა და სულ ერთი მეტრის დაშორებით დაჯდა ჩემს გვერდით. ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა და დამნაშავედ გაიღიმა.

— ეს შენ მაპატიე ბელა. სამწუხაროა, არ შემიძლია გითხრა, რომ მე მხოლდ და მხოლოდ ადამიანი ვარ!

მისმა ხუმრობამ ვერ გამაცინა, მხოლოდ თავი დავუქნიე, ადრენალინმა მთელს ტანში დამიარა —პირველად მთელი დღის მანძილზე ვერ ვიყავი კარგად. მან დამცინავად გაიღიმა.

— მე დედამიწაზე ყველაზე საშიში მტაცებელი ვარ გასაგებია? შენ ჩემში ყველაფერი გიზიდავს: ჩემი ხმა, გრაცია, სახე, სუნიც კი?.. უცებ იფიქრებ, რომ მე ეს მჭირდება! — მოულოდნელად ის წამოხტა და გაქრა, წამის შემდეგ კი მდელოზე, ნაძვის ქვეშ აღმოჩნდა.

— მე ჩემსას ამ ყველაფრის გარეშეც მივაღწევდი!

ის მივარდა დიდ ნაძვს, ცალი ხელით ფესვებიანდ ამოთხარა და სადღაც შორს გადაისროლა.

და აი, ის ისევ მეტრის მოშორებით აღმოჩნდა ჩემთან თავისი ქანდაკებისებრი სახით.

— შეიძლება ვიფიქრო, რომ შეძლებდი შეწინააღმდეგებას...

მე შიშისგან შევხტი. ის არასოდეს მინახავს ასეთი, ცხოველი, ნამდვილი ცხოველი... მაგრამ როგორი ლამაზი! სახე მკვდარივით ფერმკრთალი, თვალები ბრწყინავენ.. თავი პატარა ჩიტად ვიგრძენი, რომელიც სამეფო კობრის მახეშია გაბმული.

თვალები, რომლებიც მე ასე მიყვარდა , თვალები რომლებიც ასე ველურად მიყურებდენენ, უცებ დაწყნარდნენ. ფერკმრთალ სახეზე მთელი სამყაროს სევდა გამოისახა.

MYTOPBOOK.ORG

— ნუ გეშინია, — წაიბუტბუტა ედვარდმა, ჯერ არასდროს არ ყოფილა მისი ხმა ასეთი ვნებიანი. — მე არასდროს არაფერს დაგიშავებ, გეფიცები!

მომეჩვენა რომ ის საკუთარი თავის დაჯერებას უფრო ცდილობდა ვიდრე ჩემსას.

— ნუ გეშინია, — გაიმეორა მან და ნელა დაეშვა ბალახზე, ჩვენი სახეები ოცდაათი სანტიმეტრის მოშორებით იყვნენ ერთმანეთისგან.

— ძალიან გთხოვ, მაპატიე, —ძალიან სერიოზულად და სევდიანად მითხრა ედვარდმა. —მე ახლა საკუთარ თავს ვაკონტროლებ, შენ მაგდებ ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ გპირდები ეს აღარ განმეორდება.

ის ჩემგან რაიმეს თქმას ელოდებოდა, მაგრრამ ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე ხმის ამოღების ძალა .

— დღეს არ მწყურია, მართლა. — ჩაიღიმა მან.

აქ კი ნერვიულად ამიტყდა სიცილი ისე უცებ და მოულოდნელად, რო ალბათ გიჟი ვეგონე.

— ყველაფერი კარგადაა?— მკითხა მან მზრუნველად და ხელი ფრთხილად შემახო.

მე დაბნეულად შევხედე მის ხელს, შემდეგ მის ვეფხვისებურ თვალებს, რომლებიც სავსე იყვნენ სითბოთი და მონანიებით. მისი ხელი ავიღე და თითის წვერები გადავუსვი გლუვ ზედაპირს, შემდეგ კი მოვიკრიბე ძალა და გავუღიმე.

ოქროსფერმა თვალებმა პასუხად შემომანათეს.

— ხო, და რაზე ვლაპარაკობდით აქამდე?

— არ მახსოვს, —გულახდილად ვუთხარი მე.

MYTOPBOOK.ORG

— მგონი იმაზე, თუ რისი გეშინია... გარდა იმისა, რაც ისედაც ნათელია.–- რბილად შემახსენა მან.

— ხო, მართალი ხარ.

— რისი?

მე უაზროდ ვუსვამდი თითებს ედვარდის ხელს, ის კი პასუხს ელოდა.

— ხედავ რა ადვილად ვიშლები? —გაეცინა მას.

მის თვალებს დავაკვირდი და მივხვდი, რომ არ არის თავის თავში დარწმუნებული. ამდენი წლის მანძილზე, ის მიეჩვია ხალხის აზრების მოსმენას და უცბად გამოვჩნდი მე. გამოცანის ამოხსნით უკეთ გავხდი.

— მე მეშინია იმიტომ... რომ არ შეგვიძლია ვიყოთ ერთად. კიდევ იმისი, რომ სწორედ ეს მინდა ყველაზე მეტად. —ამის აღიარება ადვილი არ იყო.

— ხო, —დამეთანხმა ის, ამის გამო მართლც ღირს შიში. შენისთანა გოგონას არაფერში გამოადგება ჩემთან ყოფნა.

— ვიცი, ალბათ ღირს ვეცადო დაგივიწყო.

— ძალიან მინდა დაგეხმარო, — გულახდილად მითხრა მან, — ალბათ უფრო ადრე უნდა შემეწყვიტა ყველაფერი, ახლა ჯობია წავიდე, მაგრამ არ ვიცი შევძლებ თუარა ამას.

— არ მინდა რომ წახვიდე, —ძლივს გასაგონად წავიბუტბუტე მე.

— სწორედ ამიტომ უნდა გავაკეთო ეს!.. მაგრამ ნუ ღელავ, მე საკმაოდ ეგოისტი ვარ და ძალიან დიდხანს ველოდებოდი ამ დღეს.

— ძალიან მიხარია.

MYTOPBOOK.ORG

— სულ ტყუილად! — ედვარდმა ხელი გამომართვა, გაბრაზებულზეც კი მეჩვენებოდა, რომ მისი ხმა ყველაზე მელოდიური იყო ამ ქვეყნად. მე ძლივს ვასწრებდი მისი განწყობის ცვლილებების აღქმას.

— მე მხოლოდ შენთან მინდა ყოფნა! ეს არადროს დაგავიწყდეს! გახსოვდეს, რომ მე ყველაზე მეტად შენთვის ვარ საშიში. — თქვა მან და სადღაც შორს დაიწყო ყურება.

— ვერ ვხვდები რაზე ამბობ,— წუთიერი დუმილის შემდეგ ვაღიარე მე.

შემომხედა თუარა მან გამიღიმა, განწყობა ისევ შეეცვალა.

— როგორ აგიხსნა რომ ისევ არ შეგაშინო? —მკითხა ჩაფიქრებულმა , ხელი მომკიდა და ჩვენს ხელებს დახედა. — როგორი სასიამოვნო შეიძლება იყოს სითბო, —ამოიოხრა მან.

— იცი ყველას თავისი გემოვნება აქვს. ვიღაცას შოკოლადის ნაყინი უყვარს, ვიღაცას მარწყვის...

მე თავი დავუქნიე.

— მაპატიე საჭმელთან რომ ვაკეთებ შედარებას..— მე გამეღიმა და ღიმილითვე მიპასუხა.

— ხომ იცი ყველა ადამინს სხვადსხვა სუნი აქვს, სხვადასხვა გემოს შეგრძნება. თუ ალკოჰოლიკს შეიყვან ოთახში სადაც ბევრი ლუდია ის მას სიამოვნებით დალევს. თუმცა თუ მოინდომებს თავსაც შეიკავებს დიდი ძალისხმევით. მაგრამ წარმოიდგინე რა მოხდება თუკი ამ ოთახში დადებ ჭიქით ძველ ბრენდის ან რომელიმე ძვირფას კონიაკს ცნობილი კოლექციიდან. როგორ მოიქცევა ჩვენი ალკოჰოლიკი?

ჩვენ ვუყურებდით ერთმანეთს თვალებში და ვცდილობდით ერთმანეთის აზრები გამოგვეცნო.

MYTOPBOOK.ORG

— შეიძლება მოყვანილი შედარება არც ისე ზუსტია, ბრენდის წინაშეც მოითმენს თუ ძალიან მოინდომებს. ჯობს ალკოჰოლიკი ჰეროინს მონატრებული ნარკომანით შევცვალოთ.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ მე ვარ შენი ჰეროინი?

ედვარდს გაეღიმა.

— ხო, ყველაზე საყვარელი სახეობა!

— და ხშირად ხდება ასე?

ის თითქოს პასუხს ეძებდა ხეების ზემოთ.

— მე ვილაპარაკე ამაზე ძმებთან. ჯასპერისთვის ყველა ადამიანი ერთნაირია. ის ახლახან შემოუერთდა ჩვენს ოჯახს და ძალიან უჭირს ჩვენი წესების დაცვა. ჯერ ვერ პოულობს განსხვავებას გემოსა და სუნს შორის. — ედვარდი უცებ გაჩუმდა და სინანულით შემომხედა, — მაპატიე!

— არაფერია, ნუ იფიქრებ რომ შემაშინებ ან მაწყენინებ. შენ ხომ ეს გაწუხებს? ყველაფერი მესმის. ყოველი შემთხვევისთვის ვცდილობ გავიგო. ისე მოიქეცი როგორც საჭიროდ ჩათვლი.

— შენ გაბედული გოგონა ხარ.— აღფრთოვანებით თქვა მან.

— სულაც არა, ნამდვილი მშიშარა ვარ! მე რომ გაბედული ვყოფილიყავი შენგან თავს შორს დავიჭერდი.

— შენ არ გეშინია უყურო სიმართლეს თვალებში.

— სამწუხაროდ არახარ მართალი, მაგრამ მაინც გააგრძელე.

ედვარდმა ღრმად ამოისუნთქა და კვლავ ცას ახედა.

— ასე რომ ჯასპერმა არ იცის შეხვედრია თუ არა ისეთს, რომელიც ისევე იზიდავდა მას, როგორც... შენ მე. ესეიგი არ შეხვედრია. ემმეტს ასე ვთქვათ, უფრო დიდი გამოცდილება აქვს და

MYTOPBOOK.ORG

მან მაშინვე გაიგო რაზე ვეუბნებოდი. ძმა ამბობს რომ მას ქონდა ორი ასეთი შემთხვევა.

— შენ ასეთი დაგმართნია?

— არასოდეს.

მომეჩვენა რომ ედვარდის პასუხი მთელს მდელოს მოეფინა.

— და როგორ მოიქცა ემმეტი? — დავინტერესდი მე.

ცნობისმოყვარეობის გამოვლენა მგონი არ ღირდა. ედვარდს სახე ჩაუმუქდა და მუჭები შეეკრა. ის მიხვდა რომ პასუხს აღარ ველოდი.

— მგონი მივხვდი...

ედვარდმა დაღლილი და წამებით სავსე თვალებით შემომხედა.

— ყველაზე ძლიერებსაც აქვთ პატარა სისუსტეები...

— და რას ელოდები? ჩემს თანხმობას? — ვთქვი მე იმაზე უფრო მკვეთრად და ჩქარა ვიდრე ველოდი. —შემდეგ კი უფრო შევარბილე, —ესეიგი არავითარი იმედი არ არის?

რა უშფოთველად განვიხილავ საკუთარ სიკვდილს!

— არა, არა ! —დაიყვირა მან, — რათქმაუნდა არის, მე ნამდვილად არ ვაპირებ... ანუ ჩვენი სიტუაცია სულ სხვაგვარია! ემეტისთვის ის ქალები უცხოები იყვნენ, თან მაშინ ის არ იყო ასეთი... გამოცდილი და თავშეკავებული, როგორც ახლა.

— ესეიგი ჩვენ რომ შევხვედრილიყავით ბნელ ქუჩაში ...— ვეღარ შევძელი გაგრძელება.

— იმ დღეს რაც კი ძალა მქონდა ყველა მოვიკრიბე, რომ მთელი კლასის წინაშე არ... — მან კვლავ მომაშორა თვალი —როცა

MYTOPBOOK.ORG

გვერდით ჩამიარე მზად ვიყავი დამერღვია ის, რასაც კარლაილი წლების მანძილზეა მოგვიწოდებს.

— ალბათ შენ იფიქრე რომ არანორმალური ვარ! —მითხრა მან.

— მე უბრალოდ ვერაფერი გავიგე მაშინ, არ მესმოდა როგორ მოასწარი ჩემი შეძულება.

— მე მეგონა ჯოჯოხეთიდან მოვლენილი დემონი იყავი, რომელსაც ჩემი განადგურება უნდოდა. და სუნი! ის მე მაგიჟებდა! ერთი საათის მანძილზე ათასი გეგმა მოვიგონე, რომ კლასიდან გამეყვანე და სადღაც შორს წამეყვანე. მაგრამ შევძელი დამეთრგუნა ვნებები, როცა წარმოვიდგინე რამოდენა ტკივილს მიანიჭებდა ჩემი თავშეუკავებლობა ჩემს ოჯახს.

ედვარდი აკვირდებოდა ჩემს რეაქციას, მისი თვალები დახრილი წამწამებიდანაც საოცრად ბრწყინავდნენ.

— ვფიქრობ გამომივიდოდა შენი სკოლიდან წაყვანა, —მითხრა ჩაფიქრებულმა.

— უეჭველად.

— შემდეგ მინდოდა ცხრილი შემეცვალა, რომ შენს გვერდით არ ვმჯდარიყავი, მაგრამ ადმინისტატორის შენობაში შენც შემოდი. იმ პატარა თბილ ოთახში თავბრუ დამეხვა შენი სუნისგან. კინაღამ ვნებას ავყევი,მით უმეტეს რომ ოთახში მე, შენ და ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც უპრობლემოდ მოვერეოდი.

— იმ წარსულის გახსენებამ ძალიან შემაშინა. საბრალო ადმინისტრატორი! სიკვდილი ელოდა ჩემს გამო!

— მაგრამ მაინც მოვითმინე, არ ვიცი როგორ მოვერიე თავს და ქუჩაში არ დაგელოდე, სახლამდე მინდოდა გაგყოლოდი. მაგრამ ვიგრძენი თუ არა ცივი ჰაერი გონს მოვედი, ემმეტთან და ჯასპერთან

MYTOPBOOK.ORG

საუბარი არ მინდოდა, ამიტომ პირდაპირ კარლაილთან წავედი საავადმყოფოში და განვუცხადე რომ მივდიოდი.

მე გაოცებულმა შევხედე მას.

— მე და კარლაილმა მანქანები გავცვალეთ. მას საწვავით სავსე ქონდა, მე კი ცარიელი, გაჩერების დრო აღარ იყო, თან სახლშიც ვერ შევივლიდი ესმი გაგიჟდებოდა, ვერ იტანს, როცა სადმე მივდივარ. მეორე დილით უკვე ალიასკაზე ვიყავი, ძველ მეგობრებთან, მაგრამ სახლი ძალიან მენატრებოდა. საშინლად არ მინდოდა ესმისა და ოჯახის წევრების წყენინება, თან მთის სუფთა ჰაერმა უკანასკნელი მოგონებაც წამართვა შენს სურნელებაზე. მივხვდი რომ გაქცევას აზრი არ ქონდა, მით უმეტეს რომ ადრეც მოვრევივარ ვნებებს და არასოდეს ვუცდუნებივარ მათ! განა შეიძლება უბრალო გოგონას მისცე უფლება, — ბოროტად გაიღიმა მან — გაცდუნოს და ცხოვრების გზიდან გადაგახვევინოს?

ედვარდი დაფიქრებული იყურებოდა სადღაც შორს, — სანამ სკოლაში დავბრუნდებოდი სამი დღის მანძილზე ვნადირობდი, იმაზე მეტს ვიდრე ყოველთვის. მთელი ძალით ვცდილობდი დამეჯერებინა საკუთარი თავი, რომ შენც ისევე მოგექცეოდი, როგორც დანარჩენ გარშემომყოფ ხალხს.

—ყველაზე დიდ სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ შენს აზრებს ვერ ვკითხულობდი, ამიტომ გადავწყვიტე მესმინა ჯესიკასთვის და რაიმე მაინც გამეგო შენზე. ჯესიკა კი ზედმეტად პრიმიტიულად აზროვნებს, ამიტომ მისი აზრების მოსმენა არც ისე სასიამოვნოა. მით უმეტეს, რომ შენ სულ არ ხარ სხვებთან გულ- ახდილი. —ედვარდი შეიშმუშნა.

—მინდოდა რაც შეიძლება მალე დაგვიწყებოდა პირველი დღე, ამიტომ გადავწყვიტე მე თვითონ გამომეჩინა შენთან საუბრის ინიციატივა. უნდა გავრკვეულიყავი შენს აზრებში, მაგრამ შენ ბევრად რთული და საინტერესო აღმოჩნდი ... და ისევ ეს სურნელი, რომელიც შენს კანსა და თმებს ასდიოდა...მერე კი ჩემს თვალწინ კინაღამ ფურგონმა გადაგიარა. საქმე იმაში იყო , რომ თუკი შენი სისხლი

MYTOPBOOK.ORG

დაიღვრებოდა, თავს ნამდვილად ვეღარ შევიკავებდი და ჩემი ოჯახის საიდუმლოს გავამხელდი,მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ მოვიაზრე. როდესაც ტაილერის ფურგონი შენსკენ მოდიოდა ერთადერთი რაც ვიფიქრე იყო „ ოღონდ ის არა!“

ედვარდმა თვალები დახუჭა, თითქოს აღსარება დიდ ძალებს ართმევდა. მე კი ყურადღებით ვუსმენდი და ვხვდებოდი , რომ უნდა შემშინებოდა. მაგრამ ამის მაგივრად დიდი შვება და მისდამი თანაგრძნობა ვიგრძენი,— როგორც იქნა ყველაფერი თავის ადგილას დადგა,— ის ხომ იტანჯებოდა, როცა გამიმხილა , რომ მას ჩემი სიკვდილი კიარა გადარჩენა სურდა.

— მერე კი მოვხვდით საავადმყოფოში,—შევახსენე მე.

—ძალიან მეშინოდა, —მე ხომ რისკის ქვეშ დავაყენე ჩემი ოჯახის უსაფრთხოება. შემდეგ კი როზალიმ, ემმეტმა და ჯასპერმა მეჩხუბა, რომ სწორედ იმის დრო იყო, რომ... სამაგიეროდ კარლაილმა და ელისმა დამიჭირეს მხარი. — დის სახელის ხსენებაზე ედვარდმა ამოიოხრა,— ესმიმ კი მითხრა როგორც მინდოდა მოვქცეულიყავი, ოღონდაც არსად წავსულიყავი!

მითუმეტეს, რომ შენს მეგობრებს ვუსმენდი. მეორე დღეს გავიგე, რომ არაფერი გითქვამს მათთან. ეს ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარებოდა! მივხვდი, მეტი გარისკვა აღარ შეიძლებოდა და ჯობდა თავი შენგან შორს დამეჭირა, მაგრამ ყოველდღიურად შენი თმის, კანისა და სუნთქვის სურნელება მკლავდა ისევე, როგორც პირველად.

ვეფხვის თბილი თვალები ისე ნაზად მიყურებდნენ!

— მაგრამ ბოლოს და ბოლოს, — აგრძელებდა ედვარდი, — მირჩევნოდა საკუთარი ოჯახისთვის მეღალატა პირველ დღეს, ვიდრე დღევანდელ დღეს ტკივილი მოგაყენო, ეხლა როცა მე ვერაფერი შემაჩერებს.

MYTOPBOOK.ORG

ცნობისმოყვარემ, როგორც ყველა გოგონამ ვერ მოვითმინე და ვკითხე, ——რატომ?

— იზაბელლა, —წარმოთქვა მან ჩემი სრული სახელი ფრთხილად, შემდეგ კი ხუმრობით გაეთამაშა ჩემს თმებს. ბელლა— მე ვერ შევძლებ სიცოცხლეს თუკი რაიმეს დაგიშავებ. შენ წარმოდგენაც არ შეგიძლია, რას ვგრძნობ , როცა წარმოგიდგენ ფერმკრთალს, ცივს და მიწაზე გაუნძრევლად მწოლარეს... — კალენმა დარცხვენით დახარა თვალები, — შენ ვერ ხედავ შენს შევარდისფერებულ ღაწვებს, მბრწყინავ თვალებს, როდესაც ცდილობ გამოიცნო ჩემი ნათქვამის ღრმა აზრი... მაშინ რისთვისღა ვიცოცხლო? — სევდიან თვალებში, კითხვა გაეყინა. — მთელს სამყაროში მე შენზე ძვირფასი არავინ მყავს და ეს ასე იქნება ყოველთვის.

მე თავბრუ დამეხვა. უცოდველი განხილვიდან, რომელიც ჩემს სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა, გადავედით ბევრად სერიოზულ აღიარებაზე. ედვარდი მელოდებოდა, მე კი შეშინებული დავყურებდი ხელებს, ვიცოდი რომ პასუხი უნდა გამეცა.

— ჩემი გრძნობები შენს მიმართ ცნობილია... და საერთოდ მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ვიცოცხლო შენს გარეშე. ვიცი იდიოტი ვარ!

— მართლაც იდიოტი ხარ,— გულიანად გაეცინა მას, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ახლა უკვე ერთად ვიცინოდით, უკეთეს სიტუაციას ვერც ინატრებ, ჩვენ ორივენი ჩემს სისულელეზე ვიცინოდით!

— .. და ლომს შეუყვარდა საბრალო ბატკანი! –- დაიჩურჩულა მან. მე კი მზერა ავარიდე.

— სულელი ბატკანი ! — ამოვიოხრე მე.

— ლომი კი არანორმალური მაზოხისტია... — ის უცებ გაჩუმდა და გახედა დაბინდულ ტყეს, დიდხანს ფიქრობდა ასე, მე კი მივხვდი რას უკავშირდებოდა მისი აზრები.

MYTOPBOOK.ORG

—...რატომ?— დავიწყე მე, მაგრამ არ ვიცოდი როგორ გამეგრძელებინა.

მან ისევ შემომხედა და გამიღიმა. მზის სხივები ლამაზ სახესა და კბილებზე ირეკლებოდნენ.

— რა?

— მითხარი რატომ გამირბოდი ადრე?

— იცი რატომაც, — მან ღიმილი შეწყვიტა, ახლა უფრო სერიოზული იყო.

— არა მე მაინტერესებს რა გავაკეთე ცუდად, ან როგორ უნდა მოვიქცე, ან არ მოვიქცე..

— ბელლა შენ არაფერი დაგიშავებია,—კვლავ გაიღიმა მან,— ყველაფერი რაც ხდება მხოლოდ ჩემი ბრალია.

— მაგრამ ხომ შეიძლება რამეთი მაინც ტკივილი შეგიმსუბუქო?

— ხო, —დაიწყო ედვარდმა, — ცოტა ვერ ვარ კარგად, როცა ძლიან ახლოს მოდიხარ. როგორც წესი ხალხი ჩვენგან თავს შორს იჭერს, ისინი ინსტიქტურად გრძნობენ საფრთხეს... როცა ძალიან ახლოს ხარ, მე შენი ყელის სურნელი მცემს. — ის სახეზე დამაკვირდა ჩემი რეაქციის მოლოდინში.

— მაშინ გასაგებია,— ხალისით ვთქვი, ვეცადე სიტუაცია განმემუხტა,–- მაშინ ყელს აღარ გამოვაჩენ!

— არა რათქმაუნდა, ყველაფერი არც ასე საშინლადაა,—გაეღიმა ედვარდს,— უბრალოდ საკუთარი შეგრძნებები მაოცებს.

მან ასწია ხელი და ფრთხილად დამადო ყელზე. მე არც კი შევმკრთალვარ, საოცარია მაგრამ შიშის გრძნობაც არ მქონდა.

— ხედავ როგორი გლუვი და ნაზია..

MYTOPBOOK.ORG

სისხლი დიდი სისწრაფით გადიოდა ძარღვებში, მინდოდა დავმშვიდებულიყავი, რადგან ვიცოდი რომ ჩემი გულის ხმა მასაც ესმოდა.

— სიწითლე ძალიან გიხდება, — მითხრა მან და ნაზად შემახო ლოყაზე ხელი, შემდეგ კი სახე მარმარილოს ხელებს შორის მოაქცია, ისე ნაზად ეჭირა თითქოს ბროლის ლარნაკი ყოფილიყო.

— არ გაინძრე, — მთხოვა მან, მაგრამ ძალიანაც რომ მდომოდა ამას ვერ მოვახერხებდი.

ძალიან ნელა ის ჩემსკენ გადმოიხარა, ისე რომ თვალი არ მოუცილებია და ფრთხილად მომადო ცივი ლოყა ყელზე. მთლიანად გავშეშდი, პულსი კი საოცრად მომემატა, თითქოს გული ამოფრენას ლამობდა. ვუსმენდი მის სუნთქვას და ვაკვირდებოდი ბრინჯაოსფერ თმებს, რომლებსაც მსუბუქი ქარი და მზის სხივები ეთამაშებოდნენ.

ნელა ძალიან ნელა, მან ხელები ქვემოთ კისეზე დაუშვა, მხრებამდე ჩამოვიდა და გაჩერდა. ცივი სახე კიდევ დაიხარა და ჩემს მკერდს მიეკრა, — ის გულის ცემას უსმენდა.

— აჰ, —ამოიოხრა მან.

არვიცი რამდენი ხანი ვიყავით ასე გაუნძრევლად, შეიძლება რამდენიმე საათიც კი. რათქმაუნდა, ნელ-ნელა გულის ცემა დაწყნარდა, მაგრამ მე კვლავ ვიჯექი გაუნძრევლად, სანამ ედვარდს ხელში ვეჭირე. ვიცოდი, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა მომკვდარიყავი, თან ისე სწრაფად, რომ ამის გააზრებასაც ვერ მოვასწრებდი, მაგრამ ამ ქვეყნდ არაფერზე შემეძლო ფიქრი იმის გარდა, რომ ის მე მეხებოდა.

და აი მან გამიშვა, ოქროსფერ თვალებში სიმშვიდე ჩამდგარიყო.

—სხვა დროს აღარ გამიჭირდება.

— ძალიან გაგიჭირდა?

MYTOPBOOK.ORG

— იმაზე მეტად ვიდრე მეგონა, და შენ?

— არა.. ჩემთვის რთული არ ყოფილა.

ედვარდს გაეღიმა ჩემს პასუხზე.

— შენ ხვდები რასაც ვგულისხმობ.

მეც გავიღიმე.

— აქ,—მან აიღო ჩემი ხელი და ლოყაზე მიიდო,—ხედავ როგორ გათბა?

ჩვეულებრივთან შედარებით ის მართლაც თბილად მომეჩვენა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ოცნება ამისრულდა. ედვარდის გაცნობის პირველივე დღიდან მინდოდა მის სახეს შევხებოდი.

— არ გაინძრე,-- დავიჩურჩულე მე.

ამქვეყნად არავის შეეძლო ედვარდივით გაშეშება, მან თვალები დახუჭა და ახლა ქვის ქანდაკებას გავდა, რომელსაც ჩემი ხელები კვეთავდნენ.

სიამოვნება რომ გამეგრძელებინა ხელებს ძალიან ნელა ვამოძრავებდი. თითები გადავუსვი მის ლოყებს, ღაწვებსა და ჩამუქებულ ქუთუთოებს. შემოვხაზე მისი ლამაზი ცხვირის კონტურები და საბოლოოდ შევეხე ტუჩებს, ისინი გაიხსნენ და ხელზე მისი გრილი სუნთქვა ვიგრძენი. ტუჩები ისე მიზიდავდნენ დავიხარე კიდეც, რათა მეგრძნო მისი კოცნის გემო, მაგრამ აჩქარება არ მინდოდა და გადავიფიქრე. მას ხელი გავუშვი.

ედვარდმა გაახილა მშიერი თვალები. და აი უკვე მერამდენედ, შიშის მაგივრად უცნაურმა გრძნობამ დამიარა და სისხლმა კვლავ ჩქარა იწყო ჩქეფა ძარღვებში.

— როგორ მინდა გესმოდეს ჩემი მდგომარეობის ყველა სირთულე და დაბნეულობა, — დაიჩურჩულა მან.

MYTOPBOOK.ORG

—ამიხსენი, — ამოვისუნთქე მე.

— არამგონია გამომივიდეს. მაგრამ მეორე მხრივ უკვე გითხარი, რომ უმჯობესია თავი შორს დაიჭირო ისეთი ამაზრზენი არსებისგან, როგორიც მე ვარ... თუმცა ვფიქრობ, რომ რაღაც მომენტში შეგიძლია გამიგო. მაგრამ როგორც არ უნდა ეცადო, ვერასოდეს შეძლებ წარმოიდგინო ჩემს ადგილას თავი. ის თითით ნაზად შეეხო ჩემს ტუჩებს, —არსებობს სხვა სურვილები და მოთხოვნილებები, რომელთა შესახებ მე არაფერი ვიცი,

— აი მე უკეთ გავიგე ყველაფერი, ვიდრე შენ გგონია.

— ამდაგვარ განცდებს მიჩვეული არ ვარ. ეს ზედმეტად ადამიანურია! საინტერესოა როგორ ხდება ეს ყველაფერი?

— ვერ გეტყვი, — გავუმხილე მე, — მეც პირველად ვარ ცხოვრებაში ასე.

ედვარდმა ჩემი ხელები თავისაში მოაქცია, მასთან შედარებით ისინი ისეთი სუსტები და უსიცოცხლოები იყვნენ..

— მე არც კი ვიცი როგორია როგორც სულიერი ისე ფიზიკური სიახლოვე. არც კი ვიცი შემიძლია თუარა საერთოდ.

ჩვენი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. მე დავიხარე და ლოყა მივადე მის ქვის მკერდს. იმ წამს ამ ქვეყნად ყველა ხმა გაქრა, ერთადერთი— მისი გულის ყრუ ხმის გარდა.

— მე ესეც მეყოფა,— ამოვისუნთქე და თვალები დავხუჭე.

მან ხელები მომხვია და სახე ჩემს თმებში ჩამალა, ის ახლა ყველაზე მეტად გავდა ჩვეულებრივ ბიჭს.

— ხედავ? იმედი არის! შენ საკუთარ თავს ზედმეტად აკრიტიკებ.— გავუღიმე მე.

MYTOPBOOK.ORG

— ჩემში ისევ ცოცხლობენ ადამიანური ინსტიქტები, ოღონდ ისინი გულში ღრმად არიან ჩამარხული, მგრამ მთავარია რომ აქ არიან, — გაეცინა მას.

ჩვენ ისევ ერთად ვიცინოდით, მაგრამ შევამჩნიე რომ მზე ჩადიოდა და ნე-ნელა წვებოდა ბინდი.

— წასვლის დროა.

— მეგონა ჩემს აზრებს ვერ კითხულობდი?

— თუ ძალიან მოვინდომებ ხანდახან მაგასაც ვახერხებ, –- ეშმაკურად გაიღიმა მან, — მინდა რაღაც გაჩვენო...

—მაინც რა?

— ახლა ნახავ როგორ ვმოძრაობ ტყეში, შენ ნურაფრის შეგეშინდება,—მაგრამ როცა ჩემს დაძაბულ სახეს შეხედა დაამატა, — რამდენიმე წუთში კი შენს პიკაპთან ვიქნებით, — მან ჩემი საყვარელი ფართო ღიმილით გამიღიმა.

— ღამურად გადაიქცევი? –-დავინტერესდი მე.

ედვარდს გულიანად გაეცინა.

— ღამურასთვის ჯერ არავის შევუდარებივარ!

— მოიცა, თორემ კიდევ მოგიწევს!

— კარგი პატარა მშიშარა, ზურგზე მომაჯექი.

მე ვიმედოვნებდი , რომ ის ხუმრობდა, თუმცა შევცდი. გული მაშინვე ამიჩქარდა.მართალია მისთვის ჩემი აზრები დაფარული იყო, მაგრამ პულსის ხმას მთელი ჩემი სხეული გაჰყვიროდა. და აი მე ვზივარ ედვარდის ზურგზე, ხელები კი ისე ძლიერად მაქვს შემოჭერილი, რომ ნებისმიერი ადამიანი მის ადგილას დაიხრჩობოდა.

— სკოლის ზურგჩანთაზე მძიმე ვარ! — გავაფრთხილე მე.

MYTOPBOOK.ORG

— ჰაჰ! —ჩაიფრუტუნა მან და თვალები ამოატრიალა. ადრე არასდროს მინახავს ასეთ კარგ ხასიათზე.

შემდეგ აიღო ჩემი ხელი ლოყაზე მიიდო და ღრმად ამოიოხრა.

— ყოველ ჯერზე უფრო მიადვილდება ... და გაიქცა.

ცხოვრებაში არ შემშინებია ასე...

უდიდესი სისწრაფით მირბოდა ბნელ ტყეში, თან ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოჩვენებასავით მიქროდა, მეგონა რომ ფეხებით არც კი ეხებოდა მიწას. ასეთი სიჩქარით ხეებს როგორ არ ეჯახებოდა, გამოცანად დამრჩა...

თვალების დახუჭვა ვერ გავბედე, ჰაერი სახეზე მეცემოდა და თვალებს მიცრემლიანებდა, მეგონა თავი თვითმფრინავის გაღებულ ილუმინატორში მქონდა გაყოფილი. თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი.

უცებ ყველაფერი დამთავრდა. იქ მისვლას რამდენიმე საათი მოვუნდით, უკან კი ხუთ წუთში დავბრუნდით.

— მაგარია, არა? — სიხარულით წამოიყვირა ედვარდმა, მაგრამ უცებ გაჩუმდა. ფეხზე დადგომა ვცადე, მგრამ ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა.

—ბელა?

— უნდა წამოვწვე..— ძლივს ვთქვი მე.

— მაპატიე, — მითხრა მან და დაელოდა როდის დავეშვებოდი.

— მემგონი დახმარება მჭირდება, — ვაღიარე მე. განძრევის ძალაც არ მქონდა.

მას ჩაეცინა, შემდეგ ჩემსკენ დაიხარა და ხელში ამიყვანა, როგორც პატარა ბავშვი, წამით ჩვენი სახეები ისე ახლოს იყვნენ... შემდეგ გაიარა და გვიმრებზე დამაწვინა.

MYTOPBOOK.ORG

— თავს როგორ გრძნობ, —მკითხა მან.

— თავბრუ მეხვევა,— ენისდაბმით ვუთხარი მე, საუბარიც მიჭირდა.

— მუხლებს შორის დახარე თავი.

სამწუხაროდ ვერ მიშველა. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შევძელი თავის აწევა. ყურები მიწუოდა.

— მგონი ტყულიად ვიჩქარე,—ჩაფიქრებით მითხრა ედვარდმა.

— რას ამბობ, ძალიან საინტერესო იყო! — რაც შემეძლო ხალისით ვთქვი მე.

— მოჩვენებასავით გათეთრდი,—გაეცინა მას,— მაგრამ ჩემსავით ფერმკრთალი მაინც არ ხარ!

— თვალები უნდა დამეხუჭა.

— სხვა დროს დახუჭავ.

— ჰაჰ სხვა დროს! — წავილაპარაკე მე.

ედვარდს გაეცინა— მშვენიერ ხასიათზე იყო!

— გეყოფა დაცინვა! — ჩაბიბურტყუნე მე.

—გაახილე თვალები ბელა,—ჩუმად მთხოვა მან.

მისი სახე ისე ახლოს აღმოჩნდა. რა ლამაზი იყო! ...ზედმეტად ლამაზი, იმისთვის რომ წყნარად მეყურებინა.

— სირბილის დროს ვფიქრობდი...

— იმედია იმაზე, რომ ხეებს არ დაჯახებოდი!

MYTOPBOOK.ORG

— პატარა სულელო! –- ჩაეცინა ედვარდს, —ასეთ უაზრობებზე მე არ ვფიქრობ!

— გეყოფა დაცინვა,–- ისევ გავუმეორე მე. მან კი თავისთვის ჩაიხითხითა.

–- მინდა რაღაც მოვსინჯო...ედვარდი ყოყმანობდა. მან ისევ მოაქცია ჩემი სახე თავის ხელებში. ალბათ ამ ქვეყნად არც ერთი ბიჭი არ ნერვიულობს ასე მასსავით, სანამ გოგოს აკოცებს. შეიძლება დროს წელავდა რომ სიამოვნება გაეგრძელებინა, რადგან კოცნამდე მომენტი უფრო სასიამოვოა ვიდრე თვითონ პროცესი. თავის დაჯერება მინდოდა იმაში, რომ ყველაფერი რიგზეა და ისევ აკონტროლებს სიტუაციას.

ბოლოს ცივი ტუჩები ნაზად შეეხნენ ჩემსას.

ჩემი რეაქცია, მის შეხებაზე მოულოდნელი იყო ორივესთვის. ცხელი სისხლი ტუჩებზე მომაწვა, სუნთქვა თითქმის შეუძლებელი გახდა, თითები ბრინჯაოსფერ თმებში გამეხლართა. ტუჩები გამეხსნა და ჟინით ვისუნთქავდი მისი კანის სურნელს.

იმ წამსვე ედვარდის სხეული ქანდაკებად გადაიქცა, მან ფრთხილად გამიშვა.

— უპს! — ამოვისუნთქე მე.

— ეგ კიდევ რბილად ნათქვამია.

მე ვაკვირდებოდი მის ოქროსფერ თვალებს, როგორ წყნარდებოდნენ. ის ისევ შეეხო ჩემს სახეს და დაჟინებით მიყურებდა თვალებში.

—შემიძლია?.. — მინდოდა ხელები გაეშვა და გავიწიე.

მან კი დამიჭირა და არ გამიშვა.

—ასე გავითიშებით ერთმანეთისგან, მოიცადე ერთი წამით.— მისი ხმა დაწყნარებულიყო.

MYTOPBOOK.ORG

მე თვალებში ვუყურებდი, მინდოდა რაიმე მეპოვა მათში, იქედან კი სითბო და სინაზე იღვრებოდა. მან გამიღიმა.

— დამთავრდა.

— დაძლიე?

— იმაზე ძლიერი ვყოფილვარ ვიდრე მეგონა! — გაეცინა მას,— ძალიან კარგია ამის გაგება.

— ცუდია რომ მეც იგივეს თქმა არ შემიძლია.

— შენ ხომ მხოლოდ ადამიანი ხარ! –- ჩაეცინა ედვარდს.

— ხო, დიდი მადლობა. — წავილაპარაკე მე.

ის მსუბუქად ადგა და ხელი გამომიწოდა, ახლა მივხვდი რომ ფიზიკურად არაკონტაქტურობის გამო ვიყავი დაბნეული, მისი მკლავები ისევ დამჭირდა, ჯერ კიდევ ვერ დავდიოდი წესიერად, — ისევ ცუდად ვარ თუ საქმე კოცნაშია?

საოცარია, რა უდარდელი, მხიარული და ბედნიერი იყო! ასეთი ის არასრდოს მინახავს. ანგელოზის სახეზე არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა. რაღაც ყოველ წამს უფრო და უფრო მიზიდავდა მისკენ. ნეტა ადრე მის გარეშე როგორ ვცხოვრობდი?

— გინდა საჭესთან მე დავჯდები?

–- გაგიჟდი? —შევუტიე მე.

— მე შენზე ასჯერ უკეთ ვატარებ! –- დააკონკრეტა მან,— რეაქციასთან აშკარად პრობლემები გაქვს!

— არ ვუარვყოფ. მაგრამ შენი ტარება ახლა არც მე და არც ჩემს პიკაპს არ მოუხდება!

— ძალიან გთხოვ ბელა!

MYTOPBOOK.ORG

ხელი ჩავყავი ჯიბეში, თითები უკვე გასაღებსაც შეეხო, მაგრამ უცებ მოვიკრიბე სითამამე.

— არა, არც იფიქრო.— და გავემართე მძღოლის კაბინისკენ, ერთი კია ისევ ცუდად წამაქანა.

— განა შეიძლება მეგობარი საჭესთან დააჯინო როცა მთვრალია?–- დაცინვით მკითხა და ხელი მჭიდროდ მომხვია წელზე და თავისკენ საოცარი ძალით მიმიზიდა და სხეულზე მიმიკრა.

შევისუნთქე თუარა მისი თავბრუდამხვევი არომატი, მაშინვე დავკარგე თავი.

–- მთვრალი?

— შენ ნასვამი ხარ ჩემი აქ ყოფნით,— გაეღიმა მას.

— ძნელია ამაზე გეკამათო,— ამოვიოხრე მე, მაგრამ როგორ შევეწინააღმდეგო? გასაღების ძირს დაგდებას ვაპირებდი, მაგრამ მან ბოლო წამს მიუსწრო და დაიჭირა. — ფრთხილად იყავი, ჩემი პიკაპი ნამდვილი პენსიონერია.

— შევეცდები, — გაეცინა მას.

— და ესეიგი ჩემი აქ ყოფნა შენ საერთოდ არ გაღელვებს ხო?! — ბრაზით ვუთხარი მე,

და უცებ ედვარდის სახე დარბილდა. ის ნაზად შეეხო ტუჩებით ჩემს ლოყას, ნიკაპთან დაეშვა, ყურამდე მივიდა. საოცრად გამაჟრჟოლა.

—და მაინც, — ჩამჩურჩულა ედვარდმა, –- რეაქცია შენზე უკეთესი მაქვს.

ის უკვე მოეწყო საჭესთან, ჩემი ლოყა კი ჯერ ისევ იწვოდა მისი შეხებისგან. მხოლოდ კარის გაღების ტკაცუნმა დამაბრუნა რეალობაში.

MYTOPBOOK.ORG

თავი მეთოთხმეტე

სულის სხეულზე გამარჯვება

ის კარგად ატარებდა, უნდა ვაღიარო რომ ზომიერ სიჩქარეს ინარჩუნებდა. ისევე როგორც ბევრი სხვა რამ მისთვის ესეც სრულიად ადვილ საქმიანობას წარმოადგენდა. არც ისე დიდ ყურადღებას აქცევდა გზას, თუმცა საბურავები გზიდან ერთი სანტიმეტრითაც კი არ გადასულა. ის ცალი ხელით მართავდა საჭეს, მეორით კი ჩემი ხელი ეჭირა სავარძელზე. ზოგჯერ ჩამავალ მზეს მიაშტერდებოდა ხოლმე, ხან მე- ჩემს სახეს შეავლებდა თვალს, თმას ფანჯარაში მიქროლებდა ქარი, ჩვენი ხელები ერთმანეთში იყო გადაწნული.

რადიო ძველი სიმღერების სადგურზე გადართო, და იმ სიმღერებს ყვებოდა, რომლებიც მე ადრე მოსმენილიც არ მქონდა. მან ყველა სტროფი ზეპირად იცოდა.

–50იანების მუსიკა გიყვარს?-ვკითხე.

–50იან წლებში კარგი მუსიკა იქმნებოდა. ბევრად უკეთესი ვიდრე 60აინ ან 70იან წლებში. -ის შეკრთა- აი, 80იანების მოსმენას კი ძლივს თუ გაუძლებ.

–ოდესმე მეტყვი სინამდვილეში რამდენი წლის ხარ?-ფრთხილად ვკითხე, არ მინდოდა მისთვის მხიარული ხასიათი დამეკარგა.

–ამას შენთვის ამხელა მნიშვნელობა აქვს? -გულზე მომეშვა, როცა სახეზე ისევ შერჩა უღრუბლო ღიმილი.

MYTOPBOOK.ORG

–არა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინტერესებს...-სახე დამეჭყანა- არაფერია შენს ღამეულ საიდუმლოებებზე ამოუხსნელი.

–მაინტერესებს ეს ხასიათს გაგიფუჭებს თუ არა,- ჩაილაპარაკა თავისთვის. მზეს მიაშტერდა; ასე გაიარა რამდენიმე წუთმა.

–მითხარი და ნახავ- ვთქვი ბოლოს.

ამოიოხრა, შემდეგ თვალებში შემომხედა, ისე ჩანდა თითქოს რაღაც დროის განმავლობაში სულ დაავიწყდა გზა. რაც მან ჩემს თვალებში დაინახა ალბათ წაახალისა. ისევ მზეს შეხედა- ჩამავალი სფეროს ნათებამ ააელვარა მისი ლალისფრად შეფერადებული კანი- და დაილაპარაკა.

–ჩიკაგოში დავიბადე 1901 წელს. -გაჩერდა და თვალის კუთხით გამომხედა. სულაც არ ვიყავი გაოცებული, მოთმინებით ველოდი რას მეტყოდა კიდევ. ოდნავ გამიღიმა და გააგრძელა- კარლაილმა 1918 წლის ზაფხულში საავადმყოფოში მიპოვა. 17 წლის ვიყავი, ესპანური გრიპით ვკვდებოდი.

გაიგონა როგორ ჩავისუნთქე, თუმცა ეს ჩემი საკუთარი ყურებისთვისაც კი ძლივს გასაგონი იყო. ისევ ჩამხედა თვალებში.

–კარგად არც მახსოვს,- მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ადამიანის მახსოვრობა კი სწრაფად ხუნდება. -სანამ გააგრძელებდა ცოტა ხანი თავის ფიქრებში იყო ჩაკარგული- მახსოვს რა გრძნობა იყო როცა კარლაილმა გადამარჩინა. ეს არც ისე იოლია დასავიწყებლად.

–შენი მშობლები?

–ისინი უკვე დახოცილები იყვნენ ამ ავადმყოფობით. მე მარტო ვიყავი. აი რატომ ამირჩია. მთელ ამ ეპიდემიის ქაოსში ვერავინ შეამჩნევდა ჩემს გაქრობას.

–მან როგორ... გადაგარჩინა?

MYTOPBOOK.ORG

სანამ მიპასუხებდა რამდენიმე წუთი გავიდა. ჩანდა რომ ფრთხილად არჩევდა სიტყვებს.

–ეს საკმაოდ რთული იყო. არც ისე ბევრ ჩვენგანს აქვს საკმაო თავშეკავების უნარი რომ დაასრულოს ეს. მაგრამ კარლაილი ყოველთვის ყველაზე ადამიანური, ყველაზე შემწყნარებელი იყო... არამგონია ისტორიაში მისი სწორი კიდევ ნახო ვინმე- გაჩერდა- ჩემთვის ეს ძალიან, ძალიან აუტანელი იყო.

მისი ტუჩების მდგომარეობით მივხვდი, რომ ამ თემაზე მეტს აღარაფერს იტყოდა. დავთრგუნე ჩემი ცნობისმოყვარეობა, თუმცა ის შორს იყო ამოწურვისგან. მისი განსაკუთრებული გამოსვლის შემდეგ ბევრ რამეზე უნდა მეფიქრა, ისეთ რაღაცეებზე რაც ჩემზე იწყებდა მოქმედებას. მის სწრაფ გონებას უეჭველად უკვე გაგებული ჰქონდა ჩემი ყველა რეაქცია რომელიც ძლივს მოვიშორე თავიდან.

მისმა რბილმა ხმამ ფიქრი შემაწყვეტინა.

–ის მარტოსული ცხოვრების გამო მოიქცა ასე. რომელიც ხშირადაა არჩევანის გაკეთების წინაპირობა. მე პირველი ვიყავი კარლაილის ოჯახში, თუმცა მან ამის შემდეგ მალევე იპოვა ესმი. ის კლდიდან ჩამოვარდა. ესმი პირდაპირ საავადმყოფოს მორგში წაიყვანეს, მაგრამ როგორღაც მისი გული ჯერ კიდევ მუშაობდა.

–ესეიგი ჯერ უნდა მოკვდე, რომ გახდე...- ჩვენ არასდროს ვახსენებდით ამ სიტყვას და არც ახლა არ შემეძლო მისი დასახელება.

–არა, ასე მხოლოდ კარლაილი გახდა ვამპირი. ის ამას არასდროს არ გაუკეთებდა ადამიანს რომელსაც სხვა არჩევანი ჰქონდა. -როცა მამამისზე ლაპარაკობდა მის ხმაში ღრმა პატივისცემა იგრძნობოდა. - თუმცა ის ფიქრობს რომ თავის შეკავება ადვილია, როცა- გააგრძელა მან- სისხლი უძლურ ადამიანს ეკუთვნის. - მან უკვე დაბნელებულ გზას გახედა და მე ისევ მივხვდი რომ საკითხი იხურებოდა.

–და ემეტი და როზალი?

MYTOPBOOK.ORG

–კარლაილმა შემდეგი როზალი მოიყვანა ოჯახში. კარგა ხნის მერე მივხვდი, რომ მას იმედი ჰქონდა როზალი ის იქნებოდა ჩემთვის რაც ესმი იყო მისთვის -კარლაილი ჩემთან ფრთხილად განიხილავდა თავის ფიქრებს -თვალები დაახამხამა.- მაგრამ ის ჩემთვის დაზე მეტი არასდროს ყოფილა. მხოლოდ 2 წლის შემდეგ იპოვა მან ემეტი. ის ნადირობდა- ჩვენ იმ დროს აპალაჩებში ვიყავით- და დათვი იპოვა, რომელსაც ემეტი დაეშავებინა. როზალიმ ის კარლაილს მიუყვანა, ასობით მილზე მეტი ატარა, ეშინოდა რომ თვითონ ვერ შეძლებდა მისი გადარჩენის დროს თავის შეკავებას. მე მხოლოდ ახლა ვიწყებ წარმოდგენას რა რთული იქნებოდა მისთვის ეს მგზავრობა. - ჩემი მიმართულებით ისროლა მზერა და ჯერ კიდევ ერთმანეთში გადახლართული ჩვენი ხელები აწია, რომ ლოყაზე ჩამოესვა თავისი ხელის ზურგი.

–მაგრამ მან ეს შეძლო,- გავამხნევე, თვალი ავარიდე მისი თვალების აუტანელ სილამაზეს.

–ჰო, -მან ჩაიბუტბუტა- მან რაღაც ისეთი დაინახა ემეტის სახეზე რამაც საკმარისად გააძლიერა. ისინი მას შემდეგ ერთად არიან. ზოგჯერ ისინი ჩვენგან განცალკევებით ცხოვრობენ როგორც დაქორწინებული წყვილი. მაგრამ ისეთი ახალგაზრდები, როგორადაც ყველას თავს ვაჩვენებთ, ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ვჩერდებით. ფორქსი ჩვენთვის ზედგამოჭრილი ჩანდა, ამიტომაც შევედით საშუალო სკოლაში. - გაიცინა- მგონი რამდენიმე წელში მოგვიწევს მათ ქორწილში წასვლა, *კიდევ ერთხელ.*

–ელისი და ჯასპერი?

–ელისი და ჯასპერი ორი ძალიან იშვიათი ქმნილებაა. მათ ორივემ განავითარეს თავიანთ თავებში კეთილსინდისიერება, ხელმძღვანელობის გარეშე. ჯასპერი ეკუთვნოდა... სხვა ოჯახს, *ძალიან* განსხვავებული სახის ოჯახს. ის დათრგუნული იყო და თავისთვის დახეტიალობდა. ის ელისმა იპოვა. ჩემს მსგავსად, მასაც ჩვენნაირებისთვის დამახასიათებელი ნიჭი აქვს.

MYTOPBOOK.ORG

–მართლა?-მოხიბლულმა შევაწყვეტინე- მაგრამ, ხომ მითხარი რომ ფიქრების მოსმენა მხოლოდ შენ შეგიძლია?

–მართალა. მას სხვა რაღაცეები შეუძლია. ის *ხედავს* რაღაცეებს- რაღაცეებს რაც შეიძლება მოხდეს, რაღაცეები რაც ახლო მომავალში მოხდება. მაგრამ მისი ხილვები ძალიან სუბიექტურია. მომავალი ქვაზე დაწერილი არ არის. რაღაცეები იცვლება.

ყბები მჭიდროდ მიეკრო ერთმანეთზე და მზერა ისე სწრაფად მტყორცნა და ისე სწრაფადვე გაიხედა რომ დარწმუნებული არც ვიყავი რომ ეს ყველაფერი არ მომჩვენებია.

–როგორ რაღაცეებს ხედავს?

–მან ჯასპერი დაინახა და მიხვდა რომ ბიჭი მას ეძებდა, სანამ თვითონ ჯასპერი მიხვდებოდა ამას. მან კარლაილი და ჩვენი ოჯახი დაინახა, და ისინი ერთად წამოვიდნენ ჩვენს საძებნელად. ის ძალიან მგრძნობიარეა არაადამიანების მიმართ. ის ყოველთვის ხედავს, მაგალითად, როცა ჩვენნაირების ჯგუფი სადმე ახლოსაა. და რაიმე სახის საფრთხეს რომელსაც შესაძლოა ისინი ჩვენთვის წარმოადგენდნენ.

–ბევრნი არიან... თქვენნაირები? -გაოცებული ვიყავი. ნეტავ ჩვენ შორის რამდენი მათგანია რომელიც თავის თავს არ ამჟღავნებს?

–არა, არც ისე ბევრი. მაგრამ უმეტესობა არ სახლდება ერთსადაიმავე ადგილას. მხოლოდ ჩვენნაირებს, რომლებმაც უარი თქვეს ხალხზე ნადირობაზე.- ეშმაკური გამოხედვა ისროლა ჩემი მიმართულებით.- შეუძლიათ იცხოვრონ ადამიანების გვერდით დიდი ხნის განმავლობაში. მხოლოდ ერთი ჩვენნაირი ოჯახი ვიპოვეთ ალასკაზე ერთ პატარა სოფელში. რაღაც დროის განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ იმდენი ვიყავით, რომ ძალიან ვიქცევდით ყურადღებას. ისინი რომლებიც ცხოვრობენ... განსხვავებულად, ცდილობენ ბანდა შექმნან.

–დანარჩენები?

MYTOPBOOK.ORG

–უმეტესობა მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. რაღაც დრო ჩვენ ყველა ასე ვცხოვრობდით. ეს ყველაზე მეტად მოსაწყენია. მაგრამ მაშინაც და ახლაც სხვებს გავურბივართ, რადგან ჩვენი უმეტესობა ჩრდილოეთს ამჯობინებს.

–რატომ?

უკვე ჩემი სახლის წინ ვიყავით, ამიტომ ძრავა გამორთო. სიჩუმე და სიბნელე გამეფებულიყო, უმთვარე ღამე იყო. შესასვლელის სინათლე არ ენთო და მივხვდი, რომ მამაჩემი ჯერ არ იყო მოსული სახლში.

–შუადღისას თვალები გახელილი არ გქონდა?- გამომაჯავრა - შენ გგონია მზის შუქზე ქუჩაში ისე მოვახერხებდი გასვლას, რომ საგზაო ავარიები მაინც არ გამომეწვია? სწორედ ესაა იმის მიზეზი თუ რატომ ავირჩიეთ ოლიმპიის ნახევარკუნძული, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მზიანი ადგილი მსოფლიოში. ძალიან მაგარი შეგრძნებაა როცა დღეც შეგიძლია გარეთ გასვლა. წარმოდგენაც კი არ გაქვს როგორი აუტანელი გახდება ღამე, მარტოობის 80 წლის შემდეგ

–ლეგენდებიც მაქედან იწყება?

–ალბათ

–ელისიც ჯასპერივით სხვა ოჯახიდან მოვიდა?

–არა და სწორედ ესაა საოცრება. ელისს საერთოდ არ ახსოვს მისი ადამიანური ცხოვრება. არც ის იცის ვამპირად ვინ აქცია. რომ გამოფხიზლდა მარტო იყო. ვინც მას უკბინა უბრალოდ წავიდა, და ვერცერთი ჩვენგანი ვერ ხვდება რატომ, ან როგორ გააკეთა ეს. მას ეს განსაკუთრებული გრძნობა რომ არ ქონოდა, ჯასპერი და კარლაილი რომ არ ენახა და არ ცოდნოდა, რომ ერთ დღეს ერთ-ერთი ჩვენთაგანი გახდებოდა, ალბათ ახლა სხვა ჩვენნაირებივით გარეული ველური იქნებოდა.

იმდენი რამ იყო რაზეც უნდა მეფიქრა, და კიდევ უფრო მეტი რისი კითხვაც მისთვის მინდოდა. მაგრამ ჩემდა დიდად გასაოცრად მუცელი ამიღმუვლდა. იმდენად დაინტერესებული ვიყავი მისი მონაყოლით,

MYTOPBOOK.ORG

რომ არც შემიმჩნევია შიმშილის გრძნობა. ახლაღა გავაცნობიერე, როგორი მსუნაგი ვიყავი.

–მაპატიე, სადილი გამოგატოვებინე

–არაფერი მიჭირს, მართლა

–არც ისე ბევრ დროს ვატარებ იმათ გარემოცვაში ვინც საჭმელს ჭამს. დამავიწყდა

–შენთან ერთად მინდა დარჩენა- ამის თქმა სიბნელეში უფრო ადვილი იყო,მიუხედავად იმისა,რომ ვიცოდი, როცა დავილაპარაკებდი ჩემი დამღუპველი ჩვევის გამო, ჩემივე ხმა გამცემდა მის წინაშე.

–შეიძლება შემოვიდე?

–გინდა რომ შემოხვიდე?- ვერ წარმომედგინა ეს ღვთიური ქმნილება მამაჩემის სამზარეულოს გაცვეთილ სკამზე მჯდომარე.

–კი, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს.-გავიგონე კარი წყნარად დახურა, და თითქმის იმავდროულად ის ჩემთვის გაღებულ კართან იდგა.

–ძალიან ადამიანური ჟესტია- კომპლიმენტი ვესროლე.

–ეგ კი ნამდვილად მეხერხება

ჩემს გვერდით ღამეში ისე წყნარად მოდიოდა, რომ მუდმივად მიწევდა მისთვის თვალის შევლება, დავრწმუნებულიყავი, რომ ჯერ კიდევ ჩემს გვერდით იყო. სიბნელეში ბევრად უფრო ნორმალურად გამოიყურებოდა. ისევ ფერმკრთალი, ისევ ზღაპრულად ლამაზი, მაგრამ არა ჩვენი შუადღისდროინდელი მზით განათებული მბრწყინავი ქმნილება. ჩემამდე მიაღწია სახლის და კარები გამიღო. შუაგზაზე გავჩერდი კარის ჩარჩოში.

–კარი ღია იყო?

–არა, გასაღები სახურავის შვერილის ქვეშ იყო და ავიღე.

MYTOPBOOK.ORG

შიგნით შევაბიჯე შესასვლელი სინათლე ავანთე და აქაჩული წარბებით შევხედე. დარწმუნებული ვიყავი მისი თანდასწრებით არასდროს გამომიყენებია სახლის გასაღები.

–შენით დაინტერესებული ვიყავი

– მითვალთვალებდი? -ვკითხე, მაგრამ მაინცდამაინც ვერ მოვახერხე კანონდარღვევაში გამომჭერის ხმა მქონოდა. მლიქვნელობა არასოდეს მეხერხებოდა.

როგორც შევატყვე სულაც არ ნანობდა ჩადენილს.

–ღამით სხვა რა უნდა მეკეთებინა?

გავატარე და ჰოლის გავლით სამზარეულოში შევიდა. მან შემასწრო იქ შესვლა, გიდის საჭიროებას არ განიცდიდა. ზუსტად იმ სკამზე დაჯდა, რომელზე წარმოდგენასაც ასე ვცდილობდი ცოტა ხნის წინ. მისმა სილამაზემ სამზარეულო გაანათა. რამდენიმე წუთი დამჭირდა, რომ მისი მშვენიერებისთვის თვალი ამერიდებინა.

მთელი ყურადღება ჩემ სადილის მომზადებაზე გადავიტანე, წინა ღამინდელი ლაზანია გამოვიღე მაცივრიდან, კვადრატული ფორმის ლაზანია თეფშზე მოვათავსე და მიკროტალღოვან ღუმელში გავაცხელე. ჩაშუშული პამიდორის და მაიორანის სურნელით აივსო სამზარეულო. თეფშისთვის თვალი არ მომიცილებია ისე ვთქვი:

–ხშირად?-სასხვათაშორისოდ ვკითხე.

–ჰა?-ისე ჟღერდა, თითქოს რაღაც ფიქრებიდან გამოარკვია ჩემმა კითხვამ.

მე ისევ არ შევბრუნდი მისკენ ჯიუტად.

–ხშირად დადიხარ აქ?

–თითქმის ყოველ ღამე

განცვიფრებული შემოვტრიალდი.

MYTOPBOOK.ORG

–რატომ?

–საინტერესო სანახავი ხარ როცა გძინავს- მშრალად თქვა- ძილში ლაპარაკობ.

–არა! -ძლივს ამოვისუნთქე. სახე ამიხურდა. მხარდაჭერისთვის სამზარეულოს დახლს მივმართე. რა თქმა უნდა ვიცოდი, რომ ძილში ვლაპარაკობდი, დედა დამცინოდა ამაზე. თუმცა არც კი გამივლია ფიქრში, რომ აქ ამაზე ნერვიულობა მომიწევდა.

მისი გამომეტყველება დაუყოვნებლივ შეცვალა სინანულმა.

–ძალიან მიბრაზდები?

–გააჩნია!- ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს სუნთქვის დროს შიგნიდან რაღაც მიკაკუნებდა.

ის იცდიდა

–ჰა? – პასუხის გაცემისკენ მიბიძგა.

–რა გაიგონე!- ამოვიღმუვლე

მოულოდნელად, უხმაუროდ გაჩნდა ჩემს გვერდით, ჩემი ხელები ფრთხილად მოიქცია თავის ხელებს შორის.

–ნუ ღელავ!- თავი დაიცვა მან. სახე თვალებთან მომიტანა, პირდაპირ თვალებში მიყურებდა. შევკრთი. შევეცადე თვალი ამერიდებინა.

–დედაშენი გენატრება-დაიჩურჩულა- მასზე ღელავ. როცა წვიმს, მისი ხმა მოუსვენარს გხდის. შენს სახლზე ბევრს ლაპარაკობდი ხოლმე, მაგრამ ბოლო დროს ნაკლებად. ერთხელ ყვიროდი ძალიან ბევრი მწვანილიაო. -რბილად გაიცინა, იმედი ქონდა უფრო მეტად აღარ გამანაწყენებლად.

–კიდევ?-ჩავეკითხე.

მიხვდა რაზეც ვეკითხებოდი.

MYTOPBOOK.ORG

–ჩემი სახელი თქვი- აღიარა

მარცხის ნიშნად ამოვიოხრე.

–ბევრჯერ?

–ზუსტად რამდენს გულისხმობ “ბევრში”?

–ო არა!- თავი ჩავკიდე.

თავისი მკერდის პირისპირ ამიწია თავი რბილად, ბუნებრივად.

–ნუ იქნები თვით-კრიტიკული -ყურში ჩამჩურჩულა- სიზმრები რომ მესიზმრებოდეს, მარტო შენ დამესიზმრებოდი და ამის თქმის სულაც არ შემრცხვებოდა ბელა.

შემდეგ ორივემ გავიგონეთ საბურავების ხმა, რომელიც აგურით მოკირწყლულ სახლთან მისასვლელ გზაზე გაისმა. მანქანის შუქფარები დავინახეთ, რომელიც ჰოლის ფანჯრიდან შემოვიდა და ჩვენამდე მოაღწია. მის მკლავებში გავხევდი.

–გინდა, რომ მამაშენმა გაიგოს რომ აქ ვარ?-მკითხა

–არამგონია კარგი აზრი იყოს...- ვცდილობდი სწრაფად მეფიქრა ამაზე.

–მაშინ სხვა დროს იყოს...

და მარტო დავრჩი.

–ედვარდ! - დავისისინე.

მოჩვენებითი ხითხითი გავიგონე, მეტი არაფერი.

მამაჩემის გასაღები კარებში გადატრიალდა.

–ბელა?- დაიძახა. ამან წინაზე მეტად გამაღიზიანა; აბა სხვა ვინ იქნებოდა?

MYTOPBOOK.ORG

–აქ ვარ- იმედი მქონდა ისტერია ვერ შენიშნა ჩემს ხმაში. გამოვიღე ჩემი სადილი ღუმელიდან და მაგიდასთან დავჯექი სწორედ იმ დროს როცა ოთახში შემოვიდა. მისი ფეხის ნაბიჯის ხმა ხმაურიანი მომეჩვენა ედვარდთან გატარებული დღის შემდეგ.

–შეგიძლია მეც მომიტანო ლაზანია? დაქანცული ვარ. -ჩექმების ქუსლებზე შედგა, რომ გაეხადა, თან ედვარდის სკამს ეყრდნობოდა, რომ თავი შეემაგრებინა.

ჩემი საჭმელი ავიღე, ერთი ლუკმა ჩავიდე პირში, როცა მისი საჭმელი გამოვიღე. ლაზანიამ ენა დამწვა. სანამ მისი გაცხელდებოდა 2 ჭიქა ავავსე რძით და ხარბად მოვიყუდე ჩემი ცეცხლი რომ ჩამექრო. ჭიქა რომ დავდგი შევამჩნიე, რომ რძე ცახცახებდა მასში და მივხვდი, რომ ხელი მიკანკალებდა. ჩარლი დაჯდა სკამზე, განსხვავება მასსა და მის წინა მკვიდრს შორის სასაცილო იყო.

–მადლობ- მითხრა როცა მისი საჭმლიანი თეფში მაგიდაზე დავდე.

–როგორი დღე გქონდა?- ვკითხე. სიტყვები თავისით გამოქროლდნენ პირიდან; ვკვდებოდი ისე მინდოდა ჩემ ოთახში გაძურწვა.

–კარგი. ადვილად წამოვაგეთ თევზები ანკესზე... შენზე რას იტყვი? ყველაფერი მოასწარი რისი გაკეთებაც გინდოდა?

–არა- გარეთ მეტისმეტად კარგი ამინდი იყო საიმისოდ, რომ სახლში ვყოფილიყავი.-დიდი ლუკმა ჩავკბიჩე.

–კარგი ამინდი იყო,-დამენთანხმა. რა განცხადებაა, გავიფიქრე ჩემთვის.

ლაზანიას ბოლო ლუკმაც გადავყლაპე. ჭიქა ავიღე და დავნთქი დარჩენილი რძე.

ჩარლიმ გამაოცა თავისი დაკვირვებულობით.

–ჩქარობ?

–ჰო, დავიღალე. მინდა ადრე დავწვე.

MYTOPBOOK.ORG

–რაღაც დაძაბული მეჩვენები-შენიშნა. რატომ, ოჰ რატომ იპყრობს მის ყურადღებას ეს ყველაფერი მაინცდამაინც ამ ღამეს?

–მართლა?- სულ ეს იყო რისი თქმაც მოვახერხე. სწრაფად გავრეცხე ნიჟარაში ჭურჭელი და ჭურჭლის ტილოზე თავდაყირა მოვათავსე გასაშრობად.

–დღეს შაბათია- ჩაფიქრდა

   არაფერი ვუპასუხე.

–არავითარი გეგმები არ გაქვს ამაღამ?-მკითხა უცებ.

–არა, მამა, მინდა უბრალოდ დავიძინო.

–ქალაქში არცერთი ბიჭი ჯდება შენს გემოვნებაში?- ეჭვიანი ხმა ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა მაგრად ეთამაშა.

–არა, ჯერ-ჯერობით ვერცერთმა ბიჭმა ვერ მიიპყრო ჩემი ყურადღება.- ვფრთხილობდი, რომ ზედმეტად არ გამესვა ხაზი სიტყვისთვის *ბიჭები*, თან ვცდილობდი პირმართალი ვყოფილიყავი ჩარლისთან.

–მეგონა მაიკ ნიუტონი... ხომ თქვი, რომ მეგობრულია შენს მიმართ?

– ჩვენ *უბრალოდ* მეგობრები ვართ, მამა.

–შენ მათთვის მაინც მეტისმეტად კარგი ხარ. მოიცადე სანამ კოლეჯში გადახვალ და მოათვალიერებ ბიჭებს.-ყველა მამის ოცნებაა, რომ მათმა ქალიშვილებმა გარეთ მანამ იბოდიალონ სანამ ჰორმონები უბიძგებენ ამისკენ.

–მგონი კარგი იდეაა-დავეთანხმე და თან კიბეებისკენ გავემართე.

–ღამე მშვიდობისა-დამადევნა. უეჭველად მთელი საღამო ყურადღებით იქნებოდა, დამელოდებოდა, რომ გამოვეჭირე.

–ხვალ დილას გნახავ, მამა.- გნახავ ჩემს ოთახში, რომ ამოიპარები ამაღამ შუაღამისას ჩემს შესამოწმებლად.

MYTOPBOOK.ORG

შევეცადე, რომ ნაბიჯი ნელი და დაღლილი მქონოდა ჩემი ოთახისკენ კიბეებზე ასვლისას. მის გასაგონად ხმამაღლა დავხურე კარი, შემდეგ კი თითის წვერებზე შემდგარმა მივირბინე ფანჯარასთან. გავაღე და ღამის მდუმარებაში გავყავი თავი. სიბნელეში გულდასმით ვათვალიერებდი გაუვალი ხეების ჩრდილებს.

–ედვარდ?- დავიჩურჩულე, თავს ნამდვილ იდიოტად ვგრძნობდი.

მისი წყნარი, სიცილნარევი პასუხი ზურგსუკნიდან მომესმა.

–დიახ?

მე შემოვტრიალდი, ცალი ხელი ყელისკენ გამიფრინდა გაოცების ნიშნად.

ის გაბადრული იწვა ჩემს საწოლზე, ხელები თავქვეშ ამოეწყო, ფეხები თავისუფლად იყო გადმოკიდებული საწოლის კიდიდან, ნამდვილი სიმშვიდის სავანე იყო.

–ვაი!- ძლივს ამოვთქვი, მერყევად ვეშვებოდი იატაკზე.

–მაპატიე- ტუჩები შეატყუპა, ცდილობდა სიცილისგან თავი შეეკავებინა.

–1 წუთი მაცადე, გული ამიმუშავდეს

ნელა წამოჯდა, რომ ისევ არ შევეშინებინე. შემდეგ წინ გადმოიხარა და თავისი გრძელი მკლავებით გადმომწვდა, რომ წამოვეყენებინე, მკლავებზე ისე მომეჭიდა თითქოს ახალფეხადგმული ბავშვი ვიყავი. საწოლზე თავის გვერდით დამსვა.

–ჩემს გვერდით რატომ არ დაჯდები?-შემომთავაზა, თავისი ცივი ხელი ჩემსაზე დამადო. -გულის საქმე როგორაა?

–ჯობია ეგ შენ მითხრა, დარწმუნებული ვარ შენ უკეთესად გესმის ჩემი გულისცემა ვიდრე მე.

ვიგრძენი მისმა წყნარმა სიცილმა როგორ შეარხია საწოლი.

MYTOPBOOK.ORG

ასე ვიჯექით სიჩუმეში რამდენიმე წუთი, ორივე ჩემს გულისცემის შენელებას ვუსმენდით. მე ედვარდის ჩემს ოთახში ყოფნაზე ვფიქრობდი, იმ დროს როცა მამაჩემი სახლში იყო.

–შეგიძლია კიდევ ერთი წუთი მომცე როგორც ადამიანს?-ვკითხე.

–რა თქმა უნდა- ხელით მანიშნა რომ შემეძლო გამეკეთებინა რასაც ვაპირებდი.

–აქ დარჩი-ვთქვი, შევეცადე მკაცრი ხმა მქონოდა.

–არის მემ!- და ჩემი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი ქანდაკებად იქცა.

გავბრუვდი, ჩემ პიჟამას ჩავავლე ხელი, ჩემი სააბაზანო ჩანთა ავიღე მაგიდიდან. შუქი გამორთული დავტოვე, გარეთ გავსხლტი და კარები მოვიხურე.

კიბეებიდან ამოსული ტელევიზორის ხმა გავიგონე. სააბაზანოს კარი ხმამაღლა მოვაჯახუნე, რომ ჩარლი ჩემთვის თავის მოსაბეზრებლად არ ამოსულიყო.

ვჩქარობდი. მძვინვარედ გავიხეხე კბილები, ვცდილობდი სრულქმნილი და ჩქარი ვყოფილიყავი, ლაზანიას ყოველგვარ კვალს ვაქრობდი. მაგრამ შხაპის ცხელი წყალი ასეთი სწრაფი ვერ იქნებოდა. ზურგზე დაძაბული კუნთები მომიდუნა, პულსი დამირეგულირა. ჩემი შამპუნის ნაცნობმა სუნმა მაგრძნობინა, რომ იგივე პიროვნება ვიყავი რაც იმ დილით. ვცდილობდი ჩემს ოთახში მჯდარ მომლოდინე ედვარდზე არ მეფიქრა, რადგან ისევ თავიდან მომიწევდა დამამშვიდებელი პროცესის დაწყება. ბოლოს, მეტი შეყოვნება აღარ შემეძლო. წყალი გადავკეტე და ნაჩქარევად გავიმშრალე ტანი პირსახოცით. ჩემი დახვრეტილი მაისური და ნაცრისფერი შარვალი ამოვიცვი. გვიანი იყო სინანული, რომ ვიქტორია სიკრეტის აბრეშუმის პიჟამა არ წამოვიღე ფორქსში, რომელიც დედამ 2 წლის წინ მაჩუქა და რომელიც ჯერ კიდევ იარლიყებიანი ეგდო უკანა სახლის რომელიღაც უჯრაში.

MYTOPBOOK.ORG

პირსახოცით გავიმშრალე თმები და სწრაფად გადავივარცხნე სავარცხლით. კალათაში მოვისროლე პირსახოცი, სავარცხელი და კბილის პასტა ჩემი შხაპის ჩანთაში ჩავაგდე. შემდეგ დაბლა გავექანე, რომ ჩარლის ვენახე სველი თმებით პიჟამაში გამოწყობილი.

–ღამე მშვიდობისა, მამა

–ღამე მშვიდობისა, ბელა- ჩემი გამოჩენით გაოცებული ჩანდა. იქნებ ამას მაინც შეეჩერებინა, რომ ღამით არ შევემოწმებინე.

ორ-ორ კიბეს ვახტებოდი ისე ავირბინე კიბეები, ვცდილობდი არ მეხმაურა და ჩემ ოთახში შევვარდი. ჩემს უკან კარი მჭიდროდ მოვიხურე.

ედვარდი ოდნავადაც არ შერხეულა, ადონისის ქანდაკება უძრავად იჯდა ჩემს გახუნებულ საბანზე.

მისმა შემფასებელმა მზერამ ჩემი ნოტიო თმები დაიჭირა, შემდეგ ჩამოძონძილი მაისური. ცალი წარბი აქაჩა.

–მშვენიერია

სახე დამეჭყანა.

–არა, მართლა გიხდება

–მადლობ-დავიჩურჩულე. მის გვერდით დავჯექი, ფეხი ფეხზე გადავიდე. ხის იატაკის ხაზებს ვუყურებდი.

–ეს ყველაფერი რა საჭირო იყო?

–ჩარლის გონია, რომ ვიპარები

–ვა- გაუკვირდა- რატომ?-თითქოს მან უკეთესად არ იცოდა ჩარლის ფიქრები ვიდრე მე შემეძლო გამოცნობა.

–აშკარად ზეაღელვებულად გამოვიყურები.

ნიკაპი ამიწია, სახეზე მაკვირდებოდა.

MYTOPBOOK.ORG

–ძალიან თბილი ჩანხარ

ჩემი სახისკენ ნელა მოღრიცა სახე, ცივი ლოყა კანზე დამადო. სრულიად მშვიდად ვიყავი.

–მმმმმმმმმ...- ჩაისუნთქა.

სანამ მეხებოდა კითხვის სწორად დალაგება გამიჭირდა. წუთი დამჭირდა გაფანტული ყურადღების მოსაკრებად.

–როგორც ჩანს... ახლა უფრო გიადვილდება, ჩემთან ახლოს ყოფნა.

–ასე გგონია? -ჩაიბუტბუტა. ჩემს ყბაზე სრიალებდა მისი ცხვირი. ჩრჩილის ფრთებზე მსუბუქად ვგრძნობდი მის ხელს, რომელიც ჩემს ნოტიო თმებს მიწევდა, ასე შეეძლო ტუჩებით შემხებოდა თმისგან განთავისუფლებულ ყურისძირში.

–ბევრად, ბევრად უფრო გიადვილდება-ვთქვი, შევეცადე ამომესუნთქა.

–ჰმმ

–მაინტერესებდა...-ისევ დავიწყე, მაგრამ მისი თითები ნელა მისრიალებდნენ ჩემს ლავიწებზე, და ფიქრის ძაფი გამიწყდა.

–გისმენ?-ამოისუნთქა.

–რატომაა ასე- ჩემმა ათრთოლებულმა ხმამ შემაცბუნა.- როგორ ფიქრობ?

მის სუნთქვის ტალღა ვიგრძენი ყელზე როცა გაიცინა.

– სულის სხულზე გმარჯვება

უკან გავიწიე; როგორც კი გავინძერი, გაშეშდა- უკვე აღარ მესმოდა მისი სუნთქვის ხმა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ფრთხილად ვუყურებდით ერთმანეთს, შემდეგ კი, როცა მისი მჭიდროდ შეტყუპებული ყბები ნელ-ნელა მოდუნდა, ჩაფიქრებული გამომეტყველება გაუხდა.

MYTOPBOOK.ORG

–რამე არასწორად გავაკეთე?

–არა- პირიქით. მაგიჟებ-ავუხსენი.

ჩემი ნათქვამის აღსაქმელად ცოტა დრო დასჭირდა და როცა დაილაპარაკა ნასიამოვნები ხმა ჰქონდა.

–მართლა?-ძლევამოსილმა ღიმილმა თანდათან გაუნათა სახე.

–აპლიდისმენტების რაუნდიც ხომ არ გინდა?-ირონიულად ვკითხე.

გაიკრიჭა.

–მე უბრალოდ სასიამოვნოდ გაოცებული ვარ-გამანათლა- გასულ ასწლეულში პირველად- გაჯავრებული ხმა ჰქონდა- ასეთი ვერაფერი წარმომედგინა. არ მჯეროდა, რომ ვნახავდი ვინმეს ვისთან ყოფნაც მენდომებოდა... ჩემი ძმებისგან და დებისგან განსხვავებულად. და აღმოვაჩენდი, რომ მიუხედავად იმისა რომ ეს ყველაფერი ჩემთვის ახალია, მაინც კარგად გამომივიდოდა... შენთან ყოფნა.

–შენ ყველაფერი კარგად გამოგდის- შევნიშნე.

მხრები აიჩეჩა, დაუშვა რომ ასე იყო და ორივემ ერთად გავიცინეთ ჩურჩულით. "

–მაგრამ ახლა ასე რატომ გიადვილდება?- ჩავაცივდი- შუადღისას...

–სულაც არ *მიადვილდება* -ამიოხრა -მაგრამ შუადღისას ჯერ კიდევ... არ მქონდა მიღებული გადაწყვეტილება. ამის გამო ბოდიშს გიხდი, ჩემი მხრიდან ასეთი საქციელი მიუტევებელია.

–მიუტევებელი სულაც არ არის- არ დავეთანხმე

–მადლობ-გამიღიმა- ხედავ,-გააგრძელა და თავი დახარა- დარწმუნებული არ ვიყავი, რომ საკმარისი ძალა მქონდა. -ჩემი ერთი ხელი აიღო და სახეზე მსუბუქად დაიდო. -და სანამ შესაძლებლობა არსებობდა, რომ მე შეიძლება... დავეძლიე ავ სურვილებს.-ჩემი მაჯის სურნელი ჩაისუნთქა- მე...მგრძნობიარე ვიყავი. სანამ ჩემი თავი არ

MYTOPBOOK.ORG

დავარწმუნე, რომ საკმარისად ძლიერი ვიყავი, და რომ საერთოდ არ არსებოდა შესაძლებლობა, რომ მე... ოდესმე შევძლებდი...

არასდროს მინახია სიტყვებს ასე ძლიერად შებრძოლებოდა. ამ დროს ისეთი... ადამიანური იყო.

–ესეიგი ახლა არ არსებობს მაგის შესაძლებლობა?

–სულის სხეულზე გამარჯვება- გაიმეორა და გაიღიმა, მისი კბილები სიბნელეშიც კი ანათებდნენ.

–ოჰო, ეს ადვილი იყო- ვთქვი.

თავი უკან გადაწია და გაიცინა, ჩურჩულივით წყნარად, თუმცა ხანგრძლივად.

–ადვილი *შენთვის* იყო!- შემისწორა, თითის წვერით შემეხო ცხვირზე.

შემდეგ კი სახე მკვეთრად სერიოზული გაუხდა.

–ვცდილობ- ნატანჯი ხმით დაიჩურჩულა- თუ ძალიან... გამიჭირდება. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ წასვლას შევძლებ.

მოვიღუშე. არ მომწონდა წასვლაზე ლაპარაკი.

–და ხვალ უფრო გამიჭირდება!- გააგრძელა მან.- მთელი დღე თავში მიტრიალებს შენი სუნი, და ამან საოცრად უგრძნობი გამხადა. თუ დიდი ხნის განმავლობაში შორს ვიქნები შენგან, ყველაფრის თავიდან დაწყება მომიწევს. თუმცა არამგონია ყველაფერს ხაზი გადაესვას.

–მაშინ ნუ იქნები ჩემგან შორს- ვუპასუხე. შეუძლებელი იყო ჩემს ხმაში ამ დიდი წადილის დამალვა.

–მაწყობს- მიპასუხა, სახე თვინიერმა ღიმილმა მოუდუნა.- ბორკილები მოიტანე- შენი პატიმარი ვარ.- როცა ეს თქვა გრძელი ხელები ხელბორკილებივით შემომხვია მაჯებზე. გაიცინა თავისი მელოდიური სიცილით. იმ ღამეს უფრო მეტს იცინოდა, ვიდრე მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე.

MYTOPBOOK.ORG

–ჩვეულებრივზე... ოპტიმისტური ჩანხარ- აღვნიშნე- აქამდე ასეთი მხიარული არ მყავხარ ნანახი.

–და აქამდე ვერ წარმოგედგინა რომ ასეთი ვიქნებოდი?- გაიღიმა- პირველი სიყვარულის ტრიუმფია, მეტი არაფერი. დაუჯერებელია, არა, განსხვავება რაიმეს წაკითხვას, სურათებზე ნახვას და განცდას შორის?

–ძალიან დიდი სხვაობაა- დავეთანხმე- ბევრად უფრო ძლიერი ვიდრე წარმომედგინა.

–მაგალითად- მისი სიტყვები ახლა უკვე სწრაფად მოედინებოდა, ყურადღების დაძაბვა მჭირდებოდა რომ არცერთი გამომრჩენოდა.- ეჭვიანობის განცდა. მასზე ასი ათასჯერ მაქვს წაკითხული, მინახავს როგორ განასახიერებდნენ ამას მსახიობები ათასობით სხვადასხვა დადგმასა და ფილმში. სულ ახლახან კი სრულიად ნათლად განვიცადე. მაგრამ ამან შოკში ჩამაგდო...-დაიჭყანა- გახსოვს ის დღე, როცა მაიკმა ცეკვებზე დაგპატიჟა?

თავი დავუქნიე, თუმცა ის დღე სრულიად სხვა მიზეზის გამო მახსოვდა.

–ეს ის დღე იყო როცა ისევ დამელაპარაკე.

–გაოცებული ვიყავი აღშფოთების ცეცხლით, თითქმის მძვინვარე ვიყავი, რაც ვიგრძენი- თავდაპირველად ვერც მივხვდი რა გრძნობა იყო ეს. ჩვეულებრივზე მეტად გამაღიზიანა იმ ფაქტმა, რომ არ მესმოდა რას ფიქრობდი, რატომ უთხარი უარი მას. ეს უბრალოდ შენი მეგობრის გულისთვის გააკეთე? თუ სხვა ვიღაც არსებობდა შენს ცხოვრებაში? ვიცოდი, რომ უფლება არ მქონდა ამაზე მედარდა. *ვცდილობდი* არ მედარდა.

–შემდეგ კი ხაზი გამოიკვეთა- ჩავიცინე. სიბნელეში მოვიღუშე.

–არაგონივრული აღელვებით ვიცდიდი რომ მომესმინა რას უპასუხებდი, რომ შენი გამომეტყველება დამენახა. ვერ ვუარყოფდი შვებას, რომელიც შენს სახეზე გაღიზიანებული გამომეტყველების დანახვისას ვიგრძენი.

MYTOPBOOK.ORG

–სწორედ იმ ღამეს მოვედი აქ პირველად. მთელი ღამე ვიბრძოდი თავს, სანამ მძინარეს გიყურებდი ღრმა ნაპრალით იმას შორის რაც ვიცოდი, რომ *სწორი* იყო, მორალურად, ეთიკურად და იმას შორის რაც მე *მინდოდა.* ვიცოდი რომ თუ შენს იგნორირებას გავაგრძელებდი, რაც სწორი საქციელი იქნებოდა ჩემი მხრიდან ან თუ რამდენიმე წლით წავიდოდი, სანამ შენ აქ იქნებოდი, ერთ დღეს დათანხმებოდი მაიკს ან სხვა მის მსგავსს. ამაზე ფიქრმა საშინლად გამაბრაზა.

–და შემდეგ- დაიჩურჩულა- ძილში ჩემი სახელი თქვი. ისე მკაფიოდ თქვი, რომ თავიდან მეგონა გაიღვიძე. მაგრამ შენ მოუსვენრად გადაბრუნდი, კიდევ ერთხელ თქვი ჩემი სახელი და ამოიოხრე.ამის შემდეგ ძალაგამოლეულად ვიგრძენი თავი, შევბარბაცდი. და მივხვდი რომ შენს იგნორირებას ვეღარ შევძლებდი- რამდენიმე წუთი ჩუმად იყო, ალბათ ჩემი გულის არითმიულ გულისცემას უსმენდა.

–მაგრამ ეჭვიანობა... უცნაური რამეა. ბევრად უფრო ძლიერი რამ ვიდრე მეგონა. და უგუნურიც! ახლახან, როცა ჩარლიმ იმ უნამუსო მაიკ ნიუტონზე რაღაც გკითხა...- გაბრაზებულმა გააქნია თავი.

–უნდა მცოდნოდა, რომ მოგვისმენდი- ამოვიკვნესე.

–რა თქმა უნდა

–თუმცა *ამან* ეჭვიანობა განგაცდევინა, ხომ ასეა?

–ამაში გამოუცდელი ვარ; შენ ადამიანს აღადგენ ჩემში, ყველა შეგრძნება უფრო ძლიერი ხდება როცა ის ახალია.

–მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვათ- გავაჯავრე- მას შემდეგ რაც გავიგე, რომ როზალი- როზალი, ნამდვილი მშვენიერების განსახიერება, შენთვის იყო ნაგულისხმევი.ემეტი რომ არა როგორ შევეჯიბრებოდი მას?

–შეჯიბრი არ არის- კბილები გამოანათა. ჩემი ხელები ზურგზე შემოიხვია, გულში მიკრავდა. რაც შემეძლო სიმშვიდე შევინარჩუნე, სუნთქვითაც კი ფრთხილად ვსუნთქავდი.

MYTOPBOOK.ORG

–ვიცი, რომ შეჯიბრი არ არის- მის ცივ კანზე ამოვიბუტბუტე- სწორედ ესაა პრობლემა.

–რა თქმა უნდა როზალი ნამდვილად *არის* ლამაზი თავისებურად, მაგრამ დასავითაც რომ არ მყავდეს, ემეტიც რომ არ იყოს მასთან, ის ვერასდროს მიიქცევდა ჩემი ყურადღების მეათედს, არა, მეასედს ვიდრე შენ იქცევ. -ამჯერად სერიოზული, ჩაფიქრებული იყო.- თითქმის 90 წელი ჩემნაირებს შორის გავატარე, და შენ... სულ ვფიქრობდი, რომ დარწმუნებული ვიყავი ჩემს თავში, ვერ ვხვდებოდი რას ვეძებდი. და ვერც ვერაფერს ვერ ვპოულობდი, რადგან შენ ჯერ არ იყავი დაბადებული.

– ეს უსამართლობაა - დავიჩურჩულე, სახე ისევ მის მკერდზე მქონდა მიყრდნობილი, მის ამოსუნთქვას და ჩასუნთქვას ვუსმენდი.-მე მოცდა საერთოდ არ დამჭირვებია. ასე იოლად რატომ უნდა მიმეღო ეს ყველაფერი?

–მართალი ხარ- გახალისებული დამეთანხმა- შენთვის ნამდვლად უნდა გამერთულებინა.- ცალი ხელი გაინთავისუფლა, მხოლოდ იმიტომ რომ მეორე ხელში მოექცია ჩემი განთავისუფლებული მაჯა. რბილად გადამისვა სველ თმაზე ხელი, თავიდან წელამდე. -შენი იმ ყოველი წამის გარისკვა გიწევს, რომელსაც ჩემთან ერთად ატარებ, ეს ნამდვილად არაა ბევრი. მოგიწევს ზურგი შეაქციო ბუნებას, ადამიანობას... რა არის ამის ფასი?

– ძალიან ცოტა- სულაც არ ვფიქრობ რომ რამე ჩამომართვეს.

–ჯერ არა.-მისი ხმა სავსე იყო უძველესი დარდით.

ვეცადე უკან გავწეულიყავი, რომ მის სახეზე შემეხედა, მაგრამ ხელები მაგრად მომიჭირა მაჯებზე.

–რა———-კითხვის დასმა დავიწყე, მაგრამ მისმა სხეულმა უცებ საგანგაშო მზადყოფნა გამოხატა. გავშეშდი, მაგრამ მან უცებ გამინთავისუფლა ხელები, და გაქრა. ჩემ სახეზე დაცემა ვიწროდ ავიცილე თავიდან.

–ჩაწექი- დამისისინა. არ ვიცოდი სიბნელეში საიდან მითხრა ეს.

MYTOPBOOK.ORG

საბნის ქვეშ შევძვერი, გვერდზე დავწექი, იმ პოზაში რა პოზაშიც როგორც წესი მეძინა ხოლმე. კარის გაღების ხმა გავიგონე, როცა ჩარლიმ შემოიხედა, რომ დარწმუნებულიყო ნამდვილად იქ ვიყავი სადაც უნდა ვყოფილიყავი. სწორად ამოვისუნთქე, გაზვიადებული მოძრაობით.

რამდენიმე წუთი გავიდა. გაყურსული ვუსმენდი, დარწმუნებული არ ვიყავი რომ კარის გახურვის ხმა გავიგონე. ედვარდის ცივი მკლავი შემომეხვია, გადასაფარებლის ქვეშ, ტუჩები ყურთან მომიტანა.

–საშინელი მსახიობი ხარ- მე ვიტყოდი რომ მსახიობის კარიერა საშენო არ არის.

–ჯანდაბას კარიერა- ჩავიბუტბუტე. ჩემი გული ნეკნებს ასკდებოდა.

რაღაც მელოდიას ღიღინებდა, რომელიც მე ვერ ვიცანი; იავნანასავით ჟღერდა.

გაჩერდა.

–შეიძლება გიმღერო, რომ დაიძინო?

–კარგი-გამეცინა- ისე ამბობ თითქოს დაძინებას მოვახერხებ როცა აქ ხარ ჩემთან!

– სხვა დროს ახერხებდი ამას.-შემახსენა

–მაგრამ მაშინ არ *ვიცოდი* რომ შენ აქ იყავი -ცივად შევეპასუხე.

–ასე, რომ თუ არ გეძინება...-შემომთავაზა, ჩემ ტონს ყურადღება არ მიაქცია. სუნთქვა გამიჩერდა.

–თუ არ მეძინება...?

მან ჩაიცინა.

–მაშინ რა გინდა რომ გააკეთო?

MYTOPBOOK.ORG

მაშინვე ვერ ვუპასუხე.

–ჯერ არ ვიცი- ვთქვი ბოლოს

–მითხარი როცა მოიფიქრებ

მის გრილ სუნთქვას ყელზე ვგრძნობდი, ვგრძნობდი მისი ცხვირი როგორ დასრიალებდა ჩემს ყბაზე, ჩაისუნთქა.

–მეგონა უგრძნობი იყავი.

–თუ ღვინის სმისგან თავს ვიკავებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის არომატს ვერ ვაფასებ- დაიჩურჩულა- ყვავილისნაირი სუნი გაქვს, ლავანდის...თუ ფრეზიის. -შენიშნა მან.- ძალიან გემრიელი.

–ჰო, ის დღე დღედ არ ითვლება, როცა *ვინმე* არ მეუბნება როგორ მადისაღმძვრელად გემრიელი სუნი მაქვს.

ჩაიცინა და შემდეგ ამოიხვნეშა.

–მოვიფიქრე რა მინდა,-ვუთხარი- მინდა მეტი გავიგო შენზე

–რამე მკითხე.

ჩემს კითხვებს შორის ყველაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის კითხვა ამოვარჩიე.

–ამას რატომ აკეთებ?- ვთქვი- ჯერ კიდევ არ მესმის, როგორ შეგიძლია ასე ძლიერად შეეწინააღმდეგო იმას რაც... *ხარ.* გთხოვ არასწორად ნუ გამიგებ, რა თქმა უნდა ძალიან მიხარია ასე რომ იქცევი. უბრალოდ ვერ ვხვდები პირველ რიგში რატომ მოგბეზრდებოდა.

ცოტა ხანი ყოყმანობდა სანამ პასუხს გამცემდა.

–ძალიან კარგი კითხვაა, და შენ პირველი არ ხარ ვინც ეს მკითხა. დანარჩენები- ჩვენნაირების უმრავლესობა,რომლებიც ასეთუისე ეგუებიან ჩვენს გადაწყვეტილებას- მათაც აინტერესებდათ როგორ ვცხოვრობდით. მაგრამ შენ ხედავ, რომ ჩვენ უბრალოდ...

MYTOPBOOK.ORG

განსაზღვრული სახით გავნაწილდით...ეს არ ნიშნავს, რომ არ შეგვიძლია ისე აღვსდგეთ- რომ ვერ შევძლოთ ბედისწერის იმ საზღვრებში მოქცევა, რომელიც არცერთ ჩვენგანს არ უნდა. ვცდილობთ რაც შეიძლება ჰუმანურები ვიყოთ.

გაუნძრევლად ვიწექი მორიდებულ სიჩუმეში გამომწყვდეული.

–დაგეძინა?-რამდენიმე წუთში დაიჩურჩულა.

–არა

–სულ ეს იყო რაც გაინტერესებდა?

თვალები დავახამხამე.

–არა

–კიდევ რა გინდა რომ იცოდე?

–რატომ შეგიძლია აზრების წაკითხვა- რატომ მარტო შენ? და ელისი, მომავალს ხედავს... ეს რატომ ხდება?

მისი მხრების აჩეჩვა ვიგრძენი სიბნელეში.

–ზუსტად არ ვიცით. კარლაილს ამაზე თავისი თეორია აქვს... მას სჯერა, რომ ჩვენ ყველას მოგვაქვს რაღაც ყველაზე ძლიერი ადამიანური შტრიხები მომდევნო ცხოვრებაში, სადაც ისინი უფრო ძლიერდებიან- როგორიცაა ჩვენი აზრები, და შეგრძნებები. ის ფიქრობს, რომ მე ჩემს გარშემომყოფთა ფიქრებისადმი მგრძნობიარე ვიყავი. და ელისს ჰქონდა რაღაც წინათგრძნობები, სადაც არ უნდა ყოფილიყო.

–კარლაილმა და დანარჩენებმა რა წამოიღეს მომდევნო ცხოვრებაში?

–კარლაილმა თანაგრძნობის უნარი წამოიღო. ესმიმ ვნებიანად სიყვარულის უნარი. ემეტმა თავისი ძალა, როზალიმ თავისი... შეუპოვრობა. ან შეგიძლია ამას უბრალოდ სიჯიუტე დაარქვა.- ჩაიცინა- ჯასპერი ძალიან ცნობისმოყვარეა. ის ძალიან ქარიზმატული იყო

MYTOPBOOK.ORG

პირველ ცხოვრებაში, შეეძლო გარშემომყოფებზე ისეთი გავლენა მოეხდინა, რომ მისებურად დაენახათ ყველაფერი. ახლა მას გარშემომყოფების ემოციებზე მანიპულირება შეუძლია- მაგალითად, შეუძლია ოთახში მყოფი გაბრაზებული ხალხი დაამშვიდოს ან პირიქით, ააღელვოს ძილმორეული ბრბო. ეს ძალიან ფაქიზი ნიჭია.

განვიხილე შეუძლებელი რაღაცეები რაზეც ის ლაპარაკობდა, და ვეცადე იოლად მიმეღო. მოთმინებით მელოდა სანამ ვფიქრობდი.

–ეგ ყველაფერი საიდან დაიწყო? ვგულისხმობ, კარლაილმა შენ შეგცვალა, ისიც შეცვალა ვიღაცამ და ასე შემდეგ...

–შენ საიდან მოხვედი? ევოლუციიდან? შემოქმედიდან? ჩვენ რატომ ვერ განვვითარდებოდით სხვა სახეობების მსგავსად, როგორც მტაცებელი და მსხვერპლი? ან თუ შენ არ გჯერა, რომ მთელი ეს სამყარო თავისით გამხდარიყო ასეთი, რომლის მიღებაც მეთვითონვე მიჭირს, იმის დაჯერებაც ისევე გაგიჭირდება, რომ იგივე ძალა რომელმაც შექმნა დახვეწილი ოქროს თევზი ზვიგენთან ერთად, პატარა სელაპები მკვლელ ვეშაპებთან ერთად, შეძლებდა ვამპირის და ადამიანის ერთდროულად შექმნას?

–მოდი დავაზუსტოდ- პატარა სელაპი მე ვარ, ხო მართალია?

–მართალია-გაიცინა და რაღაც თმაზე შემეხო- ნუთუ მისი ტუჩები?

მინდოდა მისკენ შევბრუნებულიყავი, რომ მენახა მართლა მისი ტუჩები მეხებოდა თმაზე თუ არა. მაგრამ ჭკვიანად უნდა ვყოფილიყავი; არ მინდოდა მისთვის იმაზე მეტად გამერთულებინა ჩემთან ახლოს ყოფნა, ვიდრე აქამდე განიცდიდა.

–მზად ხარ დაიძინო?- მკითხა, მცირე სიჩუმე გაწყვიტა.- თუ კიდევ გაქვს კითხვები?

MYTOPBOOK.ORG

–სულ რაღაც 1-2 მილიონი კითხვა მაქვს.

–მაგრამ ჩვენ ხვალინდელი დღე გვაქვს, და მომდევნოც... იმის მომდევნოც...-შემახსენა. გავიღიმე, ამაზე ფიქრმა ეიფორიაში ჩამაგდო.

–დარწმუნებული ხარ, რომ დილას არ გაქრები?- მინდოდა უეჭველად დამეზუსტებინა- ამ ყველაფრის შემდეგ მითიური მგონიხარ.

–არ მიგატოვებ- მის ხმას დაპირების ბეჭედი ესვა.

–მაშინ ამაღამ კიდევ ერთ რაღაცას გკითხავ...- და გავწითლდი. სიბნელე ვერაფერს მშველოდა- დარწმუნებული ვიყავი ჩემ კანქვეშ უეცარი სითბო იგრძნო.

–რა არის?

–არაფერი, დაივიწყე. გადავიფიქრე

–ბელა, შეგიძლია ყველაფერი მკითხო.

არაფერი ვუპასუხე და მოთმინება დაკარგულმა ამოიღმუვლა.

–ვფიქრობდი, ნელ-ნელა უფრო ნაკლებად გამაღიზიანებელი იქნებოდა ის, რომ შენი ფიქრები არ მესმის. მაგრამ ახლა მგონია რომ პირიქით *უარესდება.*

–მე მიხარია, რომ ჩემი ფიქრების წაკითხვა არ შეგიძლია. ისიც მყოფნის ჩუმ-ჩუმად რომ მისმენ რას ვლაპარაკობ ძილში.

–გთხოვ?- ისეთი დამარწმუნებელი ხმა ჰქონდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო.

თავი გავაქნიე.

–თუ არ მეტყვი, იმაზე ბევრად ცუდი რამე მეგონება ვიდრე სინამდვილეშია. -პირქუშად დამემუქრა- გთხოვ?- ისევ ეს მავედრებელი ხმა.

MYTOPBOOK.ORG

–კარგი- დავიწყე, თან მიხაროდა რომ სიბნელეში ჩემ სახეს ვერ ხედავდა.

–გისმენ.

–შენ მითხარი, რომ როზალი და ემეტი მალე დაქორწინდებიან... ქორწინება... ვამპირებისთვისაც იგივეა რაც ადამიანებისთვის?

მართლა გაეცინა, მიმიხვდა რაზეც ვეკითხებოდი.

–სულ *ესაა* რაც გაწუხებდა?

ავწრიალდი, ვერაფერი ვუპასუხე.

–ჰო, ვფიქრობ, რომ ზუსტად იგივეა-თქვა მან- ხომ გითხარი, ადამიანური სურვილების უმეტესობა შემორჩენილია, მაგრამ მას სხვა უფრო ძლიერი სურვილები ფარავს.

–აა- სულ ეს იყო რისი თქმაც შევძელი.

–რამე მიზანი ხომ არ იმალებოდა შენი ცნობისმოყვარეობის მიღმა?

–მაინტერესებდა... ხომ შეიძლება ერთხელაც... შენსა და ჩემს შორის...

უცებ დასერიოზულდა, ვიგრძენი როგორ გაუხევდა სხეული. მეც გავშეშდი, ავტომატური რეაქცია იყო.

–არამგონია, რომ... ეს... შესაძლებელი იყოს ჩვენ შორის.

–რადგან ძალიან ძნელი იქნება შენთვის, თუ ასე... ახლოს ვიქნები?

–სწორედაც რომ. მაგრამ მაგაზე არ ვფიქრობდი. შენ უბრალოდ ძალიან ნაზი ხარ, ძალიან მყიფე. მე ჩემი ყოველი მოქმედების გააზრება მიწევს როცა შენთან ვარ, რომ არაფერი გატკინო. საკმაოდ იოლად შემიძლია შენი მოკვლა, ბელა, უბრალოდ შემთხვევითობით.-მისი ხმა რბილ ბუტბუტში გადაიზარდა. გაყინული ხელისგული დამადო ლოყაზე- ძალიან სულსწრაფი რომ ვიყო... ან თუნდაც ერთი წამით ყურადღება მოვადუნო, მოვიწიო, იმისთვის რომ უბრალოდ სახეზე შეგეხო,

MYTOPBOOK.ORG

შეიძლება შემთხვევით დაგისმხვრიო თავის ქალა. ვერც კი წარმოიდგენ ისე დაუჯერებლად *მსხვრევადი* ხარ. მე ვერასდროს, ვერასდროს მივცემ ჩემ თავს ნებას, რომ კონტროლი დავკარგო როცა შენთან ვარ.

მელოდა სანამ რამეს ვუპასუხებდი, მაგრამ როცა არაფერი ვუპასუხე ანერვიულდა.

–გეშინია?-მკითხა.

ერთი წუთი მოვიცადე სანამ ვუპასუხებდი, რომ სიტყვები მართალი ყოფილიყო.

–არა, კარგად ვარ.

რამდენიმე წუთი ფრთხილი ჩანდა.

–თუმცა ახლა მე დავინტერესდი-თქვა, უკვე შემსუბუქებული ხმა ჰქონდა.-ოდესმე გქონია...?- ჩაფიქრებულს გაუწყდა სიტყვა.

–რა თქმა უნდა არა-სახე წამომიწითლდა- ხომ გითხარი რომ ასეთი რამ აქამდე არავის მიმართ მიგრძვნია, ამის მსგავსიც არაფერი ყოფილა.

–ვიცი. უბრალოდ სხვების ფიქრები კარგად ვიცი. ვიცი, რომ სიყვარული და ვნება ყველასთვის ერთდროული არ არის.

–ჩემთვის არის. ზუსტად ახლა ისინი ერთდროულად არსებობენ ჩემთვის.-ამოვიოხრე.

–ძალიანაც კარგი. როგორც იქნა რაღაც საერთო აღმოგვაჩნდა-კმაყოფილი ხმა ჰქონდა.

–შენი ადამიანური ინსტიქტები... -დავიწყე. ის მელოდებოდა როდის გავაგრძელებდი.- *ამ* მხრივაც მიმზიდველი ვარ შენთვის?

გაიცინა და ოდნავ ამიჩეჩა თითქმის მშრალი თმა.

–შეიძლება ადამიანი არ ვარ, მაგრამ კაცი ნამდვილად ვარ,-დამარწმუნა.

უნებლიედ დავამთქნარე.

MYTOPBOOK.ORG

–კითხვებზე უკვე გიპასუხე, ახლა უნდა დაიძინო- დაიჟინა.

–დარწმუნებული არ ვარ, რომ მოვახერხებ

–გინდა წავიდე?

–არა!- მეტისმეტად ხმამაღლა ვთქვი.

მან გაიცინა, შემდეგ კი იგივე უცნობი იავნანის ღიღინი დაიწყო; მთავარანგელოზის მელოდიური ხმა ჩამესმა.

უფრო მეტად დაღლილი ვიყავი, ვიდრე მეგონა, ისე ვიყავი გამოწურული გრძელი დღის გონებრივი და ემოციური სტრესით როგორც აქამდე არასდროს ვყოფილვარ, მისკენ მივიწიე, რომ მის ცივ მკლავებში დამეძინა.

თავი მეთხუტმეტე

კალენები

კიდევ ერთი ღრუბლიანი დღის მდუმარე სინათლემ საბოლოოდ გამაღვიძა. მოხრილი მკლავები თვალებზე დავიფარე, შეფიქრიანებული და გაოცებული ვიყავი. სიზმრის გახსენებას ვცდილობდი, ვიბრძოდი რომ ცნობიერებაში გადმომეტანა. ამოვიკვნესე

MYTOPBOOK.ORG

და გვერდი ვიცვალე, იმედი მქონდა რომ ისევ ჩამეძინებოდა. შემდეგ კი წინა დღე ამომიტივტივდა გონებაში.

— ვაი!—ისე სწრაფად წამოვჯექი, რომ თავბრუ დამეხვა..

—თმები თივის ზვინს მიგიგავს...მაგრამ მე მომწონს—. კუთხეში მდგარი საქანაო სავარძლიდან მოისმა მისი აუღელვებელი ხმა.

—ედვარდ! შენ დარჩი!—გავმხიარულდი, გაუფიქრებლად წამოვხტი, რომ ოთახი გადამეჭრა და ჩავხუტებოდი. იმავე მომენტში როცა მივხვდი რას ვაკეთებდი გავშეშდი და ჩემივე გაუკონტროლებელმა ენთუზიაზმმა შოკში ჩამაგდო. ავხედე, მეშინოდა რომ არასწორად მოვიქეცი.

მაგრამ ის იცინოდა.

—რა თქმა უნდა,— მიპასუხა. ჩემი რეაქციით გაოცებული, მაგრამ ნასიამოვნები ჩანდა. მისი ხელები ზურგზე მეხვეოდა.

ფრთხილად მივადე თავი მხარზე, მისი კანის სურნელით ვტკბებოდი

—დარწმუნებული ვარ ყველაფერი სიზმარი იყო.

—მასეთი კრეატიულიც არა ხარ,— დამცინა.

—ჩარლი!—გამახსენდა, ისევ დაუფიქრებლად წამოვხტი და კარისკენ გავემართე.

—ერთი საათის წინ წავიდა, უნდა დავამატო რომ მხოლოდ მას შემდეგ რაც შენი გამათბობელის სადენები შეაერთა. უნდა ვაღიარო, რომ იმედგაცრუებული ვარ. სულ ესაა რისი გაკეთებაც შეუძლია, თუ წასვლას გადაწყვეტ?

გავიაზრე სად ვიდექი, და მოვინდომე მისთვის უკმაყოფილოდ შემეხედა, მაგრამ ალბათ დილის მშვიდი სუნთქვა მექნებოდა.

MYTOPBOOK.ORG

—ჩვეულებრივ, დილაობით ასეთი შეცბუნებული არ ხარ ხოლმე“ შენიშნა მან. ხელები გამიშალა რომ დავბრუნებოდი. თითქმის მოუგერიებელი მიპატიჟება იყო.

—კიდევ ერთი ადამიანური წუთი მჭირდება, — ვაღიარე.

—დაგიცდი.

აბაზანისკენ გავვარდი, შეუცნობელი ემოციები დამეუფლა. ვერც შინაგად ვცნობდი ჩემს თავს, ვერც გარეგნულად. სახე სარკეში სრულიად უცნაური მქონდა- თვალები მეტისმეტად ანთებული, წითელი უწესრიგო ლაქები ღაწვებზე. მას შემდეგ რაც კბილები გავიხეხე, ვეცადე აბურდული თმები გამეშალა. სახეზე ცივი წყალი შევისხი, და ვეცადე ჩვეულებრივად მესუნთქა, მაგრამ ამას შესამჩნევი წარმატება არ მოჰყოლია. ნახევრად შევირბინე ჩემს ოთახში.

თითქმის სასწაულს უდრიდა მისი იქ ყოფნა, მისი მკლავები ისევ მიცდიდა. მან ჩემამდე მოაღწია, გული მერყევად შემიხტა.

—კეთილი იყოს შენი დაბრუნება,— ჩაიბუტბუტა და მკლავებში მომიქცია.

წყნარად მარხევდა სიჩუმეში ჩახუტებულს. .სანამ შევამჩნევდი, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა და თმებიც გადავარცხნილი ჰქონდა.

—წასული იყავი?— ბრალი დავდე, მისი ახალი პერანგის საყელოს შევეხე.

—იმ ტანსაცმლით ხომ ვერ წავიდოდი რომლითაც მოვედი- მეზობლები რას იტყოდნენ?

გავიბუტე.

—ძალიან ღრმად გეძინა; არაფერი გამომიტოვებია,— თვალები მკრთალად გაუნათდა,—მანამდე ლაპარაკობდი.

ამოვიკვნესე.—რა გაიგონე?

MYTOPBOOK.ORG

ოქროსფერი თვალების მზერა დაურბილდა. —თქვი რომ გიყვარვარ.

—ეგ ხომ უკვე იცოდი,— შევახსენე, თავი დავხარე.

—მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო, ამის კიდევ ერთხელ გაგონება“

სახე მის მხარში ჩავმალე.

—მიყვარხარ...— დავიჩურჩულე.

—შენ ახლა ჩემი ცხოვრება ხარ,— უბრალოდ მიპასუხა.

იმ დროისთვის მეტი აღარაფერი მქონდა სათქმელი. წინ და უკან ვირხეოდით სანამ ოთახი უფრო არ განათდა.

—საუზმის დროა,— თქვა მან ბოლოს, შემთხვევით— დარწმუნებული ვარ იმიტომ რათა დაემტკიცებინა ჩემთვის რომ ახსოვდა ყველა ჩემი ადამიანური სისუსტე.

ორივე ხელი ყელზე მოვიკიდე და მას მივაშტერდი გაფართოებული თვალებით. შოკმა გადაკვეთა მისი სახე.

—ვხუმრობ!—სიცილი ამიტყდა მე,—შენ კი მითხარი რომ მსახიობობის ნიჭი არ მაქვს!

ზიზღით შეჭმუხნა წარბები.

— სულაც არ იყო სასაცილო.

— სასაცილო იყო და შენ ეს იცი,— ეს კი ვთქვი მაგრამ მაინც ყურადღებით ჩავაკვირდი ოქროსფერ თვალებში, რომ დავრწმუნებულიყავი რომ ნამდვილად მაპატია. აშკარად მაპატია.

—შეიძლება კიდევ ერთხელ გამოვთქვა?— მკითხა.

—ადამიანის საუზმის დროა.

MYTOPBOOK.ORG

—კარგი, კარგი. — დავთანხმდი მე.

წამოდგომაც ვერ მოვასწარი, როცა უცებ ედვარდმა ზურგზე მომიგდო და თვალის დახამხამებაში სამზარეულოში აღმოვჩნდით. ის ყურადღებას არც კი აქცევდა ჩემს პროტესტებს, ეტყობა მისთვის ამის გაკეთება მართლაც არაფერია.

ძალიან გამიკვირდა,— სამზარეულო სადღესასწაულოდ განათებული იყო. ედვარდმა ფრთხილად დამსვა სკამზე.

— საუზმეზე რა გვაქვს? — ვიხუმრე მე. ის კი ასეთ კითხვას ნამდვილად არ ელოდა.

— მართალი გითხრა არ ვიცი. და შენ რა გიყვარს?—სიცილით წამოვდექი.

–- ყველაფერი რიგზეა, მე დიდი გოგო ვარ და შემიძლია საკუთარ თავზე ვიზრუნო!

ავიღე სიმინდის ბურბუშელები თაფლითა და თხილით, დავყარე თეფშზე და რძე დავასხი. ის თვალს არ მაცილებდა, ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი.

— იქნებ რამე გეჭამა? — გაუბედავად ვკითხე მე.

მან თვალები გადაატრიალა.

—ბელა!..

მისი გამჭოლი მზერის ქვეშ დავიწყე ჭამა. რა აუცილებელია ასე ყურადღებით უყურო ადამიანს როგორ იღეჭება? სადაცაა გადამცდება! .. გადავწყვიტე საუბრის დაწყება.

— დღეს რას ვშვრებით?

— ჰმმმ... არ გინდა ჩემი ოჯახი გაიცნო?— ახლა მართლა კინაღამ გდამცდა ბურბუშელა.

MYTOPBOOK.ORG

— ნუთუ გეშინია? — იმედით მკითხა ედვარდმა.

— კი,— ვაღიარე მე. რა საჭიროა თავის მოჩვენება, როცა პასუხი ისედაც ნათლად ჩანს თვალებში?

— ნუ გეშინია,— გაეცინა ედვარდს,— შენს დაცვას როგორმე მოვახერეხებ!

ახლა ჩემი ჯერი მოვიდა ჭერს შევხედო!

— მე შენი ოჯახის კიარა იმის მეშინია, რომ მათ არ მოვეწონები!—ავუხსენი მე,— განა არ გაუკვირდებათ, როცა სახლში სტუმრად ჩემნაირს მიიყვან? მათ იციან რომ, მე ვიცი...

— დიდიხანია უკვე იციან. გუშინ ჩემმა საყვარელმა ნათესავებმა ნიძლავი დადეს, დაგაბრუნებ თუარა შინ! –-ედვარდს გაეღიმა, მაგრამ მისი ხმა სერიოზულად ჟღერდა.— არ მესმის როგორ უნდა დადო ნიძლავი ელისის წინააღმდეგ! ასეა თუ ისე ჩვენს შორის საიდუმლოებები არ არის. რომელ საიდუმლოზეა ლაპარაკი, როცა მე მათ აზრებს ვკითხულობ, ელისი კი ჩვენს მომავალს ხედავს!

— ესეიგი ელისმა იცის, რომ მოვალ?— ედვარდმა უცნაურად შემომხედა.

— საერთოდ კი,—თქვა მან და შეტრიალდა, რომ მისი სახე არ დამენახა. დავინტერესდი.

— გემრიელია?–-სასწრაფოდ შეცვალა თემა მან.— შესახედად არც ისე მადის აღმძვრელად გამოიყურება.

— რა გითხრა, მართალია ეს არ არის გაზაფხულის გრიზლი... — ყურადღება არ მიმიქცევია მისი უკმაყოფილო გამომეტყველებისთვის. საინტერესოა, რატომ შეიშმუშნა ელისზე რომ ვკითხე. კითხვის დასმა მინდოდა, ამიტომ უცებ შევჭამე ბურბუშელა.

ისევ ადონისის ქანდაკებად ქცეული, შუა სამზარეულოში იდგა და ფანჯარას გაჰყურებდა. შემდეგ შემოტრიალდა და გამიღიმა.

MYTOPBOOK.ORG

— შენც უნდა გამაცნო მამა.

— ის შენ გიცნობს,–-შევახსენე მე.

— მაგრამ არა ისე როგორც შენს მეგობარს.

— რატომ?

— განა ასე არ უნდა იყოს?— უდანაშაულო გამომეტყველებით დაინტერესდა ედვარდი.

— არ ვიცი, — ვუთხარი მე, ცუდია რომ ასეთი სიტუაციების გამოცდილება არ მაქვს. ანდა ჩვენს ურთერთობას ჩვეულებრივი წესები შეესაბამება? — ეს არ არის აუცილებელი. მე იმას არ ველოდები რომ შენ... არ გაიძულებ სხვა ვინმედ მოიჩვენო თავი!

ედვარდმა გაიღიმა.

— მე არ ვაჩვენებ სხვა ვინმედ თავს!

ტუჩზე ვიკბინე, თან ნერვიულად ვათამაშებდი თეფშზე დარჩენილ ბურბუშელებს.

— ესეიგი ეტყვი ჩარლის რომ შენი ბოიფრენდი ვარ?

— და შენ ჩემი ბოიფრენდი ხარ? — თან წამით წარმოვიდგინე ჩარლის და ედვარდის საუბარი.

— რა გითხრა, ამ სიტყვას ბევრი მნიშვნელობა აქვს.

— მართალი გითხრა, ვფიქრობ, რომ შენ ჩემთვის მეტი ხარ, ვიდრე უბრალოდ ბოიფრენდი. — თვალები ჯერ კიდევ არ მომიცილებია თეფშისთვის.

— აუცილებელი ხომ არ არის მამაშენი დეტალებში გავარკვიოთ, —თავდაჯერებით წარმოთქვა ედვარდმა და თითით ჩემს ნიკაპს შეეხო, — რაღაცით ხომ უნდა ავუხსნათ ჩემი შენთან ყოფნის მიზეზი? და

MYTOPBOOK.ORG

სულაც არ მინდა პოლიციის შეფმა სვონმა ამიკრძალოს ამ სახლთან მოახლოვება.

— და შენ მართლა გინდა ჩემთან ყოფნა?— აღელვებუმა ვკითხე, — მართლა მოხვალ ხოლმე სტუმრად?

— სანამ ეს შენ მოგწონს. — სერიოზულად მიპასუხა მან.

— მე მინდა სულ ჩემთან იყო, — ჩავიბუტბუტე.

ედვარდი ნელა მოუახლოვდა მაგიდას და ხელით ნაზად შეეხო ჩემს სახეს, ახლა ის რას ფიქრობდა არ ვიცოდი, გამომეტყველებით ვერაფერს მივხვდი.

—შენ ეს არ მოგწონს? — ვკითხე დაძაბულმა. ის დიდხანს, დიდხანს მიყურებდა თვალებში, მერე კი თემის შეცვლა გადაწყვიტა და მკითხა:

— დაამთავრე ჭამა?

— კი,— იმწამსვე წამოვხტი მაგიდიდან.

— მაშინ ჩაიცვი, მე აქ დაგელოდები.

— ავირბინე კიბეებზე, მაგრამ ნახევარ გზაზე გავჩერდი, – – მართლა დამელოდები?

ედვარდს გაეცინა და თვალები გაუბრწყინდა.

— პატიოსან სიტყვას გაძლევ!

ავირბინე, უკვე ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ დამიცდიდა. რა ჩავიცვა? არამგონია სადმე ეწეროს რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაიცვა ვამპირების ოჯახთან პირველი შეხვედრისთვის. უცნაურია, ეს სიტყვა თვითონ შემოიჭრა ჩემს გონებაში, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვცდილობდი არ გამომეყენებინა, მაშინაც კი როცა საკუთარ თავთან მარტო ვიყავი.

MYTOPBOOK.ORG

არჩევანი ხაკისფერ გრძელ კაბასა და მუქ ლურჯ ბლუზზე შევაჩერე, ცალი თვალით სარკეს გავხედე და მივხვდი, რომ თმას ვერეფერი უშველიდა აკვრის გარდა. დარჩა ფეხსაცმელის არჩევა. მე კიბეებისკენ გავედი და ედვარდს დავუძახე, რომ დავრწმუნებულიყავი მართლა მიცდიდა.

— საჭესთან ვინ დაჯდება?

— რა კითხვაა?— გაეცინა, — რათქმაუნდა მე!

ესეიგი დაბალ მოსახერხებელ ფეხსაცმელებს ვიცმევ!

—მზად ვარ! —გამოვაცხადე მე.— როგორია? იმედია წესიერად მაცვია!

მან ხელი მომკიდა, ცოტახანს ასე მიყურებდა მერე კი თავისკენ მიმიზიდა.

— შენ როგორც ყოველთვის შეცდი... განა წესიერია ასე ვნებიანად და მომხიბვლელად გამოიყურებოდე?

— რას გულისხმობ მომხიბვლელობაში?— ფრთხილად ვკითხე მე. ხომ არ ჯობს გამოვიცვალო?

ედვარდმა ამოისუნთქა და თავი გადააქნია.

— როგორ შეიძლება ასეთი სულელი იყო?— გაეღიმა მას და შუბლზე მაკოცა,— ოთახი თვალ წინ სადღაც ჩაცურდა.— აგიხსნა რით მხიბლავ?..

თხელი თითები, თითქოს პეპლის ფრთები, ეფერებოდნენ ჩემს ხელებსა და წელს... მისი სუნთქვა უფრო ჩქარა ეხებოდა ჩემს კანს. პულსი საგრძნობლად ამიჩქარდა. მერე კი ფრთხილად შემახო თავისი ცივი ტუჩები.

აქ კი გონება დავკარგე.

— ბელა? —წამოიყვირა შეშინებილმა.

MYTOPBOOK.ORG

— შენს გამო ცუდად გავხდი!

— ოჰ რა გიყო არ ვიცი... — აღელვებული, ის ყველაზე მეტად გავდა ადამიანს, — გუშინ თმებში ჩამაფრინდი, დრეს კი გონება დაკარგე!

მე გამეცინა და ჩემდა საუბედუროდ ვეღარ გავჩერდი, ედვარდმა ჩამიხუტა და წელზე ხელს მისვამდა, სანამ სიცილი სლოკინში არ გადამეზარდა.

— ისტერიკა გაქვს?

მე თავი გადავაქნიე, მაგრამ მივხვდი რომ მართალი იყო. აზრიანი ლაპარაკის უნარიც დავკარგე.— ან სიცილი, ან სლოკინი!

ედვარდმა მძიმედ ამოისუნთქა და სადღაც გაქრა. წამში კი სამზარეულოდან ჭურჭლის ხმა შეომესმა, თან რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

კიდევ წამი და ისევ ჩემს გვერდით ჩანდა წყლიანი ჭიქით ხელში, რადენიმე ყლუპი და ისევ შევძელი სუნთქვა.

— აი რა გამოდის, როცა ზედმეტად კარგად კოცნი, — ამოიოხრა ედვარდა.

— პრობლემაც მაგაშია.— წავილუღლუღე მე, — ყველაფერს ზედმეტად კარგად აკეთებ, და ხედავ როგორ მიბრუნდება ყველაფერი?

— გონება ხომ არ გებინდება?

— არა, გულის წასვლას არ გავს. მგონი უბრალოდ დამავიწყდა როგორ უნდა სუნთქვა!

— ასეთ მდგომარეობაში არსად არ წახვალ.

— ყველაფერი რიგზეა! — წამოვხტი მე, — შენი ოჯახი ისედაც იფიქრებს რომ გიჟი ვარ, ასე რომ არაფერს ვკარგავ!

MYTOPBOOK.ORG

— ასე თუ იფიქრებენ, ალბათ ამის საფუძველიც ექნებათ.

— ოჰ, გმადლობ!..

ედვარდმა მრავალმნიშვნელოვანი მზერა მესროლა, მერე კი მოულოდნელად მითხრა:

— მუქი ლურჯი ძალიან გიხდება.— მე გამაჟრჟოლა.

მთელი წუთი ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით.

— მისმინე, მთელი ძალით ვცდილობ საკუთარი სული დავიკავო, და ხომ არ ჯობს დროზე გავიდეთ?

ვეფხვის თვალების სწრაფი შემაფასებელი გამოხედვა.

— შენ იმის კიარ გეშინია, რომ ვამპირებთან სტუმრად მიდიხარ, არამედ იმის რომ მათ არ მოეწონები?

— ზუსტად!

— შესანიშნავი გოგონა ხარ!— თავი გადააქნია ედვარდმა და კარებისკენ წავიდა.

— და ხომ არ ჯობია რომ... — მაგრამ ედვარდმა პიკაპის გასაღები მაჩვენა.

მე ფეხის წვერებზე ავიწიე რომ სახლის გასარებს მივწვდომოდი, ის კი მომეპარა და ხელში ამიყვანა. —მე გავშეშდი, ედვარდს კი ისეთი სახე ქონდა თითქოს მობეზრდა ჩემი ყველაფრის მიმართ გაოცება და პიკაპისკენ წამიყვანა.

— მეც მომწონს ტარება, — შევეცადე შემეპარებინა მისთვის, მაგრამ მას უკვე გაეღო მგზავრის გარები.

— ბელლა მე უამრავი ძალა დავხაჯე იმისთვის, რომ გადამერჩინე. ასე რომ ახლა უფლებას ვერ მოგცემ თავი საფრთხეში

MYTOPBOOK.ORG

ჩაიგდო ისეთ ბდგომარეობაში, რომ მანქანის კიარა საკუთარი თავის ტარება არ შეგიძლია.

— შესანიშნავად ვატარებ!

— მე ბევრად უკეთესად!— მიპასუხა მან უკვე მძღოლის ადგილიდან.

— ასე რომ არ აკეთებდე, დამავიწყდებოდა კიდეც რომ ადამიანი არ ხარ.

— როგორ?

— რომ გამოჩნდები, მგონია ამ წამს მიწიდან ამოიზარდათქო

— აბა სულ ასე ნელა ხომ ვერ ვივლი!

მე შევხედე მის გლუვ ფერმკრთალ სახეს, რომელსაც არამიწიერი სილამაზე ამშვენებდა, მისი სხეული ისეთივე ცივი და მკვრივი იყო როგორც მარმარილო...

როცა გზას გავუდექით, მაშინ მივხვდი რომ არ ვიცოდი სად ცხოვრობდნენ კალენები. ჩვენ გავსცდით ფორკსს და ტყისკენ ავიღეთ გეზი. ტყე თანდათან უფრო ბნელდებოდა. მერე კი ხეები ისევ შეთხელდა და გავედით მინდრზე... თუ ეს პატარა მდელო იყო? სახლის ირგვლივ მომწვანო კვამლი დაცერავდა, ალბათ იმიტომ რომ მას ექვსი საკვამური ქონდა. რატომღაც კალენების სახლი სხვანაირად წარმომედგინა, ის დიდებული, ძლიერი და ძველი იყო, რომელიც მფლობელის კარგ გემოვნებაზე მეტყველებდა.

რადგანაც სხვა მანქანა ვერსად დავინახე, მივხვდი, რომ სადღაც ახლოს მდინარე ხმაურობდა.

— ვაუ!

— მოგწონს? —გამიღიმა ედვარდმა.

— ძალიან საინტერესოა...

MYTOPBOOK.ORG

მას გაეცინა თმაზე მომეფერა და მითხრა:

— მზად ხარ?

— რათქმაუნდა არა, მაგრამ მოდი შევიდეთ!

— მამაცი ზღვის კატუნია!

გაღიმებას ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. თმა შევისწორე და ძლივს ამოვისუნთქე.

—შესანიშნავად გამოიყურები, — შემაგულიანა ედვარდმა. ჩვენ ტერასას მივუახლოვდით. ალბათ მიხვდა რომ ვღელავდი, და ხელი დამიჭირა.

კარი გაიღო და იმედგაცრუება... იქ არაფერი არ გავდა ვამპირებზე დაბინდულ წარმოდგენებს. ოთახი ნათელი და მყუდრო იყო! ერთ დროს აქ ალბათ ოთახებიც იყო, მაგრამ ის ახლა დიდ ჰოლად უქცევიათ. სამხრეთ კედელი გამჭვირვალე იყო, იქედან მდელო ჩანდა, რომრლიც აუჩქარებელ მდინარესკენ ეშვებოდა. დასავლეთ კედლის მთავარი სამკაული ფართო კიბე იყო, რომელიც ზემოთ ადიოდა. ხოო კალენებს უგემოვნებაში ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ!

შესასვლელიდან მარცხნივ დიდ როიალთან ედვარდის მშობლები გველოდებოდნენ.

ექიმ კალენს ერთხელ უკვე შევხვდი, მაგრამ განა ეს ხელს შემიშლიდა კიდევ ერთხელ მოვხიბლულიყავი მისი სილამაზით?! მის გვერდით ესმი უნდა იდგეს, ის ერთადერთია ვინც კალენებიდან არ მინახავს. ნაზი სახე, მაღალი ღაწვებით, ულამაზესი ღია ფერის დატალღული თმა— როგორ გავს უხმო ფილმის მსახიობს! ის სხვებთან შედარებით უფრო სავსე აღნაგობისაა, და უფრო ჩვეულებრივადაც გამოიყურება. ორივემ მოსალმების ნიშნად გაგვიღიმეს, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ მოგვიახლოვდნენ, ალბათ არ უნდოდათ შემშინებოდა.

MYTOPBOOK.ORG

—კარლაილ, ესმი, — დაარღვია ედვარდმა უხეხული სიჩუმე, — გაიცანით ეს ბელაა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა ბელა, —თქვა ექიმმა კალენმა და ხელი გამომიწოდა, მე ეგრევე ჩამოვართვი ხელი.

— გამარჯობათ ექიმო კალენ.

— ძალიან გთოვ უბრალოდ კარლაილი დამიძახე.

— კარლაილ, — გავიღიმე მე. საკუთარი გამბედაობით გაკვირვებულმა. ჩემს გვერდით ედვარდმა შვებით ამოისუნთქა.

გულითადი ღიმილით მომიახლოვდა ესმი. პატარა კოხტა ხელი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა.

— ძალიან მიხარია ბოლოსდაბოლოს შენი გაცნობა, — გულახდილად მითხრა მან.

— გმადლობ, მეც ძალიან მიხარია, — და ეს მართლაც ასე იყო. თითქოს ზღაპარში აღმოვჩნდი და ხელს ფიფქიას ვართმევდი.

— ელისი და ჯასპერი სად არიან? — იკითხა ედვარდმა, მაგრამ მშობლებმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრეს, რომ კიბეზე ორივენი გამოჩნდნენ.

— ეი ედვარდ! — ხალისით დაიძახა გოგნამ, ჩამოხტა კიბიდან და პირდაპირ ჩემს წინ გაჩერდა. კარლაილს და ესმის აშკარად არ მოეწონათ ელისის საქციელი, მე კი პირიქით მომწონდა მისი თავისებურობა.

— გამარჯობა ბელა!— წამოიძახა გოგონამ და მხრებზე მომეხვია. კარლაილი და ესმი გაოცებისგან დამუნჯებულიყვნენ, მე კი როცა აღფრთოვანებამ გამიარა, გამიხარდა რომ ელისს ასე მოვეწონე და თავისიანად მთვლის. მომეჩვენა, რომ ედვარდი რაღაცით უკმაყოფილო იყო, მაგრამ როცა მისკენ გავიხედე მისი სახე არაფერს გამოხატავდა.

MYTOPBOOK.ORG

— მისმინე, საოცარი სუნი აგდის! — განაცხადა გოგონამ, მე კი საშინლად გავწითლდი.

უხერხული პაუზა ჩამოვარდა, მაგრამ ამ დროს ჯასპერი მოვიდა, ის ძალიან ლამაზი აღნაგობის და მაღალი იყო. ნამდვილი მეფე! ... ისე წყნარად და მყუდროდ ვიგრძენი თავი! შემთხვევით ედვარდის თვალებს შევხვდი და მათში უკმაყოფილება დავინახე. ესეიგი უკვე მოვასწარ რაღაცის არასწორად გაკეთება!

— გამარჯობა ბელა! — მითხრა ჯასპერმა. და მერე თითქმის შეუმჩნევლად შეირხა, მომეჩვენა რომ მას ელისმა კრა ხელი. ასეა თუ ისე მაინც ამ ბიჭთან ჯობს ფრთხილად ვიყო.

— გამარჯობა, ჯასპერ, — პასუხად გავუღიმე. ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა. თქვენთან საოცარი სილამაზე და სიმყუდროვეა, — რბილად დავამატე მე.

—გმადლობ, — გამიღიმა ესმიმ, აშკარად მიმიღო უკვე უშიშარ არსებად. — ჩვენც ძალიან გვიხარია შენი სტუმრობა.

გამოდის ემეტს და როზალის არ უნდათ ჩემი გაცნობა! მაშინვე გამახსენდა ედვარდის პასუხი, როცა ვუთხარი რომ მათ მე არ მოვწონდი.

უსიამოვნო ფიქრებისგან კარლაილმა დამიხსნა, რომელიც მრავალმნიშვნელოვნად უყურებდა ედვარდს, შემდეგ კი უმცროსმა კალენმა თავი დაუქნია. თავი ისე დავიჭირე თითქოს არაფერი დამინახავს, ვუყურებდი ულამაზეს როიალს, რომრლიც ოდნავ მოშორებით იდგა. მოულოდნელად ბავშვურმა მოგონებებმა შემახსენეს თავი, როცა საოცრად მინდოდა რენესთვის როიალი მეყიდა ლატარეას საშუალებით. მას უზომოდ უყვარდა მუსიკა, თუმცა მხოლოდ თავისთვის უკრავდა. ჩვენ ყველაზე იაფიანი პიანინო გვქონდა, მაგრამ მიყვარდა ყურება როცა ის უკრავდა. მაშინ დედა ისეთი ბედნიერი და უდარდელი ჩანდა, თითქოს ის ჩამოსულიყო შორეული ქვეყნიდან, სადაც არც მწუხარება და არც ტკივილი არსებობს. მუსიკალურ

MYTOPBOOK.ORG

სკოლაშიც კი შემიყვანა, მაგრამ იმდენად ცუდად ვუკრავდი, რომ მალევე შევეშვი.

ასეთი ყურადღება ესმის არ გამორჩენია.

— უკრავ? — მკითხა მან, და თავი რიალისკენ გადააქნია.

— სამწუხაროდ არა. და თქვენ?

— არა, — გაეცინა ესმის, — როიალი ედვარდისაა. განა მას არ მოუყოლია რომ მუსიკა ძალიან უყვარს?

— არა, — წყენით გავხედე ედვარდს. ესმი გაოცებული იყო.

— გამოდის მას ამქვეყნად ყველაფერი შეუძლია არა? — გულუბრყვილოდ ვთქვი მე.

ჯასპერმა ჩაიხითხითა, ესმიმ კი გამჭოლი მზერა მიაპყრო ედვარდს.

— იმედია ზედმეტად თავი არ გამოგიჩენია, ეს თავხედობაა. — მკაცრად უთხრა ქალმა.

— სულ ცოტათი, — ჩაეცინა ედვარდს და ესმისაც სახე შეურბილდა, მათ მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს თითქოს რაღაცაზე მოილაპარაკეს.

— იქნებ ბელასთვის დაგეკრა? — შესთავაზა ესმიმ.

— შენ ხომ თქვი, რომ თავის ზედმეტად გამოჩენა თავხედობაა, — გაეცინა ედვარდს.

— ყველა წესს აქვს გამონაკლისი!

— მე სიამოვნებით მოვუსმენდი, — გადავწყვიტე ჩარევა.

— ესეიგი მოვილაპარაკეთ,— გაუხარდა ესმის, თან ხელი წაჰკრა ინსტრუმენტისაკენ შვილს. მე კი ედვარდის გვერდით სკამზე ჩამოვჯექი.

MYTOPBOOK.ORG

მან სასტიკი მზერით შემომხედა... და მაშინვე ოთახი აივსო ისეთი ღვთაებრივი მელოდიით, რომ გეგონებოდათ როიალს ერთი კიარა ორი ადამიანი უკრავსო. ჩემი პრიმიტიული ცოდნითაც კი მივხვდი რომ ეტიუდი ურთულესი იყო. მე ასე ვიჯექი, განძრევაც კი ვერ გამებედა, როცა მოულოდნელად სიცილი გავიგონე.

მან გააგრძელა დაკვრა და მხიარულად ჩამიკრა თვალი.

— მოგწონს? — სხვათაშორის მკითხა ედვარდმა.

— შენ დაწერე?— აღფრთოვანებით წავიბუტბუტე.

— ესმის საყვარელი ეტიუდია, — დამიქნია თავი. მე კი თვალები დავხუჭე და უძლურად გავაქნიე თავი.

— ყველაფერი რიგზეა? — შემეკითხა მან.

— უბრალოდ თავს სრულ არარაობად ვგრძნობ!

მელოდია უფრო შენელდა და მიჩუმდა, ის უკვე ჩემთვის კარგად ნაცნობ იავნანად გადაიქცა. თვალს არ ვაცილებდი მის თითებს, რომლებიც ასე მსუბუქად მოძრაობდნენ კლავიშებზე.

— ეს ნაწილი შენ გეძღვნება,— დაიჩურჩულა ედვარდმა.

არ მეგონა თუ შეიძლებოდა, როიალს ასეთი ხმა ჰქონოდა, მაგრამ ალბათ საქმე დამკვრელის ოსტატობასა და გრძნობებშია.

— იცი მათ ძალიან მოეწონე, განსაკუთრებით ესმის! — გაეცინა მას.

მექანიკურად მოვიხედე და დავინახე, რომ ჰოლი დაცლილიყო.

— რატომ წავიდნენ?

— ალბათ გადაწყვიტეს რომ უკეთესია მარტო დავრჩეთ.

— საიდან მოიტანე, რომ მათ მოვწონვარ?

MYTOPBOOK.ORG

— რავიცი, მაგათ აზრების კითხვას მე ვერავინ დამიშლის.

— ხო თუმცა! და როზალი და ემეტი... — გაუბედავად დავიწყე მე.

ედვარდი მოიღუშა.

—როზალიზე არ ინერვიულო, ის მოვა,— დამაჯერებლად მითხრა მან, როცა დაინახა რომ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი.

— და ემეტი?

— რათქმაუნდა ძმა არანორმალურად მთვლის, მაგრამ ის მხოლოდ იმიტომ არ მოვიდა, რომ როზალის წმინდავს ცრემლებს.

— ასე რამ გაანაწყენა? — ვკითხე მე, თან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მინდოდა პასუხის მოსმენა.

— მისთვის ეს სიტუაცია არც ისე კომფორტულია, ჭკუიდან გადადის იმის გამო რომ ვიღაცამ ჩვენი საიდუმლო გაიგო, თან კიდე ეჭვიანობს.

— როზალი ეჭვიანობს? — დაბნეულმა ვკითხე. ვერ წარმომედგინა როგორ შეიძლებოდა როზალის—ასეთი სილამაზის პატრონს ჩემი შეშურებოდა.

— შენ ადამიანი ხარ, ქალი, — მხრები აიჩეჩა ედვარდმა,— სწორედ ამტომ ეჭვიანობს.

— ღმერთო! — გაოცებულმა წამოვიძახე მე, — ჯასპერიც კი...

— აქ კი დამნაშავე მე ვარ, — ნაღვლიანად ჩაიცინა ედვარდმა, – – გახსოვს რომ გიყვებოდი,რომ ის სულ ახლახან შემოუერთდა ჩვენს ოჯახს. ძალიან გაუჭირდა თავის ხელში აყვანა.

— ესმი და კარლაილი? — უცებ ვკითხე მე, იმის იმედით რომ ედვარდი ჩემს შიშს ვერ შეამჩნევდა.

MYTOPBOOK.ORG

— ისინი კმაყოფილები არიან , თუკი კმაყოფილი ვარ მე. ესმი მაინც მიგიღებდა კოჭლი და ელამი რო ყოფილიყავი. ის ძალიან ნერვიულობდა იმის გამო, რომ კარლაილმა ზედმეტად ადრეულ ასაკში გადამაქცია და რომ ვერ მოვასწარი ვყოფილიყავი სულიერად მთლიანი... ის ლამის დნებოდა ყოველ ჯერზე, როცა ხელს გკიდებდი...

— მგონი ელისიც გახარებულია...

— ხო, მაგას თავისი ინტერესი აქვს!

მთელი წუთი ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით. ედვარდი რაგაცას მიმალავს, მაგრამ კარგი მოვითმენ, მერე კი დრო და დრო შევეცდები გავარკვიო.

— რაზე მოილაპარაკეთ შენ და კარლაილმა? —სხვათაშორის ვიკითხე მე.

— ესეიგი შეამჩნიე?

— რათქმაუნდა,— ისევ მშვიდად ვუპასუხე.

— მას რღაცის თქმა სურდა ჩემთვის და არ იცოდა მომინდებოდა თუარა გამხელა შენთვის.

— და შენ გინდა გამიმხილო?

— იძულებული ვარ, რადგან შემდეგი რამდენიმე დღე ან ერთი კვირა მომიწევს ვიყო... უფრო მეტად ფრთხილად და ყურადღებით. სულაც არ მინდა ტირანად და დესპოტად აღმიქვამდე.

— ნამდვილად ტირანი ხარ, — უდარდელად ვთქვი მე, — მაგრამ ეს მე სრულებით მაკმაყოფილებს, რა არის ამაში განსაკუთრებული?

— არც არფერი. ელისი გრძნობს სტუმრების მოახლოვებას, მათ იციან ჩვენი ოჯახის შესახებ, და უნდათ რომ გაგვიცნონ.

— სტუმრები?

MYTOPBOOK.ORG

— ხო, ისინი ჩვენგან განსხვავებულები არიან და სხვაგვარად ნადირობენ. ქალაქს არ გაეკარებიან, თუმცა ერთი კია სანამ არ წავლენ აქედან, თვალს არ მოგაცილებ.

ამჯერად მან ნამდვილად შეამჩნია, რომ შიშისგან ვკანკალებ.

— ოხ როგორც იქნა ნორმალური რეაქცია! — გაეცინა ედვარდს,— მე კი უკვე მეგონა რომ მთლად დაკარგე თვითდაცვის უნარი!

მე ნელნელა დავწყნარდი, თან ჰოლს ვათვალიერებდი.

— რა შენმა მოლოდინმა არ გაამართლა?—თვითკმაყოფილებით მკითხა ედვარდმა.

— არც ისე, — ვაღიარე მე.

— არც კუბოები, არც თავის ქალები კუთხეებში! ობობის ქსელებიც კი არ არის, რა სამწუხაროა!

—არაჩვეულებრივი და ამასთნავე ნათელია, — არ მიმიქცევია ყურედღება მისი ირონიისთვის ისე ვთქვი.

— ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით სახლებით!

მელოდია, რომელსაც ედვარდი უკრავდა, ჩემი იავნანა, დასასრულს მიუახლოვდა თუმცა ბოლო აკორდები მოულოდნელად სევდიანები აღმოჩნდნენ. უკანასკნელი ნოტი და ჰოლში სიჩუმემ დაისადგურა.

— გმადლობ, — ჩავიბუტბუტე მე, და მხოლოდ ახლა მივხვდი რომ ცრემლი მომრევია, ისინი ჩუმად მოვიწმინდე.

მაგრამ ერთი პატარა ურჩი წვეთი მაინც ჩამოვარდა და ის ედვარდმა მომწმინდა. მან ასწია სველი თითი, ყურადღებით დააკვირდა და შემდეგ ტუჩებთან მიიტანა.

MYTOPBOOK.ORG

არ ვიცოდი რა მეთქვა, მან კი ოცნებით გადაატრიალა თვალები და გამიღიმა.

— გინდა სხვა ოთახების დათვალიერება?

— და კუბოები მართლა არ არის? — ვკითხე იმის იმედით რომ ირონიის უკან მღელვარება არ ისმოდა.

მან ღიმილით ჩამკიდა ხელი და კიბეებისკენ წამიყვანა.

— არავითარი კუბოები, გპირდები!

მაღალი საფეხურებით ჩვენ მეორე სართულზე ავედით. აქ კი უკვე კედლები თაფლისფერ სივრცეს ქმნიდნენ, ამას კი მეტი სითბო შემოჰქონდა.

— როზალისა და ემეტის ოთახი, კარლაილის კაბინეტი, ელისის ოთახი, — მანიშნებდა ედვარდი დახურულ კარებებზე.

— დერეფანის ბოლოს მივუახლოვდით და დამბლადაცებულივით გავშეშდი კედელზე ხის ფიგურის დანახვისას, ედვარდმა შეამჩნია ჩემი უხერხულობა და გაეღიმა.

— შეგიძლია გაიცინო. ეს კი ნამდვილი პარადოქსია!

მე არც ვაპირებდი სიცილს, ხელი ჩმდაუნებურად წავწიე ხის ჯვრისაკენ, ელემენტარული *არიფმეტიკის* მოშველიებით მივხვდი, რომ ჯვარი სამას ორმოცდაათ წელზე მეტისაა. ვცდილობდი გამეაზრებინა ყველაფერი.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა ედვარდმა.

— რამდენი წლისაა კარლაილი? — კითხვაზე კითხვით ვუპასუხე, თან თვალს ვერ ვაშორებდი ჯვარს.

— მან ახლახან აღნიშნა სამას სამოცდამეორე დაბადების დღე.

MYTOPBOOK.ORG

ბოლოს ძლივს მოვწყვიტე თვალი ჯვარს და ედვარდს შევხედე. თავში უკვე ათასი კითხვა მიტრიალებდა.

მათი დასმა ვერ მოვასწარი, ედვარდი თვითონ მიხვდა და დაიწყო:

— კარლაილი დაიბადა ლონდონში 1640 წელს, ოდნავ ადრე სანამ *კრომველის* მმართველობა დაიწყებოდა. უფრო ზუსტად კი რომ გითხრა, ადრე უბრალო ხალხის დაბადების თარიღებს არ იწერედნენ.

მივხვდი, რომ ედვარდი მაკვირდებოდა ამიტომ შევეცადე მღელვარება არ გამომეხატა. მერე სახლშიც მეყოფა, როცა მშვიდ გარემოში ვიქნები!

ის იყო ინგლისელი მღვდლის ერთადერთი შვილი, მას დედა დაბადებისთანავე დაეღუპა. ამიტომ იზრდებოდა მამასთან. როდესაც პროტესტანტები გაძლიერდნენ, ის მონწილეობდა კათოლიკეთა და სხვა რელიგიების წარმომადგენელთა აჯანყებებში. და კიდევ მას მტკიცედ სჯეროდა ჯადოქრების, მაქციების და ... ვამპირების არსებობა.

ამ სიტყვს ხსენებაზე გავშეშდი, მაგრამ როგორც ჩანდა ედვარდმა ვერაფერი შეამჩნია, ის მოყოლას აგრძელებდა.

— ისინი წვავდნენ ათასობით უდანაშაულო ხალხს, რადგანაც ვინც მართლა ასეთი იყო, მათი დაჭერა თითქმის არ ხერხდებოდა. მღვდელმა კი რეიდების ხელმძღვანელად თავისი დამჯერი შვილი დააყენა. თავიდან კარლაილი ერთმა იმედგაცრუებამ შეიპყრო: მას არ შეეძლო უდანაშაულოების დაწვა და უმანკო ხალხში ეშმაკის დანახვა. სამაგიეროდ ის მამაზე ჭკვიანი და სამართლიანი აღმოჩნდა. მან იპოვა ნამდვილი ვამპირები, რომლებიც ხალხთან ახლოს ცხოვრობდნენ და ღამით ნადირობდნენ. იმ დროშიც კი, როდესაც ურჩხულები არსებობდნენ არა მარტო ლეგენდებში, თავის გატანა და გადარჩენა ძალიან უჭირდათ. ასე რომ ერთ დღეს კარლაილი წავიდა სანადიროდ ჩირაღდნითა და ცხელი კუპრით ხელში, — საშიში ტონოთ აგრძელებდა ედვარდი, — მათ კარლაილისა და ხალხის მოსვლა გაიგეს. ბოლოს გამოჩნდა ერთ-ერთი მათგანი.

MYTOPBOOK.ORG

მან უფრო ჩუმად გააგრძელა, სიტყვებს ძლივს ვარჩევდი.

— ეს იყო ყველაზე მოხუცი და შიმშილისგან დაუძლურებული ვამპირი. მან იგრძნო ადამიანთა სუნი, გააფრთხილა სხვებიც და გასაქცევად მოემზადნენ. ოცდასამი წლის კარლაილი მებრძოლთა სათავეში იდგა. კარლაილი აზრით მოხუცი ძალიან მშიერი რომ არ ყოფილიყო გაქცევას თავისუფლად შეძლებდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და პირიქით დავდასხმას შეეცადა ხალხზე. პირველად კარლაილს უკბინა, ორი მოკლა და ერთი თან გაიყოლა, რადგან ხალხი უკვე მისკენ დაიძრა. კარლაილი ბნელ ქუჩაში დატოვა მარტო.

ედვარდი გაჩუმდა, სიტყვებს ეძებდა.

— კარლაილმა იცოდა რას იზამდა მამამისი, სხეულებს დაწვავდნენ, დაწვავდნენ დაჭრილთა სხეულებსაც კი. საკუთარი სიცოცხლე რომ გადაერჩინა, ის ინტუიციას დაეყრდნო. სანამ ხალხი ვამპირებს მიზდევდა, ის საწინააღმდეგო მხარეს გაიქცა. მან იპოვა სარდაფი, სადაც სამი დღე გაატარა და ვერავინ იპოვა. მხოლოდ მაშინ, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა მიხვდა ვინც იყო.

არ ვიცი რა ირეკლებოდა ჩემს სახეზე, მაგრამ შემომხედა თურა გაჩუმდა.

— თავს კარგად გრძნობ?

— ყველაფერი რიგზეა, — დავაწყნარე ის, — ერთი კია, რომ ედვარდი ზედმეტად ყურადღებიანი იყო იმისთვის, რომ ვერ შეემჩნია ჩემს თვალებში ანთებული ცნობისმოყვარეობა.

— შენ კიდევ დაგრჩა კითხვები, — გაიღიმა მან.

— რავიცი... კი რამდენიმე.

წავიდეთ, — მან ხელი ჩამკიდა, — ახლა ყველაფერს თვითონ მიხვდები.

MYTOPBOOK.ORG

თავი მეთექვსმეტე

კარლაილი

ედვარდი უკან გამიძღვა იმ ოთახისკენ რომელზეც მითხრა რომ კარლაილის კაბინეტი იყო. წამით შეჩერდა კართან.

–შემოდით- მიგვიპატიჟა კარლაილის ხმამ.

ედვარდმა მაღალჭერიანი, დასავლეთით ჩატანებულ მაღალ ფანჯრებიანი ოთახის კარი გააღო. ამ ოთახის კედლებიც პანელებით შემოსაზღვრული იყო, ოღონდ უფრო მუქი ხით- ამიტომ აქ ისინი უფრო მკაფიოდ ჩანდნენ. კედლების თავისუფალი სივრცის უმეტესობა აღმართულ წიგნის თაროებს ეკავა, რომელიც ჩემს თავსზემოთ ბევრად მაღლა გრძელდებოდა და იმდენ წიგნს იტევდა, რამდენიც ბიბლიოთეკის გარეთ არასდროს მქონდა ნანახი.

კარლაილი წითელი ხის უზარმაზარი მაგიდის უკან იჯდა ტყავის სავარძელში. ის სანიშნს დებდა სქელტანიანი წიგნის ფურცლებს შორის. ისეთი ოთახი იყო, როგორიც კოლეჯის დეკანის წარმომედგინა ხოლმე- ოღონდ კარლაილი ამისთვის ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

–რით შემიძლია დაგეხმაროთ?- თავაზიანათ გვკითხა და სავარძლიდან წამოდგა.

–მინდოდა ბელასთვის ჩვენი რამდენიმე ისტორია მეჩვენებინა- თქვა ედვარდმა- უფრო სწორად შენი

–თქვენი შეწუხება არ გვინდოდა- მოვუბოდიშე.

–სულაც არ მაწუხებთ. რით აპირებდი დაწყებას?

–მზიდავით,- უპასუხა ედვარდმა.მხარზე ოდნავ შემახო ხელი, რომ იმ კარისკენ მივებრუნებინე, რომლიდანაც წუთის წინ შემოვედით.

MYTOPBOOK.ORG

ყოველთვის როცა მეხებოდა, თუნდაც სრულიად შემთხვევით, ჩემს გულს ამაზე ძალიან მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. ახლა მითუმეტეს შემაცბუნებელი იყო ეს ჩემთვის, რადგან ოთახში კარლაილიც იყო.

კედელი, რომლის პირდაპირაც ახლა ვიდექით, დანარჩენებისგან განსხვავდებოდა. წიგნის თაროების ნაცვლად, ეს კედელი ყველა ზომის ჩარჩოიანი სურათებით იყო გადაჭედილი, ზოგი მათგანი მთრთოლ ფერებში იყო დახატული, ზოგზე ბუნდოვანი ერთფეროვანი გამოსახულება ისახებოდა. რამე ლოგიკას, მაკავშირებელ მოტივს ვეძებდი კოლექციის სურათებს შორის, მაგრამ ამ ჩემი ნაჩქარები კვლევა-ძიების დროს ვერაფერი ვიპოვე.

ედვარდმა მარცხნივ გამწია, დამაყენა პატარა კვადრატული ფორმის ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატის წინ, რომელიც ულამაზო ხის ჩარჩოში იყო ჩასმული. ეს სურათი სხვა უფრო დიდ და უფრო ნათელ სურათებს შორის არაფრით გამოირჩეოდა; სეფიის ცვალებად ტონებში იყო დახატული, ზედ გამოსახული მინიატურული ქალაქის წვეტიანი გადახრილი სახურავებით და რამდენიმე გაფანტულ კოშკზე აღმართული თხელი წვეტებით.სურათის წინა პლანზე ფართო მდინარე მიედინებოდა, რომელსაც კვეთდა ხიდი, რომელზეც პაწაწინა ტაძრების მსგავსი ნაგებობები იყო აშენებული.

–ლონდონი 1650 წელს- თქვა ედვარდმა.

–ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი ლონდონი-დაამატა კარლაილმა, რომელიც რამდენიმე ნაბიჯზე იდგა ჩვენს უკან. შვკრთი; ვერ მივხვდი როდის მოგვიახლოვდა. ედვარდმა ხელზე ხელი მომიჭირა.

–*შენ* მოუყვები ამ ამბავს?- კითხა ედვარდმა. ოდნავ მოვიგრიხე, რომ კარლაილის რეაქცია მენახა.

ის ჩემს მზერას წააწყდა და გაეღიმა.

MYTOPBOOK.ORG

–მოვუყვებოდი-უპასუხა- მაგრამ ცოტა არ იყოს მაგვიანდება. საავადმყოფოდან დამირეკეს ამ დილას- დოქტორი სნოუ ავადაა. თანაც, შენც მშვენივრად იცი ეს ისტორიები.

 არაბუნებრივი იყო ეს ყველაფერი- ქალაქის დაუღალავი მკურნალი როგორ ჩაეჩხირა თავისი ადრეული წლების, მე17 საუკუნის ლონდონის განხილვაში.

 იმის ცოდნაც უცნაური იყო ჩემთვის, რომ კარლაილმა რაც თქვა მხოლოდ ჩემს გამო თქვა ხმამაღლა.

 ჩემთვის განკუთვნილი კიდევ ერთი თბილი ღიმილით დატოვა მან ოთახი.

 კარგა ხანს ვუყურე კარლაილის მშობლიური ქალაქის ამსახველ პატარა სურათს.

–შემდეგ რა მოხდა?-ვკითხე ბოლოს თან ედვარდს ავხედე, ის მე მიყურებდა.-როცა მიხვდა რაც მოუვიდა?

 მან ისევ ნახატებს შეავლო თვალი, მის მზერას გავაყოლე თვალი რომ მენახა ამჯერად რომელმა სურათმა მიიპყრო მისი ყურადღება. ეს უფრო დიდი ბუნდოვანი ფერებით დახატული ლანდშაფტი იყო- ცარიელი, ბუნდოვანი მდელო ტყეში, რაღაც მანძილის მერე კლდიანი პიკით დასრულებული.

–როცა მიხვდა რადაც იქცა- წყნარად თქვა ედვარდმა-ის აუჯანყდა თავის თავს. თავისი თავის განადგურება სცადა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი გასაკეთებელი იყო.

–როგორ ეცადა?- ამის ხმამაღლა თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ ამ სიტყვებმა ჩემი გაოგნებიდან გამოხეთქა.

–ძალიან მაღალი ადგილებიდან გადმოხტა- მშვიდი ხმით მითხრა ედვარდმა- შეეცადა ოკეანეში დაეხრჩო თავი... მაგრამ ახალ ცხოვრებაში ის ძალიან ახალგაზრდა და ძლიერი იყო. საოცარია, რომ მან წინააღმდეგობის გაწევა შეძლო... მადისთვის... სანამ ასე ახალი იყო.

MYTOPBOOK.ORG

ინსტიქტები თავიდან ბევრად ძლიერია, ისეთი ძლიერი, რომ ყველაფერს აჭარბებს. მას იმდენად ეზიზღებოდა საკუთარი თავი, რომ ძალა ეყო შიმშილით ეცადა თავის მოკვლა.

–ეს შესაძლებელია?- მისუსტებული ხმა მქონდა.

–არა, ჩვენი მოკვლა სულ რამდენიმენაირად შეიძლება

პირი დავაღე რაღაცის საკითხავად, მაგრამ სანამ რამეს ვიტყოდი მან თქვა:

–ამის გამო, ის ძალიან მშიერი გახდა და დასუსტდა. უგზო-უკვლოდ დახეტიალობდა რაც შეეძლო შორს ხალხის მასებისგან, გრძნობდა რომ ნებისყოფაც უსუსტდებოდა. თვეების განმავლობაში ღამ-ღამობით დახეტიალობდა, ყველაზე განმარტოებულ ადგილებს ეძებდა, თავისი თავი სძაგდა.

–ერთ ღამეს, ირმის ჯოგმა ჩაუარა მის სამალავს. წყურვილმა ისე გააველურა, რომ დაუფიქრებლად დაესხა თავს მათ. ძალა დაუბრუნდა და მიხვდა, რომ შეეძლო არც ყოფილიყო ის ბილწი ურჩხული, რომლისაც ასე ეშინოდა. ყოფილ ცხოვრებაში არ ქონდა ნაჭამი ირმის ხორცი თუ რა? მომდევნო თვეებში მისი ახალი ფილოსოფია დაიბადა. შეეძლო ისე ეარსება რომ არც ყოფილიყო დემონი. მან ისევ იპოვა თავისი თავი.

–დროის უკეთესად გამოყენება დაიწყო. ყოველთვის ჭკვიანი იყო, ცოდნის გაუმჯობესების დიდი სურვილი ჰქონდა. ახლა კი წინ განუსაზღვრელი დრო ჰქონდა. ღამით სწავლობდა, დღისით გეგმებს აწყობდა. მან საფრანგეთში გაცურა და––

–საფრანგეთში *გაცურა?*

–ხალხი არხის გავლით ყოველთვის ახერხებდა ამას, ბელა-მოთმინებით შემახსენა.

–მგონი მართალი ხარ. მაგრამ ამ კონტექსტში სასაცილოდ ჟღერდა. განაგრძე

MYTOPBOOK.ORG

–ცურვა ადვილია ჩვენთვის...

–*შენთვის* ყველაფერი ადვილია- მოვეჭიდე მის ნათქვამს.

მიცდიდა, კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა.

–მეტჯერ აღარ შეგაწყვეტინებ, გპირდები

მოღუშულად ჩაიცინა და წინადადება გააგრძელა.

–იმიტომ, რომ ფაქტიურად არ გვჭირდება სუნთქვა.

–შენ...

–არა, არა შენ დამპირდი- გაიცინა და ცივი თითი ოდნავ დამადო ტუჩებზე- გინდა ამ ამბის მოსმენა თუ არა?

–ამ ისტორიაზე მეტად ვერაფრით დამაინტერესებდი და თან მოელი რომ არაფერს გკითხავ? -ამოვილუღლუღე მის თითს მიღმა.

ხელი აწია, ყელზე დამადო. გულისცემამ რეაგირება მოახდინა ამაზე, თუმცა ძალიან კი შევეწინააღმდეგე.

–*სუნთქვა* არ გჭირდება?- ჩავაცივდი.

–არა, საჭიროება არ მოითხოვს. უბრალოდ ჩვევაა.-მხრები აიჩეჩა.

–რამდენ ხანს შეგიძლია გაძლო.... *სუნთქვის* გარეშე?

–მგონი განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. ზუსტად არ ვიცი. ცოტა უხერხულია- ყნოსვის გარეშე ყოფნა.

–ცოტა უხერხული-ექოსავით გავიმეორე

ჩემი საკუთარი გამომეტყველებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ რაღაცის დანახვამ მასში ის პირქუში გახადა. მისი ხელი გვერძე დაეშვა და ძალიან მშვიდად დადგა, დაჟინებით მიყურებდა სახეში. სიჩუმე გაიწელა. ნაკვთები ქვასავით უძრავი გაუხდა.

MYTOPBOOK.ORG

–რა არის?- დავიჩირჩულე, მის გაყინულ სახეს შევეხე.

ჩემი ხელის ქვეშ დაურბილდა სახე და ამოიოხრა.

–ველოდები როდის მოხდება ეს.

–რა როდის მოხდება?

–გონების რომელიღაც კუნჭულით ვიცი, რომ რაღაც რასაც გეტყვი, ან რაღაც რასაც დაინახავ შენთვის მეტისმეტი იქნება. და მაშინ შენ გამექცევი, დაიყვირებ წასვლისას. -ნახევრად გამიღიმა, თუმცა თვალები სერიოზული შერჩა- მე არ შეგაჩერებ. მინდა რომ ასე მოხდეს, რადგან მინდა, რომ უსაფრთხოდ იყო. ჯერ-ჯერობით კი შენთან ერთად ყოფნა მინდა. ეს ორი სურვილი კი შეუთავსებადია...-სიტყვა გაუწყდა, სახეში მიყურებდა. მელოდებოდა

–მე არსად არ გავრბივარ- შევპირდი.

–ვნახოთ- თქვა, ისევ იღიმოდა.

შევუბღვირე.

–აბა, გააგრძელე- კარლაილი საფრანგეთში მიცურავდა.

გაჩერდა, თავის ისტორიას უბრუნდებოდა. უნებურად თვალები სხვა სურათისკენ გაექცა- კოლექციის ყველაზე ფერადი სურათისკენ, რომელიც ყველაზე მდიდრულად მორთულ ჩარჩოში იყო ჩასმული. ეს სურათი ამავდროულად ყველაზე დიდიც იყო; ის იმ კარზე ორჯერ განიერი იყო, რომლის გვერძეც ეკიდა. იალქნები გადავსებული იყო დაგორგლილი მანტიებში გამოწყობილი ნათელი ფიგურებით, რომლებიც გრძელი სვეტების გარშემო იკრუნჩხებოდნენ და გემის კოშკურებიდან ხტებოდნენ. ვერ გეტყოდით ბერძნული მითოლოგიიდან იყო ეს სურათი თუ ღრუბლებში მოტივტივე პერსონაჟები ბიბლიიდან იყვნენ გადმოტანილები.

–კარლაილმა საფრანგეთისკენ გაცურა და ევროპისკენ გააგრძელა გზა, იქ ხომ უნივერსიტეტები იყო. ღამ-ღამობით მუსიკას სწავლობდა,

MYTOPBOOK.ORG

მეცნიერებას, მედიცინას- და იპოვა თავისი მოწოდება, ამაში თავისი სინანული აღმოაჩინა, ადამიანების გადარჩენაში. -მორიდებული გამომეტყველება გაუხდა, თითქმის მოწიწებული.- მე შესაბამისად ვერ აღვწერ ბრძოლას; კარლაილს 2 მტანჯველი საუკუნის ძალისხმევა დასჭირდა, რომ სრულყოფილი გაეხადა თვით-კონტროლი. მან ეს უკვე გაიარა, სამაგიეროდ თავისუფალია ადამიანის სისხლის სუნისგან და შეუძლია საკუთარი თავის წამების გარეშე აკეთოს თავისი საყვარელი საქმე. საავადმყოფოში ის დიდ სიმშვიდეს პოულობს...-ედვარდი დიდხანს გაჰყურებდა სივრცეს. მან თითი მიადო ჩვენს წინ არსებულ უზარმაზარ ნახატს.

–ის იტალიაში სწავლობდა, როცა დანარჩენები აღმოაჩინა. ისინი ლონდონის საკანალიზაციო მილების ორეულებზე ბევრად ცივილიზებულები და განათლებულები იყვნენ.

ის ნახატის შედარებით მშვიდ კვარტეტს შეეხო, რომლის წევრებიც ყველაზე მაღალ კოშკურაზე იყვნენ და მშვიდად დაჰყურებდნენ მათ ქვემოთ არსებულ ქაოსს. ყურადღებით დავაკვირდი დაჯგუფებას და გაოცების სიცილით მივხვდი, რომ ოქროსფერთმიანი კაცი ვიცანი.

–სოლიმენა ძალიან იყო შთაგონებული კარლაილის მეგობრებით. ის ხშირად ხატავდა მათ ღმერთებად.- ედვარდს ჩაეცინა- არო, მარკუსი, კაიუსი-თქვა მან, თან დანარჩენ სამზე მითითებდა, 2 შავთმიანი იყო, ერთი თოვლივით
თეთრთმიანი. ხელოვნების ღამის მფარველები.

–რა დაემართათ?-ხმამაღლა დავინტერესდი, იალქნებზე გამოსახულ ფიგურებზე დასრიალებდა ჩემი თითისწვერი.

–ისინი ჯერ კიდევ იტალიაში არიან- მხრები აიჩეჩა- ისინი ვინ იცის რამდენი ათასწლეულია არსებობენ. კარლაილი მათთან ცოტა ხანს იყო, მხოლოდ რამდენიმე ათეული წელიწადი. ის ძალიან აღფრთოვანდა მათი ცივილიზებულობით, მათი დახვეწილობით, მაგრამ მათ დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს მცდელობაში, რომ კარლაილი როგორც ისინი

MYTOPBOOK.ORG

ეძახდნენ, „ბუნებრივი საკვები წყაროს“, ზიზღისგან განეკურნათ. ისინი ცდილობდნენ ის დაერწმუნებინათ, მამა კი მათ გადარწმუნებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. სწორედ ამიტომ, კარლაილმა „ახალი სამყაროს“ შექმნა გადაწყვიტა. ის თავისნაირების პოვნაზე ოცნებობდა. როგორც ხედავ, ის ძალიან მარტოსულად გრძნობდა თავს.

–დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ იპოვა. მაგრამ, როცა ურჩხულები მხოლოდ ზღაპრების შემადგენილი ნაწილი გახდა, ის მიხვდა, რომ შეეძლო მიამიტ ადამიანებთან ერთად ემოქმედა, თუ ისინი მას ერთ-ერთ მათგანად ჩათვლიდნენ. მან სამედიცინო სფეროში თავისი ცოდნის გამოყენება დაიწყო. მაგრამ უერთიერთთანამშრომლობამ, რომელიც მას ასე სურდა გვერდი აუარა მას; მას არ შეეძლო სამეგობროს გაწირვა.

–როცა გრიპის ეპიდემიამ იფეთქა, ის ღამ-ღამობით მუშაობდა ჩიკაგოს საავადმყოფოში. რამდენიმე წელი ებრძოდა გონებაში მომწიფებულ აზრს და თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა ემოქმედა- მას შემდეგ რაც თანამოაზრე ვერ იპოვა, თვითონ უნდა შეექმნა ის. მან ზუსტად არ იცოდა, როგორ მოხდა მისი გარდაქმნა, ამიტომ ყოყმანობდა. არ უნდოდა ისე მოეპარა ვინმეს სიცოცხლე როგორც მას წაართვეს. ამ ფიქრების ჭიდილში იყო როცა მე მიპოვა. უიმედო მდგომარეობაში ვიყავი; სიკვდილისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაკარგული მქონდა. ის ჩემს მშობლებსაც უვლიდა და იცოდა, რომ აღარავინ მყავდა. გადაწყვიტა ეცადა...

ხმა, რომელიც უკვე ჩურჩულამდე იყო მისული სულ ჩაუწყდა. ისე მიაშტერდა დასავლეთის ფანჯრებს არც არაფერი დაუნახია. მაინტერესებდა ახლა რომელ სურათს დაეკავებინა მისი გონება, კარლაილის თუ თავისი მოგონებებისას. წყნარად ველოდი.

როცა მომიბრუნდა, თვინიერი ანგელოზის ღიმილი უნათებდა გამომეტყველებას.

–ასე და ამგვარად მგონი მთელი წრე შევკარით.- დაასრულა.

–მას შემდეგ სულ კარლაილთან ხარ?- დავინტერესდი.

MYTOPBOOK.ORG

–თითქმის სულ- ოდნავ მომხვია წელზე ხელი და თავისკენ მიმიზიდა, როცა კარში გაიარა. უკან მოვხედე სურათებიან კედელს,მაინტერესებდა ოდესმე თუ მოვისმენდი სხვა ისტორიებს.

ედვარდს აღარაფერი უთქვია სანამ ჰოლში დავბრუნდებოდით, ამიტომ მე ვკითხე.

–თითქმის?

ამოიოხრა, მივხვდი პასუხის გაცემა არ ეხალისებოდა.

–ტიპიური ახალგაზრდული ამბოხების შემოტევა მქონდა ჩემი....დაბადებიდან...შექმნიდან, რაც გინდა ის უწოდე, 10 წლის შემდეგ. მის თავშეკავებულ ცხოვრებაში გაყიდული არ ვყოფილვარ, და მე აღმაშფოთა იმან, რომ ის ჩემს მადას განაგებდა. ამიტომ, რაღაც დროის განმავლობაში ჩემთვის ვიყავი

–მართლა?-შეშინებულზე მეტად, როგორიც ალბათ წესით უნდა ვყოფილიყავი, დაინტრიგებული ვიყავი.

შეეძლო ეპასუხა. გაურკვევლად გავაცნობიერე, რომ კიბეებზე ავდიოდით, თუმცა დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი ჩემ გარემოცვას.

–ნირი ხომ არ წაგიხდა?

–არა

–რატომ?

–მგონი... ეგ ლოგიკურიც კი იყო

ხმამაღლა გაიცინა, უფრო ხმამაღლა ვიდრე ოდესმე. მაგ დროს უკვე კიბის თავში ვიყავით, კიდევ ერთ პანელებიან დერეფანში.

–ჩემი ახალი დაბადების დროიდან მოყოლებული ჩემი ყველა ადამიანი და არაადამიანი გარშემომყოფების ფიქრების ცოდნის უპირატესობა მქონდა. აი რატომ დამჭირდა 10 წელი რომ გამომეწვია კარლაილი- მე

MYTOPBOOK.ORG

შემეძლო წამეკითხა მისი იდეალური გულწრფელობა, ზუსტად გავიგე რატომ ცხოვრობდა ის ისე, როგორც ცხოვრობდა.

–სულ რამდენიმე წელი დამჭირდა რომ დავბრუნებულიყავი კარლაილთან და აღმედგინა მისი ნდობა. მეგონა განვთავისუფლდებოდი დეპრესიისგან, რომელიც თან სდევს სინდისის ქენჯნას. იმის გამო რომ მე ჩემი მსხვერპლის ფიქრები ვიცოდი, შემეძლო გადამელახა უმანკოება და მივყოლოდი ბოროტებას. თუ მკვლელს გავყვებოდი ბნელ ხეივანში, როცა ის ახალგაზრდა გოგოს მისდევდა- თუ მე გოგოს გადავარჩენდი, მაშინ რასაკვირველია აღარ ვიქნებოდი ასეთი საზარელი.

გამაკანკალა, ძალიან ნათლად წარმოვიდგინე რაც მან აღწერა- ხეივანი ღამით, დამფრთხალი გოგონა, პირქუში კაცი მის უკან. და ედვარდი, ედვარდი ნადირობისას, საზარელი და ახალგაზრდა ღმერთივით ბრწყინვალე, შეუჩერებელი. ის გოგო მისი მადლიერი იქნებოდა თუ უწინდელზე მეტად შეეშინდებოდა?

–მაგრამ დრო რომ გავიდა, ჩემს თვალებში ურჩხული დავინახე. ვერსად გავექცეოდი ვალს, რომელმაც ამდენი ადამიანის სიცოცხლე წაიღო, მნიშვნელობა არ ქონდა რით გავამართლებდი ჩემს საქციელს. და კარლაილთან და ესმისთან დავბრუნდი. იმაზე მეტად ხელგაშლილები დამხვდნენ ვიდრე ვიმსახურებდი.

სწორედ იმ დროს დერეფნის ბოლო კარის წინ მივედით და გავჩერდით.

–ჩემი ოთახი-მაცნობა, კარი გააღო და შიგნით შესვლისკენ მიბიძგა.

მისი ოთახი სამხრეთით იყო, კედლის ზომის ფანჯრით დაბლა სართულის დიდ ოთახს მაგონებდა. ალბათ სახლის მთელი უკანა მხარე მინის იყო. ხედი დაკლაკნილ მდინარე „სოლ დაქს“ გადაჰყურებდა, ხელშეუხებელ ტყეს კვეთდა და ოლიმპიის ტყეების მწკრივისკენ მიედინებოდა. მთები აქედან იმაზე ახლოს ჩანდა ვიდრე მეგონა.

MYTOPBOOK.ORG

დასავლეთის კედელი მთლიანად დაეფარა ერთმანეთის მიყოლებით დაკიდულ დისკების თაროებს. მისი ოთახი მუსიკალურ მაღაზიაზე უკეთესად იყო მომარაგებული. კუთხეში გამოცდილი-შესახედაობის ხმის სისტემა იყო, რომლის შეხებისაც შემეშინდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი რაღაცას დავამტვრევდი. საწოლი არ იყო, სამაგიეროდ ფართო და მიმზიდველი შავი ტყავის სავარძელი იდგა. იატაკი სქელი ოქროსფერი ხალიჩით იყო დაფარული, კედლები კი უმნიშვნელოდ უფრო ბნელ ჩრდილში ეკიდა მძიმე ქსოვილით.

–კარგი აკუსტიკაა.-მივხვდი მე.

მან ჩაიცინა და თავი დამიქნია.

პულტი აიღო და სტერეო ჩართო. წყნარი, მაგრამ რბილი ჯაზ ნომერი ისე ჟღერდა, თითქოს ბენდი ჩვენთან ერთად იყო ოთახში. მივედი, რომ მისი გონებისამრევი მუსიკალური კოლექცია დამეთვალიერებინა.

–როგორ გაქვს დაწყობილი?- ვკითხე, სათაურებს შორის ვერ ვნახე ვერცერთი საერთო მიზეზი ან რითმა.

ის ყურადრებას არ მაქცევდა.

–მმმ....წლის მიხედვით, და პერსონალური შესრულებით ამ ჩარჩოს ფარგლებში.-გონებადაფანტულად მიპასუხა.

შემოვბრუნდი, განსაკუთრებული გამომეტყველებით მიყურებდა.

–რა?

–მოვემზადე რომ მეგრძნო...შვება. რადგან შენ ყველაფერი იცი, აღარ მჭირდება შენგან საიდუმლოების შენახვა. მაგრამ არ მეგონა ამაზე უკეთესად თუ ვიგრძნობდი თავს. *მომწონს* ეს შეგრძნება. ვგრძნობ, რომ... *ბედნიერი* ვარ. -შეიშმუშნა, ოდნავ გაიღიმა.

MYTOPBOOK.ORG

–მიხარია- ვთქვი და ღიმილითვე ვუპასუხე. ვნერვიულობდი, რომ შეიძლებოდა ენანა ის, რომ ეს ყველაფერი მომიყვა. სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ასე არ იყო.

მაგრამ შემდეგ, როცა მისმა თვალებმა ჩემი გამომეტყველება დაიჭირა, ღიმილი გაუხუნდა და შუბლი შეეჭმუხნა.

–შენ ისევ ელოდები როდის გავიქცევი ყვირილით, არა?-მივუხვდი.

ტუჩები მისუსტებულმა ღიმილმა გაუპო და თავი დამიქნია.

–ვერ ვიტან შენი ბედნიერების ბუშტების გახეთქვას, არც ისეთი საშიში ხარ როგორც გგონია. უფრო სწორად, საერთოდ არ მგონიხარ საშიში- უტიფრად მოვიტყუე.

გაჩერდა, აშკარა ურწმუნობით აქაჩა წარბები. შემდეგ კი ფართო, ბოროტი ღიმილი აენთო სახეზე.

–აი ეგ კი *ნამდვილად* არ უნდა გეთქვა.- ჩაიცინა.

ამოიღრინა, ეს იყო მისი ყელიდან ამოსული ჩუმი ხმა; ტუჩი იდეალურ კბილებს მიღმა ჩაემალა.მისი სხეული უცებ გაინძრა, ნახევრად მიწაზე განერთხა, ისეთი დაძაბული იყო, როგორც თავდასხმისთვის მზადმყოფი ლომი.

უკან დავიხიე, თან თვალს არ ვაცილებდი.

–არ უნდა გეთქვა

ვერ დავინახე როდის დამახტა.-ის ბევრად უფრო სწრაფი იყო. უბრალოდ უცებ აღმოვაჩინე რომ მიწას მოვწყდით, შემდეგ კი სავარძელზე დავეცით, რომელიც კედელს მიეჯახა. მთელი ამ დროის განმავლობაში მისი მკლავები რკინის დამცავი გალიასავით მეხვეოდნენ გარშემო- თითქმის მბიძგულობდა. ჯერ კიდევ ძლივს ვსუნთქავდი როცა წელში გასწორება ვცადე.

MYTOPBOOK.ORG

მაგრამ ვინ გაცადა? მის მკერდთან ბურთივით დაგორგლილი მიმიხუტა, რკინის ჯაჭვზე მაგრად მიკრავდა. განგაშით შევხედე, მაგრამ ის მშვენივრად ფლობდა თავს, ყბები მოუდუნდა როცა გაიკრიჭა, მისი თვალები მხოლოდ იუმორით ენთო.

–რას ამბობდი?-მხიარულად იღრინებოდა.

–ვამბობდი, რომ ძალიან, ძალიან საზარელი ურჩხული ხარ.- ვთქვი, ჩემი ირონია ცოტა დაასუსტა ჩემმა სუნთქვაშეკრულმა ხმამ.

–ასე ბევრად უკეთესია-მოწონება გამოხატა

–მმ-შევიშმუშნე-ახლა შეიძლება ავდგე?

გაიცინა

–შეიძლება შემოვიდეთ?- ნაზი ხმა მოისმა დერეფნიდან.

ავწრიალდი რომ თავი გამენთავისუფლებინა, მაგრამ ედვარდმა სრულიად მარტივად შემაბრუნდა ისე, რომ ნაწილობრივ უფრო პირობითად დავჯექი მის კალთაში. ახლა დავინახე, რომ ელისი იყო, მის უკან კი კარში გაჩხერილი ჯასპერი. ლოყები ამეწვა, მაგრამ ედვარდი სრულიად მშვიდად იყო.

–მოდი, მოდი- ედვარდი ჯერ კიდევ წყნარად ხითხითებდა.

ელისი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჩვენს ჩახუტებაში უჩვეულო ვერაფერი შენიშნა; ის წამოვიდა- თითქმის ცეკვით, ისე მოხდენილად მოძრაობდა-ოთახის ცენტრისკენ, სადაც იატაკზევე ჩაჯდა. ჯასპერი კარში გაჩერდა, ცოტათი შოკირებული გამომეტყველება ჰქონდა. მან ედვარდს შეავლო სახეზე თვალი, დავინტერესდი თავისი უჩვეულო მგრძნობელობით ხომ არ სინჯავდა ატმოსფეროს.

–ისეთი ხმები ისმოდა თითქოს ბელას მიირთმევდა ლანჩზე, ჩვენ ამოვედით, რომ გვენახა ხომ არ გაგვიყოფდი- განაცხადა ელისმა.

წამით გავხევდი, სანამ მივხვდებოდი, რომ ედვარდი იცინოდა- თუმცა ვერ მივხვდი ელისის კომენტარზე თუ ჩემ საპასუხო რეაქციაზე.

MYTOPBOOK.ORG

–მაპატიეთ, მაგრამ იმდენი აღარ დამრჩა, რომ გასაყოფად ღირდეს.- უპასუხა ედვარდმა, დაუფიქრებლად მიმიზიდა მკლავებით.

–უფრო სწორად, -თქვა ჯასპერმა, თავისთავზე გაბრაზებულმა ჩაიღიმა როცა ოთახში შემოვიდა- ელისი ამბობს, რომ ამაღამ ნამდვილი ქარიშხალი იქნება და ემეტს ბურთის თამაში უნდა, თამაშში ხარ?

მისი სიტყვები ყველას გვეხებოდა, მაგრამ მისმა შინაარსმა შემაცბუნა. თუმცა გავიფიქრე, რომ ელისი უფრო საიმედო იყო ვიდრე ამინდის პროგნოზის წამყვანი.

ედვარდს თვალები აენთო, მაგრამ ყოყმანობდა.

–რა თქმა უნდა შეგიძლია ბელაც წამოიყვანო.- ამოიღუღუნა ელისმა. დავინახე ჯასპერმა როგორ ესროლა მას სწრაფი მზერა.

–გინდა წამოსვლა?-აღფრთოვანებით მკითხა ედვარდმა, გაბრწყინებული გამომეტყველება ჰქონდა.

–აბა რა- ასეთი სახისთვის იმედის გაცრუება არ შემეძლო- მმ, სად მივდივართ?

–ქუხილამდე მოგვიწევს ლოდინი, რომ ბურთი ვითამაშოთ-და ნახავ რატომაც- შემპირდა.

–ქოლგა დამჭირდება?

სამივემ ხმამაღლა გაიცინა.

–დაჭირდება?- ჰკითხა ჯასპერმა ელისს.

–არა- თავდაჯერებით უპასუხა- ქარიშხალი ქალაქს დაეჯახება. გაშლილ ადგილზე საკმაოდ სიმშრალე იქნება.

–კარგი მაშინ- ბუნებრივი ენთუზიაზმი ჯასპერის ხმაში გადამდები იყო. ჩემი თავი შიშისგან დაძაბულობის ნაცვლად ენთუზიაზმის მოჭარბებაში გამოვიჭირე.

MYTOPBOOK.ORG

–წამო, ვნახოთ კარლაილი თუ წამოვა,- ელისი ფეხზე წამოხტა და ისეთი მოძრაობით წავიდა კარისკენ, რომლის ნახვაც ნებისმიერი ბალერინას გულს დაამსხვრევდა.

–ვითომ წინასწარ არ იცი- გამოაჯავრა ჯასპერმა, და სწრაფად გავიდნენ ოთახიდან. ჯასპერი შეეცადა შეუმჩნევლად მოეხურა ზურგს უკან კარი.

–რას ვითამაშებთ?-დავინტერესდი.

–*შენ* გვიყურებ- დააზუსტა ედვარდმა- ჩვენ ბეისბოლს ვითამაშებთ.

თვალები დავახამხამე.

–ვამპირებს ბეისბოლის თამაში უყვართ?

–ეს ხომ ამერიკული გასართობია.-თქვა ყალბი სერიოზულობით.

თავი მეჩვიდმეტე

თამაში

MYTOPBOOK.ORG

წვიმას იწყებდა, როცა ედვარდმა ჩემს ქუჩაზე შემოუხვია. ამ დრომდე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ის ჩემთან იქნებოდა, სანამ რამდენიმე საათს გავატარებდი რეალურ სამყაროში.

შემდეგ შავი მანქანა დავინახე,ფორდი, რომელიც ჩარლის სახლთან ეყენა- გავიგონე ედვარდმა როგორ ჩაიბუტბუტა რაღაც ისე დაბალ ხმაზე უხეში ხმით რომ ვერაფერი გავარჩიე.

წვიმისგან მორიდებულ ადგილზე, წინა შესასვლელის შვერილის ქვეშ, ჯეიკობ ბლექი იდგა მამამისის ეტლის უკან. ბილის ქვასავით უდრეკი გაუხდა სახე, როცა ედვარდმა ჩემი პიკაპი ბორდიურის გასწვრივ დააყენა. ჯეიკობმა თავი დახარა, დამცირებული გამომეტყველება ჰქონდა.

ედვარდის ხმა მძვინვარე გახდა.

–ეს შეთანხმების დარღვევაა

–ჩარლის გასაფრთხილებლად მოვიდა?-მივხვდი, გაბრაზებულზე მეტად შეძრწუნებული ვიყავი.

ედვარდმა უბრალოდ თავი დამიქნია, ბილის მზერას პასუხობდა წვიმის მიღმა დავიწროებული თვალებით.

შვებისგან სისუსტე ვიგრძენი, რომ ჩარლი ჯერ არ იყო სახლში.

–ნება მომეცი, ამას მე მივხედო.-შევთავაზე. ედვარდის პირქუშმა მზერამ ამაღელვა.

ჩემდა გასაკვირად, დამეთანხმა.

–მგონი ყველაფერს ეგ აჯობებს. თუმცა ფრთხილად იყავი. ბავშვს ამაზე წარმოდგენა არ აქვს.

უცებ ავწიე თავი სიტყვა *ბავშვის* გაგონებაზე.

–ჯეიკობი ჩემზე არც მასე პატარაა.-შევახსენე.

MYTOPBOOK.ORG

შემომხედა, სიბრაზე მაშინვე მკვეთრად ჩაუცხრა.

–ა, ვიცი.-ღიმილით დამარწმუნა.

ამოვიოხრე და კარის სახელურს მოვავლე ხელი.

–შიგნით შეიყვანე.-დამარიგა.-ასე წასვლას შევძლებ. ბინდის დროს დავბრუნდები.

–ჩემი პიკაპი გინდა?-შევთავაზე, თან მაინტერესებდა, როგორ უნდა ამეხსნა ჩემი მანქანის არყოფნა ჩარლისთვის.

თვალები დაახამხამა.

–ამ მანქანაზე სწრაფად მივალ სახლში.

–აუცილებელი არაა წახვიდე.- ნაღვლიანად ვუთხარი.

ჩემს პირქუშ გამომეტყველებაზე გაეღიმა.

–არა, აუცილებელია. მას შემდეგ რაც ამათ თავიდან მოიშორებ- პირქუში მზერა ისროლა ბლექების მიმართულებით- ჩარლის მომზადება დაგჭირდება შენი შეყვარებულის გასაცნობად.-მან ისე ფართოდ გაიღიმა რომ ყველა კბილი გამოუჩნდა.

ამოვიკვნესე.

–დიდი მადლობა.

ჩემი საყვარელი ცერა ღიმილით გაიღიმა.

–მალე დავბრუნდები.-დამპირდა. მზერა ისევ შესასვლელისკენ გაექცა და გადმოიხარა, რომ ნაჩქარევად ეკოცნა ყბის ქვემოთ. გულისცემა გაგიჟებით ამიჩქარდა, და მეც გავიხედე შესასვლელისკენ. ბილის უდრეკი სახე აღარ ჰქონდა, ხელები სავარძლის სახელურებზე ჰქონდა დაყრდნობილი.

–*მალე.*-ხაზი გავუსვი მის სიტყვას როცა კარი გავაღე და წვიმაში გადავაბიჯე.

MYTOPBOOK.ORG

ზურგზე მის მზერას ვგრძნობდი, როცა ნახევრად გავირბინე მსუბუქ ჟინჟღლში შესასვლელისკენ.

–გამარჯობა, ბილი, ჯეიკობ.-რაც შემეძლო მხიარულად მივესალმე.- ჩარლი სადღაც გაქრა დღეს- იმედი მაქვს დიდხანს ლოდინი არ მოგიწიათ.

–სულაც არა.-შესუსტებული ხმით თქვა ბილიმ. შავი გამგმირავი თვალები ჰქონდა. -ამის მოტანა მინდოდა.- მიმითითა ყავისფერ ქაღალდში გახვეულ შეკვრაზე, რომელიც კალთაში ედო.

–მადლობთ.-ვთქვი, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა რა შეიძლებოდა ყოფილიყო. -რამდენიმე წუთით გასაშრობად ხომ არ შემოხვიდოდით?

თავი მოვიკატუნე, რომ ვერ ვამჩნევდი მის ძლიერ გამომცდელ მზერას კარის გაღებისას, შევედი და შემოვიპატიჟე ისინი.

–ნება მომეცით.-შევთავაზე, და შევბრუნდი,რომ კარები დამეხურა. ჩემს თავს ნება მივეცი ხანგრძლივად შემევლო თვალი ედვარდისთვის. ის იცდიდა, იდეალურად მშვიდი იყო, თვალებში საზეიმო განწყობა ეტყობოდა.

–ჯობია ეს მაცივარში შედო.-შენიშნა ბილიმ, როცა შეკვრა გადმომცა.- ჰარი ქლეარვოთერის სახლში შემწვარი თევზია- ჩარლის საყვარელი საჭმელი. მაცივარში უფრო მშრალად იქნება.-მხრები აიჩეჩა.

–მადლობა. -გავიმეორე, მაგრამ ამჯერად გულწრფელად. -თევზის მომზადების ახალი ვარიანტები ამოვწურე, ჩარლი კი ამაღამ უფრო მეტის მოსატანად გარბოდა.

–ისევ თევზაობს?-მკითხა ბილიმ ფაქიზი ნათებით თვალებში.-ისევ იქ? ჩავურბენ და ვნახავ.

–არა,-სასწრაფოდ ვიცრუე, მტკიცე გამიხდა სახე.-სადღაც ახალი ადგილისკენ წავიდა... ოღონდ წარმოდგენა არ მაქვს სად.

MYTOPBOOK.ORG

მან ჩემი შეცვლილი გამომეტყველება დაიჭირა, და ამან ჩააფიქრა.

–ჯეიკ.-თქვა მან, ისევ მე მათვალიერებდა.- რატომ არ წახვალ და მანქანიდან რებეკას ახალ სურათს არ გადმოიღებ? იმასაც ჩარლის დავუტოვებ.

–სად არის?- ჰკითხა ჯეიკობმა დაღვრემილი ხმით. თვალი შევავლე, მაგრამ ის ერთმანეთისკენ მიწეული წარბებით მიშტერებოდა იატაკს.

–მგონი საბარგულში ვნახე.-თქვა ბილიმ.- მის საძებნელად ქექვა მოგიწევს.

ჯეიკობი ისევ წვიმაში გაბაჯბაჯდა.

მე და ბილი სიჩუმეში გავუპირისპირდით ერთმანეთს. რამდენიმე წამში მოუქნელობის შეგრძნება დამეწყო, ამიტომ შევბრუნდი, რომ სამზარეულოში გავსულიყავი. გავიგონე მისი ეტლის სველი ბორბლების ლინოლიუმზე წრიპინის ხმა, როცა უკან მომყვა.

შეკვრა მაცივრის გადაჭედილ ზედა თაროზე შევტენე და მის წინ შემოვბრუნდი. ღრმად დაღარულ სახეზე გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა.

–ჩარლი კიდე კარგა ხანს არ დაბრუნდება.-თითქმის უხეში ხმა მქონდა.

თანხმობის ნიშნად დამიქნია თავი, მაგრამ არაფერი უთქვამს.

–მადლობა კიდევ ერთხელ შემწვარი თევზისთვის.-სიტყვა გადავუკარი.

თავი ქნევა გააგრძელა. ამოვიოხრე და გულხელი დავიკრიფე.

როგორც ჩანს მიხვდა, რომ მცირე საუბარზე დავთანხმდი.

–ბელა,-თქვა მან, შემდეგ კი წაიყოყმანა.

მე ვუცდიდი.

–ბელა,-თქვა მან ისევ.- ჩარლი ერთ-ერთი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

MYTOPBOOK.ORG

–დიახ.

ყოველ სიტყვას დიდი სიფრთხილით ამბობდა თავისი გრუხუნა ხმით.

–შევამჩნიე, რომ ერთ-ერთ კალენთან რაღაც დროს ატარებდი.

–დიახ.- მოკლედ გავიმეორე.

თვალები დაუვიწროვდა.

–შეიძლება ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ არა მგონია ეს კარგი აზრი იყოს.

–მართალი ხართ.-დავეთანხმე.- ეს თქვენი საქმე არ *არის.*

ჩემი ტონის გაგონებაზე თავისი განაცრისფერებული წარბები აქაჩა.

–შენ ალბათ არ იცი, მაგრამ კალენების ოჯახს უსიამოვნო რეპუტაცია აქვთ ნაკრძალში.

–სიმართლე რომ ვთქვათ, ამაზე მსმენია.-მტკიცე ხმით შევატყობინე. ამან ის გააოცა.- მაგრამ ეს რეპუტაცია დაუმსახურებელია, არა? რადგან კალენებს არასდროს დაუდგამთ ფეხი ნაკრძალში, ხომ ასეა?- დავინახე, ცოტა უხეშად რომ შევახსენე მათი შეთანხმება, რომელმაც მისი ტომი დაიცვა, ამან ის ცოტა ხნით დაადუმა.

–მართალია.-დამეთანხმა, ფხიზელი თვალები ჰქონდა.-როგორც ჩანს... კარგად ინფორმირებული ხარ კალენებთან დაკავშირებით. იმაზე მეტად ინფორმირებული ვიდრე ველოდი.

დავაშტერდი.

–შეიძლება იმაზე მეტად ინფორმირებულიც კი ვიდრე თქვენ ხართ.

თავისი სქელი ტუჩები შეჭმუხნა, როცა ჩემი ნათქვამი გაიაზრა.

–შეიძლება.- დაუშვა, მაგრამ გამჭრიახი თვალები ჰქონდა.-ჩარლიც ასეთივე ინფორმირებულია?

MYTOPBOOK.ORG

ჩემი ჯავშანის სუსტი ნაპრალი იპოვა.

–ჩარლის ძალიან მოსწონს კალენები.-პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე. მან ნათლად დაინახა, რომ თავის დაძვრენას ვცდილობდი. უბედური გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა გაოცებული სულაც არ ჩანდა.

–ეს ჩემი საქმე არ არის.-თქვა მან.-მაგრამ ჩარლის საქმე კი ნამდვილადაა, ხომ ასეა?

–თუმცა ეს ჩემი საქმე უფროა, მნიშვნელობა არ აქვს მე ვფიქრობ თუ არა, რომ ეს ჩარლის საქმეა, ხომ ასეა?

მაინტერესებდა თუ მიხვდა მაინც ჩემს შეცბუნებულ შედავებას, როცა ვიბრძოდი, რომ არაფერი დამეთმო. მაგრამ ის ჩანდა რომ მიხვდა. ის მანამ ფიქრობდა ამაზე, სანამ წვიმა სახურავზე ჭყაპუნობდა და მხოლოდ ეს არღვევდა სიჩუმეს.

–ჰო,-ბოლოსდაბოლოს დამნებდა.-მგონი ეს შენი საქმეცაა.

შვებით ამოვისუნთქე.

–მადლობ, ბილი.

–მხოლოდ დაფიქრდი რას აკეთებ, ბელა. -დაიჟინა.

–კარგი.-სწრაფად დავეთანხმე.

წარბები შეჭმუხნა.

–ამით იმის თქმა მინდა, რომ ნუ იზამ იმას რასაც აკეთებ.

თვალებში შევხედე, რომელშიც ჩემდამი მზრუნველობის გარდა არაფერი ჩანდა, და ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე.

წინა კარი ხმამაღლა გაჯახუნდა, მის ხმაზე შევხტი.

–მანქანაში არავითარი სურათი არ არის,-ჯეიკობის ჩივილისგამომხატველმა ხმამ მანამდე მოაღწია ჩვენამდე სანამ თვითონ

MYTOPBOOK.ORG

მოვიდოდა. კუთხეში რომ შემოუხვია დავინახე პერანგის მხრების წვიმისგან დალაქავებოდა, თმებიდან წყალი მოწვეთავდა.

–ამმმ. -ბილი ღრუტუნებდა, უცებ შეეცვალა გამომეტყველება, სავარძელი შემოაბრუნა რომ პირით თავისი ვაჟისკენ ყოფილიყო.-მგონი სახლში დავტოვე.

ჯეიკობმა დრამატულად დაახამხამა თვალები.

–დიდებულია.

–კარგი, ბელა, ჩარლის გადაეცი,-ბილი გაჩერდა სანამ გააგრძელებდა- რომ გამოვუარეთ.

–კარგი.-ჩავიბუტბუტე.

ჯეიკობი გაოცებული ჩანდა.

–უკვე მივდივართ?

–ჩარლი გვიანობამდე არ მოვა.-აუხსნა ბილიმ, როცა ეტლი ჯეიკობის გვერდით გააგორა.

–აა,-ჯეიკობი იმედგაცრუებული ჩანდა.-კარგი, მაშინ. მგონი მოგვიანებით გნახავ, ბელა

–რა თქმა უნდა.-დავეთანხმე.

–თავს გაუფრთხილდი.-გამაფრთხილა ბილიმ. არაფერი არ ვუპასუხე.

ჯეიკობი მამამის გარეთ გასვლაში დაეხმარა. დამშვიდობების ნიშნად ოდნავ გავუქნიე ხელი, სწრაფად გავაპარე მზერა ჩემი პიკაპისკენ, რომელიც ამჯერად ცარიელი იყო და შემდეგ მანამდე დავხურე კარების სანამ ისინი თვალს მიეფარებოდნენ.

რამდენიმე წუთი კორიდორში ვიდექი და მათი მანქანის ხმას ვუსმენდი როცა უკანა სვლით გამოიყვანეს და წავიდნენ. იქვე დავრჩი სადაც ვიდექი, ველოდებოდი გაღიზიანება და მღელვარება როდის

MYTOPBOOK.ORG

ჩამიცხრებოდა. როცა საბოლოოდ ცოტათი გადამიარა დაძაბულობამ კიბეებისკენ გავემართე რომ ჩემი ელეგანტური ტანისამოსი გამომეცვალა.

რამდენიმე სხვადასხვა ზედატანი მოვიზომე, არ ვიცოდი ამაღამ რა მოხდებოდა. როცა დავფიქრდი რა მელოდა წინ, რაც უკვე გადავიტანე ის უმნიშვნელოდ მომეჩვენა. ახლა როცა ედვარდის და ჯასპერის ზეგავლენისგან განთავისუფლებული ვიყავი, წინასწარ დავიწყე საკუთარი თავის შემზადება, რომ მოგვიანებით შეძრწუნება არ დამუფლებოდა. ტანსაცმლის შერჩევას სწრაფად მოვრჩი- ძველი ფლანელის პერანგი და ჯინსი ჩავიცვი- ვიცოდი მაინც მთელი ღამე ჩემს საწვიმარ ლაბადაში უნდა გამეტარებინა.

ტელეფონმა დარეკა და კიბეებზე ჩავირბინე ყურმილის ასაღებად. მხოლოდ ერთადერთი ხმის გაგონება მინდოდა; სხვა ნებისმიერის ხმა ჩემთვის იმედგაცრუება იქნებოდა. მაგრამ ვიცოდი რომ *თუ* მას ჩემთან საუბარი მოუნდებოდა, ალბათ უბრალოდ ჩემს ოთახში გაჩნდებოდა.

–გისმენთ? -სუნთქვაშეკრულმა ვიკითხე.

–ბელა? მე ვარ.-თქვა ჯესიკამ.

–ა, გამარჯობა, ჯეს.-რამდენიმე წუთით ავირიე სანამ რეალობაში დავბრუნდებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რამდენიმე დღე კი არა თვე გავიდა მას შემდეგ რაც ჯესის ბოლოს ველაპარაკე.-ცეკვებმა როგორ ჩაიარა?

–ძალიან მაგრად გავერთეთ!-მოგონებებად დაიღვარა ჯესიკა. მეტი თხოვნა და პატიჟი აღარ დასჭირვებია, წუთობრივად ჩამაბარა გასული ღამის ანგარიში. მმმ და აა ჩავაკვეხე რამდენიმე ადგილას, თუმცა ადვილი არ ყოფილა ყურადღების მიპყრობა იმაზე თუ რას ამბობდა. ჯესიკა, მაიკი, ცეკვები, სკოლა- ყველაფერი არაბუნებრივად და შეუფერებლად მეჩვენებოდა იმ დროს. თვალები ფანჯარას მივაპყარი, შევეცადე ღრუბლების მიღმა სინათლის ხარისხი განმესაჯა.

–გაიგონე რა ვთქვი?-მკითხა გაღიზიანებულმა.

MYTOPBOOK.ORG

–მაპატიე, რა?

–გითხარი, რომ მაიკმა მაკოცა! წარმოგიდგენია?

–შესანიშნავია, ჯეს!-ვთქვი.

–აბა, *შენ* რას აკეთებდი გუშინ?-გამომიწვია ჯესიკამ, ჯერ კიდევ გაღიზიანებული ხმა ჰქონდა ჩემი უყურადღებობის გამო. ან შეიძლება იმიტომ გამინაწყენდა, რომ წვრილმანები არ გამოვკითხე.

–არაფერს, მართლა. უბრალოდ გარეთ დავეხეტებოდი მზეზე

გარჟში ჩარლის მანქანის ხმა გავიგონე.

–ედვარდ კალენისგან მეტი აღარაფერი გაგიგია?

წინა კარი გაჯახუნდა და გავიგონე ჩარლი როგორ დაბრაგუნობდა კიბის გარშემო, თავის მოწყობილობას იხსნიდა.

–მმმ.-ვყოყმანობდი, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ჩემი ამბავი *მეტი აღარაფერი* იყო.

–გამარჯობა, გოგონი!- დაიძახა ჩარლიმ, როცა სამზარეულოში შემოვიდა. ხელი დავუქნიე პასუხად.

ჯესიმ მისი ხმა გაიგონა.

–ა, მამაშენია მანდ. არაუშავს- ხვალ ვილაპარაკოთ. ტრიგონომეტრიაზე გნახავ.

–დროებით, ჯეს.-ყურმილი დავკიდე.

–გამარჯობა, მამა.-ვთქვი. ხელებს ნიჟარაში იხეხავდა. -თევზი სად არის?

–საყინულეში შევდე.

MYTOPBOOK.ORG

–რამდენიმე ნაჭერს მოვიპარავ სანამ გაიყინება- ბილიმ ჰარი ქლეარვოთერის შემწვარი თევზი მოგვართვა.-შევეცადე ენთუზიაზმით აღსავსე ხმა მქონოდა.

–მართლა?-ჩარლის თვალები გაუნათდა.-ჩემი საყვარელი საჭმელია.

ჩარლიმ ხელის ბანას მორჩა სანამ სადილს გავამზადებდი. სულ ცოტა ხანში მაგიდასთან ვისხედით და ჩუმად ვჭამდით. ჩარლის მოსწონდა თავისი სადილი. სასოწარკვეთილს მაინტერესებდა როგორ უნდა შემესრულებინა ჩემი ვალდებულება, გამწარებული ვცდილობდი მომეფიქრებინა, როგორ წამომეჭრა ეს თემა.

–შენთვითონ რას აკეთებდი დღეს?-მკითხა, ჩემი ოცნებებიდან გამომგლიჯა.

–შუადღით სახლის გარშემო დავბოდიალობდი...-უფრო სწორად მხოლოდ შუადღის ძალიან მოკლე ბოლო ნაწილში. ვცდილობდი მხიარული ხმა შემენარჩუნებინა, მაგრამ მუცელი დამიცარიელდა.- ამ დილას კი კალენებთან ვიყავი.

ჩარლის ჩანგალი გაუვარდა ხელიდან.

–დოქტორ კალენთან?-გაოცებულმა მკითხა.

თავი მოვიკატუნე, რომ მისი რეაქცია ვერ შევამჩნიე.

–ჰო

–რას აკეთებდი იქ?-ჩანგალი ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღებული.

–ედვარდ კალენთან პაემანისდამაგვარი მაქვს ამაღამ,და მას უნდოდა რომ მისი მშობლებისთვის წარვედგინე...მამა?

ისე ჩანდა თითქოს ჩარლის ანევრიზმა ჰქონდა.

–მამა, კარგად ხარ?

–ედვარდ კალენთან ერთად მიდიხარ?-დაიქუხა.

MYTOPBOOK.ORG

ო–ო.

–მე მეგონა კალენები მოგწონდა.

–შენთვის ძალიან დიდია.-მაღალფარდოვნად წარმოთქვა.

–ორივე ერთ კლასში ვართ-შევუსწორე, თუმცა ისეთი მართალი იყო, როგორც ვერც კი იოცნებებდა.

–მოიცა...-გაჩერდა.- ედვინი რომელი მათგანია?

–*ედვარდი* ყველაზე უმცროსია, მოწითალო ყავისფერ-თმიანი. -ლამაზი, ღვთაებრივი....

–ა, კარგი. მგონი ეს,-თავისთავს ებრძოდა,-უკეთესია. დიდის დანახვა არ მსიამოვნებს ხოლმე. დარწმუნებული ვარ ის კარგი ბიჭია და ყველაფერი, მაგრამ ძალიან... მომწიფებული ჩანს შენთვის. ეს ედვინი შენი შეყვარებულია?

–მას ედვარდი ქვია, მამა.

–შენი შეყვარებულია?

–რაღაც მაგდაგვარი.

–გასულ ღამეს მითხარი, რომ ქალაქში არცერთი ბიჭი არ გაინტერესებდა.- მაგრამ მან თავისი ჩანგალი აიღო და მე მივხვდი რომ უარესი უკვე გადავიტანე.

–მაგრამ, ედვარდი ქალაქში არ ცხოვრობს, მამა

ღეჭვის პარალელურად აგდებული მზერა მესროლა.

–და, სხვათაშორის-გავაგრძელე- ჩვენ ურთიერთობა ადრეულ ეტაპზეა და ნუ შემაცბუნებ შეყვარებულზე ლაპარაკით, კარგი?

–როდის მოვა?

–რამდენიმე წუთში

MYTOPBOOK.ORG

–სად მიყავხარ?

ხმამაღლა ამოვიკვნესე.

–დარწმუნებული ვარ შენებურ ესპანურ ინკვიზიციას ამზადებ მისთვის. ვაპირებთ, რომ მის ოჯახთან ერთად ვითამაშოთ ბეისბოლი.

კოპები შეეკრა, შემდეგ კი ბოლოსდაბოლოს ჩაიხითხითა.

–*შენ* ბეისბოლს თამაშობ?

–ალბათ უმეტესწილად ვუყურებ

–როგორც ჩანს მართლა მოგწონს ეგ ბიჭი.- ეჭვიანად დამაკვირდა.

ამოვისუნთქე და თვალები დავახამხამე მის ამ ჩემთვის სასარგებლო შენიშვნაზე.

სახლის წინ მოსული მანქანის ძრავის ღრიალი გავიგე. წამოვხტი და ჭურჭლის გასუფთავება დავიწყე.

–დაანებე თავი, მე მივხედავ. ზედმეტად მანებივრებ.

კარის ზარმა დარეკა, ჩარლი ამაყად წავიდა რომ კარი გაეღო. მე ნახევარი ნაბიჯით ჩამოვრჩებოდი.

გაცნობიერებული არ მქონდა გარეთ როგორ მაგრად წვიმდა. ედვარდი შემოსასვლელის სინათლის რკალში იდგა, საწვიმარი ლაბადების რეკლამის მამაკაც მოდელს გავდა.

–შემოდი, ედვარდ.

შვებით ამოვისუნთქე, როცა ჩარლიმ მისი სახელი სწორად წარმოთქვა.

–მადლობთ, ოფიცერო სვონ.-თქვა ედვარდმა თავაზიანი ხმით.

–ჩარლი დამიძახე. ქურთუკი მომეცი.

MYTOPBOOK.ORG

–მადლობთ, სერ.

–დაჯექი, ედვარდ.

დავიჭყანე.

ედვარდი მოქნილად დაჯდა ერთადერთ სკამზე, მე კი მაიძულა ოფიცერი სვონის გვერდით დივანზე დავმჯდარიყავი. სწრაფად ვესროლე უსიამოვნო მზერა. მან ჩარლის ზურგსუკან ჩამიკრა თვალი.

–გავიგე, რომ ჩემი ქალიშვილი ბეისბოლის საყურებლად მიგყავს.- მხოლოდ ვაშინგტონში იქნებოდა ფაქტი, რომ ღიაცისქვეშა სპორტის თამაშის დროს არ ატარებდნენ საწვიმარ ვედროებს.

–დიახ, სერ. ასეთია ჩვენი გეგმა.-ის გაოცებული არ ჩანდა, რომ მამაჩემს სიმართლე ვუთხარი. თუმცა ის ალბათ გვისმენდა.

–მგონი, ბეიბოლის თამაშში შენ აჯობებ

ჩარლიმ გაიცინა, ედვარდიც მას შეუერთდა.

–კარგი.-წამოვდექი.- გეყოფათ ჩემს ხარჯზე სიცილი. წავედით.-ჰოლში დავბრუნდი და ქურთუკი ჩავიცვი. ისინიც გამომყვნენ.

–არ დაიგვიანო, ბელს.

–ნუ ღელავ, ჩარლი, ადრე მოვიყვან სახლში.-დაჰპირდა ედვარდი.

–ჩემ გოგოს გაუფრთხილდი, კარგი?

ამოვიკვნესე, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს.

–ჩემთან უსაფრთხოდ იქნება, გპირდებით, სერ.

ედვარდის ყოველ სიტყვაში გაჟღერებულ გულწრფელობაში ეჭვის შეტანა არ შეეძლო ჩარლის.

ამაყად გავედი გარეთ. ორივემ გაიცინეს, ედვარდი უკან მომყვა.

MYTOPBOOK.ORG

შესასვლელში უსიცოცხლოდ გავჩერდი. იქ, ჩემი პიკაპის უკან, ურჩხული ჯიპი ეყენა. მისი საბურავები ჩემს წელზე მაღალა ვრცელდებოდა. წინა და უკანა ფარებზე რკინის ცხაურები ჰქონდა მიმაგრებული, თავზე კი 4 დიდი პროჟექტორი ეყენა. მოძრავი სახურავი ჭყეტელა წითელი იყო.

ჩარლიმ ხმადაბლა წაუსტვინა.

–უსაფრთხოების ღვედები შეიკარი.- სული შემეხუთა.

ედვარდმა ჩემი მხრიდან მოუარა მანქანას და კარი გამიღო. მიწასა და მანქანის სალონს შორის მანძილი გავზომე და შიგნით ასახტომად მოვემზადე. მან ამოიოხრა და შემდეგ ცალი ხელით ამწია. იმედი მქონდა ეს ჩარლიმ ვერ შენიშნა.

სანამ ის მანქანას მძღოლის მხარეს შემოუვლიდა ჩვეულებრივი, ადამიანური სიჩქარით, მე უსაფრთხოების ღვედის შეკვრას ვცდილობდი. მაგრამ ძალიან ბევრი ბალთები იყო.

– რა არის ეს ყველაფერი?- ვკითხე როცა მან კარი გააღო.

–ეს უგზოობის აღჭურვილობაა

– ო–ო

ვცდილობდი ყველა ბალთისთვის შესაფერისი ადგილი მეპოვა, მაგრამ ეს ვერც ისე სწრაფად მოვახერხე. ისევ ამოიოხრა და გადმოიხარა, რომ დამხმარებოდა. მიხაროდა, ძლიერი წვიმის გამო ფანჯრის მიღმა შესასვლელში მდგარ ჩარლის ნათლად რომ ვერ ვხედავდი. რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ ვერც ის დაინახავდა ედვარდის ხელი როგორ შეყოვნდა ჩემს ყელზე და როგორ ჩამომისრიალა ხელი ლავიწებზე. შევეშვი მისთვის დახმარების მცდელობას და მთელი ყურადღები იმაზე გადავიტანე, რომ სუნთქვა არ გამხშირებოდა.

ედვარდმა გასაღები გადაატრიალა და ძრავა ღრიალით გამოცოცხლდა. ჩვენ სახლს მოვცილდით.

MYTOPBOOK.ORG

–მმ... *რამხელა* ჯიპი გყოლია

–ემეტისაა. ვიფიქრე, რომ მთელი გზა ფეხით სირბილი არ მოგეწონებოდა.

–ამ მანქანებს სად ინახავთ?

–სახლის ერთ-ერთი ფლიგელი გარაჟად გადავაკეთეთ.

–უსაფრთხოების ღვედის შეკვრას არ აპირებ?

ურწმუნო მზერა მესროლა.

შემდეგ კი უცებ რაღაცას ჩავწვდი.

–*მთელი* გზა ფეხით სირბილი? ესეიგი, გზის რაღაც ნაწილის გარბენას მაინც ვაპირებთ?-ჩემი ხმა რამდენიმე ოქტავით მაღლა ახტა.

მჭიდროდ გაიკრიჭა.

–შენ არ ირბენ.

–გული ამერევა.

–თვალები დახუჭე და არაფერი მოგივა.

ტუჩზე ვიკბინე, პანიკას ვებრძოდი.

გადმოიხარა რომ თავზე ეკოცნა და შემდეგ ამოიკვნესა. საგონებელში ჩავარდნილმა შევხედე.

–წვიმაში ისეთი სასიამოვნო სუნი გაქვს-ამიხსნა.

–ეს კარგია თუ ცუდი?-ფრთხილად ვკითხე.

ამოიოხრა.

–ერთიც და მეორეც, როგორც ყოველთვის, ერთიც და მეორეც.

MYTOPBOOK.ORG

არ ვიცი როგორ მოახერხა სიბნელესა და თავსხმა წვიმაში, მაგრამ როგორღაც მან გვერდით გზა იპოვა, რომელიც გზატკეცილზე მეტად მთის ბილიკი უფრო იყო. კარგა ხნის განმავლობაში საუბარი შეუძლებელი იყო, რადგან სავარძელზე ჯეკ ჰამერივით ზევით ქვევით ვეხეთქებოდი. როგორც ჩანდა ის ძალიან ნასიამოვნები იყო ამ მგზავრობით, რადგან მთელი გზა ფართო ღიმილი ჰქონდა სახეზე გადაკრული. შემდეგ კი გზის ბოლოს მივადექით; ხეებს ჯიპის გარშემო სამ მხარეს მწვანე კედლის ფორმა ქონდა მიღებული. ოდნავღა ცრიდა, უფროდაუფრო ნელდებოდა წვიმა ყოველ წუთს, ცა კი ღრუბლებს შორის უფროდაუფრო ნათელი ხდებოდა.

–მაპატიე, ბელა, აქედან ფეხით მოგვიწევს წასვლა

–იცი რა? აქ დაგელოდებით.

–სად გაქრა მთელი შენი გამბედაობა? ამ დილას არაჩვეულებრივი იყავი.

–წინაზე მომხდარი ჯერ არ დამვიწყებია.-ეგ კიარადა გუშინდელივით მახსოვს.

ბინდბუნდში მანქანას ჩემს მხარეს მოუარა. ჩემი უსაფრთხოების ღვედის ბალთების შეხსნა დაიწყო.

–ამათ მე მივხედავ შენ შეგიძლია გზა განაგრძო-გავაპროტესტე

–ჰმმ...- ჩაფიქრდა სანამ სასწრაფოდ დაამატებდა- როგორც ჩანს, შენს მეხსიერებაში ხელის ფათური მომიწევს.

სანამ რეაგირებას მოვახდენდი, ჯიპიდან გადმომწია და ფეხი მიწაზე დამადგმევინა. ახლა უკვე თითქმის ნისლდებოდა; როგორც ჩანდა ელისის ნათქვამი მართლდებოდა.

–ჩემ მეხსიერებაში ხელის ფათური?- ნერვულად შევეკითხე.

–რაღაც მაგდაგვარი. -ყურადღებით, შეუპოვრად მიყურებდა, მაგრამ მისი თვალების სიღრმეში იუმორი კრთოდა. ხელები ჯიპისკენ ჩემი

MYTOPBOOK.ORG

თავის ორივე მხარეს მოათავსა და წინ გადმოიხარა, მაიძულა კარები დამეხურა. კიდევ უფრო ახლოს გადმოიხარა ჩემსკენ, მისი სახე სულ რამდენიმე დიუმზე იყო. გასაქცევი არსაით მქონდა.

–ახლა,-მან ამოისუნთქა და მხოლოდ მისმა სუნმაც კი ამირია ფიქრები.- ზუსტად რაზე ღელავ?

–მმ, მეშინია რომ ხეებს დავეჯახებით...-ძლივს ამოვისუნთქე-...და მოვკვდები. და კიდევ გულისრევაზე.

ღიმილი ჩაუქრა. შემდეგ თავი ჩაღუნა და ნაზად შემახო ტუჩები ყელის ქვემოთ პატარა ჩაღრმავებაზე.

–კიდევ ღელავ?-ჩემ კანს მიღმა ამოიბუტბუტა.

–ჰო,-ვეცადე ყურადღება მომეკრიბა- ხეებზე დაჯახებასა და გულისრევაზე.

მისმა ცხვირმა შეხებით გაავლო ხაზი ჩემი ყელიდან ნიკაპის წვერამდე. მისმა გრილმა სუნთქვამ შემიღიტინა.

–ახლა?-მისმა ტუჩებმა ჩემს ყბასთან დაიჩურჩულეს.

–ხეები,-ძლივს ამოვისუნთქე-მოძრაობით გამოწვეული გულისრევა.

თავი აწია, რომ ქუთუთოზე ეკოცნა.

–ბელა, შენ ხომ სინამდვილეში არ ფიქრობ, რომ ხეს დავეჯახები, არა?

–შენ არა, მაგრამ *მე* შეიძლება დავეჯახო.-მაგრამ ჩემ თავში დიდი თავდაჯერებულობა არ გაისმა. მან იოლი გამარჯვება იყნოსა.

ლოყაზე ნელა მაკოცა, პირის კუთხესთან წამით გაჩერდა.

–როგორ ფიქრობ, ხეს ნებას მივცემ რამე გატკინოს?-მისი ტუჩები ოდნავ შემეხო ონდავ ათრთოლებულ ქვედა ტუჩზე.

–არა.-ამოვისუნთქე. ვიცოდი,რომ ჩემს ბრწყინვალე დაცვას მეორე მხარეც ჰქონდა, მაგრამ მისი ხსენება არ მინდოდა.

MYTOPBOOK.ORG

–ხედავ,-მისი ტუჩები ჩემ ტუჩებთან მოძრაობდა-საშიში არაფერია, ხომ ასეა?

–ასეა.-ამოვიოხრე და დავნებდი.

ჩემი სახე თითქმის უხეშად მოიქცია ხელებში, და ახლა უკვე მართლა მაკოცა, მისი მყარი ტუჩები ჩემსაზე მოძრაობდა.

ახლა უკვე აღარაფერი იყო ჩემს საქციელში საპატიებელი. ახლა აშკარად უკეთესად შემეძლო კოცნა. და მე როგორც ჩანდა არ ვაპირებდი გაჩერებას იმ ზუსტი რეაქციით, რომლითაც პირველად გავაკეთე ეს. იმის ნაცვლად, რომ უსაფრთხო უმოძრაო მდგომარეობა შემენარჩუნებინა, მკლავები გავიწვდინე, რომ მჭიდროდ შემომეხვია ხელები მის ყელზე, და უცებ შევეწებე მის ქვისგან გამოკვეთილ სხეულს. ამოვიოხრე და ტუჩები მოვაშორე მის ტუჩებს.

უკან შებარბაცდა, ნელა მიშვებდა ხელს.

–ჯანდაბა, ბელა! -ხელი გამიშვა და ძლივს ამოისუნთქა,-შემომაკვდები. გეფიცები, შემომაკვდები.

გადავიხარე,ხელები იდაყვებზე გადავიხლართე.

–ურღვევი ხარ.-ამოვიბუტბუტე, ვცდილობდი სუნთქვა შემეკავებინა.

–შენთან შეხვედრამდე დავიჯერებდი მაგას. ახლა ჯობია წავიდეთ აქედან სანამ ნამდვილი სისულელე ჩამიდენია.-ამოიბუზღუნა.

როგორც წინაზე, ახლაც ისე მომიკიდა ზურგზე, და მივხვდი რომ დამატებითი ძალისხმევა დასჭიდა რომ ისეთი მშვიდი ყოფილიყო, როგორც იყო ხოლმე. ფეხები წელზე შემოვხვიე და მკლავებით ყელზე მახრჩობელასავით შემოხვევით დავიზღვიე თავი.

–თვალების დახუჭვა არ დაგავიწყდეს.-სერიოზულად გამაფრთხილა.

სასწრაფოდ ჩავმალე სახე მისი მხრის კიდეში, ჩემს საკუთარ მკლავს ქვემოთ, თვალები მაგრად დავხუჭე.

MYTOPBOOK.ORG

და ზუსტად ვერც გეტყოდით, რომ ჩვენ ნამდვილად ვმოძრაობდით. ვგრძნობდი ჩემს ქვემოთ როგორ სრიალებდა, ისე დინჯად მოძრაობდა, თითქოს ტროტუარზე მისეირნობდა. ცდუნებამ შემიპყრო ამომეჭყიტა, უბრალოდ დამენახა ისევ წინანდელივით თუ დაფრინავდა ხეებს შორის, მაგრამ ცდუნებას ვეწინააღმდეგებოდი. საზიზღარ თავბრუსხვევად ნამდვილად არ ღირდა ამის ნახვა. მისი აუღელვებელი ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის მოსმენით დავკმაყოფილდი.

სრულიად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ გავჩერდით სანამ უკან არ გადმოიხარა და თმაზე არ შემეხო.

–მორჩა ბელა.

თვალების გახელა გავბედე, და რა თქმა უნდა გაჩერებულები ვიყავით. გახევებულად ჩამოვუშვი მაგრად მოჭერილი კიდურები და მიწაზე ჩამოვსრიალდი, ჩემს ზურგსუკან მხარეს დავეშვი.

–ვაი!-გავღიზიანდი როგორც კი ნოტიო მიწაზე გავიშხლართე.

სკეპტიკური გამომეტყველებით შემომხედა, აშკარად ისევ გაგიჟებით უნდოდა სასაცილო მდგომარეობაში აღმოვეჩინე. ჩემმა შეცბუნებულმა გამომეტყველებამ მოშორებით უბიძგა და სიცილის ღრიალი დააწყებინა.

მე თვითონ წამოვდექი, ყურადღება არ მივაქციე როცა ტალახი და გვიმრა ჩამოვიფერთხე ქურთუკიდან. ამან მასში მხოლოდ სიცილის გაძლიერება გამოიწვია. გაღიზიანებულმა გავაბოტე ტყისკენ.

მისი მკლავი წელზე ვიგრძენი.

–სად მიდიხარ,ბელა?

–ბეისბოლის თამაშის საყურებლად. თამაშით დაინტერესებული აღარ ჩანხარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ დანარჩენები უშენოდაც მშვენივრად გაერთობიან.

–არასწორი გზით მიდიხარ

MYTOPBOOK.ORG

მისთვის არ შემიხედავს ისე შემოვბრუნდი, და ახლა საწინააღმდეგო მიმართულებით გავაბოტე. მან ისევ დამიჭირა.

–ნუ მიბრაზდები, ჩემ თავს ვერაფერი მოვუხერხე. შენი სახე უნდა გენახა.-სანამ სიცილის შეკავებას მოასწრებდა მანამდე ჩაიხითხითა.

–ოჰო, შენ ერთადერთი ხარ ვისაც გაბრაზების უფლება აქვს? -ვკითხე და წარბები ავწიე.

–შენ არ გიბრაზდები.

–ბელა, შემომაკვდები?-მჟავედ შევახსენე თავისი ნათქვამი.

–*ეს* უბრალოდ ფაქტის ფორმულირება იყო.

შევეცადე ისევ შევბრუნებულიყავი მისკენ, მაგრამ სწრაფად დამიჭირა.

–შენ გაბრაზდი.-დავიჟინე.

–ჰო.

–ახლა არ თქვი რომ...

–*შენზე* არ გავბრაზებულვარ. ვერ ხედავ, ბელა?-უცებ დაიძაბა, ოხუნჯობის ყოველგვარი კვალი გაქრა. -ვერ ხვდები?

–რას უნდა ვხედავდე? -მოვითხოვე პასუხი, შეცბუნებული ვიყავი უფრო მისი უცაბედი ხასიათის ცვლილებით ვიდრე მისი სიტყვებით.

–შენზე გაბრაზებული არასდროს არ ვარ– ან როგორ შემიძლია ვიყო? შენ ხომ ასეთი თბილი... მამაცი, მიმნდობი ხარ.

–მაშინ რატომ გაბრაზდი?-დავიჩურჩულე, მახსოვდა პირქუში განწყობები, რომლებიც მასთან მაშორებდა, რომელსაც ყოველთვის კარგად, გამართლებული ნირწამხდარი ხასიათით ვხსნიდი– ნირწამხდრობით ჩემს სისუსტეზე, ჩემს ზოზინა ხასიათზე, ჩემს ურჩ ადამიანურ რეაქციებზე...

MYTOPBOOK.ORG

ხელები ფრთხილად დამაწყო სახის ორივე მხარეს.

–ჩემს თავს მეთვითონ ვააფთრებ.-თქვა მან თვინიერად. -ასე თითქოს არ ჩანს, რომ გიცავ საფრთხეში ჩაგდებისგან. ჩემი შენს სიახლოვეს არსებობა უკვე რისკში გაგდებს. ზოგჯერ მართლა მძულს ჩემი თავი. უფრო ძლიერი უნდა ვიყო, უნდა შემეძლოს...

ხელი პირზე დავადე.

–არ გინდა

ხელზე ხელი მომკიდა და ტუჩებიდან მოიცილა, მაგრამ სახეზე მიიდო.

–მიყვარხარ,-თქვა მან. -ეს უბადრუკი მობოდიშებაა იმის გამო, რასაც ვაკეთებ, მაგრამ სიმართლე მაინცაა.

მაშინ პირველად მითხრა რომ ვუყვარდი–ამდენი სიტყვით. ის ალბათ ვერც მიხვდა ამას, მაგრამ მე მშვენივრად გავაცნობიერე.

–ახლა კი გთხოვ ეცადე კარგად მოიქცე.-გააგრძელა მან, და დაიხარა რომ ტუჩები ნაზად შეეხო ჩემ ტუჩებზე.

სათანადო სიმშვიდე შევინარჩუნე. შემდეგ ამოვიოხრე.

–შენ ოფიცერ სვონს დაჰპირდი, რომ სახლში ადრე მიმიყვანდი, დაგავიწყდა? ამიტომ ჯობია გზა გავაგრძელოთ.

–არის, მემ!

სევდიანად გაიღიმა და გამანთავისუფლა, მხოლოდ ცალი ხელიღა მაკავშირებდა მასთან. რამდენიმე ნაბიჯზე გამიძღვა, მაღალ,ნოტიო გვიმრებსა და მოფარდაგებულ ხავსს მიღმა,გარშემო მასიური მათოთის ხეებში და ჩვენ უკვე ადგილზე ვიყავით, უშველებელი ღია მინდვრის კიდეში, რომელიც ოლიმპიური მწვერვალების ხეობაში მდებარეობდა. ბეისბოლის სტადიონის ზომაზე ორჯერ დიდი იყო.

MYTOPBOOK.ORG

დავინახე, რომ დანარჩენები ყველანი იქ იყვნენ; ესმი, ემეტი და როზალი, რომლებიც ქვებისგან მოტიტვლებულ ადგილზე ისხდნენ ჩვენგან ყველაზე ახლოში, შეიძლება 100 იარდზე იყვნენ. ცოტა უფრო შორს ელისს და ჯასპერს ვხედავდი სულ ცოტა მეოთხედი მილის სიშორეზე, ჩნდებოდნენ რომ რაღაც წინ და უკან ესროლათ, მაგრამ ბურთს ვერ ვხედავდი. როგორც ჩანდა კარლაილი ბაზებს ხაზავდა, მაგრამ ნუთუ ისინი მართლა ასე შორს იყვნენ?

როცა თვალთახედვის არეში გამოვჩნდით, სამნი წამოდგნენ ლოდებიდან.

ესმი ჩვენსკენ წამოვიდა. ემეტიც მას მოჰყვა როზალის ზურგზე ხანგრძლივი მზერის შემდეგ. როზალი მოხდენილად წამოდგა და მინდვრისკენ წავიდა, ისე რომ ჩვენი მიმართულებით არც გამოუხედია. პასუხად მუცელი უხერხულად ამითრთოლდა.

–ეს შენ იყავი წეღან რაც გავიგონეთ, ედვარდ?- ჰკითხა ესმიმ როცა მოგვიახლოვდა.

–ისეთი ხმა იყო თითქოს დათვი იხრჩობოდა.-დააზუსტა ემეტმა.

ყოყმანით გავუღიმე ესმის.

–კი, ის იყო.

–ბელა განუზრახავად სასაცილო იყო. -აუხსნა ედვარდმა, სწრაფად გამოასწორა.

ელისს თავისი ადგილი მიეტოვებინა და მორბოდა, თუ მოცეკვავდა, ჩვენსკენ. ჩამოიქროლა და მოქნილად გაჩერდა ჩვენთან.

–დროა! -განაცხადა.

როცა ეს თქვა, ჩვენს უკან ტყე ჭექა-ქუხილის გრუხუნმა შეარყია, შემდეგ კი დასავლეთით ქალაქს დაატყდა თავს.

–შემაძრწუნებელია, არა?- თქვა ემეტმა და ახლობლურად ჩამიკრა თვალი.

MYTOPBOOK.ORG

–წავედით.- ელისმა ემეტს ჩაკიდა ხელი და ერთად გავარდნენ ზომაზე დიდი მინდვრისკენ. ელისი ქურციკივით მირბოდა. თითქმის ისეთივე სწრაფი იყო როგორიც გრაციოზული,- ემეტიც კი ვერ შეედრებოდა ქურციკს.

–თამაშისთვის მზად ხარ?-მკითხა ედვარდმა, თვალებში თამაშის სურვილი და სინათლე ედგა.

შევეცადე სათანადო ენთუზიაზმით სავსე ხმა მქონოდა.

–წავიდა გუნდი!

ახარარდა მას შემდეგ რაც თმები ამიბურძგნა, დანარჩენ ორს დაედევნა. მისი სირბილი უფრო აგრესიული იყო, ქურციკზე მეტად ლეოპარდს გავდა, და ის სწრაფად დაეწია მათ. მისმა გრაციამ და ძალამ სუნთქვა შემიკრა.

–ჩვენც ხომ არ წავსულიყავით?- მკითხა ესმიმ თავისი ნაზი, მელოდიური ხმით და მაშინღა გავაცნობიერე, რომ ედვარდს პირდაღებული მივჩერებოდი. ჩვეული გამომეტყველება დავიბრუნე და თავი დავუქნიე. ესმი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯიან დისტანციას იცავდა, დამაინტერესა ნუთუ ისევ ფრთხილობდა რომ არ შევეშინებინე? თავის ნაბიჯს ჩემსას უხამებდა და მოუთმენლობა სულაც არ ეტყობოდა.

–მათთან ერთად არ ითამაშებ?-მორცხვად ვკითხე.

–არა, მსაჯობა მირჩევნია- მათ პატიოსნებას ვუნარჩუნებ.-ამიხსნა მან.

–ესეიგი მოტყუებაც ეხერხებათ?

–ო, კი- უნდა მოისმინო რითი იმართლებენ ხოლმე თავს! უფრო სწორად, იმედი მაქვს არ მოისმენ ამ ყველაფერს, თორემ გეგონება მგლების ხროვამ გაზარდაო.

–დედაჩემივით ლაპარაკობთ,-გაოცებულს გამეცინა.

მანაც გაიცინა.

MYTOPBOOK.ORG

–უმეტესწილად მათზე ისე ვფიქრობ, როგორც ჩემს შვილებზე. ჩემი დედობრივი ინსტიქტები ვერაფრით მოვიშორე- ედვარდმა არ გითხრა, რომ ბავშვი დავკარგე?

–არა.-განცვიფრებულმა ჩავიჩურჩულე. ვცდილობდი გამეგო ცხოვრების რა ეპიზოდს იხსენებდა.

–ჰო, ჩემი პირველი და ერთადერთი შვილი დავკარგე. დაბადებიდან რამდენიმე დღეში დაიღუპა, საცოდავი პაწაწინა არსება.-ამოიოხრა.-ამან გული გამიტეხა,-იცი,სწორედ ამიტომ გადმოვხტი კლდიდან.- მშრალად დაამატა მან.

–ედვარდმა მითხრა, რომ გ-გადმოვარდი კლდიდან. -ენა დამება.

–ის ყოველთვის ჯენტლმენია, -გაიღიმა- ედვარდი პირველი იყო ჩემს ვაჟთაგან. მასზე ყოველთვის ასე ვფიქრობდი, იმის მიუხედავადაც კი, რომ ის ჩემზე სულ ცოტა ერთის მხრივ მაინცაა უფროსი. -მან თბილად გამიღიმა,-სწორედ ამიტომ მიხარია, რომ მან შენ გიპოვა,ძვირფასო, -მისი პირიდან გამოთქმული ალერსი ბუნებრივად ჟღერდა. -ის ძალიან დიდი ხანი იყო ეულად; მტანჯველი იყო ჩემთვის მისი მარტო ყოფნა.

–ესეიგი თქვენ წინააღმდეგი არ ხართ?-ვკითხე, ისევ ვყოყმანობდი.-რომ მე... მისთვის სრულიად შეუფერებელი ვარ?

–არა, -ის ჩაფიქრდა - შენ ის ხარ რაც მას უნდა. ეს როგორმე იმოქმედებს,-თქვა მან, თუმცა შუბლი დარდით დაუნაოჭდა. ქუხილის ახალი გრგვინვა დაიწყო.

შემდეგ ესმი გაჩერდა; აშკარად მინდვრის კიდეს მივაღწიეთ. როგორც ჩანდა დანარჩენები გუნდებად განაწილდნენ. ედვარდი მინდვრის მარცხენა მხარეს იყო, კარლაილი პირველ და მეორე ბაზებს შორის, ელისს ბურთი ეჭირა, რაღაც ლაქაზე იდგა, რომელიც ალბათ ჩამწოდებლის ადგილი იყო.

ემეტი ალუმინის კეტს იქნევდა; თვალს ვერ ვასწრებდი ჰაერში კეტის მოქნევას, მხოლოდ მისით გამოწვეული წუილის ხმა მესმოდა. ველოდი ის როდის მოუახლოვდებოდა მთავარ ბაზას, მაგრამ შემდეგ მივხვდი,

MYTOPBOOK.ORG

როცა მან პოზიცია დაიკავა, რომ ის უკვე ადგილზე იყო- იმაზე შორს ჩამწოდებლის ადგილიდან ვიდრე წარმომედგინა. ჯასპერი მისგან რამდენიმე ნაბიჯზე იდგა, ის მეორე გუნდში იყო. რა თქმა უნდა არცერთმათგანს არ ცმია ხელთათმანები.

–კარგი.-დაიძახა ესმიმ სუფთა ხმით, რომელსაც ვიცოდი რომ ედვარდიც კი გაიგონებდა, მიუხედავად იმისა, რომ ასე შორს იყო.- დასცხეთ!

ელისი წელში გასწორებული იდგა, მაცდურად უმოძრაოდ. მისი სტილი იდუმალი უფრო იყო ვიდრე, საშიში. წელთან ორივე ხელით ეჭირა ბურთი, და შემდეგ, კობრას თავდასხმასავით სწრაფად აიქნია მარჯვენა ხელი და იმავწამს ბურთი ჯასპერის ხელში გატკაცუნდა.

–სტრაიკი იყო?- ვუჩურჩულე ესმის.

–თუ არ მოიგერიე სტრაიკია,-ამიხსნა.

ჯასპერმა ბურთი ელისის მომლოდინე ხელს დაუბრუნა. ელისმა თავის თავს ოდნავ გაღიმების უფლება მისცა. შემდეგ კი ისევ მოიქნია ხელი.

კეტი როგორღაც ზუსტად იმ დროს მოიქნიეს, რომ უჩინარ ბურთს ძლიერად დატაკებოდა. დაჯახების ხმა მსხვრევის, ავდრისმომასწავლებელი იყო; მისი ექო მთებში გაისმა- მაშინვე ჩავწვდი ჭექა-ქუხილის საჭიროებას.

ბურთი მეტეორივით გაიტყორცნა მინდვრის თავზე, გარშემორტყმული ტყის სიღრმისკენ გაფრინდა.

–ჰოუმრანი, -ჩავიბუტბუტე.

–მოიცადე, -გამაფრთხილა ესმიმ, ყურადღებით უსმენდა, ცალი ხელი ჰაერში აწია. ემეტი ბუნდოვნად ჩანდა ბაზებს შორის როგორ დარბოდა, კარლაილი მას ფეხდაფეხ მისდევდა. მივხვდი ედვარდი აგებდა.

MYTOPBOOK.ORG

–აუთია!-დაიყვირა ესმიმ მკვეთრად. ურწმუნოდ მივაჩერდი ედვარდს, როცა ხეებიდან გადმოხტა, ბურთი ეკავა ზემოთ აწეულ ხელში, მისი ფართო ღიმილი მეც კი დავინახე.

–ემეტი ყველაზე ძლიერად უტყამს.-ამიხსნა ესმიმ.-მაგრამ ედვარდი ყველაზე სწრაფად დარბის.

გადაწოდება ჩემს ურწმუნო თვალწინ გაგრძელდა. შეუძლებელი იყო აღმექვა ის სიჩქარე, რა სიჩქარითაც ბურთი მიფრინავდა, ტემპი რომლითაც ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სირბილში მინდვრის გარშემო.

მეორე მიზეზსაც მივხვდი, რატომ ელოდებოდნენ ისინი ჭექა-ქუხილს, როცა ჯასპერმა, იმის გამო რომ ედვარდის უცდომელი ბურთის აღების უნარი თავიდან აერიდებინა, ბურთი კარლაილს ესროლა. კარლაილმა ბურთი დაიჭირა, შემდეგ კი ჯასპერს დაეწია პირველივე ბაზასთან. როცა ისინი ერთმანეთს დაეჯახნენ, ორი მასიური კლდის დაჯახების ხმა გაისმა. აღელვებული წამოვხტი, მაგრამ ისინი როგორღაც უვნებლები აღმოჩნდნენ.

–არაფერი უჭირთ.-თქვა ესმიმ მშვიდი ხმით.

ემეტის გუნდი ერთით წინ იყო- როზალიმ მოახერხა შემოექროლა ბაზების გარშემო, მას შემდეგ რაც ემეტმა კიდევ ერთხელ ძლიერად ტყორცნა ბურთი- როცა ედვარდმა მესამე აუტი დაიჭირა. მან ჩემსკენ გამოირბინა, აღფრთოვანებისგან ბრწყინავდა.

–რაზე ფიქრობ?-მკითხა.

–ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ვეღარასდროს შევძლებ გონებაჩლუნგი ბებრების „ბეისბოლის უმაღლესი ლიგის“ თამაშის ყურებას.

–ისე ამბობ თითქოს მანამდე თავს იკლავდი ამით.-გაიცინა.

–ცოტა იმედგაცრუებული ვარ, -გამოვაჯავრე.

MYTOPBOOK.ORG

–რატომ?-გაოცეულმა მკითხა.

–კარგი იქნებოდა მეპოვნა სულ ერთადერთი რამ მაინც რასაც შენზე უკეთესად გააკეთებდა ვინმე მთელს პლანეტაზე.

სახეზე თავისი განსაკუთრებული ცერა ღიმილი აენთო, ამან სუნთქვა შემიკრა.

– მე მაღლა ვარ,- თქვა მან და უკან გაბრუნდა.

ედვარდი ჭკვიანურად თამაშობდა, ბურთს დაბალ დონეზე ინარჩუნებდა, შორს როზალის ყოველთვის მზად-მყოფი ხელისგან მიუწვდომლად, ელვასავით იპყრობდა ორ ბაზას, სანამ ემეტი ბურთის თამაშში დაბრუნებას შეძლებდა. კარლაილმა ერთი ისეთი გაისროლა ბურთი მინდვრიდან- მისმა გუგუნის ხმამ ყურები მატკინა- რომ მან და ედვარდმა ერთად მოიგეს. ელისმა მოხდენილად დაურტყა მათ გაშლილ ხელებზე თავისი ხელები.

თამაშის განმავლობაში ანგარიში მუდმივად იცვლებოდა და ისე ეღლაბუცებოდნენ ერთმანეთს, როგორც ქუჩის მოთამაშეები, როცა მეთაურს ცვლიან. დროდადრო ესმი მათ წესრიგისკენ მოუწოდებდა. ქუხილის გრგვინვა გრძელდებოდა, მაგრამ ჩვენ ჯერ ისევ მშრალები ვიყავით, როგორც ელისმა იწინასწარმეტყველა.

კარლაილი ბურთის მოგერიებას აპირებდა, ედვარდი იჭერდა, როცა ელისმა უცებ მძიმედ ამოისუნთქა. მზერა ედვარდს მივაპყარი, როგორც ყოველთვის, დავინახე ელისს როგორ შეხედა. მათი მზერა შეხვდა და რაღაცა წამიერად შეატყობინეს ერთმანეთს. ედვარდი უკვე ჩემს გვერდით გაჩნდა, სანამ დანარჩენები მოასწრებდნენ ელისისთვის ეკითხათ რა მოხდა.

–ელის?-ესმის დაძაბული ხმა ჰქონდა.

–ვერ დავინახე-ვერ გეტყვით.-დაიჩურჩულა მან.

ამ დროისთვის უკვე ყველანი ერთად იყვნენ შეჯგუფებულები.

MYTOPBOOK.ORG

–რა მოხდა, ელის?-ძლიერი მშვიდი ხმით კითხა კარლაილმა.

–ისინი იმაზე ბევრად სწრაფად მოდიოდნენ ვიდრე მეგონა. წინაზე არასწორი ხილვა მქონდა.-ჩაიბუტბუტა.

ჯასპერი მისკენ გადაიხარა, დამცველის პოზა მიიღო.

–რა შეიცვალა?-ჰკითხა.

–გაიგონეს როგორ ვთამაშობდით, ამან მათი მიმართულება შეცვალა.-სინანულით თქვა ელისმა, თითქოს თავს დამნაშავედ გრძნობდა იმაში რისიც ეშინოდა.

შვიდმა წყვილმა თვალმა მომანათა მზერა და სწრაფადვე ამარიდა თვალი.

–რამდენ ხანში მოვლენ?-იკითხა კარლაილმა, ედვარდისკენ შებრუნდა.

დაძაბულმა გონების მოკრებამ გადაუარა სახეზე.

–5 წუთზე ნაკლებში. მორბიან- თამაში უნდათ.-მოიღუშა.

–შეგიძლია?-ჰკითხა კარლაილმა მას, მზერა ისევ ჩემსკენ მომართა.

–არა, ვერ ვატარებ....-მოკლედ მოჭრა.-თანაც მათ შეუძლიათ სუნი აიღონ და ნადირობა დაიწყონ.

–რამდენი არიან?-ემეტმა ჰკითხა ელისს.

–სამნი.-მოკლედ თქვა.

–სამნი.-ჩაიცინა ემეტმა.-ნება მივცეთ მოვიდნენ. -ფოლადის კუნთები დაეჭიმა მასიურ მკლავებზე.

გაბზარული წამის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანგრძლივი მომეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო, კარლაილი ფიქრობდა. მარტო ემეტი ჩანდა აღუშფოთებელი; დანარჩენები კარლაილის სახეს მისჩერებოდნენ აღელვებული თვალებით.

MYTOPBOOK.ORG

–მოდი, უბრალოდ თამაში გავაგრძელოთ.- გადაწყვიტა ბოლოს კარლაილმა. ცივი და თანაბარი ხმა ჰქონდა. -ელისმა თქვა, რომ მათ უბრალოდ აინტერესებდათ.

ეს სიტყვები ისე ამოქროლდა, რომ სულ რამდენიმე წამი გაგრძელდა. ყურადღებით ვუსმენდი მას და უმეტესობა გავიგე მისი ნათქვამი, თუმცა ვერ გავიგე ახლა ესმი რას ეუბნებოდა ედვარდს ტუჩების ჩუმი მოძრაობით. მხოლოდ დავინახე ოდნავ როგორ გააქნია თავი ედვარდმა, და ესმის სახეზე შვება როგორ გამოესახა.

–შენ მიხედე, ესმი,-თქვა ედვარდმა-ახლავე დავუძახებ-და მაშინვე ჩემს წინ გაჩნდა.

დანარჩენები მინდვრისკენ შებრუნდნენ, ფრთხილად კვეთდნენ ბნელ ტყვეს თავიანთი ზუსტი მზერით. ელისი და ესმი იმ ადგილის გარშემო განლაგდნენ სადაც მე ვიდექი.

–თმები ჩამოიშალე, -მითხრა ედვარდმა დაბალი, დინჯი ხმით.

მორჩილად მოვიხსენი თმისამაგრი და თავი გავაქნიე.

–სხვები მოდიან.

–ჰო, სიმშვიდე შეინარჩუნე, ჩუმად იყავი და გვერდიდან არ მომცილდე, გთხოვ, -ხმაში დაძაბულობას კარგად მალავდა, მაგრამ მაინც გავიგონე. გრძელი თმები წინ გადმომიწია, სახის გარშემო.

–ეგ ვერ უშველის,-თქვა ელისმა ნაზად-მისი სუნი მინდვრის მეორე კიდეში მომდის.

–ვიცი,- მარცხის ქარაგმამ გაიჟღერა მის ტონში.

კარლაილი მთავარ ბაზაზე დადგა, დანარჩენებმაც გულნაკლულად გააგრძელეს თამაში.

–ესმიმ რა გკითხა?-დავიჩურჩულე.

ერთ წამს ყოყმანობდა სანამ მიპასუხებდა.

MYTOPBOOK.ORG

–მწყურვალები იყვნენ თუ არა-უხალისოდ ჩაიბუტბუტა.

წამები გადიოდა; ახლა უკვე გულგრილად აგრძელებდნენ თამაშს. ვეღარავინ ბედავდა მაგრად დარტყმას, ემეტი, როზალი და ჯასპერი მინდორზე დალივლივებდნენ. დროდადრო, მიუხედავად იმისა, რომ შიშმა ტვინი გამიშეშა, როზალის მზერას ვგრძნობდი. მისი მზერა არაფრისმთქმელი იყო, მაგრამ მისი ტუჩების არაბუნებრივმა მდებარეობამ მაფიქრებინა, რომ ის გაბრაზებული იყო.

ედვარდი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თამაშს, თვალებიც და გონებაც ტყისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

–მაპატიე, ბელა, -მძვინვარედ ჩაიბუტბუტა- სულელური, უპასუხისმგებლო საქციელი იყო, შენს ასეთ საფრთხეში ჩაგდება. ძალიან ვწუხვარ.

გავიგონე სუნთქვა როგორ შეუწყდა, თვალები მინდვრის მარჯვენა მხარეს შეეყინა. ნახევარი ნაბიჯი გადადგა, ჩემსა და იმას შორის ჩადგა რაც მოდიოდა.

კარლაილი, ემეტი და დანარჩენებიც იგივე მიმართულებით შებრუნდნენ, იმ ხმის გაგონება, როგორ მოდიოდნენ ჩემი ყურებისთვის გულის შემაღონებელი იყო.

თავი მეთვრამეტე

ნადირობა

MYTOPBOOK.ORG

ისინი ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ ტყის პირიდან, 12 მეტრი შუალედით გამწკრივდნენ. პირველი კაცი გამოჩნდა და მაშინვე უკან დაიხია, მეორეს დაუთმო წინ ევლო, და მაღალი, მუქთმიანი კაცის გვერდით ისე დადგა, რომ ნათლად გამოჩნდა ვინ იყო ბანდის მეთაური. მესამე ქალი იყო; ამ მანძილიდან მხოლოდ იმის დანახვა შევძელი, რომ მის თმებს გასაოცარი მოწითალო ფერი დაჰკრავდა.

ერთმანეთთან უფრო ახლოს დადგნენ, სანამ გზას გააგრძელებდნენ ედვარდის ოჯახისკენ, მტაცებლების ხროვას გავდნენ, რომელიც პატივისცემას გამოხატავს თავისნაირების უფრო დიდ ხროვასთან შეხვედრისას.

როცა ისინი მოგვიახლოვდნენ, დავინახე, როგორ განსხვავდებოდნენ კალენებისგან. კატის მსგავსი ნაბიჯებით მოდიოდნენ, მათი სვლა მუდმივად ისეთ შეგრძნებას ბადებდა რომ სადაცაა მიწაზე განერთხმებოდნენ. ჩვეულებრივი მოხეტიალეებივით ეცვათ: ჯინსები და ყოველდღიური, მძიმე, წყალგაუმტარი ქსოვილებით შეკერილი საყელოიანი პერანგები. ტანსაცმელი შემოფლეთილი იყო, თუმცა ეცვათ მაინც, დაბლა კი ფეხშიშველები იყვნენ. ორივე კაცს შეკრეჭილი თმა ჰქონდა, ქალის ბრწყინვალე ნარინჯისფერი თმები კი სავსე იყო ფოთლებით და ხის ნატეხებით.

მათი ზუსტი თვალები ყურადღებიანად იყო მიპყრობილი კარლაილის უფრო ელეგანტურ, დახვეწილ დგომის მანერაზე. მას გვერდში ჯასპერი და ემეტი ედგა. კარლაილმა ფრთხილად გადადგა ნაბიჯი წინ, მათთან შესახვედრად. ყოველგვარი აშკარა კომუნიკაციის გარეშე მათ შორის, ყოველი მათგანი ერთნაირად გაიმართა წელში.

სხვებზე წინ მყოფი კაცი უფრო ლამაზი იყო, ზეთისხილისფერი კანი ჰქონდა, თუმცა მასაც დაჰკრავდა ტიპიური სიფერმკრთალე, კრიალა შავი თმები ჰქონდა. საშუალო სიმაღლის, მაგარ კუნთიანი, რა თქმა უნდა, მაგრამ ემეტის კუნთების შემდეგ მისი კუნთები არაფერი იყო. ჩვეულებრივი ღიმილით გაიღიმა, ზეგავლენას თავისი ციმციმა თეთრი კბილების ნათებით ახდენდა.

MYTOPBOOK.ORG

ქალი უფრო ველური ჩანდა, მისი თვალები მოუსვენრად დასრიალებდა იმ კაცს, რომელიც მათ გაუპირისპირდა და იმ ჯგუფს შორის, რომელიც მე შემომხვეოდა გარშემო, მისი აბურდული თმები ოდნავ სიოს დაქროლებაზე ცახცახებდა. მკაფიოდ მოხერხებულ პოზაში იდგა. მეორე კაცი მოკრძალებულად დალივლივებდა მათ ზურგს უკან, მეთაურზე უმნიშვნელო, მისი ღია ყავისფერი თმები და სწორი ნაკვთები ორივე გაურკვეველ იერს ანიჭებდა მას. მისი თვალები, თუმცა სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა, მაინც როგორღაც ყველაზე ფხიზელი ჩანდა.

მათი თვალებიც განსხვავდებოდა. არა ოქროსფერი ან შავი თვალები ჰქონდათ, როგორც მოველოდი, არამედ მოშავო წითელი, რომელიც გამაღიზიანებელი და ავბედითი იყო.

მუქთმიანი კაცი, რომელიც ისევ იღიმოდა, კარლაილისკენ წავიდა.

–ვიფიქრეთ, რომ თამაშის ხმა ისმოდა,-თქვა მან მოდუნებულ ხმაში ძალიან უმნიშვნელო ფრანგული აქცენტით,-მე ლორენი ვარ, ესენი კი ვიქტორია და ჯეიმსი არიან. -მან ხელით მიუთითა ვამპირებისკენ თავის ზურგსუკან.

–მე კარლაილი ვარ. ეს ჩემი ოჯახია, ემეტი და ჯასპერი, როზალი, ესმი და ელისი, ედვარდი და ბელა.-ჩვენზე ჯგუფობრივად მიუთითა, განზრახ არ აპყრობდა ყურადღებას თითოეულს ცალ-ცალკე. შოკში ჩავვარდი, როცა მან ჩემი სახელი თქვა.

–კიდევ რამდენიმე მოთამაშისთვის ადგილი გაქვთ?-გულღიად კითხა ლორენმა.

კარლაილმა ლორენის მეგობრულ ხმას თავისი ხმა შეუხამა.

–სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ უკვე ვამთავრებდით თამაშს. მაგრამ სიამოვნებით გეთამაშებით სხვა დროს. ამ მიდამოებში დარჩენას დიდი ხნით გეგმავთ?

–ჩვენ ჩრდილოეთით მივდიოდით, მაგრამ დაგვაინტერესა ვინ იყო სამეზობლოში. დიდი ხანია აღარ წავწყდომივართ სხვა კლანს.

MYTOPBOOK.ORG

–ეს რეგიონი როგორც წესი ცარიელია ჩვენი და თქვენნაირი შემთხვევითი სტუმრების გამოკლებით.

დაძაბული ატმოსფერო ნელ-ნელა განიმუხტა სასხვათაშორისო საუბრით; მივხვდი, რომ ჯასპერი იყენებდა თავის განსაკუთრებულ ნიჭს, რომ სიტუაცია ეკონტროლებინა.

–რა საზღვრებში ნადირობთ?-სასხვათაშორისოდ კითხა ლორენმა.

კარლაილმა ყურადღება არ მიაქცია მის გამოკითხვაში ჩამალულ თვალთმაქცობას.

–ოლიმპიურ ზონაში, ზემო და ქვემო სანაპირო საზღვრებში მონაცვლეობით. შორიახლოს მუდმივ საცხოვრებელს ვინარჩუნებთ. კიდევ ერთი ჩვენი მსგავსი მუდმივი დასახლებაა დენალისთან ახლოს.

ლორენი ოდნავ გადაქანდა უკან თავის ქუსლებზე.

–მუდმივი? ამას როგორ ახერხებთ?-მის ხმაში პატიოსანმა ცნობისმოყვარეობამ გაიჟღერა.

–ჩვენთან ხომ არ წამოხვიდოდით სახლში და იქ კომფორტულად ხომ არ გვესაუბრა?-დაპატიჟა კარლაილმა.-ეს საკმაოდ გრძელი ისტორიაა.

ჯეიმსმა და ვიქტორიამ გაოცებული მზერა გაცვალეს ერთმანეთში სიტყვა „სახლის“ ხსნებაზე, მაგრამ ლორენმა უკეთესად გააკონტროლა თავისი გამომეტყველება.

–შემოთავაზება ძალიან საინტერესოდ და კეთილშობილურად ჟღერს.-გულკეთილად გაიღიმა მან.- ონტარიოდან წამოსვლის შემდეგ სულ ვნადირობთ და ამიტომ თავის მოწესრიგების შესაძლებლობა არ გვქონია ამ ხნის განმავლობაში.-მისმა თვალებმა მოწონებით გადაინაცვლა კარლაილის სუფთა გარეგნობაზე.

–გთხოვთ საწყენად ნუ მიიღებთ, მაგრამ ჩვენ დავაფასებდით, თუ კი თავს შეიკავებდით ამ არემარეში ნადირობისგან. ხომ გესმით, შეუმჩნევლები უნდა დავრჩეთ.-აუხსნა მას კარლაილმა.

MYTOPBOOK.ORG

–რა თქმა უნდა.- ლორენმა თავი დაუქნია.-ჩვენ ნამდვილად არ გვინდა თქვენს ტერიტორიაზე შემოჭრა. თუმცა ყოველი შემთხვევისთვის ახლახანს ვჭამეთ სიეტლთან.-მან გაიცინა. კანკალმა დამიარა ხერხემალში.

–გზას გაჩვენებთ, თუ ჩვენთან ერთად სირბილს ისურვებთ- ემეტ და ელის თქვენ შეგიძლიათ ბელასთან და ედვარდთან ერთად წახვიდეთ ჯიპის წამოსაყვანად.-სასხვათაშორისოდ დაამატა.

სამი რამ ერთდროულად მოხდა სანამ კარლაილი ლაპარაკობდა. თმა მსუბუქმა ნიავმა ამითამაშა, ედვარდი გახევდა, და მეორე კაცმა, ჯეიმსმა, თავი გარშემო დაატრიალა, ყურადღებით მათვალიერებდა, ნესტოები გაუფართოვდა.

სწრაფი სიმტკიცე დაუფლა ყოველ მათგანს, როცა ჯეიმსი მიწაზე განსართხმელად დაიხარა. ედვარდმა კბილები გაახრჭიალა, დაცვის მიზნით განერთხა მიწაზე, ავისმომასწავებელი ღრენა აპობდა მის ტუჩებს.

ეს ხმა არაფრით გავდა იმ მხიარულ ხმებს დილას რომ მესმოდა; მისი ხმა ყველა იმ ხმაზე მეტად მუქარის გამომხატველი იყო რომელიც ოდესმე გამიგონია, თავიდან ფეხებამდე სიცივემ დამიარა.

–რას ნიშნავს ეს ყველაფერი?-გულწრფელი გაოცებით წამოიძახა ლორენმა. არც ჯეიმსს და არც ედვარდს არ მოუდუნებიათ თავიანთი აგრესიული პოზა. ჯეიმსი ცრუ მანევრით გადაიხარა გვერდით, ედვარდიც გაიწია პასუხად.

–გოგონა ჩვენთან ერთადაა.-კარლაილის ძლიერი ხმა ჯეიმსისკენ იყო მიმართული. როგორც ჩანდა ლორენმა ჯეიმსზე ნაკლები სიძლიერით დაიჭირა ჩემი სუნი, მაგრამ მიხვედრილობა ახლა უკვე სახეზე ეწერა.

–სასუსნავი წამოიღეთ?-იკითხა მან, ურწმუნო გამომეტყველებით უნებლიედ გადმოდგა ნაბიჯი წინ.

MYTOPBOOK.ORG

ედვარდმა ბევრად უფრო მრისხანედ და უხეშად შეუღრინა, ტუჩები მბზინავ, გამოშიშვლებულ კბილებს მაღლა აეპრიხა. ლორენმა უკან დაიხია.

–გითხარით, გოგონა ჩვენთან ერთადაა, -მტკიცე ხმით გაუმეორა კარლაილმა.

–მაგრამ ის, ხომ *ადამიანია*, -გააპროტესტა ლორენმა. მაგრამ მისი სიტყვები აგრესიულად კი არა, უბრალოდ გაოცებით თქვა.

–დიახ.-ემეტმა გამოამჟღავნა, რომ კარლაილის მხარეს იყო, ის ჯეიმსს უყურებდა, რომელიც ნელა გასწორდა, მაგრამ მისი თვალები არ მშორდებოდა, ნესტოები ისევ გაფართოებული ჰქონდა. ედვარდი ჩემს წინ ლომივით მომართული დარჩა.

როცა ლორენმა დაილაპარაკა, უკვე დამშვიდებული ტონი ჰქონდა- ცდილობდა მტრული ისტუაცია განემუხტა.

–როგორც ჩანს, ერთმანეთზე ბევრი ახალი რამის შეტყობა მოგვიწევს.

–ნამდვილად, -კარლაილის ხმა ჯერ კიდევ ცივი იყო.

–მაგრამ ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდებოდით თქვენს მიპატიჟებას, -მან თვალები ჩემსკენ გამოანათა, შემდეგ ისევ კარლაილს შეხედა,- და რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერს დავუშავებთ ადამიანს. თქვენს ტერიტორიაზე არ ვინადირებთ, როგორც უკვე გითხარით.

ჯეიმსმა ურწმუნოდ და გაღიზიანებით შეავლო თვალი ლორენს, შემდეგ კი კიდევ ერთი ხანმოკლე მზერა გაუცვალა ვიქტორიას, რომლის თვალებიც ისევ მტრულად დაქროდა სახიდან სახეზე.

კარლაილი რამდენიმე წუთს აფასებდა ლორენის გულღია გამომეტყველებას სანამ რამეს იტყოდა.

–ჩვენს გზას გიჩვენებთ. ჯასპერ, როზალი, ესმი?-დაიძახა მან. ისინი ერთად შეგროვდნენ ჩემს წინ ისე, რომ არ გამოვჩენილიყავი. ელისი

MYTOPBOOK.ORG

მუდმივად ჩემს გვერდით იდგა, ემეტი ნელა იხევდა უკან, მისი მზერა ამ დროსაც ჯეიმსს მიჯაჭვოდა.

–წავედით, ბელა.- ხმადაბლა და პირქუშად თქვა ედვარდმა.

მთელი ეს დრო ადგილზე მქონდა ფესვები გადგმული, შეძრწუნებული სრულიად უმოძრაოდ ვიყავი. ედვარდი იძულებული გახდა იდაყვში ჩაევლო ხელი და შევენჯღრიე, რომ ტრანსიდან გამოვეყვანე. ელისი და ემეტი ახლოს იყვნენ ჩვენს უკან, მე მმალავდნენ. ედვარდის გვერდით წავიბორძიკე, ჯერ კიდევ გაბრუებული ვიყავი შიშისგან. ვერ გავიგე მთავარი ჯგუფი უკვე წასული იყო თუ არა. ედვარდის მოუთმენლობა თითქმის თვალშისაცემი გახდა, როცა ადამიანური სიჩქარით მივედით ტყისპირთან.

ხეებში შესვლისას ედვარდმა ნაბიჯის შეუნელებლად მომიგდო ზურგზე. რაც შემეძლო მაგრად მოვეჭიდე, ჰაერში რომ ავარდა. დანარჩენებიც არ ჩამოგვრჩებოდნენ. თავი დახრილი მქონდა, მაგრამ თვალები, შიშისგან გაფართოებული, ვერაფრით დავხუჭე. მოჩვენებებივით დაქროდნენ ახლა უკვე დაბნელებულ ტყეში. მხიარულების გრძნობა, რომელიც ედვარდს ეუფლებოდა ხოლმე როცა დარბოდა ახლა სრულიად გამქრალიყო, მისი ადგილი მძვინვარებას დაეკავებინა, რომელიც აიძულებდა მას უფრო დიდი სისწრაფით ევლო. მიუხედავად იმისა, რომ მე ვყავდი ზურგზე მოკიდებული, დანარჩენებს მაინც ზურგში დევნა უწევდათ.

ჯიპამდე შეუძლებლად ხანმოკლე დროში მივაღწიეთ. ედვარდმა ცოტა შეანელა მოძრაობა, როცა უკანა სავარძელზე შემსვა.

–ღვედები შეუკარი.-ემეტს უთხრა, როცა ის ჩემს გვერდით შემოსრიალდა.

ელისი უკვე წინა სავარძელზე იყო, ედვარდი კი ძრავასამუშავებდა. ის გამოცოცხლების ნიშნად აღრიალდა, ედვარდმა მანქანა გამშრალი გზისკენ მოატრიალა.

MYTOPBOOK.ORG

ედვარდი რაღაცას ისე სწრაფად იღრინებოდა, რომ ვერაფერი გავიგე, თუმცა ძალიან გავდა ღვთისგმობის საგალობელს.

ჯაყჯაყა მგზავრობა ამჯერად უარესი იყო, სიბნელემ ის უბრალოდ უფრო საშიში გახადა. ემეტი და ელისი ორივე გვერდითი ფანჯრებიდან იყურებოდნენ.

მთავარ გზაზე გამოვვარდით, და თუმცა ჩვენი სიჩქარე იზრდებოდა, ახლა უკვე ბევრად უკეთესად ვხედავდი სად მივდიოდით. ჩვენ კი სამხრეთით მივდიოდით, ფორქსისგან შორს.

–სად მივდივართ?-ვიკითხე.

არავინ მიპასუხა. შემოხედვითაც კი არავის შემოუხედია.

–ჯანდაბა, ედვარდ! სად მიგყავარ?

–აქედან შორს უნდა წაგიყვანოთ- ძალიან შორს-ახლავე,-უკან არ მოუხედია, გზას გაჰყურებდა. სპიდომეტრეზე საათში ასხუთი მილი იკითხებოდა.

–მოატრიალე მანქანა! სახლში უნდა წამიყვანო! -ვიყვირე. სულელურ აღჭურვილობას გავებრძოლე, ღვედების გახევა ვცადე.

–ემეტ, -ულმობელად თქვა ედვარდმა.

და ემეტმა ძლიერად დამიჭირა ხელები.

–არა! ედვარდ! არა, შენ ამას ვერ იზამ.

–იძულებული ვარ, ბელა, ახლა გთხოვ წყანარად იყავი.

–არა! უნდა დამაბრუნო- ჩარლი ერთ საათში დარეკავს! ისინი მთელს შენს ოჯახს დაუწყებენ ძებნას– ესმის და კარლაილს! მათ წასვლა მოუწევთ, სამუდამოდ დამალვა!

–დამშვიდდი, ბელა, -ცივი ხმა ჰქონდა,- წინათაც დავმალულვართ.

MYTOPBOOK.ORG

–მაგრამ არა ჩემ გამო! თქვენ ამ ყველაფერს ჩემ გამო არ დაანგრევთ!- მთელი ამაოებით ვიბრძოდი მძვინვარედ.

ელისმა პირველად დაილაპარა.

–გზიდან გადაიყვანე მანქანა.

ედვარდმა მას უდრეკი მზერა ესროლა, შემდეგ კი სიჩქარე მოუმატა.

–ედვარდ, მოდი უბრალოდ ამაზე დავილაპარაკოთ.

–შენ არ გესმის! -ნირწამხდარმა ამოიღრიალა. ამხელაზე არასდროს გამიგონია მისი ხმა; ჯიპის საზღვრებში მისი ხმა გამაყრუებელი იყო. სპიდომეტრის ისარი 150ს უახლოვდებოდა,-ის კაცი მაძებარია, ვერ *დაინახე?* ის მაძებარია!

ვიგრძენი ემეტი როგორ გახევდა ჩემს გვერდით, გამაკვირვა მისმა რეაქციამ ამ სიტყვაზე. ეს სიტყვა ამ სამისთვის აშკარად უფრო მეტს ნიშნავდა ვიდრე ჩემთვის; მინდოდა გამეგო რატომ, მაგრამ ვერ გავბედე კითხვის დასმა.

–გზიდან გადაიყვანე მანქანა, ედვარდ, -გონიერი ხმა ჰქონდა ელისს, მაგრამ მასში იმ ძალაუფლებამ გაიჟღერა, რომელიც მანამდე არასდროს გამიგონია.

სპიდომეტრი 120ზე ჩამოვიდა.

–მიდი, ედვარდ.

–მისმინე, ელის, მისი აზრები დავინახე. თვალთვალი მისი ვნებაა, მისი აკვიატებული აზრი, და მას ბელა უნდა, ელის,- მაინცდამაინც *ბელა.* ამაღამ ნადირობას იწყებს.

–მან ხომ არ იცის სად....

ედვარდმა მას შეაწყვეტინა.

MYTOPBOOK.ORG

–როგორ ფიქრობ რამდენი ხანი დასჭირდება მას ქალაქში ბელას სუნით საპოვნელად? მან მანამდე შეადგინა გეგმა სანამ ლორენის პირს მოწყდებოდა დაპირების სიტყვები.

მძიმედ ამოვისუნთქე, ვიცოდი ჩემი სუნი მას სადაც მიიყვანდა.

–ჩარლი! თქვენ მას იქ ვერ დატოვებთ! მას ვერ დატოვებთ!-აღჭურვილობის მიღმა გავიბრძოლე.

–ბელა მართალია, -თქვა ელისმა.

მანქანა უმნიშვნელოდ შენელდა.

–მოდი ერთი წუთით ჩვენს არჩევანს დავუკვირდეთ, -დამაჯერებლად თქვა ელისმა.

მანქანა ისევ შენელდა, ახლა უკვე შესამჩნევად, უცებ წამოვიყვირეთ დიდი გზის გვერდით გაჩერების დროს. წინ მაგრად გადავიხარე, ღვედებმა დამიჭირა, შემდეგ კი მწარედ მივებერტყე საზურგეს.

–არჩევანი არ გვაქვს, -სისინებდა ედვარდი.

–ჩარლის არ მივატოვებ!-გამგმირავად ვიყვირე.

მან საერთოდ არ მომაქცია ყურადღება.

–ბელა უნდა დავაბრუნოთ,-თქვა ბოლოს ემეტმა.

–არა, -მტკიცედ თქვა ედვარდმა.

–ჯეიმსი ჩვენზე სუსტია, ედვარდ. მას ბელას შეხების შესაძლებლობაც კი არ ექნება.

–ჯეიმსი მოიცდის.

ემეტმა გაიღიმა.

–მოცდა მეც შემიძლია.

MYTOPBOOK.ORG

–შენ არ დაგინახავს– ამიტომაც არ გესმის. ზოგჯერ ის ნადირობას გეგმავს, ის ურყევია. მისი მოკვლა მოგვიწევს.

ემეტი ამ აზრით განაწყენებული სულაც არ ჩანდა.

–აი ესაა არჩევანი.

–და ქალი. ისიც მის მხარესაა. თუ ისინი ბრძოლაში ჩაებმებიან, მეთაურიც მათ მხარეს იქნება.

–ჩვენც საკმარისად ვართ.

–სხვა არჩევანიც არის,- წყნარად თქვა ელისმა.

ედვარდი მას მძვინვარედ მიუბრუნდა, შხამნარევი ღრენის ხმა ჰქონდა.

– სხვა - არჩევანი - არ - გვაქვს !!!

მე და ემეტი ორივე გაოცებულები მივაჩერდით, მაგრამ ელისი გაოცებული არ ჩანდა. ხანგრძლივი წუთის განმავლობაში გაგრძელდა სიჩუმე როცა ედვარდი და ელისი ერთმანეთს მიჩერებოდნენ.

სიჩუმე მე დავარღვიე.

–ვინმეს ჩემი გეგმა აინტერესებს თუ არა?

–არა, -ამოიღრინა ედვარდმა. ელისმა მას შეხედა როგორც იქნა გამომწვევად.

–მისმინე, -ვითხოვე -დამაბრუნე.

–არა,-შემაწყვეტინა.

მას შევხედე და გავაგრძელე.

–დამაბრუნე. მამაჩემს ვეტყვი, რომ ფენიქსში დაბრუნება მინდა. ტანსაცმელს ჩავალაგებ. მოვიცდით, სანამ ეს მოთვალთვალე გვიყურებს, შემდეგ კი გავიქცევით. ის ჩვენ გამოგვყვება, და ჩარლის თავს

MYTOPBOOK.ORG

დაანებებს. ჩარლი ერთ საათში არ დარეკავს, შენს ოჯახს საფრთხე არ დაემუქრება. შემდეგ შეგეძლება ნებისმიერ დაწყევლილ ადგილზე წამიყვანო სადაც გენდომება.

განცვიფრებულები მომაჩერდნენ.

–ცუდი აზრი არ არის, მართლა,-ემეტის გაოცება ნამდვილი შეურაცყოფა იყო.

–წესით ამან უნდა იმოქმედოს- ჩვენ ასე უბრალოდ ვერ დავტოვებთ მამამისს დაუცველს. ხომ გესმის ეს,-თქვა ელისმა.

ყველა ედვარდს ვუყურებდით.

–მეტისმეტად სახიფათოა- არ მინდა ჯეიმსი 100 მილზე ახლოს მოუახლოვდეს ბელას.

ემეტი უკიდურესად თავდაჯერებული იყო.

–ედვარდ, ჯეიმსი ჩვენ ვერ მოგვერევა

ელისი რამდენიმე წუთი ფიქრობდა.

–მის თავდასხმას ვერ ვხედავ. ის ეცდება დაგველოდოს როდის დავტოვებთ ბელას მარტო.

–დიდი ხანი არ დასჭირდება მას იმის მისახვედრად რომ ბელას მარტო დატოვებას არ ვაპირებთ.

–*მოვითხოვ* სახლში წამიყვანოთ, - ვეცადე მტკიცე ხმა მქონოდა.

ედვარდმა თითები საფეთქლებზე მიიდო და თვალები ამგრად დახუჭა.

–გთხოვ, - ბევრად დაბალი ხმით ვთქვი.

მას არ ამოუხედია. როცა დაილაპარაკა, მისი ხმა გამაფრთხილებლად ჟღერდა.

MYTOPBOOK.ORG

–შენ ამაღამვე წახვალ ფორქსიდან, მნიშვნელობა არ აქვს, მოთვალთვალე დაგინახავს თუ არა. ჩარლის ეტყვი, რომ ერთ წუთსაც ვეღარ გაჩერდები ფორქსში. უთხარი ყველაფერი რაც გაჭრის. რაც ხელში მოგხვდება ის ჩაალაგე და შენს პიკაპში ჩაჯექი. არ მაინტერესებს ის რას გეტყვის. 15 წუთი გაქვს. გაიგე? 15 წუთი მას შემდეგ რაც სახლის ზღურბლზე შეაბიჯებ.

ჯიპი აგრუხუნდა, მანქანა შემოატრიალა, საბურავებმა გაიხრჭიალეს. სპიდომეტრის ისარმა ციფერბლატზე მოძრაობა დაიწყო.

–ემეტ?- ვკითხე, კრიტიკულად მივუთითე ჩემს ხელებზე.

–ა, მაპატიე.-ხელი გამიშვა.

რამდენიმე წუთმა სიჩუმეში გაიარა, თუ არ ჩავთვლით ძრავის გუგუნს. ისევ ედვარდმა დაილაპარაკა.

–აი როგორ მოხდება ყველაფერი. როცა სახლთან მივალთ, თუ მოთვალთვალე იქ არ იქნება, ბელას კარამდე მივიყვან. შემდეგ მას 15 წუთი ექნება, -ედვარდმა უკანა ხედვის სარკეში შემავლო თვალი.-ემეტ შენ გარეთ დარჩები. ელის, შენ პიკაპში ჩაჯდები. მე იმდენ ხანს ვიქნები სახლში რამდენ ხანსაც ბელა. მას შემდეგ რაც ის გარეთ გამოვა, თქვენ ორმა შეგიძლიათ ჯიპი წაიყვანოთ და კარლაილს მოუყვეთ ყველაფერი.

–არავითარ შემთხვევაში.-საუბარში ჩაეჭრა ემეტი.-მე შენთან ვრჩები.

–დაფიქრდი, ემეტ. არ ვიცი რამდენი ხნით მომიწევს გაქრობა.

–სანამ არ გავიგებთ რამდენად შორს წავა ეს ყველაფერი, შენთან ერთად ვიქნები.

ედვარდმა ამოიოხრა.

–თუ მოთვალთვალე იქ *დაგვხვდება* - ულმობლად გააგრძელა.- სახლთან არ გავაჩერებთ მანქანას.

–ჩვენ იქ მასზე ადრე მივალთ.-თავდაჯერებულად თქვა ელისმა.

MYTOPBOOK.ORG

როგორც ჩანდა ედვარდი მას ეთანხმებოდა. რა პრობლემაც არ უნდა ჰქონოდა მას ელისთან, ამჯერად მასში ეჭვი არ ეპარებოდა.

–ჯიპს რა უნდა მოვუხერხოთ?-იკითხა ელისმა.

ედვარდს ხმა გაუმკაცრდა.

–შენ წაიყვან სახლში.

–არა, არ წავიყვან, -მშვიდად თქვა მან.

ისევ წამოვიდა ღვთის გმობის გაურკვეველი ნაკადი.

–ყველა ჩემს პიკაპში ვერ მოვთავსდებით.-დავიჩურჩულე.

როგორც ჩანს ედვარდმა ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამი.

–მგონი აჯობებს მარტო გამიშვათ.-უფრო წყნარად ვთქვი.

ეს გაიგონა.

–ბელა, მოდი ყველაფერი ჩემებურად გააკეთე, ამ ერთხელ,-კბილებსშორის გამოცრა.

–მისმინე, ჩარლი გონებასუსტი არ არის, -გავაპროტესტე, -თუ ხვალ ქალაქში არ იქნები, ეს საეჭვოდ მოეჩვენება.

– ეგ ყველაფერი უადგილოა. ჩვენ უბრალოდ დავრწმუნდებით, რომ მამაშენი უსაფრთხოდ იქნება, სულ ესაა.

–შემდეგ რა უნდა ვქნათ ამ მოთვალთვალესთან დაკავშირებით? დაინახა წეღან როგორ იქცეოდი. ის იფიქრებს რომ ჩემთან ერთად ხარ, სადაც არ უნდა იყო.

ემეტმა შემომხედა, ისევ შეურაცხმყოფლად გაოცებულმა.

–ედვარდ, მოუსმინე, -აიძულა -მგონი მართალია.

–ჰო, მართალია,-დაეთანხმა ელისი.

MYTOPBOOK.ORG

–მაგას ვერ ვიზამ,-გაყინული ხმა ჰქონდა ედვარდს.

–ემეტიც უნდა დარჩეს, -გავაგრძელე - მოთვალთვალემ ნამდვილად საკმარისად ნახა ემეტი.

–რა? -ემეტი მომიბრუნდა.

–უკეთესი იქნება თუ დარჩები,-დამეთანხმა ელისი.

ედვარდი ელისს ურწმუნოდ მიაჩერდა.

–შენ ფიქრობ, რომ მარტო უნდა გავუშვა?

–რა თქმა უნდა არა, -თქვა ელისმა -მე და ჯასპერი წავიყვანთ.

–მაგას ვერ ვიზამ, -გაიმეორა ედვარდმა, მაგრამ ამჯერად მის ხმაში დანებების ნაკვალევი გაისმა. ლოგიკა ჭრიდა მასზე.

ვეცადე დამაჯერებელი ვყოფილიყავი.

–ერთი კვირით აქ იბოდიალე, -მისი გამომეტყველება დავინახე სარკეში და გამოვასწორე -რამდენიმე დღით. ნება მიეცი ჩარლის დაგინახოს, რომ არ მოგიტაცებივარ, და ეს ჯეიმსი გაიტყუე სადმე შორს. უზრუნველყავი, რომ სრულიად დაკარგოს ჩემი კვალი. შემდეგ კი ჩამოდი და შემხვდი. შემოვლითი გზით რა თქმა უნდა, შემდეგ კი ჯასპერს და ელისს სახლში დაბრუნება შეეძლებათ.

დავინახე, რომ ჩემს ნათქვამზე ფიქრობდა.

–სად შეგხვდე?

–ფენიქსში რა თქმა უნდა.

–არა. ის გაიგონებს სად მიდიხარ. -მოუთმენლად თქვა მან.

–შენც ისე მოაწყვე ყველაფერი, ვითომ ეს ხრიკია. მას ეცოდინება, რომ ჩვენ ვიცით, რომ ის გვისმენს. ის არ დაიჯერებს, რომ მართლა იქ მივდივარ სადაც ვთქვი რომ მივდიოდი.

MYTOPBOOK.ORG

–მოხერხებული გოგოა, -ჩაიცინა ემეტმა.

–და თუ ამან არ გაჭრა?

–ფენიქსში რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს, -შევატყობინე.

–არც მასეთი ძნელია სატელეფონო ცნობარის ხელში ჩაგდება.

–სახლში არ მივალ.

–ჰა? -გამომკითხა, მის ხმაში სახიფათო ტონმა გაიჟღერა.

–საკმაოდ დიდი ვარ, როგორმე ვიპოვი საჩემო ადგილს.

–ედვარდ, ჩვენ მასთან ერთად ვიქნებით.-შეახსენა ელისმა.

–ფენიქსში რის კეთებას აპირებ? -ჰკითხა ედვარდმა მას გესლიანად.

–სახლში ჯდომას.

–სწორედ ამაზე ვგიჟდები, -ემეტი უეჭველად ჯეიმსის კუთხეში მიმწყვდევაზე ფიქრობდა.

–მოკეტე, ემეტ.

–მისმინე, თუ ვეცდებით, რომ მოთვალთვალე ბელას აქ ყოფნის დროს დავიჭიროთ, უფრო დიდი შესაძლებლობაა, რომ ვინმეს რამე დაუშავდება,- ბელას რამე დაუშავდება ან შენ, მისი დაცვის მცდელობისას. ახლა თუ ჩვენ მას მარტო ჩავიგდებთ ხელში...- ნელი ღიმილით გაწყვიტა სიტყვა. მე მართალი ვიყავი.

ქალაქში შესვლისას ჯიპი ნელა მიხოხავდა. ჩემი გაბედული საუბრის მიუხედავად, ვგრძნობდი თმები ყალყზე მედგა. ჩარლიზე ვფიქრობდი, რომელიც მარტო იყო სახლში და შევეცადე გულადი ვყოფილიყავი.

–ბელა, -ძალიან რბილი ხმით მითხრა. ელისმა და ემეტმა ფანჯრებში გაიხედეს, -თუ რამეს დაიმართებ- მნიშვნელობა არ აქვს რას- პასუხს მე ვაგებ. გესმის?

MYTOPBOOK.ORG

–მესმის.-ღრმად ჩავისუნთქე.

ის ელისს მიუბრუნდა.

–შეუძლია ჯასპერს ამ მგზავრობაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს?

–ედვარდ, მიეცი შანსი. ჯასპერი ძალიან, ძალიან კარგად იქცევა, ყველაფერი აწონ-დაწონილი აქვს.

– ჯასპერზე აგებ პასუხს?- კითხა მან.

და პატარა მოხდენილმა ელისმა უკან დაწია ტუჩები შემაძრწუნებელ სახის დაჭყანვაში და ხორხისმიერი ღრენა ამოუშვა ყელიდან, რომლის გაგონებაზეც სავარძელზე მოვიბუზე.

ედვარდს გაეღიმა მასზე.

–მაგრამ შენი შეხედულებები შენთვის შეინახე.-ჩაიბუტბუტა ედვარდმა უცებ.

თავი მეცხრამეტე

გამომშვიდობება

ჩარლი მელოდებოდა, მთელს სახლი განათებული იყო, ჩემი ფიქრები იმაზე იყო მიმართული მეპოვა გზა იმისა, რომ როგორმე წასვლის უფლება მოეცა, ეს ნამდვილად არ იყო სასიამოვნო საქმე.

ედვარდმა ჩემი პიკაპის უკან ნელა დააყენა მანქანა. სამივენი ფხიზლად იყვნენ, თითქოს თავიანთ სავარძლებს შეეზარდნენ,

MYTOPBOOK.ORG

უსმენდნენ ტყის ყველა ხმას თითქოს რაღაცას ეძებდნენ. მანქანის ძრავა გამოირთო და მეც უემოციოდ ვუცდიდი მათ.

––ის აქ არ არის,–– თქვა ედვარდმა, ––წავედით.

ემეტი ჩემსკენ შემოტრიალდა.

––არ ინერვიულო ბელა,–– მითხრა მან დაბალი, მაგრამ მხიარული ხმით,–– ჩვენ ყველაფერს მალე მოვაგვარებთ.

შევეცადე ცრემლები დამემალა და ემეტს შევხედე. მე მას კარგად არ ვიცნობდი აქამდე, ვინ იცის ამ ღამის შემდეგ მომიწევს კიდევ მისი ნახვა? ამაზე ფიქრი ძალიან მტანჯველი იყო. მივხვდი რომ ეს გამომშვიდობების საშინელი გრძნობა იყო, ცრემლებს ვეღარაფერს ვუხერხებდი. იქნებ შემდეგ საათში გავანთავისუფლო ისინი.

–– ელის. ემეტ, –– გაისმა ედვარდის ხმა. ისინი უხმოდ გაუჩინარდნენ სიბნელეში. მან კარი გააღო და ხელი მომკიდა, მერე კი მის მკლავები შემომხვია, თავი საოცრად დაცულად ვიგრძენი. მან სახლამდე მიმაცილა, თან სიბნელეს თვალს არ აშორებდა.

–– თხუთმეტი წუთი, –– გამაფრთხილა მან, სახეზე კი მისი გრილი სუნთქვა შემეხო.

–– არ შემიძლია ამის გაკეთება,–– ცრემლები სახეზე ჩამომეღვარა. ზრურბლზე გავჩერდი და ხელებში მისი სახე მოვიქციე, მძვინვარედ ვუყურებდი თვალებში.

–– მიყვარხარ, –– ვუთხარი დაბალი, ძლიერი ხმით.–– მე ყოველთვის მეყვარები, მიუხედავად იმისა რა მოხდება ახლა.

–– არაფერი არ მოხდება ბელა, ––მტკიცედ მითხრა მან.

–– უბრალოდ გეგმას მიყევი კარგი? ჩარლი უსაფრთხოდ იყოს, ვიცი ამის მერე მას აღარ ვეყვარები, მე კი მინდა რომ შანსი მქონდეს რომ მაპატიოს.

–– შედი ბელა, დრო აღარ გვაქვს,–– სწრაფად მითხრა.

–– და კიდევ ერთი.–– ვნებიანად დავიჩურჩულე,–– ამის შემდეგ თქმულ არცერთ სიტყვას არ მიაქციო ყურადღება. ის ჩემსკენ გადმოიხარა, მე კი ფეხის წვერებზე ავიწიე და ვაკოცე მის გაოცებულ, გაყინულ ტუჩებს, მან წელზე მომხვია ხელი, უნარი დავკარგე მოვშორებოდი, მერე კი იძულებით შევტრიალდი კარისკენ.

–– ედვარდ მომშორდი! ––ვუყვირე ხმამაღლა და და კარები მივუჯახუნე შოკირებული სახის წინ.

–– ბელა?!–– ჩარლი ფეხზე წამოხდა,

–– მარტო დამტოვე!–– დავუყვირე ტირილით, ცრემლები უკვე ნიაღვარად მომდიოდა. კიბეებზე ავვარდი, კარო მივაჯახუნე და ჩავკეტე. იატაკზე დავჯექი რომ საწოლის ქვემოდან ჩემი ხაოიანი ჩანთა გამომეღო.

ჩარლიმ კარებზე დამიკაკუნა.

–– ბელა კარგად ხარ? რა ხდება? –– მას შეშინებული ხმა ქონდა,

–– *სახლში* მივდივარ!–– დავუყვირე.

–– გული გატკინა? –– მის ტონში სიბრაზზემ აიწია.

MYTOPBOOK.ORG

— არა! — სიმწრით დავუყვირე თან ხმას უფრო ავუწიე. მერე კარადას მივუბრუნდი, ედვარდი უკვე იქ იყო. ის იმ ტანსაცმელს აწყობდა, რომელიც უკვე გადავდე წასაღებად.

— მიგატოვა? — მკითხა შეცბუნებულმა.

— არა!— დავიყვირე ისევ და ერთი ხელის მოსმით ყველაფერი ჩავყარე ჩანთაში, ახლა ის მთლიანად გამოტენილი იყო.

— რა მოხდა ბელა?— დაიყვირა ჩარლიმ კარის მეორე მხარეს და ისევ დაიწყო ბრახუნი.

— მე მას დავშორდი! — ვუპასუხე ხმამაღლა, თან ჩანთა შევკარი. ედვარდმა ფრთხილად გადამკიდა ის მხარზე.

— პიკაპში ვიქნები,—წადი! — დამიჩურჩულა და კარისკენ მიბიძგა. თვითონ კი ფანჯარაში გაუჩინარდა.

— კარი გავაღე, ჩარლი უხეშად გავწიე გვერდზე და მძიმე ჩანთის თრევით კიბეებზე დავეშვი.

— რა მოხდა? — ის უკან მომყვებოდა, — მეგონა რომ ის მოგწონდა.

მან ნიდაყვზე წამავლო ხელი სამზარეულოში, ის გაოცებული ჩაფრენოდა ჩემს ხელს.

შემომატრიალა რომ მისთვის შემეხედა, სახეზე ეწერა რომ გაშვებას არ მიპირებდა. ახლა მხოლოდ გაქცევის ერთადერთ გზაზე ვფიქრობდი. მაგრამ ვიცოდი რომ ეს მას საშინლად ატკენდა გულს, იმის გაცნობიერებით რომ ამის გარდა სხვა გზა აღარ დამრჩა თავი შემზიზღდა. მაგრამ დრო აღარ მქონდა...

თავი ავწიე და ჩარლის თვალებში შევხედე.

— მე ის ძალიან მომწონს— აი ეს არის პრობლემა. ამის გაკეთება აღარ შემიძლია! ამიერიდან აქ ფეხს ვეღარ დავადგამ! არ მინდა შემიტყუოს ამ სულელურმა, მოსაწყენმა ქალაქმა როგორც დედა! მე არ ვაპირებ დავუშვა იგივე შეცდომა რაც მან. აქაურობა მძულს — აქ ერთი წუთითაც ვეღარ გაჩვერდები!

მან ისე სწრაფად გამიშვა ხელი, თითქოს ელექტრო შოკს გამოვცემდი. შემოვტრიალდი მისი შოკირებული სახისგან და კარისკენ გავექანე.

— ბელს შენ არ შეგიძლია ასე მიმატოვო... ახლა ღამეა.—დაიჩურჩულა ჩემს ზურგსუკან.

მე არ შემოვტრიალებულვარ.

— თუ დავიღლები პიკაპში დავიძინებ.

— შემდეგ კვირამდე დაიცადე, — ხმა აუთრთოლდა, — რენე ჩამოვა და მერე წადი.

ეს უკვე კატასტროფა იყო.

— რა?

ჩარლიმ ენთუზიაზმით გააგრძელა.

— მან დარეკა სანამ შენ გასული იყავი. ფლორიდაში საქმეები კარგად არ წაუვიდათ, ფილს კვირის ბოლომდე არ უშვებენ. მერე კი უკან არიზონაში დაბრუნდებიან.

MYTOPBOOK.ORG

თავი გადავაქნიე რომ არეულ-დარეული აზრები დამელაგებინა. ყოველი გასული წამი ჩარლის საფრთხეში აგდებდა.

— გასაღბი მაქვს, — ჩავიბუტბუტე. ურდულისკენ ხელი გავწიე, მან გაოცებული სახით შემომხედა. მაგრამ მე აღარავითარი დრო არ დამრჩა მასთან საკამათოდ. სხვა გზა აღარ მქონდა, კიდევ ერთხელ უნდა მეტკინა მისთვის გული.

— უბრალოდ ნება მომეცი წავიდე ჩარლი.— მე გავიმეორე დედაჩემის ის ბოლო სიტყვები როდესაც იმავე კარებიდან სამუდამოდ გადიოდა დიდი ხნის წინათ. ეს სიტყვები რაც შეიძლება დიდი სიბრაზით ვუთხარი. კარი გავაღე

— მე უბრალოდ არ ვჭირვეულობ გესმის? მე მართლა ძალიან ძალიან მძულს ფორკსი!

ჩემმა ბოროტმა სიტყვება თავიანთი საქმე შეასრულეს— ჩარლი ზრურბლს შეეყინა, გაშეშებული მიყურებდა სანამ ღამეს არ შეეერია. საზიზღრად შემეშინდა ცარიელი ეზოსი. ჩქარა გავიქეცი პიკაპისკენ, ჩემს უკან ბნელი ჩრდილი აღვიქვი. ჩანთა მანქანაში ჩავაგდე, გასაღები უკვე გამზადებული იყო.

— ხვალ დაგირეკავ! —დავუყვირე, მერ კი გავიაზრე რომ ამაში დარწმუნებული აღარ ვიყავი. იქნებ ვეღარასდროს შევძლო მასთან დალაპარაკება... ძრავა ჩავრთე და წავედი.

ედვარდმა ხელი გამომიწოდა.

— მე დავჯდები, — მითხრა მან, როცა ჩარლი და სახლი თვალთახედვიდან გაუჩინარდნენ.

— ტარება შემიძლია, — ვუთხარი ცრემლების მირმა, რომლებიც ჯიუტად ჩამომდიდნენ ლოყებზე.

მოულოდნელად მან თავისი გრძელი მკლავები წელზე მომხვია, თავის კალთას გადამატარა და მის გვერდით დამაჯინა, თვითონ კი უკვე საჭესთან იჯდა. ამასობაში მანქანას ერთი სანტიმეტრითაც არ გადუხვევია.

— მაგარამ შენ ჩვენი სახლის პოვნა არ შეგიძლია. — მე გაოცებულმა გავიაზრე მისი სიტყვა "ჩვენი".

უცებ ჩვენს უკან განათდა, შიშიგან თვალები გამიფართოვდა.

— ნუ გეშინია ელისია,—ამიხსნა მან და ისევ შემეხო ხელზე.

მთელი ჩემი აზრები ჩარლის უტრიალებდა, როცა მის სახეს ვიხსენებდი, როდესაც ზღურბლზე იდგა,

— მაძებარი?— შევყვირე მე.

— მან გაიგონა შენი და ჩარლის ბოლო ფრაზები.

— ჩარლი? — ვკითხე გაშეშებულმა.

— მაძებარი ჩვენ გამოგვყვა, ის ახლა უკან მოგვდევს.

სხეული გამეყინა.

— ჩვენ მას გავასწრებთ?

— არა. — ის ისევე ჩქარა მიდიოდა როგორც ლაპარაკობდა. ძრავა პროტესტის ნიშნად აღმუვლდა.

ჩემი გეგმა იდეალური არ აღმოჩნდა.

MYTOPBOOK.ORG

მე მივშტერებოდი ელისის მანქანის ფარებს, როცა უცებ პიკაპზე ბრახუნი გაისმა.

ძარღვებში სიისხლი გამეყინა, მზად ვიყავი მეყვირა, როცა ედვარდის თითები ჩემს ტუჩებს შეეხო.

— ემეტია!

თითები მომაცილა და ხელი ისევ წელზე მომხვია.

— ყველაფერი კარგადაა ბელა, — ის დამპირდა, —მე შენ დაგიცავ, ვერავინ ვაერაფერს დაგიშავებს. შენ ახლა ჩემი სიცოცხლე ხარ.

ჩვენ ქალაქი გადავლახეთ და ჩრდილოეთის აღმართს ავუყევით.

— არ ვიცოდი ასე თუ მოგაბეზრა თავი ამ პატარა ქალაქის ცხოვრებამ, — მივხვდი რომ სხვა თემაზე უნდოდა საუბრის გადატანა, — თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. შეიძლება მე საკუთარ თავს ვატყუებდი რომ შენი ცხოვრება უფრო საინტერესო გავხადე—ჩაიბუტბუტა მან.

— ეგ მასე არ არის, — მე ყურადღება არ მივაქციე მის მცდელობას თემიდან გადაეხვია, თავი დავხარე და საკუთარ მუხლებს დავაშტერდი, — შენ ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ხარ და მხოლოდ შენ გაქვს იმის უნარი საინტერესო გახადო ის, უბრალოდ საქმე იმაშია რო დედამაც ზუსტად ეს სიტყვები უთხრა როცა მიატოვა, ჩემთვის ამის გაკეთება იმაზე უარესი იყო საკუთარი თავი რომ ქამრით მეცემა.

— არ ინერვიულო, აუცილებლად გაპატიებს, — მან ოდნავ გაიღიმა, მაგრამ ემოცია მის თვალებს არ შეხებია.

სასოწარკვეთით ჩავხედე თვალებში, და მან დაინახა წარმოქმნილი პანიკა მათში.

— ბელა, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის, ყველაფერი მოგვარდება.

— მაგრამ ყველაფერი კარგად ვერ იქნება მე თუ შენთან არ ვიქნები, — დავიჩურჩულე.

— ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით რამოდენიმე დღეში,— ხელი უფრო მჭიდროდ შემომხვია და მკერდზე მიმიკრა, — არ დაგავიწყდეს რომ ეს შენი იდეა იყო.

— ასეთ სიტუაციაში ეს საუკეთესო იდეაა, —რათქმაუნდა ის ჩემია...

მისი ღიმილი ღია და გულწრფელი იყო, მაგრამ ის მალე ჩაქრა.

—ეს რატომ ხდება?— რატომ მაინცდამაინც მე?

ის წინ გზას მიაშტერდა.

—ეს ჩემი შეცდომაა, ჩემი სულელური საქციელი გამო მოხდა ყველაფერი...

— მე ეგ არ მიგულისხმია, —დავიჟინე, — მე ის ორი არ მაწუხებს. რატომ გადაწყვიტა ჯეიმსმა ჩემი მოკვლა? რატომ მაინცდამაინც მე? როცა პლანეტაზე უამრავი ხალხია.

ის ყოყმანობდა, დაფიქრდა სანამ პასუხს გამცემდა.

MYTOPBOOK.ORG

—— ამ ღამით მისი აზრები კარგად გამოვიკვლიე. ——მან დაბალ ხმაზე დაიწყო,—— არ ვიცი შეიძლებოდა თუარა ამის რაიმე გზით თავიდან არიდება. პრაქტიკულად ეს შენი შეცდომაც იყო,—— მას ხმა მოეღრიცა, საშინლად ღელავდა, —— შენ რომ ასე შემაძრწუნებლად ტკბილი სუნი არ გქონდეს, შეიძლება არც ამოეჩემებინე. მერე კი ჩემი რექცია, როცა გიცავდი... მოკლედ ამან უფრო გააფუჭა საქმე. ამან ის უფრო დაინტერესა, ის აზროვნებს მხოლოდ როგორც მაძებარი, მონადირე... მისი არსებობა დამოკიდებულია რამის ძიებაზე, დევნაზე, მისთვის მთავარია გამოწვევა, მიზანი რისთვისაც უნდა იბრძოლოს. ჩვენ კი წარვუდგინეთ დიდი ძლიერი ვამპირების კლანი რომელიც იცავს ერთ სუსტ და პატარა წევრს, ვერც წარმოიდგენ როგორ ეიფორიაშია ახლა. ეს მისი საყვარელი თამაშია, ჩვენ კი მას ყველაზე ამაღელვებელი მიზეზი მივეცით, —— მის ტონში ზიზღი ისმოდა.

ის წამით გაჩუმდა.

——მაგრამ მე რომ იქ არ ვდგარიყავი, ალბათ უკვე მოკლული ეყოლებოდი, ——ისეთი გამომეტყველება ქონდა თითქოს მთლიანად დაინგრა მისი არსება.

—— მე მეგონა... რომ სხვებისთვის იგივენაირი სურნელი არ მქონდა როგორც შენთვის, —— ვუთხარი გაუბედავად.

—— რათქმაუნდა ასეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ თითოეულისთვის დიდი ცდუნება არ ხარ. შენს სურნელს რომ ისე აღიქვამდეს ჯეიმსი ან იმ მინდორზე მყოფი ნებისმიერი, როგორც მე, მაშინ იქვე ბრძოლა დაიწყებოდა.

შემაჟრჟოლა.

—— ვფიქრობ სხვა გზა აღარ გამრჩა იმის გარდა, რომ ის მოვკლა, —— ჩაიბუბუტა მან, —— მაგრამ კარლაილს არ უნდა ეს.

ხიდზე გადასვლისას მდინარის ხმა შემომესმა, მაგრამ ის არ ჩანდა სიბნელეში, მივხვდი რომ უკვე ვუახლოვდებოდით. ახლა კი უნდა მეკითხა.

—— ვამპირი როგორ უნდა მოკლა?

მან სწრაფი, გაურკვეველი მზერა მტყორცნა, მისი ხმა უცებ გაუხეშდა.

—— ერთადერთი გზა რომ დარწმუნდე, არის მისი ნაწილებად დაქუცმაცება და დაწვა.

—— და ის ორი მასთან ერთად იბრძოლებს?

—— ქალი კი, ლორენზე დარწმუნებული არ ვარ, მათ არ აქვთ მტკიცე კავშირი, ის მხოლოდ ხელსაყრელი პირობების გამოა მათთან. მაგრამ მდელოზე მომხდარმა ის ძალიან შეაშინა...

—— მაგრამ ჯეიმსი და ის ქალი, შენს მოკვლას შეეცდებიან? —— ვკითხე გატეხილი ხმით.

—— შენ ჩემზე ჯავრით ტყუილად კარგავ დროს ბელა, შენი ერთადერთი საზრუნავი საკუთარ თავზე ნერვიულობაა, და გთხოვ გთხოვ უგუნურად არ მოიქცე.

MYTOPBOOK.ORG

—— ის კიდევ მოგვყვება?

—— კი. მიუხედავად ამისა ის არ დაესხმება თავს სახლს ამაღამ.

ჩვენ პირდაპირ სახლთან გავაჩერეთ, სახლი განათებული იყო ჩამნელებული ტყე კი ოდნავ ირეკლავდა შუქს. ემეტმა ჩემი კარი მანამ გამიღო სანამ პიკაპი გაჩერდა. მან სავარძლიდან გადმომსვა, ფეხბურთის ბურთივით დამიჭირა ხელში და სახლისკენ გამაქანა.

დიდ ნათელ ოთახში აღმოვჩნით, გვერდით უკვე ელისი და ედვარდი გვედგა. ლორენიც იქვე იდგა. გავიგონე ემეტის ყრუ, ყელიდან ამომავალი ღრენა.

——ის ჩვენ მოგვდევს,——აუხსნა ედვარდმა და ირიბად შეხედა ლორენს.

ლორენს უბედური სახე ჰქონდა.

——მე ამან ძალიან შემაშინა.

ელისი მისრიალდა ჯასპერთან და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მისი ტუჩები საოცარი სისწრაფით მოძრაობდნენ. ერთი წამის შემდეგ კი ორივენი კიბეებზე აფრინდნენ. როზალი მათ უყურებდა, შემდეგ კი სწრაფი მზერა ემეტზე გადაიტანა. მის ლამაზ თვალებში ძლიერება ჩანდა. თვალები დაახამხამა და მძვინვარე მზერა მესროლა.

——რას აპრებს ჯეიმსი? ——ჰკითხა კარლაილმა ლორენს ცივი ტონით.

——ძალიან ვწუხვარ,——უპასუხა მან,——მე ძალიან შემეშინდა როცა შენი ბიჭი მას გადაეფარა.

——შეგიძლია მისი შეჩერება?

ლორენმა თავი გადააქნია.

——ჯეიმსს ვერაფერი შეაჩერებს თუ მან მიზანი დაისახა.

——მაგას ჩვენ შევაჩერებთ,——დაპირდა ემეტი. მის სიტყვებსი დამაჯერებლობა ისმოდა,

——შენ მას ასე ადვილად ვერ დაამარცხებ. არასოდეს მინახავს რაიმე ჯეიმსის მაგვარი, ჩემი სიცოცხლის სამასი წლის მანძილზე. ის აბსოლუტურად ლეტალურია სწორედ ამიტომ შევუერთდი მას.

ლორენმა თავი გადააქნია და უცებ მომაშტერდა, შეცბუნდა და ისევ კარლაილს შეხედა.

——დარწმუნებული ხარ რომ ის ამად ღირს?

ედვარდის განრისხებულმა ღრიალმა მთელი ოთახი მოიცვა. ლორენი შეშინებული უკან გადახტა.

კარლაილმა ბრაზით შეხედა ლორენს.

——ვშიშობ, არჩევანის გაკეთება მოგიწევს.

ლორენი მიუხვდა სათქმელს. ის წამით გაშეშდა, ყველას გადახედა და ბოლოს გადაჭრა ნათელი ოთახი.

——მე დაინტრიგებული ვარ თქვენი ცხოვრების წესით, არ მინდა თქვენ შორის შუღლში გავერიო, ვერცერთის მხარეს ვერ დავიჭერ მითუმეტეს ჯეიმსისას, მასთან ვეღარ ვიქნები. ვფიქრობ ჩრდილოეთში წავალ——იმ კლანთან დენალიში,——თქვა მან,

MYTOPBOOK.ORG

––არასწორად არ შეაფასო ჯეიმსი, მას იდეალური გონება და ძლიერ განვითარებული შეგრძნებები აქვს. მე მომხდარის გამო მართლა ძალიან ვწუხვარ.––მან თავი დახარა, მაგრამ მაინც დავინახე მისი ჩემკენ მომართული გაოგნებული მზერა.

–– მშვიდობისთვის წადი, –– ფორმალური ტონით უთხრა კარლაილმა.

ლორენმა კიდევ ერთხელ მოათვალიერა ოთახი და სასწრაფოდ მიაშურა კარებს.

სიჩუმემ წამზე ნაკლებ დროს გასტანა.

–– რამდენად ახლოსაა?–– კარლაილმა შეხედა ედვარდს.

ესმემ ჩუმად ჩამოწია მძიმე მეტალის დარაბები,

–– მდინარიდან სამი მილის მიშორებით ის წრეზე მოძრაობს რომ შეხვდეს ვიქტორიას,

–– როგორია ჩვენი გეგმა?

–– ჯასპერი და ელისი სამხრეთიდან გაყვებიან.

–– რა მოხდება შემდეგ?

–– როგორც კი ბელა უსაფრთხოდ იქნება, ჩვენ მასზე ვინადირებთ, –– ედვარდს სასტიკი ტონი ქონდა.

–– ვხვდები რომ სხვა არჩევანი არა გვაქვს,–– დაეთანხმა კარლაილი იგივე გამომეტყველებით.

ედვარდი როზალის მიუბრუნდა.

–– ზემოთ აიყვანე და ტანსაცმელი გაცვალეთ,–– უბრზანა მან. ის ბრაზიანი უნდობლობით მიაშტერდა ედვარდს.

–– რატომ მე?–– დაისისინა მან, –– ვინ არის ის ჩემთვის? ეს საფრთხე მის გარდა ჩვენს ოჯახსაც ემუქრება.

–– როუზ... , –– დაიჩურჩულა ემეტმა, ხელი მხარზე დაადო და შეარხია,

ედვარდს ფრთხილად შევხედე, ვიცოდი მისი ტემპერამენტი და მეშინოდა მისი რეაქციის.

მან გამაოცა. მზერა მოაცილა როზალის, თითქოს არც არაფერი უთქვამს და არც არსებობდა.

–– ესმი?–– კითხა მან წყნარად.

–– რათქმაუნდა, –– დაიჩურჩულა ესმიმ.

ესმე ჩემგან ძალიან ახლოს იდგა. მან ხელი მომხვია და მსუბუქად მიბიძგა კიბეებისკენ, შოკისგან მძიმედ დავიწყე სუნთქვა,

–– რას ვაკეთებთ?–– ვიკითხე სუნთქვაშეკრულმა, როცა დამსვა მეორე სართულის რომელიღაც ბნელ ოთახში,

–– ვცდილობთ რომ სუნი ავრიოთ, ეს დიდხანს არ იმოქმედებს მაგრამ შენ კი მოასწრებ თავის დაღწევას.–– მესმოდა მისი ტანისამოსის იატაკზე დაცვენის ხმა.

–– არამგონია მომერგოს... , –– დავიყოყმანე მე, მაგრამ მისმა ხელებმა მოულოდნელად გადამაძრეს მაისური თავზე. ჯინსი კი ჩემით გავიხადე, რაღაც მომაწოდა, მაისურს გავდა. შევეცადე მკლავები სწორად გამეყარა, მერე კი თავისი შლაქსები მომაწოდა,

MYTOPBOOK.ORG

ისინიც ჩავიცვი , მაგრამ მისი ტოტები ძალიან გრძელი იყო ჩემთვის, მან მარჯვედ ამიკეცა ისინი, ასე რომ შევძელი ფეხზე დადგომა, ამასობაში ესმი უკვე ჩაცმული იყო ჩემს ტანსაცმელში, მან ჩამიყვანა კიბეებზე, სადაც უკვე ელისი იდგა პატარა ტყავის ჩანთით ხელში, მათ ორივემ ხელი ჩამავლეს ნიდაყვებში და ძირს ჩამაფრინეს.

მათ თითქოს უკვე რაღაც გადაწყვიტეს ჩვენს არ ყოფნაში, ედვარდი და ემეტი უკვე მზად იყვნენ წასასვლელად, ემეტს ძალიან დიდი ჩანთა ეკიდა მხარზე, კარლაილს რაღაც პატარა ეჭირა ესმისთვის, ის შემოტრიალდა და ელისსაც იგივე რაღაც გაუწოდა, ეს იყო პატარა თხელი ვერცხლისფერი ტელეფონი,

— ესმი და როზალი შენს პიკაპს წაიყვანენ ბელა, — მითრა მან როცა მათ ჩაუარა. მე თავი დავუკარი და ფრთხილად შევხედე როზალის. ის დაჟინებით უყურებდა კარლაილს აღშფოთებული გამომეტყველებით.

— ელის, ჯასპერ, წაიყვანეთ მერსედისი. თქვენ დაგჭირდებათ დაბურული ფანჯრებით, სამხრეთისკენ მიდიხართ და იმიტომ.

მათ თავი დაუკრეს.

— ჩვენ ჯიპით წავალთ.

გამიკვირდა რომ კარლაილი ედვარდთან ერთად მიდიოდა, უცბად საშინელი შიში ვიგრძენი, მივხვდი რომ სწორედ ისინი აპირებდნენ ნადირობას.

— ელის, — კითხა კარლაილმა, — წამოეგებიან სატყუარას?

ყველამ ელისს შეხედა, მან დახუჭა თვალები და გაშეშდა.

ბოლოს თვალები გაახილა.

—ჯეიმსი შენ გამოგყვება, ქალი კი პიკაპს გაყვება. ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ წავალთ, —თქვა მან დარწმუნებით.

— წავედით,— კარლაილი სამზარეულოსკენ გაეშურა.

ედვარდი ჩემს გვერდით იდგა. მან თავის რკინის მკლავები მომხვია და თავისკენ მიმიზიდა, ის ყურადღებას არ აქცევდა რომ მას მთელი ოჯახი უმზერდა, ჩემი სახე მოსწია, ფეხის თითებზე ავიწიე, უმოკლეს წამში მისი ყინულივით ცივი ტუჩები ჩემსას მჭიდროდ შეეხო. სულ ეს იყო. მან დამაჯინა, ჩემი სახე კი ისევ ეჭირა, მის ლამაზ თვალებს ცეცხლი ეკიდათ.

თვალები ჩაუმუქდა, ისინი უცნაურ ძრწოლას გამოხატავდნენ, ედვარდი შეტრიალდა.

ისინი წავიდნენ.

ჩვენ კი ისევ იქ ვიდექით, ყველამ ამარიდა მზერა, ცრემლები უხმოდ ჩამომცვივდა სახეზე.

სიჩუმე ესმეს მობილურის ვიბრაციამ დაარღვია, მან ის ყურთან მიიტანა.

— ახლა, — თქვა მან. როზალი კარებისკენ წავიდა, ისე რომ ჩემსკენ არც შემოუხედავს. ესმი კი ჩემს ლოყას შეეხო.

MYTOPBOOK.ORG

—— თავს გაუფრთხილდი, —— დაიჩურჩულა მან და კარებისკენ მისრიალდა. მე გავიგონე პიკაპის გრუხუნისა და წასვლის ხმა.

ჯასპერი და ელისი იცდიდნენ. ელისმა ტელეფონი მანამ მიიტანა ყურთან სანამ დარეკვას მოასწრებდა,

——ედვარდი ამბობს რომ ქალი ესმეს კვალს მიყვება, მე მანქანას მოვიყვან, —— ელისი ედვარდივით გაქრა სიბნელეში.

მე და ჯასპერმა ერთმანეთს შევხედეთ, ის იდგა ჩემსგან შესასვლელის გასწვრივ სიგრძეზე... ფრთხილობდა.

—— შენ ცდები, და შენ ეს იცი, —— მითხრა მან წყნარად.

—— რა? —— მძიმედ ამოვისუნთქე.

—— მე შემიძლია ვიგრძნო იგივე რასაც შენ ახლა გრძნობ. ——დამიჯერე, ამად ღირხარ.

—— არა, არ ვღირვარ, ——ჩავიბუტბუტე მე, ——თუ მათ რამე დაემართებათ, ეს მოხდება *არაფრის* გამო, ეს უაზრო მსხვერპლი იქნება.

—— შენ ცდები, —— გაიმეორა მან, და კეთილად გამიღიმა.

მე არაფერი გამიგონი, მაგრამ ელისი უკვე წინა კარებიდან შემოვიდა, ჩემსკენ წამოვიდა და მკლავები გამომიწოდა.

—— შეიძლება? —— იკითხა მან.

—— შენ პირველი ხარ ვინც ნებართვა ითხოვა, —— ცალყბად გავუღიმე.

ელისმა თავისი წვრილი მკლავებით ისევე ადვილად ამიყვანა, როგორც ემეტმა და ჩვენ კარებიდან გავფრინდით, უკან კი კაშკაშა სინათლე მოვიტოვეთ.

თავი მეოცე

მოუთმენლთობა

შეცბუნებულმა გავიღვიძე. დანისლული, სიზმრებსა და კოშმარებში გადახლართული ფიქრები მქონდა; საჭიროზე მეტი დრო დამჭირდა იმის გასააზრებლად თუ სად ვიყავი.

ასეთი სასიამოვნო ოთახი ვერსად იქნებოდა თუ არა სასტუმროში. საწოლთან, მაგიდაზე დამაგრებული ნათურები უნებლიედ გასცემდნენ რომ ნამდვილად სასტუმროს ნომერი იყო, ასევე გრძელი ფარდაგებიც,

MYTOPBOOK.ORG

რომლების იგივე ქსოვილისგან იყო დამზადებული რისგანაც საწოლის გადასაფარებელი, კედლებზე კი აკვარელის ანაბეჭდები იყო გამოსახული.

ვეცადე გამეხსენებინა აქ როგორ მოვხვდი, მაგრამ თავიდან არაფერი მომაგონდა.

შავი პრიალა მანქანა გამახსენდა, რომლის ფანჯრის მინები ლიმუზინისაზე მუქი იყო. ძრავა თითქმის უხმაურო იყო მიუხედავად იმისა, რომ ავტოსტრადაზე დასაშვებზე ორჯერ დიდი სიჩქარით მივქროდით.

შემდეგ კი ელისი გამახსენდა, რომელიც ჩემს გვერდით მუქი ფერის ტყავის უკანა სავარძელზე იჯდა. მთელი ამ გრძელი ღამის განმავლობაში ჩემი თავი როგორღაც მისი გრანიტის ყელთან ბოლოვდებოდა. ჩემი სიახლოვე მას სულაც არ ანაწყენებდა და მისი ცივი, მყარი კანი უცნაურად კომფორტული იყო ჩემთვის. მისი თხელი ბამბის პერანგიც ცივი იყო და სველი, ნოტიო ცრემლებით, რომლებიც ჩემი თვალებიდან მოედინებოდა სანამ არ ჩამიწითლდა, ავადმყოფური შესახედაობის არ გამიხდა და ცრემლი არ გამიშრა.

ძილი გამიკრთა; ნატკენი თვალები დამეჭიმა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც იქნა ღამე დასრულდა და განთიადმაც მოაღწია სადღაც კალიფორნიის დაბალ მწვერვალებს მიღმა. ნაცრისფერმა სინათლემ, რომელიც უღრუბლო ცას აჭრელებდა, თვალებში შემომაჭყიტა. მაგრამ მათი დახუჭვა არ შემეძლო; როცა დავხუჭე, სურათები, რომლებიც უეცრად ისე ნათლად აენთო, თითქოს ჩემს ქუთუთოების მიღმა მართლა მისრიალებდა, აუტანელი იყო. ჩარლის გაბზარული გამომეტყველება- ედვარდის მხეცური ღრენა, კბილების გაელვება- როზალის ღვარძლიანი გამოხედვა- მოთვალთვალის მახვილი გამომცდელი მზერა- მკვდარი გამომეტყველება ედვარდის თვალებში... ამ სურათების ატანა არ შემეძლო. ამიტომ ვებრძოდი დაღლილობას, ამასობაში მზეც ამოიწვერა.

ჯერ კიდევ მეღვიძა ალაგ-ალაგ მთებს შორის რომ გამოვიარეთ, მზე ჩვენს უკან ფენიქსის მეტროპოლიტენის სახურავზე ირეკლებოდა. გაოცების თავიც აღარ მქონდა, რომ სამდღიანი მგზავრობის დამთავრება ერთ დღეში მოვახერხეთ. გულგრილად მივჩერებოდი ჩემს წილ გადაშლილ ბრტყელ

MYTOPBOOK.ORG

სივრცეს. ფენიქსი- პალმები, დაბალი კრეოზოტები, გადამკვეთი ავტოსტრადების შემთხვევითი ხაზები, გოლფის მწვანე გაზონები, საცურაო აუზების ფირუზისფერი ლაქები, ეს ყველაფერი ჩაძირული თხელ ნისლში და გარშემორტყმული მოკლე, კლდოვანი ქედებით, რომელიც ნამდვილად არაა იმხელა, რომ მთა ერქვას.

პალმის ჩრდილები ავტოსტრადაზე ეცემოდა- უფრო მკვეთრად ვიდრე მახსოვდა და უფრო მკრთალად ვიდრე უნდა ყოფილიყო. ამ ჩრდილებში ვერაფერი დაიმალებოდა. ნათელი, გახსნილი ავტოსტრადა საკმაოდ მშვიდი ჩანდა. მაგრამ მშობლიურ ქალაქში დაბრუნების გამო სიხარულს არ ვგრძნობდი.

_აეროპორტის გზა რომელია, ბელა?- მკითხა ჯასპერმა, მე თავი ავარიდე, თუმცა მისი ხმა საკმაოდ რბილად და აუღელვებლად ჟღერდა. ეს პირველი ხმა იყო მანქანის გუგუნის გარდა, რომელმაც ღამის სიჩუმე გაკვეთა.

_ამ გზაზე დარჩი.-ავტომატურად ვუპასუხე.-რამდენიმე წუთში ჩავუვლით აეროპორტს.

ჩემი ტვინი უძილობის გამო ნელა მუშაობდა.

_სადმე მივფრინავთ?-ვკითხე ელისს.

_არა, მაგრამ აჯობებს თუ ახლოს ვიქნებით აეროპორტთან, ყოველი შემთხვევისთვის.

მახსოვს როგორ შევედით „სქაი ჰარბორ ინთერნეიშენალის“ წრეზე... მაგრამ გზის ბოლო არ მახსოვდა. ვვარაუდობდი, რომ სწორედ ამ დროს ჩამეძინა.

თუმცა ახლა, როცა მოგონებებს ჩავუკვირდი, ბუნდოვნად გამახსენდა მანქანიდან გადმოსვლა- მზე ახალი ჩასული იყო ჰორიზონტს მიღმა- ხელი ელისს გადავხვიე მხარზე, მან წელზე შემომხვია ხელი მაგრად, წინ მიმათრევდა სანამ თბილ, მშრალ ჩრდილებზე მივბორძიკობდი.

MYTOPBOOK.ORG

ამ ოთახზე არაფერი მახსოვდა.

ტუმბოზე დადებულ ციფრებიან საათს გავხედე. წითელი ციფრები აცხადებდნენ, რომ სამი საათი იყო, მაგრამ არაფერი მიანიშნებდა იმაზე დღე იყო თუ ღამე. სინათლის ოდნავი სხივიც კი ვერ იჭრებოდა სქელი ფარდების გამო, მაგრამ ოთახი ნათურებით იყო განათებული.

მოუქნელად წამოვჯექი და ფანჯარასთან მივბარბაცდი, ფარდაგები გადავწიე.

გარეთ ბნელოდა. ესეიგი დილის 3 საათია. ჩემი ოთახი მიტოვებული ავტოსტრადის განყოფილებას და აეროპორტის გრძელ გარაჟებს გადაჰყურებდა. ცოტა მანუგეშებელი იყო ის ფაქტი, რომ დროისა და ადგილის დადგენა შევძელი.

ტანზე დავიხედე. ისევ ესმის ტანსაცმელი მეცვა, რომელიც მაინცდამაინც არ მერგებოდა. ოთახი მოვათვალიერე, გახარებულმა აღმოვაჩინე ჩემი ნივთების ჩანთა დაბალ კარადაზე.

ახალი ტანსაცმლის ამოსაღებად გავემართე, კარზე მსუბუქმა დაკაკუნებამ რომ შემახტუნა.

_შეიძლება შემოვიდე?- მკითხა ელისმა.

ღრმად ჩავისუნთქე.

_რა თქმა უნდა.

შემოვიდა და ფრთხილად შემათვალიერა. „თუ შენი გამომეტყველებით ვიმსჯელებთ, შეგეძლო ცოტა კიდევ გეძინა,“ თქვა მან.

უბრალოდ თავი გავაქნიე.

ის წყნარად მივიდა ფარდებთან და მშვიდად ჩამოაფარა სანამ ისევ მე მომიბრუნდებოდა.

_ნომერში დარჩენა მოგვიწევს,- მითხრა.

MYTOPBOOK.ORG

_კარგი,- ხრინწიანი ხმა მქონდა; ჩამეხლიჩა.

_გწყურია?- მკითხა.

მხრები ავიჩეჩე.

_მე არაფერი მიჭირს, შენ როგორ ხარ?

_განსაკუთრებული არც მე მჭირს რამე,- გაიღიმა. -შენთვის საჭმელი შევუკვეთე, წინა ოთახშია. ედვარდმა შემახსენა, რომ შენ ჩვენზე ბევრად ხშირად გჭირდება კვება.

მაშინვე ყურები ვცქვიტე.

_დარეკა?

_არა,- მითხრა და დაინახა როგორ ჩემომეღვენთა სახე. -სანამ წამოვიდოდით მანამდე გამაფრთხილა.

ფრთხილად ჩამკიდა ხელი და კარით სასტუმროს ნომრის მისაღებში გამიყვანა. ტელევიზორის ხმადაბალი ზუზუნი მომესმა. ჯასპერი გაუნძრევლად იჯდა კუთხეში საწერ მაგიდასთან და ყოველგვარი ინტერესის გარეშე უყურებდა ახალ ამბებს.

პირდაპირ იატაკზე დავჯექი დაბალი მაგიდის გვერდით, სადაც საჭმლიანი ლანგარი მელოდებოდა და რაღაცეების ამორჩევა დავიწყე, საერთოდ არ ვაქცევდი ყურადღებას რას ვჭამდი.

ელისი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ჯასპერივით გულგრილად მიაჩერდა ტელევიზორს.

ნელა ვჭამდი, თან ელისს ვუყურებდი, შიგადაშიგ სწრაფ მზერას ავლებდა ჯასპერს. ნელ-ნელა გავიაზრე რომ მეტისმეტად მშვიდად ისხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რეკლამები გადიოდა, ეკრანს მაინც არ აცილებდნენ თვალს. ლანგარს ხელი ვკარი, უცებ მუცელი ამიბუყბუყდა. ელისმა გადმომხედა.

_რა მოხდა, ელის?

MYTOPBOOK.ORG

_არაფერი,- ფართოთ გახელილი გულწრფელი თვალებით მიყურებდა... მაგრამ მე არ ვენდობოდი ამ მზერას.

_ახლა რას ვაკეთებთ?

_ველოდებით კარლაილი როდის დარეკავს.

_და უკვე უნდა დაერეკა?- მივხვდი, რომ ნიშანთან ახლოს ვიყავი. ელისმა მზერა მის ტყავის ჩანთაზე დადებულ ტელეფონზე გადაიტანა და მერე ისევ მე შემომხედა.

_ეს რას ნიშნავს?-ხმა ამიკანკალდა, შევეცადე დამემშვიდებინა. -ჯერ რომ არ დაურეკავს?

_მხოლოდ იმას, რომ მათ უბრალოდ არაფერი აქვთ ჩვენთვის სათქმელი.

მაგრამ მომეჩვენა, რომ ზედმეტად მშვიდი ხმა ჰქონდა და ჰაერი დამძიმდა.

უცებ ჯასპერი ელისის გვერდით გაჩნდა, ასე ახლოს ჩემთან მანამდე არ მოსულა.

_ბელა,- საეჭვოდ დამამშვიდებელი ხმით მითხრა. -სანერვიულო არაფერი გაქვს. აქ სრულიად უსაფრთხოდ ხარ.

_ეგ ვიცი.

_მაშინ რატომ გეშინია?- დაბნეულმა მკითხა. მან ალბათ ჩემი ემოციების სიმძაფრე იგრძნო, მაგრამ მათ მიზეზს ვერ ხვდებოდა.

_ხომ გაიგონე ლორენმა რა თქვა.- ახლა მხოლოდ ვჩურჩულებდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი მათ ესმოდათ ჩემი ხმა. -მან თქვა, რომ ჯეიმსი მომაკვდინებელია. რამე ცუდად რომ წავიდეს და ისინი გაიყონ? რომელიმე მათგანს კარლაილს, ემეტს... ედვარდს რამე რომ მოუვიდეთ...- ლამის დავიხრჩვი. -იმ ველურმა ქალმა ესმის რამე რომ დაუშავოს...- ხმა ამიმაღლდა, ისტერიკის ნიშნები იზრდებოდა მასში. -როგორღა ვიცხოვრებ, როცა ეს ჩემი ბრალი იქნება? არცერთი თქვენგანი არ უნდა რისკავდეს თავის სიცოცხლეს ჩემთვის...

MYTOPBOOK.ORG

_ბელა, ბელა, გაჩუმდი,- ჯასპერმა გამაწყვეტინა, მისი სიტყვები ისე სწრაფად იღვრებოდა, რომ ძლივს ვიგებდი. -ყველაფერზე უსაფუძვლოდ ნერვიულობ, ბელა. ამაში მენდე- საფრთხეში არცერთი ჩვენგანი არაა. შენ ისედაც ძალიან დაძაბული ხარ, ნუღარ დაუმატებ ამას უსაფუძვლო შიშებს. მომისმინე!- მიბრძანა, რადგან მზერა ავარიდე. -ჩვენი ოჯახი ძლიერია. ჩვენ მხოლოდ შენი დაკარგვის გვეშინია.

_მაგრამ რატომ უნდა...

ამჯერად ელისმა შემაწყვეტინა, ლოყაზე შემეხო ცივი თითებით. _თითქმის საუკუნეა ედვარდი მარტოა. ახლა მან შენ გიპოვა. შენ ვერ ამჩნევ იმ ცვლილებებს რასაც ჩვენ ვხედავთ, ჩვენ ვინც ამდენი ხანი იყო მასთან ერთად. შენი აზრით, რომელიმე ჩვენგანი გაბედავს თვალებში უყუროს მას მომავალი ასი წელი, თუკი ის შენ დაგკარგავს?

მის შავ თვალებში ჩაძირვისას ნელ-ნელა იკლო დანაშაულის გრძნობამ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სიმშვიდემ იფეთქა ჩემში, ვიცოდი, რომ ვერ ვენდობოდი ჩემს გრძნობებს, როცა ჯასპერი იქ იყო.

ეს ძალიან გრძელი დღე იყო.

ოთახში დავრჩით. ელისმა მისაღებში დარეკა და გაუქმა დამლაგებლის მომსახურება. ფანჯრები ისევ დაკეტილი იყო, ტელევიზორი ჩართული, მიუხედავად იმისა, რომ არავინ უყურებდა. ზუსტი განრიგით მოჰქონდათ საჭმელი ჩემთვის. ელისის ჩანთაზე დასვენებული ვერცხლისფერი ტელეფონი თითქოს დროის გასვლასთან ერთად უფროდაუფრო იზრდებოდა.

ჩემი ძიძები ჩემზე უკეთესად უმკლავდებოდნენ გაურკვევლობას. მე რომ ვწრიალებდი და ბოლთას ვცემდი, ისინი პირიქით უფრო მშვიდები ხდებოდნენ, ორი ქანდაკება, რომელიც შეუმჩნევლად ადევნებდა თვალს ჩემს ყოველ მოძრაობას. ოთახის დამახსოვრებით გამყავდა დრო; ზოლებიანი სავარძელი, რუჯის, ატმის, ნაღების, ოქროსფერი და მერე ისევ რუჯის. ზოგჯერ აბსტრაქტულ ნახატებს ვაკვირდებოდი, ალალბედზე ვცდილობდი მათში რაიმეს ამოცნობას, როგორც ბავშვობაში ვპოულობდი ფიგურებს ღრუბლებზე. ასე აღმოვაჩინე ლურჯი ხელი, ქალი, რომელიც

MYTOPBOOK.ORG

თმას ივარცხნიდა და კატა, რომელიც იზმორებოდა. მაგრამ ბაცი წითელი ფერის წრეს ჩემზე მოშტერებულ თვალად რომ გადაიქცა, მზერა ავარიდე.

შუადღის განმავლობაში საწოლში დავბრუნდი, უბრალოდ იმიტომ, რამე რომ გამეკეთებინა. იმედი მქონდა, რომ სიბნელეში მარტო ყოფნისას მივეცემოდი ჩემს შემზარავ შიშებს, რომელიც ჩემს ცნობიერებაში დალივლივებდა და რომელსაც გამოხატვა არ ეწერა ჯასპერის ფხიზელი ზედამხედველობის პირობებში.

მაგრამ ელისი სასხვათაშორისოდ გამომყვა, თითქოს ჩვენი განწყობა დაემთხვა და ჩემი არ იყოს, ისიც დაიღალა წინა ოთახში ყოფნით. უკვე დამაინტერესა როგორი ინსტრუქციები მისცა მას ედვარდმა. მე საწოლზე გადავწექი, ელისი ფეხებმოკეცილი დაჯდა ჩემს გვერდით. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, უცებ მომეჩვენა, რომ ისე დავიღალე ჩამეძინებოდა. მაგრამ რამდენიმე წუთი გავიდა და პანიკა, რომელიც ჯასპერის თანდასწრებით მიყუჩებული იყო, ნელ-ნელა იჩინა თავი. მაშინვე ჩავიქნიე ხელი ძილზე, პატარა ბურთად მოვეხვიე და ხელები დაწოლილმა შემოვიხვიე მუხლებზე.

_ელის?- ვიკითხე.

_დიახ?

სრულიად მშვიდი ხმა შევინარჩუნე.

_შენი აზრით ახლა რას აკეთებენ?

_კარლაილს უნდოდა მაძებარი რაც შეიძლებოდა ჩრდილოეთით წაეყვანა, დალოდებოდა რომ ახლოს მისულიყო, შემდეგ მობრუნდებოდა და ჩაუსაფრდებოდნენ. ესმი და როზალი აპირებდნენ რაც შეიძლება დასავლეთით წაეყვანათ ქალი. თუ მობრუნდებოდა, მაშინ ფორქსში დაბრუნდებოდნენ, რომ მამაშენისთვის ედევნებინათ თვალ-ყური. ასე რომ მე ვფიქრობ ყველაფერი კარგად მიდის, რადგან დარეკვას ვერ ახერხებენ. ეს ნიშნავს, რომ მაძებარი იმდენად ახლოსაა მათთან, რომ არ რეკავენ მან რომ არ მიაყურადოს.

_და ესმი?

MYTOPBOOK.ORG

_ვფიქრობ, რომ ფორქსში დაბრუნდა. ის არ დარეკავს, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ ქალი არ მიაყურადებს. ჩემი აზრით ისინი უბრალოდ ძალიან ფრთხილობენ.

_მართლა ფიქრობ, რომ უსაფრთხოდ არიან?

_ბელა, რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ჩვენ საფრთხე არ გვემუქრება?

_ასე რომც არ ყოფილიყო სიმართლეს მაინც მეტყოდი?

_ჰო. მე ყოველთვის სიმართლეს გეტყვი.- სერიოზული ხმა ჰქონდა.

წამით გავიაზრე მისი ნათქვამი და შემდეგ გადავწყვიტე, რომ არ მატყუებდა.

_მაშინ მომიყევი... როგორ უნდა გახდე ვამპირი?

ჩემმა კითხვამ ფარ-ხმალი დააყრევინა. ცოტა ხანს ჩუმად იყო. გადავბრუნდი რომ მისთვის შემეხედა, გაორებული გამომეტყველება ჰქონდა.

_ედვარდს არ უნდა რომ გითხრა,- მტკიცედ მითხრა, მაგრამ ვიგრძენი რომ მას არ ეთანხმებოდა.

_უსამართლობაა. მგონი, უფლება მაქვს, ვიცოდე.

_ვიცი.

თვალებში შევხედე, ველოდებოდი.

მან ამოიოხრა.

_*უკიდურესად* გაბრაზდება.

_რა იმის საქმეა. ეს მხოლოდ მე და შენ გვეხება. ელის, როგორც მეგობარს, გეხვეწები.- და ჩვენ უკვე მართლა მეგობრები ვიყავით, როგორღაც- მან ალბათ უკვე დიდი ხნის წინ იცოდა, რომ ასე იქნებოდა.

თავისი გასაოცარი, ჭკვიანი თვალებით მიყურებდა... ყოყმანობდა.

MYTOPBOOK.ORG

_მექანიზმს მოგიყვები,- თქვა ბოლოს. -მაგრამ მეთვითონ არ მახსოვს, არც გამიკეთებია ეს და არც პროცესი მინახავს, ამიტომ მხედველობაში იქონიე, რომ მხოლოდ თეორიის მოყოლა შემიძლია.

მე ვუცდიდი.

_როგორც მტაცებლებს, ჩვენ ბლომად იარაღი გვაქვს ჩვენ ფიზიკურ არსენალში- ბევრად, ბევრად მეტი ვიდრე სინამდვილეში გვჭირდება. ძალა, სიჩქარე, მძაფრი შეგრძნებები, რომ აღარაფერი ვთქვათ ედვარდზე, ჯასპერზე და ჩემზე, ჩვენ ხომ დამატებითი შეგრძნებები გვაქვს. ამას გარდა, მტაცებელი ყვავილებივით მიმზიდველები ვართ ჩვენს მსხვერპლთათვის.

გავხევდი, გამახსენდა როგორ კრიტიკულად მიჩვენა იგივე თეორია ედვარდმა მდელოზე.

ავისმომასწავებლად გამიღიმა.

_ჩვენ კიდევ ერთი ნამდვილად ზედმეტი იარაღი გვაქვს. შხამიანები ვართ,-მითხრა მან, მისმა კბილებმა გაიბრწყინეს. -ჩვენი შხამი არ კლავს- უბრალოდ ძალას ართმევს. ნელა მოქმედებს, სისხლთან ერთად ვრცელდება, ისე, რომ ერთი კბენით ჩვენი მსხვერპლი იმხელა ტკივილს განიცდის, რომ ვეღარ ახერხებს ჩვენგან გაქცევას. როგორც გითხარი, უმეტესწილად ზედმეტი იარაღია. თუ ჩვენ ასე ახლოს ვართ მასთან, მსხვერპლი ვერ გაგვირბის. თუმცა რათქმა უნდა გამონაკლისი ყოველთვის არის. კარლაილი, მაგალითად.

_ესეიგი... თუ შხამი დარჩება და გავრცელდება...- ჩავიბუტბუტე.

_გარდაქმნის დასრულება რამდენიმე დღე სჭირდება, გააჩნია სისხლში რა რაოდენობით შხამი დარჩება, რამდენად ახლოს შევა შხამი გულთან. სანამ გული ცემს, შხამი ვრცელდება, კურნავს და ცვლის სხეულს სანამ მასში მოძრაობს. საბოლოოდ გული ჩერდება და გარდაქმნა დასრულებულია. მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში, მსხვერპლი ყოველ წუთას სიკვდილს ნატრულობს.

გამაკანკალა.

MYTOPBOOK.ORG

_როგორც ხედავ, არც ისე სასიამოვნო პროცესია.

_ედვარდმა თქვა, რომ ძნელია ამის გაკეთება... წესიერად ვერც გავიგე,- ვთქვი.

_რაღაცმხრივ ზვიგენებს ვგავართ. როგორცკი სისხლს გავსინჯავთ ან უბრალოდ სუნი გვეცემა, ძალიან რთული ხდება თავის შეკავება. ზოგჯერ შეუძლებელიც. ასე რომ როგორც ხედავ, ვინმეს მართლა რომ უკბინო, სისხლს გემო გაუსინჯო, მაშინვე დაიწყება ეს სიგიჟე. მერე ორივე მხარისთვის რთული ხდება- ერთისმხრივ სისხლის წყურვილი და მეორესმხრივ საშინელი ტკივილი.

_როგორ ფიქრობ, შენ რატომ არ გახსოვს?

_არ ვიცი. სხვებისთვის ყველასთვის გარდაქმნის ტკივილი ყველაზე მძაფრი მოგონებაა, რომელიც ადამიანური ცხოვრებისგან შემორჩათ. მე არაფერი მახსოვს ადამიანობიდან.- ნაღვლიანი ხმა ჰქონდა.

წყნარად ვიწექით, ჩვენს საკუთარი ფიქრებში ჩაძირულები.

წამები წიკწიკით გადიოდა, ისე ვიყავი გახვეული ჩემს ფიქრებში, რომ თითქმის დამავიწყდა ელისის არსებობა.

შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მსუბუქად წამოხტა საწოლიდან ფეხზე. შეშინებულმა წამოვყავი თავი.

_რაღაც შეიცვალა.- განგაშით სავსე ხმა ჰქონდა, თუმცა მე უკვე აღარ მელაპარაკებოდა.

ჯასპერი იმ დროს მოაწყდა კარებს გარედან, როდესაც ელისი სწვდა სახელურს. მან აშკარად მოისმინა ჩვენი საუბარი და ელისის წამოძახილიც. ჯასპერმა ხელები მხრებზე დააწყო მას, საწოლისკენ წამოიყვანა და კიდეზე ჩამოსვა.

_რას ხედავ?- შეუპოვრად ჰკითხა, თან თვალებში უყურებდა. ელისი კი ამ დროს სადღაც ძალიან შორს იყურებოდა. ახლოს მივუჯექი, მისკენ გადავიხარე, რომ ხმადაბალი სწრაფი ხმა გამეგონა.

MYTOPBOOK.ORG

_ოთახს ვხედავ. გრძელი ოთახია და ყველგან სარკეებია. იატაკი ხისაა. ის ოთახშია და ელოდება. ოქროსფერი... ოქროსფერი ზოლი აქვს სარკეებს.

_სად არის ეგ ოთახი?

_არ ვიცი. რაღაც აკლია- კიდევ რაღაც გადაწყვეტილება არ მიღებულა ჯერ.

_დრო რამდენი გვაქვს?

_ეს მალე მოხდება. მაძებარი სარკეებიან ოთახში დღეს ან ხვალ იქნება. ყველაფერს გააჩნია. ის რაღაცას ელოდება. და ახლა სიბნელეშია.

ჯასპერი მშვიდად, თანმიმდევრულად უსვამდა კითხვებს ელისს, ალბათ უკვე გაწაფული იყო ამ საქმეში.

_ახლა რას აკეთებს?

_ტელევიზორს უყურებს... არა, ვიდეო მაგნიტოფონს სიბნელეში, სადღაც სხვაგან.

_ხედავ სად არის?

_არა, ძალიან ბნელა.

_და სარკეებიანი ოთახში, კიდევ რა არის იქ?

_მხოლოდ სარკეები და ოქროსფერი. თითქოს ლენტი აქვს შემოვლებული ოთახს. კიდევ შავი მაგიდაა დიდი სტერეო სისტემით და ტელევიზორით. ის იქ ეხება ვიდეომაგნიტოფონს, მაგრამ ისე არ უყურებს, როგორც ბნელ ოთახში. ეს ის ოთახია სადაც იცდის.- მან მზერა ჯასპერს მიაპყრო.

_მეტი არაფერია?

მან თავი გააქნია. ისინი გაშეშებულები უყურებდნენ ერთმანეთს.

_ეს რას ნიშნავს?- ვიკითხე.

მაშინვე არცერთმა არ მიპასუხა, შემდეგ ჯასპერმა შემომხედა.

MYTOPBOOK.ORG

_ეს იმას ნიშნავს, რომ მაძებარის გეგმები შეიცვალა. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სარკეებიან და ბნელ ოთახებამდე მიიყვანს.

_მაგრამ ჩვენ არ ვიცით სად არის ეს ოთახები?

_ასეა.

_სამაგიეროდ ზუსტად ვიცით, რომ ჩრდილოეთ ვაშინგტონის მთებში არაა გახიზნული. მათ მაძებარი გაუსხლტებათ.- ცივი ხმა ჰქონდა ელისს.

_ხომ არ უნდა დავურეკოთ?- ვიკითხე. მათ ყოყმანით გადახედეს ერთმანეთს.

  და ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

  ელისმა მანამ გადაჭრა ოთახი სანამ მე თავის აწევა და ტელეფონისთვის შეხედვა მოვასწარი.

  ღილაკს დააჭირა თითი და ტელეფონი ყურთან მიიდო, მაგრამ თავიდან ხმა არ ამოუღია.

_კარლაილ,- ამოისუნთქა. ვერც გაოცება შევატყვე და ჩემგან განსხვავებით ვერც შვება.

_ჰო,- თქვა მან და მე გამომხედა. კარგა ხანს უსმენდა.

_სწორედ ახლახანს დავინახე.- მან კიდევ ერთხელ აღწერა ხილვა. -რასაც არ უნდა ეიძულებინა იმ თვითმფრინავში ასვლა... მაინც იმ ოთახებამდე მიჰყავს.- გაჩუმდა. -ჰო,- უპასუხა ტელეფონს და შემდეგ მე მითხრა -ბელა?

  ტელეფონი გამომიწოდა. მასთან მივირბინე.

_გისმენთ?- სუნთქვას ამოვაყოლე.

_ბელა,- თქვა ედვარდმა.

_ო, ედვარდ! ისე ვნერვიულობდი.

MYTOPBOOK.ORG

_ბელა,- ნირწამხდარმა ამოიოხრა. -ხომ გითხარი საკუთარი თავის გარდა არაფერზე ინერვიულო მეთქი.- დაუჯერებლად სასიამოვნო იყო მისი ხმის გაგონება. მის ხმას რომ ვუსმენდი, ვიგრძენი სასოწარკვეთილების მოლივლივე ღრუბელი როგორ შემიმსუბუქდა და უკანა პლანზე გადავიდა.

_სად ხარ?

_ვენკუვერს გარეთ ვართ. ბელა, მაპატიე- ჩვენ დავკარგეთ ის. როგორც ჩანს რაღაც იეჭვა, ფრთხილობს და ისეთ მანძილზე რჩება ჩვენგან, რომ მისი ფიქრები არ მესმის. მაგრამ ახლა გაქრა- როგორც ჩანს თვითმფრინავში ავიდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფორქსისკენ მიემართება, რომ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყოს. გავიგონე ელისი როგორ ელაპარაკებოდა ჯასპერს, მაგრამ მე მხოლოდ მისი ჩქარი სიტყვების ზუზუნს ვარჩევდი.

_ვიცი. ელისმა დაინახა რომ დაგისხლტათ.

_მიუხედავად ამისა, სანერვიულო მაინც არ გაქვს. ისეთს ვერაფერს იპოვის, რაც შენამდე მოიყვანს. უბრალოდ უნდა მოიცადო და დაელოდო სანამ ისევ ვიპოვით მას.

_კარგად ვიქნები. ესმი ჩარლისთანაა?

_ჰო, ქალი ქალაქში იყო. ის სახლშიც კი მივიდა, მაგრამ იმ დროს ჩარლი სამუშაოზე იყო. მას არც კი მიახლოებია, ასე რომ ნუ გეშინია. მამაშენი უსაფრთხოდაა ესმის და როზალის მეთვალყურეობის ქვეშ.

_ქალი რის გაკეთებას ცდილობს?

_ალბათ კვალის აღებას. მთელი ღამე ქალაქში იყო. როზალი აეროპორტამდე მიყვა მის კვალს, ქალაქის მთელ გზები მოიარა, სკოლა... ეძებს, ბელა, მაგრამ ვერაფერს იპოვის.

_და დარწმუნებული ხარ რომ ჩარლის არაფერი ემუქრება?

_ჰო, ესმი თვალს არ მოაცილებს. და ჩვენც მალე ჩავალთ. მაძებარი ფორქსის სიახლოვეს თუ გამოჩნდება ხელში ჩავიგდებთ.

_მენატრები,- ვუჩურჩულე.

MYTOPBOOK.ORG

_ვიცი, ბელა. დამიჯერე, ვიცი. ისეთი შეგრძნება მაქ, რომ ჩემი ნახევარი გაიყოლე თან.

_მაშინ მოდი და წაიღე...

_მალე, რაც შემიძლია მალე მოვალ. მანამდე საფრთხეს მოგაშორებ.- მტკიცე ხმა ჰქონდა.

_მიყვარხარ,- შევახსენე.

_გჯერა, რომ მიუხედავად ყველაფერ იმისა რაშიც გაგხვიე, მეც მიყვარხარ?

_კი, მჯერა.

_მალე მოვალ შენთან.

_დაგელოდები.

როგორც კი ყურმილი გავთიშე დათრგუნვილობის ღრუბელმა ისევ შემომიტია.

შევბრუნდი, რომ ტელეფონი ელისისთვის დამებრუნებინა, დავინახე ის და ჯასპერი როგორ იყვნენ დახრილები მიგიდისკენ სადაც ელისი სასტუმროს ფურცლებზე აკეთებდა ჩანახატს. დივნის უკნიდან გადავიხარე და ელისის მხარზემოდან დავხედე მონახაზს.

მან ოთახი დახატა: გრძელი, მართკუთხედის ფორმის, უკანა ნაწილში უფრო წვრილი კვადრატული ფორმის განყოფილებით. იატაკის ხის ფიცრები ოთახს სიგრძეზე კვეთდა. კედლებზე ქვემოთ იყო ხაზები, რომლებიც ბზარებად ირეკლებოდა სარკეებში. და კიდევ კედლებზე გაყოლებული წელამდე სიმაღლის გრძელი ლენტი. ლენტი, რომელზეც ელისმა თქვა რომ ოქროსფერი იყო.

_ბალეტის სტუდიაა,- ვთქვი, უეცრად გავარჩიე ნაცნობი ფორმები.

გაოცებულებმა შემომხედეს.

MYTOPBOOK.ORG

_ეს ოთახი გეცნობა?- ჯასპერის ხმა მშვიდად ჟღერდა, მაგრამ მასში რაღაც ქვეტექსტი იგრძნობოდა, რომლის გაშიფრვაც ჩემს ძალებს აღემატებოდა. ელისმა თავის ნამუშევარზე დახარა თავი, მისი ხელი უკვე დაფრინავდა ფურცელზე, საავარიო გასასვლელი სწრაფად იღებდა ფორმას უკანა კედელთან, ასევე სტერეო სისტემა და ტელევიზორი დაბალ მაგიდაზე წინა მარჯვენა კუთხეში.

_იმ ადგილს გავს სადაც ცეკვის გაკვეთილებზე დავდიოდი- როცა რვა თუ ცხრა წლის ვიყავი. ისიც ასეთი დარბაზი იყო.-ფურცლის იმ ნაწილს შევეხე სადაც კვადრატული განყოფილება მოჩანდა, სადაც ოთახის ბოლო ვიწროვდებოდა. -სწორედ აქ იყო საშხაპეები- კარებები სხვა საცეკვაო დარბაზშიც გადიოდა. მაგრამ სტერეო სისტემა აქ იყო- __მარცხენა კუთხეზე მივუთითე. -ის უფრო ძველი იყო და თან ტელევიზორიც არ გვქონდა. მოსაცდელში ფანჯარა იყო- თუ გაიხედავდი იქიდანაც ყველაფერი ჩანდა.

ელისი და ჯასპერი მე მომჩერებოდნენ.

_დარწმუნებული ხარ, რომ ეს ის ოთახია?- ისევ მშვიდი ხმით მკითხა ჯასპერმა.

_არა, სულაც არა- მგონი ყველა ცეკვის სტუდია ერთნაირად გამოიყურება- სარკეები, დასაყრდენი ბარიერები.- თითი გავაყოლე ბალეტის სავარჯიშო საყრდენებს, რომლებიც სარკეების გასწვრივ იყო გაყოლებული კედლებზე. -უბრალოდ ოთახის ფორმა მომეჩვენა ნაცნობი.- კარს შევეხე, რომელიც ზუსტად იმ ადგილას იყო დატანებული სადაც მე მახსოვდა.

_რამე მიზეზი შეიძლებოდა გქონოდა იქ მისასვლელად?- ელისის კითხვა ჩემს ფიქრებში შემოიჭრა.

_არა, თითქმის ათი წელია იქ არ ვყოფილვარ. საშინლად ვცეკვავდი- კონცერტებზე ყოველთვის უკან მაყენებდნენ ხოლმე,- ვაღიარე.

_ესეიგი ეს ვერანაირად ვერ იქნება შენთან დაკავშირებული?- ჩამეკითხა ელისი.

MYTOPBOOK.ORG

_არა, ალბათ იგივე მფლობელის აღარც არის. დარწმუნებული ვარ, ეს რომელიღაც სხვა სტუდიაა სულ სხვაგან.

_შენ რომ დადიოდი ის სტუდია სად იყო?- სასხვათაშორისო ხმით მკითხა ჯასპერმა.

_დედაჩემის სახლიდან სულ რაღაც ერთ მოსახვევში. სკოლის შემდეგ ფეხით მივდიოდი ხოლმე იქ...- ვთქვი და ხმა ჩამიწყდა. არ გამომპარვია მზერა, რომლითაც ერთმანეთს გადახედეს.

_ესეიგი აქაა, ფენიქსში?- ისევ სასხვათაშორისო ტონი ჰქონდა ჯასპერს.

_ჰო,- დავიჩურჩულე. -ორმოცდამეთვრამეტესა და კაქტუსის კვეთაზე.

სიჩუმეში ვისხედით და ნახატს ვუყურებდით.

_ელის, უსაფრთხოა ამ ტელეფონით საუბარი?

_კი,- დამარწმუნა. -ნომრის კვალი ისევ ვაშინგტონამდე მიიყვანს მათ.

_ესეიგი შემიძლია დედაჩემს დავურეკო.

_მე მეგონა ფლორიდაში იყო დედაშენი.

_არის კიდევაც,- მაგრამ მალე დაბრუნდება და სახლში ხომ ვერ მივა სანამ...- ხმა ამითრთოლდა. იმაზე ვფიქრობდი რაც ედვარდმა მითხრა, წითელთმიან ქალზე ჩარლის სახლში, სკოლაში, სადაც ჩემი ვიდეოჩანაწერები იქნებოდა.

_როგორ დაუკავშირდები?

_სახლის ნომრის გარდა სხვა მუდმივი ნომერი არ აქვთ,- მაგრამ დედა სისტემატიურად ამოწმებს ხოლმე შეტყობინებებს.

_ჯასპერ?- ჰკითხა ელისმა.

ის ჩაფიქრდა.

MYTOPBOOK.ORG

_არა მგონია ამან რამე ზიანი მოგვიტანოს- რა თქმა უნდა არ უნდა წამოგცდეს სად ხარ.

მონდომებული დავწვდი ტელეფონს და ნაცნობი ნომერი ავკრიფე. ოთხი ზარი გავიდა, შემდეგ კი დედაჩემის მხიარული ხმა გავიგონე, რომელიც მთავაზობდა შეტყობინება დამეტოვებინა.

_დე,- ვთქვი ხმოვანი სიგნალის შემდეგ. -მე ვარ. მისმინე, მინდა რაღაც გააკეთო. ეს მნიშვნელოვანია. როგორც კი ამ შეტყობინებას მიიღებ მაშინვე დამირეკე ამ ნომერზე.- ელისი ჩემს გვერდით გაჩნდა, თავის სურათის ძირში მიწერდა ნომერს. ორჯერ ყურადღებით წავიკითხე. -გთხოვ ნურსად წახვალ სანამ არ დამელაპარაკები. ნუ ღელავ, მე კარგად ვარ, მაგრამ აუცილებლად უნდა გელაპარაკო, მნიშვნელობა არ აქვს რამდენად გვიანაც არ უნდა მიიღო ეს შეტყობინება, კარგი? მიყვარხარ, დე. კარგად.- თვალები დავხუჭე და მთელი გულით ვილოცე, რომ გეგმის არავითარ გაუთვალისწინებელ ცვლილებას არ მიეყვანა სახლამდე სანამ ჩემ შეტყობინებას არ მიიღებდა.

დივანზე მოვკალათდი და გრძელი საღამოს მოლოდინში დარჩენილი ხილის ხრამუნი დავიწყე. ჩარლისთან დარეკვაზე ვფიქრობდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი სახლში იქნებოდა თუ არა. ახალ ამბებს ვუყურებდი, განსაკუთრებით ფლორიდის სიახლეებს ვაკვირდებოდი, იქნებოდა ეს საგაზაფხულო ვარჯიშები- გაფიცვები, ტორნადოები თუ ტერორისტული თავდასხმები, ყველაფერს რასაც შეიძლებოდა ისინი სახლში ნაადრევად დაებრუნებინა.

უკვდავობა ალბათ უსასრულო მოთმინებითაც ასაჩუქრებდა. არც ელისი და არც ჯასპერი არ განიცდიდნენ საერთოდ რაიმეს კეთების საჭიროებას. ელისი ცოტა ხანს თავისი ხილვის ბნელი ოთახის გაურკვეველ კონტურებს ხატავდა, ფორმებს, რომელიც მან ტელევიზორის სინათლეზე დაინახა. მაგრამ როცა მორჩა უბრალოდ დაჯდა, შეუცვლელი თვალებით დაიწყო უსახური კედლების თვალიერება. არც ჯასპერი გამოხატავდა სურვილს წინ და უკან ევლო, ან ფარდის მიღმა გაეჭყიტა, ან ყვირილით გავარდნილიყო კარიდან ჩემგან განსხვავებით.

MYTOPBOOK.ORG

ალბათ დივანზე ჩამეძინა, ისევ ტელეფონის ზარის მოლოდინში. საწოლში რომ მივყავდი ელისის ცივი ხელების შეხებამ მაშინვე გამაღვიძა, მაგრამ სანამ თავს ბალიშზე დავდებდი ისევ გავითიშე.

თავი ოცდამეერთე

ტელეფონის ზარი

მე ისევ გაურკვეველ დროს გამომეღვიძა. როგორც ჩანს, ჩემი ძველი რეჟიმი ისევე დაირღვა, როგორც ჩემი წინა ცხოვრება. საწოლიდან ვუსმენდი, ელისის და ჯასპერის ლაპარაკს მეორე ოთახიდან. უცნაურია, მაგრამ, ყოველდღიურად უფრო უკეთესად მესმის მათი ხმები, ნუთუ სმენა მიუმჯობესდება? თავზე ძალის დატანებით წამოვდექი და მისაღებში გავედი.

საათი, ტელევიზორის თავზე, ღამის 2 საათს აჩვენებდა. ელისი და ჯასპერი სავარძელზე იჯდნენ. გოგონა ისევ ხატავდა, ბიჭი კი თვალს ადევნებდა. ისინი იმდენად გაერთნენ, რომ მგონი ვერც შეამჩნიეს ჩემი გამოჩენა. მე სანახავად მივედი.

––კიდევ დაინახა რამე? –წყნარად ვკითხე ჯასპერს.

––კი, მონადირე, ბნელ ოთახში დაბრუნდა, ვიდეოკამერით, მაგრამ ეხლა სინათლე აანთო.

ფურცელზე გამოსახული იყო ოთკუთხედი დაბალჭერიანი ოთახი. პანელით შემოვლებული კედლები და იატაკზე დაფენილი დიდი ხალიჩით. სამხრეთ კედელზე დიდი სარკე, დასავლეთით – მისაღებში გასასვლელი თაღი. თაღის ერთ მხარეს – ბუხარი, ორ ოთახზე გათვლილი. ამავე რაკურსით ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი ძველ სავარძელთან და მრგვალ საჟურნალე მაგიდასთან იდო.

MYTOPBOOK.ORG

––ტელეფონი აქ არის –დავიჩურჩულე მაგიდაზე მითითებით.

ორი წყვილი, თაფლისფერი თვალი გაკვირვებით მომაჩრედა.

––ეს დედაჩემის სახლია.

ელისი მაშინვე წამოხტა სავარძლიდან, ტელეფონს სტაცა ხელი და რეკვა დაიწყო, მე კი დავშტერებოდი დედას მისაღებს. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ჯასპერი არ ამდგარა ელისთან ერთად, ჩემსკენ მოჩოჩდა და ბეჭზე გადამისვა ხელი. მისი შეხებისგან უფრო დავმშვიდდი, პანიკა გაქრა.

ელისი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ მისი ხმა მონოტონურად იკარგებოდა.

––ბელა! –წყნარად დამიძახა ელისმა. მე თვალები ავწიე –ედვარდი ჩამოსვლას აპირებს. ის და კარლაილი, რამოდენიმე ხნით გადაგმალავენ.

––ედვარდი ჩამოდის? ––ეს ორი სიტყვა, საშველი ჟილეტივით მეხმარებოდა, რომ სასოწარკვეთის ზღვაში არ ჩავძირულიყავი.

––ხო, ის პირველივე თვითმფრინავით გამოფრინდება სიეტლიდან. ჩვენ აეროპორტში დავხვდებით, და წაგიყვანს.

––და, დედა? ელის, მან ხომ დედაჩემს მიაკითხა! –ჯასპერის ყოფნის მიუხედავად, მზად ვიყავი ისტერიკაში ჩავვარდნილიყავი.

––მე და ჯასპერი დავრჩებით ფენიქსში და ვიზრუნებთ მასზე.

––ელის, მე მას ვერ ვაჯობებ. თქვენ, ხომ არ შეგიძლიათ მუდმივ დაცვაში გყავდეთ ჩემი ახლობლები. ვერ ხედავ რას აკეთებს? ის არც ფიქრობს ჩემს დევნას! მისთვის უკეთესია ჩემი ნათესავის მონახვა და წამება! ელის, მე არ შემიძლია...

––ჩვენ მას დავიჭერთ, ბელა! –დამარწმუნა მან.

––რა, თუ შენ მოგაყენებს ზიანს? როგორ ვიცხოვრო ამის შემდეგ? გგონია, ჯეიმსი არ აწევს ხელს შენზე ან ესმიზე?

MYTOPBOOK.ORG

ელისმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ჯასპერს. რამოდენიმე წამში მოვდუნდი, თვალები მეხუჭებოდა და ტვინი აღარ მუშაობდა. ბოლო ძალების მოკრებით, ჯასპერის ხელი მოვიშორე.

––არ მინდა დაძინება! –გამოვაცხადე და ოთახიდან გავედი.

კარების მიჯახუნებით, ჩემს ოთახში დავიმალე. არავისთან ლაპარაკის და ნახვის სურვილი არ მქონდა.

დელიკატური ელისი, ამჯერად უკან არ გამომყოლია და მთელი სამი საათი გავატარე საწოლში, ჭერზე უაზროდ მიშტერებულმა. რაღაც უნდა გავაკეთო, თავი დავახწიო ამ კოშმარს. ვერაფერი ნორმალური ვერ მოვიფიქრე. იყო ერთი ვარიანტი, მაგრამ რამდენი ხალხი დაშავდება სანამ ჩემსას მივღწევ?

კარგი, ედვარდი მაინც იქნება მალე ჩემთან. იქნებ, მისი დანახვის შემდეგ მაინც მივიღო გადაწყვეტილება.

კედლის მეორე მხრიდან, ტელეფონის ზარის გაგონებისას, ელისთან დავბრუნდი ოთახში. იმედია არ გაბრაზებულან და იციან, თუ როგორი მადლობელი ვარ მათი.

ელისი ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა და გამიკვირდა როცა ვნახე, რომ ჯასპერი ოთახში არ იყო. საათი, ექვსის ნახევარს უჩვენებდა.

––კარლაილი და ედვარდი თვითმფრინავში ჯდებიან –გამომიცხადა ელისმა –ფენიქსში ათ საათზე იქნებიან.

ესეიგი, კიდევ რამოდენიმე საათი და ედვარდს ვნახავ!

––ჯასპერი სად არის?

––ადმინისტრატორთან წავიდა, ფულის გადასახთელად.

––თქვენ გადადიხართ?

––ხო, დედაშენის სახლთან ახლოს გადავალთ.

ამ ამბისგან მუცელში რაღაც დამიტრიალდა, მაგრამ შეშინებაც ვერ მოვასწარი, რომ ტელეფონმა დარეკა. მგონი ამ ზარს ელისი არ ელოდებოდა.

MYTOPBOOK.ORG

––გისმენთ? –უპასუხა ელისმა –არა, ეხლავე დაგალაპარაკებთ –მან ყურმილი გამომიწოდა –დედაშენია –დაიჩურჩულა მან.

––გისმენთ?

––ბელა? ბელა? –ზუსტად ესეთი ხმით მიძახდა დედა, როდესაც გზაზე ვთამაშობდი ან მაღაზიაში გავურბოდი პატარაობისას. პანიკისა და შიშის ხმა.

რათქმაუნდა, ესეთი რამ მოსალოდნელი იყო, მაგრამ შეტყობინების დატოვებისას ვცდილობდი მშვიდი და ძლიერი ხმა მქონოდა.

––ნუ ნერვიულობ დედა –რბილად ვთქვი და ელისისგან შევბრუნდი. ედვარდის დის თვალებში ყურება და მოტყვილება, ერთად რთულია. –ყველაფერი კარგად მაქვს. უბრალოდ ერთი წუთი მომეცი და ყველაფერს აგიხსნი.

უცნაურუა, რომ დედა არ მაწყვეტინებს, ეს არ გავს მას!

––დედა?

––მხოლოდ მაშინ ილაპარაკებ, როცა მე გეტყვი –მოულოდნელად მიპასუხა უცნობმა ხმამ. ძალიან სასიამოვნო ტენორი, ესეთი ხშირად შეიძლება მოისმინო ძვირიანი მანქანების რეკლამებში.

––მიმსმინე, არ მინდა დედაშენს ტკივილი მივაყენო, ამიტომ გააკეთე რასაც გეტყვი –მამაკაცი გაჩერდა, აშკარა სიამობნებით ჩემი გაშეშებისგან –ყოჩაღ! ეხლა კი ჩემთან ერთად გაიმეორე და შეეცადე ბუნებრივად გამოგივიდეს. თქვი: “არა, დედა, არსად წასვლა არ არის საჭირო”.

––არა, დედა, არსად წასვლა არ არის საჭირო –ჩუმად გავიმეორე მე.

––არ გამოდგება! –მხიარულად მამცნო ხმამ –რატომ არ წახვალ საძინებელში, სადაც არავინ შეგვიშლის ხელს? შენ, ხომ არ გინდა დედაშენს რამე მოუვიდეს? და გზად, თქმასაც მოასწრებ: “დედა, გთხოვ, მომისმინე” მიდი თქვი!

MYTOPBOOK.ORG

––დედა, გთხოვ, მომისმინე –შევევედრე მე. ზურგსუკან, ელისის შეშინებული მზერის გრძნობით, კარები მივაჯახუნე. კიდევ ცოტაც და შიში ზომბად გადამაქცევს.

––ეხლა მარტო ხარ? უბრალოდ მიპასუხე, კი ან არა.

––კი.

––მაგრამ, დარწმუნებული ვარ შენი მხლებლები ისმენენ საუბარს.

––კი.

––კარგი –საერთოდ არ გაბრაზებულა მამაკაცი. –ეხლა კი თქვი: “დედა, გთხოვ დამიჯერე”

––დედა გთხოვ დამიეჯერე!

––ყველაფერი უკეთესად გამოვიდა ვიდრე ველოდი. ლოდინიც არ დამჭირდა: დედაშენი ადრე ჩამოვიდა. მაგარია, არა? რად გვინდა ზედმეტი ალიაქოთი და ჯავრი?

მე ვდუმდი, არ ვიცოდი რა მეთქვა.

––ეხლა კი, პატარავ, ყურადღებით მომისმინე. შენი მეგობრები ყელში ამომივიდნენ. შეგიძლია მათგან გაიქცე? იპასუხე: კი ან არა.

––არა.

––სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო! მე კი, მეგონა, რომ შემოქმედებითი პიროვნება იყავი. ნუთუ საკუთარი დედის გულისთვის არ მოინდომებ? მიპასუხე.

რაღაც უნდა მოვიფიქრო! ჩვენ ხომ აეროპორტში მივდივართ! იქ, კი სულ ბევრი ხალხია.

––კი.

––ესე უკეთესია, -გაუხარდა მამაკაცს –დარწმუნებული ვარ, რთული იქნება გამოქცევა, მაგრამ თუ ვიგრძნობ, რომ “კუდი” მოგყვება. დედაშენი ძლიან ცუდად იქნება –მხიარულად დამპირდა ის –ალბათ, შენ საკმარისად იცი ჩვენზე, რომ გაიგო თუ როგორ სწრაფად მოვაგვარებ ყველაფერს. გასაგებია? მიპასუხე.

MYTOPBOOK.ORG

––კი.

––ყოჩაღ, ბელა! ესე მოვიქცევით: შენ დედაშენთან წახვალ სახლში და ტელეფონთან წერილს ნახავ. დაგიკავშირდები და გეტყვი რა უნდა გააკეთო შემდეგ. –მე უკვე ვხვდებოდი სად მივყავდი უცნობს და რით დამთავრდებოდა ეს, მაგრამ ამისგან უკეთესად ვარ? მომიწევს ის გავაკეთო რასაც მეტყვის –გაიგე?

––კი.

––გთხოვ, შეეცადე სადილემდე გამოიქცე. არ მინდა მთელი დღე ვიცადო –თავაზიანად მთხოვა მამაკაცმა.

––ფილ? –ნერვიულად დავიძახე მე.

––ოჰ, ბელა მე ხომ გთხოვე, რომ ჩემი ნებართვის შემდეგ გელაპარაკა.

მე ტუჩზე ვიკბინე.

––ეხლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შენმა მეგობრებმა არაფერი იეჭვონ. ეტყვი, რომ დედამ დაგირეკა. მას ადრე უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ შენ გადააფიქრებინე. ეხლა კი გაიმეორე: “მადლობა დედა!”

––მადლობა დედა! –ლოყებზე ცრებლები ჩამომიცურდა.

––”მიყვარხარ, მალე განახავ”! –მიდი გაიმეორე.

––მიყვარხარ, მალე განახავ –ძლივს ამოვღერღე მე.

––ნახვამდის ბელა, მეც ვიმედოვნებ მალე შეხვედრას – დამემშვიდობა სასიამოვნო ხმის მფლობელი.

ყურმილი, თითქოს ყურზე მომეწეპა. შიშიდან პარალიზებული, საწოლზე ჩამომჯდარი ყურმილსაც ვერ ვწევდი ძირს.

ვხვდებოდი, რომ რამეს მოფიქრება იყო აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ, დედის შეშინებული ხმა მესმოდა. მთელი წუთი სიცარიელეში ვიყურებოდი აზრზე მოსავლელად.

ნელნელა, აზროვნების უნარი მოვიკრიბე და გეგმაც დამებადა. სიმართლე ვთქვათ, არანაირი გეგმა არ იყო, ისევე როგორც არჩევანი,

MYTOPBOOK.ORG

წავიდე სარკეებიან ოთახში და მოვკვდე. და ესეც არ მაძლევდა იმის გარანტიას, რომ დედას ცოცხალს ვნახავდი. მხოლოდ, იმედიღა მრჩებოდა იმისა, რომ კალენებზე გამარჯვების შემდეგ, ჯეიმსი შეიწყალებდა დედაჩემს.

საშინელი მდგომარეობა: მე არაფერი მაქვს მისთვის შესათავაზებელი, ზუსტად მონადირე, და არა მე, ვკარნახობ მოქმედებებს. და მაინც მომიწვეს მოსინჯვა...

თავი ხელში უნდა ავიყვანო. გადაწყვეტილება მიღებულია და უნდა ვიმოქმედო. როგორ გავექცე ელისს და ჯასპერს? ისინი თვალს არ მაშორებენ!

კარგია, რომ ჯასპერს არ მოუსმენია საუბარი. როგორ დავმალავდი მისგან მთელ შიშს, რას ვეტყოდი?... მოკლედ, მსჯელობის დრო არ არის, იქნებ ელისი წუთუ წუთზე დაბრუნდეს!

ეხლა, ჩემი აეროპორტში მოქმედების გეგმა უნდა მოვიფიქრო.

ელისი გვერდით ოთახშია და ალბათ ღელავს. სანამ ჯასპერი მოსულა, რაღაც უნდა გავაკეთო.

ესე იგი, შეეგუ იმას, რომ ედვარდს ვეღარ ნახავ და წახვალ სარკეებიან ოთახში, მის ჯადოსნურ თვალებში ჩაუხედავად. მან რამდენი, რამ გააკეთა შენთვის და გაქცევა დამშვიდობების გარეშე მოგიწევს... მე დავძლიე შავი მწუხარება და მისაღებში შევედი.

მომაკვდინებელი შიშის ნაცვლად სახეზე გულგრილობა გამომეხატა და ელისი აღელდა. მე მხოლოდ ერთი სცენარი მაქვს და იმპროვიზირება არ შემიძლია. თვითონ უნდა მოვუყვე სანამ დაკითხვას დამიწყებს.

––დედა ნერვიულობს და ფენიქსში დაბრუნება უნდა. მგონი გადავაფიქრებინე –უსიცოცხლო ხმით ვთქვი მე.

––ბელა, მას არაფერი დაემართება. ნუ ღელავ! –შეტრიალება მომიწია, რომ ელისს არ დაენახა სასოწარკვეთა, ჩემს თვალებში ბზინვარე. მაგიდაზე კონვერტების და სასტუმროს მისამართის დანახვისას, გადავწყვიტე.

MYTOPBOOK.ORG

––ელის –დავუძახე, რაც შემეძლო ძლიერი ხმით –დედაჩემისთვის წერილის დაწერა მინდა. გადასცემ? უბრალოდ, სახლში გამოსაჩენ ადგილას დადევი, კარგი?

––რათქმაუნდა –ფრთხილად მიპასუხა რადაცის ეჭვობით. რატომ არ შემიძლია გრძნობების კონტროლი?

მე ისევ დავიმალე საძინებელში და მაგიდაზე დაყრდნობილმა დავიწყე წერა.

“ედვარდ!

მაპატიე! მას დედაჩემი ყავს და უნდა გადავარჩინო.

უნდა შევეცადო მაინც...

გთხოვ არ გაუბრაზდე, ელისს და ჯასპერს. თუ მათ გამოვექცევი, ეს სასწაული იქნება! ყველაფრისთვის მადლობა გადაეცი რაც ჩემთვის გააკეთეს. განსაკუთრებით ელისს. გთხოვ ნუ შეეცდები ჩემს მოძებვნას! მონადირე სწორედ ამას ელოდება და არ მინდა ჩემს გამო ვინმე დაშავდეს.

ძალიან მიყვარხარ.

ბელა”

ფრთხილად დავკეცე ფურცელი და კონვერტში ჩავდე. ადრე თუ გვიან წერილი მონახავს ადრესატს. იმედია, ედვარდი ერთხელ მაინც დამიჯერებს ცხოვრებაში...

ეხლა კი გრძნობები უნდა მოვიშორო და კარგად დავფიქრდე გეგმაზე.

MYTOPBOOK.ORG

თავი ოცდამეორე

დამალობანა

განსაცვიფრებელია, მაგრამ შიშთან და სასოწარკვეთასთან გამკლავება რეკორდულად მოკლე დროში შევძელი. დრო თითქოს გაჩერდა. ჩემი გეგმა მზადაა, ჯასპერი კი ჯერ არ დაბრუნებულა. ელისთან უნდა წავიდე. საშიშია მასთან ერთად ერთ ოთახში ყოფნა, შეუძლია ყველაფერს მიხვდეს, მაგრამ მისგან დამალვა უფრო საშიშია, იგივე მიზეზის გამო.

ალბათ, ასეთ მდგომარეობაში გაკვირვების უნარი უნდა დამეკარგა, მაგრამ როცა დავინახე, რომ ედვარდის და საწერ მაგიდას ჩაჰფრენოდა, გაკვირვებისგან გავშეშდი.

––ელის? –დავუძახე მე, რატომღაც დედაზე ფიქრით.

ნუთუ უკვე გვიანია?

მან თავი ასწია. ფართო თაფლისფერი თავლები შეშინებული იყურებოდა სივრცეში.

მე მისკენ გავქანდი. მინდოდა ხელი მომეკიდა...

––ელის! –დაიყვირა ჯასპერმა, გადამასწრო და ელისის მაგიდიდან მოშორებას შეეცადა.

––რა მოხდა? –ცდილობდა გაეგო ჯასპერს. ელისი პატარა ბავშვივით ჩაიხუტა გულში,

––ბელა! –დაიჩურჩულა ელისმა.

––აქ ვარ.

გოგონა ჩემსკენ გამობრუნდა, მაგრამ მისი თვალები ისევ სადღაც შორს იყურებოდა. აქ მივხვდი, რომ ის მე არ მომმართავდა, მან ჯასპერს უპასუხა.

––რა დაინახე? –მოჩვენებითი გულგრილობით ვკითხე მე.

MYTOPBOOK.ORG

ჯასპერის დაჟინებული მზერა შევნიშნე და უმანკოდ გავუღიმე. სრულ გაურკვევლობაში ბიჭის თვალები ჩემსა და ელისს შორის დარბოდა. მაგრამ, რთული არ არის მიხვედრა თუ რა დაინახა ელისმა.

უცებ სიჩუმე გამეფდა. სწორედ, რომ დროულია, ეხლა ნერვიულობა არაფერში მაწყობს.

––განსაკუთრებული არაფერი –მშვიდად თქვა მან ––ისევ ის მოგნიტოფონიანი ოთახი. საუზმე გინდა?

––აეროპორტში შევჭამ –წყნარად ვუპასუხე და აბაზანაში წავედი.

თითქოს ჯასპერის ინტუიციის სესხებით, მე ვიგრძენი ელისის დამალული სურვილი, რომ ბიჭთან მარტო დარჩენილიყო და ყველაფერი მოეყოლა.

სწრაფად ვემზადებოდი და ვცდილობდი არაფერი დამრჩენოდა. დადებითი განწყობა რომელიც ჯასპერმა შექმნა, მეხმარებოდა სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ჩანთაში ამოვძებნე ფულიანი წინდა და ჯიბეში გადავიწყვე.

ვერ ვითმენდი აეროპორტში მისვლას და ჩემდა სასიხარულოდ დილის შვიდ საათზე გამოვედით სასტუმრდან. ამჯერად, უკან მარტო ვიჯექი. ელისი ჯასპერის გვერდით მოკალათდა. მაგრამ მაინც ფრთხილად მიცქერდა.

––ელის? –გულგრილად ვკითხე მე.

––რა?

––როგორ გამოგდის ეს? შენს უნარს ვგულისხმობ –მე ფანჯარაში ვიყურებოდი და სპეცალურად ვწელავდი სიტყვებს, მოწყენილობის გამოსახატავად ––ედვარდმა მითხრა, რომ შენი ხილვები სუბიექტურია და მომავალი შეიძლება შეიცვალოს.

წარმოთქმა იმ ადამიანის სახელისა, რომელსაც ვეღარასდროს ვნახავდი, უფრო რთული აღმოჩნდა ვიდრე მეგონა. ალბათ, ჯასპერმა ეს იგრძნო, რადგან საეჭვო სიმშვიდემ მომიცვა.

––ხო, ზოგჯერ მომავალი იცვლება... –ჩემდა სასიხარულოდ წაიბურტყუნა ელისმა ––რაღაც, მაგალითად ამინდი უფრო

MYTOPBOOK.ORG

გარკვეულია, და ადამიანებთან უფრო რთულადაა. მათი მომავალი გარკვეულია თუ ისინი სწორად იქცევიან. ზოგჯერ ყველაზე უმნიშვნელო საქციელი ან გადაწყვეტილება ცვილს მთელ ცხოვრებას, და მასთან ერთად არა მხოლოდ ერთის. –მე თავი დავუქნიე, მის სიტყვებზე ჩაფიქრებულმა,

––ესე იგი, შენ ვერ შეძელი ჯეიმსის ფენიქსში დანახვა, სანამ თვითონ არ გადაწყვიტა ეს.

––მართალია –ფრთხილად დამეთანხმა ელისი.

ესე იგი, სარკეებიან ოთახში მეც დამინახა, მას შემდეგ რაც ჯეიმსთან შეხვედრა გადავწყვიტე. კიდევ რისი გაგება შეეძლო, ამაზე აღარ ვფიქრობდი, აქ ჯასპერი იყო ზუსტი დამჭერი ჩემი ემოციებისა. ელისის ხილვის შემდეგ, მეთვალყურეობას გაზრდიან. გაქცევა ძალიან გამიჭირდება.

აი აეროპორტიც. გამიმართალა – ედვარდის თვითმფრინავი მეოთხე ტერმინალში ჩამოფრინდა, ყველაზე დიდში. თუმცა, იქ თვითმფრინავების უმრავლესობა ჯდება, ამიტომ საქმე გამართლებაში არ არის, არამედ მდგომარეობის ყელსაყრელად შექმნაში. ასე თუ ისე რაც უფრო მეტი ტერმინალებია, მით მეტია გაქცევის შანსი, და მესამე სრთულზე არის ადგილი, რომლის იმედიც მაქვს.

ჩვენ უზარმაზარ სადგომში მეოთხე სართულზე გავჩერდით. მე, როგორც ფენიქსის ყოფილი მცხოვრები, მათ ლიფტისკენ გავუძეხი, რომლითაც მესამე სართულზე ჩავედით სადაც ჩამოფრენის დარბაზი იყო. ელისი და ჯასპერი გაფრენების ჩამონათვალის დაფასთან შეჩერდნენ და შესაძლო ვარიანტებს განიხილავდნენ: ნიუ-იორკი, ატლანტა, ჩიკაგო. მე მაინც ვერ მოვესწრები ამ ქალაქების ნახვას... უცებ დავძლიე მღელვარება და შეშინებულმა გავხედე ჯასპერს.

გასაქცევად შესაფერისი მომენტის მოლოდინში, მოუთმენლად ვქანაობდი წინ და უკან. ჩვენ სავარძლებში დავჯექით და ელისი ჯასპერთან ერთად თითქოს ტურისტებს აკვირდებოდა, მაგრამ სინამდვილეში მე მადევნებდნენ თვალს, ოდნავი განძრევაც საკამარისი იყო, რომ მათ ფრთხილ მზერას ვიჭერდი. რა გავაკეთო? ავდგე და გავიქცე? საინტერესოა, შერცხვებათ ჩემი დაჭერა ხალხის წინაშე? თუ, უბრალოდ უკან გამომყვებიან?

MYTOPBOOK.ORG

ჯიბიდან კონვერტი ამოვიღე და ელისს ჩანთაზე დავუდე.

––დედას წერილი –შევახსენე მე.

გოგონამ თავი დამიქნია და წერილი ჩადო. იმედია მალე მივა ნამდვილ მისამართზე.

ყოველი წამით ედვარდი უფრო ახლოა, მე კი მას ვერ ვნახავ... გასაკვირია, მხოლოდ ორი დღე გავიდა და უკვე ძალიან მენატრება. ჩემი თავი იმაზე გამოვიჭირე, რომ გეგმის შეცვლას ვცდილობდი, რომ ის მენახა და შემდეგ გავქცეულიყავი. არა, ეს შეუძლებელია, რატომ მოვიტყუო თავი!

ელისმა რამოდენიმეჯერ შემომთავაზა საუზმე.

––მოგვიანებით –ვიღიმოდი მე ––ცოტა გვიან.

მე განრიგის დაფას ვუყურებდი, სადაც ფრენებისა და ქალაქების სახელები ელავდა. ედვარდის ჩამოსვლამდე სულ ცოტა დარჩა... ორმოცი წუთი, ოცდაათი... აქ ციფრები შეიცვალა – თვითმფრინავი ათი წუთით ადრე ჩამოდიოდა. მორჩა, უნდა ვიმოქმედო.

––წავალ ვისაუზმებ.

––მეც წამოგყვები! –იმწამსვე წამოხტა ელისი.

––შეიძლება ჯასპერთან ერთად წავიდე? თორემ რაღაც... –მე არ დავასრულე, ჩემი შეშინებული ყავისფერი თვალები ყველაფერს ამბობდნენ.

ბიჭი მზადყოფნაში წამოდგა. ელისი თავლებში, გაკვირვება დავინახე და ჩემდა გასაკვირად არანაირი ეჭვის ნიშანი. ალბათ, თავის ახალ ხილვას მონადირის ეშმაკობით ხსნის, და ჩემი მხრიდან დარტყმას არ ელის.

ჯასპერმა ბეჭზე მომხვია ხელი, თითქოს მისი შეყვარებული ვყოფილიყავი. ყურადღებით შევისწავლე პირველი კაფეს მენიუ, თავი გავაქნიე და ისე მოვიქეცი თითქოს განსაკუთრებულ ადგილს ვეძებდი. აი, რაც მჭირდება – რათქმაუნდა არა კაფე, არამედ საპირფარეშო!

––დამელოდე –ვთხოვე ჯასპერს –უცებ გამოვალ.

MYTOPBOOK.ORG

––კარგი –თავი დამიქნია მან.

საპირფარეშო დარბაზის ცენტრში იყო, ამიტომ ორი შესასვლელი ჰქონდა. სისულელეა, მაგრამ ერთხელ კინაღამ დავიკარგე!

როგორც კი ჩემს უკან კარი მოიხურა, მაშინვე გავიქეცი.

მეორე გასასვლელი ახლო იყო ლიფტთან. ჯასპერი ვერ დამინახავს. უკან მოხედვა ვერ გავრისკე. თუ რაიმე იეჭვა უნდა გავიქცე.

ლიფტისკენ მთელი ძალით გავრბოდი, ტურისტების გაკვირვებული თვალების მიუხედავად. ერთერთი კაბინის კარები უკვე იკეტებოდა, მაგრამ მგზავრების უსიამოვნების მიუხედავად, ხელ შევაცურე და მოვასწარი შესვლა, მაგრამ იქ ადგილი ჩემს გარეშეც არ კმაროდა. თავხედობა მოვიკრიბე, გავწიე სხვისი ჩემოდნები და პირველი სართულის ღილაკს მივაჭირე ხელი.

როგორც კი ჩავედით, იდაყვებით გავწიე გამოვწიე ხალხი და პირველი გავძვერი. და ისევ სირბილით, სირბილით გასასვლელისკენ. უკან არც მომიხედავს შესამოწმებლად მომყვებოდა თუ არა ჯასპერი. თუ ის ჩემს სუნს მოყვება მაშინ თითოეული წუთი ძვირფასია. მე ისე ვჩქარობდი კინაღამ მივასკდი ავტომატურ კარებს, რომელიც ნელა იღებოდა.

ჩემდა საუბედუროდ სადგომზე ერთი ტაქსიც არ იდგა.

ლოდინის დრო არ იყო, ელისი და ჯასპერი ყველაფერს მიხვდნენ ან ესესაა გაიგებენ და იმ წამსვე მიპოვნიან.

და აი აქ დავინახე სასტუმრო "ჰაითაის" მომსახურე ავტობუსი.

––მოიცადეთ! –დავიყვირე მე როცა დავინახე, რომ მძღოლი კარებებს კეტავდა.

––ჩვენ "ჰაითაიში" მივდივართ –მაცნობა მძღოლმა, იმის ფიქრით რომ შემეშალა.

––ყველაფერი სწორია! –ძლივს ამოვისუნთქე მე ––სწორედ მანდ მივდივარ.

მძღოლმა ეჭვის თვალით შემომხედა და თავი გააქნია.

MYTOPBOOK.ORG

სავარძლების უმეტესობა ცარიელი იყო, მე მგზავრებისგან მოშორებით მოვეწყვე და აეროპორტს დავუწყე ყურება. გონებამ მაშინვე დახატა ედვარდი, ნაწყენი მდგარი გზასთან სადაც ჩემი კვალი ქრებოდა. არა, არ ვიტირებ! კიდევ ბევრი საქმე მაქვს!

მე ისევ მიმართლებდა. სასტუმრო "ჰაითაის" წინ ტურისტები ტაქსიდან ალაგებდნენ ბარგს. ავტობუსიდან გამოვფრინდი და მანქანის უკანა სავარძელზე შევვარდი. დაღლილმა ტურისტებმა და მძღოლმა გაკვირვებისგან პირები დააღეს.

––აღმოსავლეთ ბლუმფილდ-სტრიტი, და, გთხოვთ რაც შეიძლება ჩქარა –ვუბრძანე მე.

––ეგ ხომ სკოტსდეილდია! –დაიწუწუნა მძღოლმა.

მე 3 ოც დოლარიანი მივეცი.

––ვფიქრობ საკამარისია?

––რათქმაუნდა პატარავ, რა პრობლემაა?!

სავარძელს მივეყრდენი და ხელები მუხლებზე დავიწყვე. ფანჯრის იქედან ხმაურობდა ჩემი მშობლიური ქალაქი. როგორ ვერ ვამჩნევდი, რომ ის ხელოვნურად გამოიყურება? ყველაფერი ძალიან მყვირალა, ხმაურიანი, როგორც ჰოლივუდურ ფილმში - ისევე როგორც გულკეთილი მეგობრის სახე, რომელიც ღალატს გიპირებს.

მთელი ძალით ვცდილობდი თავის ხელში აყვანას. ნერვიულობა არ შეიძლება – ეხლა არა, როცა გეგმა თითქმის შესრულებულია! სანერვიულო არაფერია, მე თვითონ მივიღე გადაწყვეტილება და გავაკეთე არჩევანი.

თვალები დავხუჭე და ედვარდზე დავიწყე ფიქრი.

როგორ მწყინს, რომ ვერ შევხვდი აეროპორტში! მე ფეხისწვერებზე ავიწეოდი, რომ რაც შეიძლება მალე დამენახა, ის კი მოხერხებულად გამოძვრებოდა ხალხში და ჩამიხუტებდა! როგორი ძლიერი და საიმედო ხელები აქვს!

საინტერესოა, სად წამიყვანდა? ალბათ სამხრეთით, სადაც ნებისმიერ დროს გამოვა გარეთ, ან კალიფორნიის რომელიმე წყნარ

MYTOPBOOK.ORG

ქალაქში, ზღვის პირას. ჩვენ სანაპიროზე ვიქნებოდით, მისი კანი კი ბრილიანტივით იბრწყინებდა. მე მოტელში გაჩერებასაც დავთანხმდებოდი... მასთან ერთად რამდენიც საჭიროა იმდენს მოვიცდი! ჩვენ ვილაპარაკებდით, ვილაპარაკებდით, ვილაპარაკებდით... მისი გულისთვის ძილს და საჭმელსაც დავივიწყებდი.

საყვარელი სახე, ქალაქის პეიზაჟზე რეალურად მეჩვენებოდა და ხმა უფრო ხმამაღლა ისმოდა ვიდრე მანქანის ძრავა. ისე გავერთე, დროის შეგრძნება დავკარგე.

––ჰეი, რომელი სახლია?

მძღოლის უხეშმა ხმამ დაამსხვრია ჩემი ფანტაზიები და მხოლოდ შიში დამიტოვა.

––ორმოცდარვა ოცდაერთი –ჩახლეჩილი ხმით ვუთხარი და მძღოლმა სარკიდან გამომხედა, ალბათ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არ ვტიროდი.

––მაშინ მოვედით! –ტაქსისიტი ჩემგან განთავისუფლებას და ხურდის დატოვებას ლამობდა.

––მადლობა! –დავიჩურჩულე მე. არ შევშინდე! სახლში ხომ არავინ არ არის, დედა სხვა ადგილზე ჰყავთ, ის მელოდება და იმედი აქვს.

კართან მივირბინე და სახურავის ფარდულიდან გასაღები ავიღე. შესასვლელში სიცივე და სიბნელე იყო. სამზარეულოში სინათლის ანთებისას, ტელეფონთან მივვარდი. იქ პატარა ფურცელი იდო, ათნიშნა ნომრით, დაწერილი სუფთა კალეგრაფიით. თითებმა აკანკელებულმა გადაირბინეს ღილაკებზე, მაგრამ შემეშალა და ხელახლა ავკრიბე. ამჯერად არ ვჩქარობდი და ღილაკებს ფრთხილად ვაჭერდი ხელს. მხოლოდ ერთი ზარი და ყურმილი აიღეს.

––გამარჯობა, ბელა! –მომესალმა სასიამოვნო ტენორი ––აი მესმის სიჩქარე! ყოჩაღ!

––დედა კარგადაა?

––გადასარევად, არ ინერვიულო, ბელა, საჩხუბარი არაფერი გვაქვს. თუ რათქმაუნდა კუდი არ მოგყვა! –ჯეიმსი კარგ ხასიათზე იყო.

MYTOPBOOK.ORG

––მარტო ვარ –წყნარად ვუპასუხე. ისევე როგორც მთელი ცხოვრება ედვარდის გამოჩენამდე.

––გახსოვს ბალეტის სტუდია, რომელშიც ადრე დადიოდი?

––რათქმაუნდა, ეს ახლოსაა.

––მაშინ, შეხვედრამდე –მონადირემ ყურმილი დაკიდა.

მე ისევ გარეთ გავვარდი მცხუნვარე მზეში, რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ასფალტი ქვიშას ჰგავდა. მე რამოდენიმეჯერ წავიბორძიკე და დავეცი, მაგრამ ეხლა არ მაქვს თავის შებრალების დრო. ვდგებოდი და ისევ გავრბოდი. აი გზაჯვარედინი, თითქმის მივედი. სუნთქვა გამიუარესდა, სახიდან ოფლი მდიოდა. მცხუნვარე მზე კანს მიწვავდა და თვალებს მიჭრელებდა.

ბალეტის სტუდიის წინ სადგომზე, ერთი მანქანაც არ იდგა, ფანჯრები კი დაკეტილი სიცხის მიუხედავად. სირბილი აღარ შემეძლო – სუნთქვა საბოლოოდ ამერია. მხოლოდ დედის გულისთვის შიში მაიძულებდა ფეხების ამოძრავებას.

კარებზე წარწერა იყო: ბალეტის სტუდია დახურულია საზაფხულო არდადეგებზე. ფრთხილად ჩამოვწიე სახელური და კარებს გადავაბიჯე.

დერეფანში სიბნელე და სიცივე იყო. პლასტმასის სავარძლები კედელზეა მიწყობილი, სქელ ხალიჩას შამპუნის სუნი ასდის. მოცისფრო შუქი მხოლოდ ოთახის აღმოსავლეთით ანათებს, ფანჯრები დარაბებითაა დაკეტილი..

ისე შევშინდი, რომ ვეღარ ვინძრეოდი. სწორედ აქ გავიგონე დედას ყვირილი.

––ბელა? ბელა? –შეშინებული იძახდა რენე. საკუთარი პრობლემების დავიწყებით გავიქეცი.

––ბელა, როგორ შემაშინე! გთხოვ არასდროს აღარ გააკეთო ასე! –ყვიროდა დედა, მაღალჭერიანი დარბაზიდან.

მე დაბნეული ვიყურებოდი ირგვლივ და ვცდილობდი გამერკვია საიდან მოდიოდა ხმა. სიცილის გაგონებისას, უცებ მოვტრიალდი.

MYTOPBOOK.ORG

დედა იცინოდა ტელევიზორის ეკრანიდან და მე მეხვეოდა. როდესაც 12 წლის ვიყავი, მადლიერების დღეს ბებიასთან წავედით კალიფორნიაში. დედას ყოველდღე დავყავდი სანაპიროზე, და ერთხელაც ოკეანეში ვუავარდებოდი დედას, რომ არ დავეჭირე ბეჭით.

უცებ ეკრანი ჩაბნელდა.

მე ნელა შემოვბრუნდი: მონადირე მეორე გასასვლელთან დინსტანციონით ხელში იდგა. როგორ ვერ მივხვდი თავიდანვე? მთელი წუთი ვუყურებდით ერთმანეთს და შემდეგ მან გაიღიმა.

ჯეიმსი ნელა მოვიდა ტელევიზორთან და დინსტანციონი ადგილზე დადო. მე თვალს არ ვაშორებდი.

––მაპატიე, ბელა, ალბათ დედაშენის აქ ჩარევა კარგი არ იქნებოდა, არა? –გულთბილად მკითხა მან.

მაშინ მე ყველაფერს მივხვდი: დედა კარგადაა, ის ფილთან ერთად ისევ ფლორიდაშია. ჩემი შეტყობინება მას ჯერ არ მოუსმენია, და იმედი მაქვს არც არასდროს ნახავს საშინელ შავ თვალებს, არაბუნებრივად თეთრი სახით.

––ხო, ალბათ –შვებით ვთქვი მე.

––ესე იგი, არ ბრაზობ, რომ მოგატყუე?

––რათქმაუნდა, არა, –მამაცად ვუპასუხე. რისი უნდა მეშინოდეს? მალე ყველაფერი დასრულდება, ჩარლი და დედა უსაფრთხოდ იქნება. მოულოდნელად ძალიან თავისუფლად ვიგრძენი თავი, მაგრამ საღი გონება მკარნახობდა, რომ ეიფორია – ისტერიკის საპირისპირო მხარეა.

––უცაურია, მაგრამ მგონი მართლა არ ბრაზდები –შავი თვალები ინტერესით მათვალიერებდენ. თვალები უფრო და უფრო ბნელი უხდებოდა. ––ადამიანები ჩემს გაკვირვებას არ წყვეტთ. მგონი ზოგიერთ თქვენგანს ეგოიზმის ნატამალიც არ გააჩნია.

გულზე ხელებ დაკრეფილი, ჩემთან სულ ახლოს იდგა ჯეიმსი და მშვიდად მიყურებდა. მისი სახე არავითარ საშიშს არ გამოხატავდა. მომატყუებელი სიმშვიდე, დამაბრმავებელი სიფხიზლე. ხო, კანი ძალიან თეთრი, თვალები უცნაური ფერის, მაგრამ ედვარდის ოჯახთან

MYTOPBOOK.ORG

ურთიერთობის შემდეგ ეს აღარ მაკვირვებდა. ტანსაცმელიც კი ჩვეულებრივი: შავი პერანგი გრძელი მკლავებით და ჯინსები.

––ალბათ, გინდა თქვა, რომ შენი შეყვარებული აუცილებლად იძიებს შურს? –მშვიდად იკითხა ჯეიმსმა.

––არა მგონია. ყოველ შემთხვევაში ვთხოვე ეს არ გაეკეთებინა.

––და რა გიპასუხა?

––არ ვიცი –ამ ზრდილობიან ვამპირთან საუბარი სასიამოვნოა –წერილი დავუტოვე.

––ბოლო წერილი... რა რომანტიულია! ფიქრობ, რომ დააფასებს?

––ვიმედოვნებ.

––ჰმმმ, იმედები სხვადასხვა გვაქვს. იცი, ცოტა იმედგაცრუებული ვარ. მეგონა, რომ ყველაფერი რთული იქნებოდა, და აქ დიდი მონდომებაც არ დამჭირდა.

მე ვდუმდი.

––როდესაც ვიქტორიამ მამაშენამდე ვერ მიაღწია, მე სხვანირად გადავწყვიტე მოქმედება. მთელს ქვეყანაში შენი დევნა არ მინდოდა – და რატომ, თუ შენ თავად მოხვალ იქ სადაც მე გეტყვი? ჩემს მხლებელთან დალაპარაკების შემდეგ, დედაშენის მონახულება გადავწყვიტე, მითუმეტეს შენ ყვიროდი, რომ სახლში მიდიდოდი. თავიდან არ დაგიჯერე, მაგრამ შემდეგ დავფიქრდი. როგორც წესი ადამიანებს ყველაფერი ნაცნობი და ჩვეული გიყვართ. გაემგზავრო იქ სადაც არავინ გელოდება – არ გელოდება, იმიტომ რომ საეჭვოდ ხმამაღლა ყვიროდი ამას – რა შეიძლება იყოს ამაზე მეტი ორიგინალური?

რათქმაუნდა ბილომდე დარწმუნებული არ ვიყავი. მაგრამ, ყველაფერში რაც ნადირობას შეეხება, ინტუიცია არ მღალატობს. შენი შეტყობინება მე წავიკითხე, მაგრამ დარეკვა ნებისმიერი ადგილიდან, ანტარქტიდიდანაც შეგეძლო.

შემდეგ ვიქტორიამ შემატყობინა, რომ შენი მეგობარი ფენიქსში გამოფრინდა. რათქმაუნდა მისი დახმარების გარეშე მე ორ ქალაქს

MYTOPBOOK.ORG

შორის გახლეჩვა მომიწევდა – რაც ადვილი არ არის. ესე იგი, ყველაფერი შენს, არიზონაში დაბრუნებაზე მიუთითებდა. მე მზად ვიყავი. ვუყურე თქვენს იჯახურ არქივს და საჭირო რამ ვნახე. თვალთმაქცობა კი ყოველთვის გამომდიოდა!

ყველაფერი ძალიან ადვილია, მოსაწყენიც კი. მე მეგონა, რომ შენი მეგობარი – რა ქვია, ედვარდი? –მეტს შეძლებდა.

მე არ ვუპასუხე. ცოტაც და მონადირეს მოწყინდება მხიარულება. მგონი, მოვლენების ესეთი მსვლელობა, არ მოსწონს: ის დიდ ბრძოლას გეგმავდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა...

––წინააღმდეგი ხო მარ ხარ ედვარდს პატარა გზავნილი რომ დავუტოვო?

ილუზიონისტის ჟესტით ციფრულ კამერაზე მიმათითა. პატარა წითელი ნათურის ციმციმით მივხვდი, რომ გადაღება დაწყებული იყო. მე გაგიჟებული ვადევნებდი თვალს, როგორ აბრუნებდა ჯეიმსი კამერას, რომ კადრში მე მოვხვედრილიყავი.

––მაპატიე, მაგრამ ჩემი საჩუქრის მიღების შემდეგ, ედვარდი ნამდვილად იძიებს შურს. მთელი პროცესი დაწვრილებით უნდა ნახოს. ნადირობა მისი გულისთვის მიმდინარეობდა. შენ ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, უბრალოდ მოხვდი ცუდ ადგილას ცუდ დროს. და ნამდვილად სულელურ კომპანიას დაუკავშირდი.

ვამპირმა ჩემსკენ გადმოაბიჯა გულკეთილი ღიმილით.

––სანამ საქმეს დავიწყებთ, პატარა ლირიკული გადახვევა.

შიშისგან გული ამერია. რატომღაც ყველაფერი სხვაგვარად წარომედგინა.

––მე ხომ ტყუილად არ დამიწყია ნადირობა – ვშიშობდი, რომ შენი ედვრადი ყველაფერს მალე მიხვდებოდა. ეს ადრე მოხდა, რამოდენიმე საუკუნის წინათ, როდესაც პირველად და უკანასკნელად გამექცა მსხვერპლი. ჩემმა ერთერთმა მეგობარმა, ისე შეიყვარა გოგონა და ისეთი საქციელი ჩაიდინა, რომ შენი კალენი ვერ მოახერხებს. ესე იგი, როცა გაიგო, რომ ამ გოგოს თვალი დავადგი, ვამპირმა მოიტაცა ის

MYTOPBOOK.ORG

საგიჟეთიდან სადაც მუშაობდა და ჩემთვის მიუწვდომელი გახადა. საწყალმა ტკივილიც ვერ იგრძნო! ის ხომ ბავშვობიდან საგიჟეთში ცხოვრობდა სადაც მშობლებმა ჩააბარეს! რამოდენიმე საუკუნის წინ მას კოცონზე დაწვავდნენ, მაგრამ 1920 წელს ჰუმანური ექიმები შოკისთერაპიით მკურნალობდნენ! ასე, რომ ჩემმა მეგობარმა მას სიცოცხლე აჩუქა – ვამპირი გახადა, ახალგაზრდა, ძლიერი, ლამაზი! მე ხომ მოხუცებული ქალი შემხვდა –მწუხარედ ამოიხვნეშა ჯეიმსმა.

––ელისი! –შეშინებულმა დავიყვირე მე.

––ხო, შენი პატარა დაქალი! ისე გამიკვირდა მისი დანახვა მდელოზე! კალენებს არაფერი აქვთ გასაბრაზებელი! მე შენ წამოგიყვანე, სამაგიეროდ მათ ის ერგო ვინც მე მეკუთვნოდა. ერთადერთი გაუმართლებლობა, აი რას ნიშნავს ეს გოგონა ჩემთვის! ელისს შუძლია იამაყოს საკუთარი თავით!

და რა სასიამოვნო სუნი ჰქონდა, შენზე უკეთესიც! მმმ, ვწუხვარ რომ გემო ვერ გავუსინჯე... ხო, მას შენზე უკეთესი სურნელი ჰქონდა! გთხოვ, არ გეწყინოს, შენც გადასარევი არომატი გაქვს, ისეთი ნაზი, ყვავილოვანი...

ჯეიმსმა ჩემსკენ გადმოაბიჯა და თმებზე დამყნოსა. გავიქცე, უნდა გავიქცე, მე კი განძრევაც არ შემეძლო.

––მგონი დროა შევუდგე! შემდეგ დავურეკავ კალენებს და შევატყობინებ სად გიპოვონ შენ და ჩემი საჩუქარი.

ღმერთო ოღონდ არ წამაღებინოს. ჯეიმსი არ დამინდობს და აუცილებლად მატკენს! ეს რეალური შანსია ელისისთვის შურის საძიებლად და არაფრით არ გაუშვებს ხელიდან. მუხლები ამიკანკალდა და მივხვდი, რომ ნებისმიერ მომეტში შემეძლო დავვარდნილიყავი.

ჯეიმსმა ჩემს ირგვლივ დაიწყო სიარული, თითქოს ტკბებოდა ძველი ქანდაკების ყურებით.

შემდეგ უცებ ჩაჯდა და თავს დასასხმელად მომზადებულ მგელს დაემსგავსა. სასიამოვნო ღიმილი უცებ გადაიქცა დაკრეჭილ კბილებად.

MYTOPBOOK.ORG

მთელი ძალით გავიქეცი კარისკენ, ფიქრით რომ გადარჩენის შანსი, არ მაქვს.

ჯეიმსი ელვის სისწრაფით დამეწია. არ ვიცი ოთხით, თუ ფეხით მორბოდა, მაგრამ სიჩქარე უაზრო იყო. საშინელმა დარტყმამ შეანძრია ჩემი მკერდი და უკან გავფრინდი, თავით სარკე გავტეხე. გაისმა გატეხილი მინის ხმა, ნაფშვენები ხალიჩაზე დაცვივდა.

შიშისგან ტკივილიც ვერ ვიგრძენი, უბრალოდ ვერ ვსუნთქავდი.

ჯეიმსი აუჩქარებლად მომიახლოვდა.

––მაგრად გამოვიდა! –მხიარულად წამოიყვირა ნატეხებზე ყურებით. ––კარგი დეკორაციაა ჩემი პირველი ფილმისთვის. ამიტომ ავირჩია ცეკვის კლასი.

მე მას არ ვუსმენდი და ოთხით გავბობღდი გასასვლელისკენ.

ამჯერად ჯეიმსი უფრო მალე დამეწია და მთელი ძალით დამაჭირა ფეხი მარჯვენა ფეხზე. რაღაცამ დაიტკაცუნა, შემდეგ ისე მეტკინა, რომ დავიყვირე. იატაკზე ვიკლაკნებოდი, მონადირე კი იცინოდა.

––იქნებ გადაიფიქრო? –დაინტერესდა ის და თითქოს არ უნდოდა წიხლი მკრა მოტეხილ ფეხზე. ბალეტის სტუდია კივილმა შეაზანზარა და მაშინვე ვერ მივხვდი, რომ მე ვყვიროდი.

––თხოვე ედვარდს შური იძიოს! –მიკარნახა მონადირემ.

––არა! ედვარდ გთხოვ! –ძლიერმა ხელმა ისევ მიმახეთქა სარკიან კედელს.

საშინელ ტკივილთან ერთად ვიგრძენი როგორ ჩამერჭო მინა თავში, თმებზე კი რაღაც სქელი და თბილი წვეთავდა. მაისური უცებ დასველდა და ძირსაც დაიწყო წვეთების ვარდნა.

გულის წასვლასთან ბრძოლისას, მე დავინახე რაღაც, რამაც იმედი ჩამისახა. მონადირის შავ თვალებში წყურვილი იწვოდა. სისხლმა, თეთრი მაისური ჟოლოსფრად შეღება და ძირს წვეთავადა რასაც ჯეიმსი ჭკუიდან გადაჰყავდა. არ ვიცი თავიდან რა დაგეგმა, მაგრამ ლოდინი აღარ შეეძლო.

MYTOPBOOK.ORG

ნეტა ყველაფერი სწრაფად მოხდეს! თავი მიმძიმდებოდა, თვალები მეხუჭებოდა.

თითქოს წყლის მასიდან გავიგონე ჯეიმსის ღრენა. მის სახეს ვეღარ ვხედავდი, მხოლოდ შავ სილუეტს რომელიც სწრაფად მიახლოვდებოდა. ბოლო ძალების მოკრებით სახეზე ხელები ავიფარე და გონება დავკარგე.

თავი ოცდამესამე

ანგელოზი

და სიზმარში თავით გადავეშვი.

ბნელ წყალში ტივტივისას უმშვენიერესი ხმა გავიგონე, რომლის ჩემს გონებას შეეძლო- ასეთი სასიამოვნო, აღმაფრენის მომგვრელი და იმავდროულად შემზარავიც. ეს კიდევ ერთი ღრენა იყო; წინაზე უფრო გამყივანი და ველური ღრიალი, რომელიც გააფთრებისგან გრუხუნებდა.

ზემოთ აღმართულ ხელში ისე მწვავედ დამსერა ტკივილმა, რომ თითქმის ზედაპირამდე ამოვედი, მაგრამ ისე ვერ გამოვფხიზლდი, რომ თვალების გახელა შემძლებოდა.

და შემდეგ კი მივხვდი, რომ მოვკვდი.

MYTOPBOOK.ORG

რადგან მესმოდა მძიმე წყლის სისქის მიღმა როგორ მიხმობდა ანგელოზის ხმა, მიხმობდა სამოთხისკენ, იმ ერთადერთი ადგილისკენ სადაც ყოფნა მინდოდა.

–ო, არა, ბელა, არა!- ყვიროდა ანგელოზი თავზარდაცემული ხმით.

ამ სანატრელი ხმის გარდა სხვა ხმაურიც გავიგონე- საშინელი ალიაქოთი, რომელიც მაშინვე განდევნა ჩემმა გონებამ. ეს იყო ბანის ავისმომასწავებელი ღრენა, თავზარდამცემი ტკაცუნი, შემდეგ ხმამაღალი მოთქმა, რომელიც უცებ შეწყდა...

შევეცადე მხოლოდ ანგელოზის ხმისთვის მესმინა.

–ბელა, გთხოვ! ბელა, მომისმინე, გეხვეწები, გეხვეწები, ბელა, გთხოვ!- მემუდარებოდა ის.

მინდოდა მეთქვა რომ ვუსმენდი. ან თუნდაც სხვა ნებისმიერი რამ. მაგრამ ტუჩებს ვერ ვპულობდი.

–კარლაილ!- დაიძახა ანგელოზმა, მის საუცხოო ხმაში ტანჯვა გავიგონე. -ბელა, ბელა, არა, ო გევედრები, არა, არა! ––ქვითინებდა ანგელოზი უცრემლოდ, გაწყვეტილი ფრაზებით.

ანგელოზს წესით არ უნდა ექვითინა, ეს არასწორი იყო. შეევეცადე მეპოვნა იგი, მეთქვა რომ ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ წყალი ძალიან ღრმა იყო, ისე მაწვებოდა, რომ ვერ ვსუნთქავდი.

ყველაზე მეტად თავზე ვგრძნობდი ამ წნეხს. ძალიან მტკიოდა. და შემდეგ როცა ამ ტკივილმა სიბნელე გამიფანტა, სხვა, ბევრად უფრო ძლიერი ტკივილები დამეუფლა. დავიკივლე, თან ვქშინავდი, როგორც იქნა ბნელ გუბურას თავს ვაღწევდი.

–ბელა!- დაიყვირა ანგელოზმა.

–ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ თავზე არც ისე ღრმა ჭრილობა აქვს,- მაცნობა მშვიდმა ხმამ. -ფეხთან ფრთხილად, მოტეხილია.

მძვინვარების ღმუილი მოსწყდა ანგელოზის ტუჩებს.

უცებ გვერდში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. ეს სამოთხე ვერ იქნებოდა, საამისოდ მეტისმეტად ბევრ ტკივილს ვგრძნობდი.

MYTOPBOOK.ORG

–და მგონი რამდენიმე ნეკნიც,- დაამატა თანმიმდევრულმა ხმამ.

მაგრამ მწვავე ტკივილი ნელ-ნელა მიცხრებოდა. სამაგიეროდ ახალი ტკივილი გაჩნდა, წვამ ხელში, სხვა ყველაფერი დაჩრდილა.

ვიღაც მწვავდა.

–ედვარდ, - შევეცადე მისთვის მეთქვა, მაგრამ ძალიან ნელა და მძიმედ გამომივიდა. ჩემი ხმა მეთვითონ ვერ გავიგე.

–ბელა, შენ კარგად იქნები. გესმის ჩემი, ბელა? მიყვარხარ.

–ედვარდ,- ისევ შევეცადე და ამჯერად ცოტათი უფრო მკაფიოდ ვთქვი.

–ჰო, მე აქ ვარ.

–მტკივა,- დავიჩივლე.

–ვიცი, ბელა, ვიცი,- –შემდეგ კი უკვე სხვას უთხრა ნატანჯი ხმით. -არაფრის გაკეთება არ შეგიძლია?

–ჩემი ჩანთა თუ შეიძლება... სუნთქვა შეიკავე ელის, გაგიიოლდება,- დაპირდა კარლაილი.

–ელის?- ამოვიკვნესე.

–ისიც აქაა, მიხვდა სადაც გიპოვნიდით.

–ხელი მტკივა,- შევეცადე მისთვის მეთქვა.

–ვიცი, ბელა. კარლაილი რამეს დაგალევინებს და გაგიყუჩდება.

–ხელი მეწვის!- ვიკივლე და როგორც იქნა საბოლოოდ დავაღწიე თავი სიბნელეს, ახლა ათრთოლებული თვალები გახელილი მქონდა. მის სახეს ვერ ვხედავდი, რაღაც ბნელი და თბილი მიბინდავდა თვალებს. როგორ ვერ ხედავდნენ ცეცხლს ან რატომ არ აქრობდნენ?

მას შეშინებული ხმა ჰქონდა.

–ბელა?

MYTOPBOOK.ORG

–ცეცხლი! ვინმემ ჩააქრეთ ცეცხლი!- ვიკივლე, თან განუწყვეტლივ ვგრძნობდი როგორ მეწვოდა ხელი.

–კარლაილ! ხელზე შეხედე!

–უკბინა.- კარლაილს უკვე აღარ ჰქონდა მშვიდი ხმა, ის შეძრწუნებული იყო.

გავიგონე ედვარდს თავზარდაცემულს როგორ შეეკრა სუნთქვა.

–ედვარდ, ამის გაკეთება მაინც მოგიწევს.- ელისის ხმა ჩემ თავთან ახლოს გავიგონე. ცივი თითები მეხებოდა თვალებთან სისველეზე.

–არა!- ამოიბღავლა მან.

–ელის,- ამოვიკვნესე.

–შეიძლება იყოს შანსი,- თქვა კარლაილმა.

–რა შანსი?- შეეხვეწა ის.

–თუ შხამს ამოსწოვ. ჭრილობა სრულიად სუფთაა.- კარლაილი რომ ლაპარაკობდა თავზე უფრო დიდი წნეხი ვიგრძენი, ვიღაც მაწვებოდა და სკალპს მაძრობდა. ეს ტკივილი წვის ტკივილში ჩაიკარგა.

–ეს უშველის?- დაძაბული ხმა ჰქონდა ელისს.

–არ ვიცი,- უპასუხა კარლაილმა. -მაგრამ უნდა ვიჩქაროთ.

–კარლაილ, მე...- ყოყმანობდა ედვარდი. -დარწმუნებული არ ვარ რომ შევძლებ.- მის მშვენიერ ხმაში ისევ გაიჟღერა ტკივილმა.

–ეს მაინც შენი გადასაწყვეტია, ედვარდ. მე ვერ დაგეხმარები. მე სისხლდენა უნდა შევაჩერო თუ მართლა აპირებ ხელიდან სისხლის ამოწოვას.

ცეცხლოვანი ტკივილისგან დავიკრუნჩხე, ამ მოძრაობამ ფეხი გულისამრევად მატკინა.

–ედვარდ!- ვიკივლე მე. მივხვდი, რომ თვალები ისევ დამეხუჭა. გაჭირვებით გავახილე და შევეცადე მისი სახე მეპოვნა. და ვიპოვე

MYTOPBOOK.ORG

კიდეც. როგორც იქნა შევძელი მისი სრულყოფილი სახის დანახვა, ის მე მიყურებდა ყოყმანისა და ტკივილის საბურველში გახვეული.

–ელის, რამე მომიტანე, რომ ფეხი დავუფიქსირო!- კარლაილი ჩემსკენ იყო გადმოხრილი თავს მიმუშავებდა. -ედვარდ, ეს ახლავე უნდა გააკეთო, თორემ მერე ძალიან გვიანი იქნება.

ედვარდს შეშლილი სახე ჰქონდა. დავინახე უცებ ყოყმანი მტკიცე გადაწყვეტილებად როგორ გადაექცა. ყბები დაეძაბა. ვიგრძენი მისი ცივი, ძლიერი თითები ცეცხლმოკიდებულ ხელზე როგორ მომეჯაჭვა. შემდეგ თავი დახარა და მისი ცივი ტუჩები კანზე ვიგრძენი.

თავიდან ტკივილი გამიმძაფრდა. ვკიოდი და ცივ ხელებს ვცემდი, რომლებიც ჯიუტად მაკავებდნენ. ელისის ხმა გავიგონე, ის ჩემს დამშვიდებას ცდილობდა. რაღაც მძიმე მიკავებდა ფეხს იატაკზე, კარლაილმა კი ქვის მკლავები მარწუხებივით მომიჭირა თავზე.

შემდეგ ნელ-ნელა შევწყვიტე კრუნჩხვა, რადგან ხელი ნელ-ნელა გამიბუჟდა. ცეცხლი მინელდა, უმცირეს წერტილად გადაიქცა.

რადგან მთავარმა ტკივილმა იკლო, ვიგრძენი რომ გრძნობას ვკარგავდი. მეშინოდა, რომ ისევ ბნელ წყალში ჩავიძირებოდი, მეშინოდა რომ სიბნელეში ისევ დავკარგავდი ანგელოზს.

–ედვარდ,- შევეცადე მეთქვა, მაგრამ საკუთარი ხმა თვითონვე ვერ გავიგონე. სამაგიეროდ მათ გაიგონეს.

–ის აქაა, ბელა.

–დარჩი, ედვარდ, ჩემთან დარჩი...

–შენთან ვიქნები.- დაძაბული, მაგრამ როგორღაც გამარჯვებული ხმა ჰქონდა.

მე კმაყოფილმა ამოვიოხრე. ცეცხლი გაქრა, სხვა ტკივილებიც ძილმა შთანთქა, რომელმაც ნელა მოიცვა ჩემი სხეული.

–მთლიანად ამოწოვე შხამი?- სადღაც შორიდან მომესმა კარლაილის კითხვა.

MYTOPBOOK.ORG

–ბოლოს სუფთა გემო ჰქონდა მის სისხლს,- წყნარად უპასუხა ედვარდმა. -მორფინიც კი ვიგრძენი.

–ბელა?- დამიძახა კარლაილმა.

შევეცადე პასუხი გამეცა.

–მმმმ?

–ცეცხლი მინელდა?

–ჰო,- ამოვიოხრე. -მადლობ, ედვარდ.

–მიყვარხარ,- მიპასუხა მან.

–ვიცი,- ძლივს ამოვისუნთქე, უცებ ძალიან დაღლილად ვიგრძენი თავი.

შემდეგ მსოფლიოში ჩემთვის უსაყვარლესი ხმა გავიგონე: ედვარდის წყნარი სიცილი, რომელიც შვებით იყო შესუსტებული.

–ბელა?- ისევ დამიძახა კარლაილმა.

მოვიღუშე; დაძინება მინდოდა.

–რა არის?

–დედაშენი სადაა?

–ფლორიდაში,- ამოიოხრე მე. -ჯეიმსმა კარგად გამაცურა, ედვარდ. ჩვენს ვიდეოებს უყურა.- აღშფოთება ჩემს ხმაში საცოდავად სუსტად ჟღერდა.

მაგრამ ამან რაღაც გამახსენა.

–ელის.- შევეცადე თვალები გამეხილა. -ელის, ვიდეო- მან შენ გიცნო, ელის, მან იცოდა საიდან მოხვედი.- მინდოდა მტკიცე ხმით მელაპარაკა, მაგრამ მიკნავლებულად გამომივიდა.-ბენზინის სუნს ვგრძნობ,- დანისლული გონებით, გაკვირვებულმა დავამატე უცებ.

–დროა წავიყვანოთ,- თქვა კარლაილმა.

–არა, ძილი მაცადეთ,- დავიჩივლე მე.

MYTOPBOOK.ORG

–დაიძინე, საყვარელო, მე წაგიყვან,- დამამშვიდა ედვარდმა.

და შემდეგ მის მკლავებში აღმოვჩნდი, მის მკერდზე მიკრული ვირწეოდი- ვტივტივებდი, ყოველგვარი ტკივილი გაქრა.

–ახლა კი დაიძინე, ბელა- იყო უკანასკნელი სიტყვები რაც გავიგონე.

თავი ოცდამეოთხე

ჩიხი

თვალების გახელისას მოცისფრო შუქი დავინახე. მე ვიწექი უცნობ თეთრ ოთახში, ნათელი ნათურებით და ჟალუზებით ფანჯრებზე. ვინ მოიფიქრა ჩემი, სახულურებიან საწოლზე დაწვენა? ბალიშები პატარები და ძალიან მოუხერხებელი და საიდანღაც საზიზღარი ჭრიჭინი ისმოდა. ხელებს გამჭირვალე მილები მიბლანდავდა, ცხვირში – გაურკვევლი საკეტი.

თავის დაღწევა ვცადე.

––არა, ფრთხილად! –შემაჩერეს ცივმა ხელებმა.

––ედვარდ! –თავი შევაბრუნე და დავინახე მისი არაჩვეულებრივი სახე სულ ახლოს ჩამთან. ––მაპატიე!

MYTOPBOOK.ORG

––ჩუუ, –დაიჩურჩულა მან ––ყველაფერი რიგზეა!

––რა მოხდა? –რა უცნაურიც არ უნდა იყოს, არაფერი მახსოვდა, თითქოს ტვინი აურზე იყო გაეხსენებინა მომხდარი ამბები.

––მე კინაღამ დაგყუპე – ტკივილით ხმაში, წაიბურტყუნა მან.

––რა სულელი ვარ, ჯეიმსს დავუჯერე! მან თქვა, რომ დედაჩემი ჰყავდა!

––მან ყველა მოგვატყუა.

––დედას და ჩარლის უნდა დავურეკო –გამოვაცხადე მე, სისუსტენსთან ბრძოლით.

––ელისმა უკვე დაურეკა. რენე აქ არის, ვგულისხმობ საავადმყოფოში, საჭმელად გავიდა.

––დედა აქ არის? –წამოჯდომას შევეცადე, მაგრამ თვალებში მაშინვე დამიბნელდა და ედვარდმა ისევ დამაწვინა.

––ის მალე დაბრუნდება. შენ კი დასვენება გჭირდება.

––რა უთხარი დედას? –პანიკაში ჩავვარდი მე. სასწრაფოდ ახსნა უნდა მოვიფიქროთ! რენეს ხომ არ ვეტყვი, რომ ვამპირი დამესხა თავს! ––რა იცის?

––შენ კიბეზე დაგიცურდა ფეხი, ორი სალტო გააკეთე და გატეხილ მინას დაეცი –მითხრა ედვარდმა ––მგონი, ესეთი რამ მოსალოდნელი იყო! –მან ძლივს გაიღიმა.

ღრმად ამოოხვრით, მე შევხედე რიყის ქვას, რომლითაც ჩემი ფეხი იყო გადაქცეული.

––ყველაფერი ცუდადაა?

––ისა, მოტეხილია მარჯვენა ფეხი და ჩამტვრეული ოთხი ნეკნი. ტვინის შერყევა, მთელი ტანის დაჟეჟილობა და საკმაოდ სისხლის დაკარგვა. რამოდენიმეჯერ გადაგისხეს სისხლი! მე ეს არ მომეწონა, რადგან სხვისმა სისხლმა, გარკვეული ხნით შენი სურნელი შეცვალა –ღიმილით თქვა ედვარდმა.

MYTOPBOOK.ORG

––ჰო, ეს შენთვის რთული გამოცდაა!

––რათქმაუნდა, მე ხომ შენი სურნელი მომწონს!

––როგორ შეძელი? –ჩუმად ვკითხე და ედვარდი მაშინვე მიხვდა რასაც ვგულისმობდი.

––თვითონაც არ ვიცი –ის შეტრიალდა ჩემი ცნობისმოყვარე თვალებისგან და გადახვეულ ხელზე მომკიდა ხელი.

მე მოუთმენლად ველოდი ახსნას. ედვარდმა ამოიხვნეშა და იატაკს დააჩერდა.

––გაჩერება შეუძლებელი იყო. შეუძლებელი, გესმის? მაგრამ გავუძელი –როგორც იქნა, შემომხედა და ეშმაკურად გაიღიმა ––გამოდის, რომ მიყვარხარ!

––და როგორი გემო მაქვს?

––უკეთესი ვიდრე სურნელი!

––საბრალო ედვარდი, –შევიცოდე მე

––შენ ამისთვის არ უნდა მოიბოდიშო, –თავი გააქნია მან.

––აბა რისთვის?

––იმისთვის, რომ კინაღამ დაგღუპე.

––მაპატიე –ჩუმად ვთქვი მე.

––ყველაფერი მესმის –თავი დააქნია ედვარდმა ––მაგრამ, რატომ არ დამელოდე?

––შენ არსად არ გამიშვებდი.

––რათქმაუნდა არა. არაფრის დიდებით.

მე ისევ შემაწუხეს უსიამოვნო მგონებებმა. მე შევიშმუშნე და შემაჟრჟოლა.

––ბელა, რა მოხდა?

MYTOPBOOK.ORG

––რა მოუვიდა ჯეიმსს?

––შენ, რომ მოგაშორე ემეტს და ჯასპერს მივეცი –ედვრადის ხმაში სინანული ისმოდა.

––რატომღაც ისინი არ დამინახავს –უხერხულად ვთქვი მე.

––სხვა ოთახში გაყვანა მოგვიწია. დარბაზში ძალიან ბევრი სისხლი იყო...

––შენ კი დარჩი.

––ჰო, დავრჩი.

––ელისი და კარლაილი? –გაკვირვებით ვკითხე.

––მათაც უყვარხარ, ხომ იცი.

თავში რაღაც მოგონებებმა გაილვა და რაღაც გავიხსენე.

––ელისმა ფირი ნახა?

––კი –მის ხმაში სიძულვილი იწვოდა.

მე შევეცადე ჯანმრთელი ხელი გამეწია, მაგრამ რაღაცამ გამაჩერა. წვეთოვანი!

––ვაი! –დავიკვნესე მე.

––რა მოხდა? –აღელვებულმა მკითხა ედვარდმა, და მისი სახე ოდნავ მოდუნდა, მაგრამ ისევ მოწყენილი თვალები ჰქონდა.

––ნემსი –დავიჩივლე მე და მზერა ჭერზე გადავიტანე. მოტეხილი ნეკნები ისე მტკიოდა ძლივს ვსუნთქვდი.

––ერთი შეხედე, ნემსის ეშინია! –თავის თავს ჩაუბურტყუნა ედვარდმა – და არა საშინელი ვამპირის რომელიც ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს, არამედ ნემსის!

მე თვალები გადავატრიალე. ჰო, საკუთარი თავის გაკიცვის გარეშე არ შეიძლება! თემის შეცვლის დროა.

––რატომ ხარ აქ?

MYTOPBOOK.ORG

ედვარდმა წყენით ასწია წარბები. ესეთ კითხვას არ ელოდა!

––წავიდე?

––არა! –შეშინებულმა წამოვიყვირე. ––უბრალოდ, როგორ ავუხსნა შენი აქ ყოფნა დედას? რამე უნდა მოვიფიქროდ, სანამ დაბრუნებულა.

––ოჰ, ეეს! –წამოიყვირა მან ––მე ფენიქსში კეთილი მისიით ჩამოვედი, დაგარწმუნო რომ ფორქსში დაბრუნდე. –ედვარდი ისე სერიოზულად და გულახდილათ ლაპარაკობდა, რომ თითქმის დავუჯერე. ––შენ დათანხმდი ჩემთან შეხვედრას და მოტელში წამოდი სადაც მე, კარლაილი და ელის ვიყავით... მაგრამ, ჩვენს ოთახში ამოსვლისას ფეხი დაგიცურდა და... დანარჩენი იცი. დაწვრილმანება აუცილებელი არ არის, მითუმეტეს ასეთ მდგომარეობაში მეხსიერების ნაწილობრივ დაკარგვა სავსებით შესაძლებელია.

მე წუთით ჩავფიქრდი.

––შენი ისტორია მთლად სუფთა არ არის. მაგალითად, მოტელში გატეხილი მინები არის?

––რათქმაუნდა, არის –დამაჯერებლად მითხრა მან ––ელისი შეეცადა! თუ გსურს შეგიძლია მოტელს უჩივლო!

მე თვალები გადავატრიალე. კარგი ეს მაინც არ არის მტკივნეული.

––სანერვიულო არაფერი გაქვს –გამომიცხადა ედვარდმა, ლოყაზე ფერებით ––მთავარია გამოჯანმრთელდე!

ტკივილის და მედიკამენტების მოქმედების მიუხედავად, ჩემმა სხეულმა მაშივე მოახდინა რეაგირება შეხებაზე. მონიტორზე პულსის ნაჩვენებელი აჩქარდა. ალბათ, ჩემი გრძნობების შესახებ ედვარდის მიმართ მთელმა საავადმყოფომ გაიგო.

––ჯანდაბა, ეს მოწყობილობები –გაღიზიანებულმა წავიბურტყუნე.

მან ჩაიცინა და ჩაფიქრებულად შემომხედა.

––ჰმმ, საინტერესოა... –ჩაიბურტყუნდა ედვარდმა და დაიწყო ნელნელა დახრა, ჩემს ტუჩებთან.

MYTOPBOOK.ORG

მოწყობილობამ უფრო სწრაფად და ხმამაღლა დაიწყო წრიპინი, ხოლო როდესაც ჩვენი ტუჩები შეხვდნენ ერთამნეთს, წრიპინი შეწყდა. ედვარდი იმწამსვე გასწორდა და შეშინებულმა შეხედა მონიტორს, სადაც ისევ გაიკლაკნა ჩემი პულსის მაჩვენებელი.

––მგონი, უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ ვიდრე ჩვეულებრივ.

ტკივილისა და წვეთოვანი მილების დავიწყებით, ავწიე ხელები და ყელზე მოვეხვიე. არ გავუშვებ არასდროს!

მაგრამ ედვარდმა პირი მოკუმა და ისევ ფრთხილად დამადებინა საწოლზე ჩემი დალურჯებული და დაჟეჟილი ხელები.

––დედაშენი მოდის –ეშმაკურად გაიღიმა მან.

––გთხოვ არ წახვიდე –შიშით წამოვიყვირე მე. დავუშვათ და ვეღარ ვნახო?

ედვარდმა თვალებში ჩამხედა, მათში პანიკა დაინახა და თავი დამიქნია.

––არსად არ მივდივარ –დამპირდა და გაიღიმა. ––ცოტას წავიძინებ.

ედვარდი ფირუზუსფერ სავარძელში გადაჯდა, თვალები დახუჭა და სრულიად უმოძრაო გახდა.

––სუნთქვა არ დაგავიწყდეს –ჩავიცინე მე. ედვარდმა მაშინვე ამოიხვნეშა, მაგრამ თვალები არ გაუხელია.

დერეფანში დედის ნაბიჯების ხმა გაისმა. ის ვიღაცას ელაპარაკებოდა, ალბათ ერთერთ მედდას და ნაწყენი ხმა ჰქონდა.

კარის ფრთხილად შემოღებით რენემ ოთახში შემოიხედა.

––დედა! –დავუძახე მე და შევეცადე რომ ხმა დამაჯერებელი ყოფილიყო.

ვითომ დაძინებულ ედვარდზე შეხედვის შემდეგ დედა ფეხის წვერებზე მოვიდა ჩემს საწოლთან.

––ის რა, ნაბიჯითაც არ გშორდება? –გაღიზიანებული ხმით თქვა დედამ.

MYTOPBOOK.ORG

––დედა, როგორ მიხარია შენი ნახვა!

მხრებზე მომეხვია და დავინახე, რომ ტიროდა.

––ბელა, რა კოშმარია!

––მაპატიე დედა! მე კარგად ვიქნები, მალე გამოვჯანმრთელდები.

––რა კარგია, რომ თვალები გაახილე! – საწოლის კიდეში გადაჯდა.

––რამდენი ხანი ვიყავი უგონოდ? –უცებ მივხვდი, რომ არ ვიცოდი რა დღე იყო დღეს.

––დღეს პარასკევია, ძვირფასო, შენ რამოდენიმე დღე კომაში იყავი.

––პარასკევი? –შეშინებულმა შევეკითხე ისევ და შევეცადე გამეხსენებინა, ჯეიმსმა როდის... არა, არ შემიძლია ამაზე ფიქრი, არ მინდა!

––ექიმები რამოდენიმე დღის განმავლობაში გამაყუჩებლებს გიკეთებდნენ... რათქმაუნდა, ამდენი მოტეხილობა!

––ვიცი! –გამოვეხმაურე მე. თავი ისევ ნისლში მქონდა გახვეული!

––გაგიმართლა, რომ ექიმი კალენი აღმოჩნდა შენთან. ესეთი სასიამოვნო ადამიანი... ესეთი ახალგაზრდა! ის ჰოლივუდის ვარსკვლავს უფრო ჰგავს ვიდრე ექიმს.

––კარლაილი ნახე?

––ჰო, და ელისიც. ძალიან კარგი გოგოა!

––ძალიან! –გულახდილად დავეთანხმე მე.

––შენ არ გითქვამს, რომ ესეთი კარგი მეგობრები გაიჩინე –რენემ ედვარდს შეხედა, სავარძელში ჩამჯდარს და თვალებ დახუჭულს.

მე ჩავიცინე, მაგრამ მაშინვე დავიკვნესე ტკივილისგან.

––ცუდად ხარ? –აღელდა რენე და ჩემსკენ შემობრუნდა. ედვარდმა წამიერად გაახილა თავლები.

MYTOPBOOK.ORG

––ყველაფერი კარგადაა –დავიჩურჩულე მე ორივესთვის ––უბრალოდ ნაკლები უნდა ვიმოძრაო.

ედვარდმა ისევ “დაიძინა”. იმის გამოყენებით, რომ რენე გაერთო, სწრაფად შევცვალე თემა, რომ ჩემს ფორქსიდან გაქცევას არ შეხებოდა საუბარი.

––ფილი სადაა? –უცებ ვკითხე მე.

––ფლორიდაში! ბელა, არ დაიჯერებ, ისეთი ამბები გვაქვს!

––ფილს კონტრაქტი შესთავაზეს?

––ჰო! როგორ მიხვდი? “წითელი ეშამკების” გუნდში!

––არაჩვეულებრივია! –წამოვიყვირე მე და სულ არ ვიცოდი რა იყო ეს “წითელი ეშმაკების” გუნდი.

––დარწმუნებული ვარ ტამპში უფრო მოგეწონება, ვიდრე მოლუოკში! –აღფრთოვანებისგან ძლივს თქვა რენემ ––ვინსკონცინში ვერ ვიყავი კარგად თოვლისა და სირისტისგან, ეხლა კი ტამპა! მზე და არც სინოტივეა. ჩვენ არაჩვეულებრივი სახლი ვნახეთ: ყვითელი, თეთრად მოპირკეთებული, ხოლო აივანი როგორც ფრანგულ ფილმებშია. სახლის წინ უზარმაზარი მუხა, ოკეანემდე კი სულ რამდენიმე წუთია. შენ საკუთარი აბაზანა გექნება...

––დედა, მოიცა! –შევაწყვეტინე მე. ედვარდი დახუჭული თვალებით იჯდა, მაგრამ მისი სახე საკმაოდ დაძაბული იყო მძინარესთვის. ––რაზე ლაპარაკობ? არანაირ ფლორიდაში არ წამოვალ, ფორქსში დავრჩები.

––აუცილებელი არ არის ფორქსში დაბრუნდე, სულელუკა! ფილი ეხლა უფრო იშვიათად იქნება ვარჯიშებზე. ჩვენ გადავწყვიტეთ რომ სამივეს ერთად ძალიან კარგად ვიცხოვრებთ.

––დედა –ისევ დავიწყე მე ––ფორქსი მომწონს. სკოლას უკვე შევეჩვიე, მეგობრები მყავს... –რენემ ეჭვით შეხედა ედვარდს, და მე იმწამსვე გადავიყავანე საუბარი უსაფრთხო მიმართულებით ––ჩარლის ვჭირდები. ის სულ მარტოა და საჭმლის მომზადება არ იცის.

MYTOPBOOK.ORG

––ფორქსში გინდა დარჩენა? –ყურებს არ უჯერებდა დედა. მისმა აფორიაქებულმა თვალებმა ედვარდზე გაიელვა –რატომ?

––დედა ვერ გაიგონე? სკოლის და ჩარლის გამო –მე ბეჭები ავიჩეჩე და მაშინვე ტკივილი ვიგრძენი.

დედას მგონი ლოყაზე უნდოდა მოფერება, მაგრამ ერთადერთი დაუბინტავი ადგილი შუბლი მქონდა და იქ გადამისვა ხელი.

––ბელა, ძვირფასო, შენ ხომ ვერ იტან ფორქსს!

––იქ არც ისე ცუდია.

დედა მოიღუშა, მისი მზერა ჩემსა და ედვარდს შორის დარბოდა.

––და ყველაფერი, ამ ბიჭის გამო? –დაიჩურჩულა მან.

მე პირი დავაღე, რომ მომეტყუებინა, მაგრამ რენე ისეთი ყურადღებით მიყურებდა, რომ მაინც მიხვდებოდა.

–ჰო, ნაწილობრივ მის გამო,- ვადიარე მე. საჭირო არ იყო მედიარებინა რამდენად დიდი წვლილი მიუძღვოდა მას. –აბა, ედვარდს უკვე ელაპარკე?-ვკითხე.

–კი, -ყოყმანით მიპასუხა დედამ, ჯერ კიდევ მას უყურებდა, იდეალურად გაშეშებულს. –და მინდა ამაზე გელაპარაკო.

ო–ო.

–მაინც რაზე?-ვკითხე.

–მგონი, ბიჭი შეყვარებულია შენზე,- ხმადაბლა დასდო ბრალი რენემ.

–მეც ესე ვფიქრობ,-გავუმხილე საიდუმლოდ.

–შენ როგორ ხარ განწყობილი მის მიმართ?- მაინცდამაინც კარგად ვერ გამოუვიდა განცვიფრებული ცნობისმოყვარეობის დამალვა.

ამოვიოხრე და მზერა ავარიდე. მიუხედავად იმისა, რომ ასე ძალიან მიყვარდა დედაჩემი, ეს იყო ის თემა, რომელზეც ვისურვებდი, რომ დედაჩემთან არ მესაუბრა.

MYTOPBOOK.ORG

–მე მას ჭკუიდან გადავყავარ! – აქ ეს ისე ჟღერდა როგორ ალბათ თინეიჯერი გოგო იტყოდა თავის პირველ შეყვარებულზე.

–მართალია ძალიან თავაზიანი ადამიანი ჩანს და ღმერთო ჩემო, მართლაც რომ დაუჯერებლად მიმზიდველი გარეგნობა აქვს, მაგრამ შენ ხომ ასეთი პატარა ხარ... -მას ისევ მერყევი ხმა ჰქონდა. რაც მახსოვდა პირველად იყო მას შემდეგ რაც რვა წელი შემისრულდა, როცა ცდილობდა დედა-შვილურად დამლაპარაკებოდა. ვიცანი ეს დამრიგებლური-მაგრამ-მკაცრი ტონი იმ საუბრებიდან როცა კაცებზე მელაპარაკებოდა ხოლმე.

–ვიცი, დედა. ნუ ნერვიულობ, ეს უბრალოდ გატაცებაა,-დავაწყნარე.

–მართალია, -იოლად ნასიამოვნები დამეთანხმა.

რენემ ამოიოხრა და ქურდულად მხარზემოთ გახედა კედელზე დაკიდებულ დიდ, მრგვალ საათს.

–უნდა წახვიდე?

მან ტუჩზე იკბინა.

–ფილმა უნდა დარეკოს ცოტა ხანში... არ ვიცოდი გონზე თუ მოხვიდოდი.

–არაუშავს, დედა. -შეეცადე შვება დამეფარა, რომ გული არ სტკენოდა. –მარტო არ ვიქნები.

–მალე დავბრუნდები. იცი, მე აქ ღამე გავათენე- გამოაცხადა საკუთარი თავით კმაყოფილმა.

–ო, დედა, რა საჭირო იყო. შეგიძლია მშვიდად იძინო სახლში- მე მაინც ვერ შევამჩნევ განსხვავებას. – ტვინში გამაყუჩებლების დიდი დოზის გამო, ახლაც კი მიჭირდა ყურადღების მოკრება. თავს დაღლილად ვგრძნობდი, იმის მიუხედავად, რომ რამოდენიმე დღე გადაბმულად მეძინა.

–ძალიან ვნერვიულობდი, -მორცხვად აღიარა რენემ. -ჩვენს რაიონში რაღაც დანაშაული მოხდა, სახლში მარტო დარჩენა არ მინდოდა.

–დანაშაული?-ყურები ვცქვიტე.

MYTOPBOOK.ORG

–ვიღაც ბალეტის სტუდიაში შევარდა და ნაცარტუტად აქცია, საერთოდ აღარაფერი დარჩა! ხოლო დამწვარი შენობის წინ მოპარული მანქანა მიაგდეს. ძვირფასო, გახსოვს იქ რომ ცეკვავდი ხოლმე?

–მახსოვს,- შევკრთი და გამაჟრჟოლა.

–თუ გინდა დავრჩები შენთან! –დიდსულოვნად შემომთავაზა დედამ.

–არა, უკეთესია წადი და დაისვენე. ჩემთან ედვარდი დარჩება!

ისე მიყურებდა, რომ მივხვდი სწორედ ამიტომ უნდოდა დარჩენა.

–საღამოს დავბრუნდები, -ნახევრად გაფრთხილებასავით და ნახევრად დაპირებასავით თქვა რენემ და ედვარდს შეხედა.

–მიყვარხარ დედა.

–მეც მიყვარხარ, ბელა! გთხოვ, ამიერიდან წინ იყურე ხოლმე როცა დადიხარ, საყვარელო, შენი დაკარგვა არ მინდა.

თვალდახუჭულ ედვარდს ფართო ღიმილით გაუნათდა სახე.

წამის შემდეგ მედდა ფუსფუსით შემოვიდა და წვეთოვანი და მილები გამისწორა. დედამ შუბლზე მაკოცა, შეხვეულ ხელზე მომეფერა და გავიდა.

მედდამ კარდიოგრამა შემიმოწმა.

–რამე გაღელვებს, ძვირფასო? პულსი ცოტათი აჩქარებული გაქვს.

–არა, ყველაფერი რიგზეა,- დავარწმუნე მე.

–წავალ უფროს მედდას ვეტყვი, რომ გაიღვიძე. ერთ წუთში მოვა!

კარები დაიხურა თუ არა, ედვარდი ჩემტან გაჩნდა.

–მანქანა მოიპარე?-წარბები შევყარე.

–კარგი მანქანაა, ძალიან სწრაფი! გაიღიმა მან. არანაირი სინანულით ხმაში.

–როგორ გეძინა? -ვკითხე ირონიულად.

MYTOPBOOK.ORG

–საინტერესოა... -თვალები დაუვიწროვდა.

–მაინც რა?

მან თავი დახარა სანამ პასუხს გამცემდა.

–გაოცებული ვარ. მე მეგონა ფლორიდა... დედაშენი... მეგონა, რომ ამაზე ოცნებობდი! – დაბნეული მივაჩერდი.

–ფლორიდაში მთელი დღეები ჩაკეტილი მოგიწევს ყოფნა. მარტო დამ-ღამობით თუ გამოხვალ ხოლმე, ზუსტად ისე როგორც ნამდვილ ვამპირს შეეფერება.

ედვარდმა თითქმის გაიღიმა და შემდეგ უცებ მოიღუშა.

–ბელა, მე ფორქსში დავრჩებოდი, ან ნებისმიერ ქალაქში, -ამიხსნა მან. -ოღონდაც უსიამოვნებები არ მომეტანა შენთვის.

თავიდან ვერ გავუგე. უცებ, ყველა სიტყვა თავსატეხივით თავის ადგილას ჩაჯდა და გავიაზრე რის თქმას ცდილობდა. მოღუშული მივაჩერდი. ბუნდოვნად მესმოდა პულსის მომატების წრიპინი, სუნთქვის აჩქარებამ პიკს რომ მიაღწია მერედა მივხვდი როგორ მტკიოდა ნეკნები.

ედვარდი დუმდა, ფრთხილად მაკვირდებოდა სახეზე და ხედავდა ტკივილი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მოტეხილ ძვლებთან, ტკივილი რომელიც ფიზიკურ ტკივილებზე ბევრად უარესი იყო, როგორ მიპირებდა წალეკვას.

ამ დროს პალატაში უფროსი მედდა შემოვიდა. ედვარდი სანამ მონიტორებს მიუბრუნდებოდა ქვასავით გაშეშებული იჯდა და შეძრწუნებულ გამომეტყველებაზე მაკვირდებოდა.

–ტკივილგამაყუჩებლების დროა, საყვარელო, -თბილი ხმით მითხრა ქალმა და წვეთოვანს ცარიელი მკვებავი პარკი მოაძრო.

–არა, არა, -ჩავიბუტბუტე და შევეცადე ხმაში ტკივილი არ შემტყობოდა.-არაფერი არ მჭირდება. -ძალდატანება არ დამჭირვებია ისე დავხუჭე თვალები.

MYTOPBOOK.ORG

–ძვირფასო, არ ღირს გმირობა. ზედმეტი დატვირთვა შენს ორგანიზმს ავნებს; დასვენება გჭირდება. - ის მელოდა, მე კი ჯიუტად გავაქნიე თავი.

–კარგი, -ამოიოხრა მან.- გამოსაძახებელ ღილაკს დააჭირე ხელი მზად რომ იქნები.

მან ჯერ ედვარდს შეხედა მკაცრი მზერით, შემდეგ მონიტორს და პალატიდან გავიდა.

სახეზე ცივი ხელების შეხება ვიგრძენი, მე ველური მზერით ვუყურებდი.

–ჩშშ, ბელა, დამშვიდდი.

–არ მიმატოვო,-შევევდრე განწირული ხმით.

–არ მიგატოვებ, -დამპირდა ის,-ეხლა კი დამშვიდდი, თორემ მედდას დავუძახებ.

მაგრამ გულისცემა მაინც არ მინელდებოდა.

–ბელა, არსად არ მივდივარ!-მან შეშფუთებულმა გადამისვა სახეზე ხელი.- სანამ გჭირდები შენს გვერდით ვიქნები.

–დაიფიცე რომ არ მიმატოვებ!-ჩურჩულით მოვითხოვე მე. შევეცადე ქოშინი მაინც დამეწყნარებინა.

ედვარდმა ჩემი სახე მის ხელებში მოაქცია და თვალებსი ჩამხედა.

–გეფიცები,-სერიოზულად წარმოთქვა მან.

მან სახეზე ორივე მხარეს მომკიდა ხელები და სახე ახლოს მომიტანა. სერიოზული და ფართოდ გახელილი თვალები ჰქონდა.

–გეფიცები.

მისი სუნთქვის სურნელი მამშვიდებდა. ის დაჟინებით დამაჩერდა და სუნთქვა ნელნელა აღმიდგა, ცოტა მოვდუნდი, მოწყობილობამ ნორმალურ რიტმში დაიწყო წრიპინი. დღეს ჯადოსნური თვალები ბნელი, უფრო შავთან იყო ახლოს, ვიდრე ოქროსფერთან.

MYTOPBOOK.ORG

–უკეთესად ხარ?

–კი, -ფრთხილად ვუპასუხე მე.

ედვარდმა თავი გააქნია და რაღაც ჩაიბუტბუტა, რაც ვერ გავიგონე. მხოლოდ სიტყვა “ზემგრძნობიარება” მომესმა.

–რატომ თქვი ასე? -ვკითხე და ვცდილობდი თანაბარი ხმა შემენარჩუნებინა.-დაიღალე ჩემი გადარჩენით? *გინდა*, რომ წავიდე?

–არა, უშენოდ ყოფნა არ მინდა, რათქმა უნდა არ მინდა რომ წახვიდე. შენ თვთონ დაფიქრდი. და არც შენს გადარჩენასთან მაქვს პრობლემა-ოღონდ უკეთესი იქნებოდა, რომ ჩემ გამო არ ვარდებოდე საფრთხეში... უკეთესი იქნებოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი შენი აქ ყოფნის მიზეზი.

–ჰო, სწორედაც რომ შენ ხარ მიზეზი,- შევუბღვირე.-მიზეზი იმისა, რომ აქ ვარ...*ცოცხალი.*

–ჰო ცოცხალი! -მიჩურჩულა ედვარმდა.- გიფსში ხარ ჩასმული, ბინტებით შეფუთული და ძლივს თუ მოძრაობ.

–მე ამ ყველაზე ახალ სიკვდილთან-მიახლოებულ გამოცდილებას არ ვგულისხმობდი.-უკვე ვღიზიანდებოდი.- სხვებზე ვფიქრობდი- გინდა გაგახსენო? შენ, რომ არა მე კარგა ხანია უკვე ფორქსის სასაფლაოზე განვისვენებდი!

ედვარდი შეკრთა ამ სიტყვებზე, მის თვალებში რაღაცამ გაიელვა, მაგრამ დიდხანს არ გაჩერებულა.

–ეგ ჯერ კიდევ არაა ყელაზე უარესი ნაწილი,- გააგრძელა მან ჩურჩული, თითქოს არც გაუგონია ჩემი სიტყვები. -არა მაშინ როდესაც ნამსხვრევებზე დაგინახე დაგდებული... არა მაშინ როდესაც ვიფიქრე, რომ უკვე გვიანია. მაშინაც არა როცა გავიგონე შენი ყვირილი ტკივილისგან... ყველაფერი ეს აუტანელი მოგონებებია და მე მათ სამუდამოდ გავიყოლებ. მაგრამ არა, ყველაზე საშინელი ის გრძნობა იყო... როცა ვიცოდი, რომ გაჩერება ჩემს ძალებს აღემატებოდა...როცა მჯეროდა, რომ მე თვითონვე მოგკლავდი.

–მაგრამ არ მომკალი.

–მაგრამ ეს შესაძლებელი იყო, თან ადვილი შესაძლებელი.

MYTOPBOOK.ORG

ვიცოდი, რომ სიმშვიდე უნდა შემენარჩუნებინა...მაგრამ ცდილობდა საკუთარი თავისთვის დაეჯერებინა, რომ მივეტოვებინე. პანიკის თრთოლვას ფილტვებში ვგრძნობდი და გამოხეთქვას ლამობდა.

–დამპირდი,- ვუჩურჩულე.

–რას?

–თითონაც იცი რას! -უკვე ვბრაზდებოდი მე. მგონი უკვე ყველაფერი გადაწყვიტა.

ედვარდმა იგრძნო ჩემს ტონში ცვლილება და თვალები დაეძაბა.

–არამგონია მეყოს ძალა, რომ შენგან შორს ვიყო, ამიტომ ვფიქრობ, რომ შენ მაინც შენსას გაიტან, იმის მიუხედავად...ეს დაგღუპავს თუ არა. -დაამატა მან უხეშად.

–ძალიან კარგი. -დაპირება ედვარდმა მაინც არ მომცა და ეს ფაქტი არ გამომპარვია... პანიკა და შიში ნებისმიერი წუთიდან გამოვიდოდა კონტროლიდან. ბრაზის დასამორჩილებლად კი ძალა აღარ მქონდა.- როგორ გააკეთე ეს, ვიცი. ეხლა მინდა ვიცოდე რატომ?! -დაჟინებით მოვითხოვე პასუხი.

–რატომ?-ფრთხილად მკითხა.

–*რატომ* მოიქეცი ასე? რატომ არ მიეცი შხამს გავრცელების საშუალება? ეხლა უკვე ერთერთი თქვენგანი ვიქნებოდი...

მას უცებ თვალები შავი გაუხდა და გამახსენდა, რომ ეს ისეთი რაღაც იყო,რომელიც ედვარდს არ უნდოდა, რომ მცოდნოდა. ესე იგი, ელისი ძალიან დაკავებულია საკუთარი პრობლემებით... ან ძმის აქ ყოფნაში ძალიან ფრთხილობს თავის ფიქრებთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში მას აშკარად წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მისმა დამ ვამპირად გადაქცევის მექანიზმი გამანდო. ის გაოცებული და გაცეცხლებული იყო. თხელი ნესტოები უთამაშებდა, პირი კი ქვაში გამოკვეთილად ექცა.

პასუხის გაცემას არ აპირებდა, ეს სრულიად ნათელი იყო.

–პირველმა მე უნდა ვაღიარო, რომ ურთიერთობებში დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვეხნი, -მოვახსენე, -მაგრამ ლოგიკურად

MYTOPBOOK.ORG

მიმაჩნია... რომ კაცი და ქალი როგორღაც თანასწორნი უნდა იყვნენ... მარტო ერთი არ უნდა იყოს გადაკიდებული და იხსნიდეს სიკვდილისგან მეორეს. ისინი თანაბრად უნდა იცავდნენ ერთმანეთს.

ედვარდმა იდაყვები დადო საწოლის კიდეზე და ხელებს ნიკაპით დაეყრდნო. მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ჩანდა შეძლო სიბრაზის მოთოკვა. ყოველ შემთხვევაში გადაწყვეტილი ჰქონდა *ჩემზე* არ გაბრაზებულიყო. იმედია მოვასწრებ ელისის გაფრთხილებას სანამ ფიქრებში გამოიჭერს.

–შენ გადამარჩინე, -ჩუმად წარმოთქვა მან.

–მე არ მინდა ყოველთვის ლუის ლეინად დავრჩე. -დავიჟინე.- მინდა სუპერმენიც ვიყო.

–არც კი გესმის რას მთხოვ, -ნაზად მითხრა ედვარდმა; თან ყურადღებით აკვირდებოდა ჩემს ბალიშს.

–ძალიან კარგადაც მესმის.

–ბელა, *არ* იცი. მე 90 წელია ამაზე ვფიქრობ და ჯერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული ღირს თუ არა ასეთი ცხოვრება.

–გერჩივნა არ გადაერჩინე კარლაილს?

–არა, არ მერჩივნა. ცოტა ხანს გაჩუმდა სანამ გააგრძელებდა.- მაგრამ ჩემი ადამიანური ცხოვრება უკვე მთავრდებოდა. არაფერს არ ვკარგავდი.

–შენ ჩემი ცხოვრება *ხარ*. შენ ხარ ის ერთადერთი რამ რისი დაკარგვაც გულს მატკენს,-გამოვტყდი მე და მაშინვე ვიგრძენი შვება. ადვილი იყო იმის აღიარება, თუ რამდენად მჭირდებოდა მე ის.

ედვარდი მშვიდად იყო. ესე იგი მყარად აქვს გადაწყვეტილი.

–ამის გაკეთება არ შემიძლია, ბელა. ამისთვის ვერ გაგიმეტებ.

–რატომ? ყელი გამშრალი მქონდა ამიტომ როგორც მინდოდა ისე ხმამაღლა არ გამომივიდა. -არ მითხრა, რომ ძალიან ძნელია! დღევანდელის შემდეგ... თუ მგონი რამდენიმე დღის წინ... მოკლედ, მომხდარის შემდეგ ეს აღარაფერი იქნება.

MYTOPBOOK.ORG

ედვარდმა ბრაზიანი მზერა მესროლა.

–და ტკივილი? -მკითხა მან.

თავი ვერ შევიკავე და გავთეთრდი. მაგრამ შევეცადე სახეზე არ შემტყობოდა როგორ ნათლად მახსოვდა ის შეგრძნება... ცეცხლი ძარღვებში.

–ეს ჩემი პრობლემაა,-ვუპასუხე მე.- როგორმე გადავიტან.

–როგორც ჩანს, შესაძლებელია სიმამაცე სიგიჟემდე მივიდეს!

–საქმე ამაში არა,- დავიჯინე. -სულ რაღაც სამი დღეა.

ედვარდი უკამაყოფილოდ დაიჭყანა, ჩემმა სიტყვებმა გაახსენა, რომ მე უფრო უკეთესად ვიყავი ინფორმირებული ვიდრე მას უნდოდა. დავინახე როგორ დასძლია სიბრაზე და თვალებში ჩამხედა.

–და ჩარლი? -მკითხა მან_მოკლედ. -რენე?

წუთებმა გაიარა მე კი გამწარებული ვცდილობდი მომეფიქრებინა რა მეპასუხა. პირიც კი გავაღე სათქმელად, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. ისევ დავხურე. ის გამარჯვებული გამომეტყველებით მელოდა, რადგან იცოდა, რომ სწორი პასუხი არ მქონდა.

–მისმინე, საქმე არც ამაში არაა. -წავიბურტყუნე ბოლოს. არადამაჯერებელი ხმა მქონდა, როგორც ყოველთვის როცა ვცრუობდი. -რენე ყოველთვის ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდა, რომელიც მის ცხოვრებას ისე ცვლიდა როგორც მას უნდოდა- მას უნდა რომ მეც იგივეს ვაკეთებდე. და ჩარლის სიხალისეს რაც შეეხება, ისიც მარტო ყოფნასაა მიჩვეული. სამუდამოდ მათზე ზრუნვას ხომ არ გადავყვები. მე ჩემი ცხოვრება მაქვს.

–ზუსტად, -გაცხარდა ის. და მე შენს ცხოვრებას უბრალოდ ახირების გულისთვის არ დავასრულებ.

–თუ იმას ელოდები როდის მნახავ სიკვდილის სარეცელზე, მაშინ ახალი ამბავი მაქვს შენთვის! ახლახან ვიყავი იქ!

–შენ გამოკეთდები,-შემახსენა მან.

MYTOPBOOK.ORG

საკუთარი თავი რომ დამემშვიდებინა ღრმად ჩავისუნთქე, ყურადღება არ მივაქციე ამისგან გამოწვეულ ტკივილს. ჩვენ სიჩუმეში ვბურღავდით ერთმანეთს მზერით. მგონი არ აპირებდა დათმობაზე წასვლას.

–არა, -ვთქვი ნელა -სულაც არა.

მან შუბლი შეჭმუხნა.

–როგორ არა. შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი ნაიარევი დაგრჩეს...

–ცდები... -დავიჟინე -მე ვკვდები.

–მართლა გეუბნები, ბელა, -უკვე შეშფოთებულმა მიპასუხა მან.- რამდენიმე დღეში გაგწერენ აქედან. დიდი-დიდი ორ კვირაში.

თვალი შევავლე მას.

–ახლა არ ვკვდები...მაგრამ ოდესმე ხომ მოვკვდები. დღის ყოველ წუთს უფროდაუფრო ვუახლოვდები და ამასთან ერთად *ვბერდები* კიდეც.

ის მოიღუშა იმის ნიშნად, რომ რასაც ვამბობდი შტერობა იყო, თავისი გრძელი თითები საფეთქლებზე დაიდო და თვალები დახუჭა.

–ასე უნდა ხდებოდეს კიდეც. ყველას ასე დაემართებოდა მე რომ არ ვარსებობდე – და მე *არც უნდა* ვარსებობდე.

წავიფრუტუნე. მან გაოცებულმა გაახილა თვალები.

–სისულელეა! ეს იმას გავს, კაცი ლატარეაში რომ მოიგებს, წავა აიღებს თავის ფულს და იტყვის "მოდი ჯობია ფულს დავაბრუნებ და ისე მოვიპოვებ როგორც წესით უნდა ხდებოდეს." მაგრამ მე ამას არ გავაკეთებ!

–ჩემზე ლატარიის ჯილდო ნამდვილად არ ითქმის.

–მართალი ხარ, შენ ბევრად უკეთესი ხარ.

ედვარდმა თვალები გადაატრიალა და პირი მოკუმა.

MYTOPBOOK.ORG

–ბელა, აქ საკამათოც არაფერია! მე უარს ვამბობ დაგწყევლო ღამის მარადისობით და აქ სრულდება კამათი.

–თუ ფიქრობ, რომ მანდ სრულდება, კარგად არ მიცნობ.-გავფრთხილე.- ბოლოს და ბოლოს, შენ არ ხარ ერთადერთი ვამპირი ვისაც მე ვიცნობ.

თვალები ისევ გაუმუქდა.

–ელისი ვერ გაბედავს!

ამ მომენტში ედვარდს ისეთი ულმობელი სახე ჰქონდა, რომ დაჯერებაც კი მიჭირდა- ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა არსებულიყო ვინმე ვინც მის წინააღმდეგ წავიდოდა.

–ელისს ხილვა ჰქონდა, არა? -გამოვიცანი მე. -აი რატომ ეშინოდა, რომ გაბრაზდებოდი! მან იცის, რომ მევ გავხდები თქვენნაირი...ერთ მშვენიერ დღეს.

–ჩემი და ცდება. მან შენ მკვდარი გნახა, მაგრამ გადარჩი!

–ელისის წინააღმდეგ არასდროს დავნიძლავდები!

კარგა ხანს ვუყურებდით ერთმანეთს უხმოდ. პალატაში სამარისებული სიჩუმე ჩამოდგა, რომელსაც მხოლოდ მოწყობილობების წრიპინი არღვევდა, წვეთოვანის ხმა და საათის წიკწიკი, როგორც იქნა სახე მოუდუნდა.

–აბა, რაზე გავჩერდით?

–მგონი ამას *ჩიხი* ქვია -უხალისოდ ჩაიცინა ედვარდმა. მე ამოვიოხრე.

–ჯანდაბა!-წავიბურტყუნე.

–როგორ გრძნობ თავს? -დაინტერესდა ედვარდი, თან მედდის გამოსაძახებელ ღილაკს შეხედა.

–ყველაფერი რიგზეა -მოვიტყუე მე.

–შენი არ მჯერა.-თავაზიანად მიპასუხა მან.

–ძილი აღარ მინდა.

MYTOPBOOK.ORG

–დასვენება გჭირდება. ეს უსარგებლო კამათი კარგს არაფერს მოგიტანს.

–მაშინ დანებდი, -ეშმაკურად შევთავაზე მე.

–კარგი მცდელობაა! -ედვარდი ღილაკს გადასწვდა.

–არა!

ყურადღება არ მომაქცია.

–დიახ?-დაიწრიპინა მიკროფონმა კედელზე.

–მგონი მზად ვართ ტკივილგამაყუჩებლის მორიგი დოზისთვის,- მშვიდად იკითხა ედვარდმა, ყურადღება არ მიაქცია ჩემს გააფთრებულ გამომეტყველებას.

–მედდას გამოვგზავნი,- მონოტონური ხმით უპასუხა ქალმა.

–არაფერსაც არ მივიღებ, -დავპირდი მე.

ედვარდმა ლოგინთან მდებარე მილს შეხედა.

–არა მგონია რაიმეს გადაყლაპვა გთხოვონ,-პულსმა ისევ აიწია. ჩემს თვალებში შიშის დანახვისას, ედვარდმა ნირწამხდარმა ამოიხვნეშა.

–ბელა, გტკივა! რომ გამოჯანმრთელდე სიმშვიდე გჭირდება. რატომ იქმნი პრობლემებს? არა მგონია, სხვა წვეთოვანი დაგიდგან.

–ნემსის არ მეშინია.-წავიბურტყუნე მე.- მე თვალების დახუჭვის მეშინია.

შემდეგ მან ცერა ღიმილით გამიღიმა და ჩემი სახე ხელებში მოიქცია.

–ხომ გითხარი, რომ არსად არ მივდივარ. ნურაფრის გეშინია. სანამ ჩემი აქ ყოფნა გაბედნიერებს, შენთან ვიქნები.

მეც შევღიმე, ყურადღება არ მივაქციე როგორ ამტკივდა ლოყები.

–იცი, შენ ეხლა მარადისობაზე ლაპარაკობდი.

–ო, კარგი რა, რატომ ასეთი პესიმიზმი? ეს მხოლოდ გატაცებაა!

MYTOPBOOK.ORG

მე თავი გავაქნიე ურწმუნობის ნიშნად, შედეგად მაშინვე თავბრუ დამეხვა.

–გამიკვირდა, რომ რენემ დამიჯერა, მაგრამ *შენ* ხომ ვერ შეგაცდენს კაცი!

–ეს ადამიანობის კიდევ ერთი უპირატესობაა.- განაცხადა ედვარდმა.- თქვენთვის რაღაცეები ცვლილებას განიცდის.-თვალები დამიწვრილდა

–სუნთქვას ნუ იკრავ! -სიცილით ვითხარი მე.

მედდა შპრიცით ხელში რომ შემოვიდა ის ჯერ კიდევ იცინოდა.

–ნებას მომცემთ? -ოფიციალურად მიმართა მან.

ედვარდი წამოდგა, პალატის საპირისპირო მხარეს დადგა და კედელს მიეყრდნო. გულხელდაკრეფილი იცდიდა. ჯერ კიდევ შეშფოთებული, არ ვაცილებდი თვალს. ის მშვიდად შეხვდა ჩემს მზერას.

–ესეც ასე, ძვირფასო, -გაიღიმა მედდამ მას შემდეგ რაც წამალი მილში შეიყვანა. -ახლა თავს უკეთესად იგრძნობ.

–გმადლობთ,- უემოციოდ ვუპასუხე მე. წამალმა ძალიან სწრაფად იმოქმედა და თითქმის მაშინვე ვიგრძენი თვლემა.

–აი, უკვე უკეთესია! -შენიშნა მედდამ, როცა დაინახა როგორ მიმეხუჭა თვალები.

რაღაც ცივი და გლუვი შემეხო სახეზე... ესე იგი მარტო დავრჩით.

–არ წახვიდე... –ძილში წავიბუტბუტე მე

–არ წავალ, -დამპირდა ის. მისი ხმა იავნანასავით სასიამოვნო მომეჩვენა.-მე ხომ დაგპირდი, რომ მანამ დავრჩები სანამ ეს გაბედნიერებს... სანამ ეს შენთვის სასიკეთოა.

თავის გაქნევა ვცადე, მაგრამ ის ძალიან მძიმედ მომეჩვენა.

–ეს ერთი და იგივე არ არის, -წავიბუტბუტე მე.

MYTOPBOOK.ORG

–ბელა, -გაიცინა ედვარდმა.- ახლა ნუ ინერვიულებ ამაზე. როცა გაიღვიძებ, შეგიძლია ჩემთან კამათი ახალი ძალებით განაგრძო.

–კარგი... -მგონი გავიღიმე. მისი ტუჩები ყურთან ვიგრძენი.

–მიყვარხარ, -მიჩურჩულა.

–მეც.

–ვიცი- წყნარად გაიცინა მან.

თავი შევაბრუნე...ვეძებდი. ის მაშინვე მიხვდა რაც მსურდა და ნაზად შეახო მისი ტუჩები ჩემს ტუჩებს.

–მადლობ, -ამოვიოხრე.

–შენს განკარგულებაში მიგულე.

მე უკვე აღარ ვიყავი პალატში. ძილთან ბრძოლის ძალა არ მქონდა. მხოლოდ მთავარის თქმა მოვასწრო.

–ედვარდ?-ძალიან შევეცადე გარკვევით წარმომეთქვა.

–გისმენ?

–ელისზე ვდებ, -ჩავიბუტბუტე.

და შემდეგ ღამემ მშთანთქა..

ეპილოგი

მოვლენა

MYTOPBOOK.ORG

ედვარდი დამეხმარა, მანქანაში მოვთავსებულიყავი, თან ძალიან ფრთხილობდა აბრეშუმთან და ატლასთან რომელიც ჩემს კაბას ამკობდა და ყვევილებთან რომლებიც ახლახან ჩამიმაგრა ელისის მიერ დახვეულ თმებში. ის ყურადღებას არ აქცევდა ჩემი სახის გამომეტყველებას.

როგორც კი ადგილზე მოვთავსდი, ის უკვე საჭესთან იჯდა და ძრავას ამუშავებდა.

— ბოლოს და ბოლოს როდის უნდა მითხრა სად მივდივართ?— ვკითხე ბუზღუნით, მე მართლა ვერ ვიტანდი სიურპრიზებს და მან ეს კარგად იცოდა.

— ძალიან ვარ გაკვირვებული, რომ ჯერ კიდევ ვერ მიხვდი,—მან ჩემი საყვარელი გვერდული ღიმილით გამომხედა და მაშინვე შემეკრა სუნთქვა ყელთან. ნუთუ შევეჩვევი როდესმე მის სილამაზეს?

— უკვე გითხარი რომ ძალიან ლამაზად გამოიყურები?

— კი,— ამოვიხრე ისევ.

ადრე ის არასოდეს მენახა შავებში ჩაცმული, ეს კი საოცარ კონტრასტში იყო მის ფერმკრთალ სახესთან, მისი სილამაზე აბსოლუტურად სურეალური იყო.

საშინლად ვღელავდი ჩემს ჩაცმულობასა და ფეხსაცმელებზე, უფრო სწორად ფეხსაცმელზე —მეორე ფეხი პლასტიკურ გიბსში მქონდა. მეორე ფეხსაცმლის ოდნავ მაღალი ქუსლიც კი ვერ მეხმარებოდა, რომ არ მეკოჭლა.

— მეორედ აღარ ვაპირებ თქვენთან მოსვლას, თუკი ელისი როდესმე კიდევ შეეცდება ჩემგან გუენას ბარბი შექმნას!— ამოვიღრინე. დილიდან აქმდე მთელი დღე ელისმა თავის აბაზანაში გამატარებინა. ის თავგამოდებით ითავსებდა თმის სტილისტისა და კოსმეტოლოგის როლს. როცა დაუსრულებლად ვწუწუნებდი, მან შემახსენა რომ არაფერი ახსოვს თავისი ადამიანური ცხოვრებიდან, ამიტომ მთხოვა არ დამერღვია მისი მხიარულება. შემდეგ კი ჩამაცვა ძალიან სასაცილო, მუქი ლურჯი უმკლავებო კაბა, რომელსაც მარკები ეკიდა ფრანგული წარწერებით, მართალია მათი წაკითხვა ვერ შევძელი, მაგრამ მივხვდი რომ კაბა ფორქსში ნამდვილად არ იყო

MYTOPBOOK.ORG

ნაყიდი. ვიცოდი რომ ეს ყველაფერი კარგ შედეგამდე არ მიმიყვანდა. მაგრამ... ვერ ვბედავდი ელისი გასაგონად წარმომეთქვა, ის რასაც ჩემს თავზე ვფიქრობდი!

უხალისო ფიქრები ტელეფონის ზარმა შემაწყვეტინა, ედვარდმა მობილური ამოიღო და სანამ აიღბდა ეკრანს დახედა.

— გამარჯობა ჩარლი! –ფრთხილად წარმოთქვა.

— ჩარლი?– წარბები შევკარი.

მას შემდეგ რაც ფორქსში დავბრუნდი, ჩარლი ძალიან შეიცვალა. ჩემმა შემთხვევამ მასში ორი განსხვავებული რეაქცია წარმოშვა. ის ახლა უფრო დიდი პატივს ცემდა კარლაილს. მეორე მხრივ კი ედვარდს დამნაშავედ თვლიდა — ის რომ არა, არასოდეს მომივიდოდა აზრად შუაღამეს სახლიდან გაქცევა. და ედვარდიც არ უარყოფდა ამას, ყველაფერთან ერთად წარმოიშვა ახალი წესები, რომლებიც აქამდე არ მქონდა: კომენდატის საათები... ედვარდთან შეხვედრის განსაზღვრული დრო.

ჩარლიმ ისეთი რამე უთხრა ედვარდს, რომ თვალები გაუფართოვდა და მათში უნდობლობა დავინახე მისი სახე მრისხანებამ დაფარა.

— შენ ხუმრობ! — გაიცინა მან.

— რა არის? —აქ კი ჩავერიე.

მან ყურადღება არ მომაქცია.

— რატომ მასთან არ მალაპარაკებ? —წარმოთქვა აშკარა სიამოვნებით. მან რამდენიმე წამით დაიცადა.

— გამარჯობა ტაილერ! ედვარდ კაელენი გელაპარაკება.— მისი ხმა ზედაპირულად, ძალიან მეგობრულად ჟღერდა, მე კი ვიცოდი რომ მასში ბასრი მუქარა იყო. რას აკეთებდა ჩემს სახლში ტეილორი? საშინელმა სინამდვილემ ჩემამდე მოაღწია. ისევ დავხედე ელისის უადგილო, ძალით ჩაცმულ კაბას.

— უკაცრავად მაგრამ აქ აშკარად რაღაც შეცდომაა, ბელა ამაღამ დაკავებულია,—ედვარდის ტონი შეიცვალა, ახლა მის ხმაში თანდათან უფრო იზრდებოდა მუქარა, —უფრო ზუსტად რომ გითხრა ის ყოველ

MYTOPBOOK.ORG

ღამით დაკავებულია, მანამ სანამ ის ჩემთანაა. არ გეწყინოს. ასევე ვწუხვარ რომ საღამო ჩაგიშალე.— თუმცა მის ხმაში არავითარი მწუხარება არ ისმოდა. მან ხმაურით დახურა ტელეფონი, სახეზე კი მძვინვარება გადაკვროდა.

სახე და ყელი სიბრაზისგან ამიჭარხლდა. უკვე ცრემლებიც ვიგრძენი, რომლებიც თვალების ავსებას მიპირებდნენ.

მან გაოცებით შემომხედა.

— ბოლოს ზედმეტი მომივიდა? მართლა არ მინდოდა შენი წყენინება...

— შენ წვეულებაზე მიგყავარ!— დავუყვირე.

ედვარდი აშკარად არ ელოდა ჩემგან ასეთ რეაქციას. მან ტუჩები მოკუმა.

— ყველაფერს ნუ ართულებ ბელა.

თვალები ფანჯრისკენ გამექცა, ჩვენ სკოლასთან ვიყავით.

— ამას რატომ მიკეთებ!— წარმოვთქვი ძრწოლით.

მან ჟესტით თავის სმოკინგი მაჩვენა.

— გულახდილად მითხარი ბელა, აბა რა გეგონა რას ვაპირებდით?

დავნებდი. პირველი, იმიტომ რომ ყველაფერი აშკარა იყო, გაურკვეველი ეჭვებსა და მოლოდინს, რომელთაც მთელი დღე ვუხდენდი ფორმირებას, ელისი ხომ ცდილობდა სილამაზის დედოფლად ვექციე. რა სულელურად მომეჩვენა ახლა ჩემი ნახევრად-საშიში იმედები!

ველოდი რომ რაღაც ამდაგვარი იქნებოდა, მაგრამ წვეულება! ყველაზე ნაკლებად ამას წარმოვიდგენდი!

ბრაზიანი ცრემლები ლოყებზე ჩამომცვივდა. მაშინდა გამახსენდა, რომ სახეზე მაკიაჟი მქონდა. სასწრაფოდ მოვისვი თითი თვალსქვეშ მაგრამ, არავითარი ლაქა არ ამყოლია, ალბათ ელისმა უკვე იცოდა, რომ წყალგამძლე კოსმეტიკა დამჭირდებოდა.

MYTOPBOOK.ORG

— ეს ძალინ სასაცილოა. რატომ ტირი?—მკითხა დაბნეულმა.

— იმიტომ რომ გაგიჟებული ვარ!

— ბელა,— შემომხედა თავისი ოქროსფერი თვალებით,

— რა? — წავიბუტბუტე.

— მენდე, — დაიჟინა მან.

მისი თვალები ჩემს მძვინვარებაში დნებოდნენ. შეუძლებელი იყო მასთან შეწინააღმდეგება, როცა ასე მიყურებდა.

— კარგი,— გავიბუტე, — მე მშვიდად ვიქნები, მაგრამ ჩემი ცუდი იღბალი არ მომასვენებს, საკუთარი თვალით ნახავ, მეორე ფეხსაც მოვიტეხავ! შეხედე ამ ფეხსაცმელს! ნამდვილი სასიკვდილო ხაფანგია!

— ჰმმმმ,— ის დააშტერდა ჩემს ჯანმრთელ ფეხს იმაზე დიდხანს, რამდენიც საჭირო იყო.— მერე შემახსენე, რომ ამაღამ ელისს მადლობა გადავუხადო ამისთვის.

— ელისი აქ მოვა?— ამან ცოტათი მანუგეშა.

— ჯასპერთან, ემეტთან და... როზალისთან ერთად.

ნუგეშის გრძნობა მაშინვე გამიქრა. როზალისთან არავითარი პროგრესი არ მქონდა, ემეტისგან განსხვავებით. ემეტს მოსწონდა მასთან რომ ვიყავი, ის ძალიან ხალისობდა ჩემი ადამიანური რეაქციებით და ხმაურით... ან ეს უბრალოდ ფაქტი იყო, რომ მე ვიყავი არსება რომელზეც შეიძლება ბევრი იცინო. როზალი კი ისე იქცეოდა თითქოს არც ვარსებობ. ცუდი ფიქრებისგან თავის დასაღწევად თავი გადავაქნიე.

— ჩარლიმ ეს იცოდა?— ეჭვით ვიკითხე.

— რათქმაუნდა, — ახითხითდა ის, — თუმცა არც ტეილორი ყოფილა შემთხვევითობა.

კბილები დავაჭრიალე. როგორ შეეძლო ტეილორს ასეთი მატყუარა და თავხედი ყოფილიყო, ვერაფრით წარმომედგინა. სკოლაში, სადაც

MYTOPBOOK.ORG

ჩარლი ვერ ჩაერეოდა, მე და ედვარდი განუყოფელნი ვიყავით, იმ იშვიათი მზიანი დღეების გამოკლებით.

ახლა ჩვენ სკოლასთან ვიყავით, როზალის კაბრიოლეტი ზედმეტად თვალშისაცემი იყო უბადრუკ ავტოსადგომზე. დღეს ღრუბლები ძალიან თხლად ეფინა ცაზე. დასავლეთიდან მზის რამდენიმე სხივი გამოქცეულიყო ღრუბლებს შორის.

ედვარდი მანქანიდან გადავიდა, კარები გამიღო და ხელი გამომიწოდა.

მე ჯიუტად ვიჯექი ჩემს სავარძელზე, მხრებში მოხრილი უსუსურ ტკივილს ვგრძნობდი. ირგვლივ უამრავი ფორმალურად ჩაცმული ხალხი იყო: მოწმეები. ის ალბათ ხელში ამიყვანდა და ძალით გადმომიყვანდა მარტონი რომ ვყოფილიყავით.

— როცა ვინმე მოკვლას გიპირებს, ლომივით მამაცი ხარ, როცა ცეკვას ახსენებენ კი... — მან თავი გააქნია.

გადავყლაპე. ცეკვა.

— ბელა, არავის მივცემ უფლებას რამე გატკინოს, შენს თავსაც კი არ მვცემ ამის ნებას. არაფერი შეგაწუხებს, გპირდები.

მე ამ ყველაფერზე დავფიქრდი და თავი უკეთ ვიგრძენი. მან ეს ჩემს სახეზე წაიკითხა.

— ახლა, — თქვა მან ნაზად, — არ მინდა შენს თვალში ძალიან ცუდი ვიყო. ის დაიხარა და ერთი მკლავი წელზე მომხვია, მეორე ხელზე კი თვითონ ჩავკიდე და ნება მივეცი ავეყვანე.

მას ჯერ კიდევ შემოხვეული ქონდა მკლავი ჩემს წელზე, *იმის შიშით* რომ სკოლამდე წაუქცევლად ვერ მივაღწევდი.

ფენიქსში წვეულებები სასტუმროს დარბაზებში იმართებოდა. ეს ცეკვები კი სპორტულ დარბაზში იმართებოდა რათქმაუნდა, მგონი ეს ერთადერთი საცეკვაო დარბაზი იყო ფორქსში. შიგნით რომ შევედით, სიცილი ამიტყდა. იქურობა ბუშტებით და ქაღალდის ფერადი გირლანდებით იყო გაფორმებული.

MYTOPBOOK.ORG

— აქაურობა საშინელებათა ფილმს გავს, სადაც ეს-ესაა ცუდი რაღაც უნდა მოხდეს, — ავხითხითდი ისევ.

ბილეთების მაგიდას მივუახლოვდით. მართალია მთელი ჩემი წონა მას ეჭირა, მაგრამ მაინც დაძაბული დავაბიჯებდი.

— ხო თან ვამპირებიც აქ არიან! — წაიბუტბუტა ედვარდმა.

საცოდავად გავიცინე და დარბაზს გავხედე. მის ცენტრში ფართო წრე შემოეხაზათ, სადაც ორი წყვილი გრაციოზულად ტრიალებდა. ყველა გაწეულიყო და მათთვის ადგილი დაეთმოთ, არავის სურდა თავიანთი ცეკვა ამ მშვენიერებასთან კონტრასტში ყოფილიყო. ემეტი და ჯასპერი უზადოდ და ცოტათი საშიშად გამოიყურებოდნენ კლასიკურ სმოკინგებში. ელისს საოცარი ატლასის შავი კაბა ეცვა, გეომეტრიული ჭრილებით, დიდი სამკუთხედი კი მის თოვლივით თეთრ კანს აშიშვლებდა. და როზალი იყო... ხო როზალი. ის რეალობისგან ძალიან შორს იყო. მან საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა! ალისფერი, ზურგამოჭრილი კაბა მჭიდროდ ეკრა მის ლამაზ კანჭებსა და თეძოებს, კაბის ლამაზი დანაოჭებული ბოლო კი იატაკზე ეცემოდა. მის ფონზე, ჩემი ჩათვლით ყველა გოგო საშინლად გამოიყურებოდა.

— გინდა მე ჩუმად კარებს დავკეტავ, თქვენ კი შეგიძლიათ ამოხოცოთ უდანაშაულო ქალაქის მცხოვრებლები, — შეთქმულივით ჩავჩურჩულე.

— და ამ გეგმის მიხედვით, შენ ვის მხარეს იქნები?

— ჰმ, ვამპირების რათქმაუნდა!

უხალისოდ გაიცინა.

— ყველაფერზე ხარ თანახმა, ოღონდაც ცეკვებისგან თავი დაიძვრინო.

— ყველაფერზე!

აიღო ჩვენი ბილეთები და დარბაზისკენ წამიყვანა, მას ისევ ვეჭირე, მე კი საცოდავად მოვათრევდი ფეხს.

— მთელი ღამე ჩამი ხარ, — გამაფრთხილა გადაჭარბებული ენთუზიაზმით.

MYTOPBOOK.ORG

საბოლოოდ მან გამომიყვანა იქედან სადაც მისი ოჯახი ელეგანტურად ცეკვავდა და იმ დროს მუსიკის ფონზე საშინლად შეუფერებლად ვიგრძენი თავი.

––ედვარდ,–– ყელი ისეთი გამშრალი მქონდა რომ, მხოლოდ დაჩურჩულება მოვახერხე, ––მე მართლა არ შემიძლია ცეკვა! –– უკვე ვგრძნობდი პანიკას, რომელიც მკერდში ამიშუშხუნდა.

–– ნუ ნერვიულობ, სულელო!–– პასუხად ჩამჩურჩულა მან და სხეულში ჟრუანტელმა დამიარა, –– მე შემიძლია,–– მან მკლავები თავის მხრებზე დამაწყობინა და ჩემი ფეხითა და გიფსით საკუთარ ფეხებზე დამსვა.

და შემდეგ უკვე ჩვენც ვტრიალებდით.

–– თავს ისე ვგრძნობ თითქოს ხუთი წლის ვიყო, –– გავიცინე ვალსის უძალისხმეო ცეკვისას.

–– ხუთი წლისას არ გავხარ, –– ჩამჩურჩულა და რაც შეიძლება ახლოს მომიკრა.

ელისმა დაიჭირა ჩემი მზერა და გამამხნევებლად გამიღიმა,––მეც გავუღიმე. გაოცებული ვიყავი იმით რომ გავმხიარულდი... ცოტათი.

–– ხო ეს არც ისე ცუდი ყოფილა,––ვაღიარე.

მაგრამ ედვარდი კარებს მიშტერებოდა გაბრაზებული სახით.

–– რა არის?–– ვკითხე ხმამაღლა. თვალი მის მზერას გავაყოლე და მივხვდი რაშიც იყო საქმე. ჩვენსკენ ჯეკობ ბლექი მოაბიჯებდა, მართალია სმოკინგი არ ეცვა, მაგრამ თეთრ პიჯაკი და ჰალსტუხი ამშვენებდა, თმები კი როგორც ყოველთვის მხრებზე ჩამოყროდა.

შოკში ჩავვარდი, მაგრამ მაშინვე გამიარა. შევწუხდი იმაზე ფიქრით რომ ის აქ მოვიდოდა, ძალიან არაკომფორტული და აუტანელი იყო ასეთ დროს. მისი სახე მობოდიშებას გამოხატავდა, როცა თვალებით შემხვდა.

ედვარდმა ჩუმად დაიღრინა.

–– თავი შეიკავე,–– დავუსისინე.

MYTOPBOOK.ORG

— შენთან უნდა ლაპარაკი,– მითხრა გესლიანად.

როგორც იქნა მოაღწია ჯეიკობმა, სიბრაზე და სინანული არეულიყო მის სახეზე.

— გამარჯობა ბელა, ვიფიქრე აქ იქნებიდი.— მისი ხმა ძალიან თბილად ჟღერდა.

— გამარჯობა ჯეიკობ,— მეც გავუღიმე, — რა იყო?

— შეიძლება?— მან ახლა ედვარდს შეხედა. ძალიან გამიკვირდა, ჯეიკობი უკვე ერთი თავით ამაღლებულიყო.

ედვარდს სახეზე ნიღაბი გადაკვროდა, მის ერთადერთ პასუხად ჩემი ფრთხილად ძირს დასმა იყო.

— გმადლობ,— უთხრა ჯეიკობმა თავაზიანად.

ედვარდმა თავი დაუკრა, ისე რომ ჩემთვის თვალი არ მოუცილებია, შეუპოვრად მიყურებდა სანამ არ შეტრიალდა დარბაზისკენ.

ჯეიკობმა ხელები წელზე მომხვია და მკლავები მის მხრებზე დავაწყვე.

— როგორ ამაღლებულხარ ჯეიკობ?

გაიბღინძა— ექვსი და ორით!

სინამდვილეში არც ვცეკვავდით, ჩემი ფეხით ეს მართლა შეუძლებელი იყო, მხოლოდ აქეთ-იქით ვქანაობდით. არც ის იყო ჩემზე უკეთესი მოცეკვავე.

— ხოდაა რამ გაიძულა ამაღამ აქ მოსვლა?— ვკითხე რაც შეიძლება მხიარულად. ისიც კარგად ვიცოდი რომ ედვარდს ჩვენი ყველა სიტყვა ესმოდა. ახლა მისი რეაქცია წარმოვიდგინე.

— დაიჯერებ? მამაჩემმა ოცი დოლარი გადამიხადა იმისთვის რომ შენს წვეულებაზე მოვსულიყავი,— საშინლად გაწითლდა, სახე სირცხვილით დაფარვოდა.

MYTOPBOOK.ORG

—— კი მჯერა, —— ჩავიბუტბუტე—— ხო იმედია ცოტათი შენც გაერთობი, აქ ვინმე ხომ არ გაინტერესებს?—— გოგონების ჯგუფზე ვანიშნე.

——კი, –ამოიხვნეშა–ოღონდ ის უკვე დაკავებულია.

მე დაბლა დავიხედე, რომ ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერა ამერიდებინა.

—— მართლა ძალიან ლამაზად გამოიყურები, —— თქვა დარცხვენით.

—— ო, გმადლობ. ხოდა რისთვის გადაგიხადა ბილიმ ეგ ფული აქ რომ მოსულიყავი?—— პასუხი თვითონვე წინასწარ ვიცოდი.

არ ესიამოვნა თემის შეცვლა, თავი დამნაშავედ დახარა და განაგრძო.

—— ფიქრობს რომ ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია შენთან სასაუბროდ. გეფიცები მოხუცი სულ გაგიჟდა.

ჩუმად გავიცინე.

—— თანაც მითხრა, რომ თუ იმას გეტყოდი რაც დამაბარა მანქანის იმ ნაწილს მომცემდა, რასაც ამდენი ხანია ვეძებ,—— დაამატა მორიდებულად.

—— კარგი, მაშინ მითხარი, მინდა რომ მანქანა მალე დაასრულო,– ვუთხარი, ჯეიკობმა აშკარად არ დაიჯერა, მაგრამ ეს უფრო ამარტივებდა სიტუაციას. ედვარდი მოშორებით კედელთან იდგა და მიყურებდა, თვითონ კი უმეტყველო სახე ქონდა. დავინახე, როგორ გაოცებით შეყურებდა ერთი ვარდიფერკაბიანი უფროსკლასელი გოგონა, ედვარდი კი რათქმაუნდა ვერ ამჩნევდა მას.

ჯაიკობმა ისევ დარცხვენით გაიხედა.

—— არ გაგიჟდე ოღონდ კარგი?

—— შენზე რატომ უნდა გავბრაზდე, – დავარწმუნე– თუ რამე ბილიზე გავბრზდები. მიდი გისმენ.

MYTOPBOOK.ORG

— კარგი, – დაიწყო მან, – ეს ნამდვილი სისულელეა, მაპატიე ბელა, მაგრამ მას უნდა რომ შენს ბოიფრენდს დაშორდე. მან გამომგზავნა რომ მისი თხოვნა გადმომეცა,– მან ზიზღით გადააქნია თავი.

— ის ისევ ისეთი ცრუმორწმუნეა არა?

— ხო... ის ლამის გაგიჟდა როცა ფენიქსში დაშავდი. ის... მას არ ჯერა რომ...— ჯეიკობი შეგნებულად წელავდა სიტყვებს.

თვალები დამივიწროვდა.

— მე დავეცი.

— ვიცი, ვიცი,— დაამატა სასწრაფოდ,— გონია რომ ედვარდის გამო დაშავდი, თითქოს მას მიუძღვის რაიმე წვლილი ამაში.— ეს უკვე აღარ იყო შკითხვა, მე დავარღვიე პირობა და საშინლად გავბრაზდი.

ის აღარ მიყურებდა თვალებში, მუსიკსაც არც ერთი აღარ ვუსმენდით, უბრალოდ ვიდექით.

— მომისმინე, ჯეკობ, გასაგებია რომ ბილის არ ჯერა, მაგრამ შენ ხომ გესმის რომ ეს სისულელეა?— ახლა კი შემომხედა, არ გამორჩენია ჩემი ხმის ცვლილება,— ედვარდმა და მამამისმა გადამარჩინეს, ისინი რომ არა ახლა მკვდარი ვიქნებოდი!

—ვიცი,— თქვა საცოდავად. აშკარად შეეტყო რომ ჩემი სიტყვები ეტკინა.

— მართლა მაპატიე, შენ ხომ მხოლოდ დავალებულ საქმეს ასრულებ,— მოვუბოდიშე, — ახლა ნამდვილად იმსახურებ დანაპირებს არა?

— ხო, — წაიბუტბუტა, საშინლად დაბნეული ჩანდა.

— კიდევ რაიმე?

— არაფერი და ეგეც დაივიწყე, — დავიწყებ მუშაობას და მე თვითონ ვიშოვი ფულს.

— კარგი რა დაამთავრე ბოლომდე.

MYTOPBOOK.ORG

— არა ეს ძალიან ცუდია, ვეღარ გეტყვი.

— მიდი თქვი და მორჩა.

— კარგი... მან თქვა რომ, არა გაგაფრთხილა რომ.. ასე თქვა " ჩვენ შენ გითვალთვალებთ!"— ის შეშინებული ელოდა ჩემს რეაქციას.

უცებ ხმამაღლა ამიტყდა სიცილი. ოჰ ეს ისტერიკა!

— რას იზამ ეს უნდა გეთქვა ჯეიკობ!

— ამაზე არ ვდარდობ, – მან აათვლიერა ჩემი კაბა,— და შეილება შენგან გადავცე, "ჯანდაბამდეც გზა გქონია!" ?

— არა, მადლობა გადაეცი, ვიცი რომ ჩემზე ნერვიულობს.

სიმღერა დამთავრდა და მკლავები ჩამოვუშვი.

მას ჯერ ისევ წელზე ეხვია ხელი, მერე ჩემს უზარმაზარ ფეხს დახედა და მითხრა.

— გინდა კიდევ ვიცეკვოთ? ან აქედან გასვლაში ხომ არ დაგეხმარო?

ედვარდმა ჩემს მაგივრად უპასუხა.

— ყველაფერი რიგზეა ჯეიკობ, მე თვითონ წავიყვან.

ის გაფართოებული თვალებით მიაშტერდა ედვარდს, რომელიც უკვე ჩვენთან იდგა.

— ვერ დავინახე აქ თუ იდექი,– გაიკვირვა ბიჭმა, – კარგი, იმედია კიდევ გნახავ ბელა,– თან ხელი დამიქნია.

— მოგვიანებით გნახავ,— გავუღიმე.

— მაპატიე,— კიდევ ერთხელ გაიმეორა კარებთან მისვლამდე.

ედვარდმა მკლავები შემომხვია, მე კი მკერდზე დავადე თავი. მუსიკა ოდნავ აჩქარდა, თუმცა ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

— უკეთ გრძნობ თავს?

MYTOPBOOK.ORG

— მართალი გითხრა არა,– წაიბუტბუტა მან.

— ბილიზე არ გაბრაზდე, ის უბრალოდ ჩრლიდან გამომდინარე ნერვიულობს ჩემზე, არაფერი პირადული.

— ბილიზე არა, მაგრამ მისი შვილი კი ნამდვილად მაღიზიანებს.

მე გაოცებით შევხედე.

— რატომ?

— პირველი, იმიტომ რომ მან პირობა გამატეხინა.

შეცბუნებით მივაშტერდი. მან ნახევრად გამიღიმა

— მე დაგპირდი, რომ არ მიგატოვებდი ამაღამ.

— ო, კარგი გპატიობ,– გავეხუმრე.

— ხო მაგრამ კიდევ სხვა რამეცაა.

მოთმინებით ვუცდიდი.

— მან გითხრა რომ ლამაზი ხარ. ეს შეურცხყოფაა იმასთან შედარებით, როგორაც შენ გამოიყურები. შენ ბევრად მეტი ხარ ვიდრე უბრალოდ ლამაზი ბელა.

—კარგი, რა ნუ აჭარბებ,— გამეცინა.

—ნამდვილად არ ვაჭარბებ. სხვათაშორის შესანიშნავი თვალთახედვა მაქვს.

ახლა ჩვენ ისევ ვტრიალებდით, ფეხები ისევ მისაზე მეწყო და მკერდზე ვყავდი მიკრული.

— ისე აპირებ ამიხსნა ამ ყველაფრის მიზეზი?– ვკითხე ჩუმად.

მან შემომხედა, ისარგებლა მომენტით და გასასვლელისკენ წამიყვანა. იქვე თვალი მოვკარი მაიკსა და ჯესიკას, რომლებიც ცეკვავდნენ და ჩვენ გვიყურებდნენ, ჯესიკამ ხელი დამიქნია და მეც გავუღიმე. ანჯელაც აქ იყო და ძალიან ბედნიერად გამოიყურებოდა ბენის გვერდით. ისინი თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს. და ჩვენც

MYTOPBOOK.ORG

გარეთ გავედით, აგრილებულიყო, ოდნავი სინათლე დაეტოვებინა ჩამავალ მზეს.

რადგანაც უკვე მარტონი ვიყავით მან ხელში ამიყვანა, დაბალი ბუჩქები გაიარა და ერთ-ერთ ხის ძირას დაჯდა, ჯერ ისევ ხელში ვეჭირე და მკერდზე ვყავდი მიკრული. მთვრეც ამოვიდა, ირგვლივ თითქმის არ იყო ღრუბლები, ის საოცარ მოთეთრო შუქს გამოსცემდა და ედვარდის კანმაც უჩვეულო ფერი მიიღო. ღვთიური სახე სევდით ქონდა მოცული.

ის მთვარეს მიაშტერდა.

—— ისევ ბინდი,– დაიჩურჩულა– კიდევ ერთი დასასრული. არ აქვს მნიშვნელობა, რაოდენ მშვენიერი იყო დღე, ის მაინც დასრულდება.

—— არსებობს რაღაცეებიც, რაც არ მთავრდება,–ვუპასუხე ჩუმად.

მან ამოიოხრა.

—— წვეულებაზე მოგიყვანე, – თქვა მან ნელა, ბოლოს და ბოლოს ის აპირებდა პასუხი გაეცა ჩემს კითხვაზე,– იმიტომ რომ, არ მინდა ცხოვრებაში რამე გამოტოვო, თუ მისი ნახვა შეგიძლია. მე მინდა ადამიანი იყო. მინდა ისე გაგრძელდეს შენი ცხოვრება, რომ თითქოს ჩვვიდმეტი წლის ასაკში მომკვდარიყავი მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ამ სიტყვებზე გამაძაგძაგა და თავი ბრაზით გადავაქნიე.

——შენ რომ არ ყოფილიყავი მე მართლა არასოდეს მოვიდოდი ამ წვეულებაზე, ჩემზე ათასჯერ ძლიერი რომ არ იყო ახლა აქ ნამდვილად არ ვიქნებოდი.

მას გაეღიმა, თუმცა ღიმილი მის თვალებს არ შეხებია.

—— შენ არ თქვი, რომ ცეკვა კარგია?– მკითხრა ხუმრობით.

—— ეს მხოლოდ იმიტომ არის კარგი, რომ შენ იყავი ჩემს გვერდით.

ცოტახნით ორივენი ვდუმდით, ის მთვარეს უყურებდა, მე კი მას. სწორედ ახლა გავიაზრე თუ რატომ იყო ასეთი უაზრო ჩემი ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება მის გამოცენამდე.

MYTOPBOOK.ORG

—— შეგიძლია რაღაც მითხრა?– შემომხედა ღიმილით.

—— როგორც ყოველთვის, რათქმაუნდა.

——ოღონდ დამპირდი რომ მართლა მეტყვი, ——დაიჟინა, თან იცინოდა.

ვიცოდი რომ ამ დაპირებას ვინანებდი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ უფრო მძლია.

——კარგი.

——მართლა არ მოელოდი რომ აქ მოგიყვანდი?– დაიწყო მან.

—— მართლა,– დავეთანხმე.

——მაშინ ალბათ სხვა რამეს ელოდი... მაინტერესებს, რას ფიქრობდი, სად მიმყავდი?

რათქმაუნდა ვინანე! ტუჩები სიბრაზით მოვკუმე.

—— არ ვაპირებ გითხრა.

—— მაგრამ შენ დამპირდი,– შემახსენა.

—— ვიცი.

—— მაშინ რა პრობლემაა?

——ვფიქრობ რომ ეს ან გაგაგიჟებს ან ძალიან გეწყინება.

ის ჩაფიქრდა, წარბები შეეჭმუხნა, მერე კი გააგრძელა.

—— მე მაინც მინდა ვიცოდე, გისმენ.

ამოვიოხრე, ის კი მშვიდად მელოდებოდა.

—— ხო, მე მეგონა რომ ეს იქნებოდა რაღაც უჩვეულო... მოვლენა. მაგრამ არა რაღაც სულელური ადამიანური შეკრება, მაგალითად როგორიცაა... წვეულება!– წამოვიძახე ბრაზით.

——ადამიანური? – მან მიაგნო გასაღებ სიტყვას.

MYTOPBOOK.ORG

მე ჩემს კაბას დავაშტერდი და შიფონს დავუწყე წვალება.

— კარგი,–ამოვიოხრე, –მეგონა რომ შენ შენი აზრი შეიცვალე... მეგონა რომ ჩემს შეცვლას აპირებდი, ყველაფრის შემდეგ რაც მოხდა.

მის სახეს ფრთხილად დავაკვირდი, მასზე ემოციების ზღვა დავინახე – მწუხარება... სიბრაზე... ბოლოს ეს ყველაფერი შეიკრა და ნასიამოვნები გამომეტყველება მიიღო.

—შენ ფიქრობდი რომ ბნელ შეკრებაზე მიმყავდი არა?– მას სიცილი აუტყდა.

—არ ვიცი ეს ყველაფერი როგორ ხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ წვეულებაზე უკეთ კი ვიგრძნობდი თავს, – ჯერ კიდევ ხითხითებდა,– სულაც არ არის სასაცილო!– ვუთხარი.

—არა ეს მართლა არ არის სასაცილო, მართალი ხარ, — და მისი სახიდან ღიმილი გაქრა,— უბრალოდ ვცდილობ დავიჯერო, რომ მეხუმრები და მართლა ასე არ ფიქრობ.

— მე მართლა სერიოზულად გეუბნები.

მან ღრმად ჩაისუნთქა.

— ვიცი. და შენ მართლა გინდა ეს?

მწუხარება თვალებში ერეკლებოდა. ტუჩზე ვიკბინე და ვუპასუხე.

— მართლა.

— და შენ ახლა მზადა ხარ ამისთვის?– დაიჩურჩულა თავისთვის – გინდა რომ სწორედ ახლა დადგეს შენი ცხოვრების მწუხრი, ბინდი, როდესაც ის მხოლოდ ახლა იწყება?

— ეს დასასრული კიარა დასაწყისი იქნება, — არ დავეთანხმე მე.

— არა მე ამად არ ვღირვარ.

მე გამეცინა.

— გახსოვს, მითხარი რომ საკუთარ თავს ვერ ვაფასებ? შენც იგივე გჭირს.

MYTOPBOOK.ORG

— მე ვიცი რაც ვარ.

ამოვიოხრე.

ის დიდხანს მაკვირდებოდა სახეზე, მერე კი მკითხა.

— მზადა ხარ, მაშინ?

— ისაა,— ნერწყვი გადავყლაპე, – კი!

მან გაიღიმა, თავი ნელ-ნელა დახარა და თავისი ცივი ტუჩებით შემეხო ყბის ქვემოთ.

— ახლავე?— დაიჩურჩულა მან, და მისი გრილი სუნთქვა ჩემს კანს შეეხო. უნებლიეთ გამაკანკალა.

—ხო,— დავიჩურჩულე. თავს უფლება ვერ მივეცი მეყოყმანა, ასეთი შანსი აღარ მომეცემოდა. მთელი სხეული გამიშეშდა, სუნთქვა შემიჩერდა და...

მან ბოროტად ჩაიხითხითა და უკან გაიწია. იმედგაცრუებული სახე ქონდა.

— ნუთუ მართლა გგონია რომ ასე ადვილად დამითანხმებ?– მითხრა დამცინავი ტონით.

— გოგონებს უყვართ ოცნება!

— და ეს არის შენი ოცნება? გახდე ურჩხული?

— არა რათქმაუნდა, ჩემი ოცნებაა შენს გვერდით ვიყო, სამუდამოდ.

ახლა მისი ხმა შეიცვალა, უფრო ნაზი და რბილი გაუხდა,

— ბელა, – თითებით ტუჩებზე შემეხო, – მე სულ შენთან ვიქნები, ეს არ არის საკმარისი?

მე გავუღიმე, თითების ქვემოდან.

— საკმარისი ახლაა მხოლოდ.

MYTOPBOOK.ORG

მას წარბები შეეჭმუხნა ჩემი სიჯიუტის გამო. არც ერთი ვაპირებდით ამაღამ დანებებას. მან ღრმად ამოისუნთქა, ხმა უფრო ღრენას უგავდა.

— მისმინე, მე მიყვარხარ ამქვეყნად ყველაფერზე მეტად, რაც კი შეიძლება არსებობდეს. ეს არ არის საკმარისი?

— კი ეს საკმარისია, – მას გაეღიმა– საკმარისია მარადისობისთვის!

და ის ისევ დაიხარა, რომ შეხებოდა ჩემს ყელს თავისი ცივი ტუჩებით.

თარგმანი: **AnasteishA, elis, nini-cullen, annano2.**

MYTOPBOOK.ORG